8(05)
У- 601

1319

ᲗᲕᲘᲓᲘ ᲛᲜᲐᲗᲝᲑᲘ

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

ᲡᲘᲪᲪᲮᲚᲘ-ᲙᲐᲨᲨᲘᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ

ᲨᲠᲐᲤᲔᲠᲝᲑᲐ

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ

ᲙᲝᲝᲠᲓᲘᲜᲐᲪᲘᲐ

№ 2

ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

1919.

Scientific Library

ბიბლიოთეკიდან
ალექს. ალიბეგ. ალექსიძისა

წინასიტყვაობის მაგიერ.

თუმცა „შვიდი შნათობის“ ყოველთვიურად გამოცემა შეუძლებელი შეიქნა არსებულ პირობებში,—ჩვენ მაინც ვეცდებით ქურნალს ასეთ სასელ-ჩოდებას. მომავალი გამოარკვევს, შესაძლებელი იქნება თუ არა—ყოველ თვე გამოვიდეს ქურნალი. ჯერ-ჯერობით კი ეს სრულიად მოუსურსებელია, პირველად ყოველისა, ჩვენდა ცესნიკურ სასიათის დამრკოლებათა გამოისობით... ამისთვის არის, რომ ამ ნომერს უფრო არაჩვეულებრივი კრებულის სასიათი აქვს, ვიდრე ქურნალისა.

სარედაქციო კოლეგია.



1



საქართველოს.

ამაყი ნება: თავადობის და შურის კერძი.
ლალი ფარეში: სილამაზის ეშხით შეებული,
ხელმწიფებისთვის ოქროვანი კოლხეთის ვერძი:
და სისხლი გმირის: შმაგი რიტმით ზარხოშებული.

ტაძარი ოშკის: თეთრი ლოცვით ათოვლებული.
საშო ზმანების: ხან მყოფელი და ხან კი ბერწი.
სევდათა ვაზის ცრემლიანი მოჭრილი ლერწი.
და ცხელი ჯვარი: ნინოს თმებით განელებული.

მე მიყვარს შენი გამოხედვა: ძველი: მესხური,—
მზის სინელეში შოთას სიტყვით რო მოესხურა,
მაგრამ ხედავდე: საკაძე ლანდივით მოდის;

უცხო შორეთის სიყვარულით პირგამეხილი,—
და უცდის გმირი: გამთელდება ნეტავ თუ ოდეს
შენს უნდო მკერდში მისი ხმალი გადატეხილი.

გრ. რობაქიძე.



წერილი დედას.

ავტოვე სოფელი,
მყუდრო სამყოფელი,
ქვითკირის მარნები
და კატის კნუტები,
სიმინდის ყანა!
ჰა! კინტოს პროფილი,
საეკვო ტარნები,
და დავიკუნტები
ქალაქის ქუჩებში მე სალახანა!
ტირილი, ტირილი, ტირილი ბევრი,
ბზის განიავება, კალო და კევრი,
და სოფლის სიწმინდე, მართალი ბათმანი,
როცა მე ქალაქში მაგიდებს, მახელებს
ყველა ყელსახვევი, შავი ხელთათმანი.
იქნებ ჩვენ თბილისი ხვალ ყველამ დავტოვოთ,
მინდა დღეს მივწერო დედას უსათუოდ,
იმღერის მამასთან ის ნანა ტკბილი,
როცა გაიხარა, რომ მე შეეჩვევოდა პირველი კბილი.
როცა მე ჭურდები მეგობრად მრაცხავენ,
სოფელში ვენახი გახდა მოსარწყავი,
და ვაზის ფურცლებზე ისე გალურჯდება
იქ შაბიაბანი,
ვით თვალის ლპე, როცა მე არ მხურავს ღამეში საბანი.
დედა, ინახულე
შენ წმინდა ხახული!

წადი ფეხშიშველი,
ქალაქში დაკარგულ შვილისთვის ღამე გაათენე.
ღმერთო აპატიე,
მე თუ ვერ მიშველი,
დედას, რომ დაგინთო ჩემ სიგძე სანთელი,
მისთვის რო ჩემს გულში დაყუჩდეს გრიგალი
და კორიანტელი.

1918. სექტემბერი.

პ. იაშვილი.

ელგერდ გასტონიშვილი.

ს მკვდარი წიგნი როს წაიკითხო,
იქნებ სახელი ჩემი იკითხო?
ვარ მეწისქვილედ გარდაქცეული,
ბევრჯელ ნაშენი, ბევრჯელ ქცეული!
ხრილსა და ფქვილში ამოგანგლული,
ლუკმა პურისთვის მითქვამს ნამგლური.
ველარ ვუცნივარ, ვინც წინად მცნობდა!
ჩემ გამო იყო ნათელს რომ გრძნობდა!
მე განდეგილი, დღეს ის მქუხარი!
ბოლოს ვინ დარჩეს განაშუქარი?
თუმცა მიმაგდეს ურმის კოფაში,
ბევრიც ვიგემე მწარე ყოფაში, —
მაინც კისერი მე არ ვიღერე,
ჩემს უნებურად კიდევ ვიმღერე.
გრძელ პოემაში ლექსებით ვნარდობ,
თუნდ დამიწუნო, არაფერს ვდარდობ, —
რადგან ადვილი თურმე ყოფილა,
როცა სიწრფელე გადაყოფილა,
ქება-დიდების კოშკის აგება,
რომელს თან ახლავს კიცხვა-ძაგება.
თუნდაც ორივე ერთად დამებას, —
მე სახელს მიხვეჭს და უკვდავებას!

1

სული შეწუხდა ძველის ლოცვებით,
უნიადაგო ვნების ოცნებით!
მოსწყინდა გრძნობას სიტყვის რახუნი,
განგებ შექმნილი, განგებ ზრახული,
უსახო კერპის გუნდრუკის კმევა
და უადგილოდ ცრემლების ფრქვევა.

ხალხის წინაშე მომღერლის თნევა,
სხვისგან ნაქურდალ ზინეთის ბნევა.
თან აბდა-უბდა მკვდრულად მდებარი,
ბოდვა გიჟისა გაუგებარი.
არც თავი სჩანდეს, არც მისი ბოლო,
იძახდეს მაინც: არის სიმბოლო!
უფრო არ მიყვარს მგოსნის ტრაბახი,
თუ კი დასწერა ერთი თაბახი.
ოინბაზური პრანჭვა და გრეხა,
ძალით მუზების კარების ტეხა.
ლექსის აკინძვა მხოლოდ გიშრებით!
„მცირე ნადირთა ხოცვა ისრებით“!
ჯაგლაგს ათრევდეს, ეგონოს რაში...
ბრბოვ, ასეთს მგოსანს დაუკარ ტაში!
რომ შემდეგ იმედ გაცრუებულმა,
თვით იმავ ბრბოსგან დამცირებულმა,
მკრთალი დიდება წარმოიდგინოს
და ნაღვლიანმა ცრემლი იდინოს!

2

რამდენი არის ხურდა მგოსანი,
ვით ხეკაკუნა ანუ კოსალი!
განგებ სწუნობენ, განგებ აქებენ,
ყალბ ზმანებაში ყალბად აგებენ.
თან ყურადღებას იმით იქცევენ:
ასტეხენ ზაურს, დაბალს იქ სცემენ!
სძინავთ ჰბოდავენ, ღვიძავთ ჰბოდავენ,
ერთმანეთს ხოტბით თითქოს ჰკოდავენ.
ზოგი ჰყარს შმორით, ვით ნივრის ფოჩი,
ლობეს ედება, ვით რეტი ყოჩი,
მაინც ბოდიში! ვსთქვი მათზე რამე!
ფეხს წამოჰკრავენ უწმინდურს ღამე!

3

ახ, ჩემო ენდი! აიხსენ რიდე!
ასეთს ფათერაკს შენ ამარიდე!
მინდა, ავწერო შენი ხატება,
შენი სინაზე, მოფარფატება!
ცხოვრება ესდენ დაუდეგარი
და მიჯნურობა შენში მგზნებარი!
შენთან ელბერდის გადასავალი,
ორთავეს ბედი და მოსავალი!
მსურს, რაც გიგრძვნია, ლექსში სულ იყოს!
რა არის ქვეყნად, რომ არ თქმულიყოს!
მაგრამ არ დავსდევ ვინც რა სთქვა სადა.
ოღონდ სიმღერა მექნეს მე სადა!

4

როს კალამს ვიღებ, ხმა გამაგონე!
ხვთიური ცეცხლი შენ შთამაგონე,—
შევქმნა მარტივი, გრძნობით მაღალი,
შაირ-თქმულება ჰანგით ახალი;
ვიწრო ჩარჩოში არ მომათავსო,
ქუჩის მესტვირეს არ მიმამსგავსო.
მე რომ ძეგლს გიდგავ, ყველას თვალს სჭრიდეს,
მნახველი მარად მის წინ თავს ჰხრიდეს.
იყოს ნათელი და საარაკო,
საშვილიშვილოდ სალაპარაკო!
ვარსკვლავის ოდნავ ბჟუტვა და კრთომა,
ან საშუალო წერტილზე დგომა,—
რაც აღიტაცებს დაბალ პროფილებს,
ჩემს სულს აროდეს აკმაყოფილებს!
თუ არის—იყოს! არა და—რიყოს!
უშნო ჩხარუნმა ვინ გააბრიყვოს?

იქ ვერ არჩევენ სარფას თუ ზიანს,
სად ბრმები სვამენ მეფედ კუზიანს!
ასეთს ბედს, ენდი, შენ ამარიდე!
მოვედ ჩემს გმირად, აიხსენ რიდე!

5

ზღაპარს მოგითხრობ ნამდვილთან მართალს,
აქ გარდაგიშლი ცხოვრების დავთარს.
ნახე, თუ ერთი რითაც იამებს
იგი მეორეს უჩენს იარებს!
ერთის განცხრომა, ცხოვრება კარგად,
მეორისათვის მძიმეა ბარგად.
ამ ხალხის მოდგმას რაც ასულდგმულებს,
რასაც მიწვდება, ან შეიგულებს—
ფხიზელის თვალით რას აკვირდები,
ხელ ახლად ამსხვრევ და სხვას ჰპირდები.
ვუყურებთ ფუჭად ცხოვრების ბრუნვას,
მაინც არ ვკარგავთ იმედს და ზრუნვას.
საშარადისო თითქოს წესია:
მხოლოდ ლოდინი! მხოლოდ მესსია!!
ძველი ამბავი აწ კი გაუწყო
და ჩემ ჩონგურსაც სიმი აუწყო!
ვიცი, მკითხველიც ხმას ამიყოლებს,
თორემ დუმილი გადაგვიყოლებს.
ისედაც დიდხანს ენა დამება,
მუდამ სიჩუმე არის წამება.
თუ ვერ ვაამებ ზოგს გრძნობა-დამჯდარს,
ან ვერ ავანთებ სიბერე-გამჯდარს,—
დაკარგულ დრო-ჟამს ნუ დაინანებს...
ირგვლივ მე ამგვარს ვისმენდი ნანებს!
და თუ გამოდგა სუსტად უხარში
ჰმართებს უძახოს იქვე ბუხარში!

ვფიცავ, არ ვიწყებ სხვათაებრ ყვირილს,
ენდი აღირსებს ჩემს კალამს ტირილს!

6

ძველად სცხოვრობდა... როდის? ან რა დროს?
სხვამ არვინ იცის, ვერც ვინ რა გკადროს?
ნუ შეაწუხებთ ჩვენს ისტორიას!
ნუ ასტეხთ ფურცელთ ზედაგორიას.
იქ ასეთს ამბავს ვერავინ ჰნახავს.
და თუ ჰგავს რითმე ნურვინ დამძრახავს.
მხოლოდ ამბავი ცოტა გრძელია,
თვით შინაარსი მისი ვრცელია.
აქ ჩვენა ვნახავთ მრავალ სახეებს.
ბევრისთვის შავად დადგმულ მახეებს.
მგოსანი ბრალში ნურად იქნება:
თვით სიზმრისაებრ ცხადიც მიჰქრება.
ჩვენს მატიანეს მოეპოება
ბრწყინვალე პირთა ყოფა-დროება,
მდაბიო ხალხს კი ყურს ვინ უგდებდა,
ლუკმას არავინ გადაუგდებდა.
ის ბატონისთვის მხოლოდ შობილი
იყო საძრახი, ლახვარ სობილი.
მიტომ ვსთხოვ მკითხველს სრულს მორჩილებას,
უცადოს მრავლის გამოჩინებას!
სცხოვრობდა მეთქი მეფე ქართლისა,
დამრღვევი წესის და სამართლისა.
უხასიათო, მიუნდობელი.
თავის ერისა თვითვე მგმობელი.
გაუტანელი ნათესავისა.
არ დამნახველი კარგის, ავისა!
ძლიერთან მხდალი, შინ შეუბრალი.
უკრძნობ-უხეში, გოროზი, მშრალი.

შურის ამღები, მუდამ ბოროტი.
გადმობერილი, როგორც კოლოტი.
ფიცის გამტეხი, შარი და შფოთი.
ენაწარყვნილი, უზომოთ ლოთი.
ცხვირ-მოგრეხილი, ლოყა-მსუქანი,
თითქოს დაეკრათ წითლად ლუქანი.
შუბლ-შეკმუხვნილი, ხმა ჩახლეჩილი,
კაბა-შალვარი ჩამოჩეჩილი.
ნიკაპთან ხალი, ვით შავად ბუზი.
ცალფეხით კოჭლი, ბეჭებზე კუზი.
თავზე ირანის ერქვა დოლაბი.
სახელი მისი იყო როლაბი!

როცა ბუნება კაცს პირს არიდებს,
სილამაზესთან ველარ არიგებს.
და გარეგნობით მახინჯს ნეტა კი
სული მაინცა მისცა სპეტაკი!

7

მას ქართლის სკიპტრას ვით გადასცემდნენ,
რჩეულნი დასტურს როგორ დასცემდნენ:
ის ხომ განდევნა ერმა და თემმა
და სამღვთომ უთხრა მას ანათემა?
მაგრამ ირანის მეფე-მბრძანებელს,
სისხლის მსმელ აფთარს მისამგვანებელს,
თავის ნანდომი მეფე აქ სურდა.
ქართლის სიკეთე სხვის ხელში ჰშურდა,
რადგან ნიადაგ ძლიერდებოდა,
გრძნობდა, რომ ერთ დროს ზურგს შეაქცევ
მომავლის გეგმას მთლად დაუქცევდა,
ხარკს არ მისცემდა, არც მხევალ ქალებს,
რა მოიკრეფდა საკუთარს ძალებს.

Pontific Libr

და გამოგზავნა როლაბი ჯარით.
უთხრა: „ბიძაზე სავსე ხარ ჯავრით:
„იგი გდევნიდა საქართველოდან,
„შენსავ საკუთარს სამფლობელოდან.
„და ეხლა დადგა დრო ხელსაყრელი!
„აჰა, მახვილი გულში საყრელი!
„ნოდარი მოჰკალ! ქართლს დაეც ლახტი!
„და შენ მიიღე სკიპტრა და ტახტი!

8

ქართლი ის იყო სულს იბრუნებდა.
საწადელს კიდეც შეისრულებდა,—
მაგრამ ანაზდად ჩამოჰკრეს ზარი,
შემოესია ურიცხვი ჯარი,
და აწიოკდა ირგვლივ მთა-ბარი.
სისხლით მოირწყო სახნავ-საბარი.
როცა ქართველნი ბრძოლას აგებდნენ,
და დიდ-პატარას შუბზე აგებდნენ,—
მეფემ იაზრა რა გზა ეჩინა,
მემკვიდრე მაინც გადაერჩინა.
კაცი აფრინა მსწრაფლ სასახლეში
და შეუთვალა: „ებმით მახეში:
„ჩვენ გავწყდით, სისხლით დავიცალენით,
„თქვენ მაინც მტერსა გაეცალენით!

მსწრაფლ დედოფალმა თვისი ამალა
შემოიკრიფა, განძი დამალა.
იხმო მხედრები, მოუდგნენ მხარში,
და იმავ ღამეს, წვიმიან დარში,
ძიძას ჩაკრული პაწია ბავში
და დედოფალი დათალხულ შავში
გამწარებული ილტვოდა ფშავში.

IX

როლაბ დამტკბარი სრულს გამარჯვებით
შეეჭრა მეფეს ხმალ მომარჯვებით.
მოჰკლა ვეზირი სანდო, ჭაღარა.
ნოდარს, თვის ბიძას, თვალნი დასთხარა.
სასტიკი იყო წამება იგი!
სჯობს მომკვდარიყო, ეხადათ რიგი!
შემდეგ ბორკილი დაადებინა
და ბნელს საკანში ჩააგდებინა.

გაშმაგებული სასახლეს ეცა,
მაგრამ ელდისგან მუხლი ეკეცა.
მას იქ არ დახვდა მეფის ძე ვაჟი,
და შეეკუმშა გული ვით კაჟი!
აღარც დედოფალს ჰქონდა იქ ბინა.
ბრაზმორეულმა თითზე იკბინა.
ცეცხლი აფრქვია, ხმალი იწია,
სავსებით შური რომ ვერ იძია,
რომ მთლად ვერ მოსპო საგვარეულო
და კიდევ დარჩა საგარეულო!

მხოლოდ დედოფალს ხელს არ ახლებდა.
პირიქით, პატივს განუახლებდა.
მის გამო გულში სხვას განიზრახდა.
„მსურს ჩემი იყოს!“ ბოროტს იძახდა.
„საყვარლად გავხდი, შეურცხვენ მანდილს,
„ხასად დავისვამ, ვფიცავ მე ნამდვილს!
მაგრამ თვის სურვილს მან ვერ აწია.
ჩაფიქრდა, ბნელი წარბი დასწია.
გულამღვრეულმა მოკუმშა მუშტი.
გადაებურა სახეზე კუშტი.
კაცი შავს ზრახვას ვით არ გაექცეს?
იქამდის როგორ უნდა დაეცეს,

სვინდისმა დართოს, ვნება ერიოს
და ნათესაურს სისხლს შაერიოს?!
დედოფლის კვალზე გზავნა მდევარი.
ბევრს ქრთამი მისცა, ბევრსაც მყევარი.
დამსმენს აძლია ბევრასეული
ოქრო და ვერცხლი ძვირფასეული...
ის ცამ ჩაყლაპა, თუ მიწამ ლარა,
გარდასულ საქმეს ვერ უწამლა-რა!

ვინც ერთგულებდა მეფეს ბრძოლაში,
ვინც კი აგდებდა როლაბს ძრწოლაში,
ჩუმად შეიპყრო, მალვით დახოცა,
მიწის პირისგან ყველა ახოცა.
მათ განსვენება ცივი აქ უთხრა,
თვითონ ქონება მიისაკუთრა!

10

კალამო, რად არ დამიდუმდები,
რომ ესრეთ ამბის წერას ვუნდები?
ვერ აიტანო სისხლი და ბრაზი.
ვით შეჰკრა კონად უხეშთან ნაზი?
ჩანგო, შეგფერის ტკბილად ალება!
დასწყდები, სევდა დაგეძალება.
შენ ყმაწვილ გულში სით ჩამივარდი?
ეკალს ესობი, მოსწყვიტო ვარდი!
მაგრამ რაც არის, ის უნდა ახდეს,
თუნდაც სანაცვლოდ სხვა კარგი წახდეს.
ტანჯვა რჩეულთა მხოლოდ ხვედრია,
ტანჯვა ღვთაების შესავედრია;
ტანჯვაში სული განიწმინდება,
ოცნება ნაზი ტანჯვით ბწყინდება:
მაშინ თუ შევძლებთ განგების ხილვას,
თორემ განცხრომა სჩვევია კილვას!

11

მაშ გავაგრძელო და იყოს სმენა!
ვეზირმა როლაბს ეს მოახსენა:
„შენს ერთგულებას ესრე დავურჩი,
„შევიპყარ გივი—თავადი ურჩი.
„კიდევ მრავალი სხვა მეტოქენი.
„ეხლა რაც გსურდეს, შენ მარტო ქენი.
„გთხოვ მაჩვენო კი ღირსი სჯა მათი.
„განაჩენს ელის ზანგი ჯალათი!

გივის ხსენებით ღვარძლი ესია:
სთქვა: „დავსჯი, დავსჯი, როგორც წესია.
„არა!.. სხვა გვარად! სულ სხვა წამებით!
„რომ ღამე ძრწოდენ მისი ზმანებით!
დაფიქრდა. ხელი მოივლო წვერზე.
და ვეზირს უთხრა მოსულმა ფერზე:
„ჩემი მოძულე, გთხოვ, შეინახო.
„როცა ქეიფში გართული მნახო,
„როცა მივეცე თავდავიწყებას,
„ქალებს ვეტრფოდე სხვა და სხვა წყებას,—
„მაშინ ამბოხის მომწყობი ყველა:
„გივი და ზაალ, ასული ელა,
„ვინც ჩემს დამხობას, მტრობას ცდილობენ
„და ერთმანეთში მოკვლას ცილობენ,
„არ მიწყნარებენ, შხამად შლილობენ,
„ჯვარზე გააკარ! ქვეშ ცეცხლი დართონ.
„ჩირაღდნის ნაცვლად მათ გაგვინათონ!

12

როლაბს სხვის კვნესა მიაჩნდა არც რად.
ჰკვეთავდა ბასრად, აქცევდა ნაცრად.

იტყოდა: თავი ციხეს უკარით:
ყველას იპყრობდა შიშით, მუქარით!
ბოლოს ვინც დარჩა და არ ავადებს
მან საქართველოს უხმო თავადებს;
და ტახტზედ მჯდომმა წყნარად მიმართა:
„ღმერთმა მახვილით გზა წარმიმართა.
„მე ჩემი ურჩი ვქმენ უსახუროთ....
„თქვენს გვირგვინოსანს უნდა მსახუროთ!
„არა ვითარმე ძალდატანებით, —
„მოვითხოვ ამას თქენის-და-ნებით!
„რადგან ჩემს ძარღვში სისხლი მდინარებს,
„რა სისხლიც ჰქონდათ ჩემზე წინარებს.
„ეს სკიპტრა უნდა მე ხელთ მჭეროდა.
„დიდება სარტყლად შემომჭეროდა.
„მაგრამ მამაჩემს რა წარუტაცეს,
„თქვენმა მამებმა მუხთლად ძირს დასცეს
„და მეც გამდევნეთ, ეს გახსოვთ ყველას.
„არ შემიწყნარეთ, თუ გთხოვდით შველას!
„დღეს რაც კი მოხდა, მასზე ხმიერი
„ამბობს არისო კანონიერი!
„არა ვარ თქენთვის ძვირი გულისა.
„ნურც ჰგონებთ ვიყო უცხო რჯულისა!
„ანგარიშს ვუწევ გარემოებას.
„აწმყოს, მომავალს და ჩვენს დროებას.
„მეფის ერთგულის ჯილდო მეც ვიცი.
„უფრო უხვი და ხმლით განამტკიცი.
„ვივიწყოთ, რაც კი გარდაგვხდენია.
„თქვენი უფლება აღმიდგენია!
„გიბრუნებთ ყველას ტყე-მამულ-ფონებს.
„საბატონოსა და საყმო მონებს!

13

ქართლის თავადნი და დიდებულნი
ზოგნი ამ სიტყვით აღტაცებულნი,

და ზოგნიც ეჭვით ჩაფიქრებულნი
იდგნენ ერთ ადგილს დადუმებულნი.
სათქმელი ჰქონდათ და ვერკი ბჭობდნენ,
უხერხულობას რაღაცას გრძნობდნენ.
ერთმა ჭაბუკმა წამოიწია,
იფიქრა: ,,ეხლა ჟამმა მიწია.
„ვამხელ, რაც მისგან ქვეყნად ბიწია.
თქმა დააპირა გულში ნადების.
თუმც ჰგრძნობდა ამით დაუშავდების,
მაგრამ იკისრა პასუხის გება.
ერთმა ჭაღარამ არ მისცა ნება!
ხელი მოჰკიდა, გაიხმო განზე:
„ალისო! გვღუპავ!'' თრთოლავდა ძალზე.
ყურს ჩასჩურჩულა: ,,არის თქმულიო
„თეთრი კბილი და შავი გულიო!

14

და დიდხანს იყო სიჩუმე კვდრული.
როლაბ უმზერდა ფერგადაკრული,
ვით ავისული, განგებით კრული.
ფიქრობდა: ,,ვხედავ, არა აქვთ ნდობა,
„თუ ენას უბამთ მადლობის გრძნობა?!
და ამ სიჩუმის კლანჭში მკუთავი
იდგა ვით რისხვა სულთა მხუთავი.
ათასნაირის აზრებით დუღდა.
ამგვარ დუმილით თითონაც სწუხდა.
ჰსურდა რამ ეთქვა გულმოსაგებად
მაგრამ ჩუ! ესმის ყრუგასაგებად:
—როლაბ! თუ ორივ თვალი დამთხარე,
ესოდენ კიდევ მექმენ დამხმარე,
შენის ბიძისთვის მიწა გათხარე.
ბრმა ვარ და ვხედავ, რაც გულს ახელებს:

შენს ცოდვილს ხელებს, სისხლიან ხელებს!
ბრმა ვარ და ვხედავ შენს ნამოქმედარს:
განწირულს ცოლშვილს და მოკლულს მხედარს.
ბრმა ვარ და ვხედავ მოშხამულ წამებს
შენგან დახოცილ და განაწამებს!
იყავ წყეული იქ და ამ არეს,
თუ არ მაღირსებ კუბო-სამარეს!
მთლად შეუმჩნეველად დროება სწვეთავს.
ჟამი განვლილი ყველაფერს სცვეთავს.
გულს მწარე ბოლმა მთლად ავიწყდება.
წარსულზედ ხსოვნის ძაფი გვიწყდება.
თვითეულ კაცში სულის კვეთება
თავის და გვარი მუდამ ენთება:
უკმაყოფილო, ბევრის მდომელი,
თან ცვალებადი, დაუდგრომელი.
ახ, ვერ დავფარავ ჩვენს ცუდს ზნეობას,
მრავალთაგანის პირმოთნეობას!
ვისაც როლები ეზიზღებოდა
ბოლოს ერთგული მისი ხდებოდა.
მიემხრობოდა როლებს რა ერთი
სხვებისთვის უკვე ის იყო ღმერთი.
შემდეგ ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ,
მონა-მორჩილად თითქმის დგებოდნენ.
ერთგული იყო ვინც უფრო მეტად,
ჯილდოს იღებდა ხელმოსახვეტად.
იყო ლაქუცი და კუდის ქნევა.
როლების ირგვლივ გამეფდა თხევა.

15

ზეიმობს როლებ დღეა მესამე...
უხვად მასპინძლობს, ამბობს: კვნესამე!
იქ დაფსა სცემენ, აქ ებან-ჩანგებს,

მეჭიანურე თარზე მღერს ჰანგებს!
თამადათ უზით განთქმული ჯაბა.
ყურთმაჯიანი ჰშვენობს მას კაბა.
მიდის და მოდის ყანწი ტრიალით.
სხვა სადღეგრძელოს სვამენ ფიალით.
ვინც ველარ შესძლო, სდგას იგი განზე.
ზოგი დაეშვა მოწყვეტით სკამზე.
ზოგს იქვე სძინავს დიდხანია.
ზოგიც ღვინისგან სულთან-ხანია!
ზოგს ახლად მოსდის ბახუსის ლხენა.
ზოგს კი პირშიაც არა აქვს ენა.
აჭრელდა სუფრა, დაჰკარგეს რიდი...
ხმა ისმის მხოლოდ:—ალავერდს მიდი!
— აბა დალიე!—კაცო, მაცალე!
— არა! ძირამდის ყანწი დასცალე!
— არ დალევ, ადექ, აქ დავყრი ნახშირს!
— ადგილს ნუ აცდენ, ნუ არღვევ კავშირს!
— ყელში ჩაასხი, თუ არ დალია.
— გაამოს! აგრე!—მეფე მთვრალია!
ზოგი ყანწს ასწევს, გულმკერდზე ისხავს.
„ღვინოს ვერ იტანს!“ თვითვე სხვას ჰკიცხავს.
შემოიტანეს მონებმა ხარი.
ტყავი გადახსნეს, იყო შემწვარი.
იყო სიცილი, იყო ხარხარი.
ხანჯლით გამოსჭრა თამადამ მხარი.
იქ ნახეს გუფთა, ქიშმიში, ფლავი,
და დაბროწილი ერბოში კრავი.
მზარეულს უთხრეს მრავალი ქება.
როლაბ ხარხარებს, ფეხზე ვერ დგება.
მის გულს ახარებს ესრე დღეობა
და სტუმრებისთვის ანაზდეობა,
რომელმაც ყველას დაუფრთხო ძილი,
ოხუნჯობაზე შეექმნა ცილი.
ზოგს მეტის ლხენით აუტყდა ქუში.

ზურნამაც დაჰკრა ვაშა და ტუში?
„ეს არის მწვადი! ჭამე და წადი!“
ყვიროდა, ვისაც გულს ედგა ზადი.
იქით სიმღერა... აქეთ სიმღერა...
ზოგს ყინწი მოსწყდა, ყელი იღერა.
მაინც ღრეობას არა სწყვეტავდნენ,
შემწვარს ძვლიანად ბატკანს ჭკვნეტავდნენ
და თან ჯამებით ღვინოს ხვრეტავდნენ!

16

როლაბი უმზერს თავადის ასულს,
თითქოს მოწყენილს, ფიქრებში წასულს.
საბური ჰქონდა შავთმიან თავზე,
და მარგალიტნი ყელსა და მკლავზე.
უთხრა თვის ვეზირს სიტყვა-ნართობა:
— შესაფერ უნდა ყველას გართობა!
„სევდიანს ვხედავ იმ ლამაზ მნათობს,
„ღვინოზე მეტად ეშხით რო მათრობს!
„ჰხედავ, მას ეტრფის ჩრდილი საყურის...
„ვისი ქალია?! — თავად ბაკურის!
— „სახელი?“ — ენდი! — „ეგ არის ენდი?!
„ვნების სურვილით სულ მისკენ ვფრენდი!
„მართალს მეტყოდნენ ციურ ჩვენებას,
„განსაცვიფრებელ სახის მშვენებას!...
„მაგრამ ეს შემდეგ... გეტყვი რაც მინდა...
„ვინც უნდა იყოს... თუნდ სულიწმინდა...
„ჩუ! არა სთქვა-რა!.. დღეს თუ ვეწამი...
„დაე აცეკვონ ტანად ლერწამი!...

17

დაჰკრეს დაირას, თარს და ჭიანურს
და დიპლიპიტოს რაკუნ—მხიარულს.

გამოერკვივნენ გართულნი სმაში.
დავლურის ხმაზე გახურდა ტაში.
ერთმა შეიპყრო მთელი დარბაზი:
ცეკვავს მოხდენით ენდი ლამაზი.
ირანულ ხალზე ფეხი სრიალებს.
თხელ აბრეშუმის კაბა შრიალებს.
ნაწნავ დაშლილი, ხელებ გაშლილი,
ხან წყნარად უვლის, ხან ვნება შლილი.
როს ლეჩაქს მკერდზე გადაიფარებს,
ვიღაცას თითქოს თვისკენ იბარებს.
კისერს იღერებს, დაბლა ჰხრის თვალებს...
მკლავებს მოწყვეტით გადაიმკრთალებს.
მუსიკის ხმასთან თითქოს ყუჩდება,
თითქოს ნაღველი გულში უჩნდება.
რხევით წასული ენდი ერთს ჰხედავს:
მისი თამაში როლაბსა ჰბნედავს.
შმაგად უყურებს, გულმიცუდს ჰბედავს.
ჰგრძნობს ენდი ფარულს თვისბედისწერას,
ვერ უძლებს მეფის ჟინიან მზერას.
პირი იბრუნა... ცალ მხარეს იწვევს.
მიდის თამაშით, სიამეს იწვევს.
კოხტად ლივლივებს... უმანკოდ იმზერს,
მსუბუქ კოცნისთვის გადიგდებს კისერს!
ერთს ადგილს შედგა. ღიმილით დარობს.
და შემდეგ ისევ სრიალობს, ჩქაროობს.

18

შესწყდა მუსიკა, ცეკვა, თამაში.
იყო ჟივილი. ვაშას განგაში.
როლაბი სუფრას ხელდაყრდნობილი,
ხმას არ იღებდა ფიქრშეპყრობილი.
იჯდა მოღუშვით, როგორც ბედკრული.

სულ სხვა სურვილით იყო შეკრული.
ბუტბუტებს: „მე მსურს... ჩემი არ კია“...
ბოლოს ვეზირმა გამოარკვია.
მიმოიხედა როლაბმა გარე.
იქ აღარ სჩანდა შუქმფენი მთვარე.
იგი განთიადს მოჰფარებოდა.
მშობლებთან ბინას ესწრაფებოდა.
როლაბი ადგა და ჭირვეულობს.
სხვის გაუგებრად რაცხას ჩემულობს.
ვეზირმა იცის, თუ რაც აკრთოლებს.
მოუხმო ჯაბას და სხვა კარგ ტოლებს—
რჩეულ თავადებს, მაღალ გვარტომებს:
როლაბი უმზერს და ძილს ამჯობებს
დილის სიოზე სხვა გასართობებს.

19

ბაღში გავიდნენ ღვინით, ყანწებით.
ზურნა ჭიჭყინებს: ქეიფს აწ ებით!
მთვრალ ოცნებისთვის ყველა მზა არი.
ნებას აბრუნებს ტკბილი საარი.
და დოლი შემდეგ სცვლის ბაღდადურზე.
გავლენას ახდენს სულსა და გულზე.
ბარბაცით ხტიან ერთად მარტონი
როლაბ და დიდი მუხრან ბატონი.
ცეკვას რჩებიან, სუფრად სხდებიან,
ქშინავენ, ოფლში იხუთებიან.
და შემდეგ წუთის არ დახანებით,
სტუმარ-მასპინძლის სურვილ-ბრძანებით;
აშლილ და დაშლილ აურზაურზე
გამოიყვანეს ზურნის ხმაურზე
მოჭიდავენი, მხარბეჭით მთანი.
გაითამაშეს. დააგდეს განი.

სარმა და ხრიკი მცოდნემ ისრულის,
მოგვერდის ცემა კიდევ—კისრულის.
მაგრამ ერთმანეთს უმაგრდებოდნენ,
მაღლა ასროლით ფეხზევ დგებოდნენ.
ნაძლევი იყო: ვინც წააქცევდა—
შერცხვენილ მონის სისხლს დააქცევდა.
გამარჯვებულს კი მეფე აძლევდა
საყმოდ ერთს სოფელს განთქმულ ცოდებას
და აზნაურის სახელწოდებას.
ორი ყმა-მონა დანაპირებით
ერთმანეთს უნდოთ ჰგლეჯდნენ კბილებით.
ორივეს ერთად ხვითქი სდიოდათ.
„მორჩით!“ ვილაცა თავს დაჰკიოდათ.
ერთს სიფიცხისგან გაუსხლტა ფეხი.
ცოტას გადარჩა დაატყდა მეხი.
ცხვირიდან სისხლი გადმოსთქრიალდა,
მაგრამ ელვასებრ შემოტრიალდა,
მწარედ დაჰკივლა: შენ თვით ინაშე!
კისრულით დასცა მეფის წინაშე.

20

გადაშხლართულსა, ვით ველად თეფეს
სკამზე ჩაქინდრულს ეძინა მეფეს.
თავის გარშემო თუ რა ხდებოდა,
აზრს და შინაარს ველარ ჰხვდებოდა.
როცა მის ფერხთან დაეცა მონა,
სისხლით პორფირი მთლად დაეფონა.
მომაკვდავ სულის გაიგო კვნესა.
უნძრევლად დარჩა, განაგრძო ხვნეშა.
მეფეს რაღაცა ეზმანებოდა.
სახე წითელი ელმანჭებოდა.
ჰხედავს თვის თვალწინ იმ დამწვარ გვამებს—

ზაალს და გივის, ელას ნაწამებს.
წუხელ მათ ცეცხლი რო შეუკეთეს,
სთქვეს: მამულისთვის ველით უკეთესს.
ტანჯვა, სიკვდილი მიიღეს არად.
კოცონზე დანთქეს სიცოცხლე წუნარად.
მხოლოდ იმ ელამ შექმნა წივილი,
როს ალმა იწყო ფეხზე შხივილი.
უკან დაბრუნდა ბევრი სტუმარი
გულჩათხრობილი, ჯავრით მდუმარი.
როლაბმა სთქვა თუ დავსაჯე... ვჩივი.
შუბლზე დაესხა მას ოფლი ცივი.
იქნებ იგრძნობდა მეტად სინანულს
და განიცდიდა წამით სიბრალულს,
მაგრამ მობრუნდა, შეიბურტყუნა,
მან თავის ნათქვამს ალარ უმტყუნა.
ჰხედავს სხვა სურათს და მოსდის თვალში
ცეკვავს ასული გვამების ალში.
თითქოს მას ენდი უახლოვდება,
თითქოს მას იპყრობს და ის გლოვდება.
რა აკვირდება, უცბად ჰკვირდება:
ენდი მას წითელს სისხლსა ჰპირდება
და ამ დროს ესმის: „თვალნი დამთხარე,
„ესოდენ კიდევ მექმენ დამხმარე,
„შენი ბიძისთვის მიწა გათხარე!..
„იყავ წყეული იქ და ამ არეს
„თუ არ მაღირსებ კუბო-სამარეს!
როლაბს თანდათან ოფლი მოვარდა.
სკამიდან მთვრალი ძირს გადმოვარდა.
ვეზირი ჯერედ თვითონ ეცადა,
ფეხზე ადგომა მისი ეწადა.
ხან მკლავს, ხან კისერს სწევდა მარტოკა,
მაგრამ ვერ დასძრა, ვერც შეატოკა.
როს მოიქანცა, უხმო მსახურებს
კარზე მდგომ ზანგებს შავ-უსახურებს.

აქეთ იქიდან ხელი დასტაცეს.
მათაც ემძიმათ. დასდვეს საკაცეს.
ასე პატივი როლაბს აახლეს
და შეასვენეს მძიმედ სასახლეს!..

21.

კაცს ბედი ერთხელ თუ გაუღიმებს,
სამოთხედ უქცევს მწირსა, ყრუ ღვიმებს.
ცოტა რამ უნდა თავის დაჭერა,
სიტყვის შეწყვეტა ნაჭერ-ნაჭერა,
მოხერხებულად შეკვრა წარბისა,
თანაც ღიმილი შემპარავისა,
მდაბალთან მაღლად, მაღალთან დაბლად,
ხანდახან რიხით, მოება საბლად,
როს გაგიჭირდეს, ეჩვენო დამბლად,
ხანაც საამო გაშალო ტაბლად.
თვით ააბუქო აუბუქარი,
ხან თუ ალერსი, ხანაც მუქარი
მრავალ სახისა, ორგულის მქონი,
თუნდ არც შეგწევდეს ძალა და ქონი,—
პატარა კაცი კაცათ ითქმები
და განცხრომაში მაინც ინთქები!

რა კაცი იყო როლაბი განა?
თავში გაგაცან, შევწირე ხანა,
მაგრამ მე იმას კვლავ ვუბრუნდები.
კალამო, შენ ნუ დამიდუნდები!
ერთი მთლიანის აქ ვსთქვი ნაჭერი!
კიდევ ბევრი მაქვს ლექსად საწერი.
ქართულო ენავ, მე ღრმად ვით მები?
შენ მომეც მგოსანს ამო რითმები,
რომ მით მსმენელიც წავახალისო
და მკითხველს ვამცნო ელბერდ, ალისო!

22

როლაბზე სიტყვა კვლავ ორიოდე,
რომ სხვა რკალზედაც გადავდიოდე.
მასში სიკეთეს მყუდროდ ეძინა.
მას სიბოროტე ვით შეეძინა?
საბაბი ვითომც იქნებ მცირეა,
მაგრამ შურის და ბრაზის დირეა.
მიზეზი ნახე სიგრძით-სიგრძემდე,
მეტ დაკვირვებას ამით იძენდე.
არ ვარჯა დგომა, არც აჩქარება,
გმართებს სიფრთხილის მუდამ ხმარება.
წრე გადასულის გზაში ცოფია...
გაკმაროთ ჩემი ფილოსოფია,
თორემ ხართ ჩემზე უეშმაკესი,
ყველამ თავისი იცის ანკესი.
ვისაც რა როგორ სად მოუხდება,
სიტყვა თუ საქმე ისე უხდება.
მე დარიგება თუნდაც ვსთქვა ეხლა,
დროების გვარად გამოვა შეხლა.
გარდასულ აზრზე მესვრიან ტორებს.
ვურჩევ ავტორებს ერიდნენ ჯორებს.
შერცხვენა ვის რათ გამოადგება?
კედელზე ცერცვი როგორ დადგება?

23

როლაბს შობიდან ჰქონდა ზიანი.
იყო მახინჯი და კუზიანი.
მთელი სასახლე უმზერდა ცერად.
მას დასცინოდენ სხვა და სხვა ფერად.
გულცივი იყო მისთვის მშობელი.
სამასხარაო ცხადად, ფარულად,

უსიყვარულოდ ზრდილი შხამურად.
წამოიზარდა, კვლავ ივაგლახა.
სატრფომ უარყო, სიტკბო ვერ ნახა.
ვით დაგმობილი და მონასხლეტი
ჰგრძნობდა ამ სოფლად იყო ის მეტი.
და გულში ჯავრი უდუღდებოდა.
მოუსვენარი აღარ დგებოდა.
წყენა არასდროს ავიწყდებოდა.
შურისძიებად იბორგებოდა.
იყო ნაცადი შეკრული წარბით.
ამღვრეულ გრძნობით და გულით ხარბით.
თავი და ბოლო მოდგმა-ჯიშია,
გადმონერგილი დაღად ნიშია.
იგი მახინჯი რაღა იქნება,
თუ ხელოვნურად ზნე შეიქმნება?
როლაბი გულში ყველაფერს გმობდა,
არას იტყოდა, დუმილში ჰფლობდა.
ფიქრობდა: დრო მაქვს, დრო დამედგინოს...
თან აძალებდა თავის თავს ღვინოს,
რომ ზოგჯერ დარდი გაჰქარვებოდა,
თავდავიწყებას მოჰფარებოდა.

24

უთქვამთ: სჯობია მოკლე, მკაფიო,
მხოლოდ ლოღიკის იყოს ძაფიო.
ამ რჩევის რღვევა მე რად მდებია?
როს შოთას აღთქმაც გულში მგზნებია!
სჯობს, ვსთქვა, დავცოხნო ველურ ფურივით.
რისთვის ვაგრძელებ ჭიანურივით?!
მგოსანი ნებით თვის თავს ამონებს,
არ კი მორჩილობს სხვების კანონებს!
სულმოკლე არის ეხლა მკითხველი.

მოსწონს ფშუტი და ფშუტად მთითხვნელი.
რომ დაფიქრება არ სჭირდებოდეს,
წამით შობილი წამით სტკბებოდეს.
ესრეთ გემოსი არ ვარ სადარი:
ბოლო ჩემ ლექსთა ჯერედ სად არი?
ეს ჩანგი ჩემი უნდა გამოდგეს.
ხმაზე მრავალი გმირი წამოდგეს!
ოცნებაში რომ მესახებიან
და ჩემის სულის ტახტზე სხდებიან?

(შემდეგი იქნება).



მრ. როზაქიძე.

ს ა ლ ო მ ე.

თარგმანი. დრამა ოსკარ უაილდისა.

მოქმედნი პირნი:

ჰეროდე ანტიპა—ტეტრარქი იუდეასი.

იოქანაან—წინასწარმეტყველი.

ახალგაზდა სირიელი—მცველთა უფროსი.

ტიგელლინ—ახალგაზდა რომაელი.

კაპპადოკიელი.

ნუბიელი.

პირველი მეომარი.

მეორე მეომარი.

ჰეროდიას პაჟი.

იუდეველნი, ნაზარეველნი და სხ.

მონა.

ნაამან—ჯალათი.

ჰეროდია—ცოლი ტეტრარქისა.

სალომე—ქალიშვილი ჰეროდიასი.

ქალნი—მონანი სალომესი.

დიდი ტერასა ჰეროდეს სასახლეში საზეიმო ზალასთან მიჯრილი. რამოდენიმე მეომარი დგას მოაჯირზე დაყრდობით. პირისპირ: დიდი კიბე. მარცხნით შუაგულში ძველი ჯა მწვანე ბრინჯაოს გალავანით. მთვარის სინათლე.

ახალგაზდა სირიელი. ჰოი! რა ლამაზია დღეს საღამოს მეფის ასული სალომე!

ჰეროდიას პაჟი. შეხედეთ მთვარეს. მთვარეს უცნაური სახე, მეტათ უცნაური სახე აქვს. იგი თითქო ქალია საფლავიდან რომ ამოდის. იგი გავს კვდარ ქალს. შესაძლოა იფიქრო: იგი ეძებს კვდარებს.

ახალგაზდა სირიელი. მას მეტად უცნაური სახე აქვს. იგი გავს მეფის ასულს პატარას, ყვითელი სახურით, რომელსაც ვეცხლის ფეხები აქვს. იგი გავს მეფის ასულს, რომელსაც ფეხები ისეთი აქვს, როგორც პატარა მოთეთრო მტრედუნებს... შესაძლოა იფიქრო: იგი ცეკვავს.

ჰეროდიას პაჟი. იგი: როგორც კვდარი ქალი. იგი ძალიან ნელა მოძრაობს. (ხმაური სასეიმო ზალაში).

პირველი მეომარი. რა ხმაურია! რომელი მხეცები ღმუიან!

მეორე მეომარი. იუდეველნი. ისინი ყოველთვის ასე: ისინი დავობენ თავის რწმენისათვის.

პირველი მეომარი. რისათვის დავობენ ისინი თავის რწმენისათვის?

მეორე მეომარი. მე არ ვიცი. ისინი ყოველთვის დავობენ... ფარისეველნი მაგალითად ამტკიცებენ, რომ არსებობენ ანგელოსნი, სადდუკეველნი კი ამბობენ, რომ ანგელოსნი არ არსებობენ.

პირველი მეომარი. მე მგონია სასაცილოა დავა ასეთ რამეებზე.

ახალგაზდა სირიელი. ჰოი! რა ლამაზია დღეს საღამოს მეფის ასული სალომე!

ჰეროდიას პაჟი. თქვენ მუდამ უცქერით მას. თქვენ ძალზე მეტათ უცქერით მას. არ უნდა უცქირო ასე ადამიანს... შესაძლოა მოხდეს უბედურება.

ახალგაზდა სირიელი. იგი ძალიან ლამაზია დღეს საღამოს.

პირველი მეომარი. ტეტრარქს ბნელი სახე აქვს.

მეორე მეომარი. დიახ: მას ბნელი სახე აქვს.

პირველი მეომარი. ის რაღაცას უცქერის.

მეორე მეომარი. იგი ვიღაცას უცქერის.

პირველი მეომარი. ვის უცქერის იგი?

მეორე მეომარი. მე არ ვიცი.

ახალგაზდა სირიელი. რა მკრთალია მეფის ასული! მე არაოდეს არ მინახავს იგი ასეთი მკრთალი. იგი გავს თეთრი ვარდის სახულს სარკეში ვეცხლისა.

ჰეროდიას პაჟი. არ უნდა უცქირო მას. თქვენ ძალზე მეტად უცქერით მას.

პირველი მეომარი. ჰეროდიამ ღვინო დაუსხა ტეტრარქს.

კაპპადოკიელი. ეს—დედოფალი ჰეროდია არის, აი ის, რომელსაც თავზე შავი მიტრა აქვს მარგალიტებით მობნეული და რომლის თმები ცისფერ მოპუდრულნია?

პირველი მეომარი. დიახ: იგი ჰეროდიაა. იგი ცოლია ტეტრარქისა.

მეორე მეომარი. ტეტრარქს ძალიან უყვარს ღვინო. მას სამნაირი ღვინო აქვს. ერთი—სამოთრაკიის კუნძულიდან, მეწამული, როგორც მოლი კეისარის.

კაპპადოკიელი. მე არაოდეს არ მინახავს კეისარი.

მეორე მეომარი. მეორე—კიპრის ქალაქიდან: იგი ყვითელია, როგორც ოქრო.

კაპპადოკიელი. მე ძალიან მიყვარს ოქრო.

მეორე მეომარი. მესამე კი—სიცილიისა. ეს ღვინო წითელია, როგორც სისხლი.

ნუბიელი. ჩემი მხარის ღმერთებს სისხლი ძალიან უყვართ. წელში ორჯელ ჩვენ მათთან მიგვყავს მსხვერპლათ ყმაწვილები და ქალწულები: ორმოცდა-ათი ყმაწვილი და ასი ქალწული. მაგრამ, საგონებელია, ჩვენ არაოდეს არ ვაძლევთ მათ საკმაოთ, რადგან ისინი ძალიან სასტიკნი არიან ჩვენდა მომართ.

კაპპადოკიელი. ჩემს მხარეში ახლა ღმერთები აღარ არიან,—ისინი გაყარეს რომაელებმა. ზოგიერთნი ამბობენ: ისინი დაიმალენ მთებში,—მაგრამ მე ამას არ ვუჯერი. მე სამი ღამე დავყავი მთებში და ვეძებდი მათ ყოველგან. მე ისინი ვერ ვნახე. ბოლოს: მე უხმობდი მათ სახელებით, მაგრამ ისინი არ გამოჩდენ. მე ვფიქრობ: ისინი მოკვდენ.

პირველი მეომარი. იუდეველნი თაყვანსა სცემენ ღმერთსა, რომელის ხილვა შეუძლოა.

კაპპადოკიელი. მე არ შემიძლია გავიგო.

პირველი მეომარი. საერთოდ: მათ სწამთ მხოლოთ ის, რისი ხილვაც შეუძლებელია.

კაპპადოკიელი. მე ეს სასაცილოთ მეჩვენება სწორეთ.

ხმა იოქანაანის. ჩემს შემდეგ მოვა სხვა, ჩემზე უფრო ძლევამოსილი. მე არა ვარ იმის ღირსიც კი, რომ თასმები გადაუხსნა მის ქალამნებს. როცა მოვა იგი, ილხინებს უდაბნო: ის აყვავილდება, როგორც შროშანა. თვალნი ბრმათა იხილავენ დღესა და გაიხსნებიან ყურნი ყრუთა... ახლად შობილი ხელს დაადებს ბუნაგს ვეშაპებისას და ფაფარებით წაიყვანს ლომებს.

მეორე მეომარი. დააჩუმეთ იგი. ის ყოველთვის სისულელეს ბოშავს.

პირველი მეომარი. არა: იგი წმინდა კაცია. გარდა ამისა, იგი მშვიდია ფრიად. და ყოველდღე მიმაქვს მე მასთან საჭმელი. იგი ყოველთვის მადლობას მიხდის.

კაპპადოკიელი. ვინ არის იგი?

პირველი მეომარი. იგი წინასწარმეტყველია.

კაპპადოკიელი. რა ჰქვია მას?

პირველი მეომარი. იოქანაან.

კაპპადოკიელი. საიდან არის იგი?

პირველი მეომარი. უდაბნოისაგან, საცა იგი იკვებებოდა კალიებითა და ველური თაფლით. მას ტანზე ჰქონდა საცმელი აქლემის მატყლისაგან და წელზე ტყავის სარტყელი. იგი ველურად გამოიხედებოდა. დიდი ბრბო მიჰყვებოდა მას. მას მოსწავლენიც კი ჰყავდა.

კაპპადოკიელი. რაზე ლაპარაკობს იგი?

პირველი მეოიმარი. ჩვენ არ ვიცით არაოდეს. ხანდახან იგი საშინელს რამეს ლაპარაკობს, მაგრამ შეუძლებელია მისი გაგება.

კაპპადოკიელი. შესაძლოა მისი ნახვა?

პირველი მეომარი. არა. ტეტრარქი არ იძლევა ნებას.

ახალგაზდა სირიელი. მეფის ასულმა სახე თავისი მარაოთი დაფარა! მისი პატარა ხელები მოძრაობენ, როგორც მტრედუნები, რომლებიც თავის სამტრედეში მიფრინავენ. ისინი გვანან თეთრ პეპელებს: ისინი სრულიად თეთრი პეპელებია.

ჰეროდიას პაჟი. მაგრამ თქვენ რა გინდათ? რა საჭიროა მისი ცქერა? არ უნდა უცქირო მას... შესაძლოა მოხდეს უბედურება.

კაპპადოკიელი (უჩვენებს ჯს). რა უცნაური საპატიმროა!

მეორე მეომარი. ეს ძველი ჭაა.

კაპპადოკიელი. ძველი ჭა! ეს უთუოდ ძალიან მავნე უნდა იყოს.

მეორე მეომარი. არა. აი მაგალითად ტეტრარქის ძმა, მისი უფროსი

ძმა, პირველი ქმარი დედოფალი ჰეროდიასი; დამწყვდეული იყო იქ მთელი თორმეტი წელი. და ის არ მომკვდარა ამით. ბოლოს მოხდა ისე, რომ იგი გაგუდეს.

კაპპადოკიელი. გაგუდეს იგი? ვინ გაბედა ამის ჩადენა?

მეორე მეომარი (უჩვენებს ჯალათს, დიდს ზანგს). აი მან, ნაამანმა.

კაპპადოკიელი. და ამას არ ეშინოდა?

მეორე მეომარი. არა. ტეტრარქმა გაუგზავნა მას ბეჭედი.

კაპპადოკიელი. რა ბეჭედი?

მეორე მეომარი. ბეჭედი სიკვდილის. მისთვის არ ეშინოდა მას.

კაპპადოკიელი. მაინც საშინელია მეფის გაგუდვა.

პირველი მეომარი. რატომ? მეფეებსაც ისეთივე ყელი აქვთ, როგორც სხვებს.

კაპპადოკიელი. მე მეჩვენება: ეს საშინელია.

ახალგაზდა სირიელი. მეფის ასული დგება! იგი სცილდება სუფრას. მას მეტად მოწყენილი სახე აქვს. აჰ! ის აქ მოდის. დიახ: ის ჩვენთან მოდის. რა მკრთალია იგი! მე არაოდეს არ მინახავს იგი ასეთი მკრთალი.

ჰეროდიას პაჟი. ნუ უმზერთ მას. მე გთხოვთ თქვენ: ნუ უმზერთ მას.

ახალგაზდა სირიელი. იგი თითქო მტრედუნაა, რომელიც დაიბნა... იგი თითქო ნარგისია ქარით რხეული. იგი გავს ვეცხლეულ ყვავილს.

(შემოდის სალომე).

სალომე. მე იქ არ დავრჩები. მე არ შემიძლია იქ დარჩენა. რათ მიცქერის ტეტრარქი სულ თავის მუდოს თვალებით აფრიალებულ ქუთუთოებიდან?... უცნაურია, რომ დედი ჩემის ქმარი ასე მიცქერის... მე არ ვიცი, რას უნდა ნიშნავდეს ეს... მაგრამ... მე ვიცი ეს...

ახალგაზდა სირიელი. თქვენ მიატოვეთ ლხინი, მეფის ასულო?

სალომე. რა გრილი ჰაერია აქ! აქ შესაძლოა სუნთქვა. იქ შიგნით იუდეველნია იერუსალიმიდან, რომელნიც ერთიმეორეს ჰგლეჯენ თავის სულელურ წესებისათვის, და ბარბაროსნი, რომელნიც სულ სვამენ და ღვინოს ღვრიან იატაკის ფიქალებზე, და ჰელლენები სმირნიდგან, შეფერილი თვალებით და ლოყებით და რგოლებათ დახვეული თმებით, და ეგვიპტელნი, მდუმარენი და ცბიერნი, ნეფრიტის ფჩხილებით და ყავისფერი მოლებით, და რომაელნი, მათი სიტლანქით, სიმძიმით და გინებით! ოჰ როგორ მძულს მე რომაელნი! ისინი უბრალონი არიან და თავი დიდ ბატონებათ მოაქვთ.

ახალგაზდა სირიელი. გნებავთ დასჯდეთ, მეფის ასულო?

ჰეროდიას პაჟი. რათ უნდა ელაპარაკო მას? რათ უნდა უმზირო მას?.. ჰო, მოხდება უბედურება.

სალომე. რა საამურია მთვარის ხილვა. იგი გავს პატარა მონეტას. შესაძლოა იფიქრო: ის სულ პატარა ვეცხლეული ყვავილია. იგი ცივია და უმანკო, მთვარე... მე მჯერა, რომ იგი ქალწულია: მისი სილამაზე ქალწულისაა. დიახ: ის ქალწულია. მას არაოდეს არ შეურყვნია თავი. იგი არაოდეს არ დანებებია ვაჟებს, როგორც სხვანი ღმერთ-ქალნი.

ხმა იოქანაანის. იგი მოვიდა, უფალი! იგი მოვიდა, ძე კაცისა. კენტავრები მდინარეებში მიიმალენ, სირენებმა მდინარენი მიატოვეს და იფარებიან ფოთლებთა შორის ტყეებში.

სალომე. ვინ წამოიყვირა ეს?

მეორე მეომარი. ეს წინასწარმეტყველია, მეფის ასულო.

სალომე. ა! წინასწარმეტყველი, რომლისაც ტეტრარქს ეშინია?

მეორე მეომარი. ჩვენ არა ვიცით რა ამის, მეფის ასულო. იგი წინასწარმეტყველია იოქანაან.

ახალგაზდა სირიელი. გნებავთ, მეფის ასულო, ვუბძანო, რომ მოგართვან თქვენი მუაბა? ბალში სასიამოვნოა.

სალომე. ის ლაპარაკობს ჩემს დედაზე საშინელს, არა?

მეორე მეომარი. ჩვენ არასდროს არ გვესმის, რასაც იგი ლაპარაკობს, მეფის ასულო.

სალომე. დიახ: იგი მასზე საშინელს ლაპარაკობს.

მონა. მეფის ასულო, ტეტრარქი გთხოვთ დაუბრუნდეთ ლხინს.

სალომე. მე იქ არ დავბრუნდები.

ახალგაზდა სირიელი. მაპატიეთ, მეფის ასულო,—მაგრამ თქვენ თუ არ დაბრუნდით, შესაძლოა მოხდეს უბედურება.

სალომე. იგი მოხუცია, ის წინასწარმეტყველი?

ახალგაზდა სირიელი. არა, მეფის ასულო, იგი სრულიად ყმაწვილია.

მეორე მეომარი. არავინ იცის. ზოგიერთნი ამბობენ, რომ იგი ილიაა.

სალომე. ვინ არის ილია?

მეორე მეომარი. უძველესი წინასწარმეტყველი ამ მხარისა, მეფის ასულო.

მონა. რა პასუხი გადავსცე ტეტრარქს მეფის ასულის სახელით.

ხმა იოქანაანის. ნუ გაიხარებ, მიწაო პალესტინისავ, რომ შოლტი მისა, ვინცა გშოლტავდა, გადამტვრეულია. რამეთუ გველის გვარისაგან ამოვალს ვასილისკი, და ის, რაიც მისგან იშვების, გადაყლაპავს ფრინველებს.

სალომე. რა უცნაური ხმაა! მე მოვისურვებდი მასთან ლაპარაკს.

პირველი მეომარი. მე მეშინია, რომ ეს შეუძლებელია, მეფის ასულო. ტეტრარქს არ უნდა, რომ მას ელაპარაკონ. მან მღვდელმთავარსაც კი აუკრძალა მასთან ლაპარაკი.

სალომე. მე მინდა მასთან ლაპარაკი.

პირველი მეომარი. ეს შეუძლებელია, მეფის ასულო.

სალომე. მე მინდა.

ახალგაზდა სირიელი. მართლაც, მეფის ასულო, უმჯობესია ლხინში დაბრუნება.

სალომე. გამოიყვანეთ წინასწარმეტყველი.

პირველი მეომარი. ჩვენ ვერ გავბედავთ, მეფის ასულო.

სალომე (უახლოვდება ჭას და შიგ ჩაიცქერდება). როგორ ბნელია იქ. უთუოდ საშინელი უნდა იყოს ჯდომა ასეთს ბნელს ჯურღმულში. ეს საფლავს ჰგავს (შეომრებს). თქვენ არ გსმენიათ? გამოიყვანეთ იგი! მე მინდა ვიხილო იგი.

მეორე მეომარი. მე გთხოვთ თქვენ, მეფის ასულო, ნუ მოითხოვთ ამას ჩვენგან.

სალომე. თქვენ მაიძულებთ მე ლოდინს.

პირველი მეომარი. მეფის ასულო, ჩვენი სიცოცხლენი თქვენ გეკუთვნიან, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ავასრულოთ ის, რასაც თქვენ ჩვენგან მოითხოვთ... და ესეც: არა ჩვენ უნდა მოგვმართოთ თქვენ.

სალომე (უცქერს ახალგაზდა სირიელს). ა!

ჰეროდიას პაჟი. ო! რა მოხდება ახლა? დარწმუნებული ვარ, რომ უბედურება მოხდება.

სალომე (უახლოვდება ახალგაზდა სირიელს). თქვენ იზამთ ამას ჩემთვის, ნარრაბოთ? თქვენ იზამთ ამას ჩემთვის. მე ყოველთვის კეთილი ვიყავი თქვენთვის. თქვენ მართლა იზამთ ხომ ამას ჩემთვის? მე მინდა მხოლოდ შევხედო ამ უცნაურ წინასწარმეტყველს. მასზე ამდენს ლაპარაკობდენ. მე ასე ძალიან ხშირად მსმენია, როგორ ლაპარაკობდა მასზე ტეტრარქი. მე ვფიქრობ, რომ მისი ეშინია მას, ტეტრარქს. მე მჯერა, რომ მას ეშინია მისი... შეიძლება თქვენც, ნარრაბოთ, შეიძლება თქვენც გეშინიათ მისი?

ახალგაზდა სირიელი. მე არ მეშინია მისი, მეფის ასულო. მე არავის არ მეშინია. მაგრამ ტეტრარქმა სასტიკათ აკრძალა ამ ჭის თავის გადახდა.

სალომე. ჩემთვის იზამთ ამას, ნარრაბოთ, და ხვალ, როცა მე მუაბით გამატარებენ ალაყაფის კარებში, საცა კერპების მოვაჭრენი არიან, მე დავაგ-

დებ თქვენთვის პატარა ყვავილს, პატარა მწვანე ყვავილს.

ახალგაზდა სირიელი. მეფის ასულო, მე არ შემიძლია, არ შემიძლია.

სალომე (იდიმუბა). თქვენ ამას ჩემთვის იზამთ, ნარრაბოთ. თქვენ ხომ იცით, რომ ჩემთვის იზამთ ამას და ხვალ, როცა მე მუაბით ხიდზე გამატარებენ, საცა მყიდველები არიან კერპებისა, მე გადმოგხედავთ თქვენ თხელი ქსოვილის სახურიდან, მე შემოგხედავთ თქვენ, ნარრაბოთ, მე, შესაძლოა, კიდეც გაგიღიმოთ თქვენ. შემომხედეთ, ნარრაბოთ, შემხედეთ მე! ა! თქვენ კარგათ იცით, რომ თქვენ იზამთ მას, რასაც მე გთხოვთ თქვენ. თქვენ ეს კარგად იცით ხომ,—არა? მე, მე ეს კარგათ ვიცი.

ახალგაზდა სირიელი (ნიშანს აძლევს მესამე მეომარს). გამოიყვანეთ წინასწარმეტყველი!.. მეფის ასულს უნდა იმის ნახვა..

სალომე. ა!

ჰეროდიას პაჟი. ო! რა უცნაური სახე აქვს მთვარეს. შესაძლოა იფიქრო: იგი ხელია კვდარის, რომელსაც სურს მოიხუროს სუდარი.

ახალგაზდა სირიელი. ძალიან უცნაური სახე აქვს მას. შესაძლოა იფიქრო: იგი პატარა მეფის ასულია თვალებით ქარვისაგან. ღრუბელთა თხელ მარმაშიდან იგი იღიმება, როგორც პატარა მეფის ასული.

(წინასწარმეტყველი ამოდის ჯიდგან. სალომე შეხედავს მას და უკან დაიხევს).

იოქანაან. სად არის იგი, ბილწის თასი რომელისა უკვე ავსებულია? სად არის იგი, რომელიც ერთხელ ვეცხლის ტანსაცმელში მოკვდება მთელი ხალხის წინაშე. უთხარით მას, რომ მოვიდეს იგი, რათა მას შეეძლოს ისმინოს ხმა მისი, ვინცა უხმობდა მეფეთა უდაბნოებში და სასახლეებში.

სალომე. ვიზე ლაპარაკობს იგი?

ახალგაზდა სირიელი. არავინ არ იცის არაოდეს, მეფის ასულო.

იოქანაან. სად არის იგი, რომელმაც, რა იხილა ვაჟები, კედელზე ახატულები, ქალდეველთა სახენი, ფერებით ასახულნი, თავი მისცა თვალთა სურვას და ელჩები გაგზავნა ქალდეაში.

სალომე. ამას იგი ჩემს დედაზე ლაპარაკობს!

ახალგაზდა სირიელი. ო, არა, მეფის ასულო,

სალომე. დიახ: ამას ჩემს დედაზე ლაპარაკობს.

იოქანაან. სად არის იგი, ვინც სავნებოდ ნებდებოდა ასსურელთა სარდალებს, რომელთა წელზე სარტყელი აქვთ და თავზე მრავალფეროვანი ხოირი? სად არის იგი, ვინც სავნებოდ ნებდებოდა ეგვიპტის ყმაწვილებს, რომლებიც ჩაცმულნი არიან ტილოში და მეწამულში, რომელნიც ატარებენ

ლახტებსა და ვეცხლის ჩაფხუტებს და რომელნიც დიდნი არიან ტანითა? უთხარით მას, რომ წამოდგეს იგი სარეცელიდგან თავის ურცხვობისა, რათა მას შეეძლოს ისმინოს სიტყვა მისი, ვინც უმზადებს გზას უფალსა, რათა მას შეეძლოს მოინანოს ცოდვანი თვისნი. და თუ იგი არაოდეს არ მოინანებს და განაგრძობს ყოფას თავის სიბილწეში, უთხარით მას, რომ მოვიდეს იგი, ვინაიდან უფალს შოლტი უკვე ხელში უჭირავს.

სალომე. მაგრამ ის საშინელია, იგი საშინელია!

ახალგაზდა სირიელი. ნუღა დარჩებით აქ, მეფის ასულო, გთხოვთ თქვენ.

სალომე. ყველაზე საშინელი—ეს თვალებია. შესაძლოა იფიქრო: ეს შავი თხრილნია, ტიროსის ხალიჩაზე ჟინჟღილით ამომწვარნი. შესაძლოა იფიქრო: ეს შავი ქვაბულებია, საცა ვეშაპები ნახულობენ შესაფარს. შესაძლოა იფიქრო: ეს შავი ტბებია, ლანდური მთვარეებით აღელვებულნი... ფიქრობთ თქვენ, რომ იგი კიდევ ილაპარაკებს?

ახალგაზდა სირიელი. ნუღა დარჩებით აქ, მეფის ასულო! გთხოვთ თქვენ, ნუ დარჩებით აქ!

სალომე. და რა გამხმარია იგი. იგი გავს წვრილ გამოსხმულს სპილოს ძვალისაგან. შესაძლოა იფიქრო: ეს გამოსხმულია ვეცხლისაგან. მე მჯერა, რომ იგი ისეთივე უმანკოა, როგორც მთვარე. იგი გავს ვეცხლეულ შუქს. მისი ტანი უთუოდ ცივი უნდა იყოს, როგორც სპილოს ძვალი... მე უნდა მას ახლო შევხედო.

ახალგაზდა სირიელი. არა, არა, მეფის ასულო.

სალომე. მე უნდა ახლო ვიხილო იგი.

ახალგაზდა სირიელი. მეფის ასულო, მეფის ასულო!

იოქანაან. ვინ არის ეს ქალი, რომელიც მიმზერს მე? მე არ მინდა, რომ მან მიმზიროს. რათ მიცქერს იგი თავის ოქროული თვალებით მოოქრული ქუთუთოებისაგან? მე არ ვიცი, ვინ არის იგი. მე არ მინდა ეს ვიცოდე. უთხარით მას: წავიდეს იგი. არა—მასთან მინდოდა მე ლაპარაკი.

სალომე. მე სალომე ვარ, ქალიშვილი ჰეროდიასი, მეფის ასული იუდეისა.

იოქანაან. შორს! ასულო ბაბილონისავ! ნუ უახლოვდებით უფალის რჩეულს. დედა შენმა აავსო მიწა თავის მრუშობათა ღვინოთი და მისი ცოდვების ძახილი მისწვდა უფალის ყურებს.

სალომე. ილაპარაკე კიდევ, იოქანაან. შენი ხმა მათრობს მე.

ახალგაზდა სირიელი. მეფის ასულო! მეფის ასულო! მეფის ასულო!

სალომე. ო, ილაპარაკე კიდევ! ილაპარაკე კიდევ, იოქანაან, და მითხარი მე, რა უნდა ვქნა მე.

იოქანაან. ნუ მიახლოვდებით მე, სოდომის ასულო, ხოლო დაიფარეთ სახურით პირი თქვენი, ფერფლი დაიყარეთ თავსა თქვენსა და წადით უდაბნოში საძებნელათ ძისა კაცისასა.

სალომე. ვინ არის ეს, ძე კაცისა? იგი ასევე მშვენიერია, როგორც შენ, იოქანაან?

იოქანაან. შორს! შორს! მე მესმის სასახლეში ფრთქიალი სიკვდილის ანგელოსის ფრთებისა.

ახალგაზდა სირიელი. მეფის ასულო, გევედრებით: დაბრუნდით!

იოქანაან. ანგელოსო უფალისა ღვთისაო, რას აკეთებ შენ აქ ხმალითა შენითა? ვის ეძიებ შენ ამ უწმიდურ სასახლეში?.. დღე იმისა, ვინც უნდა მოკვდეს ვეცხლის ტანსაცმელში, ჯერ კიდევ არ დამდგარა.

სალომე. იოქანაან!

იოქანაან. ვინ ლაპარაკობს?

სალომე. იოქანაან! მე შეყვარებული შენს ტანზე. შენი ტანი თეთრია, ვით შროშანა მდელოსი, რომელიც მთიბავს არაოდეს გაუთიბავს. შენი ტანი თეთრია, ვით თოვლი, რომელიც მთებზე ძევს, ვით თოვლი, რომელიც იუდეას მთებზე ძევს და ჭალებში არ ჩამოშვებულა. ვარდები არაბეთის დედოფლისა ისე თეთრი არ არიან, როგორც შენი ტანი. არც ყვავილნი არაბეთის დედოფლისა, არცა ტერფები დილის რიჟრაჟის, ფოთლებზე რო გადარბიან, არცა წიაღი მთვარისა, როცა იგი ისვენებს ზღვის წიაღში... არა არის ქვეყანაზე არაფერი, რაიც ისე თეთრი იყოს, როგორც შენი ტანი... მომეც — შევეხო შენს ტანსა.

იოქანაან. შორს, ასულო ბაბილონისავ! ქალით შევიდა მსოფლიოში ბოროტება. ნუ ლაპარაკობთ ჩემთან. მე არ მინდა გისმინო შენ. მე ვუსმენ მხოლოთ სიტყვებს უფლისა ღვთისა.

სალომე. ტანი შენი საზიზღარია. იგი: როგორც კეთროვანის ხეული. იგი: როგორც გათეთრილი კედელი, რომელზედაც გაცოცდენ ხვლიკები, როგორც გათეთრილი კედელი, რომელზედაც ბუდე ააგეს მორიელებმა. იგი: როგორც გათეთრილი სავანე, გავსებული შემზარავი ნავთებით. იგი საშინელია, იგი საშინელია, შენი ტანი!.. მე შენს თმებში ვარ შეფარებული, იოქანაან. შენი თმები გვანან ყურძენის მტევნებს, მტევნებს შავი ყურძენისას, რომლებიც ჩამოკიდებულან ედემის ლერწებიდან მხარეში ედომიტელთა. შენი

თმები: როგორც კედრები ლიბანისა, როგორც დიდრონი კედრები ლიბანისა, რომლებიც ჩეროს აჩუქებენ ხოლმე ლომებსა და ყაჩაღებს, რომელთაც სურთ დღისით მიმალვა. გძელნი შავნი ღამენი, ღამენი, როცა მთვარე არ ჩნდება, როცა ვარსკვლავებს ეშინიათ,—ასე შავნი არ არიან. დუმილი, რომელიც მეფობს ტყეებში,—ასე შავი არ არის. არა არის ქვეყანაზე არაფერი, რაიც ისე შავი იყოს, როგორც შენი თმები... მომეც—შევეხო მე შენსა თმებსა.

იოქანაან. შორს ასულო სოდომისავ! არ შემეხოთ მე! არ შეიძლება შერყვნათ ტაძარი უფლისა ღვთისა.

სალომე. შენი თმანი საშინელნია. ისინი დაფარულნია ტალახითა და მტვერით. ისინი: თითქო ეკლის გვირგვინი, შენს შუბლზე ჩამოცმული. ისინი: თითქო მურგვი შავი გველების, დაკლაკნულების გარშემო შენი ყელისა. მე არ მიყვარს შენი თმები... მე შენ ბაგეზე ვარ შეყვარებული, იოქანაან. შენი ბაგე: როგორც მეწამული აშურმა კოშკზე სპილოს ძვალისა. იგი: როგორც ბროწეული, სპილოს ძვალის დანით გაჭრილი. ყვავილები ბროწეულისა, რაიც ყვავან ტიროსის ბაღებში და რაიც უფრო წითელი არიან ვიდრე ვარდები,—ასე წითელი არ არიან. წითელნი ყვირილნი საყვირთა, რაიცა აცნობდენ მეფეთა მოსვლას და შიშის ზარსა სცემენ მტერთა,—ასე წითელი არ არიან. შენი ბაგე უფრო წითელია, ვიდრე იმათი ფეხები, ვინცა ყურძენს სწურავს საწნახელებში. იგი უფრო წითელია, ვიდრე ფეხნი მტრედებისა, რომლებიც ტაძრებში ცხოვრობენ და რომლებსაც კვებავენ ქურუმები. იგი უფრო წითელია, ვიდრე ფეხები იმისა, ვინცა ბრუნდება ტყეებიდან, საცა მან ლომი მოკლა და იხილა ოქროსფერი ვეფხები. შენი ბაგე: როგორც ტოტი მარჯანისა, რაიცა მეთევზეებს ზღვის ბნელეთში უნახავთ და გადუნახავთ მეფეთათვის!.. იგი: როგორც სინგური, რასაც მოავიტელები მოავიის მაღაროებში ჰპოულობენ და რომელსაც მეფენი ართმევენ მათ. იგი: როგორც სპარსეთის მეფის შვილდი, სინგურით მოხატული და მარჯანით ბოლომოჭედილი. არა არის ქვეყანაზე არაფერი, რაიც ისე წითელი იყოს, როგორც შენი ბაგე... მომეც—ვაკოცო შენს ბაგეს.

იოქანაან. არაოდეს! ასულო ბაბილონისავ! ასულო სოდომისავ! არაოდეს!

სალომე. მე ვაკოცებ შენს ბაგეს, იოქანაან! მე გადავკოცნი შენს ბაგეს!

ახალგაზდა სირიელი. მეფის ასულო, მეფის ასულო, შენ, თითქო მირსინის კვირტო, შენ, მტრედუნა მტრედუნებში, ნუ უცქერ ამ კაცს, ნუ უმზერ მას! ნუ ეუბნები მას ასეთ რამეებს. მე არ შემიძლია მათი ატანა... მეფის ასულო, მეფის ასულო, ნუ ეუბნები ასეთ რამეს.

სალომე. მე ვაკოცებ შენს ბაგეს, იოქანაან!

ახალგაზდა სირიელი. ა! (თავს იკლავს და ვარდება სალომესა და იოქანაანს შუა).

ჰერიდიას პაჟი. ახალგაზდა სირიელმა თავი მოიკლა! ახალგაზდა უფროსმა თავი მოიკლა! თავი მოიკლა მან, ვინც იყო ჩემი მეგობარი! მე მას ვაჩუქე პატარა კოლოფი სურნელებითა და საყურეები ვეცხლისა, და ახლა თავი მოიკლა მან! ახ, განა მან არ წარმოსთქვა წინასწარ, რომ უბედურება მოხდებაო?.. მე თვითონ ვიწინასწარმეტყველე ეს, და ეი კიდეც მოხდა იგი. მე ვიცოდი, რომ მთვარე კვდარს დაეძებდა, მაგრამ მე არ ვიცოდი, თუ იგი მას ეძებდა. ახ, რათ არ დავმალე მე იგი მთვარისაგან? მე რომ იგი მიმემალა სადღაც მღვიმეში, იგი ვერ ნახვიდა მას.

პირველი მეომარი. მეფის ასულო! ახალგაზდა უფროსმა ეს არის თავი მოიკლა.

სალომე. მომეც—ვაკოცო შენს ბაგეს, იოქანაან.

იოქანაან. არ გეშინისთ თქვენ, ჰეროდიას ასულო? არ კი გითხარით მე თქვენ, რომ მე ვისმინე სასახლეში ფრთქიალი სიკვდილის ანგელოსის ფრთებისა, და განა არ მოვიდა კიდეც ანგელოსი?

სალომე. მომეც-ვაკოცო შენს ბაგეს.

იოქანაან. შრუშობის ასულო, არის მხოლოთ ერთი ვინმე, რომელსაც შეუძლია გიხსნას შენ. ეს არის ის, რომელზედაც მე შენ გეუბნებოდი. წადით, ეძიეთ იგი. იგი გალილეას ზღვაზეა ნავში და ემუსაიფება თავის მოსწავლეებს. მუხლებზე დაიჩოქეთ ზღვის ნაპირას და მოიხმეთ იგი სახელით. როცა იგი მოვა თქვენთან,—ვინაიდგან იგი მოდის ყველასთან, ვინც კი მას იხმობს,—დაეცით მის ფეხთა წინაშე და თხოვეთ მას თქვენი ცოდვების მიტევება.

სალომე. მომეც—ვაკოცო ბაგეს.

იოქანაან. იყავით წყეული, ასულო დედის-სისხლშემრეველისა, იყავით წყეული.

სალომე. მე ვაკოცებ შენს ბაგეს, იოქანაან.

იოქანაან. მე არ მინდა გიცქირო შენ. მე აღარ შეგხედავ შენ. შენ წყეული ხარ, სალომე, შენ წყეული ხარ (ჯაში ჩაეშვება).

სალომე. მე ვაკოცებ შენს ბაგეს, იოქანაან. მე გადაგიკოცნი შენ ბაგეს.

პირველი მეომარი. იგი ჩემთვის ძმა იყო და უახლოესი ძმაზე. მე ვაჩუქე მას პატარა კოლოფი, რომელშიაც იყო სურნელება და ბეჭედი აგათისა, რომელსაც იგი ყოველთვის ხელზე ატარებდა. საღამოთი ჩვენ ვსეირ-

ნობდით მდინარის პირას და ნუშის ხეების ქვეშ და იგი მიყვებოდა მე თავის სამშობლოზე. იგი ყოველთვის მეტად წყნარა ლაპარაკობდა. მისი ხმა გავდა ფლეიტის ხმას მისას, ვინც უკრავს ფლეიტაზე. მას უყვარდა მდინარეში ცქერა. ხშირათ ვუსაყვედურებდი მე მას ამას.

მეორე მეომარი. თქვენ მართალნი ხართ. უნდა გადავმალოთ ცხედარი. ტეტრარქმა არ უნდა ნახოს იგი.

პირველი მეომარი. ტეტრარქი აქ არ მოვა. იგი არაოდეს არ გამოდის ერდოზე. მას მეტათ ეშინია წინასწარმეტყველისა.

(შემოდიან: ჰეროდე, ჰეროდია და დარბაისელნი).

ჰეროდე. სად არის სალომე? სად არის მეფის ასული? რათ არ დაუბრუნდა იგი ლხინს, როგორც მე ვუბძანე მას? ა! აი ისიც.

ჰეროდია. არ უნდა უცქირო მას. თქვენ ყოველთვის უცქერით მას.

ჰეროდე. მეტათ უცნაური სახე აქვს მთვარეს დღეს. საღამოს. არა, მართლა, ხომ უცნაური სახე აქვს მთვარეს? იგი თითქო ჰისტერიული ქალია, ჰისტერიული ქალი, რომელიც მიდის და დაეძებს ყოველგან საყვარლებს. გარდა ამისა: იგი ტიტველია. იგი მთლად ტიტველია. ღრუბელნი ცდილობენ დაფარონ იგი, მაგრამ შას არ უნდა. იგი დაბარბაცობს ღრუბელთა შორის, როგორც მთვრალი ქალი... მე მჯერა, რომ იგი საყვარლებს დაეძებს.. არა მართლა, ხომ ბარბაცობს იგი, როგორც მთვრალი ქალი? ხომ გავს იგი ჰისტერიულ ქალს,—არა მართლა?

ჰეროდია. არა: მთვარე გავს მთვარეს. აი ყველაფერი. დავბრუნდეთ... აქ არაფერი საქმე გაქვთ თქვენ.

ჰეროდე. მე დავრჩები. მანასე, გაფინეთ იქ ნოხები! აანთეთ ჟინჟღილები. მოიტანეთ სუფრები სპილოს ძვალისა და სკამები იასპისა. აქ ჰაერი საუცხოვოა. მე კიდევ შევსვამ ღვინოს ჩემს სტუმრებთან. კეისარის ელჩებს უნდა გაუწიოთ ყოველი პატივი.

ჰეროდია. არა—მათთვის რჩებით თქვენ.

ჰეროდე. დიახ: ჰაერი საუცხოვოა. მოდი, ჰეროდია, ჩვენი სტუმრები გვიცდიან ჩვენ. ახ! მე წავიფერხე! მე წავიფერხე სისხლში! ეს მეტად ცუდი ნიშანია. რათ არის აქ სისხლი... და ეს ცხედარი? რათ არის აქ ეს ცხედარი? განა ფიქრობთ თქვენ, ვითომ მე ეგვიპტის მეფე ვიყო, რომელიც არც ერთს ლხინს ისე არ გამართავს, რომ ცხედარი არ აჩვენოს თავის სტუმრებს? ვინ არის ეს? მე არ მინდა მას ვხედავდე.

პირველი მეომარი. ეს ჩვენი უფროსია, ხელმწიფეე. ეს ახალგაზრდა

სირიელია, რომელიც თქვენ გახადეთ უფროსად სულ ამ სამი დღის წინათ.

ჰეროდე. მე ბძანება არ გამიცია მისი მოკვლისა.

მეორე მეომარი. მან თვითონ მოიკლა თავი, ხელმწიფევ.

ჰეროდე. რისთვის? მე იგი გავხადე უფროსად.

მეორე მეომარი. ჩვენ არ ვიცით, ხელმწიფევ. მაგრამ მან თავი თვითონ მოიკლა.

ჰეროდე. მე ეს უცნაურად მეჩვენება. მე ვფიქრობდი, რომ მხოლოთ რომაელნი ფილოსოფოსნი იკლავენ თავს. არა, მართლა, ტიგელლინ, რომში ხომ იკლავენ თავს ფილოსოფოსნი?

ტიგელლინ. არიან ისეთნი, რომელნიც თავს იკლავენ, ხელმწიფევ. ესენი ხეპრე ხალხია. ბოლოს, ესენი მეტათ სასაცილო ხალხია. მე ისინი ძალზე სასაცილოთ მეჩვენებიან.

ჰეროდე. მეც. სასაცილოა თავის მოკვლა.

ტიგელლინ. მათ ბევრს დასცინიან რომში. იმპერატორმა მათზე სატირა დასწერა. მას ყველგან იმეორებენ.

ჰეროდე. ა! მან დასწერა მათზე სატირა? კეისარი საოცარია! მას ყველაფერი შეუძლია... უცნაურია, რომ მან თავი მოიკლა, ახალგაზდა სირიელმა. მე მებრალება იგი. დიახ; მე მეტათ მებრალება იგი. რადგან იგი ლამაზი იყო; იგი მეტათ ლამაზიც იყო. მას ჰქონდა ფრიად მიბნედილი თვალები. მე მახსოვს, რომ მე ვნახე იგი მაცქერალი სალომესი მიბნედილი ცქერით და მე კიდეც დავინახე, რომ იგი ძალიან ბევრს უცქეროდა სალომეს.

ჰეროდია: არიან კიდევ სხვებიც, რომლებიც უფრო მეტათ უცქერიან მას.

ჰეროდე. მამა მისი მეფე იყო. მე გავაგდე იგი მისი სამეფოსაგან, დედა მისი, რომელიც იყო დედოფალი, თქვენ გახადეთ მონად, ჰეროდია. ამნაირათ იგი აქ იყო როგორც სტუმარი. და ამისათვის გავხადე იგი უფროსად. მე ვწუხვარ, რომ მოკვდა იგი... მაგრამ რათ დატოვეთ თქვენ აქ ცხედარი? იგი უნდა წაიღოთ აქედგან. მე არ მინდა ვხედავდე მას... წაიღეთ იგი! (ცხედარი მიაქვთ). აქ სიცივეა. აქ ქარია. არა, მართლა, ხომ ქარია აქ?

ჰეროდია. სრულიად არა. აქ ქარი არ არის.

ჰეროდე. არა: აქ ქარია... მე მესმის ჰაერში რაღაც მსგავსი ფრთების ფრთქიალისა, ფრთქიალის გიგანტური ფრთებისა. თქვენ არ გესმით?

ჰეროდია. მე არაფერი მესმის.

ჰეროდე. ახლა მე აღარ მესმის იგი. მაგრამ მე მესმოდა იგი. ეს ქარი

იყო უეჭველათ. ახლა ჩავარდა. მაგრამ არა: მე კვლავ მესმის იგი. თქვენ არ გესმით? ეს სავსებით: როგორც ფრთების ფრთქიალი.

ჰეროდია. მე თქვენ გეუბნებით, რომ არა არის რა. თქვენ ავად ხართ. დავბრუნდეთ.

ჰეროდე. მე არა ვარ ავად. ეს თქვენი ქალიშვილია ავად. მას მეტათ ავადური სახე აქვს, თქვენ ქალიშვილს. მე არას დროს არ მინახავს იგი ასეთი მკრთალი.

ჰეროდია. მე თქვენ გეუბნებოდით, ნუ უცქერით მას—თქო.

ჰეროდე. დაასხით ღვინო (მოაქვთ). სალომე, მომიახლოვდით და შესვით ჩემთან ცოტა ღვინო. მე აქ საუცხოვო ღვინო მაქვს. თვითონ კეისარმა გამომიგზავნა იგი. დაასოვლეთ მასში თქვენი პატარა წითელი ტუჩები და მერე მე დავსცლი თასს.

სალომე. მე არ მინდა სმა, ტეტრარქ.

ჰეროდე. თქვენ გესმით, როგორ მიპასუხებს იგი მე, თქვენი ქალიშვილი!

ჰეროდია. ჩემი ფიქრით ის სრულიად მართალია. რად უცქერით სულ მას?

ჰეროდე. მოიტანეთ ხილი (ხილი მოაქვთ). სალომე, მოდით და შეჭამეთ ჩემთან ხილი. მე ძალიან მიყვარს ნახვა ხილზე თქვენი პატარა კბილების კვალების. მოკბიჩეთ ამ ხილს სულ პაწა ნაწილი—და მერე მე შევჭამ მას, რაც დარჩება.

სალომე. მე არ მინდა ჭამა, ტეტრარქ.

ჰეროდე. აი როგორ გაზარდეთ იგი თქვენ, თქვენი ქალიშვილი.

ჰეროდია. ჩემი ქალიშვილი და მე მეფის გვარისაგან წარმოვსდგებით. რაც შეგეხება შენ, ბაბუა შენი აქლემებს წყესდა. გარდა ამისა; იგი ყაჩაღი იყო.

ჰეროდე. შენ ცრუობ.

ჰეროდია. შენ კარგათ იცი, რომ ეს სიმართლეა.

ჰეროდე. სალომე, მოდი, დაჯექ ჩემს გვერდით. მე გითმობ შენ დედა შენის ტახტს.

სალომე. მე არ დაღლილვარ, ტეტრარქ.

ჰეროდია. თქვენ ხედავთ ხომ, თუ რას ფიქრობს იგი თქვენზე.

ჰეროდე. მოიტანეთ... რა მინდა მე? მე არ ვიცი. ახ, ახ, მე მოვიგონე.

ხმა იოქანაანის. დადგა დრო! ის, რაც მე მოუთხრე, აღსრულდა, —იტყვის უფალი ღმერთი. დადგა დღე, რომელზედაც მე მოუთხრობდი.

ჰეროდია. უბძანეთ გააჩუმონ იგი. მე არ მინდა ვისმინო მისი ხმა. ეს კაცი ყოველთვის გმობას ანთხევს ჩემზე.

ჰეროდე. თქვენზე მას გმობა არ წარმოუთქვამს. და ამასთან: იგი დიდი წინასწარმეტყველია.

ჰეროდია. მე არა მწამს წინასწარმეტყველნი. განა შეუძლია კაცს წინათ თქვას, ის, რაც უნდა მოხდეს? არავინ არ იცის ეს. გარდა ამისა: იგი მე ყოველთვის შეურაცმყოფს. მაგრამ, მე ვფიქრობ, თქვენ გეშინიათ მისი... დიახ: მე კარგათ ვიცი, თქვენ მისი გეშინიათ.

ჰეროდე. მე არ მეშინია მისი. მე არავის არ მეშინია.

ჰეროდია. დიახ: თქვენ გეშინიათ მისი. თუ თქვენ მისი არ გეშინიათ, რათ არ გაეცით მაშინ იგი იუდეველებს, რომლებიც ექვსი თვეა თქვენ მას გთხოვენ?

იუდეველი. მართალია, ხელმწიფევ, უკეთესი იქნებოდა ჩვენთვის გაგეცათ იგი.

ჰეროდე. კმარა ამაზე. მე თქვენ უკვე მოგეცით ჩემი პასუხი. მე არ მინდა გავცე იგი თქვენდამი. იგი კაცია, რომელმაც იხილა ღმერთი.

იუდეველი. ეს, ეს შეუძლებელია. ღმერთი არავის უნახავს ილია წინასწარმეტყველის დროიდან. იგი უკანასკნელი იყო, რომელმაც ღმერთი იხილა. ჩვენ დროში ღმერთი არ აჩვენებს თავს. იგი იმალება და ამისთვის ქვეყანაზე დიდი უბედურებაა.

მეორე იუდეველი. ბოლოს, ცნობილი არაა ჯერ, იხილა თუ არა მართლა წინასწარმეტყველმა ილიამ ღმერთი. უფრო დასაჯერებელია: მან იხილა მხოლოდ აჩრდილი ღმერთისა.

მესამე იუდეველი. ღმერთი არაოდეს არ იმალება! იგი ცხადდება ყოველთვის და ყოველში. ღმერთი ავშიც არის, როგორც კეთილში.

მეოთხე იუდეველი. ეს არ უნდა თქვა. ეს ძალიან სახიფათო აზრია. ეს აზრი მოდის ალექსანდრიის შკოლებიდან, საცა ჰელლენიურ ფილოსოფიას ასწავლიან. ჰელლენები კი წარმართებია. ისინი წინდაცვეთილნიც არ არიან.

მეხუთე იუდეველი. არასდროს არ შეიძლება ცოდნა, როგორ მოქმედებს უფალი, გზები მისი გამოუცნობია. შესაძლოა, ის რასაც ჩვენ ავს ვუწოდებთ, კეთილი არის, და ის, რასაც ჩვენ კეთილის ვუწოდებთ, ავი არის. არაფრის ცოდნა არ შეიძლება. აუცილებელია მხოლოთ ყველაფერს დაემორჩილო. ღმერთი ძალიან ძლიერია. იგი ერთსა და იმავე დროს ანარცხებს სუსტებსაც და ძლიერსაც. მისთვის ყველა თანასწორია.

პირველი იუდეველი. ეს მართალია. ღმერთი საშინელია. იგი ამტვრევს ძლიერსაც და სუსტსაც, როგორც ნაყავენ როდინში მარცვალს. მაგრამ ამ

კაცს არასდროს ღმერთი არ უხილავს. არავის უხილავს ღმერთი ილია წინასწარმეტყველის დროიდან.

ჰეროდია. უბძანეთ მათ დაჩუმდენ. მათ მე თავი მომაბეზრეს.

ჰეროდე. მაგრამ მე მსმენია, რომ ამბობენ, ვითომ იოქანაანი იყოს კიდეც თქვენი წინასწარმეტყველი ილია.

იუდეველი. ეს შეუძლებელია. ილია წინასწარმეტყველის დროიდან სამას წელზე მეტმა გაიარა.

ჰეროდე. ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ იგი ილია წინასწარმეტყველია.

ნაზარეველი. მე, მე დარწმუნებული ვარ, რომ იგი ილია წინასწარმეტყველია.

იუდეველი. აჰ, არა: იგი არ არის ილია წინასწარმეტყველი.

ხმა იოქანაანის. მოვიდა დღე, დღე უფალის, და მე მესმის მთებზე ნაბიჯები მისი, ვინც იქნება მხსნელი სოფლისა.

ჰეროდე. რას ნიშნავს ეს? მხსნელი სოფლისა?

ტიგელლინ. ეს კეისარის ერთი ტიტულთაგანია.

ჰეროდე. მაგრამ კეისარი არ აპირებს იუდეაში მოსვლას. მე გუშინ მივიღე წერილი რომიდან. ჩემთვის ამაზე არა უცნობიათ რა. ბოლოს, ტიგელლინ, თქვენ იყავით რომში, ზამთარში, თქვენ ამაზე არაფერი გსმენიათ?

ტიგელლინ. არა, ხელმწიფევ, ამის შესახებ მე არა მსმენია რა. მე მხოლოდ ტიტულს ვმარტავ. ეს ერთი ტიტულთაგანია კეისარის.

ჰეროდე. კეისარს არ შეუძლია მოვიდეს. მას ნიკრისის ქარი აქვს. ამბობენ, მას ფეხები ისეთი აქვს, როგორც სპილოს. გარდა ამისა: აქ არის სახელმწიფო მოსაზრებაც. ვინც რომს სტოვებს—რომს ჰკარგავს. ბოლოს, კეისარი ბატონია. იგი მოვა, თუ მოისურვა. მაგრამ მე არა ვფიქრობ, რომ ის მოვიდეს.

პირველი ნაზარეველი. არა-კეისარზე ლაპარაკობდა წინასწარმეტყველი, ხელმწიფევ.

ჰეროდე. არა კეისარზე?

პირველი ნაზარეველი. არა, ხელმწიფევ.

ჰეროდე. მაშ ვიზე ლაპარაკობდა იგი?

პირველი ნაზარეველი. მესსიაზე, რომელიც მოვიდა.

იუდეველი. მესსია არ მოსულა.

პირველი ნაზარეველი. იგი მოვიდა და ყველგან ახდენს სასწაულებს.

ჰეროდია. ოჰ, ოჰ, სასწაულები. მე არა მწამს სასწაულები. მე ისინი მინახავს ძალზე ბევრი. (ხაჟს) ჩემი მარაო.

პირველი ნაზარეველი. ეს კაცი ნამდვილ სასწაულებს ახდენს. ასე მაგალითად: ერთს ქორწილში, რომელსაც ადგილი ჰქონდა გალილეას პატარა ქალაქში, მან წყალი ღვინოდ გარდაქმნა. მე ეს გადმომცეს მათ, ვინც იქ იყვენ. მან აგრეთვე მოარჩინა ერთი შეხებით ორი კეთროვანი, რომლებიც კაპერნაუმის ბჭესთან ისხდენ.

მეორე ნაზარეველი. არა, კაპერნაუმში მან ორი ბრმა მოარჩინა.

პირველი ნაზარეველი. არა: ესენი იყვენ კეთროვანები. მაგრამ მან აგრეთვე ბრმებიც მოარჩინა, და იგი ნახეს მთაზე მობაასე ანგელოსებთან.

სადდუკეველი. ანგელოსები არ არსებობენ.

ფარისეველი. ანგელოსები არსებობენ, მაგრამ მე არ ვფიქრობ, ვითომ ამ კაცს ებაასნა მათთან.

პირველი ნაზარეველი. მსვლელთა დიდს ბრბოს უნახავს, თუ როგორ ებაასებოდა იგი ანგელოსებს.

სადდუკეველი. არა ანგელოსებს.

ჰეროდია. როგორ მახელებს მე ეს ხალხი! ესენი ბრიყვებია. ესენი სრულიად ბრიყვებია. (ხაჟს) ჩემი მარაო? (ხაჟი მიაწოდებს მარაოს). თქვენ თითქო ოცნებობთ. არ უნდა ოცნებოთ. მეოცნებენი ავადმყოფნი არიან (დაარტყამს ხაჟს მარაოს).

მეორე ნაზარეველი. კიდევ იყო სასწაული იაირის ასულთან.

პირველი ნაზარეველი. დიახ: ეს ყოველ ეჭვს გარეშეა. ამის უარყოფა შეუძლებელია.

ჰეროდია. ეს ხალხი ჭკვაზე შეიშალა. ისინი მეტად დიდხანს უცქერიდენ მთვარეს. უთხარით მათ, რომ დაჩუმდენ.

ჰეროდე. რა არის ეს—სასწაული იაირის ასულთან?

პირველი ნაზარეველი. იაირის ასული კვდარი იყო. მან იგი გააცოცხლა.

ჰეროდე. იგი აცოცხლებს კვდრებს?

პირველი ნაზარეველი. დიახ, ხელმწიფევ, იგი კვდრებს აცოცხლებს.

ჰეროდე. მე არ მინდა, რომ იგი ამას სჩადიოდეს. მე ვუკძალავ მას ამის ჩადენას. მე ნებას არ ვაძლევ კვდრების გაცოცხლებისას. უნდა მოინახოს ეს კაცი და ეთქვას მას, რომ მე არ ვაძლევ ნებას მას კვდრების გაცოცხლებისას. სად არის იგი ახლა, ეს კაცი?

მეორე ნაზარეველი. იგი ყველგანაა, ხელმწიფევ, მაგრამ ძალიან ძნელია მისი მონახვა.

პირველი ნაზარეველი. ამბობენ, იგი ახლა სამარიაში არიო.

იუდეველი. აი კიდეც, ჩანს, რომ იგი მესსია არ არის, თუ იგი სამარიაშია. არა სამარიტელებთან მოვალს მესსია. სამარიტელნი დაწყევლილნია. იმათ არასდროს არ მიაქვთ ტაძარში მსხვერპლი.

მეორე ნაზარეველი. მან უკვე მიატოვა სამარია რამოდენიმე დღის წინათ. მე ვფიქრობ, იგი ახლა იერუსალიმის მიდამოებში უნდა იყოს.

პირველი ნაზარეველი. არა, ის იქ არ არის. მე ეს არის რაც იერუსალიმიდან მოვედი. უკვე ორი თვეა, მასზე არა სმენიათ რა.

ჰეროდე. ეს სულ ერთია. ხოლო საჭიროა მისი მონახვა და თქმა, რომ მე ნებას არ ვაძლევ მას კვდრები აცოცხლოს. წყალის გარდაქმნა ღვინოდ, მორჩენა კეთროვანების და ბრმების.., ყველა ეს მას შეუძლია, თუ უნდა. მე არაფერი მაქვს ამის საწინააღმდეგო. მე იმასაც კი ვფიქრობ, რომ კეთროვანების მორჩენა კეთილი საქმეა. მაგრამ მე მას ნებას არ ვაძლევ კვდრები აცოცხლ ის... საშინელება იქნებოდა, კვდრები რო ცოცხლდებოდენ.

ხმა იოქანაანის. ა! მეძავო! მრუშო! ა! ასულო ბაბილონისავ, ოქოვანი თვალებით და მოოქრული ქუთუთოებით! აი რას ამბობს უფალი ღმერთი. მიუშვით მასთან ბრბო ხალხისა. დეე, ხალხმა ქვები აიღოს და მოძეძგვოს იგი!

ჰეროდია. უბძანეთ მას გაჩუმდეს.

ხმა იოქანაანის. დეე, სარდალებმა განგმირონ იგი ხმალებით; დეე, გასრისონ იგი თავის ლახტებით.

ჰეროდია. მაგრამ ეს საძაგლობაა!

ხმა იოქანაანის. ასე ამოვფხვრი მე უწესობას ქვეყანაზე, და ქალები ისწავლიან ყველანი, რომ აღარ ბაძავდენ მის სისაძაგლეს.

ჰეროდია. თქვენ გესმით, რას ამობობს იგი ჩემზე? თქვენ ნებას აძლევთ შეურაცჰყონ თქვენი მეუღლე?

ჰეროდე. მაგრამ მას თქვენი სახელი არ უხსენებია.

ჰეროდია. მერე რა? თქვენ კარგათ იცით, რომ მას უნდა შეურაცმყოს. მე კი თქვენი მეუღლე ვარ, არა?

ჰეროდე. დიახ: ძვირფასო და ღირსეულო ჰეროდია, თქვენ ჩემი მეუღლე ხართ და თქვენ უწინ მეუღლე იყავით ჩემი ძმისა.

ჰეროდია. თქვენ ამომგლიჯეთ მე მისი ხვევნისაგან.

ჰეროდე. დიახ: მე მასზე ძლიერი ვიყავი... მაგრამ ნუ ვილაპარაკებთ ამაზე. მე არ მინდა ამაზე ლაპარაკი. ამის გამო ამბობდა წინაწარმეტყველი

საშინელ სიტყვებს. შესაძლოა, ამის გამო მოხდეს უბედურება. ნუ ვილაპარაკებთ ამაზე... კეთილშობილო ჰეროდია, ჩვენ ვივიწყებთ ჩვენს სტუმრებს. დამისხი ღვინო, ჩემო საყვარელო. აავსეთ ღვინით დიდი თასები ვეცხლისა და დიდი თასები შუშისა. მე დავლევ კეისარის სადღეგრძელოს. აქ რომაელებია: უნდა შევსვათ კეისარის სადღეგრძელო.

ყველანი. კეისარ! კეისარ!

ჰეროდე. თქვენ ვერ ამჩნევთ, რა მკრთალია თქვენი ქალიშვილი?

ჰეროდია. თქვენ რა: მკრთალია იგი თუ არა!?

ჰეროდე. მე არასდროს არ მინახავს იგი ასეთი მკრთალი.

ჰეროდია. არ უნდა უცქირო მას.

ხმა იოქანაანის. დღესა მას მზე გაშავდება, როგორც ძაძა, და მთვარე აწითლდება, როგორც სისხლი, და ვარსკვლავნი ჩამოვარდებიან მიწაზე, როგორც ვარდებიან მწვანე ნაყოფნი კუნელადგან, და მეფეთა მიწისათა დაუდგებათ საშინელება.

ჰეროდია. ა! ა! ვნახო ეს დღე, რომელზედაც იგი ლაპარაკობს, როცა მთვარე აწითლდება, როგორც სისხლი, და როცა ვარსკვლავნი ჩამოვარდებიან მიწაზე, თითქო მწვანე ნაყოფნი კუნელასი. ეს წინაწარმეტყველი ლაპარაკობს, როგორც მთვრალი... და მე არ შემიძლია მისი ხმა ავიტანო. მე მძულს მისი ხმა. უბძანეთ მას დაჩუმდეს.

ჰეროდე. არა. მე არ მესმის, რას ლაპარაკობს იგი, მაგრამ, ეს შესაძლოა, წინათქმა იყოს.

ჰეროდია. მე არა მწამს წინათქმანი. იგი ლაპარაკობს, როგორც მთვრალი.

ჰეროდე. შესაძლოა, იგი მთვრალია ღვინოთი უფლისა.

ჰეროდე. რა ღვინოა ეს, ღვინო უფლისა? რომელი ვაზებიდან? რომელ საწნახელში შეიძლება მისი შოვნა?

ჰეროდე (აღარ აცილებს თვალს სალომეს). ტიგელლინ, როცა შენ ამ ცოტა ხანს უკან რომში იყავ, გეუბნებოდა შენ თუ არა კეისარი... მმ...

ტიგელლინ. რაზე, ხელმწიფევ?

ჰეროდე. რაზე? ა! მე რაღაც გკითხეთ თქვენ, არა? მე დამავიწყდა, რის გაგებაც მსურდა.

ჰეროდია. თქვენ კიდევ სულ ჩემს ასულს უცქერით. არ უნდა უცქირო მას. მე თქვენ ამას უკვე გეუბნებოდით.

ჰეროდე. თქვენ მხოლოთ მაგას ლაპარაკობთ.

ჰეროდია. მე ამას კიდევ გეუბნებით.

ჰეროდე. ტაძარის აღდგენა, რაზედაც აქ ბევრი ილაპარაკეს!? გამოვა რაიმე ამისაგან? ამბობენ, ფარდა დაიკარგა საკურთხეველისა.

ჰეროდია. შენ თვითონ წამოიღე იგი. შენ თვითონ არ იცი, რაზედაც ლაპარაკობ. მე არ მინდა აქ დარჩენა. დავბრუნდეთ.

ჰეროდე. სალომე, იცეკვეთ ჩემთვის.

ჰეროდია. მე არ მინდა, რომ მან იცეკვოს.

სალომე. მე სრულიად არა მსურს ცეკვა, ტეტრარქ.

ჰეროდე. სალომე, ჰეროდიას ასულო, იცეკვეთ ჩემთვის.

ჰეროდია. დაანებეთ მას თავი.

ჰეროდე. სალომე, მე თქვენ გიბრძანებთ იცეკვოთ.

სალომე. მე არ ვიცეკვებ, ტეტრარქ.

ჰეროდია (იტინის). აი როგორ გისმენთ თქვენ იგი.

ჰეროდე. მე რა: იცეკვებს იგი თუ არა. ჩემთვის სულ ერთია! ჩემთვის სულ ერთია. მე დღეს ბედნიერი ვარ. მე მეტათ ბედნიერი ვარ. მე არას დროს ასე ბედნიერი არ ყოფილვარ.

პირველი მეომარი. ბნელი სახე აქვს ტეტრარქს. არა, მართლა, ხომ ბნელი სახე აქვს ტეტრარქს?

მეორე მეომარი. მას ბნელი სახე აქვს.

ჰეროდე. რატომ არ უნდა ვიყო ბედნიერი? კეისარს, მფლობელს ქვეყნისას, მფლობელს ყოვლისას, მე ძლიერ ვუყვარვარ. მან ეს არის გამომიგზავნა მეტათ ძვირფასი საჩუქარნი. და კიდევ: იგი დამპირდა მე გაიხმოს რომში ჩემი მტერი, მეფე კაპპადოკიისა. შესაძლოა, მან რომში ჯვარს აცვას იგი. კეისარს შეუძლია ჰქნას ყველაფერი, რასაც კი მოისურვებს. იგი მფლობელია. ასე: თქვენ ხედავთ, მე მაქვს უფლება ბედნიერი ვიყო. არა არის ქვეყანაზე არაფერი, რასაც შეეძლოს ჩემი სიხარულის დარღვევა.

ხმა იოქანაანის. იგი იჯდომება თავის ტახტზე. იგი იქნება ჩაცმული მეწამულში და პორფირში. ხელში ეჭირება მას ოქროს ჭურჭელი, ავსილი მისი გმობითა, და ანგელოსი ღვთისა დაანარცხებს მას. იგი შეჭმული იქნება ჭიების მიერ.

ჰეროდია. გესმის რას ლაპარაკობს იგი შენზე? იგი ამბობს, რომ შენ იქნები ჭიების მიერ შეჭმული.

ჰეროდე. არა-ჩემზე ლაპარაკობს იგი. იგი არასდროს ჩემს წინააღმდეგ არ ლაპარაკობს. იგი ლაპარაკობს კაპპადოკიის მეფეზე, ჩემს მტერზე. ის იქ-

ნება ჭიების მიერ შეჭმული და არა მე. არასდროს არ ულაპარაკნია რაიმე მას ჩემს წინააღმდეგ, წინასწარმეტყველს,—გარდა იმისა, რომ მე უმართლოთ მოვიქეცი, რომ ჩემი ძმის ცოლი წამოიყვანე ცოლად. შესაძლოა, იგი მართალია. და მართლაც: შენ უნაყოფო ხარ.

ჰეროდია. მე ვარ უნაყოფო, მე?! და ამას ამბობ შენ, შენ, რომელიც მუდამ ჩემს ქალიშვილს უცქერ, შენ, რომელსაც გსურდა ეცეკვა მას შენი სიამისათვის! სასაცილოა ამის თქმა. მე ბავში მყავდა. შენ ერთიც არა გყოლია, არც ერთი შენი მონა-ქალისაგანაც კი. ეს შენა ხარ უნაყოფო და არა მე.

ჰეროდე. გაჩუმდი. მე ვამბობ, რომ შენ უნაყოფო ხარ. შენ არ მაჩუქე მე ბავში, და წინასწარმეტყველი ლაპარაკობს, რომ ქორწილი ჩვენი არ არის ნამდვილი ქორწილი. იგი ამბობს, რომ ეს არის ქორწილი სისხლის შემრეველი, რომ ეს ქორწილი მოიტანს უბედურებას... მე მეშინია, მართალი არ იყოს იგი. მე მჯერა, რომ იგი მართალია. მაგრამ ახლა დრო არ არის ამაზე ლაპარაკის. მე ამ წამს მინდა ბედნიერი ვიყო. და მე ბედნიერიცა ვარ. მე ძალიან ბედნიერი ვარ. არა არის რა რაიცა მე მაკლდეს.

ჰეროდია. მე მოხარული ვარ, რომ შენ ასე კარგ გუნებაზე ხარ დღეს საღამოს. ეს არ არი შენი ჩვეულება. გარნა, უკვე გვიანაა. დავბრუნდეთ სახლში. არ დაივიწყო, რომ ხვალ განთიადზე ჩვენ ყველანი სანადიროთ მივდივართ. კეისარის ელჩებს უნდა ვცეთ ყოველგვარი პატივი,—არა!

მეორე მეომარი. რა ბნელი სახე აქვს ტეტრარქს.

პირველი მეომარი. დიახ: მას ბნელი სახე აქვს.

ჰეროდე. სალომე, სალომე, იცეკვე ჩემთვის. მე გევედრები შენ, იცეკვე ჩემთვის. მე მოწყენილი ვარ. როცა აქ შემოველ, მე სისხლში წავიფერხე, ეს ცუდი ნიშანია, და მე მომესმა, მე მჯერა, რომ მომესმა ფრთების ფრთქიალი ჰაერში, ფრთქიალი თითქო გიგანტური ფრთებისა. მე არ ვიცი, თუ რას უნდა ნიშნავდეს ეს... მე სევდიანი ვარ დღეს საღამოს. ამიტომ იცეკვე ჩემთვის. იცეკვე ჩემთვის, სალომე, მე გევედრები შენ. თუ შენ იცეკვებ ჩემთვის, შენ შეგეძლება მომთხოვო ყოველი, რასაც კი მოისურვებ შენ და მე მოგცემ მას. დიახ: იცეკვე ჩემთვის, სალომე, მე მოგცემ შენ ყოველს, რასაც კი მოისურვებ შენ, იყოს ეს თუ გინდ ნახევარი ჩემი სამეფოსი.

სალომე (წამოდგება). შენ მომცემ მე ყოველს, რასაც კი მე მოვისურვებ, ტეტრარქ?

ჰეროდია. არ იცეკვო, ჩემო ასულო!

ჰეროდე. ყოველს, იყოს ეს თუ გინდ ნახევარი ჩემი სამეფოსი,

სალომე. შენ ამაში ფიცს იძლევი, ტეტრარქ?

ჰეროდე. ფიცს გაძლევ, სალომე.

ჰეროდია. ჩემო ასულო, არ იცეკვო.

სალომე. რითი ფიცულობ შენ, ტეტრარქ?

ჰეროდე. სიცოცხლით ჩემით, გვირგვინით ჩემით, ღმერთებით ჩემით. ყოველს, რასაც კი შენ მოისურვებ, მოგცემ მე შენ, იყოს იგი თუ გინდ ნახევარი ჩემი სამეფოსი, თუ შენ იცეკვებ ჩემთვის. ჰო! სალომე, სალომე! იცეკვე ჩემთვის.

სალომე. შენ ფიცი დასდე, ტეტრარქ.

ჰეროდე. მე დავიფიცე, სალომე.

სალომე. რაც უნდა მოვისურვო მე, იყოს ეს თუ გინდ ნახევარი შენი სამეფოსი?

ჰეროდია. არ, იცეკვო, ასულო ჩემო.

ჰეროდე. იყოს ეს თუ გინდ ნახევარი ჩემი სამეფოსი. რა ლამაზი იქნები შენ დედოფალი, სალომე, თუ კი შენ მოგესურვება ნახევარი ჩემი სამეფოსი. არა, მართლა, იგი მეტად ლამაზი დედოფალი იქნება. ა! აქ სიცივეა! აქ ქრის მეტათ ცივი ქარი და მე მესმის... რათ მესმის მე ჰაერში ეს ფრთქიალი ფრთებისა? ჰო, შესაძლოა იფიქრო: რომელიღაც ფრინველი, დიდი შავი ფრინველი ურდოს თავს დასტრიალებს. რათ არ შემიძლია მე ვიხილო ეს ფრინველი? მისი ფრთების ფრთქიალი საშინელია. ეს ცივი ქარია... მაგრამ არა: სრულიად არ ცივა. პირ-იქით: ძლიერ ცხელა. მეტათ ცხელა. მე ვიხჩობი. დამისხით მე ხელებზე წყალი. მომეცით მე თოვლი საჭმელად. შემიხსენით ჩემი მოსასხამი. ჩქარა, ჩქარა, შემიხსენით მოსასხამი... არა. დაანებეთ თავი. ეს მე ტკივილი მაქვს ჩემი გვირგვინისაგან, ჩემი ვარდების გვირგვინისაგან. ეს ყვავილები თითქო ცეცხლისაგან არიან. მათ შუბლი დამიწვეს. (ჩამოიხევს თავიდან გვირგვინს და დაუგდებს მას სუფრასა), ა! ახლა შემიძლია ვისუნთქო. რა წითლები არიან ეს ყლორტები. ისინი: თითქო სისხლის ლაქები სუფრისსაფარზე. ეს არაფერი. შეუძლებელია ჩვენება ეძიო ყველგან, რასაც ხედავ. ეს შეუძლოთ ხდის სიცოცხლეს. უმჯობესი იქნებოდა თქმა, რომ სისხლის ლაქები ისეთივე ლამაზები არიან, როგორც ვარდების ყლორტები. ფრიად უკეთესი იქნებოდა ასეთი თქმა... მაგრამ ნუ ვილაპარაკებთ ამაზე. ახლა მე ბედნიერი ვარ. მე ძალიან ბედნიერი ვარ. მე უფლება მაქვს ვიყო ბედნიერი, არა? თქვენი ქალიშვილი იცეკვებს ჩემთვის. მართლა ხომ იცეკვებთ ჩემთვის, სალომე? თქვენ დამპირდით ჩემთვის ცეკვაკ.

ჰეროდია. მე არ მინდა, რომ მან იცეკვოს.

სალომე. მე ვიცეკვებ თქვენთვის, ტეტრარქ.

ჰეროდე. თქვენ ხომ გესმით, რას ამბობს თქვენი ასული. იგი იცეკვებს ჩემთვის. ეს კარგია, სალომე, რომ თქვენ იცეკვებთ ჩემთვის. და როცა თქვენ გაათავებთ ცეკვას, არ დაგავიწყდესთ მოითხოვოთ ჩემგან, რასაც მოისურვებთ. ყველაფერი, რასაც კი თქვენ მოისურვებთ, მე მოგცემთ თქვენ, იყოს იგი თუ გინდა ნახევარი ჩემი სამეფოსი,—მე დავიფიცე, არა!!

სალომე. თქვენ დაიფიცეთ, ტეტრარქ.

ჰეროდე. და მე არასდროს გამიტეხია ჩემი სიტყვა. მე იმათგან არა ვარ, ვინც არღვევს თავის სიტყვას. მე არ შემიძლია ცრუობა. მე მონა ვარ ჩემი სიტყვის და სიტყვა ჩემი სიტყვაა მეფისა. კაპპადოკიის მეფე ყოველთვის ცრუობს, მაგრამ ის ხომ ნამდვილი მეფე არ არის. იგი მხდალია. გარდა ამისა; მას ჩემი ფული მართებს და არ უნდა გადაიხადოს. მან შეურაცხყო კიდეც ჩემი ელჩები. იგი ამბობს ძალიან შეურაცხმყოფელ რამეებს. მაგრამ კეისარი ჯვარს აცვამს მას, როცა იგი რომში დაბრუნდება. და თუ არა, იგი ისედაც მოკვდება, ჭიებით შეჭმული. წინასწარმეტყველმა თქვა ეს. ჰე, სალომე, რაღას უცდით?

სალომე. მე ვუცდი, რომ ჩემმა მონა-ქალებმა მომიტანონ სურნელებანი და შვიდი სახური და გამხადონ ფეხებზე ქალამნები.

(მონა-ქალებს მოაქვთ სურნელებანი და შვიდი სახური და ფეხებზე სალომეს ქალამნებს ხდიან).

ჰეროდე. ა! თქვენ იცეკვებთ ფეხშიშველი! ეს კარგია! ეს კარგია! თქვენი პატარა ფეხები იქნებიან, ვით თეთრი მტრედუნები. ისინი გვანან პატარა თეთრ ყვავილებს, რომლებიც ხეზე ცეკვავენ... ახ, არა! ის იცეკვებს სისხლში. მიწაზე სისხლია. მე არ მინდა რომ მან სისხლში იცეკვოს. ეს იქნებოდა ცუდი ნიშანი.

ჰეროდია. თქვენ რა: იცეკვებს იგი თუ არა სისხლში? თქვენ ხომ იარეთ სისხლში, თქვენ...

ჰეროდე. მე რა? ახ. შეხედეთ მთვარეს. იგი გახდა წითელი. იგი გახდა წითელი, როგორც სისხლი. ა! წინასწარმეტყველმა ეს ხომ იწინასწარმეტყველა. მან სთქვა, რომ მთვარე გახდება წითელი, როგორც სისხლი. არა, მართლა, მან ეს არ იწინასწარმეტყველა? თქვენ ყველამ გაიგონეთ ეს. მთვარე გახდა წითელი, როგორც სისხლი თქვენ ამას ვერა ხედავთ?

ჰეროდია. მე ამას კარგათ ვხედავ, და ვარსკვლავები ვარდებიან მიწაზე,

თითქო მწვანე ნაყოფნი კუნელასი,—არა? და მზე იქცევა შავად, როგორც ძაძა და მეფენი მიწისა დაიფლო საშინელებამ. ეს მაინც ნათელია. ერთხელ მაინც სიცოცხლეში წინასწარმეტყველი მართალი აღმოჩნდა... მეფენი მიწისა დაიფლო საშინელებამ... ხოლო დავბრუნდეთ. თქვენ ავადა ხართ. რომში იფიქრებენ, რომ თქვენ გაგიჟდით. დავბრუნდეთ, გეუბნებით მე თქვენ.

ხმა იოქანაანის. ვინ არის იგი, ვინც მოდის ედომიდან, ვინც მოდის ბოსრიდან ტანსაცმელში, მეწამულად შეღებილში, რომელიც ელვარებს თავის საცმელის სილამაზეში და მიიმართვის თავის ძალის ძლიერებაში? რათ არიან ტანსაცმელნი თქვენნი შეფერილნი მეწამულში?

ჰეროდია. დავბრუნდეთ. ხმა ამ კაცისა თავისაგან გამომიყვანს მე. მე არ მინდა ჩემმა ქალიშვილმა იცეკვოს, სანამ იგი იქ ყვირის. მე არ მინდა მან იცეკვოს, სანამ თქვენ მას ასე უცქერით. ერთი სიტყვით, მე არ მინდა მან იცეკვოს.

ჰეროდე. ნუ დგები, მეუღლე ჩემო, დედოფალო ჩემო, ეს უსარგებლოა. მე არ წავალ, სანამ იგი არ იცეკვებს. იცეკვე, სალომე, იცეკვე ჩემთვის!

ჰეროდია. ნუ იცეკვებთ, ასულო ჩემო.

სალომე. მე მზადა ვარ, ტეტრარქ.

(სალომე ცეკვავს შვიდი სახურის ცეკვას).

ჰეროდე. ა! ეს მშვენიერებაა! ეს მშვენიერებაა! თქვენ ხედავთ, თქვენმა ასულმა იცეკვა ჩემთვის. მოდით, სალომე! მოდით, რომ მე დაგასაჩუქროთ თქვენ. ჰო! მე კარგათ ვაძლევ მოცეკვავებს. შენ მე კარგათ გადაგიხდი. მე მოგცემ შენ ყოველს, რასაც შენ მოისურვებ. რა გინდა შენ, სთქვი.

სალომე (დაიჩოქებს მუხლებზე). მე მინდა ახლავ მომიტანონ მე ვეცხლის თასზე...

ჰეროდე (იცინის). ვეცხლის თასზე? ჰო, რასაკვირველია, ვეცხლის თასზე. იგი მომაჯადოვებელია, არა! რა გინდათ თქვენ, რომ მოგართვან თქვენ ვეცხლის თასზე, ძვირფასო და მშვენიერო სალომე, თქვენ, რაიც ულამაზესი ხართ ყველა ქალწულებზე იუდეისა? მაშ რა გნებავთ თქვენ, რომ მოგართვან თქვენ ვეცხლის თასზე? მითხარით მე! რაც უნდა იყოს იგი, თქვენ მოგცემენ მას. ჩემი საუნჯენი გეკუთვნიან თქვენ. რა არის ის, სალომე?

სალომე (დგება). თავი იოქანაანის.

ჰეროდია. ა! ეს კარგათ თქმულია, ასულო ჩემო.

ჰეროდე. არა. არა.

ჰეროდია. ეს კარგათ თქმულია, ასულო ჩემო.

ჰეროდე. არა, არა, სალომე. თქვენ ამას არ მთხოვთ მე. ნუ უსმენთ დედას. იგი ყოველთვის ცუდს რჩევას გაძლევთ თქვენ. არ უნდა უსმინოთ მას.

სალომე. მე არ უსმენ დედა ჩემს. საკუთარი სიამისათვის მე გთხოვთ იოქანაანის თავს ვეცხლის თასზე. თქვენ დაიფიცეთ, ჰეროდე: არ დაგავიწყდეთ, რომ თქვენ დაიფიცეთ.

ჰეროდე. მე ვიცი. მე დავიფიცე ჩემი ღმერთებით. მე კარგათ ვიცი ეს. მაგრამ მე გევედრებით თქვენ, სალომე, მოითხოვეთ ჩემგან სხვა რამე. მოითხოვეთ ჩემგან ჩემი სამეფოს ნახევარი და მე მოგცემთ მას თქვენ. მაგრამ მხოლოდ იმას ნუ მოითხოვთ ჩემგან, რაიც მომთხოვეთ.

სალომე. მე ვითხოვ თქვენგან იოქანაანის თავს.

ჰეროდე. არა, არა, მე არ მინდა.

სალომე. თქვენ დაიფიცეთ, ჰეროდე.

ჰეროდია. დიახ: თქვენ შეფიცეთ. თქვენ ყველა გისმენდათ. თქვენ შეფიცეთ ყველას წინაშე.

ჰეროდე. დაჩუმდით. თქვენთან არ ვლაპარაკობ მე.

ჰეროდია. ასული ჩემი სრულიად მართალია, როცა იგი ამ კაცის თავს თხოულობს. იგი ანთხევდა ჩემზე ყოველგვარ გმობას, მან სთქვა ჩემზე საშინელი რამეები. სჩანს, მას ძალიან უყვარს თავისი დედა. ნუ დაუთმობთ ასულო ჩემო. მან დაიფიცა, მან დაიფიცა.

ჰეროდე. დაჩუმდით, ნუ ლაპარაკობთ ჩემთან. მოისმინეთ, სალომე, გონიერი უნდა იყოთ,—არა! ხომ მართლა გონიერი უნდა იყოთ? მე არასდროს სასტიკი არ ვყოფილვარ თქვენდამი. მე ყოველთვის მიყვარდით თქვენ... შესაძლოა, მე თქვენ მეტათ მიყვარდით. ასე, ნუ მოითხოვთ ამას ჩემგან. არსებითად, მე არცა ვფიქრობ, რომ თქვენ ამას სერიოზულ მოითხოვთ. თავი თავმოკვეთილი კაცისა, ეს ხომ რაღაც მახინჯია, არა? ეს ის არ არის, რასაც უნდა უცქერდეს ახალგაზდა ასული. რა სიამე შეუძლია ამას მოგიტანოს თქვენ? არაფერი: არა, არა, თქვენ ეს არ გინდათ... მომისმინეთ მე ერთი წამით. მე მაქვს ზურმუხტი, დიდი რგვალი ზურმუხტი, რაიც გამომიგზავნა მე კეისარის რჩეულმა. თუ თქვენ გახედავთ ამ ზურმუხტით, თქვენ შეგეძლებათ დაინახოთ ყოველი, რაიცა ხდება დიდს მანძილზე. თვითონ კეისარიც ასეთს ატარებს, როცა იგი ცირკში მიდის. მაგრამ ჩემი უფრო დიდია. ჩემი ყველაზე უფრო დიდი ზურმუხტია ქვეყანაზე. მართლა, ხომ გინდათ იგი? მომთხოვეთ და თქვენ მოგცემთ მას.

სალომე. მე ვითხოვ თავს იოქანაანისას.

ჰეროდე. თქვენ მე არ მისმენთ, თქვენ მე არ მისმენთ. მაცალეთ თქმა, სალომე.

სალომე. თავს იოქანაანისას.

ჰეროდე. არა, არა, თქვენ ეს არ გინდათ. თქვენ ამას ამბობთ მხოლოდ მისთვის, რომ მაწამოთ მე, რომ მე მთელი საღამო გიცქერდით თქვენ. ჰო, ეს ასეა. მე გიცქერდით თქვენ მთელი საღამო. თქვენმა სილამაზემ ამრია მე. თქვენმა სილამაზემ ამშალა მე და მე გიმზერდით თქვენ მეტად. მაგრამ აწი მე ამას აღარ ვიზამ. არ უნდა უმზირო არცა ხალხს და არცა ნივთებს. უნდა იცქირებოდე მხოლოდ სარკეებში. რადგან სარკენი გვაჩვენებენ ჩვენ მხოლოდ მასკებს... ჰო, ჰო, ღვინო! მინდა დავლიო... სალომე, სალომე, ვიყვეთ მეგობრები. ბოლოს, მოიხედეთ... რა მინდოდა მეთქვა! რა არის? ჰა! მოვიგონე... სალომე! არა, მოდით უფრო ახლო ჩემსკენ. მე მეშინია, რომ თქვენ მე ვერ მომისმენთ... სალომე, თქვენ იცით ჩემი თეთრი ფარშავანგები, ჩემი ლამაზი თეთრი ფარშავანგები, რომლებიც დასეირნობენ ჩემს ბაღში მირსინებისა და საროების შორის. მათი ნისკარტები მოოქროული არიან, და მარცვლები, რომელსაც ისინი კენკავენ, მოოქროული არიან აგრეთვე, და ფეხები მათი შეფერილი არიან მეწამულში. როცა ისინი ყვირიან, წვიმა მოდის, და როცა ისინი თავის კუდებს გაშლიან, ცაზე მთვარე გამოჩნდება. ისინი წყვილად დადიან საროებისა და შავ მირსინების შორის, და ყოველს მათგანს მონა ჰყავს, რომელიც თვალს ადევნებს მათ. ხანდახან ისინი ხეთა შორის ფრინავენ, ხანდახან ისინი წვებიან კორდზე და ტბის გარშემო. არ არიან ქვეყანაზე უფრო საუცხოვო ფრინველნი. არ არის ქვეყანაზედ მეფე, რომელსაც ჰყავდეს ასეთი საოცარი ფრინველები. მე დარწმუნებული ვარ, რომ თვითონ კეისარსაც არა ჰყავს ასეთი მშვენიერი ფრინველები. და მომისმინეთ! მე გაჩუქებთ თქვენ ორმოცდაათ ჩემს ფარშავანგს. ისინი გამოგყვებიან თქვენ ყველგან და მათ შორის თქვენ იქნებით თითქო მთვარე დიდს თეთრს ღრუბელში... მე ყველას გაჩუქებთ თქვენ. მე მხოლოდ ასი მყავს ისინი, და არ არის ქვეყანაზე მეფე, რომელსაც ჰყავდეს ფარშავანგნი მზსგავსნი ჩემისა, მაგრამ მე თქვენ ყველას გაჩუქებთ. მხოლოთ განმათავისუფლეთ მე ჩემი სიტყვისაგან და ნუ მოითხოვთ ჩემგან მას, რაც მოითხოვეთ. (ტლის თასს).

სალომე. მომეცით მე თავი იოქანაანის.

ჰეროდია. კარგათაა თქმული, ასულო ჩუმო. თქვენ სასაცილო ხართ თქვენი ფარშავანგებით.

ჰეროდე. გაჩუმდით. თქვენ ყოველთვის ყვირით. თქვენ ყვირით, რო-

გორც მტაცებელი ნადირი. არ უნდა იყვიროთ ასე. თქვენი ხმა მშლის მე. დაჩუმდით, მე თქვენ გეუბნებით... სალომე, მოიფიქრეთ მაზე, რასაც თქვენ ჩადიხართ. ეს კაცი, შესაძლოა ღვთისაგანაა მოვლენილი. მე მჯერა, რომ იგი ღვთისგან გამოგზავნილია. იგი წმიდა კაცია. ხელი ღვთისა შეეხო მას. ღმერთმა ჩაუდო მას პირში საშინელი სიტყვები. სასახლეში, როგორც უდაბნოში ღმერთია მასთან განუყრელად... მაინცა და მაინც ეს შესაძლებელია. არავინ იცის, მაგრამ შესაძლოა, რომ ღმერთი მისთვისაა და მასთან. ამისათვის შესაძლოა, თუ ის მოკვდა, ვინმეს შეემთხვევა უბედურება. ეს შესაძლოა შემემთხოს მხოლოდ მე. მოიგონეთ, როცა შემოვდიოდი აქ მე, წავიფერხე მე სისხლში. გარდა ამისა: მე მომესმა ფრთქიალი ფრთებისა ჰაერში, ფრთქიალი გიგანტური ფრთების. ეს ძალიან ცუდი ნიშანია. და იყო კიდევ სხვაც. მე დარწმუნებული ვარ, რომ იყო კიდევ სხვა ნიშანიც, თუმცა მე არ მინახავს. ახლა ასე: სალომე, თქვენ არ გინდათ ხომ, რომ მე შემემთხვეს უბედურება?! თქვენ ხომ არ გინდათ ეს? მო, მომისმინეთ მე.

სალომე. მომეცით მე თავი იოქანაანის..

ჰეროდე. აი, თქვენ ხედავთ, რომ თქვენ არ გინდათ მისმინოთ მე. მაგრამ იყავით დამშვიდებული, მე თვითონ ძალიან მშვიდათა ვარ. მე სრულიად მშვიდათა ვარ. ისმინეთ! მე აქ მიმალული მაქვს ძვირფასი სამკაულები, რომლებიც დედა-თქვენსაც არ უნახავს, სიძვირფასენი სრულიად უჩვეულონი. მე მაქვს მარგალიტების საყელური ოთხს წყებათ. შესაძლოა იფიქრო: ეს მთვარეებია აჭედილები ვეცხლეული შუქებით. შესაძლოა იფიქრო: ეს ორმოცდაათი მთვარეა ოქროს ბადეში დაჭერილები. რომელიღაც დედოფალი ატარებდა მას თავის თეთრს, თითქო სპილოს ძვალის მკერდზე. და შენ, როცა დაიკიდებ მას, ისეთივე ლამაზი იქნები, როგორც დედოფალი. მე მაქვს ორი გვარის ამეთვისტონი. ერთნი შავნი არიან ღვინოსავით, სხვანი წითელნი არიან წყალნარევ ღვინოსავით. მე მაქვს ბეჟმენდები, ყვითელნი, როგორც ვეფხის თვალები, და ბეჟმენდები ვარდისფერნი, როგორც მტრედის თვალები, და ბეჟმენდები მწვანეები, როგორც კატის თვალები. მე მაქვს ოპალები, რომლებიც ინთებიან მუდამ მეტათ ცივი ალით: მაქვს ოპალები, რომლებიც მწუხარებას ასხამენ სულს და ეშინიათ სიბნელისა. მე მაქვს ანქვითები, მზგავსები კვდარის თვალის გუგასი. მე მაქვს მთვარის ქვები, რომლებიც იცვლებიან, როცა მთვარე იცვლება, და რომლებიც მკრთალდებიან, როცა ისინი ხედავენ მზესა. მე მაქვს საფირონები, დიდები, როგორც კვერცხები, და ლურჯები, როგორც ლურჯი ყვავილები. მათში ღელავს ზღვა, და მთვარე არასდროს არ

რევს მათი ტალღების სიცისფერეს. მე მაქვს ქრიზოლიტები და ბივრილები, მე მაქვს ქრიზოპრასები და ლალები, მე მაქვს სარდონისები და ჰიაცინტები, და ჰალცედონები, და მე თქვენ მოგცემთ ყველას, დიახ, ყველას და მივუმატებ კიდევ სხვა ნივთებს. ინდიელთა მეფემ ეს არის გამომიგზავნა ოთხი მარაო, თუთიყუშის ფთებისაგან გაკეთებული; მეფემ ნუმიდიისამ კი—საცმელი სირაქლემას ფთებისაგან. მე მაქვს კრისტალი, რომლის შეხედვა ქალებს დაშლილი აქვთ და რომლის შეხედვა ყმაწვილებსაც კი მხოლოდ მაშინ შეუძლიათ, როცა მათ გაამათრახებენ. სადაფის კოლოფში მე მაქვს სამი საუცხოვო ფიროუზი. თუ ისინი ჩამოიკიდე შუბლზე, შესაძლოა წარმოიდგინო ნივთები, რომლებიც არ არსებობენ; თუ კი ისინი ატარე ხელზე, შესაძლოა ქალები გახადო უნაყოფოდ. ეს საუნჯენი დიდი ფასეულობისაა. და ეს ყველა არაა. სპილოს ძვალის კოლოფში მე მაქვს ორი ქარვის თასი, რომლებიც ოქროს ვაშლებს გვანან. თუ მტერმა ამ თასებში ჩაუშვა შხამი, ისინი დაემზგავსებიან ვეცხლის ვაშლებს. ქარვით მოჭედილი კოლოფში მე მაქვს ქალამნები შუშებით მოჭედილნი. მე მაქვს საცმელნი სერრის მხარიდან და სამაჯურნი წითელი ლალებით და წვანილაებით ეფრატის ქალაქიდან... ბოლოს, რა გსურს შენ, სალომე? მითხარი მე, რა გსურს შენ, და მე მოგცემ შენ. მე მოგცემ შენ ყოველს, რასაც კი შენ მოითხოვ, გარდა ერთისა. მე მოგცემ შენ ყოველს, რაც კი მაქვს, გარდა ერთი სიცოცხლისა. მე მოგცემ შენ მღვდელმთავარის შესამოსელს. მე მოგცემ შენ ფარდას წმიდათა წმიდისას.

იუდეველები. ო! ო!

სალომე. მომეც მე თავი იოქანაანის.

ჰეროდე (დაუშვებს თავის საჯდომზე). მიეც მას, რასაც იგი თხოულობს. ჭეშმარიტად იგი ასულია თავის დედისა. (პირველი მეომარი ახლოვდება. ჰეროდიას ხსნის ტეტრარქს ხელზე ბეჭედს სიკვდილისას და გადასცემს მას მეომარს, რომელიც მაშინვე მიუტანს მას ჯალათს. ჯალათს შეშინებული სახე აქვს). ვინ წაიღო ჩემი ბეჭედი? მე ბეჭედი მქონდა მარჯვენა ხელზე. ვინ დალია ჩემი ღვინო? მე თასში ღვინო მქონდა. თასი სავსე იყო ღვინით. ვიღაცამ დალია იგი! ო! მე მჯერა, რომ ვინმეს შეემთხვევა უბედურება. (ჯალათი ჩაუშვებს ჯაში). ახ! რათ მოგეცი მე სიტყვა? მეფენი არასდროს არ უნდა აძლევდენ სიტყვას. თუ ისინი სიტყვას ვერ იკავებენ, ეს საშინელებაა. თუ ისინი დაიჭერენ მას, ესეც იმდენათვეა საშინელება.

ჰეროდია. მე მგონია, ჩემი ქალიშვილი კარგათ მოიქცა.

ჰეროდე. მე დარწმუნებული ვარ, რომ მოხდება უბედურება,

სალომე (გადაეყუდება ჯას და ყურს უგდებს). არავითარი ხმაური. მე არაფერი მესმის. რათ არ ყვირის იგი, ის კაცი? ა! ჩემს მოკვლას რომ ვინმე ცდილიყო, მე ვიკივლებდი, მე არ მენდომებოდა ტანჯა... დაარტყი, დაარტყი, ნაამან. დაარტყი, მე გეუბნები შენ!.. არა. მე არაფერი მესმის. იქ საშინელი დუმილია. ა! რაღაცა დაეცა მიწაზე. მე გავიგონე, როგორ დაეცა მიწაზე. მე გავიგონე, როგორ დაეცა რაღაცა. ეს ხმალია ჯალათის. მას ეშინია, ამ მონას. მას გაუვარდა თავის ხმალი. იგი ვერ ბედავს მოჰკლას იგი. იგი მხდალია, ეს მონა! უნდა გაიგზავნოს მეომრები. (იგი ხედავს ჰეროდიას ბაჟს და მიმართავს მას). მოდი აქ! შენ მეგობარი იყავ იმისა, ვინც მოკვდა, არა? ჯერ კიდევ არ არიან საკმაოდ მკვდრები. უთხარით მეომრებს, რომ ისინი ჩაეშვან იქ და მომიტანონ მე ის, რასაც მე ვითხოვ, რასაც დამპირდა მე ტეტრარქი, რაც მე მეკუთვნის. (ბაჟი უკან იხევს. იგი მიმართავს მეომრებს). მოდით აქ, მეომარნო, ჩაეშვით ამ ჭაში და ამომიტანეთ მე იმ კაცის თავი. (მეომრები უკან დაიხევენ). ტეტრარქ, ტეტრარქ, უბრძანეთ, თქვენს მეომრებს მომიტანონ მე თავი იოქანაანის. (დიდი შავი ხელი, ხელი ჯალათის, გამოჩნდება ჯიდან; უკავია ვეცხლის ლახტზე იოქანაანის თავი. სალომე ხელს წაავლებს მას. ჰეროდე სახეს იხურავს მოსასხამით. ჰეროდია იდიმება და აქნევს მარაოს. ნაზარეველნი მუხლებზე ეშვებიან და იწყებენ ლოცვას). ა! შენ არ გინდოდა ნება მოგეცა ჩემთვის მეკოცნა შენი ბაგე, იოქანაან. მაშ, აი ასე! მე ამ წამს ვაკოცებ მას. მე უკბენ მას ჩემი კბილებით, როგორც კბენენ მწიფე ხილს. დიახ, მე ვაკოცებ შენს ბაგეს, იოქანაან! ხომ გითხარი მე ეს შენ, არა? მე შენ გითხარი ეს. მაშ, ასე! მე ვაკოცებ მას ახლა!.. მაგრამ რათ არ მიცქერი შენ მე, იოქანაან? შენი თვალები, რაიც ასე საშინელი იყვენ, რაიც ასე იყვენ სავსენი რისხვითა და ზიზღით, ისინი ახლა დახუჭულნია? გაახილე შენი თვალები! ასწიე შენი ქუთუთოები, იოქანაან! რათ არ მიმზერ შენ მე, იოქნაან? შენ გეშინია ჩემი, იოქანაან, და მისთვის არ გინდა მიცქირო მე!.. და შენი ენა, რაიც იყო თითქო წითელი გველი, გესლის გადმომთხევი, იგი აღარ მოძრაობს, იგი ახლა არაფერს ლაპარაკობს, იოქანაან; ეს წითელი იქედნა, რაიც ანთხევდა ჩემზე თავის შხამს. ეს უცნაურია, არა? რათ არ მოძრაობს მეტათ ეს წითელი ხვლიკი? შენ არ გინდოდი მე, იოქანაან. შენ უარმყავი მე. შენ მეუბნებოდი მე საშინელ სიტყვებს. შენ მომექეცი მე, როგორც მეძავს, როგორც მრუშს, მე, სალომეს, ჰეროდიას ასულს, მეფის ასულს იუდეისას? მაშ ასე, იოქანაან, მე კიდევ ვცოცხლობ, შენ კი მკვდარი ხარ და თავი შენი მეკუთვნის მე. მე შემიძლია მას ის ვუყო, რაც მე მომესურვება. მე შემიძ-

ლია იგი ძაღლებს გადავუგდო და ან ჰაერის ფრინველებს. ის, რასაც ძაღლები დატოვებენ, შესჭამენ ფრინველები ჰაერში... ახ, იოქანაან, იოქანაან, შენ ერთად ერთი იყავი, რომელიც მიყვარდა მე. ყველანი სხვა ვაჟები ზიზღს იწვევდენ ჩემში. მაგრამ შენ, შენ მშვენიერი იყავი. შენი ტანი სვეტი იყო სპილოს ძვალისა ვეცხლის საფეხურზე. ეს იყო ბალი სავსე მტრედებით. და ზამბახეებითა. ეს იყო ვეცხლეული კოში, შემკული სპილოს ძვალის ლახტებით. არა იყო რა ქვეყანაზე ისეთი თეთრი, როგორც შენი ტანი. არა იყო რა ქვეყანაზე ისეთი შავი, როგორც შენი თმები. მთელს ქვეყანაზე არა იყო რა ისეთი წითელი, როგორც შენი ბაგე. შენი ხმა იყო საცეცხლური, გამომცემი უცნაური სურნელებისა, და როცა გიცქერდი შენ, მე მესმოდა უცნაური მუსიკა! ახ, რათ არ შემომხედე შენ, იოქანაან? შენს თვალებს იქით და შენს გმობას იქით შენ დამალე შენი სახე. შენ აიფარე თვალები იმის აშურმით, ვისაც უნდა ხილვა თავის ღმერთისა. და აი შენ იხილე იგი, შენი ღმერთი, იოქანაან, მე, მე კი... მე შენ არას დროს არ გიხილავარ. შენ რომ გენახე მე, შენ შემიყვარებდი მე. მე, მე გიხილე შენ, იოქანაან, და მე შეგიყვარე შენ... მე მწყურია შენი სილამაზე. მე მშია შენი ტანი. და არც ღვინოს, არცა ხილს არ ძალუძთ მოჰკლან ჩემი სურვილი. რა ვქნა მე ახლა, იოქანაან? არც მდინარეებს, არცა დიდრონ წყალებს არ ძაულუძთ დააცხრონ ჩემი ვნება. მე ვიყავი მეფის ასული, შენ უარმყავი მე. მე ვიყავი ქალწული, შენ წამართვი მე ქალწულობა. მე ვიყავი უმანკო, შენ ცეცხლი შეასხი ჩემს ძარღვებში... ახ! ახ! რათ არ შემომხედე შენ მე, იოქანაან? შენ რომ ჩემთვის შეგეხედა, შემიყვარებდი მე. მე ვიცი, რომ შენ შემიყვარებდი მე, და საიდუმლო სიყვარულისა უფრო დიდია, ვიდრე საიდუმლო სიკვდილისა. მხოლოდ სიყვარულის საიდუმლოს უნდა უცქირო.

ჰეროდე. იგი საშინელებაა, შენი ასული, იგი სრულიად საშინელებაა. ის, რაც მან ჩაიდინა, ჭეშმარიტად დიდი დანაშაულია. მე მწამს, რომ ეს დანაშაული უცნობი ღმერთის წინააღმდეგაა.

ჰეროდია. მე დასტურს ვდებ მას, რაც ჩაიდინა ჩემმა ასულმა, და მინდა ახლა დავრჩე აქ.

ჰეროდე (დგება). ა! იწყო ლაპარაკი მეუღლემ—სისხლის შემრეველმა! წავიდეთ! მე აღარ მინდა დავრჩე აქ. წავიდეთ, მე შენ გეუბნები. მე მჯერა მე მჯერა, რომ მოხდება უბედურება. მანასე, ისახარ, ოსია! დააქრეთ ჟინჟღილები! მე არა მინდა რა ვიხილო. მე არ მინდა, რომ რაიმე მხედავდეს მე.

დააქრეთ ჟინჟღილები! დამალეთ მთვარე! დამალეთ ვარსკვლავები! მივიმალოთ ჩვენს სასახლეში, ჰეროდია. მე უკვე შიში მიტანს.

(მონები აქრობენ ჟინჟღილებს. ვარსკვლავები ქრებიან. დიდი შავი ღრუბელი გაიარს მთვარის წინ და სრულიად მიფარავს მას. სცენაზე სრული სიბნელე ისადგურებს. ტეტრარქი იწყებს ასვლას კიბეზე).

ხმა სალომესი ა! მე ვაკოცე შენს ბაგეს, იოქანაან, მე გადავკოცნე შენი ბაგე! იყო მძაფრი გემო შენს ტუჩებზე. იყო თუ ეს გემო სისხლისა?.. მაგრამ, შეიძლება ეს იყო გემო სიყვარულისა. ამბობენ, სიყვარულს მძაფრი გემო აქვსო... მაგრამ სულ ერთია. სულ ერთია. მე ვაკოცე შენს ბაგეს, იოქანაან, მე გადავკოცნე შენი ბაგე.

(მთვარის შუქი დაეცემა სალომეს და ასათუებს მას).

ჰეროდე (მოიხედავს და შეხედავს სალომეს). მოჰკალით ეს ქალი.

(მეომარნი დაეცემიან და ლანტებით გასრესენ სალომეს, ჰეროდიას ასულს, მეოცის ასულს იუდეისას).



ნ. ლეონიძე.

ძლიერნი სულნი.

(შექმნილი ლეგენდა).

De te, რ., fabula narratur.

ია! იყვნენ ადამიანები ძლიერი სულით, ამაყნი, ქედმოუხრელნი, დაუდგომელნი. თავი ზე-კაცათ მიაჩნდათ, თვისი ნება—წმინდა კანონათ, პიროვნების გამოჩენა—უმაღლეს მიზნათ. სძულდათ და უყვარდათ არა გრძნობით—მთელი სხეულით, აზრით, სიხარულის ცრემლებით და ტანჯვის ხარხარით.

აზროვნებდენ არა წუთებით,—წლობით იყვენ გამსჭვალული ერთი საკითხით. ყველას თავი მეფეთ ესახებოდა და ქვეყანა—თვისი ცხენის სათელათ.

ნაქანდაკები შეხედულებით, იასავით მგრძნობიარე, გველივით მახვილგონიერნი—არ გვგავდენ ჩვენ, ლოკოკინასავით მოღოღიალე ხალხს, მატლებს ამა ქვეყნისას. არ ეშინოდათ უჩვეულო გრძნობის, არ ეძიებდენ მუდამ თანამოაზრეს.

აი ერთი ამბავი მათის ცხოვრებიდან.

I

ქვრივს ქალიშვილი ყავდა. რომ ამოდის მზე ღვთის შესახვედრათ, ქვეყანას მორთავს შვენებითო, ამბობენ. მართალია. მაგრამ შემომქმედი რომ გადმოიხედავდა, ქვრივის ქოხში ჩაიხედავდა, როგორ სძინავს ჩემს რუსუდანსო. დიდხანს სტკებოდა უფალი თვისი მხევალით; უფალი ზევიდან დაყურებდა მძინარე რუსუდანის შვენებას; ათასის თავის ვაჟიშვილი სულგანაბული იცდიდა თვისი სახლის კარების უკან, აი როდის გამოვა ეზოში ტანის რხევით და გამოაშუქებს ულმობელი ქალიო.

უმთვარო ღამე იყო, უვარსკვლავო. არ ეძინა მხოლოდ ათასის თავის ვაჟს. მეტ სახელათ ცხენ-ლოგინას ეძახოდენ. მართლაც ან ცხენზე იჯდა და ან ლოგინში იწვა. შეიძლება იმიტომაც დაარქვეს ასეთი მეტი სახელი, რომ ცხენზე, როგორც ლოგინში, გრძნობდა თავს: თვეობით დახეტიალობდა მთაში მტერზე და მხეცზე სანადიროთ. ერთი ხანია კი სოფელს არ შორდებოდა.

ეჭვიანია სიყვარული. აი ახლაც ცხენ-ლოგინა ბრაზობდა, ეჭვიანობდა: რათ შეეჩვია ქვრივს აფხაზი? რა აქვთ საერთო? შარშანდელი თარეშიც უმაგისოთ რომ არ მომხდარა, დანამდვილებით ვერ გავიგე; დავიფიცებ კი! ამდენი საჩუქარიც რომ არ მინახავს! მოაქვს და მოაქვს. რა ენაღვლება: ოდიშში ნათარეშევს აქ მოიტანს, აქიდან არაფერი გაყავს. რაც ეს აფხაზი დაუმეგობრდა

ასის თავის ქვრივს, ჩვენში ცხვარიც არ დაკარგულა. შარშანდელი თარეში მაგის საქმეა! საწყალი ველის-მზელა კი ემსხვერპლა... მთვარიანი ღამე იყო. მოიტაცეს... კიოდა. თვით მამა-მისმა ესროლა ისარი და ისიც და მისი გამტაცებელიც ცხენიდან ჩამოაგდო. ცხენოსანი რომ მოგვვარდა უშიშრათ, ჩაბალახ— ჩამობურული, ერთი დახედა, ის არ ყოფილაო, სთქვა და გაქრა... აი ეს აფხაზია... ნამდვილი... მაგრამ ვისზე სთქვა ის არ ყოფილა, მადლობა ღმერთსო? ნამდვილ, ნამდვილ რუსუდანზე... აჰ?.. სად წამივა? მიწაში ვერ ჩაძვრება, ცას ვერ გამოეკერება; ხმელეთზე ყოველგან ვნახავ მაშინდელ თარეშს არაფერი წაუღია, არაფერი გაუდენია... მხოლოდ ველის-მზელა!.. ქვრივ დედაკაცს საიდან მოეკიდა შვილობილათ ის აფხაზი?.. საწყალი ვახტანგი! მოკლა მტერი, მაგრამ თავისი შვილიც თან გადაატანა. ხელის კლანჭებით გამოღადრა ცხენს კისერი, დაიფიცა: სანამ ისრების რტყმევით ამ ცაცხვს არ გავახმობ, მანამ არც მე მოვშორდები ამ ადგილსო. ვერ გაახმო ცაცხვი, ვეებერთელაა, მისი ჩრდილი ახლა ფარავს ორივე მამაშვილს. საწყალი ვახტანგი, რა ვაჟკაცი იყო! სულთ მობრძავი რომ იყო, მაშინც ისარს ურტყამდა ცაცხვს.—

ბიჭო, ეს რა ამბავია?.. ცხენის ფეხის ხმა!... ჩვენი ძაღლები ყეფენ! დიმიტრის ეზოს ჭიშკარი ჭრიალებს. ეი, მდევარი!.. ვინა ხარ?.. გამოიხედეთ! ქურდი!.. მდევარი! დედაბერო, თავს უშველე, გაგქურდეს! შენმა შვილობილმა გაგქურდა, ქალი წაგართვა!..

ცხენ-ლოგინა უკვე უბელო ცხენზე იჯდა; აფშარათი მართავდა.

II

ცხენი მოკვდომოდათ. აფხაზი და რუსუდანი მდინარეს ქვეითად მიადგენ. წყალდიდობა იყო. გასვლა ეძნელებოდათ.

— სად წამიხვალ, წუწკო, ურჯულო, მიაძახა მათ უბელო ცხენზე უიარაღო მხედარმა. ვაჟი ისარივით გადმოვარდა ცხენიდან.

— თუ ვაჟკაცი ხარ, რას იგინები?

— შენ ზდილობის რა ღირსი ხარ. ღამის ქურდო, სტუმრობის ადათის გამტეხო! გააგდე იარაღი, თუ მართლა ვაჟკაცი ხარ. მე უიარაღო ვარ.

— რათ ვიზამ სისულელეს! რითაც გაჯობებ, მით მოგიშორებ თავიდან.

— აკი გითხარი, ვაჟკაცი კი არა, ღამის ქურდი ხარ მეთქი! მაგრამ არაფერია. რკინას ხელი უნდა, თვარა თვითონ ხომ არა სჭრის!..

— მარტო ვიყო, სახელისთვის ეგებრძოლებოდი, ახლა კი რუსუდანისათვის ვიბრძვი. გასამჯელო საკმაოა; დინჯათ უპასუხა აფხაზმა.

ქაჯსა გავდა ნიფხავ-პერანგის ამარა მომხდური, აფხაზს მომარჯვებული ხანჯალი ეჭირა. პირდაპირ მივარდნა არ შეიძლებოდა.

ვაჟი ჭინკასავით ხან მოიკუმშებოდა, ჩაჯდებოდა, ხან ჩამჯდარი გადახტებოდა აფხაზისკენ, ხან უკან დაიხევდა და საშინელის სისწრაფით აფხაზის ირგვლივ დატრიალებდა. დამხდური იძულებული იყო—მუდამ სახეში ეცქირა მტრისთვის, რომ უეცარის ნახტომით ზურგიდან არ მოქცეოდა.

ქალი ხმა გაკმენდილი შორიახლოს იყო და თავისი ყოფნით ორივეს აშმაგებდა, აბოროტებდა, ამხეცებდა.

ამ ხტუნვაში ვაჟმა აიღო ქვა... აფხაზს არ შეუნიშნავს... სასროლათ ადვილათ არ იმეტებდა: ერთად ერთი იარაღი იყო.... დროს ეძებდა; თვალით ზომავდა; უმიზნებდა და ძალას იკრეფდა... ერთი გადახტომის დროს თვალის დახამხამებაზე მარცხენა ხელით ფხვიერი მიწა მოსთხარა, ახლოს მივარდა აფხაზთან და თვალში შეაყარა; მერე უკანვე დაიხია და ქვა შიგ მკერდში დასცა. აფხაზი შეტორტმანდა... ეცა ხელში. ხანჯალი ვერას გზით ვერ წაართვა. მარცხენა ხელში ლეკური, მარჯვენაში ხანჯალი სიკვდილსავით ჩაებღუჯა და ქვეყნიური ძალა ვერ წაართმევდა. ვაჟი სწვდა აფხაზს ყელში და გაგუდა. ორივე დაეცნენ. არც ერთი ხმას არ იღებდა... ქშინავდენ. ოფლი ხვითქათ მოდიოდათ.

— გაუშვი ხელი!—დაიძახა ქალმა.

ვაჟი იმავ წამს წამოდგა და აფხაზი მიატოვა. ქალი წაქცეულს მივარდა, ჩაეხუტა, ცრემლებს აფრქვევდა, გულს უშინჯავდა, სუნთქავს თუ არაო.

— მოშორდი უმგვანოს!

— თუნდაც მოჯალაბე იყოს, ფეხს დავბანდი, რომ შენ, უღმერთო, არ წაგერთმია!

— აფხაზია—ურჯულო.

— მის ღმერთს ვეთაყვანები!

— როდის მოასწრო შენი მოხიბლვა?

— როცა მისი ფშვენა ჩამესმა ძილში... როცა შემეხო ათრთოლებული ხელი... როცა უნაგირზე ჩამიკრა გულში... როცა გაშმაგებული მკოცნიდა და ყურადღებას არ აქცევდა მდევართა ისრებს და გახელებულ ქროლას ცხენისას უგზო-უკვლო მთა ღრეში, როცა გაბედა და ჩემთვის დაარღვია სტუმართ კანონი და მომვარდა წასაყვანათ... შენ ვერ გაბედავდი!

— გულიც მოგიკვდეს!

— ვიცი—ვერაფრათ მოგხიბლავ... მაინც გეტყვი: ყველაფერს ვიშოვიდი, მოვიმოქმედებდი, მონათ გაგიხთებოდი, ღვთაებად დასახულო! აი ჩემი გული—

ამოიღე, დაფერფლე, ოღონდ ერთი წამი, ერთი წამი მომეც სიტკბოებისა.

— თავს მომაკვლევინებ?

— აღტაცებით!

— მაშ რა გინდა?

— ერთი ამბორი...

— კარგი, თანახმა ვარ.

ქალმა შეუმჩნევლათ ამოაძრო თავის საყვარელ არსებას ხანჯლის ქარქაშიდან პატარა ხანჯალი.

— გაიხადე ფეხს! ოჰ, რა მშვენიერებაა! გაუშვი ტევრათ თმა, გადიყარე უკან; გადიღიღნე გულ-მკერდი; აიკაპიწე სახელოები! ასე... ოჰ, ნეტა თუ იყოს სხვა რამ ამ ქვეყნათ?.. ასე, აქ დაჯექ, ამ კლდეზე.

— რას მიშვებ, რა გინდა?

— არაფერი, ერთი ამბორი მხოლოდ.

— ერთი ამბორი, მაგრამ ისე, როგორც მე მსურს... რომ დავდნე—რომ დავიწვე... რომ, სანამ შენ მოასწრებდე, მე თვით დავლიო სული ნეტარების სისუსტით...

ქალი კლდეზე ჩამოჯდა. კლდე კიბისებური იყო. ვაჟი უფრო ქვეით დაჯდა. ტიტველ ფეხებს ხელი მოუჭირა, თავი ქალს კალთაში ჩაუდვა, გადასწია თავი და შეხედა... მართლაც მშვენიერება იყო... ქალი დაიხარა, მაგრამ ფეხები გვერდებზე მოუჭირა, ჩაეკონა... პატიოსნათ აასრულა ქალმა დაპირებული. მთელი სიძულვილის ეშხით, მომავალ შურისძიების წინათ გრძნობით ჩაეწება ქალი ვაჟის ტუჩებს. მარჯვენა ხელი შემოხვია ყელზე. ნელა გაუხსნა ვაჟს ყელსაბელი და გულზე ხელი დაადვა. ვაჟი მთვრალი იყო. ქალი არ ათავებდა კოცნას. მარცხენა ხელით ნელა დაადვა გულის ფანცქალს პატარა, ბასრი ფოლადის წვრილი ხანჯალი. ქალი არ ჩქარობდა; ქალი თვით გაიტაცა ვაჟის გაუზომელმა ტრფიალების ჟინმა და ცდილობდა, სანამ ხანჯალი თავისას გასჭრიდა, ამოეწუწნა საწყალის სული. ხანჯლის წვერი ნელ-ნელა შედიოდა გვერდების ძვალთა შორის სხეულში, თითქოს იქ ეძებს—დარჩა გული თუ ქალის ტუჩებმა ზევით ამოიღოვო. სისხლი ჭრილობიდან მოდიოდა, წყნარა მიყვებოდა ვაჟის სხეულს, იკარგებოდა პერანგის ჩრდილოში და არ სვრიდა რუსუდანის კალთასა და თეთრ თითებს...

უეცრათ ქალმა ვაიო დაიძახა, ჯერ გაიმართა, მერე ისევ ჩაიკეცა, თითქოს ხელმეორედ კოცნისო... აფხაზი მიპაროდა მათ და, რა შეემჩნია ასეთი ღალატი, თავისი ექნა, მაგრამ დასუსტებულს იქვე გული წასვლოდა...

სამივე მთის ძირში ეგდო. მოწმენდილი ცა სხივს ფენდა, დაბურული ტყე ჩრდილს უგზავნიდა. ეკალი, მაყვალი, გვიმრა, ფარავდა.

აფხაზი გონს მოვიდა. რუსუდანი და ვაჟი ერთმანეთს ჩაცივებოდენ. ქალს სულის თქმა არ ქონდა. სიკვდილის ფერი კიდევ უფრო უხდებოდა შავ თმას და შავ ტანსაცმელს, ვაჟი ცოცხალი იყო... მგონი თვით ცდილობდა არ გამორკვეულიყო. ჭრილობა არ უგრძვნია: ეშინოდა—ამ კოცნას შემდეგ რუსუდანი გამშორდებაო.

III

აქაფებულ ცხენზე მათ თავს წამოადგა ქალის დედა. ერთი თვალის გადავლებით სინამდვილე ვერ გაიგო.

— ღვთისა და თემობის მგმობელო, შენ მომიკალი, გამიუპატიურე ქალი!—მხეცივით ეცა დედაკაცი ვაჟს, სცემდა, სჯიჯგნიდა და თან უყვიროდა:

— შენზე არ გავსვი იარაღს, შეგჭან ჩემი კბილებით...

— კმარა!— სუსტი ხმით დაიძახა აფხაზმა, მე მოვკალ რუსუდანი, მოუარეთ. დედაკაცი სრულიათ დაიბნა.

აფხაზის სიტყვები ვერ გაიგო ვერც ჯინჯგავითა და ყვირილით გამოღვიძებულმა ვაჟმა. სისხლისაგან დაცლილი—იგი უსიტყვოთ ეგდო.

ორ კვირას ელოდენ ქალის გაცოცხლებას. თითო-ოროლი, შემთხვევით წამონასროლმა სიტყვამ გააგებია მათ მთელი სინამდვილე. სასოწარკვეთილმა აფხაზმა წამოიძახა:

— არც ერთი ჯარა ვართ დამნაშავე!.. უბედურ დღეზე ვყოფილვართ გაჩენილი.

შვენიერება მოკვდა: ლოყების ელფერი დაიკარგა. გასივდა ტანი, გაჩნდა მატლი. თვალები ჩავარდა, თმა გაშეშდა, გახმა... სიყვარული კი დარჩა უკვდავი.

— რა ვქნათ ისეთი, რაც არც ერთ ადამიანს არ ექმნას? რით დავსტოვოთ სამარადისოთ რუსუდანის სახელი?—იკითხა ერთხელ აფხაზმა.

— მეც მაგაზე ვფიქრობდი! თითქოს ძლივს წარმოსთქვა წყნარათ ჯერ კიდევ ფიქრში გართულმა დედამ.

— მეც!

— ავაშენოთ მეჩეთი!

— ათასი აუშენებიათ!

— ავაშენოთ მხოლოდ ჩვენ სამმა!

— ჩვენ—სამმა...

— ისე, რომ არც ერთი ადამიანი არ დავიხმაროთ!

— მიუვალ კლდეზე...

— კლდეზე...

— უიარაღოთ, რომ ხელით ვთხრიდეთ ქვას და პეშვით მიგვქონდეს წყალი.

— კეთილი!

— არ ჩავიდეთ ქვევით, ადამიანებთან; შეკერილი არ ჩავიცვათ, მოხარშული არ ვსჭამოთ.

— ამინ!

— მეჩეთი არ ვარგა.

— ჩემთვის სულ ერთია.

— ჩემთვისაც!

— ჩემთვისაც, ოღონდ რუსუდანი ღვთის მოსავი იყოს.

— რომლის?

— რამდის?

— რომლის?

— ავაშენოთ მის სადიდებლათ დიდი მშვენიერი გუმბათით სადგომი, მისდა კვარცხლბეკათ, მისი ტრაპეზი... მას ვუგალობოთ, იმაში—ყველა ღმერთს, ყველა ძალას.

— ამინ.

— ამინ.

— ამინ.

IV

წინათაც ეს ადგილი მიუვალ იქნებოდა. ახლა თვით ჯიხვიც ვერ მოიკიდებს ფეხს. გზატკეცილით მიმავალი დიდხანს შეყურებს ცაში დაკარგულს კლდეზე რაღაც ნიშნებს. არც კოშკია მტრისგან თავის დასაცავი, მრისხანე და მაგარი; არც ეკლესიაა გუმბათ-სამრეკლოიანი. რაღაც უზომო მწუხარებას თვისი ტანჯვის გამოსახატავათ უნდა აეშენებიოს იგი. დაბალია და დიდი: გძელი, რგვალი ქვითაა ნაშენი, არც კირი, არც სილა და ტალახი შიგ არ ურევია. მჭიდროა. ეტყობა—კალატოზს ყოველი ქვის დადებაზე დიდხანს უფიქრია, ქარი ხომ ვერ დაანძრევს, წვიმა ხომ ზიანს ვერ მოუტანს, სიმძიმე ხომ არ დაანგრევსო.

„ოთხი მკვდრის მონასტერს“ ეძახიან.

მართლაც, აქ თავის დღეში არც ზარას დაურეკია, არც ღვდელს უწირავს.

დიდხანს კი ისმოდა აქ სამი ადამიანის გალობა, თუ გალობა-ზარით ტირილი. ახლაც უმთვარო და უვარსკვლავო ღამეში რაღაც გუგუნი მოისმის იმ ნაშენიდან. თუ შიგ შებრძანდებით, ნახავთ იატაკს, რომელიც თლილი ქვისგან არ არის გაკეთებული, მაგრამ საკმაო სწორია: გავს—დიდის შრომით უხეხიათ ქვის იატაკი ქვებით და ისე გაულესიათ, რომ გაშალაშინებულსა გავს. ერთი კუთხე გადატიხრულია ვაზის საუცხოოთ გადაწნულის წნელით. ამ ღობეში წვრილის წნელით გამოხატულია მოხუცი ქალი, რომლის წინაც დგას ახალგაზდა ქალი და აქით-იქით მუხლ-მოდრეკილი ორი ვაჟი. თვით აღსავლის კარების წინ გათლილი ქვის მაღალ გძელ სუფრაზე დევს ჩონჩხი და შეყურებს აღსავლის კარებს. მასვე ირგვლივ იატაკზე სამი ჩონჩხი უწყვია, ორი გულზელდაკრეფილია და რიგზე დევს, მხოლოდ მესამე, მარჯვნით მდებარე, ხელებგადაშლილია და მინგრეულ-მონგრეული. გავს—ყოფილ მიცვალებულს პატივითა და სიყვარულით ეპყრობოდენ ცოცხლათ დარჩენილი ჭირისუფალნი, სანამ უკანასკნელი არ გადაიცვალა უპატრონოთ, უჭირისუფლოთ.

ასე გგონია მაცქერალს—ეს ოთხი ჩონჩხი ახლაც რაღაც უცნობ ღმერთს, საკურთხეველში მყოფს, ევედრება—ეთაყვანებაო.

საკურთხეველში ტრაპეზი კი არის, მაგრამ რა ღმერთი იყო ზედ აღმართული, უცნობია. მონასტერში ბევრი ღირს-შესანიშნავი ნაშთი იპოვეს. მეცნიერნი ცთილობენ მათი საშვალებით გამოარკვიონ, თუ ვის ეკუთვნოდა თვით ნაშენი. გალავანში ხელოვნურათ შეჭრილია ჯვარი; ეზოში ნახეს სპარსული ფული და ბერძნული პატარა ლამპარი. მეცნიერნი ფიქრობენ და ვერ მიმხვდარან, რომ აქ სუფევდა ღმერთი, რომლის წინაშეც ყველა ღმერთი მხოლოდ უბრალო კათაკმეველნი არიან.

წარმართნი და კერპის თაყვანისმცემელნი მაჰმადიანები და ქრისტიანები ისრის სროლით, ცეკვით მიახლოვებიან ამ ადგილს, ყიჟინით მოზღვავებულან, ზარბაზნები დაუმიზნებიათ; უნებლიეთ თავი კი დაუხრიათ, მუხლი მოუდრეკიათ უცნობი ღვთის წინაშე, რომლის არც ქანდაკება მოჩანდა, არც სიტყვა ისმოდა და არც ცოცხალი ქურუმნი ყავდა; მაგრამ მაინც სუფევდა... საგრძნობი იყო გულით, სახილველი გონებით... „ოთხი მიცვალებულის მონასტერში“.

პოლიკარპ კაკაბაძე.

სამი ასული.

ლირიკული დრამა.

საწილი პირველი.

უდაბურ მთების (და შეიძლება საუკუნოების) სიღრმეშია ეს მოქმედება. ზამთარია. ბუხარში დვივის ტეტხლი.—ბუხრის წინ ზის სამი ერთმანეთზე მშვენიერი ასული. სამივ თეთრ მატელს ჩეჩავენ. დრო-გამოშვებით ისინი უცქერიან ერიმანეთს მეოცნებე, შშვიდი თვალებით. მეორე ოთახიდან მოისმის მოხუც ქალის „ნანინა“.

პირველი ასული. ნეტავ ჩვენ გვიმღეროდეს დოდო ნანინას.

მეორე ასული. ძლიერ გეძინება?

მესამე ასული. იმ ბავშვს არ ეძინება. რამდენი ხანია დოდო ნანინას უმღერის და ვერ დააძინა.

მეორე ასული. ჯერ შუაღამე იქნება?

პირველი ასული. მე მგონია არ იქნება... იმდენი მატყლია კიდევ!

მესამე ასული. ბევრია...

პირველი ასული. მე მომწყინდა ამდენი შრომა!.. დოდო სულ გვირისხდება...

მესამე ასული. დოდო მკაცრია!..

მეორე ასული. ძლიერ მკაცრია.

(დუმილია).

პირველი ასული. მე გზა რომ ვიცოდე, სადმე გავიქცეოდი.

მეორე ასული. ჩვენ ყველანი გავიქცეოდით, მეგობრებო, მაგრამ გვეშინია ლეკებმა რომ მოგვიტაცონ გზაზე.

(ხანგრძლივი დუმილია. ვიდაცა ურტეამს კარებზე. ასულები შეშკრთალ მტრედებივით ასწევენ თავს და დააყურებენ).

პირველი ასული. ეს ქარია!

(განაგრძობენ ჩეჩას. ვიდაცა კიდევ ურტეამს კარებზე. ასულები დააყურებენ).

პირველი ასული. ეს ქარია!..

მეორე ასული. ჰო...

(დუმილია. ისევ გაისმის რახუნი).

მესამე ასული. ქარია!..

მეორე ასული. ისევ...

პირველი ასული. ა?..

(განაგრძობენ შრომას. უცნობი ორჯერ დაარტყამს კარებს. ასულები ძლიერ შემკრთალნი ასწევენ თავს).

დედოს ხმა (შეორე ოთახიდან). ვინ არის?

პირველი ასული. ჩვენ ქარი გვეგონა და...

მეორე ასული. ჩვენ გვეგონა ქარი ურტყამდა კარებს.

მესამე ასული. მაგრამ, როგორც ვატყობთ ვიღაცაა...

პირველი ასული. ჩვენ გვეშინია, ვერ გაუღებთ კარებს.

დედოს ხმა. ხმა გაკმინდეთ, ხმა არ ამოიღოთ... მე ავალ მაღლა და ჭიტანოდან გადავიხედავ. თუ ბავშვია მივიღებ... თუ ქალია მაინც მივიღებ... მაგრამ...

პირველი ასული. არა, სხვა გვარმა ხელმა დაარტყა...

დედოს ხმა. ხმა ჩაიწყვიტეთ, დაჩუმდით! თორემ თოკით გადაგკიდებთ ამ მაღალ კოშკიდან!

(სამი ასული თავს ჩაქინდრავენ. ისმის მაღლა მიმავალ დედოს ფეხის ხმა. ხანგრძლივი დუმილია. ასულები უცქერიან ერთმანეთს და ნელა იდიმებიან).

პირველი ასული. ვინ იქნება... ვინ იცის ვინ არის!..

მეორე ასული. ამ სიცივეში, ავდარში და სიბნელეში, რამ მოიყვანა ის, ვინც არის!...

მესამე ასული. ეს ადგილი უდაბურია. შორეულ მთებიდან მხოლოდ ერთი ბილიკია აქეთ წამომყვანი და ის ბილიკიც დამალულია.

პირველი ასული. ვინ იცის... (შესურდება) ეგებ ის მეფის მშვენიერი ვაჟია!.. მთელი სამეფო შემოიარა მან. მაგრამ ვერსად ვერ ჰპოვა სატრფო და ბოლოს მოვიდა აქ თავის ბედის მისაღებად! (თბილი სიტყვით). ეგებ ის ჩემთვის მოუყვანია ბედს! და ამ ზამთრის გრიგალში ღამით მომდგარა ჩემს კარებზე, ურტყამს ხელს და ჩქარობს; წამიყვანოს თავის მარმარილოს სასახლეში ჩამაცვას მარგალიტები და დამსვას დედოფლათ... იცით, მეგობრებო, მე ისეთი კეთილი ვიქნები მაშინ!..

(უსწრებს სიცილი. სხვებიც იცინიან ნელა).

მეორე ასული. მე მყავდა ძმა. ის შორეულ ქვეყანაში წავიდა საბრძოლველად და მას აქეთ შინ არ დაბრუნებულა. მოხუცი დედ-მამა დამეხოცა და დავრჩი მარტო... შემხვდა დედო... ცბიერი ენით შემომიტყუა აქ, როგორც თქვენ, და მამუშავებს... და წურბელასავით მწოვს ჯანს... მეც ვიტანჯები თქვენთან ერთად!..

პირველი ასული. ჩვენ ვიტანჯებით!..

მესამე ასული. ჩვენ ვიტანჯებით!

მეორე ასული. მაგრამ, ვინ იცის! ეგებ ჩემი ძმა დღეს დაბრუნდა შორეულ ქვეყნიდან და მოიტანა განძი, სიმდიდრე!.. მაგრამ ცალიერი და მკვდარი დახვდა ეზო... (ნაღვლიან ღიმილით) მან მთელი სამეფო შემოიარა ჩემს ძებნაში და, ბოლოს, მოადგა ჩემსკენ მომავალ ბილიკს... და, სუსხიან ღამეში, ამ კარების წინ დგას ჩემი გადაკარგული ძმა და ურტყამს ხელს, რომ გამათავისუფლოს და მიზიაროს უცხო ქვეყნიდან მოტანილი სიმდიდრე, შემყაროს (ოდნავ გაცინებულათ) საყვარელ ბედს!.. (პირველ ასულს) მაგრამ ეგებ ის მეფის მშვენიერი ვაჟია და მოდის შენთან. რომ წაგიყვანოს თავის დედოფლათ...

პირველი ასული. ესეც ხომ კარგი ოცნებაა.

მესამე ასული. ოცნებაა...

მეორე ასული. ჩვენი ქვეყანა ოცნებაა.

მესამე ასული. მას აქეთ, რაც მოგვაშორენ სინამდვილის ქვეყანას, ჩვენი ქვეყანა ოცნებაა..

(დუმილია).

დოდოს ხმა (მეორე ოთახიდან). ის საშიშარია. კარი არ გააღოთ, თორემ ვაი თქვენი ბრალი!.. მომხდურს შეიძლება გადაურჩეთ, მაგრამ მე ველარ გადამირჩებით, ქალებო, ვაი თქვენი, საცოდავების, ბრალი!.. ამ ყინვა-ქარში გაგაშიშვლებთ და ორ ღამეს ძეხვებივით გადაგკიდებთ მაღალ კოშკიდან... გესმით, მეტსაც ვიქ!.. კარი არ გააღოთ, თორემ მე ფრთხილათ ვწვები ეხლა, ფრთხილათ ვიძინებ ამაღამ, ხომ იცით ჩემი გული!..

(ასულები დახრიან თავს და მუშაობენ. ხანგრძლივი დუმილია. ერთმანეთს უცქერიან გრძნობით. ის—ვიდაცა დაარტყამს კარებს. სამივე ასულები ასწევენ თავს და დაფიქრდებიან. დუმილია).

მესამე ასული. ვინ იცის... ეგებ ის ქრისტე-მაცხოვარია გლახაკის სახით მოსული... და გვცდის ჩვენ... და ელოდება: გაუღებთ ამ ყინვა-ქარში კარებს და მივიღებთ დავრდომილს და მოუვლით თუ არა. ამ შუაღამით მოვიდა ის ქარში და გვთხოვს ბინას... და თვითონ მოაქვს უფრო ბედნიერი ბინა... მეგობრებო, ასეთ ღამეში ხშირათ დადის ქრისტე და, მომხდარა, როდესაც გაუღიათ გლახაკისათვის, მოვლენილა ღმერთი და კედლები გაბრწყინებულა! (მეორე ასულს) მაგრამ ის ეგებ შენი ღვიძლი ძმაა, და მოსულა, რომ გაგათავისუფლოს და გიზიაროს უცხო ქვეყნიდან მოტანილი განძეულობა!.. (დუმილია. ისინი იწყებენ შრომას, მხოლოდ დრო-გამოშვებით ასწევენ თავს და შეხედავენ ერთმანეთს. კარებზე ხელი დაარტყამს. ასულები შექრთებიან და იყურებიან კარებისაკენ).

პირველი ასული. ვინ იქნება... (მესამე ასულს) ვინ იცის, ეგებ გულმა გიაზრა შენ. და იქ მართლა ქრისტე-მაცხოვარია და, შესაფერ ხვედრის დასარიგებლათ მოვიდა ჩვენს კარებთან ამ ბნელში და ქარ-სიცივეში! (დუმილია. ისინი იწყებენ შრომას. ისევ გაისმის ხმა. ასულები ასწევენ თავს და ნადვლიანსათ იცქირებიან კარებისკენ).

მეორე ასული. გმინვა მომესმა...

პირველი ასული. მეც...

მესამე ასული. საბრალო...

(დუმილია).

მეორე ასული. ამ უდაბურ ადგილას რამდენი წელიწადია ვართ ჩვენ და არავინ მოსულა.

პირველი ასული. და რამ მოიყვანა ასეთ ქარში და გრიგალში ის,— ვინც არის.

(დუმილია. ისმის ძრწოლა, ძლივს ისმის. ასულები ჭდონდებიან).

მეორე ასული. ვინც უნდა იყოს: მწუხარეა.

მესამე ასული. ის რომ სახლში შემოვა,—მის სახეს კედლები მიესალმება...

მეორე ასული. საბრალო ჩემი ძმა!.. მე მთელი წლების განმავლობაში უცდიდი როდის დაბრუნდებოდა... შევეჩვიე მის ცდას... და ეხლაც მგონია თითქო ისაა... შორეულ ქვეყნიდან რომ მოვა ჩემი საყვარელი ძმა, უსათუოდ მომნახავს. ის ძველი მოლაშქრეა და არ მოერიდება სუსხიან ქარს და უდაბურობას ამ ადგილებისას.

(დუმილია. მეორე და მესამე ასული შრომობენ).

მესამე ასული (პირველ ასულს). შენ ოცნებობ? ჩვენზედ უფრო მშვენიერად შენ რამ ჩაგაფიქრა?..

პირველი ასული. მეშვიდე დიდი ღამეა მე მაქვს უსაამურესი სიზმრები. მე მესიზმრება ბედნიერება და... ვინ იცის... ახ, ჯერ ვოცნებობდი, მაგრამ ეხლა უფრო მგონია, თითქო ვიღაც მშვენიერი იყოს დამდგარი იმ კარებთან... (ავათმყოფ თვალებით იცქირება). მეგობრებო, რა კარგია ბედნიერება!..

მეორე ასული (ფიქრიანსათ). ვინ იქნება ჩვენთვის საშიში... **ჩვენთვის** საშიში!.. ჩვენ ისეც უბედურები ვართ...

(დუმილია. მეორე და მესამე ასული შრომობენ. პირველი ასულიც დაიწყებს შრომას. ნელა ასწევენ თავს, შეჭიდავენ ერთმანეთს და განაგრძობენ შრომას. უცნობი კიდევ დაარტყამს კარებს).

მესამე ასული, ის არის!..

პირველი ასული. თითები...

მეორე ასული. ?

(ტოტა დუმილია. გაისმის რახუნი და მერე გმინვა).

მეორე ასული. ის სწუხს.

პირველი ასული. ჰგმინავს...

მესამე ასული. ჰო...

(დუმილია. ისინი დადონებით განაგრძობენ ჩეჩას. უცნობი ისევ დაარტყამს. ძრწის.)

მესამე ასული. ის ისე ურტყამს, თითქო ჩემს გულში ურტყამდეს ხელს და უცდიდეს თუ გაიღება გული!..

პირველი ასული. მე მგონია თითქო სასოწარკვეთილათ მეძახის ბედნიერება: აჰა, მიმიღე, თორემ სამუდამოთ... სამუდამოთ... შისი თვალები ცასავით წმინდაა, მის ტუჩებში დიდი დაპირებაა... მაგრამ გულში ჯოჯოხეთია, ვინაიდან არ იღება წყეული კარი!.. (დუმილია).

მესამე ასული (მეორე ასულს). შენ ჰქვითინებ?... რატომ?

მეორე ასული. მე ძრწოლის ხმა გავიგონე და გამახსენდა ჩემი ძმის ხმა...

(ჩუმათ სტირის. დუმილია. სამიგენი იწყებენ შრომას).

მესამე ასული. ჩვენ ვთქვათ რამე... ზღაპარი...

მეორე ასული. ვერ ვიტყვი...

პირველი ასული. ვერც მე...

მეორე ასული (მესამე ასულს). შენ იტყვი?

მესამე ასული. ვერა.

პირველი ასული. ვინ იტყვის ზღაპარს?

მესამე ასული (მეორე ასულს). შენ ისეთი ზღაპარი გიყვარს, რომელიც სიკვდილით არ თავდება...

პირველი ასული. მე რომ პირველი ადამიანი ვყოფილიყავი, ევა რომ ვყოფილიყავი,—მე სიკვდილს არ მივიღებდი...

მეორე ასული. ღმერთმა ძალათ მოავლინა.

პირველი ასული. მე შევთხოვდი... მე დავიჩოქებდი მის წინაშე, საშინლათ ავძრწოლდებოდი... მთელი სულით, გულით!..

მეორე ასული. ის მაინც არ შეგიწყნარებდა.

მესამე ასული. რათა... ხომ კეთილი... (შეჩერდება).

პირველი ასული. ვთხოვდი!

მეორე ასული. შენ თხოვდი... ის, ვინც კარებთანაა განა არ გვთხოვს? განა არ ძრწის?..

(უცნობი ჰგმინავს).

მესამე ასული. ახ... ის ისე ჰგმინავს!

მეორე ასული. გესმით?

მესამე ასული. ო...

პირველი ასული. როგორ ჰგმინავს!..

მესამე ასული (სხვანაირ ტონით). შეეიბრალოთ, გაუღოთ კარი!

მეორე ასული. კარი?

პირველი ასული. კარი?

მესამე ასული. ქვეყანაზე ძლიერ ბევრია გაჭირვებული. — ისინი სულს ჰლევენ წამებაში.

პირველი ასული. გავაღოთ...

(დუმილია. ისინი იწყებენ ჩუჩას).

მეორე ასული. მე სიკვდილის არ მეშინია.

მესამე ასული. არც მე.

პირველი ასული. არც მე...

მეორე ასული. არც დოდოს გვეშინია ჩვენ!...

მესამე ასული. არა, თუმცა ის საშინელებაა...

(კარეთ ავდრის ქშუილია).

პირველი ასული. სულის მომლევი ავდარია!..

მეორე ასული. და ღამე, ეხლა, როგორღაც დაუსრულებელია.

მესამე ასული. და შრომა ღამეში ეხლა სხვანაირია...

(დუმილია).

მეორე ასული. ეს კარგი მატყლია.

(უცნობი სწუხს და ხელს დაარტყამს).

სამივე ასულები (ცალ-ცალკე). აჰ!..

(მწუხარეთ შეჩერდებიან. უცნობი კიდევ ურტყამს. წრიალებს).

მესამე ასული (გამოტვლილ ხმით). თქვენ გაფითრდით...

პირველი ასული (მესამე ასულს). თეთრი მატყლია... ეს სახე...

მეორე ასული. ვიტანჯებით...

მესამე ასული. რატომ ინება მან ამაღამ ენახა ჩემი გული...

მეორე ასული. სამივ ასული კეთილ-გუნებიერები ვართ... და ამ ზამთრის მოგვიანებულ დილამდე რომ ურტყას ასე ხელი, სამივე ასულის გუ-

ლი გაჩერდება გათენებამდე და ჩვენ ვერ ვნახავთ დილას ზამთრისას.

პირველი ასული. რატომ ვერ ვნახავთ დილას... ჩვენ გავაღებთ კარებს... გავაღებთ კარებს—ვინც უნდა იყოს!.. რა უნდა წაართვას მან ჩვენს გაძარცულ სიცოცხლეს!..

მეორე ასული. რას მიუმატებს ჩვენს ტანჯვას.

პირველი ასული. თუ ის გლახაკია, მთელ ქვეყანას შემოიარს... მე გავატან წერილს და ის მთელ ქვეყანაზე შემოატარებს ჩემს საკვირველ წერილს.

მეორე ასული. კარგათ ლაპარაკობ.

პირველი ასული. მაგრამ მე ვიცი: ის გლახაკი არაა. (შეჩერდება) ყაჩაღიც რომ იყოს... თავ-შესაფარი ექნება... ტყის სიღრმეში, ის პატარა გარემოს მეფე იქნება... და, იქ, გვთხოვს გადედოფლებას, მაგრამ ჩვენ არ წავყვებით... მაშინ ის ხელს აიღებს ყაჩაღობაზე და დაიწყებს ქვითინს... მაგრამ ის ყაჩაღი არაა..

მესამე ასული. არაა.

მეორე ასული ჰო...

პირველი ასული. ყური დამიგდეთ...

(უცნობი მწუხარე ხელით დაარტყამს კარებს. უიმედოთ ძრწოლავს. პირველი ასული შეკრთება. მეორე და მესამე ასული მწუხარებით დახრიან თავს).

პირველი ასული (მღელვარეთ). ის ჩემია!.. ჩემია ის! (მიდის კარებისკენ) თქვენც მოდით კარებთან... არ ირხევით?.. ქვებათ გადაიქეცით?

მეორე ასული (ადგება). ჩვენ უნდა მოვიკრიბოთ ძალა.. დავფიქრდეთ... მე გავიხსენებ ველათ ქცეულ ეზოს, სადაც ერთ დროს ვარდები ჰყვაოდა და ჩემი ძმა თაიგულს ჰკრავდა სტუმრებისათვის... მე ძალა მომივა, მაგრამ დამათენდება ოცნებაში...

პირველი ასული (მწუხარეთ). უჭირს!..

მეორე ასული. უნდა გავაღოთ როგორმე...

პირველი ასული. ა?

მეორე ასული. იმედ დაკარგული მოშორდება ის კარებს და ჩვენ უბედურები შევიქნებით...

მესამე ასული. არა... ეს კარები გაიღება... მთელი სიცოცხლის სევდამ დამიშინა გული, მაგრამ ძალა გაალვიძა ამ ხმებმა... ეს კარები ფართოდ გაიღება... (შეჩერდება). გლახაკის სახით, აძრწოლებული და შეწუხებული შემოვა აქ მაცხოვარი და ნიავზე უფრო ნაზი ხმით დამიწყებს ლაპარაკს... მე თავს დავხრი... ჩვენ, სამივე, იებივით დავხრით თავს... ბუხარს დაუთმობთ... მისი თვალები ვარსკვლავებივით დაიწყებენ ბრწყინვას. ქვითინით დავიჩოქებთ

ჩვენ, სამივე ასულები, ქვითინს დავიწყებთ... რაღაც ლხენა იქნება ჩვენს ტირილში... და მას, მაცხოვარს, მოაგონდება თავისი ანგელოსები, რომლებიც ჩვენსავით არ ჰლონდებიან, არამედ თავისუფლათ ლაპარაკობენ მასთან ზეცაში. მაცხოვარი წამიერ თვალს გადაავლებს მწუხრს ჩვენი სიცოცხლისას და თავის ღვთიურ ბუნებაში მიიღებს ჩვენს მწუხარებას... (შეჩერდება) ჩვენ ვიქნებით ბედნიერები... მერე თუნდაც ამ ციხის ბნელ კედლებში დაილიოს ჩვენი სიცოცხლე, ათ წლობით იქროლონ შემოდგომის ქარებმა და ზამთრებმა ჩვენს კარებთან!.. (დუმილია).

მეორე ასული. ჰო... ის ძვირფასია... ძვირფასია... მაგრამ ქვითინებს... ჩვენ გავშეშდით ლაპარაკში... ის ქვითინებს ჩვენს ლაპარაკში... კარები დახურულია...

პირველი ასული. ეს არაფერია. განა ისე ძნელია ამ კარების გაღება? განა, ჩემი სიცოცხლეა, სულ ამ კარებს არ ვაღებ?.. ჩემი სიცოცხლე სავსეა სევდით, სიბნელით, ცრემლით!.. და განა ეხლა, როდესაც ჩემი სიცოცხლე უნდა შეიცვალოს, ეს კარები უფრო ადვილათ არ გაიღება!?.

მეორე ასული. მე ათასჯერ გამიღია ჩემი ხელებით...

მესამე ასული (მიდის კარებისკენ). მე მივდივარ... თქვენ ეხლა შორდებით ეკალს და ტყეს... (ავადმეოფ დიმილით) ჩემო ხელებო, თქვენ მშვენიერები ხართ როდესაც მე ვლოცულობ... მე მიყვარს ჩემი ხელები,—ხატის წინ,—ჩემი თითები—საკვირველი... არ გაქვავდეთ ეხლა ხელებო... არ აკანკალდეთ თითებო...

პირველი ასული და მეორე ასული. ღმერთო!..

მესამე ასული. მაგრამ თქვენ, მეგობრებო, მომეშველეთ თუ ათამაშდა გული და...

პირველი ასული. გვინდა...

მეორე ასული. მას სეტყვა ურტყამს აპყრობილ ხელებზე და აქვითინებს...

მესამე ასული (კარებთან). რა მშვენიერია სიკეთე!

პირველი ასული (მოუთმენლათ). გავაღოთ...

მეორე ასული. გავაღოთ...

მესამე ასული. ჰო...

(შეჯგუფდებიან კარებთან).

მეორე ასული. დრო...

პირველი ასული. ა?

(დუმილია).

მესამე ასული. როგორი გრიგალია გარეთ...

მეორე ასული. არის...

პირველი ასული. მისი გმინვა არ ისმის?

მეორე ასული. არა ის ქარია... ჰკივის გაცივებულ ტყეებში...

მესამე ასული. და პატარა მდინარეები ყინულათ არიან ჩამკვდარნი მიწაში...

პირველი ასული. ჰო...

მეორე ასული. და სიბნელეა... ისეთი საშინელი სიბნელეა იქ...

პირველი ასული (კადაწრით). მაგრამ გავაღოთ!

მესამე ასული. ასე!.. (დაეწაფება კარს გასაღებათ, შეაცქერდება მეგობრებს — ისინიც მიახმარებენ ხელებს. დუმილია).

პირველი ასული (ძლიერ წუსარათ ამბობს რადაცას).

მეორე ასული. ძლიერ...

(ტოტა დუმილია. კარებზე ისმის რახუნი. ასულები უკან იხევენ).

მესამე ასული. გვთხოვს...

მეორე ასული. ძალა სრულიად შემომელია.

მესამე ასული (მოქანცული მიეყრდნობა ბუხარს). ა...

პირველი ასული. ის სწუხს...

მეორე ასული. შენც ძლიერ შეწუხებული ხარ...

მესამე ასული. ჩვენ სამივეს დასუსტებული თვალები გვაქვს...

მეორე ასული. ამ რახუნმა. რაღაც უცნაურია... ა... არა?

პირველი ასული. ჩვენ ვერ ვპოულობთ ძალას... პატარა ძალასაც ვერ ვპოულობთ... მძინარეებს ვგევართ...

მეორე ასული. განა ჩვენ ძილში გვესმის ის ხმა?..

მესამე ასული. და რასაც ჩვენ ვფიქრობთ, სიზმარია?

პირველი ასული. მთელი ჩვენი სიცოცხლეც სიზმარია?..

მეორე ასული. მე მეშინია... ასეთი ლაპარაკის მე მეშინია...

მესამე ასული. მეგობრებო... ჩვენ შეგვშლის ეს ღამე... (ალერსით მოეხვევა პირველ ასულს) ფიქრებით შეგვშლის!

მეორე ასული. ჩვენ ძალა მოვიკრიბოთ. გვიყვარს ერთმანეთი, მოვიდეთ ჩვენს არსებაზე, ძალა მოვიკრიბოთ... (სამივენი ჭკოცნიან ერთმანეთს).

პირველი ასული. გვესმის ქვითინი... ჩვენი სიცოცხლეც სავსეა ტირილით...

მესამე ასული. ვის შეუძლია იყოს ისე კეთილი, როგორც ჩვენ! ჩვენს გაძარცულ სიცოცხლეს სიყვარული და სიკეთე...

მეორე ასული. დაუგდეთ ყური!..

მესამე ასული. ა!

მეორე ასული. ის ძრწოდა...

პირველი ასული. საშინლათ!..

მესამე ასული. ეს კარები ადვილი გასაღებია!..

მეორე ასული. ჰო...

(დადუმდებიან).

პირველი ასული (მიდის კარებისაკენ). ადვილი გასაღებია.

მეორე ასული (მესამე ასულს). ჰხედავ როგორი ფერი დაედო?.. მას...

მესამე ასული. მიწის ფერი დაედო...

მეორე ასული. და თვალები...

მესამე ასული. ახ!..

(მიდიან კარებიან).

პირველი ასული. მეგობრებო... მძიმეა ეს კლიტე!.. მაგრამ თქვენ ორივემ, ეს რაზი... აი...

(სამივენი შეჯგუფდებიან. გარედან მოისმის ნელი ძრწოლა. შეკრთებიან).

მეორე ასული (მდელვარე ხმით). გავაღოთ?

პირველი ასული. ჰო!.. (ისინი უმწეოთ ეურდნობიან ერთმანეთს. დუმილია).

მეორე ასული (მიდის და ჯდება ტეტხლის პირად). მე მკლავები მომწყდა...

(პირველი ასული და მესამე ასული მოდიან ბუხართან).

პირველი ასული (გაკვრეოლებს). სიცივე?...

მეორე ასული. ჩვენ ვერასოდეს ვერ გავაღებთ... ძნელია...

(სხდებიან ტეტხლის პირად. მოისმება ძრწოლა. სამივენი დაღონებულათ დახრიან თავს. პირველი ასული ჩუმად აქვითინდება).

საწილი მეორე.

იგივე სურათი. ორი ასული ზის ბუხართან. მესამე ასული ფეხზე დგას მახლობლათ.

მესამე ასული (ხელების მტვრევით). თქვენ გძინავთ... თქვენ გძინავთ...

პირველი ასული (გადვიქცეულივით მიმოიხედავს). ის ისე მშვენიერია!..

მესამე ასული. ვინ?

პირველი ასული. ის, ვინც...

მეორე ასული (მოქანცულათ არწევს თავს). არ გაღებულა... ახ...

პირველი ასული. ა?

მეორე ასული. მე ვიცი...

მესამე ასული. რა? თქვენც სიზმრებში იყავით?

მეორე ასული. რა ვიცი! ის გმირულ ხელებს შლიდა და ჰკეცავდა წამებით... მე მივდიოდი მისკენ, მაგრამ ის ახლო არ მიკარებდა... (შეწყვეტა) მოსულა ჩემს კარებთან, მაგრამ ხელს იღებს თავის უმცროს დაზე!..

პირველი ასული. აქ შემოვიდა ის... დაუკოცნე ხელები და სახე, მაგრამ ხელები ყინულივით გაუცივდა და სახე გაუფითრდა... ვაკოცე ბაგეში— სუნთქა შეწყვიტა—ის სრულიად დაემსგავსა მკვდარს!.. დავემხე ქვითინით მის წინაშე, მაგრამ ის წითელ ვარდებში თეთრი ვარდივით გაფითრებულიყო და იყო ისე მშვენიერი, რომ ჩემს მეტი ვერავინ ვერ ჰბედავდა ტირილს!..

მესამე ასული (მეორე ასულს). შენ გესმის ამის ლაპარაკი? ა, გესმის?..

პირველი ასული (რადაცას ამბობს).

მეორე ასული. დაგალონა?

(ცოტა დუმილია).

მესამე ასული. მეგობრებო... მე ვიცი ის ვინც არის... როდესაც თქვენ თავდახრილი იყავით და ფიქრები გილანდდებოდენ—ეს კარები გაიღო... (სამივენი გაიხედავენ კარებისაკენ). არა ის კარები არ გაღებულა... დამესიზმრა თითქო გაიღო... შემოვიდა თეთრათ შემოსილი, მაღალი მაცხოვარი... მაშინ ეს კედლები გაჰქრა... ოთხ კუთხეში დაიდგა მაღალი ალვის ხეები და ზედ ნელა შეფრინდნენ თეთრი...

(უცნობი დაარტყამს კარებზე ხელს. სამივენი შეკრთებიან).

მეორე ასული. მე ვგრძნობ ვისი ხელებია, ეგრე რომ ურტყამს კარებს...

მესამე ასული. ჩემი სახელია მის ქვითინში... და მის ხელებში...

მესამე ასული. ა... (ჯუერებს).

პირველი ასული (კარებისკენ შეტვლილთ). მე ვხედავ ეხლა ვინც ხარ შენ... მე მაქვს... მაქვს თვალებში სინათლე და სახეზე სილამაზე. ჩემ სიღარიბეში მე ყველაფერი შენთვის შევინახე... მაგრამ ბევრი იძრწოლე... ეხლა მოვიგვიანე... მაპატიე რომ შევჩერდი... მაპატიე... ეს მოხდა იმიტომ, რომ უბედური, ყველაფერზე უფრო გაუბედავათ ბედნიერებისაკენ გადადგამს ნაბიჯს... (მიდის კარებისკენ). ეს კარები ეხლა გაიღება... სიბნელიდან, შენ, სინათლე შემოხვალ... მოქანცული შემოხვალ, ჰნახავ ჩემს თვალებს... შენ ჩამხედავ ფიქრებით მოქანცულ თვალებში და არ მკითხავ რატომ დავიგვიანე...

მეორე ასული (კარებისაკენ). ჩემს მეტი არავინ არის შენი მოგონებების გამგები... მოკვდა მხიარული ეზო და ყველანი გაჰქრენ... გაველურებული ეზო-გარემომ ვერ გიცნო და ვერ გაგაცნო თავი... და შენ პატიმართან მოდი, მაგრამ მე გაგიჭირე ჩემი ნახვა, სანამ სიზმრად არ მომელანდე... დავიგვიანე, ვერ მოვერიე შიშს. მაგრამ ეხლა ვერევი ჩემს თავს, ვაღებ კარებს და, მაპატიე, მაპატიე ის ნახევარ ღამის გმინვა!..

პირველი ასული. ყველა სიცილით შეგხვდება შენ!..

მეორე ასული. ჰო...

პირველი ასული. ოჰ, ჩქარა გავაღოთ!

(პირველი და მეორე ასული მიდიან კარებთან).

პირველი ასული (ასულებს). თქვენ კეთილები ხართ...

მეორე ასული. ჰო...

მესამე ასული (კარებისკენ). ჩვენ სამივე ასულებმა სიყვარულით ავივსეთ გული, მაგრამ დაგვატყვევეს... ეკლიან სახრით გვალვიძებენ დილას და მთელი მშრომელი დღე გვემუქრებიან... ძლიერ დავიტანჯეთ და სამნივე ხატის წინ ვემხობით... დიდი იყო ჩვენი ნაღველი, მაგრამ წყნარათ ვლოცულობდით და ამიტომ არ ვიცოდით თუ მოაღწევდა შენამდე ლოცვა... ეხლა ჩვენ ვყურობთ უცნაური ხელის კაკუნს, ამ სევდიან ღამეში... ეს ხმა ჩვენს სულს ავსებს გრძნობით—რომ ჩვენი ლოცვა შესმენილია... და ამ კარებს ვაღებთ, როგორც წმიდა ტაძარს... მაგრამ ზოგი დიდი ტაძარიც არ გაღებულა ქვეყანაზე ესეთ დიდ სასწაულისთვის, როგორც ჩვენი უბრალო სახლის კარები...

(გატაცებული მიდის კარებთან შეჭხედავს ამხანაგებს).

თქვენ... როდესაც კარები გაიღება თქვენ გაიცინეთ!... ძლიერია... მას

შეუძლია ამ ქარს ნიავივით დააწყებიოს ჩურჩული... ჩქარა გავაღოთ... არ შეჩერდე... მისი თვალები ისე ნაზი იქნება...

მეორე ასული. მე შევხედავ და ვიცნობ...

პირველი ასული (ჭკიდებს ხელს რაზს). ა...

მეორე ასული. მხოლოდ კლიტეს უნდა ეხლა გადაბრუნება...

მესამე ასული (მოჭკიდებს ხელს კლიტეს. ძლიერ ჭდელავენ). ჯერ რაზი ამოიღე... აი... (ეხმარება პირველ ასულს).

პირველი ასული. სს!..

მეორე ასული. ვინაა?

(დუმილია).

მესამე ასული. ორჯერ... ორჯერ გადასწიე ეს გასაღები...

მეორე ასული. უბრალოა...

პირველი ასული (მესამე ასულს). ასე...

მესამე ასული. რა...

მეორე ასული. როგორ გიკანკალებს ხელი...

მესამე ასული. დახეთ... (სამივე ეითრდებიან).

პირველი ასული (გმინვით). რა...

მეორე ასული. თეთრი მტრედებივით...

მესამე ასული. მტრედებივით.

პირველი ასული. ჩვენი გული...

მესამე ასული. შენ სახე არა გაქვს... თვალის კაკლებიც კი გაგილურჯდა...

პირველი ასული. გამილურჯდა...

მეორე ასული (ეკეტება).

მესამე ასული (დააყურებს). იქ...

პირველი ასული. ვინ არის...

მეორე ასული (ნელა ჩამოადობს ხელს მესამე ასულს). სიბნელეა იქ... ვინ არის...

მესამე ასული. სიბნელეა იქ...

მეორე ასული. ჩვენი სიზმარზე უფრო შავი...

პირველი ასული. ა?

მესამე ასული. შრიალობს...

(ისინი შეუმჩნეველად უმეადოთ შორდებიან კარებს).

პირველი ასული. რა?

(მეორე ასული მიდის ბუხართან და აღვიგებს ცეცხლს. დუმილია. პირველი და მეორე ასული მიდიან ცეცხლის პირად).

პირველი ასული. ჩვენი სიცოცხლე რატომაა ასე ნაღვლიანი!..

მეორე ასული. მაგრამ ხანდახან ჩვენი სიზმრები უფროა საშინელი...

პირველი ასული. არის ისეთი სიზმარი: საშინელია ვიდრე ჩვენი სიცოცხლე...

მეორე ასული. ისე ბნელა გარეთ, შავია ეს ღამე გარეთ, როგორც შავი სიზმარი...

პირველი ასული. როგორც შავი სიზმარი ღამე სავსეა რაღაც საშინელებით...

მესამე ასული (უცქერის მეორე ასულს).

მეორე ასული. და შრიალია... ქალისთვის რაღაც რისხვაა იმ შრიალში...

პირველი ასული. ჰო...

(ტოტა დუმილია).

მეორე ასული. და ამ რისხვაში და ბნელში, ის ურტყამს ხელს ჩვენს დახურულ კარებს...

პირველი ასული. ქვითინებს...

მეორე ასული. და მოითხოვს შველას!..

(ტოტა დუმილია).

მესამე ასული. და არის რაღაც ძალა მის თხოვნაში.

პირველი ასული. ჰო... ჩვენზე მოქმედობს მისი ხმა, ტანჯვა, ხელი...

მეორე ასული. არის რაღაც ნაცნობი მის ხმაში.

პირველი ასული. ოცნების გამღვიძებელია მის ხელებში.

მესამე ასული. და ჩემში გაიღვიძა ყველა ლოცვებმა... მე წარმომიდგა მთელი ჩემი ფიქრები, მოვლინებული ხატის წინ, ყველა საღამოებში...

მეორე ასული. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია მივიდეთ და...

პირველი ასული (შწარეთ). სამჯერ ვიყავით!

(დუმილია).

მეორე ასული. მაგრამ გული მაქვს მე... ვგრძნობ... დიდებას, რომელიც ჩვენ წილათ ეშვება ქვეყნად—ვერ ვღირსიობთ!

(დუმილია).

მესამე ასული. მძიმე წუთებში მე მივდიოდი იქ... (ხელს ააშვერს მაღლა) სულ მაღლა... ის მხსნიდა ტვირთს, ჩემს სახეზე რაღაც ღიმილი იყო... და,

როდესაც იმ ღიმილით შეგხედავდით თქვენ: გრძნობდით, რომ მე ცის კარებში შევსულვარ... მაგრამ ერთხელ... (თავს დახრის) ეხლა... ის თვითონ მოვიდა ჩემთან... თვალ-მიუტანელ სიბნელეში, ქარში, მოვიდა და დაიწყო ქვითინი... მაგრამ მე არ გაუღე კარები... (გაშეშდება).

მეორე ასული (მესამე ასულს). ის თუ მაცხოვარია ვისთან წავა... მან წინდაწინ იცის ყველაფერი... განა სხვები უკეთესი შვილებია ღვთის? მაგრამ ის მაცხოვარი არაა; ნათესაური ხმა აქვს (კარებისკენ). ნუ დამაჩენ გულზე სამუდამო წყლულს, ნუ გამიჯავრდები, მაპატიე. (ადგება). შენ გიბრძოლია შორს ჩვენ სამშობლოდან, მიუდგომელი ციხეები აგიღია შენ, და რაა ეს კარები, ეს საცოდავი კარები!.. (დუმილია).

მესამე ასული. დუმილია... ატყობთ?..

პირველი ასული. დუმილია...

მეორე ასული (აკვირდება). ჰო... არ ახმაურებს...

პირველი ასული. რათა?

მესამე ასული (შწარეთ). ნუ თუ წლების სიწმიდეს არა აქვს ფასი შეცდომილ წუთთან!.. (კარებისკენ). მაპატიე თუ ეს საყვედურია, მაგრამ შენ ჰხედავ,— მთელი ჩემი ქალიშვილური ოცნებები გამოვამჟღავნე ხანგრძლივ ლოცვებში... და ეს სახე ნაცნობია შენი, ვინაიდან მუდამ ცისკენ აპყრობილია... და რათ უნდა ჩამაყენო, ისეთ განსაცდელში, სადაც ყველაფერი დამეკარგება და ჩემი თვალები სამუდამოთ დაიხურება ბუხრის წინ... (შღელვარეთ). თვითონ ხარ ღმერთი და ბრძანებით... შენ შეგიძლია ბრძანებით ჩვენს ხელში სალამური გააჩინო და კარები დახსნა!..

მეორე ასული (კარებისკენ). იქ არ ხმაურობს... ხელს არ ჰკიდებს კარებს...

პირველი ასული. რატომ?

მესამე ასული. ა?

(დუმილია).

პირველი ასული (კარებისკენ). ყოველი ხელის დაწაწება მაგ კარებზე მე მეძახის... მე ოთხჯერ მოვკიდე ხელი კარებს. მაგრამ ვერ შევიძელი... ეგებ ზედ-მეტად სუსტი ვარ... მაგრამ მშვენიერი კი ვარ... როდესაც მე შეშისთვის მივდივარ ტყეში ყვავილები ფერად თვალებს არ მაშორებენ და როდესაც ტყიდან ვბრუნდები, ისინი სიზმრებში მომყვებიან მე... კეთილიცა ვარ... ჩემს სარჩოს ფრინველებს ვუზიდავ... ისინი აქ, მახლობლათ, ტყეებში ჭიკჭიკობენ... ჭიკჭიკობენ ჩემს შესახებ. მე კი სულ სიყვარულზე ვფიქრობ...

და ჩემი ფიქრები ნიავივით დაულეველია... მე ვფიქრობ რომ შენ უნდა იყო ძლიერი... აწი გააღებ ამ კარებს... შენ ნაზი ხარ, მაგრამ ძლიერი!... ღიმილით ჩამიხვევ გულში, წამიყვან ლამაზ სასახლეში... იქ გეყოლება ასი დარაჯი, რომ დოდომ არ შემოადგას ფეხი... იქ ყვავილები იქნება... მე მოვიგონებ ჩემს წარსულს და მეტი ტანჯვა ჩვენ არ გვექნება... მაშ დაარტყი, დაამტვრიე, თვითონ დაამტვრიე კარები!..

დოდოს ხმა (მოისმის მეორე ოთახიდან).

(ასულები შეკრთებიან. დუმილია).

დოდოს ხმა (კიდევ მოისმის მეორე ოთახიდან).

მესამე ასული. დოდო...

მეორე ასული. დოდო...

პირველი ასული. ჰო...

დოდოს ხმა: გესმით!

მეორე ასული. ჩვენ გვღვიძავს...

დოდოს ხმა: კარი ხომ არ გაგიღიათ?

მეორე ასული. არა!

მესამე ასული. ის ურტყამდა, მაგრამ არ გაგვიღია.

დოდოს ხმა: დიდ ხანს ურტყამდა?

მესამე ასული. დიდხანს ურტყამდა...

მეორე ასული. ხელებს იმტვრევდა...

პირველი ასული (ნელა). ქვითინებდა...

დოდოს ხმა: ეხლაც ურტყამს?

სამივე ასულები. არა!

დოდოს ხმა: მე ავალ და გადავიხედავ... ეგებ დილამდე არ შორდება კარებს... ვინ იცის რა უნდა! თუ კიდევ დგას კარებთან ჯოხს ვესვრი აქედან... მდულარესაც გადავასხამ... თქვენ ხომ არ ამოგიღიათ ხმა?!..

სამივე ასულები. არა... არა!..

დოდოს ხმა. აწი დაწევით. არაფერზე არ იფიქროთ და მხლე დაგეძინებათ, თორემ დილას, ხომ იცით სახრეს მიიღებთ! (ასულები შეუწუხდებიან). მე ავალ, გადავიხედავ. (დუმილია. ისმის ზალდა მიმავალ დოდოს ფეხის ხმა).

მეორე ასული. საოცარი ამბავი მოხდება ეხლა!..

მესამე ასული. სასწაული...

პირველი ასული. ა? (დუმილია).

მეორე ასული. ეს ციხე დაიმტვრევა...

პირველი ასული. ჰო...

მეორე ასული. და შემდეგ ეგებ ლხინი ვნახოთ...

მესამე ასული. ან ტაძარი, სადაც უსაზღვრო ლოცვაა.

პირველი ასული. მე, მახსოვს, ერთ საღამოს მინდორზედ ვლოცულობდი... ტკბილად ვლოცულობდი და ვგრძნობდი, რომ ისე ლამაზი არასოდეს არ ვყოფილვარ!..

მეორე ასული. მწუხარებას ჩვენ ადვილათ ვიყოფდით ერთმანეოში, მაგრამ ლხინი არ ვიცი... როგორი გასაყოფია...

მესამე ასული. ლხინი ძნელი გასაყოფია, მხოლოდ ლოცვაა ქვეყანაზე გასაყოფი—პატარა ტაძარში დიდი ხალხი კეთილია.

პირველი ასული (მხიარულათ, თითქმის სიცილით). ჩვენ უკვე ვლაპარაკობთ სიკოკცხლეზე!

(ისმის უკან მომავალ დოდოს ფეხის ხმა).

მეორე ასული (აუურებს). ა?

მესამე ასული. დოდო.

პირველი ასული. მოდის...

(დუმილია).

მესამე ასული. ის აქეთ მოდის?

მეორე ასული. შეიძლება ის პირდაპირ აქ მოდის... ის ეხლავ იტყვის ვინ არის...

პირველი ასული. ის თავის ხელით გააღებს კარებს..,

მესამე ასული. ჩვენ ეხლა პირველად შევხედავთ მის ცრემლებს...

მეორე ასული. ჩვენ მერცხლებივით ავჭიკჭიკდებით.

პირველი ასული. შესაყვარელს დუმილით შევხედავთ...

მესამე ასული. საიდუმლო სტუმარი ჩვენ ღიმილით გაგვიმეღავნებს თავის ვინაობას...

დოდოს ხმა. ის, რასაკვირველია, წასულა!.. თქვენ მოისვენეთ. დილას ვნახავ ნასაქნარევს და თუ კიდევ გამცდარხართ აგატირებთ!.. ეხლა თვალი მიდევით. გარეთ ისეთი ქარია!.. ამდენ ხანს რომ კარებში გაჩერებულიყო დაახრჩობდა ქარი... და ის წასულა!..

(სამარისებური დუმილია. სამივე ასული გაშეშდებიან).

მესამე ასული (ურუთ). წასულა...

ნაწილი მესამე.

იგივე სურათი. ასულები თავზარდაცემულნი გაშეშებულან. მოისმის დოდოს ხმის გაძახილი: „ის წასულა“. ცოტა დუმილია.

პირველი ასული (რადაცას ამბობს).

მეორე ასული (შეირხევა და მიეურდნობა ბუხარს). წასულა...

მესამე ასული. ცოდვა, ცოდვა...

პირველი ასული. რატომ არ გავაღეთ თავის დროზედ!..

მეორე ასული. სიგიჟე!..

მესამე ასული (ჩელების მტვრევით). მე ვიცი ვინ იყო ის!..

მეორე ასული. მე ვიძახებ ბნელში მის სახელს. გავალ... მთელი გულით ამოვიძახებ ბნელში... მის სახელს...

პირველი ასული (ნურვიულათ). რატომ არ გავაღეთ თავის დროზე!..

მეორე ასული. ნუ თუ ისე ძნელი იყო ამ კარების გაღება!..

მესამე ასული. ჩვენი სულის სახურავი შეიქნა ეს კარები!

პირველი ასული. კუბო!.. (სტეპს კარებს).

მეორე ასული. ეს კარები?.. ახ?...

(ისინი მოჭიდებენ ხელს კარებს, ითქოს უშიშრათ, მაგრამ ვერ ამჩნევენ, რომელი მათგანი რას აღებს. კარები იღება საერთო ხელებით. ისინი გიჟებივით იღერებენ ყელს და შემკრთალათ იცქირებიან ბნელაში, საიდანაც შემოიჭრება ქარის ზუზუნი და ტირილი. ასულები ერთხანს ოდნავ კანკალობენ და სდუმან. მოუსვენრად იცქირებიან ბნელში, ბოლოს რადაცას ამბობენ, მაგრამ ქარის ტრიალში იკარგება მათი სიტყვები).

მეორე ასული. შენ ამბობ რომ... იქ...

მესამე ასული. წავიდა ამ ქარში... თეთრი... მაცხოვარი...

პირველი ასული (რადაცას ამბობს).

მეორე ასული. წავიდა ამ ქარში.

მესამე ასული. მაგრამ.. გამიგონეთ...

პირველი ისული (ურჟოლით). როგორი სიცივეა! აქ!

მესამე ასული. მე ვგრძნობ მიმავალ ფეხებს...

მეორე ასული. ჩვენ რომ წავიდეთ იქ... უუ, უსაზღვროა სიბნელე!...

მესამე ასული. ჩვენ წავიდეთ... ცოტაზე გადავიაროთ...

პირველი ასული (მიდის წინ). ჰო!..

(იცქირებიან სიბნელეში)

მეორე ასული. საკუთარ ხელებს ვერ ვხედავთ...

მესამე ასული. და ჩვენი ხმა სამ ნაბიჯზე არ ისმის...

(ცოტა დუმილია).

პირველი ასული (რადაცას ამბობს ადელვებულათ).

მეორე ასული. რა?

პირველი ასული. ცეცხლი გამოვიტანოთ!

მესამე ასული. ცეცხლი...

პირველი ასული. გამოვიტანოთ!

მეორე ასული. ცეცხლს ავაკიაფებთ კოშკიდან სამი ასული.

მესამე ასული. ეს ქარი კიდევ უფრო გააღვივებს..

მეორე ასული. გამოვჩნდებით შორიდან!

პირველი ასული (მხიარულათ). ცეცხლი!..

(მეორე ასული შემოდის ოთახში და ბუხრიდან მიაქვს ცეცხლი. შემოდის მესამე ასული, კუთხიდან აიღებს კვარებს, რადაც მისტიურ სასოებით ანთებს, მიიტანს და დაურიგებს ამხანაგებს. სამივენი გადადგამენ ნაბიჯს. პირველი ასული წინაა. სულიერი განწყობილება იხრებოდა სიცხოველისკენ, მაგრამ უცბათ შეაქრთებიან და შეჩერდებიან).

პირველი ასული (გონს მოსულივით გადმოიხრება უკან და შესძახებს). ეს ვინ არის!

მეორე ასული (შეშინებულ ხმით). ვიღაცაა!

(შეჯგუფდებიან. ცეცხლმოკიდებულ კვარებს ასწევენ მაღლა და იქით იცქირებიან).

მეორე ასული. კაცია!..

მესამე ასული. კაცი..

პირველი ასული (გაუბედავათ). ვინა ხარ?..

მეორე ასული (ჟრუოლით). მას არ ესმის...

მესამე ასული (მეორე ასულს). შენ კანკალებ!

პირველი ასული. ვინ არის...

მესამე ასული. ამ ქარში და ბნელში დაწოლილა უძრავათ...

მეორე ასული (ოთახისკენ). შევიდეთ...

მესამე ასული. მივატოვოთ... მაგრამ ეს დიდხანს იდგა ჩვენს კარებთან... და ჩვენ რას არ ვფიქრობდით!..

მეორე ასული (გამწარებულათ დაცქერდება იქით). ჰო... ეგებ... (რადაცას ამბობს).

მესამე ასული. რა სთქვი?

მეორე ასული (ეძახის). ვინა ხარ?..

(დუმილია).

მესამე ასული. ის ქვასავით სწევს... ქარი საშინლათ ურტყამს... (მიუბრუნდება). ვინა ხარ? (დუმილია).

პირველი ასული. ვინა ხარ?

მესამე ასული. ძლიერ ღრმათ სძინავს.

პირველი ასული. ჩვენ მივიტანოთ ეს ცეცხლი და ახლო დავხედოთ. უფრო... ძლიერ ახლო...

მესამე ასული. ჩუმათ მივიდეთ და ცეცხლი დაუტოვოთ ახლო,—რომ გაათბოს...

(ასწევენ მაღლა კვარებს).

მეორე ასული. ძლიერ დასძინებია...

პირველი ასული. ჰო...

(სამივე მიდიან გაუბედავათ. ფრთხილათ უყურებენ. თანდათან უფრო ახლო იხრებიან).

სამივ ასული (ჩურჩულით). უცნაურია...

პირველი ასული. მშვიდია...

(დასათებენ უფრო გაბედულათ).

მესამე ასული. ვაჟკაცია... მაგრამ...

მეორე ასული. მძინარე...

პირველი ასული. მშვიდია როგორც, თეთრი ქვა მწვანე მინდორზე...

მესამე ასული. მისი სახე ჰგავს ლოცვით მოქანცულს...

მეორე ასული. ეს სუსტია... ეს ჩვენზედ სუსტია... ან წმინდანია...

პირველი ასული. ჰხედავ რა თმა აქვს და წარბები?! რაღაც ღიმილი აქვს სახეზე. ასეთი ღიმილი არ მინახავს... მე მინდა სულ ვუცქირო!

მეორე ასული (აცქერდება). ძრწოდა... დაიღალა.

პირველი ასული (ზრუნვით). ეს დიდხანს ძრწოდა!..

მესამე ასული. გაყინულია.

პირველი ასული. შენ! ხმას ვერ იღებ? (შეჩერდება) თუ გინდა ამოიღე ხმა. მე აწი შენი არ მეშინია... სული შეგეკმა?

მესამე ასული. ხელით რომ მივეკარო სახეზე მაშინვე გააღებს თვალებს...

პირველი ასული (ტოტა დუმილით). გააღე თვალები!...

მეორე ასული. არ ესმის.

პირველი ასული. რატომ! არ ესმის? (დასასთებენ) რა კარგია!..

მეორე ასული. ა?

პირველი ასული (შეეხება თითებით სახეზე). ცივია...

მეორე და მესაე ასული (ფრთხილათ შეახებენ ხელს სახეზე). კეთილია...

პირველი ასული (თმაზე მიუალერსებს ხელით).

მეორე და მესამე ასული (კიდევ შეახებენ ხელს).

მესამე ასული. გაყინულია...

პირველი ასული (უფრო თამამათ და გრძნობიერათ ადებს ორივე ხელებს სახეზე. ასულები დასასთებენ ტეტხლს). სული შეგეკმა? გააღე თვალი!..

მეორე ასული (ძლიერ წყნარათ სთქვა რადაცა).

მესამე ასული. რა ლამაზია... წმინდაა, როგორც თეთრი ქვა ლამაზ მინდორზე...

პირველი ასული. შევიყვანოთ.. აქ გაცივდება...

მეორე ასული. თუმცა ქარებმა უკლეს, მაგრამ მაინც.

მესამე ასული. მოსულიერდება და გვეტყვის დიდ მადლობას...

მეორე ასული. რათ გაგვიწყრება მოქანცული მგზავრი!

(პირველი ასული მოჭხვევს. ეხმარებიან. თანდათან უფრო გაბედულათ მიჭყავთ და წყნარათ ჭდებენ ბუხრის მახლობლათ. მეორე ასული ჭხურავს კარებს. აკვირდებიან უცხოს).

მეორე ასული (დააყურებს). დოდოს კი სძინავს...

პირველი ასული (გატაცებული დაიხრება უცხობთან და ეხება).

მეორე ასული (ტეტხლს ადვიკებს). ოჰ, რა სითბოა!

პირველი ასული (ზრუნვით უცხოს). გამიგონე!..

მესამე ასული. შევიძელიო. აი... გვეშინოდა მაგრამ...

მეორე ასული ლამაზი, ვერცხლის იარაღი აქვს... (აკვირდება).

პირველი ასული (ეალერსება. ძლიერ ახლო დახრის სახესთან სახეს. დუმილია. ფიქრობს).

მეორე ასული (უცქერის უცხოს). ეს როგორია!..

მესამე ასული. მე მეშინია... ვაკვირდები...

მეორე ასული. რაღაც...

მესამე ასული (ასულებს). ეს შემოსილია აბრეშუმის ხავერდებით და ოქროს ქსოვილებით... მაცხოვარი კი გლახაკის სახით მოდის ქვეყანაზე... ეს თვალ-დახუჭულია მძინარე და უმოძრავო... მაცხოვარი კი ფიქრობს უცქერის ყოველ სიტყვას და მოქმედებას და მის ღია თვალებში ცის ალერსია.

როდესაც გაახელს ეს ვაჟი თვალებს—შეიძლება სამოთხეებათ ათამაშდეს თვალები, მაგრამ ეს მაცხოვარი არაა!..

მეორე ასული. ძლიერ ნაზი სახისაა ეს და ხუჭუჭა თმა აქვს... ჩემი ძმის სახე სულ სხვანაირია. როდესაც გამობრუნდება ეს და ფეხზე წამოდგება—ბევრად გამოიცვლება... მაგრამ ჩემი ძმა ეს მაინც არაა.

პირველი ასული (მსოფლიოს ,ეფერება, როგორც მერცხალი თავის ბარტყს. რადაც ზრუნვით ჩასტქერის). ეს... ჩემია!..

მესამე ასული (მეორე ასულსა). საოცარ სახეს იღებს...

მეორე ასული. რამდენათ ვაკვირდები, იმდენათ თვალს მტკენს..

(დუმილია).

პირველი ასული (მოუთმენლათ ტანჯვით ეალერსება და ელაპარაკება მიმქრალ ხმით). მოსულიერდი... თორემ მე დავიღუპე... დიდხანს გიცდიდი... შენს ლოდინში ვეალერსებოდი მე ჩიტებს და ყვავილებს.

მეორე ასული. მე მგონია მართალს ეუბნება...

მესამე ასული. დაღონებულია... და თვითონაც ფითრდება იმ ვაჟსავით.

პირველი ასული (გრძნობიერათ დაატქერდება და ნადვლიანათ ხმას ამოიღებს გულიდან).

მეორე ასული (აიღებს კვარს და მუტ სინათლეზე დაატქერდება უცნობს. სევდით მესამე ასულს). შენ გინახავს მკვდარი?

მესამე ასული. არა...

მეორე ასული. მე მგონია რომ...

მესამე ასული. ა? (ატქერდება ვაჟს).

პირველი ასული (ძლიერ შეწუხებულია).

მეორე ასული (მძიმეთ). ის მკვდარია...

მესამე ასული. ა? (ატქერდება მეორე ასულს, შემდეგ ვაჟს).

მეორე ასული. მკვდარია...

პირველი ასული (ზრუნვით). შეშას მოვიტან კიდევ და დიდ ცეცხლს გავაჩაღებ... მეც დავწვები შენთან ჩემი სითბოს გადმოსაცემათ... მაშინ მაინც ამოიღე ხმა, თორემ დავიღუპე... ჩემი გული მკვდარ პეპელასავით დაიფერფლება, გაჰქრება...

მესამე ასული (იტქირება მიცვალებულისკენ). საბრალო, ეს არასოდეს არ გაახელს თვალებს... არ გაიხედავს...

მეორე ასული. ჩვენი მეგობარი ძლიერ იჩაგრება.

მესამე ასული. დაჩაგრულია...

მეორე ასული. თავის უმანკო გულში ჰმარხავს ჩვენი მეგობარი ამ ვაჟის სიცოცხლეს...ეს არ შეიძლება:—მკვდარი მიწაში უნდა დაიმარხოს!

მესამე ასული. თბილი სამარე ქვეყანაზე მხოლოდ გულია.

პირველი ასული. მეგობრებო ეს ჩემი საქმაროა...მოვიდა ბაგე შეკრული, უმოძრავო და გაფითრებული...

მეორე ასული. ეს გაყინულია და მკვდარივით უფეროა... შენ ცნობილობ ამას?... ნუ... მძიმეა ამის ცნობა...

პირველი ასული გული დალონდა და მე ვხედავ... ჩემი ფიქრები ცნობილობს...

მეორე ასული. ცრემლები დაგვჭირდება...

(დუმილია).

მესამე ასული. შენ ნატრობდი სულ სხვანაირად, ქალწულო!.. მას თვალებით უნდა მოეტანა სამოთხის სული, მაგრამ სული ცაში წასულა და მხოლოდ ვერცხლი და აბრეშუმის ხავერდი მოჰყვა ტანზე... შენ გინდოდა გული გადაგექცია მხიარულ წალკოტად, მან კი სასაფლაოთ გადაგიქცია გული... და ჩვენ ვიტირებთ შენთან ერთად...

პირველი ასული. ეს მკვდარია? (აცქერდება).

მეორე ასული. ჰო!..

პირველი ასული. მე ვიცი რომ მკვდრები უსმენარნი არიან! (ქვითინებს) მაგრამ ველაპარაკები... გამიშალეთ თმა...

(უშლიან თმას).

მეორე ასული. დაგუბებული ცრემლი სიამით ილვრება...

პირველი ასული!.. ზამთრის ღამეში მოვიდა ჩემთან ციხეში, სადაც მე სამუდამო პატიმარი ვარ... მოვიდა და ასე დაწვა ჩემ წინ!..

მესამე ასული. დავიგვიანეთ. ხომ ხედავ როგორ დავიგვიანეთ...

პირველი ასული (შეშლილივით). დედოფალი წამოწოლილა სარეცელზე, ჰფიქრობს თავის შვილზე, და მისი სევდის ეშინია ცარიელ ოთახებს...

მესამე ასული. ჩვენ ვიზიარებდით შენს იმედებს, გავიზიარებთ შენს სევდასაც... საბრალო ქალო!.. (ჰტირის).

მეორე ასული. შენს უძილო ღამეებს მე ჩავიხვევ გულში!.. (ქვითინებს).

პირველი ასული (ეხება ცხედარს). წმინდავ და გაფითრებულო!

მესამე ასული. ლამაზ სულს ერთხელ შეეხედა ღმერთმა და მაშინაც რისხვით...

პირველი ასული (ჰკოცნის ცხედარს). ეხლა საით წავიდე! ვზრდიდი ლამა-

ზათ სულს; ვამშვენიერებდი ჩემს იმედებს... სადაც ლამაზ ყვავილს ვნახავდი სულში ვეძლეოდი და ვადარებდი ყვავილს ჩემს იმედს და არ ვშორდებოდი, სანამ ჩემი იმედი იმ ყვავილზე ლამაზი არ შეიქნებოდა!.. მე შენს შესახვედრათ ვცხოვრობდი! ჩემს ფიქრს ვისმენდი ტყის დუმილში და, როდესაც ტყის სიჩუმეზე უფრო ღრმად და დაუსრულებლათ წარმომიდგებოდა ჩვენი შეხვედრის დუმილი, მაშინ შევირხეოდი და მთელი ღამე ჩემს თვალებში ღიმილი იყო... (შეჩერდება) და წმინდა იყო ჩემი სიცოცხლე... შენს მაგიერ ლურჯ ცას უცქეროდი... ლურჯი ცა მე ყოველთვის მიცინოდა და მჯეროდა რომ ბედიც ისე გამიცინებს ქვეყანაზე... მაგრამ ეხლა მე მეძნელება ამ დახურულ ქუთუთოების ქვეშ მოვნახო შენი თვალები...

(მეორე ოთახში რადაც ხმაურობაა. მეორე და მესამე ასული შეაქრთებიან ამ ხმაურობაზე).

პირველი ასული. ბედი ძლიერ სამართლიანი იყო, მაგრამ საძაგელმა ქარებმა მოგეხვია სიბნელეში და ყინვიანი ხელებით გძლია...

(ისმის მეორე ოთახიდან ხმაურობა).

მესამე ასული. დედა ადგა...

მეორე ასული (შეშფოთებული). დედა!.. მოდის...

პირველი ასული (განაგრძობს). შენ ქვითინებდი—მე ვფიქრობდი და ვშეშდებოდი. სუსტი ვარ... მაგრამ, მთელს ქვეყანაზე ისე არავის არ უნატრია ბედნიერება როგორც მე!.. მაგრამ ვწყევლი ეხლა ჩემს გულს, ჩემს ხელებს... და ვწყევლი იმ ქარებს, რომლებმაც...

მეორე ასული (უცბათ). შესწყვიტე ტირილი!..

მესამე ასული. დედა მოდის!..

პირველი ასული (გაბრუებული). ა?

მესამე ასული. დავმალოთ მკვდარი!..

პირველი ასული (ზრუნვით მაცვალებულს). მე შენს მეტი ვინ მომივიდოდა ისე შეწუხებული!

მეორე ასული. დავიღუპეთ... მგონი არც ვიცით ეს ვინ არის!.. ვის ვტირით... იქ დედა... დავმალოთ...

პირველი ასული. ჩემი ხელები დამჭკნარ ვარდებივით ჩამოკვინდა... როდესაც ეს კარებთან სწუხდა, ურტყამდა...

მესამე ასული. ახ, გაიგონე ფეხის ხმა!..

პირველი ასული. ა...

მეორე ასული (შეწუხარეთ). დედა კარებთანაა.

დავით კაკაბაძე.

სამხატვრო წერილები.

თანამედროვე შსაფერთის გზა.

ფორმა.

ლეონარდო-და-ვინჩი (1519-$\frac{2}{V}$1919).

ქართველ შსაფვართა სურათების გამოფენა.

თანამედროვე მსოფლიო ზნეობა.

ადამიანის სიდიადე იმაში ისახება, რომ ის აზროვნებით ამართლებს თავის ცხოვრებას და ამიტომაც კაცობრიობის ისტორიაში ის პირები, რომელთა შრომა ჩვენი ცხოვრების გამართლებაა, ჩვენთვის დაუვიწყარი ხდებიან. გავიხსენოთ უდიდესი პიროვნებები —რელიგიის მოძღვარნი, ხელოვნების დამთავრებულ ფორმის ამსრულებელნი, მეცნიერების მონაპოვართა დამმთავრებელნი. ჩვენთვის ეს პირები დაუვიწყარია, რადგან ისინი ამართლებენ ადამიანის ცხოვრებას. ადამიანის ცხოვრების გამართლება გამოიხატება ჩვენ მიერ სხვა და სხვა სახით ბუნების შეგნებაში. ხოლო ბუნების შეგნებისათვის ადამიანი ხმარობს სამს საშუალებას: რელიგიას, ხელოვნებას და მეცნიერებას.

პირველის, რელიგიის. დიადი მნიშვნელობა კაცობრიობის ცხოვრებისათვის ყველასათვის ცხადი უნდა იყოს. კაცობრიობის უძველეს დროიდან დაწყებული თითქმის ჩვენ დრომდე. რელიგია იყო უმთავრესი ფორმა ადამიანის ცხოვრების გამართლებისა. ყოველ ხალხს ჰქონოდა რელიგია, რომელშიაც ის ისახავდა თავის ცხოვრების მიზანს, და რომლის განმტკიცებაში ადამიანი ამართლებდა თავის ცხოვრებას. ხოლო ხელოვნება კი ხელს უწყობდა რელიგიის განმტკიცებას. გავიხსენოთ კაცობრიობის ისტორია. ასურეთ—ბაბილონიის რელიგია ისახებოდა მათი მხატვრობის და მქანდაკებლობის ფორმაში. ეგვიპტის მქანდაკებლობა და მხატვრობაც ხომ ეგვიპტის რელიგიური მცნების გამომხატველია. რომ ძველი და ახალი საბერძნეთის რელიგიური მცნება ხელოვნების ფორმაში იყო განმტკიცებული ეს ცხადი უნდა იყოს. ქრისტიანობის ხელოვნების ფორმაში განმტკიცება მოხდა ისე, როგორც ეს ადგილობრივ პირობებს შეეფერებოდა. ხელოვნებაში ისახებოდა აგრეთვე აღმოსავლეთ ქვეყნების ხალხის რელიგიური მცნება. აღსანიშნავია ის, რომ აღმოსავლეთ ქვეყნების რელიგია ყოველთვის უფრო ამართლებდა თავის მიზანს, უფრო გარკვეული და წმინდა იყო თავისი ფორმით, ვიდრე დასავლეთ ხალხების რელიგიური მცნება. ამ მიზეზით ხელოვნებაც აღმოსავლეთში თვითმიზნობას უფრო უახლოვდებოდა, ვიდრე დასავლეთ ქვეყნებში. დასავლეთ ქვეყნების ხალხი უფრო რელიგიაში პოულობდა თავის ცხოვრების გამართლე-

ბას, აღმოსავლეთის ხალხი კი ორივე ფორმაში, — რელიგიაში და ხელოვნებაში თანაბრად. უნდა ითქვას, რომ ხელოვნების თვით-მიზნობა განსახიერებული იყო უფრო აღმოსავლეთში და ამ მიზეზით აღმოსავლეთში ხელოვნების ფორმა უფრო გარკვეულია ვიდრე დასავლეთ ქვეყნებში.

რაც შეეხება რელიგიას, როგორც საშუალებას ბუნების შემეცნებისა, აღვნიშნავთ, რომ თუ მას ჰქონდა ამ მხრივ მნიშვნელობა კაცობრიობის წარსულ ცხოვრებაში, თანამედროვე ჩვენს ცხოვრებაში მას ეს მნიშვნელობა თანდათან ეკარგება. რელიგიური მცნების გავლენის შემცირება ჩვენს დროში ყველასათვის ცხადი უნდა იყოს. ეხლა ადამიანის მცნება იმდენად შეცვლილია, რომ რელიგიურ ფორმას უკვე არ შეუძლია გაამართლოს ჩვენი ცხოვრება. ჩვენ ვიცით თუ როგორ თანდათანობით რელიგია საზოგადო საქმის მაგიერ ღებულობს ადამიანის კერძო საქმის სახეს, და ამ მიზეზის გამო ეკლესია თანდათანობით შორდება სახელმწიფოებრივობას. და შორს არ არის ის დრო, როდესაც რელიგია მხოლოდ ადამიანის საისტორიო კვლევა-ძიების საგნად გახდება.

ბუნების შეგნების მეორე საშუალება, — მეცნიერება უძველეს ხანიდან დაწყებული ჩვენ დრომდე, სავსებით ვერ ამართლებს კაცობრიობის ცხოვრებას. მეცნიერების მიერ ბუნების შეგნება ჯერჯერობით არ არის სრულ ფორმამდი მიღწეული. მას აქვს შემუშავებული მხოლოდ მეთოდი, რომლის საშუალებით ის ცდილობს შეიგნოს ბუნება. ეს პირველი დიდი ნაბიჯია მეცნიერების მიერ გადადგმული. ამ სწორ მეცნიურ მეთოდით ჩვენ გვაქვს საშუალება შევიგნოთ ბევრი ბუნების მოვლენა, რომელიც წინად გაურკვეველი იყო. და თუმცა მეცნიერება ამ ბოლო ხანებში დიდათ წინ წავიდა ბუნების შეგნების მხრივ, მაინც მას არა აქვს საშუალება ახსნას ყოველი ბუნების მოვლენა. დარვინის მიერ გამოთქმულ აზრებს ბიოლოგიურ ნაწილში მეცნიერება მხოლოდ ეხლა ამტკიცებს და აღრმავებს და ბიოლოგიური ახალი მცნება ჯერჯერობით არ შექმნილა. ჩვენი დროის მეცნიერების მონაპოვრად უნდა ჩაითვალოს ატომისტური თეორია, რომელიც ჩვენს ლოგიკურ მცნებას შეესაბამება. მაგრამ ატომისტური თეორია ჯერჯერობით ვერ ახერხებს ჩვენი ქვეყნის ყველა მოვლენების ახსნას. ამ მიზეზით მეცნიერებას არ შეუძლია შეიქმნეს კაცობრიობის ცხოვრების მიზნად ჩვენს დროში. ის მხოლოდ ეხლა იკაფავს გზას და შეგვიძლია ვსთქვათ, რომ დადგება დრო, როდესაც მეცნიერება სავსებით გაამართლებს ჩვენს ცხოვრებას. მეცნიერების დიადობა მხოლოდ და უმთავრესად მომავალშია.

თანამედროვე ცხოვრებას, როგორც სჩანს, ვერ ამართლებს ვერც რელიგია (რომელიც თითქმის კარგავს ჩვენი ცხოვრების აზრს) და ვერც მეცნიერება, რომელიც მხოლოდ ეხლა იწყებს თავისი ფორმის შემუშავებას.

მაშასადამე, დარჩა ერთი საშუალება ადამიანის ცხოვრების გამართლებისა. ეს არის ხელოვნება. ჩვენი ცხოვრების გამართლება სწორედ ხელოვნებაშია. ხელოვნება ერთად ერთი საშუალებაა ჩვენი ცხოვრების აზრის განმტკიცებისათვის. მას ეს შეუძლია კიდეც. მხოლოდ თანამედროვე ხელოვნებამ **ხალხოსნური** სახე უნდა მიიღოს, და როდესაც ხელოვნება ამ სახეს მიიღებს, მაშინ დადგება ხანა მისი მეფობისა.

გრძნობა იმისადმი, რომ ჩვენი ცხოვრება ხელოვნებით უნდა იქმნეს გამართლებული დიდი ხანია ადამიანის სულში არსებობს. მე-XIX საუკუნის გამართლება ამაშია. ეს გრძნობა ამავე დროს იტაცებდა ადამიანს ხელოვნების ახალი ფორმის ძიებისაკენ. მე-XIX საუკუნე ხელოვნების ახალ ფორმების ძიების ხანაა.

უნდა ითქვას, რომ ეს ძიება ხელოვნების სხვა და სხვა დარგში უპირველეს ყოვლისა მხატვრობას შეეხება. მე-XIX საუკუნის ხელოვნება ამტკიცებს, რომ ხელოვნების დარგებში მხატვრობას მოწინავე ადგილი უკავია. ხელოვნების ფორმა შემოქმედებაზედაა დამყარებული, მხოლოდ შემოქმედება იმაზედაა დაყრდნობილი, თუ როგორი მხატვრული პრინციპით მივუდგებით ჩვენ ფორმის შეგნებას. სწორედ ეს მხატვრული პრინციპი, რომელიც აუცილებელი საჭიროებაა ხელოვნების დამთავრებულ ფორმის შექმნისათვის, მხატვრობაში ნახულობს თავის ფორმას, მხატვრობაში ისახება. წარსულ საუკუნის ხელოვნება ამას ადასტურებს. ჩვენი დროის მხატვრობის სხვა და სხვა პრინციპები—იმპრესიონიზმი, პურიზმი, კუბიზმი და ფუტურიზმი—პირველად მხატვრობის დარგში გამოდიოდენ და, როდესაც რომელიმე პრინციპი უკვე ჩამოყალიბდებოდა თავის ფორმაში, მხოლოდ მერმე სარგებლობდენ იმით სხვა ხელოვნების დარგები. მხატვრობის ეს მნიშვნელობა თანამედროვე მეცნიერებაში თითქმის უკვე მიღებულია. ამიტომ წარსულ საუკუნის და ჩვენი დროის ხელოვნების აზრი შეგვიძლია მხატვრობის ისტორიაში ამოვიკითხოთ.

ხელოვნების ახალი ფორმის ძიება იწყება იმპრესიონიზმიდან, როდესაც მხატვრობამ წამოაყენა ბუნების შეგნების ახალი ფორმა. იმპრესიონიზმი ისახებოდა შთაბეჭდილობითი ბუნების შეგნებაში. ფერადების შეგნებაში იმპრესიონიზმმა დიდი ნაბიჯი გადადგა, მაგრამ ფერადების თვისებების გაგება ვერ შესძლო, რადაგან იმპრესიონიზმი გააზროვნებული არ ყოფილა,

და აი სწორედ ამ იმპრესიონიზმის გააზროვნების პირდაპირი შედეგი იყო პუანტელიზმი. პუანტელიზმი მხატვრობაში უკვე ფერადების თვისებების გაგებაზედაა დამყარებული. მეცნიერების მიერ შემუშავებული სისტემა ფერადების თვისებაზედ საფუძვლად ჩაუდგა პუანტელიზმის მხატვრულ პრინციპს. წარსულ საუკუნის პირველ ნახევარში ორმა მეცნიერმა—ფრაუგოფერმა და კირხგოფმა მეცნიური მეთოდით დაამტკიცეს ფერადობის არსებითი კანონები; მათ გააღრმავეს და გამოკვლევით დაადასტურეს ნიუტონის მიერ გამოთქმული აზრი სპეკტრის შემადგენლობის შესახებ. და რადგანაც მეცნიური მცნება ფერადებისა გადატანილ იქნა მხატვრობაში პირდაპირ, მხატვრულ ფორმის გარეშე, ამიტომ პუანტელიზმის უკიდურესმა განვითარებამ მხატვრული ფორმა თითქმის დაკარგა. მხატვრობის ფორმის უმთავრესი საშუალებანი—ფერადები და ხაზულობა პუანტელიზმის მხატვრობაში არა სჩანდა. ამ მიზეზით მხატვრული ფორმაც სრულებით იკარგებოდა.

საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ მე-XIX საუკუნეს ახასიათებს ინდივიდუალიზმის ბრწყინვალე გამარჯვება. ამავე დროს მე-XIX საუკუნე არის ხანა რომანტიზმის მეფობისა, ის ხანა, როდესაც შესაძლებელი შეიქნა ინდივიდუალიზმის განმტკიცება. და აი სწორედ ინდივიდუალიზმის მეფობის დროს შეიქნა იმნაირი პირობები, როდესაც ხელოვნებას უნდა შეემუშავებინა ისეთი ფორმა, რომლის საშუალებით ხელოვნებას მიეცემოდა ხალხოსნაური სახე. და მართლაც მხატვრობა დაადგა ახალი ფორმის შემუშავების გზას. დაიწყო მისწრაფება იმ მხატვრულ ფორმისადამი, რომელსაც ხალხოსნური ხასიათი ჰქონდა. ეს არის ერთი უმთავრესი მიზეზი ეგრეთ წოდებულ „პრიმიტივის“ ფორმის შეტანისა მხატვრობაში. პრიმიტიული მხატვრული ფორმის შეგნება გამოიხატება ფორმის მარტივობაში, აზრის პირდაპირი, უშუალოდ გადმოცემაში, თვით-მაზნობის განმტკიცებაში. პრიმიტიული მხატვრული ფორმების შეგნებაში ჩვენ ხელი შეგვიწყო მეცნიერებამაც, ვინაიდგან მეცნიერებამ ჩვენ დროში კაცობრიობის წარსული კულტურის შეგნებაში დიდი ნაბიჯი გადადგა, და ამიტომ ჩვენ გვაქვს ეხლა საშუალება, გავეცნოთ და შევიგნოთ ხელოვნების სხვა და სხვა პრიმიტიული ფორმა. პრიმიტივი ხელს უწყობს ხელოვნების თვით-მიზნობის განმტკიცებას.

პურიზმი, როგორც შკოლა, სწორედ პრიმიტიული ფორმის შეგნების შედეგია. და სწორედ ამ ხანიდან, შემდეგ იმპრესიონიზმისა და პუანტელიზმისა, იწყება მხატვრობის თვით-მიზნობის განმტკიცება, ფორმის, ფერადობის და ხაზულობის თვისებების შეგნება. მხატვრობის თვით-მიზნობის იდეამ აიძულა

ცნობილი ფრანგი მხატვარი გოგენი წასულიყო კუნძულ ტაიტზე, და ამას მოყვა გოგენის მიერ უშუალოდ შეგნებული ბუნების ფორმა. გოგენის მხატვრული მონაპოვარნი შემდეგ გააღრმავა მეორე ფრანგმა მხატვარმა სეზანმა, რომლის მიერ შექმნილი მხატვრული ფორმა ბრწყინვალედ ადასტურებს გოგენის მხატვრულ მონაპოვართ. პურიზმის უმთავრესი მიღწევა მხატვრობაში ფერადების თვისებების გაგებაშია, მათი სიძლიერის შეგნებაში და ცნობილ მხატვარის მატისის უკანასკნელი შემოქმედება სწორედ ფერადების თვისებების შეგნებაზედაა დამყარებული.

მხატვრობის თვით-მიზნობა ლოლიკურათ გვიკარნახებს არა მარტო ფერადების თვისების შეგნებას, არამედ ფორმის და ხაზულობის თვისებების გაგებასაც. სწორედ ფორმის და ხაზულობის შეგნებამ მოგვცა ჩვენ ის მონაპოვარი, რომელსაც „კუბიზმი“ ეწოდება. ფორმის არსებითი თვისებების შეგნება საუცხოვო სახით არის შეთვისებული „კუბიზმის“ მიერ. კუბიზმით თითქმის თავდება იმ დიად მონაპოვართა რიგი, რომლის საშუალებით და შეგნებით შესაძლო იქნებოდა დიდი ხალხოსნური მხატვრობის შექმნა. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ „კუბიზმით“ არ დამთავრდა ახალი ფორმის ძიება, რადგან იყო იმის შეგნება, რომ დიდი ხელოვნების შექმნა შეუძლებელია არსებულ მხატვრულ პირობების საშუალებით.

ახალ მხატვრულ საშუალებათა შექმნას ჩაუდგა საფუძველი იმ მიმართულებამ, რომელსაც „ფუტურიზმს“ უწოდებენ. ფუტურიზმი მხატვრობაში გამოისახება ახალ მხატვრულ ფორმის შეგნებაში, მხატვრული ფორმის ახალ საშუალებებით გადმოცემაში. თუ ჩვენ გვინდა დავსახოთ „ფუტურიზმის“ მხატვრული ფორმა, ამისათვის საჭიროა შევიგნოთ მხოლოდ მხატვრების პიკასსო-ბრაკის შემოქმედება. მხატვრული ფორმის გადმოცემის საშუალება მხატვრობაში არის ფერადები და ხაზულობა, რომლის საშუალებით ფორმის სიბრტყეები სურათზედ ილაგება. ფერადებს და ხაზულობას პიკასომ მიაქცია უმთავრესი ყურადღება. უპირველეს ყოვლისა პიკასომ დაიწყო ხაზულობის თვისებების შეგნება. ყოველი ფორმა სურათზე ილაგება იმ წესის მიხედვით, თუ როგორ გვსურს ჩვენ ფორმის სიბრტყეების ერთმანეთში დაკავშირება. „პერსპეკტივა“ არის საშუალება სურათზე სხვა და სხვა ფორმის ან სიბრტყეების ერთმანეთში დაკავშირებისა. ის სწორი პერსპეკტივა, რომელიც ჩვენ ეხლა ყველას გვესმის, შემუშავებულია ჩვენი მხედველობის წესის მიხედვით. ეგრეთ წოდებულ სწორ პერსპეკტივის ხაზულობის მიზეზით ჩვენ გვაქვს საშუალება სურათზე სხვა და სხვა სიბრტყეების დაკავშირების ზომა გავიგოთ.

მაგრამ ხაზულობის პერსპექტივა უკვე ჩვენთვის ძველი ფორმაა და ამიტომ საჭირო გახდა ახალი პერსპექტივის საშუალების შექმნა. სწორედ პიკასომ იკისრა ეს და ცდილობდა გამოენახა ახალი პერსპექტივის საშუალება. თანამედროვე სავაჭრო სახლის „ვიტრინამ“ უჩვენა მას ახალი ფორმის გზა. „ვიტრინის“ მინა არის ის უცვლელი სიბრტყე, რომლის იქით ილაგება სხვა და სხვა საგნები. ხაზულობის პერსპექტივა აქ უკვე არ არის საჭირო, რადგან საგნები ერთ მინის სიბრტყეზედ შეგვიძლია დავალაგოთ. პიკასომ მიხვდა ამას და შექმნა ახალი პერსპექტივა. მის ნაწარმოებში ხაზულობის პერსპექტივის მაგიერ საგნები დალაგებულია სიბრტყეზედ იმ საშუალების მიხედვით, რომელიც „ვიტრინის“ მინამ მას მიუთითა. ფერადობის ახალ საშუალების შექმნა პიკასოს არ დამძიმებია და ფერადების ფაქტურის გამოცვლა მან ადვილად შესძლო. ის ურევდა ფერადებში ფაქტურის გამომცვლელ სხვა და სხვა ნივთიერებას, ხმაროობდა ფერადების მაგიერ თვით ფორმის მატერიალურ ნაწილს და ამ მიზეზით ფერადები, როგორც მხატვრობის მატერიალური საშუალება უარყოფილი იქნა. უნდა ითქვას, რომ პიკასოს მიერ შემუშავებული მხატვრობის ახალი საშუალებანი ვერ აღწევენ თავის მიზანს. ახალი პერსპექტივის სისტემა არ შეეხამება მხატვრობის ლოგიკას. ფორმის სახე ხაზულობაში იხატება, ფერადები კი ფორმის თვისებას აღნიშნავენ. პიკასოს ცდა იმას ამტკიცებს, რომ შეუძლებელია მხატვრობაში ფორმის სახე ხაზულობის გარეთ იხატებოდეს. ამიტომ პერსპექტივა, როგორც ფორმის სახის ხაზულობის თვისება, შეუძლებელია უარყოფილი იქნეს. უხაზულობით მხატვრობა ვერ იქმნება. კაცობრიობის უძველეს დროიდან დაწყებული ჩვენ დრომდე მხატვრობა ხაზულობის გარეშე არ შექმნილა.

პიკასოს მიერ ფერადების მაგიერ თვით საგნის მატერიალურ ნივთიერების ხმარებამ, ვერ შექმნა ახალი საშუალება, რადგან ესეც მხატვრობის ლოგიკას ეწინააღმდეგება. მხატვრობის არსება ხატულობაზე არის დამოკიდებული, ხატულობა კი ფერადებზედ. და თუ ჩვენ ფერადების მაგიერ თვით საგნის მატერიალური ნივთიერება ვიხმარეთ, მხატვრობა ამით უარყოფილი იქნება.

ამგვარად ფუტურიზმის გამართლება მხატვრულ ფორმის ახალ საშვალების ძიებაშია, თუმცა მან დამთავრებული მხატვრული ფორმა ვერ შექნა.

როგორც ვხედავთ ფუტურიზმმა ვერ შექნა ახალი საშვალებით მხატვრული ფორმის გამოსახვა, მან მხოლოდ ეს საკითხი დააყენა და გაალრმავა. ამის მიზეზია ის, რომ თუმც ფუტურიზმმა უარყო არსებული მხატვრობის საშ-

უალებანი და შექნა სისტემა ახალ ფერადობის და ხაზულობასა, მაგრამ ყოფილი ფორმის მხატვრული მეთოდი შეურყეველი დარჩა.

ფუტურიზმს მაგრად აზის რომანტიზმის დაღი, რომლის მოშორება აუცილებელი უნდა ყოფილიყო.

თანამედროვე ხალხოსნური ხელოვნების შექმნისათვის საჭიროა არა მარტო ფორმის და ხაზულობის ახალი მცნება, არამედ საჭიროა ამ მცნების ახალ მხატვრულ ფორმაში გამოსახვა. ხოლო მხატვრულ ფორმის გამოსახატავად კი ხელოვნებაში არსებობს ორი მეთოდი—კლასიციზმი და რომანტიზმი. კლასიციზმის მეთოდი გამოისახება საღ აზროვნებაში, არსებულ კანონების დაცვაში და მის განმტკიცებაში, ფორმის და შინაარსის შეთანხმებაში, ნების დაქვემდებარებაში იმ კანონებთან და მოთხოვნილებებთან, რომელნიც ორგანიულად გამომდინარეობენ მხატვრულ პრინციპისგან. კლასიციზმი, როგორც მეთოდი, გამოისახება საღ და აზრზედ დამყარებულ შემოქმედების ფორმაში.

რომანტიზმი, როგორც მეთოდი, გამოიხატება ნების სრულ თავისუფლებაში, არსებულ კანონების თავისუფალ ხმარებაში და მის უარყოფაშიდაც. შემთხვევითი ელემენტების განმტკიცებაში, ფორმის გააზროვნების უარყოფაში. კალასიციზმი ამგვარად განსაზღვრავს შემოქმედების ფორმას, რომანტიზმი კი ანთავისუფლებს ხელოვნებას იმ შევიწროვებულ ფორმისაგან, რომელშიაც კლასიციზმი აყენებს მას. რომანტიზმი ანტიტეზაა კლასიციზმისა. რომანტიზმი თავისუფალი შემოქმედების სახით, ბუნების შეგნების ახალ ფორმების მძებნელია.

მე-XIX საუკუნე რომანტიზმის მეფობის ხანაა. ამ მიზეზით ეს ხანა ინდივიდუალიზმის ბრწყინვალე განვითარების დროა. მხატვრობა მე-XIX საუკუნეში დიდი ძიების ხანას განიცდიდა და ამ ძიების საშუალებით მხატვრობამ მოგვცა ფერადობის საუცხოო შეგნება, ფორმის და ხაზულობის დამთავრებული სახე, სურათის შინაარსის სიდიადე. რომანტიზმის მეთოდის საშუალებით ჩვენ მივაღწიეთ, სხვა და სხვა დროს, ფერადობის, ხაზულობის და ფორმის ახალ შეგნებამდის. მაგრამ ხელოვნების დამთავრებული ფორმა ისახება შემოქმედების სრულ გააზროვნებაში. კლასიციზმი, როგორც მეთოდი, გვაძლევს ჩვენ ხელოვნების დამთავრებულ ფორმას. ხალხოსნური ხელოვნება გულისხმობს ხელოვნების დამთავრებულ ფორმის შეგნებას. ჩვენი დროის დიდ ხელოვნების შექმნისათვის, რომელიც ჩვენი ცხოვრების მიზნად უნდა იქცეს, საჭიროა წარსულ საუკუნის მხატვრობის მონაპოვართა გააზროვნება და შემოქმედების **კლასიციზმის მეთოდზე** დამყარება.

ამ ხუთი წლის წინად (1914 წლის მარტში) პეტერბურგში, ჩვენ, ოთხმა

მხატვარმა (მათ შორის მხატვარმა ფილონოვმა), გამოვეცით დეკლარაცია: „Сдѣланныя картины",*) რომლის ზოგიერთი უმთავრესი დებულებების აზრი შემდეგია:

„ჩვენი მიზანია შექმნა სურათისა და ნახაზობისა, ასრულებულის ადამიანის ბრწყინვალე შრომით, რადგან ჩვენ ვიცით, რომ სურათის და ნახაზობის ღირსება იმ დიად შრომაშია, რომელშიაც ისახება ადამიანის უკვდავი სული."

„ჩვენ ვაღიარებთ და ვეთანხმებით ხელოვნების ყველა მონაპოვართ, მაგრამ ჩვენ გვძაგს ხელოვნების ექსპლოატატორები, რომელნიც სიტყვით ბილწავენ წარსულს და საქმით კი—ახალს,"

„ჩვენ არ ვყოფთ ქვეყანას ორ ნაწილად—აღმოსავლეთი და დასავლეთი, არამედ ჩვენ ვდგავართ მსოფლიო ხელოვნების ცენტრში, ხელოვნების მუშაკთა პატარა წრეში, რომლის მიზანია ხატულობის და ნახაზობის შეგნება."

„ჩვენ ვამბობთ სურათების და ნახაზობის შესახებ, და ვაღიარებთ, რომ დიდი ხანია რაც ნახაზობის მნიშვნელობა დაკარგულია, ნახაზობა იყო გახრწნილი გრაფიკაში და სურათის ესკიზებში, როდესაც ნახაზობა უნდა იყვეს განცალკევებული,—არც გრაფიკის და არც ფერადობის მონა."

„ჩვენ ვანიჭებთ ნახაზობას მის მნიშვნელობას."

„ხატულობის შესახებ ჩვენ ვამბობთ, რომ ის უნდა იქნეს სურათში გამტკიცებული, და ამით დაიწყება ხატულობის ახალი ხანა."

„ჩვენ გვრწამს ჩვენი მიზანი და ჩვენთვის „სურათი", „ნახაზობა", როგორც სახელი უდრიან სხვა დიად სახელებს."

„არ შეიძლება იქნე ხელოვნების მონაპოვართა დამფუძნებელი, თუ კი ხელოვნების შავი მუშაკი არა ხარ: ხელოვნების ახალი ფორმა ისახება მხოლოდ დიდი ხნის და მუყაით შრომის შემდეგ. ამ მოსაზრებით ჩვენ ნიღაბს ვხდით იმათ, ვინც თავის თავს აკუთნებენ ხელოვნების მონაპოვართა დამფუძნებელთა რიცხვს, რადგან ხელოვნების მონაპოვარი შრომის შედეგია და ამიტომ საჭიროა მთელი რიგი მუშაკთა, რომ მათი შრომის შედეგით ერთმა ან ორმა შექმნას უკვდავი ნაწარმოები."

ეს არის უმთავრესი აზრი დეკლარაციისა.

ამ დეკლარაციით ჩვენ აღვნიშნეთ ხალხოსნური ხელოვნების სიდიადე, მისი გამოხატულება მხატვრობაში, და ამისათვის აუცილებელი საჭიროება

*) დეკლარაცია გამოცემულია რუსულად.

წარსულ საუკუნის მეთოდის უარყოფისა და ახალ მეთოდის საშუალებით შრომა. ამ დეკლარაციაში ჩვენ გვაქვს აღნიშნული წარსულ საუკუნის მხატვრობის ერთი ფორმა—სახელდობ რეტროსპეკტივობა (ე. ი. წარსულ ხანების მხატვრობის სტილზე დამყარებული მხატვრობა), რომელიც უნდა უარყოფილ იქმნას. რეტროსპეკტივობა ძლიერ უშლის ხელს ახალ მხატვრულ ფორმის შექმნას, რადგან მხატვრობის ფორმა უშუალოდ ბუნების შეგნებიდან უნდა იწყებოდეს: მხატვრობის მიზანი ბუნების შეგნებაა. დიდი ხელოვნების შექმნა მხოლოდ მაშინაა შესაძლო, როდესაც ხელოვნების დარგები თავის პირდაპირ მიზანს ემსახურებიან. მხატვრობამაც რომ დიდი ხალხოსნური სახე მიიღოს და ჩვენი ცხოვრების აზრად იქცეს, საჭიროა თავის პირდაპირ მიზანს დაუბრუნდეს.

ზემოდ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ წარსულ საუკუნის მხატვრობამ დამთავრებულ ფორმამდი ვერ მიაღწია, თუმცა მხატვრობის მონაპოვარი დიდათ მნიშვნელოვანი იყო. წარსულ საუკუნის მხატვრობა დიდებულ მხატვრების—მანე და რენუარის, გოგენი და ვან-გოგის, სეზანი და მატისის, ბრაკი და პიკასოს შემოქმედებაში ისახება. მათი მონაპოვარი ახალ მხატვრულ ფორმის ძიების შედეგია და მთელი წარსული საუკუნეც ძიების ხანად უნდა ჩავსთვალოთ. ამ ახალ ფორმის ძიების დროს მხატვრობა ხშირად თავის პირდაპირ მიზანს შორდებოდა, „ტუპიკებს“ აწყდებოდა, ხშირად გამოსავალ გზასაც ვერ ნახულობდა. ეს წარსულ საუკუნის რომანტიზმის მეთოდის შედეგია და ამიტომაც შემოქმედების ფორმა გააზროვნებული არ ყოფილა. ჩვენი დროის დიდი ხელოვნება, რომელიც ჩვენი ცხოვრების გამართლებაც იქნება, ხალხოსნური უნდა იქნეს. ხალხოსნური დიდი ხელოვნება კი გააზროვნებულ შემოქმედების ფორმაში უნდა ისახებოდეს. კლასიციზმის მეთოდი ჩვენ არას დროს არ აგვაცდენს ხელოვნების სწორ გზას და ამ მეთოდის საშუალებით ხელოვნების თვით-მიზნობა და მისი ხალხოსნური სახე განმტკიცებული იქნება.

ფორმა.

ორმა არის საგნის არსებითი ნაწილების ერთმანეთში შეთვისებლობა. ყოველი საგანი ისახება მისი გარეგნული ფორმის სიბრტყეებით, ფერადობით, წონით.

ამას გარდა ყოველ საგანს ახასიათებს მისი მდგომარეობა.

საგნები სხვა და სხვა სახისაა; შეთვისებლობაც საგნის სხვა და სხვა ნაწილებისა მრავალსახიანია.

რამდენი სახის შეთვისებლობა შეიძლება სიბრტყეების, ფერადობის, წონის და მდგომარეობის შორის, იმდენი შეძლებაა ფორმის სხვა და სხვა სახობისა.

სიბრტყეების, ფერადობის, წონის და მდგომარეობის ერთ შეთვისებლობის დროს არსებობს მხოლოდ ერთი განსაკუთრებული ფორმა.

რადგან ყოველი საგანი ხასიათდება თავის შემადგენლობის ნაწილების ერთნაირ შეთვისებით, ამიტომ ყოველ საგანს აქვს თავისი ინდივიდუალური ფორმა.

ინდივიდუალური სიბრტყეების, ფერადობის, წონის და მდგომარეობის ერთმანეთში შეთვისებლობა ახასიათებს ყოველი საგნის ნამდვილ ფორმას.

საგნის შემადგენელ ნაწილების შეგნება რთულ საქმედ ხდება, იმ მიზეზით, რომ საგნის ყოველი ნაწილი დიდათ დაკავშირებულია ერთმანეთში და შეუძლებელია მათი განცალკევებული წარმოდგენა საგანში.

მაგრამ ფორმის შეგნებისათვის აუცილებელი საჭიროებაა მისი შემადგენელ ნაწილების გაგება და ფორმის სიბრტყეების, ფერადობის, წონის და მდგომარეობის გააზროვნებული შეგნება.

ფორმის ინდივიდუალური სიბრტყეების შეგნება ჩვენ გვიკარნახებს ჯერ ფორმის გარეგანი სახის ანალიზს. პირველად ჩვენ უნდა შევიგნოთ საგნის დამახასიათებელი უმთავრესი სიბრტყეები. შემდეგ საჭიროა ამ უმთავრეს სიბრტყეების თვისებების გაგება, მათი სახის შეგნება, საჭიროა ამ სიბრტყეების ანალიზი და მხოლოდ ამის შემდეგ გარკვეული იქნება მთელი ფორმის შემადგენელ სიბრტყეების სახე.

ამ პროცესის შემდეგ, როდესაც ფორმის შემადგენელ სიბრტყეების სა-

ხე გარკვეული და დალაგებულია, ჩვენ დავინახავთ და შევიგნებთ სიბრტყეების ერთმანეთში კანონიერ შეკავშირებას, სიბრტყის სახის ამსაზღვრავი ხაზულობის ერთმანეთში გადახლართვის კანონებს.

როდესაც სიბრტყეები და ხაზულობა შეკავშირებული იქნებიან ერთმანეთში მათი ორგანიულ კინონების მიხედვით, მაშინ ფორმის სახე ხდება მარტივი და სრულიც, ინდივიდუალური სიბრტყეებით განსაზღვრული.

აქ იხსნება შემდეგი კანონები:

კანონი სამი სიბრტყის ერთმანეთში გადახლართვისა.

კანონი სამი კუთხეების ერთმანეთში დაკავშირებისა.

კანონი ხაზულობის ერთმანეთში გადახლართვისა.

* * *

ფორმის გარეგნული სიბრტყეების შეგნებას მისდევს ფორმის, ფერადობის, წონის და მდგომარეობის შეგნება.

პროცესი ინდივიდუალური ფერის შეგნებისა იმნაირია, როგორც შეგნება ინდივიდუალური სიბრტყეებისა.

ყოველ საგანს აქვს თავისი განსაკუთრებული ფერადობა (მცენარეულობის ფერი, ყვავილის ფერი, მიწის ფერი).

ინდივიდუალური ფერადობის შეგნებას წინ უძღვის საგნის საზოგადო ფერადობის შეგნება.

ფერადობის ანალიზის დროს მხატვრისათვის იშლება ფერადობის ამოცანა, ფერადობის ერთმანეთში დაკავშირების კანონი.

ფორმის ფერადობის შეგნებას ხელს უწყობს თვით მხატვრის ტეხნიკური შესაძლებლობა, რომლის უქონლობა მხატვარს ბორკავს.

როდესაც ფორმის საზოგადო ფერადობა შეგნებულია, სხვა და სხვა ფერადობა კანონიერად ერთმანეთში შეთანხმებული და ყოველი ფერადის სახე გარკვეული, მაშინ ფორმის ფერადობის ინდივიდუალური სახეც შეგნებული იქნება.

* * *

ფორმის შემადგენელ სიბრტყეების და ფერადობის შეგნების გარდა საჭიროა ფორმის წონის შეგნებაც.

წონა ახასიათებს სტრუქტურის თვისებას.

სხვა და სხვა საგნები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან თავისი გარეგნული სტრუქტურით, ხოლო შინაგანი სტრუქტურა შეიძლება ერთნაირი იქნეს.

საგნის ინდივიდუალურ სიბრტყეებს და ფერადობას უნდა დაუმატოთ საგნის ინდივიდუალური წონა.

საგნის წარმოდგენა მისი მდგომარეობის გარეთ შეუძლებელია.

საგნის მდგომარეობას საზღვრას დრო.

დრო ხასიათდება მოძრაობით.

ყოველი საგანი მოძრაობს დროში.

დინამიკა—ქვეყნის სულის ჩამდგმელია.

ყოველი საგანი ხასიათდება ორი მდგომარეობით—პასიურით და აქტიურით.

მაგრამ ორივე მდგომარეობა—პასიური და აქტიურიც—დინამიკურია.

დინამიკის გარეთ საგანი არ არსებობს.

სტატიკა არის საგნის არ ყოფნა.

რადგან საგნის არსებობა დინამიკაში ისახება, ამიტომ საგნის მდგომარეობის შეგნება აუცილებლათ საჭიროა ფორმის სახის გაგებისათვის.

საგნის მდგომარეობის შეგნება მის არსებას აღნიშნავს.

*
* *

ყოველ ფორმას სახავს ოთხი ელემენტი: სიბრტყე, ფერადობა, წონა და მდგომარეობა. პირველი სამი ელემენტი სახავს ფორმის სტრუქტურას, ხოლო უკანასკნელი საგნის სიცოცხლეს, დინამიკას.

ვლ. გუდიაშვილი. „ქალაქ გარეთ“.

ხელოვნების გამოფენა 1919 წ.

ლეონარდო-და-ვინჩი.

1519 $\frac{2}{V}$ 1919 წ.

1519 წელს, მაისის 2-ს, საფრანგეთში კლო-ლუისის სასახლეში (ამბუაზ-ში). საუდამოდ შეწყდა სიცოცხლე იტალიის რენესანსის დიდებულ ადამიანის ლეონარდო-და-ვინჩისა.

ამ ს აქეთ გავიდა ოთხასი წელი და დღეს მთელი ქვეყნიერება იხსენიებს. ლეონ რდოს სახელს. იტალიაში, კაპიტოლიაში, დიდი დღესასწაული იყო გამარ ული ლეონარდოს სახელის სახსოვრად.

რ არის გასაკვირველი, რომ ლეონარდოს სახელი დღესაც სათაყვანე-ული , რადგან მისი გენიალობა ჩვენი დროისთვისაც მიულწეველია. ის იყო ადამ ნი დაჯილდოვებული მრავალი სახის ნიჭით და ყოველ დარგში აღწევდა დამთ ვრებულ ფორმას. ლეონარდო იყო მხატვარი, მოქანდაკე, ხუროთ-მოძ-ველ , პოეტი, მუსიკოსი, ფიზიკოსი, მათემათიკოსი.

უმთავრესი ნამდვილი მისი მხატვრული ნაწარმოები, რომლებმაც ჩვენამდი მოაღ ნიეს, არიან: „სერობა“ (მილანში), რომლის ხატულობა ეხლა ძლივს-ღა ძეხ ნს, „ღვთის-მშობელი და წმ. ანნა“, „იოანე ნათლის მცემელი“, „ჯოკონ-და“, „ბახუსი“, „Vierge aux rocliers“ „მოგვთა თაყვანის-ცემა,“ „ლუკრე-ცია ბორგიელის პორტრეტი“ (პარიზში, ლუვრი), „მედუზას თავი“, „მადონნა ლიტ ა“ (პეტროგრადში, ერმიტაჟი). ამას გარდა ჩვენ ვიცით მისი ბევრი ნა-ხატ ი (ფლორენცია) ამბროზიანის ბიბლიოთეკაში (მილანში) და სხვა კერძო კოლ ქციებში. უმთავრესი და ღირსშესანიშნავი მისი ნახატები მოთავსებულია ლონ ორის ბიბლიოთეკაში. არ არის დატოვებული ბუნების არც ერთი სახე, რომ ლსაც ლეონარდოს კალამი არ შეხებოდეს. მცენარეულობა, ცხოველები (ადამ ვრესად კი ცხენები) ადამიანი— ყველა იპყრობდა ლეონარდოს ყურად-ღებ . მისი ანატომიური ნახატები ეხლაც გაკვირვებას იწვევენ. და მის მიერ შეხ ის და ფიზიკის კანონების ცოდნა ამ ნახატებიდან აშკარად სჩანს.

როგორც მოქანდაკე ლეონარდო დიდი ხელოვანი იყო, მაგრამ ჩვენამდი მის ანდაკებას არ მოულწევია. ცნობილია, რომ ლიუდოვიკმა სფორცმა შეუ-კვეთ ლეონარდოს უდიდესი ძეგლი ფრანჩესკა სფორცის სახელზე, რომელიც ბრინჯაოში უნდა ყოფილიყო ჩამოსხმული. მაგრამ ეს ძეგლი ლეონარდოს

შეუსრულებელი დარჩა. მან მხოლოდ თიხის მოდელი ააგო, და როდესაც ფრანგება 1499 წ. მილანი, აიღეს მაშინ ეს მოდელი ფრანგების მიერ დამსხვრეულ იქნა.

მეცნიერების დარგში ლეონარდოს ხელთნაწერები დიდათ მნიშვნელოვანია და შეიცავს რამდენიმე ტომს. მისი „ტრაქტატი მხატვრობის შესახებ“ პირველი ცდაა მხატვრობის ტეხნიკურ მხარის აღწერისა.

ლეონარდოს ნიჭის სიძლიერე იმაში გამოიხატება, რომ ის ცდილობდა აეხსნა და გაერკვია ყოველი ბუნების მოვლენა. ლეონარდო არ კმაყოფილდებოდა არსებულ საშუალებით და ეძიებდა აზრის გამოსახატავ ახალ საშუალებებს, ეს არის ერთი უმთავრესი მიზეზი, რომ მის საუკეთესო ნაწარმოებს „სერობას“ ჩვენ ეხლა ძლივს ვხედავთ.

ლეონარდოს შემოქმედების უმთავრესი სახე დინამიზმშია. ყოველ მის ნაწარმოებში, როგორც სურათებში, ისე ნახატებში, ყოველი სახე და ყოველი ხაზი მოძრაობაზეა აგებული. მისი „სერობა“ მოძრაობის საუცხოვო სახის სურათია; მთელი სურათი გაყოფილია ოთხ ნაწილად, ყოველ ნაწილში სამი მოციქულის სახეა და მათი უმთავრესი თვისება მოძრაობაშია; სურათის შუა ნაწილი—იესო ქრისტე—ის წერტილია, სადაც ისკვნება სურათის მოძრაობის ყოველი ხაზი.

ლეონარდოს შემოქმედება იმას ამტკიცებს, რომ დინამიკა სიცოცხლის არსებაა.

ლეონარდოს სიცოცხლე შეწყდა მისი ცხოვრების 67 წლის თავზე. მის შემდეგ ოთხმა საუკუნემ განვლო, მაგრამ მისი სული ჩვენთვის კიდევ მოძრაობშია და მისი სახელი ჩვენ კიდევ გვაღელვებს. მისი გენიალობა იმდენად რთული და მაღალია, რომ მისი დაჩრდილვა ვერ შესძლო მთელმა ოთხმა საუკუნემ.

ქართველ მხატვართა სურათების გამოფენა

(ქ. ტფილისში 1919 წ. მაისში).

ადი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის ამ გამოფენას, რადგან აქ იყო წარმოდგენილი თითქმის მთელი თანამედროვე ჩვენი მხატვრობა. ქართველ მხატვართა საზოგადოებამ სრული თავისუფლება მისცა ყოველ მხატვარს გამოფენაზე მონაწილეობის მიღებისა. ყოველ მხატვარს უფლება ჰქონდა გამოეფინა თავისი ნაწარმოები. ეს [illegible] მხარეა გამოფენის.

[illegible] შთაბეჭდილებას ახდენდა გამოფენის გარეგნული მხარე: სურათები [illegible] იყო დალაგებული ერთ რიგზედ, მხატვრების განაწილებაში არ ყოფილა [illegible] სისტემა და გამოფენის ყოველ ნაწილს შემთხვევითი ხასიათი ჰქონ[illegible]. [illegible] ეს ნაკლი აუცილებლად გასწორებული უნდა იქნეს.

[illegible] გამოფენამ ჩვენ დაგვანახვა, რომ არსებობს თანამედროვე ქართული [illegible], რომლის მხატვრული მხარე არც ისე უნუგეშო მდგომარეობაშია, [illegible] ფიქრობდნენ. შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ჩვენს მხატვრობას ეხლა [illegible] საფუძველი *).

[illegible] თანამედროვე ჩვენი მხატვრობისათვის დიდათ მნიშვნელოვანია **ნიკ[illegible]ანაშვილის** შემოქმედება. ფიროსმანაშვილი ეკუთნოდა იმ წრეს, რო[illegible] [illegible] სავაჭრო სარდაფებში იკრიბება, და ამ წრეში, როგორც მხატ[illegible]ის [illegible] ხანია ცნობილი იყო. ამბობენ, ერთი წელიწადია, რაც ფიროს[illegible] [illegible] მიიცვალა, მაგრამ სად ან როგორ არ ვიცით. შეგვიძლია ვსთქვათ, [illegible] ჩვენში ფიროსმანაშვილი არის თანამედროვე პირველი სახალხო მხატ[illegible]ის [illegible] ნაწარმოები, რომელიც ეკუთვნის მისი ნიჭის სრულ განვითარების [illegible] [illegible] დამთავრებულ მხატვრულ ფორმას. როდესაც მის საუ[illegible] ნაწარმოებს უმზერ, გაგონდება ევროპის ცნობილი მხატვრები. თანა-

---

[illegible] [illegible]ია. რომ თანამედროვე ჩვენმა მხატვრობამ მოგვცა „სურათიც,“ რაც ამტკიცებს, [illegible] [illegible]ობას. ევროპიელ ჩვენში არც ერთ ხელოვნების დარგში [illegible] [illegible] [illegible]

მედროვე ევროპის მხატვრობაში იშვიათად ნახავთ ფიროსმანაშვილის მხატვ-
რობის მზგავსად დამთავრებულ მხატვრულ ფორმას. ფიროსმანაშვილის შე-
მოქმედება არ ისაზღვრება რომელიმე ერთი სახით. ის მრავალ-ფეროვანია.
მხატვრობის პირდაპირ მიზანს, ბუნების შეგნებას, ფიროსმანაშვილი უშუა-
ლოდ უდგება. მისი შემოქმედება დამყარებულია როგორც ჩვენი თანამედ-
როვე და წარსულ ისტორიის ცხოვრებაზე, ისე ბუნების იმ საგნებზე, რო-
მელნიც მხატვრობის საშუალებით ცოცხალ სახეს ღებულობენ („Nature
morte"). ხატულობა და ხაზულობა — ეს ორი უმთავრესი სახე, რომელზედაც
დამყარებულია მხატვრობა — ფიროსმანაშვილის მხატვრობაში საუ(ცხოვრედ ორის
შეგნებული. ხატულობა — ფერადების თვისებების შეგნება, ფერადობის ამო-
ცანის ახსნა, ფიროსმანაშვილის მხატვრობაში დიდ განვითარებას აღწევს. აქ
აღვნიშნავ მხოლოდ ერთ უმთავრეს თვისებას მისი ხატულობისა, სახელდობრ
იმას, რომ ფიროსმანაშვილი სურათს ხატვის ხაზულობით კი არა [illegible]
არამედ ხატულობით; ეს იღებს უმთავრესად სახატავ სიბრტყის [illegible]
ამ შავ ფერზე გამოყავს სხვა და სხვა ფერადობა. ამით უმთავრესად ხასიათ-
დება ფიროსმანაშვილის ხატულობის ტეხნიკა. უნდა ითქვას, რომ ამ ტეხნიკის
მიზეზით მისი ხატულობა იშვიათ სახეს ღებულობს.

გამოფენაზედ ფიროსმანაშვილი მხოლოდ რამდენიმე სურათით იყო წარ-
მოდგენილი, აღსანიშნავია „ქეიფი," „Nature morte" (საკ. [illegible] ზ. [illegible]
ბისა), „ქეიფი რთველის დროს" და „დღეობა" (ორივე საკუთრება [illegible]
ვარდნაძისა).

ფიროსმანაშვილის გარდა, დანარჩენ მხატვრების ნაწარმოებნი [illegible]
ორ ნაწილათ დავყოთ. პირველი — ის მხატვრები, რომლების შემოქმედ-
ხატულობაზედაა დამყარებული; მეორე — ისინი რომლების მხატვრობა ხა-
ლობაზედაა დაყრდნობილი.

უმთავრესად ხატულობაზედ აგებული ნაწარმოებები ეკუთვნიან [illegible]
თოიძეს, ალექსანდრე მრევლიშვილს და შალვა ქიქოძეს.

მოსე თოიძის შემოქმედება ფერადობის თვისების გაგებაში [illegible]
მხატვრულ სკოლის პრინციპიდან, რომელსაც იმპრესიონი[illegible]
მოსე თოიძე იმპრესიონისტურ ტეხნიკას აღრმავებს, ართულებს [illegible]
გავს ფერადების შემაერთებელ ძაფს. თოიძე ყოველ თავის სურ[illegible]
ბიდან გამოდის და მხოლოდ შემდეგ გადადის ფორმის ხაზულ[illegible]
სურათებში ხაზულობას სრული სახე არა აქვს მიღებული, ზ[illegible]

მოებში კი ხაზულობა ძალზედ მოქანცულია. ეს, როგორც აღვნიშნე, იმის მიზეზია, რომ თოიძე ხატვის დროს გამოდის ფერადობიდან და არა ფორმის ხაზულობიდან. მართალია, ფიროსმანაშვილიც ფერადობიდან გამოდის, მაგრამ მას ფორმის ხაზულობა საუცხოოდ აქვს შეგნებული და ამიტომ ფერადობა და ხაზულობა ერთმანეთში შეთანხმებულია. თოიძის საუკეთესო სურათებათ უნდა ჩაითვალოს „ძველი ტფილისის ბაზარი“ და „დედოფალი სააგარაკოთ“. საყურადღებოა სხვა ეტიუდებიც. აღსანიშნავია მისი ერთი ძველი სურათი, რომელიც კარგ შთაბეჭდილებას ახდენს როგორც ფერადობით, ისე ხაზულობით (ეს სურათი შეძენილია მთავრობის მიერ).

ალექსანდრე მრევლიშვილი გამოცდილი მხატვარია. სურათის ხატვის დროს ესეც ფერადობიდან გამოდის, მაგრამ ხაზულობასაც აქცევს ყურადღებას. ფერადების და ხაზულობის თვისება მას ჯერ არა აქვს სავსებით შეგნებული. მისი დიდი სურათი „კრწანისის შემდეგ“ ხატულობის მხრივ კარგად არის შესრულებული, მხოლოდ ხაზულობა კი სუსტობს. „მცხეთის ტაძარი“ ხატულობის მხრივ კარგ შთაბეჭდილებას ახდენს.

შალვა ქიქოძე ახალგაზრდა მხატვარია, ამიტომ მისი გამართლება უფრო მომავალშია. ესეც თავის შემოქმედებას ფერადობაზედ ამყარებს. ხაზულობას ჯერ მის ნაწარმოებში ვერ მიუღია გარკვეული სახე. აღსანიშნავია მისი „ქალაქი“ (საკუთრება გ. ქიქოძისა), სადაც ფერადობა კარგად არის შეგნებული. „ავტოპორტრეტის“ ფერადობა ვერ არის კარგად შეხამებული ერთმანეთში.

როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, მხატვრობის მეორე რიგს ეკუთვნიან ისინი, რომელთა შემოქმედება ხაზულობაზედაა დამყარებული. ამ რიგს ეკუთვნიან ვლ. გუდიაშვილი და ერეკლე თოიძე.

ვლ. გუდიაშვილი თავის შემოქმედებას უმთავრესად ხაზულობაზედ ამყარებს. ის სურათის ხატვის დროს ჯერ ხაზულობიდან გამოდის. ამიტომ მის ნაწარმოებში დამთავრებულ ფორმად ფანქრით ნახატები უნდა ჩაითვალოს. მას კარგად აქვს შეგნებული ხაზულობის თვისება და ფანქრის აგებულობის შინაარსი. ყოველი მისი დიდი სურათი წარმოადგენს იმავე ხაზულობას, ხოლო ცოტად შეფერილს. ფერადობა ჯერ-ჯერობით გუდიაშვილს არა აქვს შეგნებული, მისი სიძლიერე ჯერ მისთვის გაურკვეველია; ამიტომ ფერადობას ის მხოლოდ განსაკუთრებულ საჭიროების დროს ხმარობს. აღსანიშნავია ის, რომ

გუდიაშვილის პირველი პერიოდის სურათები ქართულ ფრესკაზედ და სპარსულ მხატვრობის ფორმაზედაა დამყარებული, ხოლო მეორე პერიოდის სურათები კი—ბუნების უშუალოდ მხატვრულ შეგნებაზედ. ამ მხრივ გუდიაშვილი სწორ გზაზედ სდგას, სრადგან ჩვენი წარსულ დროის მხატვრობა დამთავრებულ ფორმად უნდა ჩაითვალოს.

მის სურათებში აღსანიშნავია „ქალაქ გარეთ", რომლის ხაზულობა საუცხოოდ არის შესრულებული, „ქეიფი ძმა ბიჭებისა," „ქეიფი ედემის ბაღში", „პირიმზისა", „ცისანა", „დღეობა" და „მერანი". მისი ფანქრით ნახატებს, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და გუდიაშვილის მხატვრული სიძლიერე ამ ნახაზობაშია.

ერეკლე თოიძე უმთავრესად ხაზულობაშია ძლიერი. მისი ფანქრით ნახატები ამას მოწმობს. მაგრამ ერეკლე თოიძის ნაწარმოებში არა სჩანს ბუნების უშუალოდ შეგნება და არც ბუნებისადმი დაკვირვება, ამას კი განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, რადგან მხატვრობა ბუნების უშუალოდ შეგნებაზედაა დამყარებული. ჯერ ერეკლე თოიძე ახალგაზრდაა და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თავის მხატვრულ სიძლიერეს ის ჩვენ მომავალში დაგვანახვებს.

გრიგოლ გაბაშვილი მხოლოდ სამი სურათით არის წარმოდგენილი. მისი საუკეთესო ნაწარმოები მის წარსულ პერიოდს ეკუთვნის და სამწუხაროა, რომ ამ პერიოდის სურათები არ იყო გამოფენილი.

სიდამონ-ერისთავის ნაწარმოებში ვერ ხედავთ ვერც ფერადობის და ვერც ხაზულობის შეგნებას. მას ჯერ არა აქვს კარგად გარკვეული ხაზულობის და ფერადობის მნიშვნელობა, მისი მხატვრული ფორმა ბუნების უშუალოდ შეგნებიდან არ გამოდის.

თამარ თავაძე და ელენე ახვლედიანი მხატვრულ ფორმის შეგნებას, როგორც მათი ნაწარმოებიდან სჩანს, მხოლოდ ეხლა იწყებენ.

ვასილ ჯორჯაძის ნაწარმოები ვერც ფერადობის და ვერც ხაზულობის შეგნებას ვერ გადმოგვცემენ.

ქანდაკება გამოფენაზედ წარმოდგენილია **იაკობ ნიკოლაძის** ნაწარმოებით. ნიკოლაძეს აქვს ფორმის შეგნება და ქანდაკებლობის ტეხნიკური მხარეც. ამიტომ ზოგიერთი მისი ნაწარმოები დამთავრებულ ფორმას წარმოადგენენ.

საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ ნიკოლაძეს დიდი შეძლების უნარი აქვს და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში თავის შეძლებას დაგვანახვებს.

ნიკოლაძის ნაწარმოებში აღსანიშნავია: „აკაკი“, „შოთა რუსთაველი“, „ჩრდილოეთის ასული“, „თ. ყ-ელისა“, „სალომე“, „პარიზელი ქალი“ და „ქარი“.

გამოფენაზედ მოთავსებულია ჩემი ნაწარმოებიც, რომელიც ახასიათებს ჩემ მიერ მხატვრობის ხატულობის და ხაზულობის შეგნებას.

ზემო-ნათქვამიდან სჩანს, რომ არსებობს თანამედროვე ჩვენი მხატვრობა, და ეს გამოფენა იყო პირველი მისი საჯარო გამოსვლა. ჩვენი ახალი მხატვრობა ჯერ ძიების ხანაშია, მაგრამ ის, რაც ამ გამოფენამ მიგვცა, უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ჩვენი მხატვრობა აყვავდება, ჩვენს მხატვრობას აქვს მომავალი.



3

სარგის კაკაბაძე.

საქართველო ერეკლე II-ს დროს.

(ისტორიული მონოგრაფია)

საქართველოს ისტორიაში ერეკლე II-ს დრო ფრიად საინტერესო ხანად ითვლება, და არა მარტო იმიტომ, რომ ქართლ-კახეთის პოლიტიკურ ცხოვრებას ამ დროს სათავეში ედგა ისეთი ღირს-შესანიშნავი პიროვნება, როგორიც იყო სახელ-განთქმული „პატარა კახი", არამედ იმიტომაც, რომ მე-XVIII საუკუნის მეორე ნახევარში თანდათან მზადდებოდა ნიადაგი ჩვენი ქვეყნის მიერ პოლიტიკურ თავისუფლების დაკარგვისთვის. ისეთი კატასტროფა ერის ცხოვრებაში, როგორიც ერის დამოუკიდებლობის და თავისუფლების დაკარგვა, რასაკვირველია, გამოწვეული იყო, გარდა კავკასიის ქედამდის დამპყრობელ რუსეთის მოღწევისა, მრავალმხროვან შინაურ და გარეშე მიზეზებით, რომელთა გათვალისწინება რამდენადაც საინტერესოა, იმდენადვე რთულ საქმეს წარმოადგენს. საზოგადოდ ამ დროის საქართველოს ისტორიას ახასიათებს რამდენიმე ფრიად საგულისხმიერო და რამოდენადმე პარადოქსალური მოვლენა. ქართლ-კახეთის სამეფო ტახტი უჭირავს ერეკლე II-ს, ერთს უშესანიშნავეს მეფეთაგანს, რომელიც კი ახსოვს ჩვენი ქვეყნის ისტორიას. ის იყო ნამდვილი რაინდი, მხნე მეომარი, ნიჭიერი, თვით ევროპამდის სახელ-მიწვდენილი სარდალი, ბუნებით დიდი პოლიტიკური ჭკუის მქონე და იმავე დროს აზიური პოლიტიკის ჩინებულად მცოდნე. მის ბრძანებლობის ქვეშ ერთხელ კიდევ ისახელა თავი ქართველთა ძველმა გმირობამ. თვით ქვეყანა, რამდენადმე პოლიტიკურ გაერთიანების გზაზედაც შემდგარი, ყოველს შემთხვევაში ქართლისა და კახეთის სამეფოების ფარგლებში, თითქოს კულტურულ განვითარებას და წარმატებას დაადგა. შინაგან ძალების, შედარებით წინანდელთან, რამდენადმე განმტკიცებას მოყვა სამეფოს საზღვრების გაფართოება. განჯისა და ერევნის სახანოების დაპყრობამ აღმოსავლეთ საქართველოს სახელმწიფოებრივი გავლენა გააფართოვა შორს სამხრეთისაკენ, მდ. არეზსა და არარატამდის და, მეორეს მხრივ, მიუხედავად ამ ძალთა აღორძინების მომასწავებელ ფაქტებისა, ჩვენ ვხედავთ საქართველოს სახელმწიფოებრიობის საერთო მდგომარეობის თანდათან გაუარესებას, ხოლო მე-XVIII საუკუნის მიწურულს და მე-XIX საუკუნის საზღვარზე ერისა და ქვეყნის თავისუფლების სრულს დაკარგვასაც. ამ მოვლენათა გათვალისწინება და მათი მიზეზობრივი ახსნა წარმოადგენს რამდენადაც ჩვენი ისტორიოგრაფიისათვის საჭირო, იმოდენადვე ახლანდელს პირობებში რთულ საქმეს, რომელიც მოითხოვს ბევრს შრომას და კვლევა-ძიებას. ამ ხანად ამ მონოგრაფიაში ჩვენ ვეცდებით მხოლოდ, რამოდენადაც ადგილი ამის ნებას

იძლევა, წარმოვადგინოთ ცდა მოვლენათა ამგვარი გათვალისწინებისა. ჯეროვანი და ყოველ-მხრივი დამუშავება კი ყველა მასალებისა მე-XVIII საუკ. შესახებ მომავალის საქმეა.

ერეკლე II-ს ისტორიულ ასპარეზზე გამოსვლამდის საქართველოს მდგომარეობა ფრიად დამაფიქრებელი იყო. მე-XVIII საუკ. პირველ ნახევარში, უფრო 20-იან და 30-იან წლეებში, იყო ისეთი მომენტები ქართველ ერის ცხოვრებაში, როდესაც თვით მისი ფიზიკური არსებობაც კი აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ბეწვზედ ეკიდა. როგორც ქართლის, ისე კახეთის სამეფო უკვე თითქმის საუკუნე ნახევარი ემორჩილებოდა სპარსეთს და მის ფარგლებში ითვლებოდა: მართალია, ორსავე სამეფოს თითქმის ყოველთვის განაგებდა მკვიდრი ბატონი ბაგრატიონთა დინასტიისა, მაგრამ როგორც ქართლში, ისე კახეთში მართველი მებატონე უნდა ყოფილიყო მაჰმადიანთა რჯულისა. ამასთანავე თუ ადგილობრივ საქართველოში ქვეყნის ბატონები მეფეებად იწოდებოდნენ, სპარსეთში ისინი მიღებული იყვნენ როგორც ხანები და თავის სამფლობელოს მართავდენ შაჰის მოადგილის ტიტულით. აღმოსავლეთ ქართველობის საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაშიაც დიდი დაღი ჰქონდა დამჩნეული სპარსეთის გავლენას. სპარსული ენა ქართლ-კახეთის მართველ წრეებში ფრიად გავრცელებული იყო, ქართული ლიტერატურა და განათლება სპარსული ნორმის დიდ გავლენას განიცდიდა. მაჰმადიანობაც, განსაკურებით მაღალ წრეებში, რამოდენადმე ფეხს იკიდებდა, ხოლო საზოგადო ცხოვრებაში სპარსული ზნე-ჩვეულება და თვით ტანისამოსიც კი იჭერდა ყოველივე ქართულის ალაგს. სპარსეთის პოლიტიკურს ბატონობას ამგვარად თან დაყვა ძლიერი გავლენაც საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრების სხვა-და-სხვა დარგებში. ქართლისა და კახეთის ბატონიშვილები უფრო ხშირად სპარსეთის მთავრობის მოთხოვნილებით, ხოლო იშვიათად თავის ნებითაც ყაენის კარს მიდიოდენ და იქ იწყებდენ სამსახურს. ბევრი ქართველი თავადი და აზნაურიც, მაჰმადიანობაში გადასული, აგრეთვე სპარსეთის მთავრობის სამსახურში ითვლებოდა და ზოგი მათგანი ხშირად მაღალ თანამდებობას აღწევდა. თუმცა ქართლ-კახეთიდან სპარსეთის ხაზინას დიდი არაფერი შემოსავალი ჰქონდა: მე-XVIII საუკ. დასაწყისში, მაგ., ქართლ-კახეთი იხდიდა წლიურად 300 თუმანს ხარკს; გარდა ამისა, ყოველს წელს უნდა წარგზავნილიყო ყაენის კარს 4 შევარდენი, განსაზღვრული რაოდენობა ღვინისა და სამს წელიწადში ერთხელ 7 მონა. მეფე აგზავნიდა აგრეთვე გარემოებისდა მიხედვით ყაენის ჰარამხანისათვის რამოდენიმე საუკეთესო ქალწულს, მაგრამ

თავის მხრივ ყაენიც აძლევდა ქართლისა და კახეთის მებატონეს განსაზღვრულ ჯამაგირს. ერეკლე I-ი 1702 წ., მაგალითად, ღებულობდა 300 თუმანს წელიწადში. შემოსავლის წყაროს ამ გვარად სპარსეთის ხაზინისათვის ქართლ-კახეთი არ წარმოადგენდა; მაგრამ მიუხედავად ამისა, სპარსეთის მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევდა თავისი ბატონობის განმტკიცების საქმეს ჩვენს ქვეყანაში, უმთავრესად იმ მნიშვნელობისა გამო, რომელიც ჰქონდა სპარსეთისათვის ქართლ-კახეთს ოსმალეთის წინსვლის შესაჩერებლად კავკასიაში.

სპარსეთის ბატონობა ქართლ-კახეთში მკვიდრად იყო, სანამ თვით სპარსეთი არ დასუსტდა მე-XVIII საუკ. დასაწყისს. ამ დროს, მრავალ სხვა შინაურ დამრღვეველ მიზეზების გარდა, სპარსეთს ფრიად საქმე გაუძნელეს ავღანელებმა, რომელნიც ენერგიულად ებრძოდნენ სეფევიდების დინასტიის უკანასკნელ ყაენს შაჰ-სულთან-ჰუსეინს (1694—1722 წ.). ჯერ მერვეისი, ავღანელების მეთაური, და მისი სიკვდილის შემდეგ 1711 წ. ძმისწული მისი მაჰმუდი ფრიად საშიში მტრები გახდენ სპარსეთის შაჰისა. გამბულ ბრძოლებში ავღანელების წინააღმდეგ დიდს მონაწილეობას ღებულობდენ ქართველებიც. უწინ მეფე გიორგი 1709 წ. და შემდეგ 1711 წ. ძმისწული მისი ქაიხოსრო. ქართლის ბატონად და სპარსეთის სპასალარად დანიშნული, და ამასთანავე მრავალი ქართველი მეომარნი მსხვერპლად შეეწირნენ ამ ბრძოლებს. 1722 წ. მაჰმუდმა საბოლოოდ დაამარცხა ისპაანთან შაჰ-სულთან ჰუსეინი, რომელიც იძულებული გახდა დამორჩილებოდა მტერს და საკუთარის ხელით დაედგა მისთვის თავს გვირგვინი. მაჰმუდმა დაიპყრა სპარსეთის ტახტი და დაიწყო ქვეყნის მართვა. თავისი მეფობა მან აღნიშნა იმით, რომ გასწყვიტა უწინდელი შაჰის ნათესავები, რომელთაგან გადარჩა მხოლოდ ერთი—თამასპი. თამასპი, როგორც სპარსეთის ტახტის პრეტენდენტი, შეეცადა თავისი საქმის მოგვარებას და ამისთვის მან მოლაპარაკება გამართა რუსეთის მთავრობასთან, რომელსაც სამაგიეროდ უთმობდა კასპიის ზღვის მიმყოლ ქვეყნებს. შაჰ-თამასპის მომხრეთა შორის მალე საერთო ყურადღება მიიპყრო ერთმა თურქმა აფშარმა, რომელიც თავის თავს უწოდებდა თამასპ-ყული-ხანს (ე. ი. თამასპის ყმას). ჩინებულმა ორგანიზატორმა და მაღალ-ხარისხოვან სარდალმა თამასპ-ყული-ხანმა მალე იფრინა კიდეც ავღანელები, რომელნიც სპარსეთს თავს ასხდენ. სპარსეთის შინაურმა და გარეშე საქმეებმა გამოსწორება იწყო, თამასპ-ყული-ხანის მნიშვნელობა თან და თან გაიზარდა და ბოლოს იმ ზომამდის ავიდა, რომ 1732 წ. შაჰ-თამასპი იძულებული გახდა ტახტიდგან გადამდგარიყო თავისი შვილის მცირეწლოვან აბას III-ს სასარგებლოდ. ხოლო თამასპ-ყული-ხანმა

კი თავისი თავი გამოაცხადა ამ პატარა შაჰის რეგენტად. ის გახდა ფაქტიური ბრძანებელი ირანისა. ამის შემდეგ მისმა ძლევამოსილებამ და სამხედრო გენიამ კიდევ უფრო გაშალა ფრთები. 1736 წ. მარტში მცირეწლოვან აბას III-ს სიკვდილის შემდეგ თამასპ-ყული-ხანმა გამოაცხადა თავისი თავი სპარსეთის ყაენად შაჰ-ნადირის სახელით, რათა ამის შემდეგ უფრო მეტის ენერგიით შესდგომოდა სპარსეთის დაკარგულ ტერიტორიების დაბრუნებას და აგრეთვე სხვა ახალ ლაშქრობათა სამზადისს.

ავღანელების დამარცხების შემდეგ სპარსეთის ერთ მთავარ მოწინააღმდეგეთ დარჩა ოსმალეთი, რომელმაც თავის დროზედ ისარგებლა ირანის სისუსტით და შემოიჭრა შორს აღმოსავლეთისკენ მის ტერიტორიაზედ. ოსმალების ერთ მიზანს შეადგენდა, სხვათა შორის, ქართლ-კახეთის დაპყრობაც, —ლიხთ-იმერეთის სამეფო-სამთავროები ხომ უკვე თითქმის 1 $^1/_2$ საუკუნე მათ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა—რათა ამით საბოლოოდ ფეხი მოეკიდათ აღმოსავლეთ კავკასიაშიც. ქართლის მეფე ვახტანგ VI, თავისი ქვეყნის კულტურულსანი მფლობელი, რომელსაც სამეფოს ცხოვრების ორგანიზაციულად დაწყობისათვის ამდენი ღვაწლი მიუძღოდა, სცდილობდა გართულებულ პოლიტიკურ მდგომარეობისათვის თავი გაერთო. მისი აზრი და პრაქტიკული მოქმედების მიზანი იყო, რომ სპარსეთისა და რუსეთის ინტერესებს შორის არსებულ წინააღმდეგობათა სარგებლობით, ხოლო გადამწყვეტ მომენტში რუსეთზე დაყრდნობით, შეენარჩუნებინა ქართლისათვის მაქსიმუმი შინაგან თავისუფლებისა. ბევრი სხვა მიზეზების გარდა, ვახტანგს თავისი პოლიტიკის წარმოებაში ხელს უშლიდა გარკვეული სპარსული ორიენტაცია კახეთის მფლობელის მაჰმად-ყული-ხანისა (კოსტანტინესი), რომელიც ამასთანავე სცდილობდა შექმნილი მდგომარეობა გამოეყენებინა თავის სასარგებლოდ. სპარსეთის მთავრობამ მას ვახტანგის საწინააღმდეგოდ მისცა ქართლი, რის შემდეგ კახ-ბატონი იარაღით ხელში შეეცადა ტფილისში დამკვიდრებასაც. დაპყრობის დროს ტფილისი საშინლად აოხრებულ და აწყვეტილ იქმნა მაჰმად-ყული-ხანის მიერ მიყვანილ ლეკებისაგან (1723 წ.). ამ შინაური არეულობით ისარგებლეს ოსმალებმა, რომელნიც თავის მხრივ ამავე 1723 წ. ზაფხულს სათანადო მოლაპარაკების შემდეგ უბრძოლველად შემოვიდნენ ტფილისში.

ოსმალთა შემოსვლის შემდეგ ვახტანგ და მაჰმად-ყული-ხანი საერთო საფრთხის წინაშე დაზავდნენ, მაგრამ გვიანღა იყო. ვახტანგი კიდევ შეეცადა საქმის გამოსწორებას ეხლა უკვე ოსმალებთან კომპრომისის გზაზედ დადგომით, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, როგორც თვით ის, ისე ძე მისი

ბაქარ, თვით ოსმალთაგან წინა წელს ქართლის ბატონად დასმული, იძულებულნი გახდნენ 1724 წ. დიდძალ წარჩინებულ ქართველთა თანხლებით რუსეთს გადასახლებულიყვნენ.

ვახტანგის რუსეთში წასვლის შემდეგ მაჰმად-ყული-ხანმა, რომელსაც კახეთის გარდა ჰქონდა სპარსეთის მთავრობისაგან განჯა, ყაზახი და შამშადილი, ხოლო წინად განჯის მაგივრად ერევანიც, განაგრძო ბრძოლა ოსმალებთან. მას მხარს უჭერდნენ ქართლის თავადები, რომელნიც აგრეთვე ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლას აწარმოებდნენ. ქართლის მსხვილ თავადების ჯგუფს შეადგენდნენ უპირველეს ყოვლისა ქართლის უწარჩინებულეს გვარეულობათა სათავეში მდგომნი პირნი. ასეთნი იყვნენ: ქსნის და არაგვის ერისთავნი, ამილახორი, მუხრან-ბატონი და ყაფლანიშვილი (ორბელიანი). თითო მათგანს ჰყავდა, რასაკვირველია, თავისი მომხრეები თავისი გვარის სხვა მსხვილ წარმომადგენელთა ან და ზოგ სხვა თავადებ შორის. საერთოდ კი ფეოდალთა იმ ჯგუფის შემადგენლობა, რომელიც ასრულებდა ქვეყნის ბედისათვის დიდ-მნიშვნელოვან პოლიტიკურ როლს, არ აღემატებოდა 10—12 კაცს. რასაკვირველია, ამ დიდს თავადებს აერთიანებდათ საერთო ხაზი თავისი უფლებათა დაცვისა, მაგრამ კერძო შემთხვევებში თითქმის არასოდეს მათ შორის ერთობა არ ყოფილა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აქ ცალკე გვარეულობათა ტრადიციებს, კერძო ინტერესებს, პირადი პატივმოყვარეობის, შურიანობისა თუ მეტოქეობის საკითხს და ყველაფერი ეს კი ხელს უშლიდა ფეოდალების ერთს ნამდვილ ჯგუფად დარაზმვას.

ანალოგიურ მოვლენას, მხოლოდ უფრო ნაკლების სიძლიერით და გარკვეულობით, ჰქონდა ადგილი კახეთშიც.

ცხადია, ასეთს პირობებში მაჰმად-ყული-ხანის ბრძოლას ოსმალების წინააღმდეგ დიდი შედეგი არ უნდა მოჰყოლოდა. მას მხარს უჭერდა, მაგალითად, გივი ამილახორი, მხნე და დიდი ენერგიის მქონე ფეოდალი, და ქსნის ერისთავი შანშე; ხოლო მეორე წარმომადგენელი ქართლის მსხვილ ფეოდალებისა, ერასტი ორბელიანი, ტფილისში მყოფ ისაყ-ფაშასთან იყო. ოსმალნი აგრეთვე ხელოვნურად სარგებლობდნენ ვახტანგ მეფის გამაჰმადიანებულ ძმის იესეს პიროვნებით, რომელიც ნომინალურად გამოცხადებული იყო ქართლის ბატონად. მაჰმად-ყული-ხანი და გივი ამილახორი შეებრძოლენ ოსმალთ, რომელთანაც იმყოფებოდნენ აგრეთვე იესე და ერასტი ორბელიანი. მაგრამ ბრძოლა გათავდა მაჰმად-ყული-ხანის სასტიკი დამარცხებით, რომლის შემდეგ ორბელიანმა ურმებით წააღებინა დახო-

ცილ ქართველთა თავები ტფილისში მყოფ რაჯაბ-ფაშისათვის წასარდგენად.

ამის შემდეგ ოსმალთ უფრო შემოიმტკიცეს ქართლი. დაადვეს მას დიდი ხარკი და მალე გადავიდნენ შეტევაზე თვით კახეთში, მაჰმად-ყული-ხანის წინააღმდეგ და განდევნეს ის თავის სამფლობელოდან. მაჰმად-ყული-ხანი სცდილობდა თავი შეეფარებინა განჯას, მაგრამ რადგან იქ ოსმალების შიშით არ მიიღეს, იძულებული იყო წასულიყო ქსნის ერისთავთან შანშესთან. კახეთის უპატრონობით ისარგებლეს ლეკებმა. რომელნიც აქამდისაც მუდმივ თარეშებით სასოწარკვეთილებაში აგდებდენ ქვეყანას, წამოიშალენ და მოედვენ მას. მთელი კახეთი გახდა ლეკების სათარეშო ასპარეზად. ქვეყანა მთლად აოხრდა. ციხეები მათ ჩაუვარდათ ხელში, ხოლო თვით ხალხში იძულებითი იწყო გავრცელება მაჰმადიანობის, რადგან ეს იყო ერთად-ერთი საშუალება ფიზიკურ არსებობის შენარჩუნებისა. მართალია, მაჰმად-ყული-ხანს მისი თხოვნისამებრ შემწეობას უწევდა სპარსეთის მთავრობა, რომელმაც გამოუგზავნა მას ერთგზობისას 13,400 ოქრო, მაგრამ ამ ფულითაც ის ვერას გახდა; კახეთში ფეხის მომაგრებაც ვერ შესძლო და ბოლოს იძულებული გახდა წასულიყო მწირობად ფშავს, სადაც დაჰყო მთელი ერთი წელიწადი.

კახეთის ლეკების მიერ დაპყრობა აფერხებდა ოსმალების პოლიტიკას ქართლშიაც, ამიტომ ისაყ-ფაშამ იესეს სიკვდილის შემდეგ 1726 წ. არჩია ქართლის ფეოდალებთან მორიგების გზას დასდგომოდა. სომხით-საბარათიანო მიეცა ერასტი ყაფლანიშვილს (ორბელიანს), მცხეთას ზევით ბაგრატ ციციშვილს, ზემო ქართლი გივი ამილახორს, ხოლო სამუხრანო და არაგვ-ქსნის საერისთონი თავ-თავის მეპატრონეთ. მაგრამ ყველაზედ უფრო განდიდებული ისაყ-ფაშის მიერ იყო ტფილისის მელიქი აშხარბეგ ბებუთაშვილი. ისაყ-ფაშის ამ კომპრომისულ საშუალებამ, მართალია, ოსმალებს ახალი ძალა შესძინა ქართლში: მაგალითად, გივი ამილახორი, ამის შემდეგ გულწრფელად ემორჩილებოდა ტფილისიდან მოცემულ ბრძანებებს, მაგრამ ქართლის ამ დაყოფამ, რასაკვირველია, ვერ მოსპო დიდ თავადებ შორის არსებული ინტერესთა წინააღმდეგობა თუ პირადი შურიანობა, ვერ აღმოფხვრა ოსმალთა საწინააღმდეგო მოძრაობაც. კახეთშიაც ამ დროს თელავიდან ერთი მღვდლის წინამძღოლობით გარეკეს შიგ ჩამომდგარნი ლეკნი და მაჰმად-ყული-ხანმაც შესძლო კახეთში ჩამოსვლა, რადგან ორსავე ფრონტზე ლეკებსა და ოსმალებთან ბრძოლა შეუძლებელი იყო, ამიტომ ის დაეზავა ისაყ-ფაშას. ქართლში ამავე დროს უკმაყოფილება თან და თან იზრდებოდა. პირველად ოსმალების წინააღმდეგ იშიშვლა ხმალი საამილახვროში თეიმურაზ მაჩაბელმა და შემდეგ განდგენ

შანშე ქსნის ერისთავი და არაგვის ერისთავიც. თუმცა კახ-ბატონი მაჰმადყული-ხანი ამ ჟამად ოსმალებს აქტიურ დახმარებას უწევდა ქართლის აჯანყებულ თავადების წინააღმდეგ, მაგრამ ბოლოს, რადგანაც ოსმალებს განზრახვა ჰქონდათ მისი თავიდან მოცილება და კახეთის სრული დაპყრობა, მაინც დაიღუპა ვერაგულის სიკვდილით ისაყ-ფაშის ბრძანებით (1729 წ.).

მაჰმად-ყული-ხანის მემკვიდრედ კახეთში იყო ძმა მისი თეიმურაზი, რომელიც ჯერ იძულებული გახდა თავი ფშავში შეეფარებინა, რადგან კახეთს შემოესია ოსმალთა ჯარი, ააოხრა ის და მრავალი სული წაასხა ტყვედ. ოსმალთ უნდოდათ არა-თუ მარტო კახეთის დაპყრობა, არამედ ლეკების ალაგმვაც, მაგრამ, თუმცა ლეკები დაამარცხეს კიდეც, ფეხი იმ მხარეში მაინც ვერ მოიკიდეს და ქვეყანა ერთის მხრივ ოსმალებისა და მეორეს მხრივ ლეკების გამო სულს ღაფავდა.

როგორც ქართლს, ისე კახეთში მოსახლეობა ამ დროს მთლად აწყვეტის პირს იმყოფებოდა. ქართლში ოსმალთა ფარფაშობას და ფეოდალთა ურთიერთ შორის ან და ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლას თან დაემატა ლეკთა თარეშები. გუნდ-გუნდად, ათას კაცად ან მეტნაკლებად ლეკნი მოედვენ ქვეყანას. ქართლის ცენტრალური და ყველაზედ უფრო დასახლებული ადგილები მთლად გავერანდა. სამუხრანოს, შიდა-ქართლს, საციციანოს, რამდენადმე აგრეთვე საბარათიანო— სომხითს თითქმის სრულებით არ დარჩა მსახლობელი, გარდა მცირეოდენ ნეშტისა, რომელიც სიმაგრეებში შეხიზნულიყო. სამუშაოდ ჩამოსვლასაც ყანებში, თუ არ დიდი სიფრთხილით და ჩამოპარვით, ვერვინ ბედავდა. ურთი-ერთ რბევისა გამო გახშირდა ტყვიის ყიდვა, რაც უკანასკნელ სისხლს ართმევდა ისედაც სიკვდილის პირზედ მიმდგარ ხალხს. ასეთსავე მდგომარეობაში იყო კახეთი: ლეკთა რბევის გამო მრავალი სული ასწყდა, მრავალი დატყვევდა, ხოლო დანარჩენთაგან ბევრმა მუდმივ ძალადობისაგან თავის დასახწევად ირჩია მაჰმადიანობაში გადასვლა. მთელი ქიზიყი და ალაზნის გაღმა მხარი საბოლოოდ გალეკებისა და გადაგვარების გზაზედ იყო დამდგარი. მხოლოდ მცირეოდენი ნაწილი, ისიც მომეტებულად თავად-აზნაურობა, ჯერ კიდევ მედგრად იცავდა მამა-პაპურ სარწმუნოებას და ეროვნებას. ჩრდილოეთი ნაწილი კახეთისა კი მთლად სიმაგრეებში იყო გახიზნული.

აი ასეთი იყო ქვეყნის მდგომარეობა, როდესაც ფშავეთში გახიზნულმა თეიმურაზმა დაიწყო ფიქრი ხალხის გამოხსნაზედ. მას გვერდში უდგა ერთადერთი ძე მისი ერეკლე ბატონიშვილი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, 15 წლისა, მაგრამ უკვე ქვეყნის გაჭირვებაზედ მწვავედ დაფიქრებული. თეიმურაზი გამოეხმაურა ად-

გილ-ადგილ დარჩენილ კახელებს, თავისი შვილი ერეკლე ჩამოგზავნა ალავერდს, ხოლო თითონ კი მივიდა თელავს, სადაც დას-დასად შეიკრიბნენ მასთან მეომრები. საჭირო იყო ქიზიყისა და გალმა-მხრისათვის ხელის გაწვდენა. რჩეულ მეომართა მცირე რაზმი ახალგაზრდა ერეკლე ბატონიშვილის ხელმძღვანელობით თავს დაესხა ნეიშინის მინდორზედ ქიზიყის წასახდენად წამოსულ ლეკის ჯარს და სასტიკად დაამარცხა (1733 წ.).

ეს იყო ახალგაზრდა ერეკლეს პირველი ლაშქრობა, რომელმაც იხსნა ქიზიყი და გალმა-მხარი მთლად წალეკისა და გადაგვარებისაგან. ამის შემდეგ იწყება სახელოვანი მოღვაწეობა ერეკლესი, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლის სიგრძეზედ, ხმლით ხელში, დარაჯად ედგა საქართველოს ერის უშიშროებასა და მისი მშვიდობიან ცხოვრების უზრუნველყოფის საქმეს.

ამ დროს სპარსეთში უკვე აღმობრწყინებულიყო თამაზ-ყული-ხანის დიადი სახელი, მაგრამ საქართველოს ბედს ჯერ კიდევ უცილობლად ოსმალები ბატონობდნენ. საჭირო იყო მათთან რაიმე კავშირის დაჭერა და თუმცა თეიმურაზი პირადად ამისი დიდი წინააღმდეგი იყო, მაგრამ ბოლოს, კახთ დარბაისელთა იძულებით, ჩამოვიდა ტფილისს ისაყ-ფაშასთან, აღუთქვა მას მორჩილება და გაბრუნდა უკან თელავს. ამასობაში თამაზ-ყული-ხანმა მოიმარაგა სპარსეთის საქმეები და გამოსწია ჩრდილოეთისაკენ ოსმალების აღმოსავლეთ კავკასიიდან გასადევნად. 1734 წ. მან უკვე დაიპყრო შირვანი, ამით დაუახლოვდა კახეთს და ცოტა ხნის შემდეგ მოადგა განჯასაც. ეხლა კი თეიმურაზი გადავიდა აქტიურ მოქმედებაზედ ოსმალების წინააღმდეგ. მან ალღო აუღო შექმნილ მდგომარეობას და ის აზრი მიიღო, რომ მხოლოდ მისი სახლისათვის ჩვეულ, სპარსეთის ორიენტაციის გზაზე დადგომას შეეძლო როგორც მისი ძალა-უფლების განმტკიცება, ისე ქვეყნის მდგომარეობის გაუმჯობესება. ამიტომ, როდესაც ისაყ-ფაშის ძემ უსუფ-ფაშამ გაგზავნა 6 ათასი კაცისაგან შემდგარი ჯარი ქიზიყზე განჯას დაბანაკებულ თამაზ-ყული-ხანის წინააღმდეგ დივერსიის მოსახდენად, თეიმურაზმა სპარსელების დასტურით და მათი სამხედრო მოქმედებათა გეგმასთან შეთანხმებით შეკრიბა 2 ათასი კაცი, დაეცა ოსმალთ და დაამარცხა ისინი. ამის შემდეგ თეიმურაზმა კახეთის მართველად დასტოვა ქიზიყის მოურავი, ხოლო თითონ კახ ეპისკოპოზებისა და თავადების თანხლებით მივიდა თამაზ-ყული-ხანთან, რომელიც განჯაში 10—11 ათასი კაცით მდგარ ალი-ფაშას შემოერტყმოდა. სპარსეთის რეგენტმა თეიმურაზი პატივით მიიღო და თავისთან დაიტოვა. ალი-ფაშა განჯაში 11 თვის განმავლობაში წინააღმდეგობას უწევდა სპარსეთს, მაგრამ, როდესაც თამაზ-ყული-ხანმა დაამარცხა

ყარსის მიდამოებში სერასკირი აბდულა-ფაშა ოსმალთ დიდი ჯარით, მაშინ აღმოსავლეთ კავკასიის ბედიც გარდაწყდა. ოსმალთ დასთმეს განჯა და მალე ტფილისიც, რომლისთვის ალყის შემოსარტყმელად უკვე წინად გაგზავნილი იყო თეიმურაზი და ხანჯალ-ხანი. 6 ოქტომბერს 1735 წ. თამაზ-ყული დიდის ამბით შემოვიდა ტფილისს, კახეთის მეფობა დაუმტკიცა თეიმურაზს, ხოლო ქართლის გამგედ დასვა მისი ძმისშვილი ალი-ხანი.

ცოტა ხნის შემდეგ თამაზმა, საქართველოს ტერიტორიაზედ სპარსეთის პოლიტიკური გავლენის უფრო გასამტკიცებლად, შეიცვალა თავისი აზრი: ალი-ხანი დანიშნა კახეთს, ხოლო ქართლს დასვა აბდულა-ბეგ, ძე გამაჰმადიანებულ იესე მეფისა; ორთავეს თვალ-ყურის დევნა კი მიანდო სულთან-სეფი-ხანს, რომელსაც ერევანი მიეცა. ამით მას უნდოდა სპარსეთის უფლება საქართველოში ყოველგვარ მოულოდნელობისაგან ამ მხარეში უზრუნველ ეყო. ზოგი ქართველი თავადი წინდაწინვე იქმნა გაგზავნილი სპარსეთს, ხოლო თეიმურაზ კახ-ბატონი, არაგვის ერისთავი ბარძიმ, გივი ამილახორი და ლუარსაბ თარხ-ნიშვილი შემდეგ წავიდნენ და ეახლენ ირანის მბრძანებელს.

მიუხედავად მიღებულ ზომებისა, ქართლში გაძლება სპარსელებისათვის ძნელი იყო. სეფი-ხანი მალე იძულებული გახდა ჯერ ქსანზე გალაშქრებულიყო და შემდეგ თვით ქართლის გამგე აბდულა-ბეგი დაეჭირა და სპარსეთში გაეგზავნა. ქართლის მსხვილი ფეოდალები ოპოზიციაში უდგენ სპარსთა მართველობას და ხელს უშლიდენ მას აქ მაგრად ფეხის მოკიდებაში. საჭირო იყო ამ თავადების დროებით მაინც თავიდან მოცილება. ყველაზე უფრო გავლენიანი პირნი უკვე სპარსეთში იყვნენ, და ეხლა კი სხვანიც, მათ შორის ოთარ ამილახორი, სარდალი ქაიხოსრო ორბელიანი, ქაიხოსრო ჯავახიშვილი, ფარსადან სომხეთის მელიქი, შაჰთან იქმნენ გაწვეული.

ნადირ-შაჰმა — ამ დროს უკვე ასე იწოდებოდა სპარსეთის ბრძანებელი თამაზ-ყული-ხანი — თეიმურაზი და ქართლელ-კახნი პატივით მიიღო და თან წაიტანა სალაშქროდ ყანდაარს. აქ შაჰმა მეფეს განუცხადა: შენი შვილი ერეკლე დაიბარე და რა ის ჩამოვა, შენ მაშინ დაგითხოვო. ამ ამბის მიღებისთანავე ერეკლე ბატონიშვილი წავიდა სპარსეთს და მივიდა ყანდაარს მაშინ, როდესაც შაჰნადირს ეს ციხე უკვე აეღო. წარუდგა ერეკლე ბატონიშვილი შაჰს, რომელმაც მიმართა მას მრისხანე კითხვით — „არ გამაჰმადიანდებიო“, რაზედაც ერეკლემ უპასუხა: „ჩემი სიკვდილი შესაძლებელ არს და სულისა ვერვის-ძალუძსო და არც მე გავმაჰმადიანდებიო“. ნადირმა უბრძანა: „ნუ გეშინიან, მე აღარ გაიძულებო“. ნადირი საზოგადოდ შორს იყო სარწმუნოებრივ ფანატიზმისაგან

და ამიტომ ერეკლეს ხასიათის სიმტკიცემ მასზედ კარგი შთაბეჭდილება იქონია. ერეკლე ნადირ-შაჰმა თან იახლა, ხოლო თეიმურაზი და მასთან მყოფნი ქართველ-კახნი სამშობლოში დააბრუნა. ყანდაარიდან ნადირმა გაილაშქრა ინდოეთს და ერეკლე ბატონიშვილიც თან წაიყვანა. ინდოეთის ლაშქრობა ერთი უბრწყინვალესი ეპოპეა იყო ნადირ-შაჰის ძლევა-მოსილ მეფობაში. დიდ-ძალი ჯარით მან გადალახა ინდოეთის საზღვარი და მრავალ შეტაკების შემდეგ საბოლოოდ დაამარცხა ინდოეთის დიდ მოგოლის ლაშქარი სასტიკ ბრძოლაში კარნალთან, ხოლო მარტში 1739 წ. მან აიღო და აიკლო ქალაქი დელი. დროებით ამნაირად სპარეთის შაჰის სამფლობელო გადაიჭიმა სინდეთიდგან ვიდრე კავკასიამდე.

ლაშქრობა ავღანისტანსა და ინდოეთში გაგრძელდა ორ წელიწადს. ეს საკმაოდ გრძელი ხანა, რომელიც დაჰყო ერეკლემ ნადირ-შაჰთან, ჩინებული შკოლა იყო ბუნებით ნიჭიერ და მხნე მეომარ ბატონიშვილისათვის. ნადირ-შაჰის მოწაფეობამ სახელი გაუკეთა მას და ეს იყო სწორედ მიზეზი, როდესაც ალა-მაჰმად-ხანი, 1795 წელს საქართველოს წინააღმდეგ ამხედრებული, შიშიანობდა ქართველებთან შებმას ტფილისის გალავნის ქვეშ და ამბობდა: „მე კარგად ვიცი, ერეკლე ხანი ნადირ-შაჰის მოწაფეა და რამე მახეს დამიგებსო“. ნადირ-შაჰი ძლიერ მადლიერი იყო ერეკლესი, მისი სიმხნისა და ერთგულობისათვის, და ინდოეთში ლაშქრობის გათავების შემდეგ მაისში 1739 წ. გამოუშვა საქართველოში, თან უბრძანა: „მეფის-ძევ ირაკლი, შენ შენს ქვეყანას.ეპირვები და ნება მომიცია შენს ქვეყანაში წასვლისა და მარადის ჩვენი წყალობის მოიმედე იყავო“. 1739 წ. დეკემბერში ერეკლე მოვიდა კახეთს.

ამ გვარად ოსმალთა ბატონობის და ლეკთაგან ქვეყნის აწყვეტის შიშით თეიმურაზი და ერეკლე თავიდანვე მიეკედლენ სპარსეთის მთავრობის პოლიტიკას. ამ პოლიტიკაზე დაყრდნობით და მისი ჯეროვანი გამოყენებით სცდილობდენ ისინი ქვეყნის ხსნას მთლად დაღუპვისაგან. მართალია, ეს გარემოება უფრო მნიშვნელოვნად ხდიდა სპარსეთის პოლიტიკურ ძალას საქართველოში, მაგრამ სამაგიეროდ ხალხის ფიზიკური არსებობის მომავალი ამით უკეთეს პირობებში იყო. თავისი ერთგული სამსახურით თეიმურაზმა და ერეკლემ შაჰ-ნადირის გული მოიგეს და კახეთი შედარებით მოსვენებით იყო თავის მემკვიდრე მებატონის ხელში.

უფრო რთულ მდგომარეობაში იყო ქართლი, რომელსაც მართავდა შაჰის მიერ დაყენებული სპარსელი ხანი. ეს ხანი ხშირად იცვლებოდა. სეფი-ხანის შემდეგ ქართლის მართველად 1738 წ. დაინიშნა განჯის ხანი უღული-ხან,

რომელიც მალე მოჰკლეს ლეკებთან ბრძოლაში და სეფი-ხანი ისევ შეუდგა ქვეყნის მართვას. მას მხარში უდგა საქართველოს ბეგლარ-ბეგად დანიშნული ასლამაზ-ხან ორბელიანი, შვილი მაჰმად-ალი-ხანისა, რომლის სიკვდილის შემდეგ 1740 წ. ქართლში ნაიბად დანიშნულ იქმნა ხვარასნელი იმამ-ყული-ხანი. ქართლის გამგე ხანი იჯდა ტფილისში და განაგებდა ქვეყანას, მაგრამ მისი მდგომარეობა არც თუ ფრიად სახარბიელო იყო. ხანს არ ემორჩილებოდენ და წინააღმდეგობასაც უწევდენ მსხვილი ქართლის ფეოდალები, რომელნიც ოსმალებსა და ლეკებს იშველიებდნენ სპარსელების წინააღმდეგ. ხანი სამაგიეროდ თავის მხრივაც სცდილობდა სპარსეთის მფლობელობის განმტკიცებას და ბოლოს. და ბოლოს ქვეყანა აოხრებას განიცდიდა როგორც სპარსელების, ისე ოსმალებისა, ლეკებისა და ამათი მომწვევ ქართლის მსხვილ თავადების მხრივ. სპარსეთის მთავრობა ერთის მხრივ სცდილობდა ცალკე ურჩ ფეოდალთა შემუსვრას, ხოლო მეორეს მხრივ ზოგ გავლენიან თავადების მიბირებასაც. ამ დროს ქართლის წარჩინებულთა შორის უპირველესი მნიშვნელობა ჰქონდათ ქსნის ერისთავს შანშეს და გივი ამილახორს. შაჰმა უბრძანა ტფილისის ხანს ქსნის ერისთავის შანშეს დასჯა. ხანი ჯარით წავიდა შანშეს წინააღმდეგ, შეიპყრა ცოლ-შვილი მისი და მისი ძმებისა, თვით შანშემ კი მოახერხა ახალციხეს გაქცევა. ამ დროს შაჰ-ნადირთან ტფილისს მოვიდა იმერეთის მეფე ალექსანდრე და სთხოვა დახმარება ოსმალების წინააღმდეგ. ამით ისარგებლა ყაენმა და მოსთხოვა ახალციხის ფაშას შანშეს მოცემა, წინააღმდეგ შემთხვევაში ემუქრებოდა ალექსანდრე მეფისათვის დახმარების გაწევას. ფაშა იძულებული გახდა შანშე დაეთმო. ის გაგზავნეს ხორასანს, მაგრამ გზაზედ გამოპარვის შემდეგ შეიპყრეს და თვალების დათხრით დასაჯეს.

შანშეს თავიდან მოცილების შემდეგ, სპარსეთის მთავრობა შეეცადა გივი ამილახორის შემომტკიცებას. მას მისცეს ქსნის საერისთო და დანიშნეს ქართლის ვექილადაც. გივს დიდი გავლენა ჰქონდა, არაგვის ერისთავი ბეჟანიც შემობირებული ჰყავდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქართლში მშვიდობა მაინც არ დამყარდა. ამისი ერთი მიზეზთაგანი იყო ის გარემოება, რომ შაჰ-ნადირი თავის ხშირ ლაშქრობათა გამო იძულებული იყო ხალხისათვის ისეთი მოთხოვნილებანი წამოეყენებინა, რომელიც აღემატებოდა ქვეყნის გარდამხდელობის შესაძლებლობას. თავიდანვე შაჰ-ნადირმა შეაწერა ქვეყანას დიდი ხარჯი. გარდა ამისა სპარსელების ლაშქრობა დაღისტანზე დიდ მსხვერპლს ითხოვდა არა მარტო ჯარის მიცემით, არამედ სურსათისა და მის გადასატან საშუალე-

ბათა დამზადების სახით. მარტო ერთგზობისას სურსათის გადასატანად დაღისტანში მოქმედ ჯარისათვის სპარსელებმა მოითხოვეს 3 ათასი უღელი ხარი, რომელიც არ დაუბრუნებიათ. 2 ათასი ურემი კიდევ სხვა იქმნა გაგზავნილი, 300 ათასი კოდი პური ცალკე გაიგზავნა. ამას გარდა ქვეყანას მოემატა ახალიგარდასახადები, რომლის გარდახდა მცხოვრებთ ვერ შესძლეს, რის გამო ქართლიდან მრავალი აიყარა და ახალციხის საფაშოში და სხვა მეზობელ მხარეებში გადასახლდა. ქართლის ვექილად დანიშნული გივი ამილახორი ფრიად უკმაყოფილო იყო სპარსელების ქცევით და როდესაც მას უკანასკნელ წარუდგინეს მოთხოვნილება 600 ქალ-ვაჟისა, 500 კომლი კაცისა და 20,000 ხარვარის პურის წარდგენის შესახებ, მაშინ მან განიზრახა სპარსელების წინააღმდეგ გამოსვლა. თეიმურაზს წინადადება მისცეს, აჯანყებას მიმხრობოდა, მაგრამ მან უარი განაცხადა. მაშინ გივი ამილახორმა ტფილისის ხანს შეაგულიანა დაღისტანზე გალაშქრება, თითონ კი ტფილისიდან შიდა-ქართლს გაიქცა (11 აპრილს 1742 წ.) და სპარსელების წინააღმდეგ აჯანყების დროშა ააფრიალა. ნადირშაჰმა პირველად, მას რომ ხარჯის და სურსათის შეუკრებლობისა და ამის შესახებ უკმაყოფილების ამბავი მოუვიდა, თავისი სასტიკი ხასიათის მიხედვით ბრძანება გასცა მთლად ქართლ-კახეთის აყრისა და აწყვეტის შესახებ. ასეთ დროს მხოლოდ თეიმურაზს შეეძლო ყაენის დაშოშმინება. ჯერ თითონ წავიდა შაჰთან დაღისტანს, ხოლო შემდეგ თავისი ცოლიც დედოფალი თამარ, ასული რუსეთში გადასახლებულ ქართლის მეფის ვახტანგისა, დაიბარა. დედოფალ თამარის შუამდგომლობით ქართლ-კახეთის აყრას შაჰ-ნადირმა თავი დაანება, მხოლოდ მიუწერა ტფილისის ხანს მოაჯანყე ქართლის თავადების და მათი მეთაურის გივი ამილახორის დასჯა. გივის დიდი მომხრე იყო არაგვის ერისთავი ბეჟანი, ხოლო კახ-ბატონი თეიმურაზი ახლაც თავის წინანდელს, სპარსეთისადმი ლოიალურ გზას ადგა. ამით აიხსნება, რომ თეიმურაზმა არსებული ურთიერთობით ძლიერ კარგად ისარგებლა, არაგვის ერისთავი მისსავე ყმებს მოაკვლევინა და არაგვის საერისთო თითონ დაიპყრო. გივის წინააღმდეგ სპარსელები ქართლში გაცხარებულ ბრძოლას ეწეოდენ და ამიტომ, თუმცა კახ-ბატონის გაძლიერება სპარსელების ანგარიშში არ შედიოდა, მაგრამ მეტი გზა აღარ იყო: არაგვის საერისთო შაჰ-ნადირმა ისევ თეიმურაზს (1743 წ.) დაუმტკიცა. ამით კახ-ბატონმა თავისი ძალა და გავლენა განადიდა, მაგრამ იმავე დროს ის ქართლის დიდ თავადთა წინაამღდეგ ბრძოლაში აშკარად სპარსელების მხარეზე მოყვა.

ამ გვარად სპარსელებმა თანდათან ჩაითრიეს კახეთის მეფე თეიმურაზი

ქართლის ფეოდალურ წრეებთან ბრძოლაში. ქართლის ფეოდალური ჯგუფი იბრძოდა ქართველ ხალხის თავისუფლებისათვის ქართლის ტერიტორიაზედ. ის იყო ამ დროს თავისი მოქმედებით ეროვნულ დროშის მებაირაღტრე; მაგრამ ეს ბრძოლა ხდებოდა მისთვის ფრიად არა ხელსაყრელ პირობებში. გარდა ქართლის მსხვილ თავადების და სპარსელების ძალთა უთანასწორობისა კახეთის სამეფო სახლიც სპარსეთის პოლიტიკის მხარეზედ იყო და ეს გარემოება, რა-საკვირველია, აკნინებდა ქართლელ ფეოდალთა ძალას. ამასთანავე თეიმურაზს პირადი გავლენაც ჰქონდა ქართლის ზოგიერთ წრეებზედ, განსაკუთრებით იმ ნათესაურ კავშირის გამო, რომელიც არსებობდა მასსა და ქართლში, წინედ მეფატონე დინასტიის შორის ვახტანგ მეფის ასულის თამარის ცოლად შერთვით. ამით აიხსნება, რომ აჯანყებულთა საქმე წინ ვერ წავიდა. პირიქით, თეიმურაზ შეფემ მალე ხელიდან გამოაცალა ქართლის ფეოდალების მეთაურს გივს არა თუ არაგვის საერისთო, არამედ წაართვა მას ქსანიც. ქსნის საერისთოს წართმევის შემდეგ ერეკლე ბატონიშვილმა ერთს ბრძოლაში აბო-წმიდასთან სასტიკად დაამარცხა გივი და შეერთებული ოსმალოს, ლეკის და ქართველების ჯარი—5000 კაცი. გივი შევიდა სურამში, ხოლო ერეკლე დაბრუნდა კახეთს.

მდგომარეობა ამ გვარად ამ დროს ქართლ-კახეთში შემდეგი იყო: სპარსეთის მორჩილნი იყვნენ თეიმურაზ კახეთის მეფე და ძე მისი ერეკლე ბატონიშვილი; ტფილისში იჯდა სპარსელი ხანი, ხოლო ამათ წინააღმდეგ ამხედრებული იყო ქართლის ძლიერი ფეოდალური ჯგუფი, რომელშიაც, სხვათა შორის, შედიოდნენ ციციშვილები, ავალიშვილები და სხვა ქართლის თავადები და რომლის სათავეში ბოლოს და ბოლოს დარჩა გივი ამილახორი. ფეოდალებისა და გივის დამხმარე იყვნენ ოსმალნი, რომელნიც ყოველ ღონისძიებას ხმაროობდენ სპარსელებისათვის საქართველოში ბატონობა გაემწარებინათ და, თუ შესაძლებელი იქმნებოდა, ისინი აქედან მთლად გაეგდოთ. 1744 წ., მაგ., ახალციხის უსუფ-ფაშა გადმოვიდა ქართლს და შეუერთდა გივს რუისში. ამათ წინააღმდეგ წამოვიდენ ტფილისის ალი-ხანი და თეიმურაზ კახეთის მეფე. პირველ ბრძოლში სპარსნი და თეიმურაზი დამარცხდენ და გორის ციხეში შევარდენ. უსუფ-ფაშამ ოსმალეთის მთავრობისაგან გამოტანებული ხაზინა გაგზავნა დაღისტანში სპარსელების წინააღმდეგ ლეკების განთქმულ ბელადის მალაჩას ხელით, რომელსაც თან ახლთა 2000 ლეკი და 2000 ოსმალო. ხანის მოწერილობით ამ ჯარს არაგვზე დახვდა ერეკლე ბატონიშვილი, რომელმაც დაამარცხა ეს რაზმი, მოკლა თვით ბელადი მალაჩა, დახოცა მრავალი, ნეშტი კი გაიქცა გორს უსუფ-ფაშასთან.

ამგვარად თეიმურაზ კახეთის მეფე და ერეკლე ბატონიშვილი სპარსელების ჯართან ერთად ენერგიულ ბრძოლას ეწეოდენ ქართლის ფეოდალურ ჯგუფთან. ამ ბრძოლამ ბოლოს და ბოლოს მაინც ვერ მოუპოვა ბატონობა ქართლში სპარსელების რეჟიმს. ხანი, ტფილისში დაყენებული, მხოლოდ ტფილისსა და მის არე-მარეს, აგრეთვე სომხით-საბრათიანოსა და ყაზახ-ბორჩალო შამშადილს ფლობდა, შიდა ქართლი კი ფაქტიურად ქართველ ფეოდალების ხელში რჩებოდა. ამ ბრძოლის დროს თეიმურაზ მეფემ და ერეკლემ დიდი ერთგულება აჩვენეს შაჰ-ნადირს საქართველოს ტერიტორიაზე მისი უფლების განმტკიცების საქმეში. ამით აიხსნება, რომ ყაენმა უკანასკნელად ქვეყნის დასამშვიდებლად და ამავე დროს ქართლის შესანარჩუნებლად 1744 წ. ქართლის მეფობა უბოძა თეიმურაზს, ხოლო კახეთის მეფედ დასვა ძე მისი ერეკლე ბატონიშვილი. შაჰს იმედი ჰქონდა, რომ თეიმურაზ მეფე უფრო მეტს შესძლებდა ქართლის დამშვიდებაში, ვიდრე სპარსელი ხანი, ტფილისში მჯდომი. სინამდვილემ მართლაც გაამართლა ეს მოლოდინი. თეიმურაზი ქართლში გაბატონებისთანავე ენერგიულად შეუდგა საქმეს. საჭირო იყო ქართლის ფეოდალების შემომტკიცება ძალით ან ნებით. პირველად თეიმურაზი შეეცადა შერიგებით საქმის გათავებას. ამისთვის მან შუამდგომლობა აღძრა შაჰ-ნადირის წინაშე ქსნის ერისთვის შანშეს განთავისუფლების შესახებ. ქსნის ერისთავი განთავისუფლებულ იქმნა და დაბრუნდა ხორასანიდან თავის სამფლობელოში. ქსნის ერისთავის შემორიგებამ დასცა და დაასუსტა ფეოდალთა ჯგუფი და მათი მეთაური გივი ამილახორი. გივი კიდევ სცდილობდა სპარსელებისა და მათი პროტეჟეს ქართლის ახალ მეფის თეიმურაზის შებრძოლებას, და თუმცა მას მხარს უჭერდნენ ოსმალნი, მაგრამ ამ ბრძოლიდან მისთვის არა გამოვიდა რა. თეიმურაზ მეფემ 1745 წ. გამოიყვანა ალყა შემორტყმულ სურამიდან გივი და გაგზავნა სპარსეთს შაჰ-ნადირთან, ხოლო შემდეგ კი ხორასნიდან დაბრუნებული შემოირიგა და დანიშნა ტფილისის მოურავად.

ამ გვარად თეიმურაზმა შესძლო სპარსეთის წინაშე შაჰ-ნადირის მძლავრობის დროს გარკვეულ, მიზან შეწონილ და ლოიალურ პოლიტიკის საშვალებით ქართლში გაბატონება და იმავე დროს მსხვილ ფეოდალების შესამჩნევად ალაგმვა. ქართლსა და კახეთს პირველად ხანგრძლივ შეწყვეტის შემდეგ გაუჩნდათ ქრისტიანი ბატონები. ეს იყო იმ დროს დიდი ეროვნული გამარჯვება, და გასაგებია ამიტომ ის აღფრთოვანება, რომელიც გამოიწვია 1745 წ. 1 ოქტომბერს მცხეთაში თეიმურაზის მეფედ კურთხევამ. დიდი ხნის ხარვეზის შემდეგ ტფილისში ამიერიდგან მეფობდა ქრისტიანული წესით ცხებული მეფე.

საერთო პოლიტიკურ ხაზისა და სამხედრო ძალის მხრივ ქართლ-კახეთი მამა-შვილის მეფობის გამო ფაქტიურად გაერთიანებული იყო. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აოხრებულ და მთლად აკლებულ ქვეყანაში ცხოვრების რამოდენადმე მაინც დასალაგებლად. ბრძოლა ლეკთა თარეშებთანაც, რომელნიც შეუძლებლად ხდიდენ მშვიდობიანობის დამყარებას შიგნით ქართლისა და კახეთის სამეფოებში, საერთო ძალით, რასაკვირველია, უფრო გაადვილებული იყო. როგორც მამა, ისე შვილი, ახალგაზრდა კახ-ბატონი ერეკლე ენერგიულათ შეუდგენ ლეკთა თარეშებთან ბრძოლას. თუმცა მდგომარეობა მაინც ფრიად სეირიოზული იყო, მაგრამ ხალხი უკვე გადარჩენილი იყო მასსიურ აყრისა და აწყვეტის შიშს და შედარებით ესეც დიდი საქმე იყო.

ქვეყნის შინაური მდგომარეობის გაუმჯობესება დააჩნდა გარეშე პოლიტიკასაც. ამ დროს სპარსეთის ძლიერება ისევ დაეცა და მისი დაცემა ისე მალევე მოხდა, როგორც მალე აღმობრწყინდა შაჰ-ნადირის დროს. თავის მეფობის უკანასკნელ ხან შაჰ-ნადირს გაუჩნდა დევნის მანია. თავის შვილს დაებრალა მის წინაამღდეგ შეთქმულება და თვალები დასთხარა. შვილისთვის თვალების დათხრის შემდეგ შაჰ-ნადირი ჩავარდა განუსაზღვრელ წუხილში, არ იცოდა თვისი ჯავრი ვისზედ ამოეყარა და ერთ დღეს სიკვდილით დასაჯა 50 მასთან დაახლოვებული პირი, მხოლოდ იმიტომ, რომ როდესაც ჩემ შვილისათვის თვალის დაწვის ბრძანება გავეცი, თქვენ უნდა დაგეშალათო. ამის შემდეგ დაიწყო სპარსეთში საშინელი ხანა შაჰის ტეროორისა. ნადირ-შაჰი ფრიად გაძუნწდა და ხალხს უკანასკნელ ტყავს აძრობდა. დაიწყო ამბოხება სხვა და სხვა ადგილას, რასაც მოჰყვა მთელი ქალაქების აწყვეტა. განსაკუთრებით დევნიდა შაჰი შიიტებს, რადგან თვითონ სუნიტი იყო. ბოლოს, როდესაც შაჰმა ბრძანება გასცა თავის ჯარში ყველა სპარსელის გაწყვეტისა, მაშინ თვითონ ის მოკლულ იქმნა ერთი მხედართ-მთავრის მიერ 1747 წ. შაჰ-ნადირის სიკვდილის შემდეგ სპარსეთში ასტყდა ანარქია. ხანები ერთმანეთს უფლებას ეცილებოდენ, სანამ 1750 წ. სპარსეთი არ დაიპყრო ქერიმ-ხანმა, რომელიც ითვლებოდა ვექილად ნომინალურ შაჰის ისმაილ III-ისა.

ასეთი არეულობა სპარსეთში საშუალებას აძლევდა თეიმურაზს და ერეკლეს უფრო მეტის ყურადღებით მოქცეოდენ შინაურ საქმეებს, და ამავე დროს სამეფოს საზღვრების გაფართოებისა და თვისი პოლიტიკური გავლენის გადიდებისათვისაც ეზრუნათ.

1749 წ. იბრეიმ-შაჰის მოკვლის შემდეგ, სპარსეთში დიდი არეულობა ასტყდა. ვინმე მაჰმად-ხან აზერბეიჯანის ქვეყნებს აოხრებდა. ერეკლის ხანმა ვერ

შესძლო მაჰმად-ხანის წინააღმდეგობა და თეიმურაზს და ერეკლეს მოსწერა: ერანში მეპატრონე აღარ არის და ეს მაჰმად-ხანი ამ ქვეყანას აოხრებს, თქვენ მოგვეშველეთ, ამას მოგვარჩინეთ და თქვენ გმსახურებთო. ორნივე მეფენი წავიდნენ მაჰმად-ხანის ასალაგმავად, დაამარცხეს ის და განათავისუფლეს მტრისაგან ერევნის სახანო, რის შემდეგ ხანმა ქართლის მეფის მფარველობა აღიარა და იკისრა ყოველ წლიურ ხარკის გადახთა.

1750 წ. კიდევ ყარაბაღის ხანი ფანა მოადგა განჯას. მაშინ მოსწერა წიგნი განჯის ხანმა და ითხოვა შეწევნა თეიმურაზისა და ერეკლესაგან, რომელთაც მაშინვე სალაშქროდ მზადება დაიწყეს. ფანა-ხანმა არ დაუცადა ქართველი ჯარის მოსვლას და ბრძოლას გაერიდა, მაგრამ მეფეებმა უკან მისდიეს, მოარბიეს ყარაბაღი და გამობრუნდენ დიდის ნადავლით. ხოლო თვით განჯის სახანო კი ამიერიდგან საქართველოს მორჩილი და მის მფარველობაში მყოფი გახდა და ყოველ წელს განსაზღვრულ ხარკს იხთიდა.

სპარსეთის არეულობა ამგვარად თანდათან აიძულებდა თეიმურაზს და ერეკლეს აქტიურ საგარეო პოლიტიკაზედ გადასვლას. ერევნის და განჯის სახანოების საქართველოს გავლენის ქვეშ მოქცევა აუცილებლად ხდიდა საზოგადოდ სპარსეთის საქმეებისათვის მეტის ყურადღების მიპყრობას. ამიტომაც საჭირო იყო მამა-შვილის მოქმედების უფრო მჭიდრო კოორდინაცია. ქართლისა და კახეთის სამეფოების საერთო პოლიტიკურ ცხოვრებას მეტი ერთიანობის ხაზი დაეტყო. მამა ამასთანავე თან და თან უთმობდა პირველობას თავის შვილს ერეკლეს, რომელიც უმთავრესად სამხედრო ოპერაციებით იყო გართული მაშინ, როდესაც შინაური მართველობის გეზს უფრო თეიმურაზი აწარმოებდა. მამა-შვილის ძალთა კოორდინაცია განსაკუთრებით საჭირო იყო ეხლა, რადგანაც სპარსეთში ჩნდებოდა სხვა-და-სხვა მძლავრი უზურპატორები, რომელთა გაძლიერება ქართველ-ბატონებისათვის არ იყო ხელსაყრელი. 1750 წ., მაგალითად, თანდათან გაძლიერდა ალი-მარდან-ხანი ბახტიარელი, რომელმაც მალე დაიპყრო თვით სპარსეთის სატახტო ქალაქი ისპაანი. 1751 წ. დასაწყისს მის წინააღმდეგ ამხედრდა ქართლ-კახეთის ჯარი ერეკლე II-ეს წინამძღოლობით. ყველა ჯარის კაცს ნიშნად ჰქონდა გაკეთებული ჯვარი, ემბლემა, რომელიც მთელს ლაშქრობას ჯვაროსნულ ომის ხასიათს აძლევდა და რომელიც ამიტომ დიდს აღფრთოვანებას იწვევდა სპარსეთის ქვეშევრდომ ქრისტიანებს, სომხებსა და სხვებ შორის. კახ-ბატონმა გაილაშქრა თავრიზის მიმართულებაზედ და ემზადებოდა შუა სპარსეთში წასასვლელად, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან აზერბეიჯანში ამ დროს ძლიერდებოდენ

ავღანელები. ესენი გადმოვიდენ თვით არეზის გამოღმა, მოედვენ ნახიჩევანის მხარეს ერევნამდის, ხოლო ლეკები ამავე დროს მათთან შეთანხმებით მოადგენ შირვანს. ამიტომაც ერეკლე II იძულებული გახდა 1751 წლ. დასასრულს დაბრუნებულიყო ტფილისში. მაგრამ როდესაც შემდეგ წელს აზერბეიჯანი თავრიზითურთ მთლად დაიპყრო ავღანელების წინამძღოლმა აზატ-ხანმა, მაშინვე თეიმურაზმა და ერეკლემ კვლავ დააპირეს ლაშქრობა. მათ მხარს უჭერდათ, გარდა განჯა-ერევნისა, აგრეთვე ყარაბაღისა და შირვანის ხანები. ლაშქრობა გარდაწყდა თავრიზელთა დაჟინებითი მოთხოვნით. განზრახვა იყო წასვლა თავრიზზედ და შემდეგ კი სატახტო ქალაქისაკენ ავღანელთა მძლავრების მთლად ასალაგმავად, ხოლო საბოლოო გამარჯვების შემდეგ ერთ-ერთ პრეტენდენტის სპარსეთის ტახტზედ დამტკიცება. ქართლ-კახეთის ჯარი ჩავიდა ერევნის სახანოში, სადაც მას მოეგება აზატ-ხანი 18 ათასი კაცით. მიუხედავათ მტერთან შედარებით სიცოტავისა, საქართველოს ლაშქარმა ერეკლეს პირადი მამაცი ხელმძღვანელობით სძლია სასტიკი ბრძოლის შემდეგ მოწინააღმდეგეს და აიფორიაქა იგი. ავღანელებმა ამ დამარცხების შემდეგ მთავარი ყურადღება მიაპყრეს ლეკების ამხედრებას შირვანისა და განჯის მხრისაკენ. ერეკლე ამიტომაც იძულებული გახდა თავისი მარცხენა ფრთის უზრუნველყოფაზე ეზრუნა. განჯის მხარეს მას შეხვდა ლეკთა 12 ათ. კაცისაგან შემდგარი ჯარი, რომელიც ავღანელებთან შეთანხმებით გამოსულიყო ერეკლეს წინააღმდეგ სადემონსტრაციოდ. ქართლ-კახეთის ლაშქრის ერთი ნაწილი, სახელდობრ ყაზახ-ბორჩალოელთა და ლეკთაგან შემდგარი რაზმი რიცხვით 4 ათასი შეეფეთა მოწინააღმდეგეს არა შესაფერის ადგილას და დამარცხდა. ამ დამარცხებამ არია ბრძოლის ველზედ ერეკლეს სხვა რვა ათასი ჯარიც, რის გამოც საჭირო შეიქმნა მთლად უკან დახევა ტფილისისაკენ.

ამ დამარცხების შემდეგ ქართლ-კახეთის მთავრობა მაინც განაგრძობდა სპარსეთის ლაშქრობისათვის მზადებას. თეიმურაზ-ერეკლესათვის მთავარი მნიშვნელობა ჰქონდა აღმოსავლეთ კავკასიის ხანების შემომტკიცებას, მაგრამ ამისი მიღწევა და საზოგადოდ საქართველოს მშვიდობიანობის უზრუნველ-ყოფა შეუძლებელი იქმნებოდა, თუ არეზს გაღმა იარსებებდა რომელიმე დამპყრობელი ძალა. ამიტომ ერეკლე თვით წავიდა ჩერქესეთში ჯამაგირით ჯარის გამოსაყვანად. იყო საზოგადოდ დიდი მზადება სპარსეთში სალაშქროდ და კერძოდ კი ლეკთა ასალაგმავად. ჩერქესების 4 ათასი კაცის მოსვლის შემდეგ ერეკლე II-ემ რამდენჯერმე დაამარცხა ლეკები. განსაკუთრებით დიდ-მნიშვნელოვანი იყო 1752 წ. 31 აგვისტოს გამარჯვება, როდესაც ირაკლის 7—8 ათასი კა-

ცი ჩერქესებითურთ გადაეღობა შიდა ქართლიდან ტყვეებით დატვირთულს ლეკების ბელადის ჰაჯი-ჩელების ჯარს და სასტიკად დაამარცხა ის. ამ ბრძოლაში დაიღუპა 7—8 ათასი ლეკი.

სპარსეთის საქმეებში აქტიობის გამოჩენამ დიდი სახელი მოუპოვა ერეკლეს. ევროპაში მას ამ დროს სთვლიდენ უპირველეს და უძლიერეს პიროვნებად მთელს ირანში, რომელიც დღეს-ხვალ სპარსეთის ბედს გადასწყვეტდა. ერეკლეზე სწერდენ არა მარტო გაზეთებში, არამედ 1754 წ. პარიზში გამოვიდა სპეციალური წიგნიც სპარსეთ-საქართველოს არეულობათა შესახებ, სადაც ევროპიელი ავტორი უპირველეს მნიშვნელობას აძლევდა სპარსეთის ამბებში ერეკლე მეფეს, და კერძოდ მის პიროვნებას არაჩვეულებრივი აღფრთოვანებით იხსენიებდა. ავტორი აღნიშნავდა ირაკლის, მიუხედავად მისი ახალგაზრდობისა,—არაჩვეულებრივ სიდარბაისლეს, ჭკუასა და გამოცდილებას, უშესანიშნავ მხნეობასა და მამაცობას, ღვთის მოშიშობას და კეთილმორწმუნეობას, სამართლიანობას და თავის ქვეშევრდომებისადმი განუსაზღვრელ ლიბერალურ მოპყრობას. თუ რამდენად დაინტერესებული იყვენ ევროპაში ერეკლეს პიროვნებით, ეს სჩანს იქიდანაც, რომ დასახელებული წიგნი მეორე წელსავე გადაითარგმნა გერმანულად და დაიბეჭდა მაინის ფრანკფურტში. ერეკლეს პოპულიარობა იყო მიზეზი, რომ ათქმევინა ფრიდრიხ დიდს:—ევროპაში მე ვარ პირველი, ხოლო აზიაში ერეკლეო.

ფაქტიურად მალე თეიმურაზ და ერეკლე იძულებული გახდენ სპარსეთის დიდ პოლიტიკის წარმოებაზედ ხელი აეღოთ. ამისი მიზეზი იყო გამუდმებული თავდასხმა საქართველოზედ ლეკებისა, რომელნიც დიდ-დიდ დასებად აოხრებდენ ქვეყანას. ავარიის ხანი ომარი ამხრივ დიდ საშიშროებას წარმოადგენდა. 1755 წ., მაგალითად, ის 20 ათასი კაცით თავს დაეცა კახეთს, შემოერტყა თელავს და თუმცა საბოლოოდ ვერას მიახწია, მაგრამ მაინც ძლიერ დიდი ზიანი მოიტანა. 1757 წ. კი 4 ათასი ლეკი დაეცა ზემოქართლს, ხოლო ორი წლის შემდეგ დაღესტნის ბელადი კოხტა 8 ათასი კაცით წავიდა ქართლს სათარეშოდ და ავიდა ლიახვის ხეობამდის. გარდა ამ შედარებით მსხვილ ლაშქრობათა ქვეყანას ანიავებდა ქურდული თავდასხმა ლეკების პატარ-პატარა დასებისა. მეფე ერეკლე მხნედ მოქმედებდა მტრების წინააღმდეგ, ამარცხებდა მათ ხელ-ჩართულ ბრძოლაში და ყოველ მხრივ სცდილობდა მტკიცე მშვიდობიანობის დამყარებას. ამავე დროს მუდმივ სამხედრო ძალის დასაფუძნებლად თეიმურაზის თაოსნობით შექმნილ იქმნა მუდმივი მილიცია, ნოქრებად წოდებული, რომელიც შესდგებოდა

2 ათასი კაცისაგან, ჯამაგირით 30—40 მან. წელიწადში, ხოლო სურსათი კი გაწერილი იყო იმ სოფლებზე, საიდანაც გამოყავდათ ისინი. მაგრამ იმოდენად ძლიერი იყო ლეკთა თარეშები, რომ ასეთმა ზომამაც შესძლო მხოლოდ დროებით და ოდნავ საქმის გაუმჯობესება, ლეკების სრულ ალაგმვამდის ჯერ კიდევ შორს იყო.

შინაურ ცხოვრებაში ამ დროს უმთავრესი მნიშვნელობა ჰქონდა მეფის ძალა-უფლების დამოკიდებულებას ფეოდალურ ჯგუფებთან. მეფის გივი ამილახორთან შერიგებამ დიდი ძალა მოაკლო ქართლის დიდ თავადებს, რომელნიც ამ დროს საზოგადოდ ცენტრალურ მთავრობის დიდ გავლენას განიცდიდენ. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა იქონია სამხედრო გამარჯვებებმაც, რომელთაც ასწია სამეფო ტახტის პრესტიჟი თავადების თვალში. ფეოდალურ წეს-წყობილებას ჯერ კიდევ ძირი მაგრად ჰქონდა გადგმული ქვეყნის ცხოვრებაში და ამას ხელს უწყობდა რამდენადმე ის დადებითი მნიშვნელობა, რომელიც ჰქონდა წინად დიდ თავადთა გვარეულობას ეროვნულ კულტურისა და ვინაობის დაცვის საქმეში. როგორიც უნდა ყოფილიყო ურთი-ერთობა, ხშირად ფრიად გამწვავებული, დიდ თავადთა შორის, მაინც მსხვილი ფეოდალური ელემენტები სამეფო დინასტიის დასუსტებისა და გარეშე საფრთხის დროს ხშირად გამოდიოდენ ეროვნულ ცხოვრების მედროშედ. ასე იყო, მაგალითად, მე-XVIII საუკ. პირველ ნახევარში. სწორედ ასეთ გარემოებას ვხედავთ ჩვენ ნადირ-შაჰის დროს, როდესაც მის მიერ ტფილისში დაყენებულს სპარსელ ხანს მედგარ ბრძოლას უწევენ ქართლის თავადები გივი ამილახორის მეთაურობით. ეს ბრძოლა, როგორც ვნახეთ, გათავდა თავადების დამარცხებით, მაგრამ ეს დამარცხება ფაქტიურად დიდს მორალურ გამარჯვებას წარმოადგენდა არა თუ მათი, ყოველს შემთხვევაში იმ ძირითადი აზრისას, რომელიც ახასიათებდა ფეოდალურ ელემენტების სპარსელების წინააღმდეგ ამხედრებას. ბოლოს და ბოლოს ქართლი ხელში ჩაუვარდა ქრისტიან მეფეს თეიმურაზს და მალე მოისპო სპარსეთისაგან დამოკიდებულების ნაშთიც. ამ გვარად იდეა სარწმუნოებრივ და ეროვნულ თვით-მყოფობისა გამარჯვებული დარჩა და ამ გამარჯვებას თან შეეწირა მსხვერპლად დიდ თავადთა ვიწრო, კერძო ინტერესები. მას შემდეგ, რაც ქართლ-კახეთში ქრისტიანი და ეროვნული მთავრობა განმტკიცდა, დიდ თავადთა ბრძოლასაც ძლიერ ცენტრალურ ძალა-უფლების განმტკიცების წინააღმდეგ ვამოეცალა ის მაღალი მორალური საფუძველი, რომლისთვისაც ასე ხშირად აფრიალდებოდა ხოლმე აჯანყების დროშა—საფუძველო სარწმუნოებრივი და ეროვნული. ამით აიხსნე-

ბა, რომ ისეთი მაღალ-ნიჭიერი წარმომადგენელი და მეთაური თავადების ჯგუფისა, როგორიც იყო გივი ამილახორი, მალე შეეწყო თეიმურაზ მეფეს და მის ერთგულ სამსახურში განაგრძობდა თავის მოღვაწეობას.

საქართველოს ცხოვრებამ ამ ნაირად თანდათან მიიღო ახალი მიმართულება და ეს გარემოება კი თხოულობდა შინაურ წეს-წყობილების შეთანხმებას — შეცვლილ ვითარებასთან შინაური პირობების იმდენად გაუმჯობესებას, რომ შესაძლებელი ყოფილიყო სახელმწიფოებრივი ცხოვრების პროგრესის მკვიდრ გზაზე დაყენება. ეს კარგად ესმოდათ ქართლ-კახეთის მოწინავე წრეებს, თეიმურაზს და განსაკუთრებით ერეკლეს, ამიტომ შესაფერის ზომებსაც ღებულობდენ. ერთ-ერთი მთავარი მნიშვნელობა შინაურ პირობების გარდაქმნის მომზადებაში ჰქონდა, რასაკვირველია, კულტურულ მუშაობის გაჩაღებას.

ამ დროინდელ კულტურულ დაწყებულებათა დამახასიათებელია 1756 წ. ტფილისში ფილოსოფიის სემინარიის დაარსება, რომლის რექტორად დანიშნულ იქმნა განსწავლული მღვდელი ფილიპე ყაითმაზაშვილი, სარწმუნოებით გრიგორიანი. მღვდელს ფილიპეს კარგი სწავლულის სახელი ჰქონდა მოპოებული. გარდა პედაგოგიურ მოღვაწეობისა ის აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა იმ სამეცნიერო მუშაობაში, რომელიც გაჩაღებული იყო საქართველოში მე-XVIII საუკ. 50—60-იან წლებში. თვით მეფე ერეკლე დიდის ყურადღებით ეპყრობოდა სემინარიას და თითონაც თავის სასახლეში ღებულობდა დასახელებულ რექტორისაგან ფილოსოფიის გაკვეთილებს.

ტფილისის სემინარიის დაარსება იყო მხოლოდ ერთი გამოხატულება იმ მძლავრ სულიერ მოძრაობისა, რომელიც დაეტყო საქართველოს 50-იან წლებში და რომელმაც თავიდანვე ეროვნული ხასიათი მიიღო. აღორძინებული საქართველო ეძიებდა ახალ გზებს თვისი კულტურული ძალების განსავითარებლად; ძველი და მდიდარი კულტურის მქონე სპარსეთი ამ დროს გაყინული სჩანდა და მისი ეროვნული შემოქმედების ენერგია მოდუნებული იყო, რუსეთთან გაბმული ახალი კულტურული ძაფები კი იწვევდა საქართველოს სულ სხვა სარბიელისაკენ. რუსეთში დიდი ხანია მოქმედობდენ საკმაოდ მნიშვნელოვანი ქართული კოლონიები, რომელთაც განსაკუთრებით მძლავრად მოიკიდეს ფეხი პეტერბურგსა და უფრო მოსკოვში მას შემდეგ, რაც ვახტანგ მეფის და მის მრავალ რიცხოვან რჩეულ პირთაგან შემდგარ ამალის გადასახლებამ შესაძლოდ გახადა რუსეთში ძლიერი ქართული კულტურული ცენტრების გაჩაღება. მოსკოვში დამკვიდრებულმა ქართველ ბატონიშვილებმა და სხვა განათლებულ პირებმა შექმნეს ქართული სტამბა, განავითარეს ბეჭვდითი ხაქმე

და თავისი მრავალ-მხროვანი ლიტერატურული და მეცნიერული მუშაობით ხელი შეუწყვეს ერთის მხრივ ქართულ კულტურულ ძალების აღორძინებას და მეორეს მხრივ რუსეთსა და საქართველოს შორის მუდმივ კავშირის დაფუძნებას. ამასთანავე ერთად საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედებდენ კათოლიკეთა მცირე რიცხოვანი მისიონები, რომელთაც ამ დროს უკვე მოახერხეს ზოგ ქართველ განათლებულ გვამთან მჭიდრო კავშირის დაჭერა, რითაც ადგილობრივ ცხოვრებაში გზა ეხსნებოდა უშუამავლოდ დასავლეთ ევროპის კულტურის ნაკადს. მისიონების მუშაობა ძნელს პირობებში წარმოებდა და მათი გავლენაც ძლიერ ვიწრო წრით განისაზღვრებოდა, ვინაიდგან სარწმუნოებრივი განსხვავება ამ მხრივ ფრიად თვალსაჩინო დაბრკოლებას წარმოადგენდა. კათოლიკე მისიონებთან დაახლოვება, განსაკუთრებით სასულიერო პირთათვის, არც თუ უსაშიშრო რამეს წარმოადგენდა. ამას ცხადათ გვიჩვენებს ის დიდი უბედურება, რომელიც ეწვია ბატონიშვილს ანტონ კათალიკოზს, ცნობილს მწერალს ფილოსოფიურ და გრამატიკულ წიგნებისას, რომელსაც დაბრალდა კათოლიკობისადმი მიდრეკილება და დიდი სიმპატია. თუმცა ეს სიმპატია, რომელიც აიხსნება პატრებთან დაახლოვებით წმიდა ლიტერატურულ ნიადაგზე, არავითარ საფრთხეს საქართველოს ეკლესიის ტრადიციულ საფუძველს არ უმზადებდა, —მაინც უმაღლეს სამღვდელოების კონსერვატიულ ნაწილის მოთხოვნით, რომელსაც მხარს უჭერდა თეიმურაზ მეფე, ანტონი 1756 წელს საეკლესიო კრების მიერ გადაყენებულ იქმნა საკათალიკოზო ტახტიდან. მისი პირადი მეგობრის და პატივისმცემელის ერეკლე მეფის გამოსარჩლებამაც ვერ გასჭრა და ანტონი იძულებული გახდა რუსეთს გადახვეწილიყო, სადაც მან დაჰყო 1762-წლამდის.

კულტურული კავშირის გაბმა რუსეთთან, რასაკვირველია, მომზადებული იყო იმ პოლიტიკური სიმპატიით და პატივისცემის გრძნობით, რომელსაც დიდი ხანია უკვე თითქმის ორასი წლის განმავლობაში იწვევდა დიდი და ერთ-მორწმუნე რუსეთი საქართველოს სამეფოებსა და სამთავროებში. ხოლო ყველა ამან, სპარსეთის კულტურულ ენერგიის მოდუნებასთან ერთად, შესაძლებლად გახადა საქართველოს ცხოვრების თან და თან ახალს გზაზედ დაყენება. კულტურული ინტერესები ამიერიდგან ეძიებენ თავის დაკმაყოფილებას უმთავრესად რუსეთიდგან მომდინარე ნაკადის საშუალებით. ამიტომ პოლიტიკური მიდრეკილება გაევროპიელების გზაზე დამდგარ საქართველოსი დიდ რუსეთის იმპერიისადმი ხდება უფრო რეალური და იმედებიც, რუსეთზე დამყარებული, უფრო ძლიერი არის.

ამ გარემოებას ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეხლა, როდესაც ქართლსა და კახეთში თეიმურაზ და ერეკლე მეფეს წინ ედგათ ფრიად რთული და პასუხ-საგები მოვალეობა შინაურ ცხოვრების განმტკიცებისა, ძალთა რეორგანიზაციისა და გარეშე მოთარეშე ძალთა ალაგმვისა. ეს ვალდებულება, ახლად ფეხ-ადგმულ ეროვნულ კულტურულ ინტერესებთან დაკავშირებული, თხოულობდა მთავრობისაგან დიდ ენერგიას და შემოქმედების განსაკუთრებულ უნარს. ხასიათი ამ მუშაობისა ჯერ გამორკვეული არ იყო, მაგრამ სახელმწიფოებრივი წეს-წყობილების იმდენად მაინც გარდაქმნის საჭიროება, რომ ქვეყანას შესძლებოდა დროის ახალ მოთხოვნილებათა თუნდაც ნაწილობრივი დაკმაყოფილება, უკვე ცხადი იყო. მთავრობა ამასთანავე სცდილობდა სხვა უფრო დაწინაურებულ ქვეყნების მაგალითისათვის წაბაძვას. ამ მხრივაც მთავარი მნიშვნელობა ქართლ-კახეთის მოწინავე წრეებისთვის ჰქონდა, რასაკვირველია, რუსეთს. რუსეთის წეს-წყობილების გაცნობისა და მისი მაგალითის გამოყენებით აიხსნება, რომ 1760 წ. ერეკლე მეფის ბრძანებით რუსულიდან ქართულად პეტრე დიდის სახელმწიფო კოლეგიათა დებულების თარგმნა იოანე მღვდელ-მონაზონის მიერ.

მაგრამ ამ დაწყებულ დადებითი მუშაობის დაგვირგვინებას მრავალი ხელის შემშლელი პირობები სდევდა თან. ლეკების თარეშობა შეუძლებლად ხდიდა ქვეყნის მშვიდობიან წარმატებას. სპარსეთის ფეხზე წარმოდგომა კვლავ მოსალოდნელი იყო და საჭირო იყო ამ მხრივაც გარკვეულ გეზის შემუშავება. შიგნითაც, განსაკუთრებით ქართლში, მთავრობის დიდ ყურადღებას იპყრობდნენ დიდი თავადნი, რომელნიც ძლიერ უკმაყოფილო იყვნენ მეფის პოლიტიკის ანტი-ფეოდალური მიმართულებით. ქართლში ამას თან ემატებოდა უკმაყოფილების გრძნობა, გამოწვეული გავლენიან თავადების წრეებში კიდევ იმ გარემოებით, რომ თეიმურაზი იყო წარმომადგენელი კახეთის სამეფოს დინასტიისა, ხოლო რუსეთში გარდახვეწილ ქართლის მეფის ვახტანგის სახლობა ჯერ კიდევ არ კარგავდა იმედს ტახტის დაბრუნებისას, რაიც ხელს უწყობდა თეიმურაზ და ქართლის ფეოდალთა შორის ინტერესების —წინააღმდეგობის გაღრმავებას.

ყველა ამეების მოსაგვარებლად დასუსტებულ, აოხრებულს და გავერანებულ ქართლ-კახეთს ძალა აღარ შესწევდა. განსაკუთრებით საქმეს აძნელებდა შეუძლებლობა ლეკთა თარეშების ასე ადვილად ალაგმვისა, რის გამო მოუხერხებულ იყო შინაური ცხოვრების დალაგებაც. საჭირო იყო რაიმე გარეშე დახმარება და ამ დახმარების მიღება ქართველობისათვის არსებულ პირობებში

შესაძლებელი იყო მხოლოდ რუსეთისაგან, რომლისაგან საქართველოს ცალკე სახელმწიფოების მეფეთ და მთავართ მუდამ ხელის გაწვდენის იმედი ჰქონდათ. რამოდენიმე თაობათა განმავლობაში ქართული საზოგადოებრივი აზრი მიეჩვია იმ ფიქრს, რომ მხოლოდ იქ, შორეულს რუსეთში, იპოვის მრავალ-ტანჯული და ბედისაგან დევნილი ქართველი ერი თავის წყლულების მალამოს. ამ გვარი მიდრეკილება რუსეთისადმი არსებობდა არა თუ მარტო ხელმძღვანელ პოლიტიკურ წრეებში, არამედ მაშინდელ ფართო მოაზროვნე საზოგადოებაშიაც. რუსეთი იყო ის აღთქმის ქვეყანა, სადაც ყოველი ადგილობრივი გაჭირვებული, ცხოვრებით თავ-მობეზრებული, ეძიებდა თავშესაფარს და მიისწრაფოდა გარდასახვეწად. ეს მიდრეკილება რუსეთისადმი ისეთი დიდი იყო, რომ ახლაც თავისი მტრების დასატუქსავად და შინაურ ცხოვრების მოსაწესრიგებლად საჭირო ძალის მოპოებას მთავრობა სწორედ ჩრდილოეთიდგან სცდილობდა. და აი 1760 წ. თეიმურაზ მეფე მიემგზავრება პეტერბურგს რუსეთის მთავრობასთან სათანადო მოლაპარაკების გასამართავად.

თეიმურაზის რუსეთში გამგზავრებიდან პრაქტიკულად არა გამოვიდა რა. საქართველოს ცარიელი იმედების მეტი არაფერი შეხვდა. თეიმურაზს არც მოუღწევია სამშობლომდის. უკან დაბრუნებული ის გარდაიცვალა ასტრახანს 8 იანვარს 1762 წ., რომლის შემდეგ იმავე წლის 29 ივნისს მეფე ერეკლე გამოცხადებულ იქმნა შეერთებულ ქართლ-კახეთის მეფედ. ამის შემდეგ აღმოსავლეთი საქართველო ერთ სახელმწიფოს წარმოადგენდა, საერთო პოლიტიკურ ინტერესების მქონეს. ამას, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის საერთო მტრის მოსაგერიებლად და საზოგადოდ გარეშე საქმეთა უფრო კარგად წასაყვანად, მაგრამ შიგნით კი ორივე სამეფო დარჩა. მიუხედავად ამ დიად ცვლილებისა, უზენაეს ძალა-უფლების სფეროში, მხოლოდ გარეგნულად შეერთებული, ორგანიულ გაერთიანებამდის, თუნდ მართვა-გამგეობის, სფეროში ჯერ კიდევ შორს იყო. მართვა გამგეობა და ადმინისტრაცია ცალკე იყო როგორც ქართლისა, ისე კახეთის სამეფოსათვის. სახლთუხუცესობა, მაგ., და სხვა უმაღლესი მართველობის თანამდებობანი დარჩა სათითაოდ ქართლისა და კახეთის სამეფოსათვის განკერძოებით. შეერთება ქართლ-კახეთისა მოხდა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მართველობითი ფუნქციები მოთავსებული იყო თვით მეფის ხელში. მართალია, მეფის უფლება ქვეყნის მართვა-გამგეობაში ისე ფართოდ ერეოდა, რომ არსებითად წინანდელ წესის შენარჩუნებას ქართლისა და კახეთის გამგებლობაში სახელმწიფოებრივ მთლიანობაზე გავლენა არ ჰქონდა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ცხადი იყო, რომ

ქართველ მოწინავე წრეების წინაშე მალე დადგებოდა ფრიად რთული საკითხი ერთ მთლიან მართველობის სისტემის შემუშავების შესახებ. თითონ მეფე ერეკლე მომხრე იყო მკვიდრი ცენტრალური მართველობის დამყარებისა. მისი მტკიცე და უფლების მოყვარული ხასიათი არ ითმენდა სხვა რომელიმე ძალის დამოუკიდებელ არსებობას სამეფოს ფარგლებში და თხოულობდა ყველა, განსაკუთრებით ფეოდალურ ელემენტებისაგან, სრულ მორჩილებას. მას მხარს უჭერდა მეფის ძალა-უფლების განმტკიცებაში კათალიკოზი ანტონ II, რომელიც 1762 წ. კვლავ გამოწვეულ იქმნა რუსეთიდგან საკათალიკოზო ტახტის დასაჭერად. მაგრამ არსებულ პირობებში, როდესაც ჯერ კიდევ ქვეყანა არ გამოსულიყო ფეოდალურ მძლავრების ხანიდან და საქართველოს ზოგიერთ კუთხეში ჯერ კიდევ მაგრად იყო ჩადგმული საუკუნოებით გამაგრებული ძველ დიდებულ გვარეულობათა ბუდეები, საჭირო იყო დიდი სიფრთხილე და წინდახედულება, მით უმეტეს, რომ ქართლის შემომტკიცება ჯერ გათავებული საქმე არ იყო. ქართლის გავლენიანი წრეები ხელზე იხვევდენ ერეკლეს კახეთის დინასტიიდან ჩამომავლობას და ვინაიდგან ამ დროს რუსეთში ჯერ კიდევ იყო ლეგიტიმური შტო ქართლის მეფის ვახტანგისა, ამიტომ არსებულ პოლიტიკის კურსით ან და პირადი ანგარიშებით უკმაყოფილო ელემენტებს საშუალება ეძლეოდათ საჭიროების დროს წყალი აემღვრიათ. ასეთ ცდას წყალის ამღვრევისას წარმოადგენდა, მაგალითად, 1767 წ. მომხდარი შეთქმულება ერეკლე მეფის წინააღმდეგ, როდესაც შეითქვნენ სახლთ-უხცესი დიმიტრი ამილახორი, გლახა ციციშვილი და სხვანი ტფილისში მყოფ ვახტანგ მეფის უკანონო შვილის პაატას ქართლის მეფედ გამოსაცხადებლად. ეს შეთქმულება დაშლილ იქმნა და შემთქმელნი მწარედ დაისაჯენ, თვით პაატას თავი მოჰკვეთეს, მაგრამ ამ გვარი გამოსვლა გავლენიან თავადებისა ცხადად ამტკიცებდა, რომ ჯერ კიდევ ბევრი შრომა და დრო იყო საჭირო მეფის უფლების საბოლოოდ განსამტკიცებლად.

შინაურ სახელმწიფოებრივ აღმშენებლობისათვის ფრიად დიდ დაბრკოლებას წარმოადგენდა გარეშე მტრის დაუცხრომლობა. სპარსეთში ამ დროს ანარქია ჩანელდა და სახელმწიფოებრივი უფლება თანდათან შემოიკრიბა ქარიმ-ხან ზანდის ხელში, მაგრამ სპარსეთს მაინც საქართველოსთვის აღარ სცხელოდა და არც არავითარ აგრესიობას იჩენდა. სამაგიეროდ ლეკთა თარეშები კვლავინდებურად შეუძლებლად ხდიდენ მშვიდ მოქალაქეობრივ ცხოვრების დამყარებას. მგზავრობა შეუძლებელი იყო, თუ არ დიდის ქარავნებით. გლეხი ყანაში სამუშაოდ ვერ შიდიოდა, თუ არ თოფით შეიარაღე-

ბული. ყოველი სოფელი სცდილობდა კოშკისა და სიმაგრის აშენებას. მცხოვრებლები, განსაკუთრებით შიშიანობის დროს, ღამით სიმაგრეში შედიოდენ თავისი საქონლით და სახლებს ცარიელს სტოვებდენ. დიდკაცობა მოგზაურობდა მხოლოდ დიდის ამალით და ხშირად ეს ამალაც საიმედო დამცველად ვერ ჩაითვლებოდა. ჯერ კიდევ 1758 წ. ლეკის ერთი თარეშთაგანი დაეცა ღართისკარში გზად თავისი ამალით მიმავალ კოსტანტინე მუხრანბატონს და მოჰკლა ის. იმერეთის ბატონიშვილს არჩილს 1770 წ., მაგალითად, ტფილისისაკენ მიმავლობის დროს დაეცა ლეკების რაზმი, მიუხედავად იმისა, რომ ბატონიშვილს თან 200 რჩეული ცხენოსანი იმერელი ახლდა. ამ დროის ისტორიულ საბუთებში მრავალი ცნობაა შენარჩუნებული იმის შესახებ, თუ როგორ აოხრებდენ ქვეყანას ლეკები და ატყვევებდენ ხალხს. დედას შვილი ეკარგებოდა, შვილს კიდევ მამა ან დედა. იშვიათად შემდეგ თუ ვინმე ახერხებდა ტყვეობიდან გამოპარვას, ბევრი მთლად იკარგებოდა და ზოგი კიდევ თავს იხსნიდა ფულით. ასეთი მდგომარეობა გრძელდებოდა მთელს სიგრძეზედ მეთვრამეტე საუკუნისა; მხოლოდ ხანდახან ლეკთა თარეშებს მომატებული მწვავე ხასიათი ეძლეოდა. ტყვეების ფულით გამოსყიდვა ერთგვარ ხარკად გადაიქცა, რომელსაც საქართველო იძულებით აძლევდა ლეკებს. უბედურება იმდენად დიდი იყო, რომ საჭირო შეიქმნა სახელმწიფოს დახმარება. $^1/_5$ სახელმწიფო შემოსავლისა გადადებული იყო საქველმოქმედო მიზნებისათვის და ამ ფულიდან მხოლოდ მცირე ნაწილი იხარჯებოდა ქვრივ-ობლებსა და დავრდომილებზე, უდიდესი ნაწილი მიდიოდა ტყვეების გამოხსნაზედ. მარტო ქიზიყში ლეკთა მიერ დატყვევებულთა გამოსახსნელად გაიღო ერეკლე მეორემ 30 წლის განმავლობაში 37 ათასი თუმანი.

ლეკების თარეშების სიძლიერეს ხელს უწყობდა ოსმალეთისა და კერძოდ ახალციხის ფაშის მფარველობა საქართველოზე მუდმივ თავდამსხმელ ლეკებისა. ახალციხის საფაშოსთვის ქართლ-კახეთის გაძლიერება ძლიერ სახიფათოდ სჩანდა, რადგან ცხადი იყო, რომ საქართველო პირველ შემთხვევისათანავე ეცდებოდა ძველი სამცხე-სათაბაგოს განთავისუფლებას, სადაც ამ დროს მოსახლეობა თუმცა თითქმის მთლად გადასული იყო მაჰმადიანობაზედ, მაგრამ ქართული ენა და ზნე-ჩვეულება მას ურყევად ჰქონდა შენარჩუნებული. ამიტომაც სწორედ ქართლ-კახეთის გაერთიანების შემდეგ ახალციხის ფაშამ მოუმატა ლეკთა დასების საქართველოზე მოსევას, რამაც უფრო გააძნელა ქვეყნის საერთო მდგომარეობა.

აი ასეთს პირობებში იყო საქართველო, როდესაც 1768 წლის დასას-

რულს გამოცხადდა ომი რუსეთსა და ოსმალეთ შორის. რუსეთი აქამდის თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევდა საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სამეფოებს და სამთავროებს, მაგრამ ეხლა პეტერბურგში საჭიროდ დაინახეს ამ ძალის თავის სასარგებლოდ აბრუნება. საბაბიც კარგი .იყო. იმერეთის მეფე სოლომონ I-ი 1766 წლიდან დაჟინებით თხოულობდა დახმარებას იმ შევიწროებულ მდგომარეობის გამო, რომელშიდაც ის იმყოფებოდა ოსმალთაგან გარედ და დიდ თავადთაგან შიგნით. გამართულ მოლაპარაკების შემდეგ გარდასწყდა მეფე ერეკლესი და სოლომონის დადიან-გურიელთან ერთად ოსმალეთის წინააღმდეგ ამხედრება, რისთვისაც რუსეთი თავის მხრივ აგზავნიდა ჯარს გრაფ ტოტლებენის უფროსობით. რუსეთში მიღებულ ცნობების მიხედვით ერეკლეს შეეძლო 30 ათასის და სოლომონს 20 ათასი კაცის გამოყვანა, რაც, რასაკვირველია, დააბანდებდა კავკასიაში კარგა მოზრდილს ჯარს ოსმალებისას და ამიტომაც რუსეთი სცდილობდა მეფეების ომში ჩათრევას მხოლოდ ისე კი, რომ თითონ დიდი მსხვერპლი არ გაეღო. აგვისტოში 1769 წ. ტოტლებენის ჯარმა გაიარა დარიალის ხეობა და მივიდა ქართლს, ხოლო აქედან იმერეთს სოლომონ მეფის დასახმარებლად და ოსმალების იმერეთის ციხეებიდან გასარეკად. ტოტლებენის ჯარში ირიცხებოდა სულ 500 კაცი 4 ზარბაზნით. ამ მცირე რიცხოვან რაზმით არაფრის გაკეთება არ შეიძლებოდა და მეფენიც დიდს სამხედრო ოპერაციებს მოერიდნენ. რუსის მთავრობამ მაშინ გააძლიერა თავისი ჯარი და 1770 წ. გაზაფხულისთვის საქართველოში უკვე 3,767 კაცისაგან შემდგარი რუსის ჯარი იყო 12 ზარბაზნით.

მაგრამ ამის შემდეგაც საქმე წინ ვერ წავიდა. ერთი რომ ტოტლებენმა სრულებით ვერ გაართო თავი ადგილობრივ პირობებს და თავისი უტაქტო საქციელის, ამაყობის და მეფეების შეურაცხმყოფელ მოქმედების გამო ვერ მოახერხა მათთან მჭიდრო კავშირის დაჭერა. გარდა ამისა ერეკლე მეფის და სოლომონის ერთად ამოქმედებაც ძნელი საქმე იყო, ერთის მხრივ მათ შორის არსებულ ანტაგონიზმის გამო და მეორეს მხრივ იმ მიზეზით, რომ სოლომონ მეფეს ოსმალების გარდა სხვა საზრუნავიც ჰქონდა. შიგნით იმერეთის სამეფოში ურჩი ფეოდალური ელემენტები უკვე დატუქსული იყვენ, რაჭის საერისთო მთლად შემოერთებული იყო, მაგრამ გარდა ამისა იმერეთის მეფეს სურდა დადიანის და გურიელის დამორჩილება და მათი შემომტკიცება. სოლომონს უნდოდა ესარგებლა რუსის ჯარის აქ ყოფნით, რომ თავისი მიზნისათვის უფრო ადვილად მიეღწია. დადიანი კი პირიქით რუსის ჯარში ხედავდა იმედს თავისი სრული დამოუკიდებლობის მოპოებისა და მისი დამ-

კვიდრებისა. ამ მიზეზებისა გამო შესაძლებელი იყო მხოლოდ კერძო ხასიათის სამხედრო მოქმედების წარმოება განსაზღვრულ მიმართულებით.

1770 წ. აპრილისთვის მეფე ერეკლე და ტოტლებენი შეთანხმდენ ახალციხეზედ გასალაშქრებლად. მეფის ჯარი შესდგებოდა 7,000 კაცისაგან 3 ზარბაზნით. შეერთებულ რუს-ქართველთა ლაშქარი დაიძრა, მაგრამ აწყურთან ტოტლებენი თავისი ჯარით მოულოდნელად უკან გამობრუნდა და სურამში ავიდა. მეფე ერეკლე ამის შემდეგ იძულებული გახდა მარტო შებრძოლებოდა ოსმალებს, რომელნიც როგორც ახალციხიდან, ისე ახალქალაქიდან ჯარებს აგზავნიდნენ აწყურზედ. ასპინძასთან ერეკლე გადაეღობა მტერს და სასტიკად დაამარცხა ის (20 აპრილს 1770 წ.). მაგრამ მიუხედავად ამ გამარჯვებისა, მეფემ ვერ შესძლო ჯარის სიცოტავის გამო წინსვლის განგრძობა და დაბრუნდა უკან.

ტოტლებენის მიერ ბრძოლის ველის მინებების მიზეზი იყო მის წინააღმდეგ ზოგი რუსის აფიცრის შეთქმულობა, რომელშიდაც ეჭვიანმა გენერალმა რუსის მთავრობის რეზიდენტი და თვით მეფეც გარია.

ასპინძის ბრძოლის შემდეგ ერეკლესა და ტოტლებენს შორის ურთიერთობა, რასაკვირველია, ფრიად გამწვავდა. ტოტლებენი სურამიდან ჩქარის მარშით გორის გზით ავიდა დუშეთსა და ანანურს და დაიჭირა ეს ციხეები. მდგომარეობა იმდენად გამწვავდა, რომ ტოტლებენმა კიდეც დააპირა ერეკლე მეფის დატუსაღება, მისთვის რუსის ორდენის წმ. ანდრია პირველ წოდებულის ჩამორთმევა, ტახტიდან ჩამოგდება და საქართველოს რუსეთთან შეერთებაც. თავისი განზრახვა ტოტლებენმა შეატყობინა პეტერბურგის მთავრობას. ის კიდეც შეუდგა თავისი აზრის განხორციელებას. დუშეთსა, ანანურსა, გორსა და ცხინვალში ტოტლებენის ბრძანებით ხალხი დააფიცეს რუსის მთავრობის ერთგულებაზედ. მანვე დაიჭირა დუშეთისა და ანანურის ციხეები და შემდეგ სწვდა გორის ციხესაც, მაგრამ ახლა კი ერეკლეს მოთმინების ფიალა აევსო და ამანაც თავის მხრივ დააპირა ტოტლებენის შეპყრობა. ცხადი იყო, რომ ასეთ გამწვავებულ ურთი-ერთობისა გამო ტოტლებენს ქართლ-კახეთში არ დაედგომოდა და ამიტომ თავისი ჯარით ის გადავიდა იმერეთს, თუმცა ერეკლე მეფე თავის მხრივ შემდეგ კვლავ სცდილობდა მასთან კავშირის აღდგენას.

იმერეთში ტოტლებენმა სოლომონის ჯარის დახმარებით განდევნა ოსმალები ბაღდათის და შუშდეგ ქუთაისის ციხეებიდან და 1770 წლ. ოქტომბერში გაილაშქრა ფოთზედ, სადაც მას შეუერთდა კაცია დადიანი. აქაც ტოტ-

ლებენმა ვერ მოახერხა კეთილ-განწყობილების დამყარება ვერც მეფე სოლომონთან და ვერც დადიანთან. ფოთზე ლაშქრობისაგან არა გამოვიდა რა. ბოლოს ტოტლებენი უკან გაწვეულ იქმნა და მის მაგივრად რუსის ჯარის უფროსად დაინიშნა გენ. სუხოტინი (იანვარი 1771 წ.), მაგრამ ამის შემდეგაც რუსის ჯარმა ვერაფერ შედეგებს მიაღწია, ვიდრე 1772 წ. მაისში მთლად არ იქმნა დაბრუნებული უკან საქართველოდან.

ერეკლე მეფე ძლიერ სწუხდა, რომ არ მოხერხდა რუსის ჯარის დახმარებით რაიმე თვალსაჩინო დივერსიის მოწყობა ოსმალების წინააღმდეგ, მით უმეტეს, რომ თავისი გამოსვლით ახალციხის ფაშის წინააღმდეგ მან აშკარად დაარღვია ოსმალეთთან კეთილ-მეზობლური განწყობილება და ახლა სამხრეთიდან ერთი ახალი მტერი გაიჩინა. მეორეს მხრივ, მეფეს ძლიერ სწყენოდა, რომ რუსის ჯარი ტყვილა უბრალოდ ფოთის ჭაობებში იხოცებოდა, ნაცვლად ახალციხის წინააღმდეგ ქართველ ჯართან ერთად მხარ-და-მხარ გალაშქრებისა. მეფე და ქართლ-კახეთის გავლენიანი წრეები ამას ხსნიდენ იმ გარემოებით, რომ რუსეთი არ არის ჯეროვნად დაინტერესებული სამეფოს ბედით, რომ ამიტომ რეალურ დახმარების მისაღებად საჭიროა რუსეთისთვის რაიმე პრივილეგიურ მდგომარეობის შექმნა საქართველოს ტერიტორიაზედ. დახანება არ შეიძლებოდა, რადგანაც ოსმალები განაგრძობდნენ უფრო მეტის ენერგიით ლეკების აშლას და თვით აზერბეიჯანშიც და საზოგადოდ ჩრდილოეთ სპარსეთში ხანები მეფე ერეკლეს ძველი ნდობით არ უყურებდენ. ოსმალთა წინააღმდეგ ლაშქრობა მეფის ხაზინას ხომ ძლიერ ძვირად დაუჯდა, ლეკების მოგერიების საქმე კიდევ ხარჯს ითხოვდა და ქვეყანას უკანასკნელ ტყავს აძრობდა. ყველა ამის გამო 1771 წლის ბოლოს გარდაწყვეტილ იქმნა პეტერბურგში საელჩოს გაგზავნა მეფის ძის ლეონისა და ანტონ კათალიკოზის მეთაურობით, რომელსაც უნდა ეთხოვნა რუსის მთავრობისათვის მფარველობის გაწევა არსებითად იმ პირობებით, რა პირობებითაც უწინ აღმოსავლეთი საქართველო სცნობდა სპარსეთისაგან დამოკიდებულებას. გზად საელჩომ ასტრახანში დაჰყო მთელი წელიწადი და ჩავიდა პეტერბურგს მხოლოდ 1773 წ. იანვარში.

ის პირობები, რომელითაც ერეკლე მეფეს სურდა რუსეთის მფარველობაში შესვლა, შემდეგი იყო: საქართველოში მეფის უფლება ისევ უნდა დარჩენილიყო, აგრეთვე ხელშეუხებელი უნდა ყოფილიყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. რუსეთის მთავრობას უნდა გამოეგზავნა ჯარი-4 ათასი კაცი გარეშე მტრების მოსაგერიებლად და ახალი ქვეყნების დასაპყრობლად. ამის სამაგიე-

როდ მეფე თანახმა იყო გამოეგზავნა რუსეთში მძევლად ერთი თავისი შვილი და რამდენიმე თავადიშვილი. ის კისრულობდა აგრეთვე ყოველ წლიურ ხარკის გარდახდას კომლზე 14 შაურს. სპარსელების ბატონობის დროს ქართლ-კახეთი ერთად ყოველ წლიურად იხდიდა 50 საპალნე ღვინოს და კიდევ უგზავნიდა შაჰს 9 მონას. ამისდა სანაცვლოდ ერეკლე თანახმა იყო ყოველ წლივ ჩაებარებინა რუსის მთავრობისათვის თავისი ხარჯით 2000 ვედრო ღვინო. მეფე უთმობდა კიდევ რუსეთს საქართველოში ყოველგვარ მადნეულობიდან ნახევარ შემოსავალს და თხოულობდა სესხად რამოდენიმე თანხას სამეფოს ფინანსიურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ამ წინადადებაზედ რუსის მთავრობამ უარი განაცხადა. მიზეზი იყო ის გარემოება, რომ რუსეთის მიერ განზრახული დიდი დივერსია, ოსმალების წინააღმდეგ საქართველოს ამხედრების საშუალებით, ჩაიფუშა და პეტერბურგის მთავრობას არ სურდა ოსმალეთთან ზავის შეკვრის დროს საქართველოს გამო საქმის რაიმე გართულებას შეყროდა.

ქართლ-კახეთის სამეფო ჯერ კიდევ ვერ მოღონიერდა იმ აწიოკების შემდეგ, რომელიც გამოიარა ქვეყანამ ოსმალ-ლეკ-სპარსთა მძლავრების დროს და ეს იყო ერთი მიზეზთაგანი გარეშე დახმარების მუდმივ ძიებისა. საზოგადოდ უნდა აღინიშნოს, რომ ქართლ-კახეთი მოსახლეობის მხრივაც ამ დროს ჯერ კიდევ არ იყო გათანასწორებული თუნდ მე-XVIII საუკუნის დასაწყისში არსებულ მდგომარეობასთან: ისეთი დიდი იყო აოხრება, რომელიც განიცადა საქართველომ და კერძოდ მისმა აღმოსავლეთმა ნაწილმა მე-XVIII საუკ. პირველ ნახევარში. 1702 წ., მაგალითად, სულ ქართლ-კახეთის სამეფოებში ირიცხებოდა 60 ათასი კომლი მცხოვრები, რაც 1770 წლ. მოსახლეობის მაჩვენებელ ციფრთან (54400 კომლი) შედარებით გვიჩვენებს, რომ თეიმურაზისა და ერეკლე II-ს მიზან-შეწონილ სახელმწიფოებრივმა მოღვაწეობამ და შინაურ მდგომარეობის 50-იან წლებიდან თვალსაჩინოდ გაუმჯობესებამ ამ დროამდის ჯერ კიდევ ვერ შესძლო მოსახლეობის ჯეროვნად აწევა, თუმცა მთავრობა ამ გარემოებას დიდ ყურადღებას აქცევდა. ერეკლე II-ე სცდილობდა სხვა და სხვა ზომებით შესაძლებელი გაეხადა სამეფოში ახალი მოსახლეობის მიზიდვა და ამით ქართლ-კახეთში ცოცხალი ძალის გაძლიერება. საყურადღებოა ამ მხრივ 1769 წ. ერეკლეს მიერ თავადების სახელზე მიცემული ბრძანება, რომ ვინც, მაგალითად, ჯავახეთიდან კაცს გადმოიყვანს, ან ვისთანაც იქიდან კაცი მივა, ის მისი ყმა იქნებაო.

ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში და საწარმოო ძალთა განვითარებაში,

მიუხედავად ერეკლე II-ს ენერგიულ ზომებისა, წინა დროინდელ ჭრილობათა დაამება მაინც საძნელოდ სჩანდა და შედარებით მე-XVIII საუკ. დასაწყისთანაც კი დიდი წინსვლა არ აღინიშნებოდა. საინტერესოა ამ მხრივ სახელმწიფო შემოსავლის რაოდენობის შედარება, რადგან ეჭვს გარეშეა ეს გარემოება რამოდენადმე საშუალებას გვაძლევს საერთო წარმოდგენა ვიქონიოთ ხალხის ხარჯის გარდამხდელობის შესაძლებლობაზედ. 1769 წელს და მის ახლო ხანებში ქართლ-კახეთის წლიურ სახელმწიფო შემოსავალს შეადგენდა: 10 ათასი მან. ტფილისის საბაჟოებიდან, 10 ათ. მან. ზარაფხანიდან, 10 ათ. მან. განჯის ხარკი, 30 ათ. მან. ერევნის ხარკი და სხვა და სხვა გარდასახადებისაგან 90 ათ. მან., სულ 150 ათ. მან., ხოლო 1690-იან წლებში მარტო ქართლის სამეფოს წლიური შემოსავალი უდრიდა 50 ათას მანეთს. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ სტატისტიკურ მასალების შესწავლის მიხედვით აღმოსავლეთ საქართველოში ამ ხნის განმავლობაში ფულის ნომინალური წოდებულობის გაიაფება გამოიხატება, როგორც 1 : 2,1 და ამასთანავე ვიქონიებთ სახეში, რომ განჯა-ერევანი წინად ქართლის მეფის მოხარკე არ იყო, დავრწმუნდებით, რომ სახელმწიფო შემოსავალი კერძოდ ქართლში 1770 წლ. ახლოს არსებითად უფრო ნაკლები უნდა ყოფილიყო, ვიდრე მე-XVII საუკ. მიწურულს. აღსანიშნავია, რომ კერძოდ ტფილისის საბაჟოების შემოსავალსაც ამ ხნის განმავლობაში არავითარი წინსვლა არ ეტყობოდა. 1702 წ., მაგალითად, ამ საბაჟოებიდან შემოდიოდა 5 ათ. მანეთი. ხოლო 1769 წ. 10 ათასი მან., რაც ზემოდ-მოხსენებულ ფულის გაიაფების მაჩვენებელ პროპორციის მიხედვით არსებითად ძლივს უდრის მე-XVIII საუკ. დასაწყისს არსებულ შემოსავლის ციფრს. და ეს მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობა თვით ქალ. ტფილისში ამ დროს რამოდენადმე უკვე გაზრდილი იყო: თუ მე-XVIII საუკ. პირველ წლეებში ტფილისში სულ 20 ათასი სული ირიცხებოდა, 1769 წ. იყო თითქმის 5 ათასი კომლი და 26 ათას სულამდის. ცხადია, ეკონომიურად ქვეყანა ძლიერ მოისუსტებდა და ამ გარემოებას გავლენა ჰქონდა სამეფოს ფინანსიურ მდგომარეობაზედაც. მხოლოდ მე-XVIII საუკუნის 70-იან წლებში მორიგე ჯარის ინსტიტუტის შემოღების და მშვიდობიან ცხოვრების უზრუნველყოფისთვის მიღებულ ზომების შემდეგ ქვეყანას რამოდენადმე მოღონიერება დაეტყო. 1781 წ. სახელმწიფო შემოსავალი უდრიდა 713 ათას მანეთს და თუმცა 1771—1783 წლებში ფულის ნომინალური ღირებულების გაიაფება ქართლ-კახეთში გამოიხატება როგორც 1 : $2^1/_2$, მაგრამ მაინც ცხადია, რომ 80-იან წლების დასაწყისში სამეფო ხაზინას თვალსაჩინო გაუმჯობესება ემჩნევა.

მთავრობას ძლიერ კარგად ესმოდა ქვეყნის რთული მდგომარეობა და ეძიებდა რაიმე საშუალებას შინაური ცხოვრების წეს-რიგში მოსაყვანად. გარეშე ძალაზე იმედი ამხანად უკვე არ იყო და ამიტომ ერეკლე მეფე და ქართლ-კახეთის მოწინავე წრეები სცდილობდენ, რუსეთიდან დახმარებაზე უარის მიღების შემდეგ, საკუთარის ძალ-ღონით საქმის მოგვარებას. ოსმალეთთან ურთი-ერთობა აღდგენილ იქმნა, მაგრამ ცხადი იყო, რომ უპირველეს ყოვლისა მტკიცე სამხედრო ძალა უნდა შექმნილიყო, რადგან მხოლოდ ამის შემდეგ შესაძლებელი იქნებოდა აზვავებულ ლეკობასთან გამკლავება და იმავე დროს შინაურ საქმეებზე ზრუნვა. 1773 წლის დასასრულს ტფილისში მოწვეულ იქმნა ეპისკოპოსთა და დიდ თავადთა კრება, რომელმაც იქონია მსჯელობა მუდმივი სამხედრო ძალის შექმნის შესახებ. ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ მიღებულ იქმნა და 4 იანვარს 1774 წ. გამოქვეყნდა განჩინება მორიგი ჯარის შესახებ, სადაც დაწვრილებით აღნუსხული იყო წესი მეომართა რიგ-რიგად ქვეყნის დასაცავად გამოსვლისა თავისი თოფიარაღით და ნუზლით.

მთელი სამეფოს მოსახლეობა მამობრივი სქესისა, რომელსაც იარაღის ტარება შეეძლო, სიით უნდა აღნუსხულიყო. თავადი, აზნაური, მოხელე და გლეხი, ყველა გაყოფილ იქმნა 12 რიგად წელიწადში 12 თვის მიხედვით. ყოველთვეს ახალ-ახალი რიგი გამოდიოდა ქვეყნის დასაცავად და საზღვრებზე ლეკთა მოთარეშე რაზმებისათვის თვალ-ყურის სადევნელად. სამსახურში გამოცხადებაზე დაგვიანებისათვის თავადზე და აზნაურზე ჯარიმა იყო დანიშნული, ხოლო გლეხისათვის რუსულად წკეპლში გატარება.

ამ გვარად გაჩნდა მუდმივი სამილიციო ჯარი. მთლად ქართლ-კახეთის სამეფოში 1770 წლის ცნობების მიხედვით ითვლებოდა 54,400 კომლი მკვიდრი, რომელთაგან კარგა მოზრდილი ნაწილი მოდიოდა ელებით დასახლებულ იორის პირსა და ყაზახ-ბორჩალოზე. მოსახლეობის მხრივ ქართლ-კახეთი შედარებით უკვე მოღონიერებული იყო, განსაკუთრებით თუ მივიღებთ მხედველობაში მე-XVIII საუკ. 20-იან და 30-იან წლებში გამოვლილ საშინელ აოხრებას. მაგრამ მაინც ზოგიერთი პროვინციები ჯერ თითქმის მთლად ცარიელი იყო. ასე, მაგალითად ტაშირსა, სომხითსა და საბარათიანოში ძველი მოსახლეობიდგან ადგილობრივ მხოლოდ 1—2 $^1/_2$ პროცენტი დარჩენილიყო, მცირეოდენი ნაწილი კი გადახიზნულიყო. შიდა-ქართლსა და კახეთში მოსახლეობა კიდევ სუსტობდა. ამით აიხსნება, რომ საერთოდ სამეფოში მცხოვრებთა რიცხვი ეროვნებით გამოიხატებოდა: ქართველობა—36%, თათრობა

—39,7%, სომხობა—16%, ოსობა 8,2%. ფაქტიურად, რასაკვირველია შეუძ-ლებელი იყო მორიგობის ყველა პროვინციებზე თანასწორად განაწილება. ამით აიხსნება, რომ პირველად მორიგეთა რიცხვი ყოველ თვე-და-თვე უდრიდა 4—5 ათასს, მაგრამ შემდეგს დროს მორიგეთა ინსტიტუტის მოსუსტების და აგრეთვე სხვა-და-სხვა პოლიტიკურ მიზეზების გამო (ეს ითქმის უფრო მაჰმადიანთა შესახებ), ზემოდ მოხსენებულმა ციფრმა თანდათან კლება იწყო, ასე რომ საქართველოს მოლაშქრეთა რიცხვი უჩვენებდა მხოლოდ 23 ათასს კაცს, მათ შორის 5 ათას თათარს, დანარჩენს ქართველს და რამდენადმე სომეხს. ამ ანგარიშით ყოველ თვეს მორიგობა დაახლოვებით 2 ათას კაცს იძლეოდა.

ეს მუდმივი მილიციური ლაშქარი სწორედ მისწრება იყო საქართველო-სათვის. გალაღებულ ლეკების თარეშები თანდათან ალაგმულ იქმნენ. რასაკ-ვირველია მშვიდობიან ცხოვრების დამყარებამდის ჯერ შორს იყო, მაგრამ მაინც შესაძლებელი შეიქნა ქვეყნის აღორძინებაზე ფიქრი. ხალხი თანდათან ჩამოვიდა სამალავიდან და ტყე-ღრედან. სოფლებმა იწყეს გაშენება. მცხეთა, რომელიც თითქმის მთლად აწყვეტილი და აყრილი იყო, დარჩენილიყო ერთი თუ ორი კომლი, ხელახლავ გაშენდა. ასევე ბევრი სხვა სოფელი. თვით მე-ფე და ბატონიშვილები მხურვალე მონაწილეობას ღებულობდენ მორიგე ჯარ-ში და რიგრიგობით გადიოდენ სამსახურში. განსაკუთრებით ბევრი ღვაწლი დასდო მორიგე ჯარის საშუალებით ლეკების ალაგმვის საქმეს ლევან ბატო-ნიშვილმა, ერეკლეს საყვარელმა შვილმა, ცნობილმა თავისი გასაოცარი სიმა-მაცით, განათლების სიყვარულით და გონება-გამჭრიახობით. ეს ლევან ბა-ტონიშვილი გახდა მალე ნამდვილი სულის ჩამდგმელი მორიგე ჯარისა. მთე-ლი ქართლ-კახეთი შეხაროდა ენერგიულ ბატონიშვილს, რომელმაც ლეკების თარეშებს თავისი სამშობლო ქვეყნის ტერიტორიაზე სიცოცხლე გაუმწარა, სანამ უცნაურად და ტრაგიკულად არ დამთავრდა მისი ბედი 1781 წ. 5 თე-ბერვალს.

მორიგი ჯარის აქტიურმა მოქმედებამ შესაძლებლად გახადა შინაურ ცხოვ-რებაში გარკვეულ პოლიტიკის წარმოებაც. მართალია, სამეფოს მდგომარეობა მაინც საჭიროებდა გარეშე დახმარებას. ამით აიხსნება, რომ ერეკლე, მიუხე-დავად მიღებულ უარისა, 1774 წ. 24 აგვისტოს კვლავ შუამდგომლობს რუ-სეთის წინაშე შემწეობას. მეფე უთითებდა რუსეთის პირველს მინისტრს, რომ ოსმალების გადამტერება მას ძვირად დაუჯდა, რომ 1770 წლიდან მას დაეხარჯა ომებზე 450 ათასი მანეთი და სარგებლობა კი არაფერი გამოვიდა. ერეკლე თხოულობდა სესხად ფულის გამოგზავნას და 3—4 წლით ჯარის

თხოლებას. მაგრამ ამ დროს რუსეთს უკვე ოსმალებთან ზავი შეკრული ჰქონდა და ამიტომ საქართველოს საქმეებში ჩარევას თავისთვის სახეიროდ არ სთვლიდა.

საქართველოს მთავრობის ასეთი დაჟინებით შუამდგომლობის აღძვრის მიზეზი, გარდა მუდმივ გარეშე საფრთხისა, შინაურ პირობებშიც იმალებოდა. თავადების ცალკე ჯგუფებში ჯერ კიდევ ბუდობდა მეფისადმი უკმაყოფილება და ხშირად ეს უკმაყოფილება სახელმწიფოსათვის საშიშ ხასიათს ღებულობდა. ამ მხრივ ფრიად საინტერესოა 1775 წ. თავისი ვაჟკაცობით და მხნეობით განთქმულის ზაალ ორბელიანის მიერ მოწყობილი შეთქმულება. შემთქმელებს გაუგეს და შეიპყრეს, მაგრამ როგორც საქმის გამოძიებიდან გამოირკვა, მათი მიზანი ყოფილა ერეკლეს მთლად საქართველოდან მოშორება. ამ საქმეში მათ გაურევიათ რუსეთის სამხედრო აგენტი ბაკუნინიც. ბაკუნინს გაუმხნევებია შემთქმელები, იმპერატრიცა ერეკლეს უწყრება და თქვენ მხარს დაგიჭერთო. ზაალს, მეთაურს ამ ახალ შეთქმულებისას, განუცხადებია ბაკუნინისათვის: თუ მეფე ერეკლეს იმპერატრიცა უწყრება, ან რუსს ვისმე უბოძოს ქვეყანა ან მეფე სოლომონსო.

ეს ფაქტი, რასაკვირველია, ფრიად დამახასიათებელია რამოდენადმე მაშინდელ ქართლის ზოგიერთ თავადების სულიერ განწყობილებისა და იმ ინტრიგებისაც, რომელსაც ეწეოდა საქართველოს ტერიტორიაზე ზოგი რუსი აგენტი.

ამ სულიერ განწყობილებამ ერთხელ კიდევ თავი იჩინა მძლავრად 1777 წ., როდესაც აშკარად გადუდგა მეფეს გიორგი ქსნის ერისთავი. ამის შვილს ყავდა ცოლად მეფის ასული და ამიტომ მეფეს არ სურდა საქმის გამწვავება. მაგრამ როდესაც მოლაპარაკებიდან არაფერი გამოვიდა, მეფე იძულებული გახდა ჯარი გაეგზავნა ერისთავის წინააღმდეგ, რომელიც შეპყრობილ იქმნა და ჩამოყვანილ ტფილისს. ამის შემდეგ მეფე ერეკლემ მოსპო ერისთაობა ქსნისა და მით ბოლო მოუღო ერთს უძველეს და უძლიერეს ბუდეს ქართლის ფეოდალთა წრეებისას.

ქსნის ერისთავთა ალაგმვის შემდეგ ქართლში უკვე აღარ იყო ისეთი ძლიერი ცენტრთაგანი ფეოდალურ ძალა-უფლებისა, რომელსაც შესძლებოდა მეფის განუსაზღვრელ მართველობისათვის წინააღმდეგობის გაწევა. მართალია, ერეკლეს კიდევ უხდებოდა ანგარიშის გაწევა ცალკე შეთქმულებებთან, მაგრამ ამ შეთქმულებათ უკვე არ ჰქონდათ ფეოდალურ ელემენტების ოპოზიციის წმიდა ხასიათი. 70-იან წლების დასასრულს ქართლის თავადებში დიდი მუშაობა სწარმოებდა ბატონიშვილის ალექსანდრე ბაქარის ძის სასარგებლოდ, რომელიც ლეგი-

ტიმისტთა აზრით იყო კანონიერი მემკვიდრე ქართლის ტახტისა. მას მხარს უჭერდა ამ დროს იმერეთის მეფე სოლომონ I, რომელიც სამართლიანად სცნობდა ქართლ-კახეთის გაძლიერებაში დიდ საფრთხეს თავისი ტახტის დამოუკიდებლობისა და არსებობისათვის. ქართლ-კახეთის მართველი წრეები არც მალავდენ, რომ ეხლა, როდესაც შინაური მდგომარეობა სამეფოსი რამოდენადმე გაუმჯობესდა, მეფის ძალა-უფლებაც ფეოდალურ ელემენტების საბოლოო დატუქსვით განმტკიცდა, ხოლო სპარსეთთან და ოსმალეთთან დროებით მტკიცე ურთი-ერთობა დამყარდა, ჯერი მიდგა საქართველოს დაქსაქსულ ნაწილების გაერთიანებაზედ. იდეა საქართველოს გაერთიანებისა თანდათან კვლავ განცხოვლდა და ცხადი იყო, რომ ამ იდეის მატარებელნი თუ კი ერთის მხრივ ძველს სამცხე-საათაბაგოსაკენ იცქირებოდენ, მეორეს მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდენ იმერეთს, რომლის ბედის გადაწყვეტას შედეგად ექნებოდა გურია-სამეგრელოს სამთავროების დაკავშირებაც. ცხადია ამის გამო, რომ სწორედ ეხლა, როდესაც როგორც ქართლ-კახეთი, ისე იმერეთი შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იყო. ერეკლე მეფის პოლიტიკასა და სოლომონ მეფის ინტერესებს შორის თავი იჩინა მძლავრმა ანტაგონიზმმა. სოლომონი მხარს უჭერდა ქართლის ტახტის პრეტენდენტს ბატონიშვილ ალექსანდრეს და სცდილობდა ქართლში მისთვის გავლენიან მომხრეების მოპოვებას. თავის მხრივ ერეკლეს განზრახული ჰქონდა სოლომონ მეფის გადაყენება, იმერეთის შემოერთება და მის მართველად თავისი შვილის, მაღალ ნიჭიერის და თვისი იმედის ახალგაზრდა ლევან ბატონიშვილის დანიშვნა. ორივე მეფის შორის არსებულ ურთი-ერთობის დამახასიათებელია ის სიტყვები, რომელიც ამ დროს ეკუთვნის და რომელიც შეუთვალა სოლომონმა ერეკლეს: „მეფე ირაკლი, შენ გინდა ხლინკი გამიკეთო და მე—უფრო ადრე მოგვერდზე წამოგიყვანო“. დროგამოშვებით მაინც ხერხდებოდა ორსავე მეფის შერიგება, მაგრამ ურთიერთ უნდობლობისა გამო ხანგრძლივ მეგობრულ განწყობილების დამყარება შეუძლებელი იყო.

შინაურ ცხოვრებაში ერეკლე მეფე სცდილობდა დროებით გაუმჯობესება მდგომარეობისა გამოეყენებინა ქვეყნის წარმატებისა და მისი საქმეების მოსაწყობად. განახლებული სტამბა ტფილისში ამდიდრებდა წიგნის ბაზარს და ხელს უწყობდა საეკლესიო წიგნით დაკმაყოფილებას განსაკუთრებით ეკლესიების და მონასტრების საჭიროებისა. ტფილისის ფილოსოფიის სემინარიის საქმე თანდათან უფრო წინ მიდიოდა. კათალიკოზი ანტონი თვით ჩაუდგა განათლების საქმეს საათავეში და თავისი სამწიგნობრო მოღვაწეობით ხელი შეუწყო სწავლის ჯეროვ-

ნად დაყენებას. შემდეგ ფილიპე მღვდლისა, სემინარიის სათავეში იდგა ანტონის გაზრდილი და მისი მოწაფე გაიოზ არქიმანდრიტი. გარდა სემინარიისა მეფე ყურადღებას აქცევდა განათლების კერის განცხოვლებას სხვადასხვა მონასტრებში თუ ეკლესიებთან. მალე შესაძლებელი შეიქმნა მეორე სემინარიის დაარსება ქალ. თელავში, რომელიც გაიხსნა 28 მაისს 1783 წ. მის პირველ რექტორად იყო გაიოზ არქიმანდრიტი, რომლის ადგილი ტფილისის სემნარიაში დაიკავა ტფილისის სიონის ტაძრის დეკანოზმა იოანე ოსესძემ. გაიოზის შემდეგ, რომელმაც მალე თავი დაანება თელავის სემინარიას, რექტორად იქ იყო დავით ალექსისძე.

სამეფოს მართველობაშიაც მეფე სცდილობდა გაუმჯობესების შეტანას. ცენტრალური მართვა-გამგეობის ფუნქციები თვით მეფის ხელში იყო, რაც შეუძლებლად ხდიდა წესიერად საქმის გაძღოლას თვით ისეთ დაუშრეტელ ენერგიის ადამიანისათვის, როგორიც იყო მეფე ერეკლე. აპარატის მოუწყობლობით აიხსნებოდა ის გარემოება, რომ, ერთის თანამედროვის თქმისა არ იყოს, ყოველი საქართველოს ქვეშევრდომი აბაზიან საქმისათვის პირდაპირ მეფესთან გარბოდა საჩივრად. სულ უბრალო საქმეც კი, მაგალითად დავა მამულისა ან ყმის შესახებ, ფულის ვალდებულობისა და სხვა ამ გვარი, მიდიოდა პირდაპირ მეფესთან. რომელიც ამის გამო მთელი დღეები ხშირად წვრილმან საქმეებსა და კინკლაობის გარჩევაში იყო გართული. ეს გარემოება, რასაკვირველია, ძლიერ დიდ დაბრკოლებას წარმოადგენდა სახელმწიფოებრივ მუშაობის წესიერად წარმოებისათვის. როდესაც ქართლსა და კახეთში ერისთავების და ზოგ სხვა დიდ გვარიან თავადების ხმას თავ-თავიანთ სამფლობელოში გასავალი ჰქონდა, როდესაც მსხვილი ფეოდალები თითონ ასრულებდენ მართველის და მოსამართლის ფუნქციებსაც, მეფის უფლებასაც, ასე ვსთქვათ, ოჯახური ხასიათი ჰქონდა და მართველობის რთული აპარატის უქონლობა არც თუ დიდს რაიმე ნაკლს წარმოადგენდა. სულ სხვა იყო ეხლა, როდესაც ფეოდალების უფლების ალაგმით ცენტრალიზმის იდეას მართველობის პრინციპში დიდი ხანია გზა გაკაფული ჰქონდა. მეფის უფლებამ დაჰკარგა თავისი წინანდელი ოჯახური ხასიათი, შედარებით ვრცელს ტერიტორიას ქართლ-კახეთის სამეფოსას ფართო თვალყურის დევნება სჭირდებოდა, მრავალ-ფეროვან მოსახლეობის საჭიროებანი მართველობის ახალს, უფრო რთულ მეთოდს თხოულობდენ როგორც ადმინისტრატიულ, ისე მართლ მსაჯულების სფეროში. ამის საჭიროება ძალიან კარგად ესმოდა ერეკლე მეფეს. მან ჯიდეც მოინდომა რამოდენადმე ამ ახალ გზის გაკაფვა. ამ მხრივ დიდი ჭნი-

შვნელობა ჰქონდა სამეფოს უფროს სახლთ-უხუცესად ერეკლეს მიერ თავისი სიძის დავით ორბელიანის დანიშვნას და მისსავე ხელში უფროსი სარდლის თანამდებობის მოთავსებას, სარდალ-სახლთუხუცესის სახელწოდებით (1778 წ. დასაწყისს). ამით რამოდენადმე მოხდა სამოქალაქო და სამხედრო მართველობის ფუნქციების ერთ პიროვნების ხელში გაერთიანება. კერძოდ მართლმსაჯულებაშიც მეფემ მოინდომა დროსდა მიხედვით შეწონილი ცვლილების შეტანა. წინად ყოველი უბრალო საჩივარი პირდაპირ მეფესთან მიდიოდა. ხოლო 1778 წ. აპრილიდან კი ყოველი არზა და საჩივარი უნდა შესულიყო მდივან-ბეგებთან მათ სამსაჯულოში.

მაგრამ საერთო რეფორმების მოსახდენად, მართველობის გარდასაქმნელად ახალმოთხოვნილების თანახმად ერეკლეს ძალა არ შესწევდა. საქართველოს ცხოვრების ზედაპირზედ არ იყო ისეთი ელემენტი, რომელსაც შესძლებოდა ფეოდალურ ძალის მაგიერობა გაეწია და რომლის დაყრდნობა უზრუნველყოფდა ახალ ცენტრალისტურ მართველობის დამყარების საქმეს. მოქალაქეობრივი ცხოვრება ქალაქებში, თვით ტფილისშიც, ნაკლებად განვითარებული იყო და, ვინაიდგან ამასთანავე მოქალაქეთა უმრავლესობა არა ქართულ სარწმუნოებისა და ეროვნებისა იყო (სომხობა), ამიტომ სარწმუნოებრივი და ეროვნული მომენტიც შეუძლებლად ხდიდა მთლიანად სახელმწიფოებრივ ცხოვრების ამ ელემენტზე დამყარებას. არ იყო აგრეთვე არც განსაკუთრებული ხელისუფლობა ან მოხელეობა, როგორც კლასი, თავისი ტრადიციებისა და იდეოლოგიის მქონე, რომელსაც შესძლებოდა სახელმწიფოებრივი აღმაშენებლობითი მუშაობაში თავისი ვალდებულობის შესრულება. შეიძლება ითქვას, რომ ერთადერთი საუკუნოებით მეფის ხელისუფლობასა და მის სამსახურში გაწვრთნილი წრე ამ დროს იყო თუმანიშვილის გვარეულობა, რომელიც მე-XV საუკუნიდან თავისი წევრთაგან მეფის კარის მდივნებს ამზადებდა. მაგრამ ვინაიდგან ეს წრე ფრიად ვიწრო იყო (ერთი გვარეულობა და ხან-და-ხან მათივე მონათესავენი), ამიტომ მას ჰქონდა ფრიად განსაზღვრული ოჯახური მნიშვნელობა და მასში არსებული ტრადიციაც ამგვარივე შინაური ხასიათისა იყო. ერეკლეს მეფობის უფრო მეორე ნახევარში ჩნდებიან კანტიკუნტად ახალი ხელისუფალნი, ცხოვრების ზედაპირზე ახლად გამოსულნი, რომელნიც მეფის ერთგულობისა და მისი ძალა-უფლების განმტკიცებაში ხედავდენ თავის დანიშნულებას. ასეთი იყო, მაგალითად, მდივან-ბეგი იესე ოსესძე და განსაკუთრებით მაღალ-ნიჭიერი და განათლებული სოლომონ ლიონიძე. თავისი ჩამომავალობით მათ არაფერი ჰქონდათ საერთო თავადების გვარეუ-

ლობებთან. იესე იყო სამღვდელო წოდებიდან და მამა-პაპით ტფილელის შემცქერალი, ხოლო სოლომონ ლიონიძე, გაქრისტიანებულ ლეკისაგან წარმომდგარ თელავში მობინადრე მღვდლის შვილი, ჯერ კიდევ ახალგაზდობაში ორბელიანის ყმად იყო. მაგრამ ასეთი ორიოდე-სამიოდე პირი, ცხოვრების ასპარეზზედ ახლად გამოსული, არავითარ შეკავშირებულს ძალას არ წარმოადგენდენ, მით უმეტეს, რომ ძველიდგან მომდინარე მოხელენი, როგორც მაგალითად თუმანიშვილნი, ძველ, ოჯახურ თვალსაზრისზე იყვნენ აღზრდილნი და გარდა ამისა სარწმუნოებრივი და ეროვნული განსხვავებაც განაშორებდა ამ ორს წრეს ერთმანეთისაგან.

ამიტომაც მოხელეთა, როგორც კლასის, შექნაც შეუძლებელი შეიქნა და მეფე იძულებული იყო ახალ და შეცვლილ ვითარების დროს ისევ ძველ ფეოდალურ წრეებიდან გამოსულ ელემენტებს დაყრდნობოდა. თავის თავად იგულისხმება, რომ საქართველო ასეთს პირობებში ვერ შესძლებდა თავისი შინაური ცხოვრების ჯეროვნად მოწყობას და თავის სახელმწიფოებრივ ორგანიზმისათვის ისეთი სიმტკიცის მოპოებას, რომელიც საჭირო იყო განსაკუთრებით ეხლა, როდესაც ჩვენი ქვეყანა თანდათან ხდებოდა მეზობელ სახელმწიფოთა დიდ პოლიტიკის საგნად.

ჯერ კიდევ 70-იან წლების დასაწყისში რუსეთს, როგორც ვნახეთ, არ ჰქონდა შემუშავებული გარკვეული ხაზი საქართველოს შესახებ. ამით აიხსნება, რომ ერეკლე მეფის შუამდგომლობა 1772—1773 წ. წ. რუსეთის მფარველობაში მიღების შესახებ, განსაზღვრულ პირობებში და სათანადო ტრაქტატის შეკვრით, უარყოფილ იქმნა. მაგრამ შემდეგ თანდათან რუსეთის შეხედულება შეიცვალა. ერთი რომ 1777—1778 წლებში რუსეთმა ჩრდილოეთ კავკასიაში კიდევ უფრო წინ წაიწია და უფრო მტკიცედ მოიკიდა ფეხი ყუბანის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნების დაჭერით. მეორე მხრივ, 1778 წლიდან ქერიმ-ხანის სპარსეთში გარდაცვალების შემდეგ ირანის ტერიტორიაზე კვლავ ანარქია ასტყდა. ამით მოინდომა სარგებლობა რუსეთმა, სადაც კვლავ გაიღვიძა დიდ-დიდმა პროექტებმა კასპიის ზღვის ხელში ჩაგდებისა და საზოგადოდ აღმოსავლეთისაკენ გზის გაკაფვის შესახებ. 1781 წ. რუსის ესკადრამ დაიჭირა ასტრაბადის ყურე და მოინდომა იქ საბოლოოდ ფეხის მოკიდება. თუმცა ამ ცდისაგან არაფერი გამოვიდა— ყაჯარმა აღა-მაჰმად-ხანმა განდევნა იქიდან რუსები, მაგრამ ცხადი იყო, რომ რუსეთი ეხლა უფრო ენერგიულად მიდიოდა წინ აღმოსავლეთისა და კავკასიისაკენ.

ერეკლე მეფე სცდილობდა რუსეთის გარეშეც მოეპოვა რაიმე დახმარება.

ამ აზრით მან 1782 წ. მიმართა ვენაში იმპერატორს, აგრეთვე საფრანგეთის მეფეს, სარდინიისა, ნეაპოლისა და ვენეციის მთავრობათ. მეფე თხოულობდა დახმარებას ჯარით ან ფულით და თავის მხრივ პირობას სდებდა, შეუსრულოს მისთვის დახმარების მომცემ სახელმწიფოს ყოველივე მოთხოვნილება სპარსეთის დაპყრობისა, თუ ოსმალეთის წინააღმდეგ მთელი თავისი ძალით მოქმედების შესახებ. უმთავრესი გაჭირვება სამეფოსი ამ გვარად, როგორც ყველა ამ რუსეთსა და ევროპაში აღძრულ შუამდგომლობებიდან სჩანს, იყო მტკიცე და საკმაო სამხედრო ძალის უქონლობა იმდენად მაინც, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ლეკების და სხვა მტრების ალაგმვა და შინაურ აღმაშენებლობითი მუშაობაზედ გადასვლა. ევროპაში გაგზავნილ შუამდგომლობიდან არაფერი გამოვიდა. საქართველო ევროპის სახელმწიფოებისათვის შორს იყო, და ამ დროს მათ პოლიტიკის ინტერესებს გარეშე იმყოფებოდა. არა თუ რაიმე რეალური დახმარების გაწევა, არამედ უბრალო ხმის მიწვდენაც კი მაშინ ძნელი საქმე იყო, ამიტომ ქართლ-კახეთის მთავრობა იძულებული გახდა მთელი თავისი იმედები ისევ რუსის მთავრობაზედ დაემყარებინა. ამ დროს უკვე რუსეთის პოლიტიკური ინტერესიც აღმოსავლეთსა და კავკასიაში განცხოველდა და ამიტომ, როდესაც მეფე ერეკლემ 1782 წ. კვლავ აღძრა საკითხი რუსეთის მფარველობის მოპოების შესახებ, პეტერბურგის მთავრობა სიხარულით შეხვდა ამ ფაქტს და შეუდგა სათანადო მოლაპარაკებას. ეს მოლაპარაკება გათავდა 1783 წ. 24 ივლისს ცნობილ ტრაქტატის ხელის მოწერით ქალ. გეორგიევსკში იმპერატრიცა ეკატერინე II და ერეკლე მეფის რწმუნებულთა მიერ.

ამ ტრაქტატით ქართლ-კახეთის მეფე აღიარებდა რუსეთის იმპერატორების უზენაეს ძალა-უფლებას და მათს მფარველობას. ტახტზედ ასვლისას ახალი მეფე თავისი ელჩის საშუალებით თხოულობს ტახტზე დამტკიცებას და ინვესტიტურის ნიშნების გამოგზავნას, რომლის მიღებისას მეფე რუსეთის რეზიდენტის თანადასწრებით ღებულობს ერთგულობის ფიცს. გარეშე სახელმწიფოებთან ურთიერთობა უნდა ხდებოდეს რუსეთის მთავრობასთან შეთანხმებით. ამას გარდა მეფე ღებულობს თავის თავზე ვალდებულებას იმპერიის სასარგებლოდ მოქმედების შესახებ და საჭიროების დროს ის მზადაა თავისი ჯარით მისი დიდებულების სამსახურისათვის. სამაგიეროდ, რუსეთი იძლეოდა გარანტიას ქართლ-კახეთის ტერიტორიის დაცვისა და ხელ-უხლებლობისათვის და სამეფო ტახტის ბაგრატიონების სახლში დამკვიდრების შესახებ. ხელუხლებლობის გარანტია ვრცელდებოდა აგრეთვე იმ ქვეყნებზედაც,

რომელნიც დროთა განმავლობაში საქართველოსთან იქმნებოდნენ შემოერთებულნი და მასზე დამტკიცებულნი. შინაურ საქმეებში და მართველობაში რუსეთი არ ერევა, დამოუკიდებელ მდგომარეობაში რჩება აგრეთვე საქართველოს ეკლესიაც. კერძო პუნქტებით კიდევ განსაზღვრულ იყო, რომ რუსეთი ვალდებული იყო ყოლოდა ქართლ-კახეთში 2 ბატალიონი ჯარი 4 ზარბაზნით.

3 ნოემბერს 1783 წ. ტფილისში მოვიდა ეს ჯარი, ხოლო 23 იანვარს 1784 წ. ინვესტიტურის ნიშნების მიღების შემდეგ მეფე ერეკლემ დიდის ცერემონიით მიიღო ფიცი იმპერატრიცა ეკატერინე II-ს ერთგულებაზედ.

რუსეთ-საქართველოს შორის დადებულმა ტრაქტატმა გარკვეულ ფორმებში ჩამოაყალიბა ის პოლიტიკური მიდრეკილება რუსეთის იმპერიისადმი, რომელიც ასე მძლავრად ახასიათებდა ერეკლე მეფის საგარეო პოლიტიკას და რომელიც გამოიხატებოდა მფარველობისა და დახმარების ძიებაში. ამიერიდგან საქართველომ საბოლოოდ პირი იბრუნა სპარსეთისაგან ჩრდილოეთისაკენ და ოფიციალურად დაადასტურა თავისი პოლიტიკური და კულტურული სიმპატიები რუსეთისადმი.

ტრაქტატი დადებულ იქმნა უფრო ხელსაყრელ პირობებით, ვიდრე ეს ერეკლე მეფისათვის მოსალოდნელი იყო. იმპერატრიცამ უარი განაცხადა ხარკზე, რომლის გარდახდაზე თანახმა იყო მეფე, მძევლების გამორთმევაც რუსეთში საჭიროდ არ დაინახეს. მეფეს დაუმტკიცეს ტიტული უმაღლესობისა სამეფო გვირგვინის კურთხევის უფლებით. საზოგადოდ საქართველოს მთავრობა ძლიერ კმაყოფილი იყო ამ შედეგებით. ქვეყანას ძლიერი და, როგორც ამ დროს სჩანდა, უანგარო მფარველი გაუჩნდა და სამეფოს შინაურ ცხოვრებისათვის იწყებოდა ახალი ხანა წარმატებისა და წინსვლისა. მართლაც, რუსის ჯარის ჩამოსვლამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია როგორც მართველ წრეებში, ისე აგრეთვე ფართო ხალხში, მაგრამ მალე აღმოჩნდა, რომ ჯერ კიდევ შორს იყო მტკიცე მყუდროების მოპოებამდის, რომ პირიქით სწორედ ეხლა თითქოს ერთად იფეთქეს ყველა ქართლ-კახეთის ირგვლივ მოკალათებულმა მტრებმა.

საქართველოში რუსეთის მფარველობის შესვლამ ფრიად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველა ახლო-მახლო ქვეყნებზედ. მაშინ როდესაც იმერეთი, თავისი უფროსი მოძმის მაგალითით წაქეზებული, სცდილობდა რუსეთთან ასეთივე მჭიდრო და ფორმალურ კავშირის დაჭერას, დაღისტანმა, აზერბეიჯანის ხანებმა და ახალციხის ფაშამ დაინახეს რუსების ტფილისში შემოსვლაში

ფრიად დიდი საფრთხე თავისათვის. რუსეთი არც მალავდა თავის აგრესიულ ზრახვებს—განსაკუთრებით სომხობის საკითხის წამოყენებით და მისდამი მფარველობის გაწევით. რუსეთის აგენტებმა მაშინათვე გააბეს ძაფები აზერბეიჯანის სომხობასთან, განსაკუთრებით ყარაბაღში, რაც ძალიან აფიქრებდა ხანებს, რომელთაც კიდეც რომ არ სცოდნოდათ პოტემკინის პროექტები სომხეთის შექმნის შესახებ, უფლება ჰქონდათ სომხების ამოძრავებაში თავიანთი ბატონობისათვის რეალური განსაცდელი დაენახათ. ყარაბაღის სომეხი მელიქები ჯერ კიდევ წინად დაჟინებით სთხოვდენ რუსის მთავრობას დახმარებას და მფარველობას ხანის წინააღმდეგ, და იმპერატრიცა ეკატერინას თავ. გრ. პოტემკინის პირით უკვე აღთქმული ჰქონდა მელიქებისათვის აზიაში ქრისტიანულ სახელმწიფოს აღდგენა. განზრახული იყო ამ სახელმწიფოს შექმნა ყარაბაღისა და ყარადაღისაგან. მალე ტრაქტატის შეკვრის შემდეგ საქართველოს და საზოგადოდ ამიერ-კავკასიის გარემოების გასაცნობად გამოგზავნილ იქმნა ტფილისში ბიძაშვილი თავ. პოტემკინისა გენ. პავლე პოტემკინი, რომელიც საზოგადოდ დიდი მომხრე იყო აქტიურ პოლიტიკისა სპარსეთსა და მის მიმდგომ ქვეყნებში. გენ. პოტემკინმა დაინახა, რომ ამ გვარ პოლიტიკის საწარმოებლად უსათუოდ საჭიროა მტკიცედ ფეხის მოკიდება საქართველოს ტერიტორიაზე და ამიტომ სცდილობდა გაეგო, დათანხმდებოდა თუ არა მეფე ერეკლე ქართლში რუსთა მმართველობის შემოღებაზე იმ პირობით, რომ მეფის უფლება შეურყევლად დარჩებოდა კახეთის ტერიტორიაზედ და ქართლის შემოსავალიც ჯამაგირის სახით მიეცემოდა მასვე. როგორც მოსალოდნელი იყო, ერეკლე უარყოფით შეხვდა გენ. პოტემკინის ცდას ამ გვარ მოლაპარაკების გამართვაზე და რუსეთის მთავრობამაც მალე გული აიცრუა საქართველოს ბედზედ.

პოტემკინი ტფილისში ყოფნისას ეცნობოდა აგრეთვე სომხობის საკითხს და ამას, რასაკვირელია, ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის მხრივ სომხობის გულის მოსაგებად. რუსეთში ამ დროს უკვე კარგა ხანია მუშაობა სწარმოებდა რუსის მთავრობის დასაჯერებლად სომხობის ბედის გამორკვევასა და გაუმჯობესებაში. ამ მუშაობას სათავეში ედგა სომეხთა მთავარ-ეპისკოპოსი იოსებ არღუთაშვილი, რომელმაც თავისი უნარით და ენერგიით ერთ დროს შესძლო სომხობის საკითხის რუსეთის დიდ-დიდ პროექტებთან შესახებ, კასპიის ზღვისა და სპარსეთის, დაკავშირება. სომხობის საკითხის გარდაწყვეტა ჯერ ნაადრევი აღმოჩნდა. სომხობა ამ დროს ამიერ-კავკასიაში არ წარმოადგენდა რაიმე სერიოზულ ძალას თვით მოსახლეო-

ბის მხრივაც კი. ყარაბაღში, მაგ., იყო სულ 7 ათასი კომლი სომეხი (4 ათასი თათარი), სხვა სახანოებში კიდევ უფრო ცოტა. ერევნისაში, მაგ., სადაც მცხოვრებთა უმრავლესობას სომხები შეადგენდენ, იყო მხოლოდ 3 ათასი კომლი სომხობა. მთლად არეზს გამოღმა სახანოებში ირიცხებოდა სულ 16, 3 ათასი კომლი სომეხი ანუ საერთო მოსახლეობის 30—28%. მაგრამ პოლიტიკური მნიშვნელობა რუსეთისთვის ამ საკითხის წამოყენებისა მაინც ცხადი იყო.

მართლაც სომხობის საკითხის წამოყენებამ ყარაბაღში თავისებური გავლენა იქონია ქართლ-კახეთის სომხობის გავლენიან წრეებზე, რომელთა ინტერესი მართალია საქართველოს ფარგლებში იყო, მაგრამ საერთო ხმა მათშიც ამოძახილს პოულობდა. მთავარ-ეპისკოპოზი იოსებ არღუთაშვილი ხომ საქართველოდან იყო და გარდა ამისა აქაურ სომხობასა და ეჩმიაძინს შორის განუწყვეტელი სულიერი კავშირი არსებობდა. ამით აიხსნება, რომ სომხობა მთლათ მოექცა რუსოფილურ მიმართულების ნაკადში, რომელიც ამ დროს თვით ქართველ მართველ წრეებში ფრიად ძლიერი იყო, და რაც დრო გადიოდა, ეს მიმართულება სომეხ გავლენიან ჯგუფებში თანდათან ფეხს იკიდებდა. სომხობაში რუსოფილურ მიმართულების ზრდა მით უფრო ჩქარის ნაბიჯით ხდებოდა, რომ 1783 წლის ტრაქტატმა, წინაღმდეგ მოლოდინისა, ქართლ-კახეთის სამეფო დაცემის გზაზედ დააყენა.

ამისი მიზეზი იყო ის გარემოება, რომ ამ ხელშეკრულებამ ვერავითარ აღმაშენებლობითი მუშაობა შიგნით სამეფოში ვერ დააჩქარა და იმავე დროს საქართველოს წინააღმდეგ აამხედრა ყველა მაჰმადიანი მეზობლები. აზერბეიჯანის ხანები ერეკლეს ძველის ნდობით აღარ უყურებდენ. ყარაბაღის ხანი იბრეიმი მედგარი წინააღმდეგი გახდა ერეკლე მეფისა. ამისი არსებითი მიზეზი იყო ის გარემოება, რომ ხანი რუსების საქართველოში შემოსვლის გამო შიშობდა სომეხთა მოძრაობის გაძლიერებას და საზოგადოდ რუსებისაგან მის სახანოს ინტერესების დათრგუნვას. იბრეიმ-ხანის მოქმედებით ქართლ-კახეთს გადუდგა განჯის სახანო. ერევნის სახანოშიც, განსაკუთრებით ოსმალთა აგენტებისაგან, დიდი მუშაობა სწარმოებდა და თუმცა უკანასკნელად ერეკლემ მოახერხა ურჩობაში შენიშნული ერევნის ხანის მოკვლით და მის მაგიერად მცირეწლოვან მისი შვილის უსეინ-ხანის დადგინებით ერევნის შემომტკიცება, მაგრამ მდგომარეობა იქაც ძლიერ სერიოზული იყო. შიგნით სამეფოში ყველა ამ გარემოების მიხედვით მაჰმადიანური მოსახლეობა აგრეთვე დიდ აღელვებას განიცდიდა. ერეკლეს უკვე შეუძლებლად მიაჩნდა, მაგალითად, ყაზახ-შამშადილის

თათრების ჯარში გაწვევა. ამავე დროს საერთო არევ-დარევის გამო მორიგე ლაშქრის ინსტიტუტიც დასუსტდა და ქვეყნის დაცვის საქმე უარესდებოდა, ხოლო ახალციხის ფაშა კი ყოველ გვარ ღონისძიებას ხმარობდა ლეკთა თარეშების გასამრავლებლად და მის საშუალებით ქართლ-კახეთის სრულიად დასასუსტებლათ. გაძლიერდა ისევ ახალი ძალით ხდომა, ცარცვა, აოხრება, ადამიანთ ტყვეთ წასხმა. ასე, მაგალითად, 1784 წ. გაზაფხულზე სულეიმან-ფაშამ გამოგზავნა ზემო-ქართლის ასაოხრებლად 4 ათასი ლეკის ჯარი, რომელთაც წაასხეს 600 ტყვე. სურამთან ამ ჯარს დახვდა რუსის ბათალიონი და ტყვე, აგრეთვე ალაფი დააყრევინა. ერთი თვის შემდეგ სულეიმან-ფაშამ გამოუსია ქართლს ახალი თარეში 3 ათასი კაცისაგან შემდგარი და ასე გამუდმებით—1785 წ. წამოდგა თვით ომარ-ხანიც ავარიისა, რომელმაც 20 ათასი კაცით გამოილაშქრა ქართლ-კახეთის ასაოხრებლად. ასეთს საშიშროების დროს ახალციხიდან თავ-დასხმის შიშისა გამო ქართლში ჯარის შეკრებაც კი შეუძლებელი იყო. მარტო კახეთის ჯარით და რუსის რაზმით კი ერეკლემ ვერ გაბედა ომარ-ხანთან შებრძოლება. 11 ათასი კაცით ომარ-ხანმა გადმოლახა ალაზანი, ჩაიარა იორით ყარაიაზზე და გადავიდა ბორჩალოში, აღოხრა ბორჩალოს ციხე, ახტალას მადნები, ლორის ციხე და შემდეგ ახალციხით ჩავიდა ვახანს, აიღო ის და ასწყვიტა მცხოვრებნი. აქედან დიდ ძალი ტყვეებით ომარ-ხანი დაბრუნდა ახალციხეს და იქიდან გაზაფხულზედ გავიდა ყარაბახს. ომარ-ხანის შემოსევა, რომლის დროს ერეკლემ ბოლოს და ბოლოს არჩია ბრძოლისათვის გვერდი აეარა, იმისი მაჩვენებელი იყო, რომ მცირე-რიცხოვანი რუსის ჯარი სრულებით არ კმაროდა აზვავებულ მტერთა წინააღმდეგ დასახმარებლად. მეფე იძულებული გახდა მოლაპარაკება გაემართა ომარ-ხანთან, რომელიც დასთანხმდა ზავზე 10,000 მან. ჯამაგირით წელიწადში. ქართლ-კახეთი ამ გვარად ფაქტიურად გახდა მოხარკე ომარ-ხანისა.

ომარ-ხანის ასეთი მძლავრობა საქართველოზედ ძლიერ დამაფიქრებელი იყო. მართალია, სამხრეთით საქმეები უკეთ მიდიოდა. ამბოხება განჯაში ჩაქრობილ და ერევანზე ძალა-უფლება განმტკიცებულ იქმნა, ხოლო 1787 ზაფხულს ქართლ-კახეთის ჯარმა, 3 ათას კაცმა, რუსებთან ერთად გაილაშქრა ყარაბაღზედაც. ყარაბაღზე გალაშქრების მიზანი იყო ერთის მხრივ იქ გადასულ საქართველოს ქვეშევრდომ თათრის უკან გამოსხმა და მეორეს მხრივ აქ მუშაობდა რუსეთის პოლიტიკის ხელი ყარაბაღელ სომეხ მელიქთა დახმარების შესახებ. პირველ შეტაკებაზე ყარაბაღელ იბრეიმ-ხანის ჯარი დამარცხებულ იქმნა, მაგრამ ამ დროს რუსების ჯარის უფროსს პოლკოვნიკ ბურნაშოვს მოუვიდა რუსეთი-

დგან ბრძანება საქართველოს დატოვების შესახებ. ლაშქრობა მიტოვებულ იქმნა და ქართველების ჯარიც დაბრუნდა უკან. სომხების ორი მელიქი 500 კომლით გაიქცა განჯის სახანოში. ერეკლე მეფეს არც დიდათ აინტერესებდა ყარაბაღელ სომხების ბედი და ამიტომ როდესაც ყარაბაღელ იბრეიმ-ხანმა გამართა განჯის-ხანთან მოლაპარაკება ამ სომხების უკან დაბრუნების შესახებ, საქართველოს მთავრობამ ამაზედ თანხმობა განაცხადა იმ პირობით, თუ იბრეიმ-ხანი მასთან გაქცეულ ბორჩალოელ თათართა 200 კომლს გამოგზავნიდა. მაგრამ მელიქებმა გადაჭრით უარი განაცხადეს ყარაბაღში უკან დაბრუნებაზედ და იარაღით გაუმკლავდენ მათ წინააღმდეგ გამოგზავნილ იბრეიმ-ხანის რაზმს. მელიქები დარჩენ განჯის სახანოებში და ამის შემდეგ ისინი გახდენ ბუდეთ ინტრიგებისა და აგიტაციისა საქართველოს წინააღმდეგ განჯის ხანის წინაშე.

რუსის ჯარის გაწვევა საქართველოდან გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ რუსეთი ოსმალეთთან ომის მზადებაში იყო და არ სურდა ამ ჟამად მეფე ერეკლეს ამ ომში ჩარევა. ვინაიდგან განზრახული არ იყო მომატებულ ჯარის გამოგზავნა საქართველოსკენ, ამიტომ რუსის მთავრობა ჰფიქრობდა, რომ ერეკლეს, ბურნაშევის რაზმის გაწვევით, უფრო გაუადვილდებოდა გარემოების მიხედვით მეზობელ მაჰმადიან სამფლობელოებთან კავშირის აღდგენა და ამით თავისი სამეფოს დაცვაც. ამის შემდეგ მართლაც 7 სექტემბერს 1787 წ. გამოცხადდა ომი რუსეთსა და ოსმალეთ შორის.

რუსის ჯარის აქ ყოფნამ საზოგადოდ დიდი ზარალი მიაყენა ქართლ-კახეთს. ერთი რომ მარტო მის შენახვისათვის მეფის ხაზინა ეწეოდა დიდ ხარჯს, ხშირად თვეში 30 ათას მანეთამდის, რადგან რუსის ჯარი ხორბლეულობაში და საზოგადოდ სურსათში იხთიდა მაგარ ფასად ლიტრა პურს $3^1/_2$—4 კაპ., მაშინ როდესაც ქართლ-კახეთის მთავრობა ამავე ლიტრას იძენდა ხშირათ 15 კაპიკათ. მეზობელ სამფლობელოებისა და ოსმალების გადამტერებამ ხომ სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა ქვეყანა. რუსის ჯარის წასვლამ მაშინვე ფრიად კარგი გავლენა იქონია საქართველოს საგარეო მდგომარეობის გაუმჯობესებაზედ, რადგან ამიერიდგან ერეკლე მეფეს საშუალება მიეცა თავისუფლად ურთი-ერთობა დაეჭირა მეზობელ ქვეყნების მფლობელებთან. ოსმალეთის მთავრობამაც რამოდენიმე ხნის შემდეგ ქართლ-კახეთზე გული იბრუნა და აღადგინა მათთან 1789 წ. მშვიდობიანი კავშირი. სულთანმა გაუგზავნა საჩუქრად მეფეს ქურქი ხალათათ, ოქროს ხმალი და ოქროთ აკაზმული ცხენი. მიუხედავად საგარეო ურთი-ერთობის შედარებით რამოდენიმე გაუმჯობესებისა, ქვეყანა მაინც შორს იყო სრულს მშვიდობიანობისაგან. ახალციხის

ფაშა მაინც თავის გზას ადგა და ლეკთა თარეშები კვლავინდებურად არბევდენ ცალკე სოფლებს და ქვეყანას სასოწარკვეთილებაში აგდებდენ. ამ თარეშებში ზოგს თავისი სიდიდით დიდი აოხრება და აწყვეტა მოჰქონდა. ლეკებს მხარს უჭერდა ზოგი მოღალატე თავადი, ახალციხეს გაქცეული. ასე, მაგალითად, ქსნის ერისთვისძეთ მიხაილ დავითისძემ, მირმანოზ და ელიზბარ მიიმხრეს თავისი სიძე ზაქარია ციციშვილი, რომელსაც დაპირდენ მეფობას და დიდის თარეშებით იწყეს ქართლის რბევა, ჯერ დაეცენ ხელთუბანს, შემდეგ ყარალაჯს. ამასობაში ჭარელთ ლეკებიც მოუხდენ ქიზიყს, და ბრძოლაში ქიზიყის მოურავი ზაქარია ანდრონიკაშვილთან დახოცეს 300 ქიზიყელი. ახალციხეს გაქცეული მიქელა არღუთაშვილი, გულნაკლული პირად შეურაცხყოფაზედ სამართლის მიუცემლობისა გამო, უძღვებოდა წინ ლეკთა რაზმებს და არბევდა ქართლსა და სომხითს. თუ რამდენად ამაოხრებელნი იყვნენ ეს თარეშები, ცხადად სჩანს იმ ფაქტიდან, რომ ერთს ასეთ თავდასხმის დროს არღუთაშვილმა და მის მიერ წამოყვანილ ლეკებმა გაიტაცეს ყალაჩიდან 200 სული მცხოვრებთაგანი ტყვედ, ხოლო დურნუკზე თავდასხმის დროს მოუკლეს სარდალს დავით ორბელიანს 100 კაცი და ასიც ტყვედ იქმნა წაყვანილი. ასეთი თარეშები სისხლიდან სცლიდენ ქვეყანას და მის მომავალს საბედისწეროდ ხთიდენ. იშვიათად ქართველნიც მიდიოდნენ სათარეშოდ და სამაგიეროს გარდასახდელად. ასე, მაგალითად, აღსანიშნავია დავით ბატონიშვილის ათასი კაცით გალაშქრება ყარსისკენ 1789 წ. საიდანაც ჯარი დიდათ გამარჯვებული და დიდძალი ტყვით და ალაფით წამოვიდა. მაგრამ საერთოდ ინიციატივა თარეშებისა იყო განსაკუთრებით ლეკების მხარეზედ, რომელნიც დას-დასად ათასობით ან მეტ-ნაკლეობით ჩამოდიოდენ თავის მთებიდან და უფროსად ჭარბელაქანისა და ახალციხე-ახალქალაქის მხრივ თავს ესხმოდენ ქართლ-კახეთს.

გამუდმებულმა თავდასხმამ და თარეშებმა ძირიანად შეარყიეს ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრიობის საფუძველნი. მშვიდობიანი ცხოვრების დამყარება შეუძლებელი გახდა, გარეშე მტერი კვლავინდებურად აოხრებდა ქვეყანას. მეტიც. რუსეთთან დადებულ ხელშეკრულობის შემდეგ ამ მუდმივ თავდასხმას უფრო საბედისწერო შედეგი ჰქონდა, ვინაიდგან ერთის მხრივ მტრები რუსეთის საფრთხის გამო მეტს ენერგიას იჩენდენ და მეორეს მხრივ დაღალულ და დაქანცულ ქვეყნის ძალები თანდათან მოდუნებას და დაკნინებას განიცდიდა. ეკონომიური მდგომარეობა სამეფოსი თანდათან უარესდებოდა, რადგან მშვიდობიანი ცხოვრება სრულიადაც არ იყო უზრუნველ-ყოფილი, საწარმოო ძალა არა თუ არ განიცდიდა რაიმე წინსვლას, პირიქით თანდა-

თან სუსტტებოდა. სამეფოს ფინანსიური მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა. ახტალის მადნების აოხრება ომარ-ხანის მიერ 1785 წ. ამ მხრივ დიდ ზარალს წარმოადგენდა, რადგანაც 1780 წ., მაგალითად, ამ მადნებიდან ამოვიდა 63,200 მანეთის ოქრო-ვერცხლი. სხვა შემოსავალმაც კლება იწყო. ჯერ

მეფე ერეკლე II

მისი თანამედროვე სურათიდან, რომელიც დაცულია საქ. საისტ. და საეთნ. საზოგადოების მუზეუმში ტფილისს.

კიდევ რუსთა ჯარის ყოფნის დროს სამეფოს შემოსავალი შესამჩნევად შემცირდა და თუ 1781 წ., მაგ., ყოველ-გვარი სახელმწიფო შემოსავლის საერთო ჯამი ფულად დაახლოვებით 713 ათას მანეთად აღირიცხებოდა, 1785 წ. ეს ჯამი უკვე 400 ათას მანეთამდის ჩამოვიდა. ამის შემდეგაც მდგომარეობა სრუ-

ლიადაც არ გაუმჯობესებულა. ფინანსიური მდგომარეობა იყო გამომხატველი ზოგად ეკონომიურ გაჭირვებისა. ქალაქებში ცხოვრება საერთო ეკონომიურ კრიზისისა გამო თანდათან ძნელდებოდა. ცხოვრების სიძვირე შეუძლებლად ხთიდა ღარიბ მოქალაქეთა ნორმალურ ფიზიკურ ცხოვრებას და ამიტომაც გასაგებია, რომ ქალაქებიდან ყველაზე უფრო აქტიური ელემენტები გარბოდენ. ამ გვარ აყრას ქალაქებიდან ისეთი სისტემატიური ხასიათი ჰქონდა, რომ მეფე ერეკლე 1784 წ. იძულებული გახდა განსაკუთრებული ბრძანება გამოეცა ტფილისის და გორის მოქალაქეთა მიმართ, რომ ამიერიდგან ვინც ქალაქიდან აიყრება სხვაგან გადასასახლებლად, მას მამული ჩამოერთმევა და მთავრობის ნებართვით სხვაზედ გაიყიდებაო. ქალაქთა ცხოვრების კრიზის რამოდენადმე ახასიათებს მცხოვრებთა რიცხვის თანდათანობითი შემცირება ქართლ-კახეთის თითქმის ყველა ქალაქებში. 1770 წ., მაგალითად, ტფილისში ირიცხებოდა 4000 კომლი, ხოლო 1781—1 წ. მხოლოდ 3478 კომლი. გორში 1770 წ. 500 კომლი იყო, ხოლო 1794 წ. მხოლოდ 227 კომლი. ქალ. ახალგორში 1770 წ. 100 კომლი იყო, ხოლო 11 წლის შემდეგ 88. მუდმივ აოხრებათა გამო საერთო მცხოვრებთა ზრდაც სამეფოში შეჩერებული იყო.

ასეთს მდგომარეობაში, რასაკვირელია, ძნელი იყო რაიმე გაუმჯობესების და თვალსაჩინო ცვლილების შეტანა ქვეყნის მართვა-გამგეობაში. პირიქით, ვინაიდგან შინაური კრიზისი თანდათან რთულდებოდა და ამავე დროს მთავრობამ ვერ შესძლო არსებულ პირობებში სათანადო საადმინისტრაციო აპარატის შექმნა, ამიტომ თანდათან ისპობოდა ის ნაწილობრივი გაუმჯობესობანიც, რომელიც უკვე შეტანილი იყო სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. ასე, მაგალითად, თავის თავად გაჰქრა მორიგეთა ინსტიტუტი, რომელიც წარმოადგენდა მუდმივ სამხედრო ძალას და რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო ლეკთა თარეშების ალაგმვას და შიგნით მშვიდობიანობის გაუმჯობესებას.

მორიგეთა ინსტიტუტის ლიკვიდაციას თან უნდა მოყოლოდა ხელის აღება ყველა იმ აზრის განხორციელებაზედ, რომელიც თან სდევდა ფეოდალიზმის ბუდეების დანგრევას ჩვენში და ახალი ცენტრალისტურ მართველობისადმი გზის გაკაფვას. ასეთი იყო, მაგალითად, იდეა საქართველოს დაქსაქსულ ნაწილების, კერძოდ იმერეთის ქართლ-კახეთთან შემოერთებისა. 1790 წ. ტფილისს ჩამოვიდნენ იმერეთის თავი კაცნი, დოსითეოს ქუთათელი, ევთიმე გენათელი, სახლთ-უხუცესი ზურაბ წერეთელი, სეხნია წულუკიძე, იოანე აბაშიძე, აგიაშვილი, ჩიჯავაძე, ლორთქიფანიძე და სხვანი და სთხოვდენ მეფე ერეკლეს

იმერეთის შემოერთებას. დასმული ერთი წლის წინად მეფედ, იმერეთს შვილისშვილი ერეკლესი, სოლომონ II გადმოეგდო ტახტიდგან უწინდელ მეფეს დავით II-ს და თვითონ გამეფებულიყო. იმერეთის წარმომადგენელნი თხოულობდნენ ქართლ-კახეთთან სრულ შეერთებას და ძველი ერთობის კვლავ აღდგენას. ქართლ-კახეთის დიდ-კაცთა თათბირმა ერთხმად მოიწონა ეს აზრი, მაგრამ როდესაც პრაქტიკულად იქმნა საქმე დაყენებული, აღმოჩნდა მისი შეუსრულებლობა. ქართლ-კახეთს არ ჰქონდა ჯეროვნად მოწყობილი თავისი სახელმწიფოებრივი ცხოვრება, იოანე მუხრან-ბატონის სიტყვით, ვერ მოუვლია თავის საკუთარ თავისათვის—და ამიტომ, რასაკვირველია, ვერ შესძლებდა იმერეთის საქმეების გაძღოლასაც. ეს იყო მიზეზი, რომ ერეკლე მეფემ ბოლოს და ბოლოს უარყო იმერთა წინადადება და იმერეთის ტახტზე აიყვანა თავისი შვილისშვილი სოლომონ II, რისთვისაც იმერეთს გაგზავნილ იქმნა ჯარი. იმერეთის დესპანობამ მაინც მოლად უშედეგოდ არ ჩაიარა. ქართლ-კახეთსა, იმერეთსა, სამეგრელოსა და გურიას შორის დადებულ იქმნა, უმთავრესად მსაჯულთ-უხუცესის და მდივან-ბეგის სოლომონ ლიონიძის ღვაწლით, ერთობის პირობის ხელშეკრულობა, რომელსაც სამხედრო მოგერიებითი კავშირის ხასიათი ჰქონდა.

ამ გვარად 1783 წ. რუსეთთან დადებულ ტრაქტატის შემდეგ ქართლ-კახეთის მდგომარეობა არა თუ არ გაუმჯობესებულა, პირიქით ქართველი მოწინავე წრეები ხედავდენ, თუ როგორ თანდათან საქართველოს სახელმწიფოებრიობის მდგომარეობა უარესდებოდა. რუსეთმა არ გაუწია ქართლ-კახეთს რაიმე თვალსაჩინო სამხედრო დახმარება, აქ მყოფი ორი ბატალიონიც, რომელიც ტრაქტატის მიხედვით საქართველოში უნდა დარჩენილიყო, უკან გაიწვია და ქვეყანა წინანდელზედ უარეს მდგომარეობაში ჩააგდო, ვინაიდგან მეზობლები რუსეთის გამო გადამტერებული ჰყავდა. ასეთს პირობებში შინაურ ცხოვრების მოწყობაზე ფიქრი ზედ მეტი იყო, მით უმეტეს რომ ამ მხრივაც რუსეთი არავითარ მორალურ დახმარებას არ იძლეოდა.

ამ გარემოებამ ჩააფიქრა ზოგი ქართველი ხელმძღვანელი ჯგუფები. თუ კიდევ 1783 წლამდის მთელი იმედები რუსეთზედ იყო დამყარებული, ეხლა, როდესაც ეს იმედები გაცრუებული აღმოჩნდა, რუსეთთან არსებულ კავშირს თანდათან გაუჩნდა ოპოზიცია, რომელიც ჯერ სუსტი იყო, მაგრამ შემდეგ კი საკმაოდ გაძლიერდა. ოპოზიცია ხედავდა რუსეთის გულგრილობას, რომ პეტერბურგის მთავრობას მხოლოდ მაშინ მოაგონდებოდა საქართველო, როდესაც კასპიის ზღვაზე ბატონობის საკითხი წინ წამოდგებოდა და ამიტომ

არჩევდა მეზობელ მაჰმადიან ქვეყნებთან და უპირველეს ყოვლისა ოსმალეთსა და სპარსეთთან კავშირის დაჭერით დამოუკიდებელ გზაზედ სვლას.

ამავე დროს მეორე უფრო ძლიერი ჯგუფი, ქვეყნის მოუწყობლობისა და არევ-დარევისა გამო ერთად ერთს გამოსავალს ისევ რუსეთთან მჭიდრო კავშირის დაჭერაში ხედავდა და მისგან მოელოდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის ხსნას. ამ, ასე ვსთქვათ, რუსოფილურ ჯგუფს ეკუთვნოდენ გარსევან ჭავჭავაძე, ელჩად გაგზავნილი რუსეთს, მისი სიმამრი ქაიხოსრო ავალიშვილი, ალ. მაყაშვილი, ასლან ორბელიანი, რევაზ ანდრონიკაშვილი, ქსნის ერისთვიანნი, გოგია ციციშვილი (სიმამრი ბატონიშვილის გიორგისა), რომელსაც წინად ღალატისათვის ყურები ჰქონდა დაჭრილი, არქიმანდრიტი ეფთიმე, ფრიად მოქმედი პირი, და სხ. ზოგი ამ ჯგუფისა იყო მომხრე რუსეთთან კავშირისა 1783 წლის ტრაქტატის ფარგლებში, ზოგი კიდევ, როგორც, მაგალითად, ქსნის ერისთვიანნი, პირადი შურის ძიებისა გამო წინააღმდეგი არ იქნებოდენ მთლად მეფობის მოსპობისაც. ამავე რუსის მომხრე ჯგუფში მოყვენ გავლენიანი სომხის თავადებიც განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც რუსეთმა სცადა აზერბეიჯანის სახანოებში მოსახლე სომხობის საკითხის წამოყენება, ხოლო ეკატერინე II-ს და გრ. პოტემკინს აზიაში ქრისტიან სახელმწიფოს დაარსების აზრი მოუვიდათ. მართალია, ეს აზრი მალე მოტოვებულ იქმნა, მაგრამ ეჩმიაძინის სასულიერო წრეებსა აგრეთვე ყარაბაღისა და სხვა მელიქებში ის რწმენა განმტკიცდა, რომ სომხის ერის მხსნელი მხოლოდ რუსეთი შეიძლებოდა ყოფილიყო. ამას თავისი გავლენა ჰქონდა ტფილისის სომხობაზედაც და ამით აიხსნება, რომ რუსეთისადმი—დიდმა სიმპატიამ ჰპოვა მათში სწრაფი ზრდა და განთარება. სამეფოს შინაური და გარეგანი სისუსტე კიდევ უფრო აძლიერებდა იმ აზრს, რომ ძლიერი რუსეთი იხსნიდა ქრისტიანობას მაჰმადიანთა მძლავრობისაგან. ნაგულისხმევ ჯგუფს სომეხთაგან ეკუთვნოდენ: მისკარბაში იოსებ ბებუთაშვილი, ქალ. ტფილისის მელიქი დარჩია ბებუთაშვილი, სულხან, მისი ძმა მანუჩარ და შვილი შიოშ თუმანიშვილები, სოლომან არღუთაშვილი, იოსებ და ავეტიქა შალბათაშვილები და მილახვარი იოსებ ყორღანაშვილი, ფავორიტი დარეჯან დედოფლისა და მისი საქმეების მოურავი. ამ პირთ მალე მოიპოვეს პირველი ადგილი რუსეთის მომხრე ჯგუფში, იოსებ ბებუთაშვილის სახლი გარდაიქცა მათ ცენტრად, სადაც იკრიბებოდა ყველა ამ წრის და ზრახვების ხალხი. წრის სათავეში მდგომ პირთ მუდმივი კავშირი ჰქონდათ რუსეთში მყოფ სომეხ მთავარ-ეპისკოპოზ იოსებ არღუთაშვილთან, ამავე რუსეთის მომხრე ჯგუფს თავისი მდგომარეობით დიდი გავლენა ჰქონდა სამეფო კარზედ

და სახელმწიფო საქმეებზედაც. აქ იყო გადამბული ერთმანეთთან ფრიად რთული ქსელი იდეურ მიდრეკილებისა და შურიანობისა, ინტრიგებისა და პირადი უკმაყოფილებისა, მაგრამ ყველაფერს ამას აერთებდა ერთი ხაზი რუსეთისადმი მიდრეკილებისა. ოპოზიციაც არ იჯდა გულზე ხელ-დაკრეფილი და მედგრად მოქმედებდა. მის სათავეში იდგა სოლომონ ლიონიძე, მსაჯულთ-უხუცესი და მდივან-ბეგი, ვიცე-კანცლერად წოდებული. მასვე მხარს უჭერდა სარდალ-სახლთუხუცესი დავით ორბელიანი, სიძე ერეკლე მეფისა, მხნე, მამაცი და გონიერი კაცი.

ასეთი იყო მდგომარეობა, როდესაც სპარსეთში თანდათან იწყო გაძლიერება აღა-მაჰმად-ხან ყაჯარმა, რომელმაც 1785 წ. დაიპყრა თეირანი, შემდეგ წლებში სძლია ჯაფარ-ხანს ზანდს, დაიპყრა ირაყი, აქედან მოვიდა აზერბეიჯანს 1791 წ. და დაუწყო ლაპარაკი ერეკლეს მეგობრობის შესახებ.

აღა-მაჰმად-ხანის გამძლავრება სპარსეთში საბოლოოდ გამორკვეული იყო. და ამიტომ საკითხი სპარსეთთან ურთი-ერთობის შესახებ გადაჭრით უნდა გადაწყვეტილიყო. ცხადი იყო, რომ სპარსეთი მოითხოვდა რუსეთთან კავშირის გაწყვეტას და ირანსა და საქართველოს შორის არსებულ წინანდელ დამოკიდებულების აღდგენას. სოლომონ ლიონიძე და მისი ჯგუფი მომხრე იყო სპარსეთთან მეგობრულ ურთიერთობის დაჭერისა, თუნდაც ამისათვის საჭირო ყოფილიყო რუსეთთან კავშირის გაწყვეტა, მით უმეტეს, რომ რუსის მთავრობა არ ასრულებდა ტრაქტატით თავის თავზედ მიღებულ ვალდებულებას. მაგრამ ამ აზრმა ვერ გაიმარჯვა, რადგან რუსეთის მომხრე ჯგუფი დიდის ძალის და გავლენის მქონე იყო. ამიტომ ამ დროს უკვე მტკიცედ გარდაწყვეტილი იყო რუსეთთან ერთგულობით ყოფნა, და აღამაჰმად-ხანისათვის წინააღმდეგობის გაწევა, თუ ის საქართველოს დამორჩილებას ძალით განიზრახავდა. ერეკლე მეფემ მაშინვე აცნობა რუსის მთავრობას საქმის მდგომარეობა და სთხოვა ტრაქტატით აღთქმული ორი ბატალიონის გამოგზავნა. მაგრამ ამ შუამდგომლობიდან არა გამოვიდა რა. კავკასიის ლინიის უფროსს გენ. გუდოვიჩს პირიქით მისწერეს პეტერბურგიდან, რომ ჯარის გაგზავნა საქართველოში სასურველად არაა ცნობილიო.

რაც უფრო ირკვეოდა საგარეო მდგომარეობის მოსალოდნელი გართულება, მით უფრო საჭიროდ ხდებოდა შინაურ ძალთა ორგანიზაცია და მისი დარაზმვა გარეთ თუ შიგნით ატეხილ სიძნელეთა გასაძღოლად. ერეკლე მეფის ცდა 70-იან წლებიდან სამეფოს შინაურ წეს-წყობილების გარდაქმნისა და გაუმჯობესების შესახებ განუხორციელებელი დარჩა. საქართველოს არ

ჰყავდა სხვა რომელიმე, გარეშე ფეოდალურ ელემენტებისა, საკმაოდ მომზადებული და ღონიერი წრე, რომელიც შესძლებდა ქვეყნის ცხოვრებისათვის ახალის სულის ჩადგმას და სახელმწიფო აპარატის შესაფერისად მოწყობას. ამიტომაც მეფე იძულებული იყო დაყრდნობოდა ისევ ამ ფეოდალურ ელემენტებს, ან არა და მიეღო სხვა დროებითი და ნაკლებ მავნებელი ზომები ქვეყნის მართველობის მოსაწყობად. რაკი მთლიან და ერთიან მართვა-გამგეობის მოწყობა შეუძლებელი შეიქმნა, ამიტომ მეფემ ისევ არჩია ძველი, ფეოდალების ბატონობის დროს ნაცადი გზა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ეხლა სამეფო სახლის წევრების მართველობაში ჩაბმით შექმნილიყო მეტი გარანტია მთლიან სახელმწიფოს ინტერესების დაცვისა. ჯერ კიდევ 1777 წ. ქსნის საერისთო გადაეცა ტახტის მემკვიდრეს გიორგი ბატონიშვილს, რომელსაც ჰქონდა აგრეთვე თიანეთი, აღჯაყალა და ლორე-ბამბაკი. ცოტა ხნის შემდეგ არაგვის საერისთოც გარდაეცა მეფის-ძეს ვახტანგს, რომელიც განუსაზღვრელად განაგებდა თავის საპატრონოს საკანონმდებლო უფლების მიღებითაც. დროთა განმავლობაში მეფის ძეთა მნიშვნელობა სამეფოს მართვა-გამგეობის საქმეში თანდათან იზრდებოდა. არსებულ პირობებში ეს იყო ერთად-ერთი საშუალება სამეფოს სხვა-და-სხვა კუთხეში ადგილობრივ საქმეების მოწესრიგებისა. მეფის ძეთა ამ მნიშვნელობის გაზრდით სამეფოს მართველობის საქმეში, უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ერეკლე, დედოფალ დარეჯანის და ბატონიშვილების მოთხოვნით, იძულებული გახდა 1791 წ. შეეცვალა არსებული წესი ტახტის მემკვიდრეობისა. თანახმად ამ წელს გამოცემულ განწესებისა სამეფო ტახტი ამიერიდგან უნდა გადასულიყო რიგ-რიგობით მეფის შვილებზე და მათ შთამომავლობაზედ, ე. ი. უფროსზე გვარში. ამ განწესებას მოყვა საუფლიწულოების მიჩენა მეფის ძეთათვის (1792 წ.). ტახტის მემკვიდრეს გიორგის შვილებითურთ მიეცა 4,000 კომლი, ხოლო დანარჩენ ხუთ შვილს (იულონს, ვახტანგს, მირიანს, ფარნაოზს და ალექსანდრეს) თითოს ათას-ათასი კომლი ქართლსა და კახეთში ელებითურთ. მეფის-ძე გიორგი ამ დროიდან განაგებდა კახეთს, იულონი ქართლის დასავლეთ ნაწილს და ქსანს, ვახტანგი ისევ არაგვის საერისთოს. საუფლისწულოების მიცემამ ბატონიშვილები კიდევ უფრო დამოუკიდებელნი გახადა.

ამ გვარად ფაქტიურად სამეფო უბრუნდებოდა უწინდელ ფეოდალურ დროის მართველობის წესს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მეფის-ძენი ბევრად მეტს უპასუხისმგებლო მდგომარეობაში იყვნენ და მეტს დამოუკიდებლობასაც იჩენდნენ, ვიდრე წინანდელი თუნდ არაგვისა და ქსნის ერისთავები.

ეს იყო მართველობის სისტემაში სრული რეაქციის გაბატონება და ქვეყნის ძალების კვლავინდებურად დაქსაქსვა. რეაქცია შიგნით მართველობაში, ხოლო საგარეო პოლიტიკაში კვლავინდებურად რუსეთის ორიენტეციის გზაზედ სვლა, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი არავითარ ყურადღებას საქართველოს არ აქცევდა—აი ეს ორი მომენტი ახასიათებდა ქართლ-კახეთის პოლიტიკურ ცხოვრებას 90-იან წლებში. ქვეყნის თანდათან დასუსტებამ, რომელიც აუცილებლად ხთიდა ყოველს შემთხვევაში რუსეთზე დამყარებას, დაასუსტა რუსეთის მოწინააღმდეგე ჯგუფი მართველობაში და სამეფო კარზე. ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ჯგუფი არ შეიძლება ჩაითვალოს სპარსეთის ბატონობის აღდგენის მომხრეთ საქართველოში, მას სურდა მხოლოდ ირანთან და ოსმალეთთან მეგობრული განწყობილების აღდგენით ქვეყნის თავისუფალი განვითარება რამოდენადმე მაინც უზრუნველ ეყო. ზემოთ მოხსენებულ პოლიტიკურ გეზის საბოლოოდ გამორკვევის შემდეგ სარდალ-სახლთ-უხუცესი დავით ორბელიანი იძულებული გახდა თავისი თანამდებობისათვის თავი დაენებებინა, ხოლო მსაჯულთ-უხუცეს სოლომონ ლიონიძეს მაბეზღართა მეოხებით ჩამოერთვა როგორც თანამდებობა, ისე აგრეთვე მამულებიც (1793 წ.)

ასეთ მდგომარეობაში იყო ქართლ-კახეთის სამეფო, როდესაც 1792 წ. აღა-მაჰმად-ხანმა დაიპყრა ირაკი და ქალ. შირაზი, თანდაოან განამტკიცა თავისი ძალა-უფლება ირანის ტერიტორიაზე, ხოლო 1795 წლის დასაწყისს უკვე ფაქტიური მბრძანებელი იყო მთელი სპარსეთისა. საქართველოს მთავრობა ღებულობდა წინასწარ ზომებს და თავისი ელჩის გარსევან ჭავჭავაძის პირით თხოულობდა რუსეთისაგან დახმარებას. 1795 წლ. დასაწყისში გარსევან ჭავჭავაძე განმეორებით აქცევდა რუსის მთავრობის ყურადღებას საქართველოს მდგომარეობაზე და შუამდგომლობდა 6 ან 5 პოლკის გაგზავნას იმ არტილერიით, რომელიც ტრაქტატის შეკვრის დროს აღთქმული ჰქონდა საჩუქრად მეფე ერეკლეს და რომლის ნახევარი აქამდის გადაცემული არ იყო. ამ შუამდგომლობით არაფერი გამოდიოდა. აღა-მაჰმად-ხანმა ამასობაში მოიმარაგა თავის საქმეები სპარსეთში, შეკრიბა 70,000 კაცი და გამოეშურა საქართველოსაკენ. მდ. არეზზე მას შეხვდა ერეკლე მეფის მოხარკე ჯავათ-ხანი განჯისა, რომელმაც ყაენი მიაცილა ყარაბაღში.

ჯავათ-ხანის უკუდგომა საქართველოსაგან აიხსნება, უმთავრესად ერეკლესა და ყარაბაღის, იბრეიმ-ხანს შორის ამ დროს არსებულ კავშირით. ეს კავშირი თავისთავადაც შიშს იწვევდა ჯავათ-ხანში და ამას ზედ დაერთო განჯის სახანოში ლტოლვილ ყარაბაღელ და თვით ადგილობრივ სომეხ მელიქთა აგიტაცია

იბრაიმ-ხანისა და ერეკლე მეფის წინააღმდეგ. იბრაიმ-ხანი თავისი მდგომარეობით იყო მტრულ განწყობილებაში განთავისუფლების მოტრფიალე ყარაბაღელ სომეხ მელიქებთან, რომელნიც ამავე დროს ფრიად უკმაყოფილონი იყვნენ ერეკლე მეფის, წინააღმდეგ სომეხთა ინტერესებისა, ყარაბაღის ხანთან დაკავშირებით. ხოლო ეს დაკავშირება ქართლ-კახეთისათვის აუცილებელი იყო განჯისა და რამოდენადმე ერევნის სახანოს შესამომტკიცებლად და საზოგადოდ აზერბეიჯანის ხანებ შორის სწორ-წონაობის დასაცავად. სახანოების გავლენიან სომხებში საზოგადოდ ის აზრი იყო გავრცელებული, რომ ერეკლე სომხობის წინააღმდეგია, რომ ის მომხრეა მათი რუსეთში გადასახლებისაც კი. განსაკუთრებით მელიქი მეჯლუმი აქეზებდა ჯავათ-ხანს განჯისას ერეკლეს წინააღმდეგ და მარადის უჩვენებდა მას ტფილისიდან მის თავზე მოსალოდნელ განსაცდელზედ.

ყარაბაღელ მელიქთა და საზოგადოდ აზერბეიჯანის სომხობის ერეკლე მეფის წინააღმდეგ აზროვნებას მნიშვნელობა ჰქონდა რამოდენადმე ტფილისის გავლენიან სომხებზედაც. რუსეთზე გაზვიადებულ იმედების დამყარებას ამ უკანასკნელ წრეებში ზედ დაერთო—აზერბეიჯანის სომხობის უკმაყოფილება მეფე ერეკლეს პოლიტიკით. ამით აიხნება, რომ ტფილისის სომხობის გავლენიანი წრეები გულ-გრილად შეხვდენ აღა-მაჰმად-ხანის შემოსევას და ზოგი მათგანი პირიქით ტფილისის დაცვის ინტერესების წინააღმდეგაც მოქმედებდა.

მდ. არეზზე გადმოსვლისას აღა-მაჰმად-ხანი გაემართა იბრეიმ-ხანის წინააღმდეგ და ალყა შემოარტყა შუშას. აზერბეიჯანის დანარჩენ ხანებმა კი ირანის ახალ მბრძანებელს მორჩილება გამოუცხადეს. შუშა ფრიად გამაგრებული აღმოჩნდა და რადგანაც მისი აღება არ მოხერხდა, ამიტომ როდესაც ქართლ-კახეთის ჯარმა მეფის-ძეთა იულონის და ალექსანდრეს წინამძღოლობით ღალატისათვის განჯის სახანო მოარბიეს, აღა-მაჰმად-ხანი მთავარი თავისი ძალებით დაიძრა საქართველოსაკენ. წინასწარი მოლაპარაკება ერეკლესთან დამორჩილებისა და რუსეთთან კავშირის გაწყვეტის შესახებ უშედეგოდ ჩატარდა. ყაზახში აღსტაფაზედ აღა-მაჰმად-ხანმა დასტოვა თავისი ბანაკი და ჯარის ნაწილი, ხოლო თითონ 35 ათასი მსუბუქი ჯარით უარტილერიოდ (ჰქონდა მხოლოდ ზამბურაკები) გამოემართა ტფილისისაკენ.

საქართველოს მთავრობა უკვე კარგახანია მზადებაში იყო. ჯარის მოსაწვევად წინდაწინვე ზომები იყო მიღებული. ვარაუდით ნაანგარიშევი იყო ქართლ-კახეთიდან 36 ათასი კაცი, ყაზახ-ბორჩალო და შამშადილიდან 10 ათასი;

იმერეთიდან ამდენივე და გარდა ამისა მოსალოდნელი იყო დიდი ჯარის მოსვლა დაღისტანიდან, რომლის თავ-კაცებთან ამის შესახებ წინდაწინვე მოლაპარაკება იყო გამართული. აგვისტოს ბოლო რიცხვებში ტფილისში შეიკრიბა მხოლოდ 4 ათასი კაცი და სამი ათასიც მოიყვანა იმერეთის მეფე სოლომონ II-მ. დანარჩენ ჯარების შეკრების მოლოდინში, მეფე ამ 7 ათასი კაცით წავიდა ყაზახში აღა-მაჰმად-ხანის შესახვედრად. ერეკლე მოერიდა მტრის მთავარ ძალასთან შებრძოლებას და უკან წამოვიდა ტფილისისაკენ, რომლის მიახლოებისას მას მოახსენეს მოულოდნელი და იმავე დროს საშინელი ცნობა: ტფილისში არავითარი ჯარი არ არისო. ამას თან დაერთო კიდევ შემდეგი: სოღანლუღში დაბანაკების შემდეგ ქიზიყის მოურავმა ზაქარია ანდრონიკაშვილმა, მეფის სიძემ, არსებულ ჯარიდან გააპარა კახეთში 2 ათასი ქიზიყელი, ვითომდა მეფის-ძის გიორგის დასაცავად. დარჩა მეფე ერეკლე 2 ათასი ქართლ-კახეთის და 3 ათასი იმერეთის ჯარით. საჩქაროდ ბრძანება იქმნა გაცემული ქალაქის აყრისა და გახიზვნის შესახებ, მაგრამ ამისი მოსწრება დროს უქონლობისა გამო, რასაკვირველია, შეუძლებელი აღმოჩნდა. 5 ათასი კაციდან ათასი იმერელი მეფემ გაგზავნა ქალაქის პირს, თითონ კი თავისი შვილი-შვილით სოლომონითურთ შეხვდა აღა-მაჰმად-ხანის მოწინავე ჯარს სოღანლუღის ვიწროებში 10 სექტემბერს და დაამარცხა ის. ღამით მეფე სოლომონ თავისი დანარჩენ ორი ათასი კაცით გამოგზავნილ იქმნა ქალაქში, სადაც ის დადგა აბანოს კარებთან. მეორე დღეს ჯარი განაწილებული იყო შემდეგ ნაირად: მოწინავედ კრწანისის ველზედ მეფე ერეკლე $1\frac{1}{2}$ ათასი კაცით, ათასი იმერელი იდგა ქალაქის პირს და მეფე სოლომონ 2 ათასი კაცით ქალაქში აბანოს კარებთან, ხოლო კოჯრის მთის გზას იცავდა ბატონიშვილი დავითი 4 ზარბაზნით და ოთხასი კაცით: თვით ტფილისის ციხე კი გამაგრებული იყო 16 ზარბაზნით. მეფეს განზრახვა ჰქონდა, თუ აღა-მაჰმად-ხანი შეტევას განიმეორებდა, ქალაქში გამაგრებულიყო. ჯარის ასეთი განაწილება აიხსნება იმ გარემოებით, რომ სარწმუნო ცნობებით, რომელსაც მტრის ბანაკიდან აწვდიდენ მეფეს აზერბეიჯანის ხანები, აღა-მაჰმად-ხანი, პირველი დღის სასტიკი ბრძოლის შედეგით დაშინებული, აპირებდა აყრას და უკანვე გაბრუნებას. რასაკვირველია, ირაკლი, როგორც ნადირ-შაჰის გაზრდილი,—აგრეთვე პირადი სამხედრო ავტორიტეტი, დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მტერზედ. მაგრამ წინა ღამით არტემ არარატიანისა და სხვა სომხების მიერ ტფილისიდან გაპარულ პატიმრად მყოფმა სპარსელ ელჩმა დაარწმუნა ყაენი ერეკლე მეფის სისუსტეში. ამიტომ დილას, 11 სექტემბერს აღა-მაჰმად-ხანმა გამოიცვალა თავისი გარდაწყვეტილება,

ხუთი ათასი კაცი გაგზავნა ტფილისზე უკან მოსავლელად, თითონ კი მთავარი ძალით გადავიდა შეტევაზედ. როდესაც უკან მოსავლელად დანიშნული სპარსელების ჯარი ავიდა მთებზე და გადმოადგა ციხის ზარბაზნებს, ქალაქის პირას მდგომ ათას იმერელთ თავზარი დაეცათ. მეფე ერეკლე გამომწყვდეული ეგონათ და საჩქაროდ ქალაქისაკენ წამოვიდენ. ქალაქში მყოფ მეფე სოლომონმა ეს რომ დაინახა, საქმე წაგებულად ჩასთვალა. ასტყდა პანიკა და იმერეთის ჯარი დაიძრა ტფილისიდან. გზა-გზა თვით ქალაქში და ქალაქიდან მოდენილ მოქალაქეთ იმერთ რბევა დაუწყეს. კოჯორის გზაზე მდგარი ბატონიშვილი დავითი, ამისი შემხედარე, იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი პოზიცია, ზარბაზნები ხევში გადაჰყარა, თითონ კი თავისი რაზმით ვერაზე გადაიარა და კახეთისაკენ წავიდა. ამასობაში მთავარ ძალებმა აღა-მაჰმად-ხანისამ შეუტიეს კრწანისის ველზე მეფე ერეკლეს, რომელმაც ბრძოლის შემდეგ უკან დახევა და ქალაქში გამაგრება არჩია. ამ დროს სპარსთა ჯარი ზევით უკვე ციხის ზარბაზნებს ეპატრონებოდა. მეფემ სასტიკი ბრძოლით ქალაქის კარებს უკვე მიაღწია, როდესაც მაღლობიდან ჩამოეშვა ახალი, ათასი კაცისაგან შემდგარი სპარსელების რაზმი, რომელიც ქართველებისათვის გზის მოჭრას ლამობდა. გახურდა ბრძოლა, მოხუცებული ერეკლე მეფე თვით შეიჭრა სპარსთა შუაგულ რაზმში. მოსალოდნელი იყო მისი მტრის მიერ ტყვედ შეპყრობაც, მაგრამ ამ დროს ბატონიშვილი იოანე, მაჩაბელი დავით, ჯანდიერ ჯანდიერიშვილი და სხვანი რჩეული ცხენოსნებით გადაეშვენ სპარსელებში და იხსნეს მეფე ტყვეობისაგან. ულონო ქმნილი ერეკლე, ვახტანგ და იოანე ბატონიშვილთა, ივანე მუხრან-ბატონისა, ზაქარია ანდრონიკაშვილის და სულ სამასი შერჩენილ ქართველი და თათარი ჯარისკაცის თანხლებით გავიდა ავლაბრის ხიდზე და გაეშურა საგურამოსაკენ, ხოლო იქიდან მთიულეთს.

ქალაქი ტფილისი აღებულ იქმნა. რვა დღის განმავლობაში ქალაქი განიცთიდა ხოცვა-ჟლეტის, დაწვა-განადგურების და ცარცვა-გლეჯის საშინელებას. მეფის სასახლე, თოფხანა და აბანოები მთლად დაანგრიეს. ასეთივე ბედი ეწვია მთელი ქალაქის შენებულობას. აღა-მაჰმად-ხანმა და მისმა ჯარმა აიღო აუარებელი სიმდიდრე, განსაკუთრებით მეფის სასახლეში, რომლიდანაც ვერაფრის გადახიზვნა ვერ მოასწრეს. ყაენი ამით არ დაკმაყოფილდა და გაუშვა თარეშად 8 ათას კაცისაგან შემდგარი რაზმი მთიულეთისა და გორისაკენ, რომელმაც ააოხრა ქვეყანა და თან წამოასხა აუარებელი ნადავლი და მრავალი ტყვე.

აღა-მაჰმად-ხანმა ეხლაც სცადა მეფე ერეკლესთან მორიგება და წინადადება მისცა დაზავების შესახებ, მორჩილების აღიარებისა და ამის ნიშნად

ერთ-ერთ ბატონიშვილის მძევლად მოცემის პირობით. თავი კაცნი მომხრე იყვნენ მორიგებისა და მეფემაც გაგზავნა მოსალაპარაკებლად სუფრაჯი ქაიხოსრო ავალიშვილი (16 სექტემბერს). მაგრამ ამ მოლაპარაკებიდან არა გამოვიდა რა, რადგან ბოლოს და ბოლოს მეფე ვერ ენდო აღა-მაჰმად-ხანს.

უკვე 20 სექტემბერს აღა-მაჰმად-ხანი აიყარა ტფილისსა და სოლანლუღიდან და გაბრუნდა უკან. მის ჯარს თან მიჰყავდა 30,000-მდის ტყვე და მიჰქონდა აუარებელი ნადავლი. ასეთი გაჩქარებითი წასვლა აღა-მაჰმად-ხანისა, ცხადი მაჩვენებელი იყო იმისა, რომ სპარსეთს უკვე არ შეეძლო ფეხის მოკიდება საქართველოში. არსებითად ამ გვარად ქართლ-კახეთის დამორჩილების საკითხში აღა-მაჰმად-ხანმა ვერაფერს მიაღწია. ამისი მიზეზი იყო ცხადია სისუსტე თვით სპარსეთისა, რომლის ძალა უკვე მოდუნებული იყო და აღა-მაჰმად-ხანის პირადი ენერგიაც კი უძლური იყო ამ ძალის განსაცხოველებლად.

1795 წლის სექტემბრის კატასტროფამ ცხად ჰყო ქართლ-კახეთის სამეფოს ორგანიული ნაკლულევანებანი. სამეფოს მართველობის სისტემა იმდენად მოუწყობელი და უვარგისი გამოდგა, რომ თვით ასეთს დიად საფრთხის დროს შეუძლებელი გახდა არსებულ ძალთა იმოდენად დარაზმვა, რომ ქვეყანას ასეთი უბედურება—თავს არ დასტყდომოდა. ისიც უნდა ითქვას, რომ აღა-მაჰმად-ხანს არც იმდენი ძალა ჰქონდა, რომ მისი მოგერიება შეუძლებელი ყოფილიყო. 35 ათას კაცს უარტილერიოდ ძლიერ გაუჭირდებოდა ქალაქ ტფილისის მოკლე დროში აღება, ხანგრძლივ ბრძოლას კიდევ აღამაჰ-მად-ხანი, დაშორებული თავის ქვეყანას, რომლის შემომტკიცების საქმე ჯერ არც თუ სრულიად დამთავრებული იყო, რასაკვირველია, ვერ შესძლებდა. ამით აიხსნება, რომ აღა-მაჰმად-ხანის შემოსევამ მიიღო ხასიათი ერთი დიდი თარეშისა, რომლის დამთავრების შემდეგ სპარსელები იძულებული გახდენ უკან წასულიყვენ.

აღა-მაჰმად-ხანის შემოსევამ დაამტკიცა, რომ ფეოდალურ დროინდელი წესი ქვეყნის მართვა-გამგეობისა უკვე შეუძლებლად ხთიდა სამეფოს დაცვას გარეშე მტრებისაგან. სათანადო ცენტრალურ აპარატისა და ერთიან მართველობითი გარკვეული ხაზის უქონლობა ქმნიდა სრულ უპასუხისმგებლობას ცალკე კუთხეებში ფეხ-მოკიდებულ ბატონიშვილებისა და მათის მიხედვით აგრეთვე სხვა დიდი კაცებისას. ამიტომ ინტრიგებსა და პირად ანგარიშებს ან და რაიმე შემთხვევითი მიზეზს დიდი გავლენა ჰქონდა სახელმწიფო ხასიათის საქმის მსვლელობაზედ. თვით ასეთ განსაცდელის დროს ბატონიშვილი იულონი, მაგ., არც კი დაძრულა დასავლეთ ქართლიდან, — არც ჯარი გამოუგზავნია. ტახტის მემკვიდრე გიორგიც თელავში იყო, ჯარის შესაკრებად არავითარ

ზომებს არ ღებულობდა, და როდესაც მეფე ერეკლეს რაზმი კრწანისის ველზე სისხლისაგან იცლებოდა, ის არხეინად თავის სასახლეში განისვენებდა. იოანე ბატონიშვილმა, რომელსაც ამ დროს ქსანი ეჭირა, მხოლოდ 50 კაცი მოიყვანა. არაგვიდან ვახტანგ ბატონიშვილს მხოლოდ 300 კაცი მოყვა. ივანე მუხრან-ბატონს 60 კაცი ახლდა. ქიზიყში დიდი ჯარი (ვითომ 9 ათასამდის) შეყრილიყო, მაგრამ შემდეგ დაშლილიყო, და ქიზიყის მოურავს ზაქარია ანდრონიკაშვილს მეფესთან მხოლოდ 2 ათასი კაცი მოეყვანა. ეს ჯარიც მან ბრძოლის წინა ღამეს სოღანლუღიდან კახეთს გააპარა. სახელმწიფოებრივ ცხოვრების მოუწყობლობით აიხსნება, რომ ასეთ ბოროტ-მოქმედებებთან ბრძოლაც კი შეუძლებელი იყო და ქვეყანა თანდათან უფსკრულისაკენ მიექანებოდა.

აღა-მაჰმად-ხანის შემოსევამ მთლათ დასცა რაიმე კეთილ-დღეობის ნასახი ქართლ-კახეთში. ქალაქი ტფილისი ხომ მთლად აოხრდა, მაგრამ სხვა კუთხეებიც ძალიან დაზარალდენ. აუარებელი ხალხი დაიხოცა და ტყვედ იქმნა წაყვანილი. ქვეყნის აოხრებას თან მოჰყვა შინაურ ცხოვრებაში კრიზისის გაძლიერება. სახელმწიფოს ფინანსიური მდგომარეობაც სულ შეირყა. ხაზინის შემოსავალმა ძლიერ დაიკლო. განჯა-ერევნიდან ყოველ წლიური ხარკი 40 ათასი მან. არ შემოდიოდა, ქალაქ ტფილისის საბაჟოები არ მოქმედებდენ, ხალხისაგან გადასახადების წესიერად მოკრება გაძნელდა. ქვეყნის სიცოცხლის მაჯის ცემა შესუსტდა. საერთო კრიზის თან მოჰყვა სიმშილი და სხვადა-სხვა გადამდებ ავადმყოფობის გაჩენა. 1797 წ. გაჩნდა ჟამიც, რომელმაც მრავალი სული იმსხვერპლა. ყველა ამით აიხსნება, რომ მცხოვრებთა რიცხვმა სამეფოში ძლიერ იკლო და თუ აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლის წინ მთელს ქართლ-კახეთში 60—61ათასი კომლი ირიცხებოდა, 1800 წ. მხოლოდ 40 ათასი კომლი იყო.

ქვეყანა სწორედ რომ სასოწარკვეთილ მდგომარეობაში იყო და დიდ გაჭირვებას განიცდიდა. ასეთ შემთხვევაში მას ვერ უშველიდა ის ორი ბატალიონიც, რომლის გამოგზავნა, თანახმად ტრაქტატისა, რუსის მთავრობამ ბოლოს და ბოლოს გარდასწყვიტა. ჯერ კიდევ 4 სექტემბერს 1795 წ., როდესაც აღა-მაჰმად-ხანი ტფილისისაკენ მოდიოდა, იმპერატრიცა ეკატერინე II-მ უბრძანა კავკასიის ლინიის უფროს—ტრაქტატით განსაზღვრულ ჯარის ტფილისს გაგზავნა. თუმცა დაგვიანებით, გარს. ჭავჭავაძემ ამნაირად მაინც მოახერხა რუსეთის მთავრობის მიერ თავის თავზე მიღებულ ვალდებულების გატარება.

დეკემბერში 1795 წ. ტფილისში მოვიდა ორი ათასი რუსის ჯარი, მაგრამ ეს ძალა სრულიადაც არ კმაროდა აოხრებულ და განადგურებულ ქვეყნის საჭიროებისათვის. 8 იანვარს 1796 წ. ერეკლე მეფე აუწყებდა რუსის მთავრობას, რომ აღა-მაჰმად-ხანის საშიშროება ჯერ კიდევ რეალურად არსებობს, რომ საქართველოს ამაოხრებელი მუღანის ველზე დგას ჯარით და მისი შეჩერება იმ შემთხვევაში, თუ ის მოინდომებს კვლავ ტფილისისკენ წამოსვლას, ამ მცირე ძალით შეუძლებელი იქნება. ერეკლე თხოულობდა კიდევ 8 ათასი კაცის გამოგზავნას, რათა მას შესძლებოდა ბამბაკისა, ყაზახისა და ბორჩალოს შენარჩუნება, რომელნიც აღა-მაჰმად-ხანს ერევნის ხანისთვის ეწყალობებინა, და აგრეთვე განჯისა და ერევნის სახანოების კვლავ დამორჩილებას გარდა ამისა საქართველოს დესპანი პეტერბურგს გაოს. ჭავჭავაძე თხოულობდა ერეკლე მეფისათვის ერთი მილიონი მანეთის სესხად მიცემას ნაწილ-ნაწილად გარდახდის უფლებით.

მეფის იმედი ეხლა მთლად რუსეთის დახმარებაზედ იყო. აოხრებულ ქვეყანას დაშოშმინება ეჭირვებოდა. შიგნით სამეფოში კიდევ ღელავდენ სხვა-და-სხვა ჯგუფები. რუსეთის მოწინააღმდეგე მცირე ჯგუფი, ტფილისის კატასტროფის შემდეგ კვლავ ამოძრავდა და ეხლა პირადად ერეკლეზედ გადაიტანა თავისი უკმაყოფილება. შესდგა კიდეც შეთქმულება, რომელშიაც სოლომონ ლიონიძე ღებულობდა მონაწილეობას, რომლის მიზანი იყო ერეკლეს იძულებით ტახტიდან გადაყენება და მის მაგივრად ტახტის მემკვიდრის გიორგის მეფედ გამოცხადება. ამ შეთქმულებიდან არა გამოვიდა რა, რადგან გიორგი ბატონიშვილი რუსეთის გარეშე საერთო პოლიტიკის საწარმოებლად არ გამოდგებოდა, თუმცა შეთქმულება გამოაშკარავდა მაგრამ მალე ჩააფუჩეჩეს. დრო არ იყო ეხლა ასეთ საქმეების გამოკიდებისა. ერეკლემ პირიქით მორიგებით უთანხმოების გათავება ამჯობინა, პატივი დასდვა ლიონიძის წმიდა და პატრიოტულ ზრახვათ, დაუბრუნა მას თავადობის ხარისხი და ისევ დაიახლოვა.

ტფილისის აოხრების ამბავმა პეტერბურგის მთავრობაზედაც იქონია გავლენა, და რუსის მთავრობა შეუდგა მზადებას სპარსეთის დასასჯელად. პეტერბურგში ამ დროს კვლავ გაიღვიძა დიდმა პროექტებმა კასპიის ზღვის და სპარსეთის დაპყრობისა და შემდეგ ინდოეთისაკენ გზის გაკაფვის შესახებ. მარტს 1797 წ. გამოვიდა მანიფესტი აღა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ ომის გამოცხადების შესახებ სპარსეთისა. და საქართველოსკენ დაიძრა 30,000 რუსის ჯარი ვალ. ზუბოვის სარდლობით. რუსების მიერ აქტიურ მოქმედე-

ბის მოლოდინში ქართლ-კახეთის მისუსტებული ძალაც ამოძრავდა. ბატონიშვილებმა ალექსანდრემ და დავით ყარაბაღელ იბრეიმ-ხანთან ერთად გაილაშქრეს განჯაზედ, დაიჭირეს ქალაქი და ალყა შემოარტყეს ციხეს, რომელიც აღებულ იქმნა მაისში, როდესაც თვით მეფე ერეკლე შევიდა ჯარში. ჯევათ-ხანი იძულებული გახდა მასთან მყოფი ტფილისიდან წაყვანილი ტყვე ათასამდის სული გაენთავისუფლებინა და კვლავ ეკისრა მეფისათვის ხარკის ძლევა.

ამ დროს რუსის ჯარი მოადგა კასპიის ზღვის სანაპიროებს და დაიჭირა დარუბანდი, შამახა, ბაქო და სალიანი. აღა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ იშლებოდა ახალი პერსპექტივები, რომელიც ერეკლე მეფისათვისაც ფრიად სახარბიელო იყო, რადგან განზრახული იყო ზოგიერთ ზომების მიღება საქართველოს განსაძლიერებლად, მაგ., ერევნისა და განჯის სახანოების მთლად მასთან შემოერთება. მაგრამ 6 ნოემბერს 1796 წ. გარდაიცვალა ეკატერინე II, ყველა დიდ პროექტებმა, სპარსეთისა და ინდოეთის შესახებ, ჩაილულის წყალი დალია და რუსის ჯარსაც ებრძანა უკან დასაბრუნებლად მომზადებულიყო. ზაფხულს 1797 წ. მართლაც რუსებმა დასცალეს ყველა დაპყრობილი ადგილები და გავიდენ ქართლ-კახეთიდგანაც.

ქართლ-კახეთის მთავრობა დარწმუნებული იყო, რომ რუსის ჯარის მოსალოდნელ წასვლის შემდეგ მდგომარეობა, რასაკვირველია, უფრო გართულდებოდა. აღა-მაჰმად-ხანი რუსების წასვლას თავის გამარჯვებას აწერდა და გადაჭრით თხოულობდა ერეკლე მეფისაგან მორჩილების გამოცხადებას, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდა ქვეყნის ახალი აოხრებით. ეს იყო მიზეზი, რომ ერეკლე კვლავ მიმართავდა რუსის მთავრობას და სთხოვდა მას თანახმად ხელშეკრულობისა, მფარველობის გაწევას. თავის წერილში იმპერატორ პავლეს სახელზე 16 აპრილს 1797 წ. მეფე შუამდგომლობდა ოთხი ათასი კაცის დატოვებას ორის ან სამი წლის ვადით, ვიდრემდის ქვეყანას ძალა შეემატებოდა. საქართველოს მთავრობა ამასთან სცდილობდა, გარდა სამხედრო ძალისა, ესარგებლა რუსეთის მთავრობის მორალური დახმარებით შინაური ცხოვრების მოსაგვარებლად. 11 ივნისს 1797 წ. გარსევან ჭავჭავაძემ მიართვა იმპერატორ პავლეს მოხსენება, რომელშიდაც მეფის სახელით სთხოვდა მფარველობის გაწევას, საქართველოში თანახმად 1783 წ. ტრაქტატისა ჯარის დატოვებას ხალხის განსამხნევებლად და ადგილობრივ უშიშროებითი ცხოვრების განსამტკიცებლად. აგრეთვე რუსის მთავრობის წარმომადგენელის გაგზავნას ტფილისს, რათა ამით „მისცეთ მეფესა და ერსა მას სჯული ყოვლისა რუსეთისა მმართველობისათვის სახელმწიფოსა მისისა, რათამცა მის

ძლით აღმოიფხვრან რომელნიმე ძველადვე მიფარულნი აზიის უსამართლოებითნი სამართლისა წარმოებანი.“

ეხლა ამგვარად საკითხი დასმული იყო არა მარტო სამხედრო ძალით დახმარების შესახებ, არამედ შინაურ მართველობის ხელმძღვანელობის სახით სახელმწიფოებრივი ცხოვრების ფართო მოწყობაში აქტიურად ჩარევის შესახებ. საქართველოს შინაურმა და საგარეო კრიზისმა ჰპოვა აქ თავისი მკაფიო გამოხატულება. საქართველოს მთავრობა ქვეყნის ხსნას მართვა-გამგეობის ახალს წესზე მოწყობით იმედოვნებდა „ძველადვე მიფარულ აზიის უსამართლოებით სამართლის წარმოების“ მოსასპობად, თუნდაც რომ ამისათვის საჭირო ყოფილიყო უცხო სახელმწიფოს შინაურ საქმეში ჩარევა. რუსის მთავრობა კერძოდ სამხედრო დახმარების შესახებ არავითარ წერილობით პასუხს არ იძლეოდა, მიუხედავად განმეორებითი მოგონებისა საქართველოს დესპანის მიერ. ამასობაში აღა-მაჰმად-ხანმა ტრაგიკულად დაამთავრა თავისი სიცოცხლე. ის მოკლულ იქმნა ყარაბახში 1797 წ. 4 ივნისს, მაგრამ ამ ფაქტს, რასაკვირველია, არ შეიძლებოდა საქართველოს პოლიტიკისათვის გარდამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონოდა. ეს პოლიტიკა მაინც თავის გარკვეულ მიმართულებით მიდიოდა და დაბეჯითებით უარყოფდა რაიმე კავშირის დაჭერას სპარსეთთან. მაგრამ რადგან რუსის მთავრობა ქართლ-კახეთის მთავრობის შუამდგომლობაზე ყურსაც არ იბერტყავდა, ამიტომ გარსევან ჭავჭავაძემ 31 დეკემბერს 1797 წ. გარემოების გამოსარკვევად კვლავ წარადგინა პეტერბურგში წერილობითი მოხსენება. ამ მოხსენებაში ელჩმა პირდაპირ დაუყენა საკითხი იმპერატორ პავლეს: სურს თუ არა რუსეთის იმპერატორს 1783 წ. ტრაქტატით მიღებულ ვალდებულებათა შესრულება. ელჩი ამასთანავე მოახსენებდა იმპერატორს, რომ უკეთუ მეფეს სცოდნოდა რუსეთის მიერ ტრაქტატით აღოქმული დახმარების აუსრულებლობა, თუნდაც ერთი წლის წინად, მაშინ საქართველოს მთავრობა რაიმე სხვა ზომებს მიიღებდაო. ელჩი თხოულობდა ტრაქტატში აღნიშნულ ჯარის (2 ბატალიონის ოთხი ზარბაზნით) გაგზავნას, ან და წინააღმდეგ შემთხვევაში იმის ნებართვას მაინც, რომ საქართველოს მთავრობას თავის საზღვრებში შემოეყვანა დაქირავებული ჩერქეზების ჯარი.

ასეთი იყო ქართლ-კახეთის მდგომარეობა, როდესაც 11 იანვარს 1798 წ. თელავს გარდაიცვალა ღრმად მოხუცებული ერეკლე მეფე, მხნე და გმირი სარდალი, თავ-დადებული მოღვაწე თავისი ქვეყნისა, მთელი თავისი სიცოცხლე მის კეთილ-დღეობისათვის მზრუნავი. მისი დაუშრეტელი ენერგია შინაურ მართველობაში უთანასწორდებოდა. მისსავე შეუდარებელ სამხედრო გმირობას,

ჭკვიანი და გონება-მახვილი მეფე მთელი თავის დროს ანდომებდა ქვეყნის სარგებლობაზედ ზრუნვას. მთელი დღე ერეკლე გართული იყო სახელმწიფო საქმეებით: ღებულობდა ელჩებს, სამეფოს თავ-კაცებს და მთხოვნელებს, გვიან ნაშვალამევდის არჩევდა ქალალდებს და აწერდა რეზოლიუციებს ხშირად სულ მცირე საქმის გამო მორთმეულ არზას. მხოლოდ დღეში სამ ჯერ წირვა-ლოცვისათვის გადადებული დრო და აგრეთვე საკუთრივ სამუშაო ოთახში ხანგრძლივი, ორი საათის განმავლობაში, ლოცვა არღვევდა მეფის გამუდმებულ სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას. ასეთი იყო მისი პირადი ცხოვრება თვით ღრმა სიბერემდის. როგორც პროგრესიულად მოაზროვნე და ევროპიულ წეს-წყობილების დიდათ მოყვარული, ერეკლე გამუდმებით სცდილობდა ქვეყნის შინაურ ცხოვრების ახალ გეზზე მომართვას. ეს იყო მისი უდიდესი იდეალი, რომლის მიღწევა საკუთარი ძალით ქართლ-კახეთისათვის მე-XVIII საუკ. საძნელოდ შექმნილიყო.

საქართველოს გარეშე მტრებთან ერეკლემ გამოიარა მრავალი თვალსა-ჩინო ბრძოლა, რომელთაგან უმეტესი — თითქმის ოცდაათამდის — გათავდა მტრის სრული დამარცხებით. წვრილ-წვრილ თარეშებთან შეტაკება ქართლ-კახეთის ტერიტორიაზე მისი მეფობის დროს ხომ მრავალი იყო. მოთარეშე მტრების წინააღმდეგ ქვეყნის გამაგრებისათვის ზრუნვა გამოიხატა ერეკლეს დროს 160 ახალი გალავანისა და კოშკის გაშენებასა ან ძველის — განახლებაში. თვით მეფის ხაზინის ხარჯით განახლებულ და აშენებულ იქმნა 13 გალავანი და კოშკი, მათ შორის გორისა, თელავისა, სიღნაღისა და სხ.

ერეკლეს მეფობამ დაუტოვა საქართველოს გარდასაწყვეტად ორი დიდი საქმე: მოსეულ მტერთაგან თავისი არსებობის შენარჩუნება და იმავე დროს შინაურ წეს-წყობილების — დროს ახალ მოთხოვნილებათა მიხედვით გარდაქმნა და ამით სახელმწიფოს შინაურ ცხოვრების დალაგება. ამ მიზნის მისაღწევად საქართველო საჭიროებდა გარეშე დახმარებას. გზა დახმარების საძიებელად და მოსაპოებელად უკვე გარკვეული იყო. ერეკლე მეფის ძე გიორგი XIII სცდილობდა უკვე ამ გაკვალულ მიმართულებით სვლას და მით ქვეყნის ხსნას კრიტიკულ მდგომარეობიდან. ეს იყო მიზეზი, რომ გიორგი XIII მტკიცედ ადგა რუსეთის ორიენტაციის გზას და იმედი ჰქონდა, რომ მხოლოდ დიდი რუსეთის იმპერიის დახმარებით შესძლებდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის, თუნდაც განსაზღვრულ და შეკვეცილ ფორმებში, შენარჩუნებას და იმავე დროს ქართველ ერის ახალ ცხოვრებისაკენ წაყვანას. მაგრამ როდესაც რუ-სეთი, შემდეგ დაჟინებით თხოვნისა, ნოემბერს 1799 წ. კვლავ თავისი ჯარის

სახით დაბრუნდა ტფილისში, მან უკვე სამჯობინაროდ დაინახა თვით აღლ ხელში როგორც ქვეყნის გარეშე მტერთაგან დაცვის, ისე აგრეთვე შიგნით მშვიდობიანობის დამყარების და სახელმწიფო წეს-წყობილების გარდაქმნის საქმე. ამისდა მიხედვით, როდესაც 31 დეკემბერს 1800 წ. გარდაიცვალა მეფე გიორგი XIII, აღმოჩნდა, რომ ბაგრატიონების მეფობის ზარი უკვე ჩამორეკილი იყო. რუსის მთავრობამ ტახტზედ ასვლის ნება არ მისცა ტახ-ტის მემკვიდრეს დავით ბატონიშვილს, საქართველო კი ცოტა ხნის შემდეგ რუსეთთან იქმნა შეერთებული და ჩარიცხული უზარმაზარ იმპერიის ერთ-ერთ გუბერნიად.

ა. ხვანიძე.

ვეფხის-ტყაოსნის ისტორიული მხარე.

(ორიოდე შენიშვნა)

1) ვეფხის-ტყაოსნის ისტორიული მნიშვნელობა
2) მისი შეუსწავლელობა
3) ყალბი და ნაშდვილი პრობლემები
4) ისტორიული მხარე
   ა) საქართველო
   ბ) სვარიზმი
   გ) გულანშარო—ვენეცია
   დ) შულაანზან-ზარი—ცრაპიზონი.

ძნელათ მოიპოება მგოსანი, რომელსაც ისეთი დიდი გავლენა მოეპოებიოს მშობელ ერზე, როგორც რუსთველს. ძნელათ მოიპოება ნაწარმოები, რომელიც ვეფხის-ტყაოსანივით ხალხის საუნჯეთ გადაქცეულიყოს. ჩვენ ვერ დავასახელებთ აქ ომიროს ან რუნებერგს, რადგან, ილიადა, ისევე როგორც კალევალა, ხალხის ხელიდან მიიღეს დასახელებულმა ავტორებმა, დაამუშავეს და მასვე დაუბრუნეს უკან. ვეფხის-ტყაოსანი კი პირადი შემოქმედების ნაყოფია. ეჭვს გარეშეა იგი კარის პოეზიის ნიმუშია.

ასეთი ხასიათისა იყო პოეზია საქართველოს მეზობელ ისლამურ ქვეყნებში, ასეთივე იქნებოდა იგი ჩვენშიაც. როგორც კარის პოეტის ნაწარმოები, ვეფხის-ტყაოსანი ვიწრო წრისათვის იყო დანიშნული, მაგრამ მისი პოეზიის მშვენიერებამ, მასში ჩაქსოვილი სიბრძნის პოპულიარობამ, მასში დასახული გმირების ხალხურმა ხასიათმა გადალახა სასახლის წრის ვიწრო ფარგლები, წოდებრივობის ზღუდენი, თვით დრო და სივრცეც და მთელი ერის სამუდამო კუთვნილებათ შეიქმნა. ვეფხის-ტყაოსნის გავლენა იქამდის უწევდა და უწევს, სანამდის უწევს ქართული ენა. ქართული ენის გავლენის საზღვარი მისი გავლენის ერთათ-ერთი საზღვარია. ადვილი გასაგებია, რა უზარმაზარი კულტურული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ერის ისტორიაში ასეთ ნაწარმოებს. ყველამ იცის, როგორი სპეციფიური დაღი დაასვა ებრაელთა ცხოვრებას თორამ, მაჰმადიანებისას—ყორანმა, ქრისტიანებისას—სახარებამ. მათში გამოხატული მსოფლ-მხედველობის თვალით მისჩერებოდენ საუკუნეების განმავლობაში დასახელებული ერები ქვეყნიერებას. მათი იდეალებით საზრდოობენ ისინი რამდენიმეთ დღესაც. ვეფხის-ტყაოსანი არც ერთს დასახელებულ ნაწარმოებს არ დაუვარდებოდა პოპულიარობით. თუმცა იგი სახარების გვერდით არსებობდა, მაგრამ უკანასკნელმა ვერც აღკვეცა და ვერც შეზღუდა მისი უზარმაზარი გავლენა.

ასეთს განძს უკიდურესის მოწიწებით ეპყრობა ყოველი ერი. როგორც კი მისი აზროვნება მოიპოებს თვით-შეგნების უნარს იგი უმალვე შეუდგება მის ყოველ მხრივ შესწავლას. ჩვენ, ქართველებიც, კარგა ხანია შეუდექით ამ საქმეს, მაგრამ გაკეთებით, საუბედუროთ, ძალიან ცოტა რამ გაგვიკეთებია. იმდენათ ცოტა, რომ, თუ სამასლაათო ოპტიმიზმით არ ხართ გაჟღენთილი, გულს შემოგეყრებათ. მართლაც მწერლები-მეცნიერები რამდენიც გინდა გვყავს,

ვეფხის-ტყაოსნის შესახებ კი თითქმის არაფერი არ ვიცით. რომ ჩვენ არც სამოქალაქო ისტორია გვაქვს დამუშავებული და არც სალიტერატურო, ამას კიდევ შეურიგდება რამე გზით კაცი. ამისათვის მოდგმათა მუშაობაა საჭირო. ვეფხის-ტყაოსნის ამა თუ იმ პრობლემის გარჩევისათვის კი არც ისე განსაკუთრებული შრომა და უნარია საჭირო.

ამ ეროვნულ სიამაყის არ ცნობა მაშასადამე ყოვლად მიუტევებელია. ჩვენ დღემდის არ ვიცით: 1) ვინ იყო ვეფხის-ტყაოსნის ავტორი, 2) როდის ცხოვრობდა, ან სად დაიბადა იგი, 3) არ ვიცით დანამდვილებით რა სახისა იყო თავდაპირველათ ეს ნაწარმოები, და რა მოიმატა მან შემდეგში. ამაზე დიდი სიბეჩავე ძნელი წარმოსადგენია. ჩვენ აქ სრულიად არ ვეხებით ნაწარმოების სხვა მხარეებს, რადგან, თუ ქართულმა აზროვნებამ ამ ელემენტარულ კითხვებს ვერ სძლია დღემდის, სხვა პრობლემებისთვის სრულიათ ველარ მოიცლიდა იგი. რამ გამოიწვია ასეთი მდგომარეობა! ქართული აზროვნების მოუმწიფებლობამ, უნიადაგობამ და ზერელეობამ — ეს ცხადია. მაგრამ ერთი რამ გვიშლიდა და გვიშლის კიდევ ხელს. აქაც ისევე, როგორც სხვაგან, ჩვენ გვერდს ვუხვევთ ნამდვილ პრობლემებს, ვქმნით თვითონ ყალბ პრობლემებს და ვალევთ მათ ენერგიას.

ყალბ პრობლემებათ მიგვაჩნია ჩვენ ვეფხის-ტყაოსნის არა ორიგინალობის და სიუჟეტის შესახებ კითხვები. უქმია ის ენერგია, რომელიც მათ გადაჭრაზე, იხარჯება. ჩვენის აზრით ვეფხის-ტყაოსნის პირველი სტრიქონებიდანვე სჩანს ცხადათ, რომ ნაწარმოები არ ეკუთვნის და არც შეიძლება ეკუთვნოდეს არაბულ-სპარსულ ლიტერატურას. პოეტი მოგვითხრობს: „იყო არაბეთს როსტევან **მეფე** ხვთისაგან სვიანი“ და სხვა.

„სხვა ძე არ ესვა მეფესა, მართოდეს მარტო ასული
სოფლისა მსაიმსათობი, მზისაცა დასთა დასული.“

ამიტომ მეფე მიმართავს ვეზირებს წინადადებით:

„მე გარდავსრულვარ სიბერე მჭირს ჭირთა უფრო ძნელია:
დღეს არა ხვალე მოვკვდები, სოფელი ასრე მქმნელია.
რალაა იგი სიცოცხლე, რასაცა ახლავს ბნელია.
ჩემი მზე დავსვათ ხელმწიფეთ, ვისგან მზე საწუნელია“.

არაბებს ისლამის გამეფებამდის არავითარი მეფეები არ ჰყოლიათ. ისლამის გაბატონებისა და არაბეთის გაერთიანების შემდეგ მათ სათავეში „ხალიფები“ უდგნენ, რომელიც წინასწარმეტყველის „მოადგილეებათ“ ითვლებოდენ. ისლამური აზროვნებით ყოვლად წარმოუდგენელი იყო, რომ ხალიფას ადგილი

ქალს დაეჭირა. შემდეგში შიიტურმა დოგმამ გამოიმუშავა ცნება, თითქოს მადლი ღვთისა ნათესაობით გადადიოდა, მაგრამ მიუხედავათ ამისა, არც შიიტებს მოსვლიათ თავში, ხალიფას ადგილას ქალი ეხილათ. საერთოთ თეოკრატიულ სახელმწიფოებში, როგორიც იყო არაბეთი, ქალის მეფობა ყოვლათ დაუშვებელი იყო თუნდა ოცნებაშიაც. უხერხულია აქ სახელმწიფოს ხელმძღვანელის მეფეთ ხმობაც. ვიმეორებთ, მაჰმადიანის ოცნება ესეთს ვერას შეთხზავდა. მაჰმადიანი პოეტი ვერ უწოდებდა აგრეთვე არაბეთის მეფის ვეზირს სოგრატს. იგი ვერ ათქმევინებდა ბაღდადელ ვაჭრებს ავთანდილისთვის: „ჩვენ ვართ — „მაჰმადის რჯულის მჭირავნი აროდეს გვისვამს მაჭარნი.“

მაშასადამე ვეფხის-ტყაოსნის შესავალში მოთავსებული სტროფა

„ესე ამბავი სპარსული ქართულად ნაიარგმანები,
ვით შარგალიტი ობოლი, ხელის-ხელ საგოგმანები,
ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საწოგმანები“...

ინტერპოლიაციათ და ისიც მოუხერხებელ ინტერპოლიაციათ უნდა ჩაითვალოს. მაშასადამე იმაზე თავის მტვრევა, ორიგინალურია თუ არა ვეფხის-ტყაოსანი, ფუჭია.

მეორე ყალბ პრობლემას ჩონჩხის ანუ ფაშალას საკითხი წარმოადგენს. ამბობენ, რომ „Мертвыя Души“-ის ფაბულა პუშკინმა მისცა გოგოლს. ამბობენ, რომ ჰამლეტის სიუჟეტი ძველ დანიურ თქმულებას წარმოადგენს. ამბობენ, რომ ფაუსტის ჩონჩხი გერმანული გადმოცემიდან აიღო გიოტემ. მაგრამ რა გვესაქმება ჩვენ ამასთან! ეს ნაწარმოებები რომ ილლიადას ან ოდისეას ტიპისანი იყვნენ, მაშინ ექნებოდა ფაბულას საკითხს მნიშვნელობა. აქ ფაბულები კი არ იპყრობენ ჩვენს ყურადღებას, არამედ მათი ხელოვნური დამუშავება. ვეფხის-ტყაოსნის ფაბულა ისევე უმნიშვნელოა თავისთავად, როგორც „Мертвыя Души“-სა, მაგრამ დამუშავებაა ორივეგან მაღალ-ხელოვნური. ამითი არიან ორივე ნაწარმოებნი დაუფასებელნი. გარდა ამისა ისიც უნდა ვსთქვათ, რომ არც ფაბულა მიგვაჩნია ჩვენ უცხოურათ. ჩვენ დავინახეთ რა შეუფერებელ ცნობებს იძლევა არაბეთის შესახებ ჩვენი მგოსანი. არაბეთის მეფე, მისი ტახტის მემკვიდრე ქალიშვილი და სხვა. ეს ძალიან ძნელად ეგუება არაბულ ან სპარსულ ფაბულას. ფაბულის საკითხი თუ ვისმეს აინტერესებს იგი ასე გადაწყდება. ჩვენი ნაციონალური რაინდული რომანი შინაარსით ძალიან წააგავს სპარსულ და სხვა აღმოსავლეთის რომანებს. ეს ასეც უნდა ყოფილიყო. არც ერთს კულტურას არ ჰქონია ქართველებზე ისეთი დიდი გავლენა, როგორც აღმოსავლეთურს. დღეს მეოცე საუკუნეში ვცხოვრობთ, მაგრამ ამ ხანგრძლივი ზედგავლენის გამო ჩვენ აღმოსავლეთის ერი ვართ. მიუხედავათ ჩვენი სო-

ციალიზმისა, ფუტურიზმისა და მოდერნიზმისა ჩვენ დღესაც სპარსელებსა და ოსმალებს უფრო ვგევართ ხასიათით, ზნე-ჩვეულებით, სულიერი განწყობილებით, ვიდრე რომელიმე ევროპიულ ერს. სპარსელების და თათრების გავლენა იმდენათ დიდი იყო ჩვენზე, რომ ქრისტიანობამაც ვერ შესძლო დაეხშო სავსებით კარი ზოგიერთ არა ქრისტიანულ რწმენა-შეხედულობისათვის. ყველაზე კარგად ამ ზედგავლენის სიძლიერე ჩვენს ენას ეტყობა, რომელიც სავსეა არაბულ-სპარსულ-თათრული ელემენტებით. რაღა საკვირველია, რომ ქართული ორიგინალური რომანის ფაბულა სპარსულს წააგავდეს.

აქვე უნდა შევეხოთ ერთს ყალბს, მაგრამ გავრცელებულ შეხედულებას. ჩვენში ფიქრობენ თითქოს ვეფხის-ტყაოსანი ბიზანტიური გავლენის ნაყოფი იყოს. ზემოთ მოყვანილი მოსაზრებები საკმაოთ უარყოფენ ამას, მაგრამ შევეხოთ კითხვას სხვა მხრივაც. რა ჰქონდათ თვით ბიზანტიელებს, და რა შეეძლოთ მიეცათ მათ ქართველებისათვის. თავიდანვე უნდა განვაცხადოთ, რომ ბიზანტიაში საერთოთ ისევე არ ჰხარობდა პოეზია, როგორც ჩვენს მეზობელ სომხეთში. ლიტერატურის მხრითაც დაქვეითებულს ქვეყანას წარმოადგენდა იგი რომთან ან ხალიფატთან შედარებით. სახელმწიფოს თანდათანი დაქვეითება, გარეშე საფრთხე, რომელიც მუდამ კარს ადგა მას, განსაკუთრებით კიდევ აღვირ ახსნილი ორტოდოქსიის ბრძოლა შეუზღუდველი ბატონობისათვის, მეტათ ცუდათ იხატებოდა ლიტერატურის მდგომარეობაზედაც. მეშვიდე საუკუნეში ბიზანტია სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებს ახალგაზრდა და მოზარდ ძალასთან—ისლამთან. უკანასკნელი ძალითა გლეჯს მას ყოველ-მხრივ ნაყოფიერ პროვინციებს და თვით იყენებს აქაურ ძალებს. ასეთ პირობებში ლიტერატურისათვის აღარავის სცალოდა რასაკვირველია. მეშვიდე საუკუნე სიბნელის ხანაა ბიზანტიის ლიტერატურის ისტორიაში. მერვე საუკუნე სავსეა საეკლესიო განხეთქილების ნიადაგზე აღმოცენებული ექსცესებით. სახელმწიფო უწყალოთ სდევნის სამღვდელოების იმ ნაწილს, რომელიც არ იზიარებს ლეგალურ თვალსაზრისს ხატების საკითხის შესახებ და მით ლახვარს სცემს სწორეთ იმ წოდებას, რომელიც სულს უდგამდა ლიტერატურას. მეცხრე საუკუნეში, სახელდობრ მაკედონური დინასტიის დროს, ლიტერატურას გამოცოცხლება ეტყობა, მაგრამ ბიზანტიელებს უკვე დაკარგული აქვთ ორიგინალობის ნიჭი. ისინი უმთავრესათ კომპილიატორობაზე ან მასალების მექანიკურ გროვებაზე არიან გადაყოლილნი. ასეთნი არიან პორფოროგენეტი, მეტავრასტი, სუიდასი და სხვა. სტილი, ენა და უნარი წერისა საშუალოზე დაბლა სდგას. შემდეგში ველარც ამ დონეზე მაგრდება ბიზანტიური ლიტერა-

ტურა და კიდევ უფრო ეშვება ძირს. მეთერთმეტე საუკუნის დიდება, მიხეილ პსელლოსი, ბიზანტიელების აზრით უდიდესი ფილოსოფოსი, რიტორი და პოლიჰისტორი, საუკეთესო გამომხატველია ლიტერატურულ დეკადანსისა. ისტორიულ ნაწარმოებებში იგი ტენდეციოზური და მრუდია. პოეზიაში და რიტორიკაში სიტყვა მრავალი და უნაყოფო. მეტაფიზიკაში და ბუნების მეცნიერებაში უნიადაგო. ასეთი იყო ორის სიტყვით ბიზანტიური ლიტერატურის გზა მეთორმეტე საუკუნემდე. ვიმეორებთ, რომ აქაური ლიტერატურა პრაქტიკული ხასიათისა იყო. პოეტური შემოქმედება საერთოთ მივიწყებული იყო. რამდენათაც კი არსებობდა—იგი სხვა დარგებზე კიდევ უფრო დაბლა იდგა. ცხადია, ასეთ პირობებში ქართველ მგოსანს ვერას შესძენდა ბიზანტიური პოეტიური სკოლა. არც რა შეუქმნია მას ისეთი, რაც ოდნავ მაინც უახლოვდებოდეს შემოქმედებით ან ფორმით ჩვენს ვეფხის-ტყაოსანს.

მიუბრუნდეთ ეხლა ჩვენი წერილის პოზიტიურ ნაწილს. ჩვენი მიზანია ერთის მხრივ ორიოდე სიტყვით გავაცნოთ მკითხველს ვეფხის-ტყაოსანში მოხსენებული სამეფონი. ჩვენ აქ არ მოვყვებით, რასაკვირველია, არც არაბეთის და არც ინდოეთის ისტორიის აღწერას. ჩვენ შევეხებით ჯერ იმ სამეფოებს, რომელნიც ნამდვილი სახელებით არიან ვეფხის-ტყაოსანში მოხსენებულნი, მაგრამ ნაკლებ არიან ქართულ ლიტერატურაში ცნობილნი. ასეთნი არიან ხატავეთი, ხვარიზმი. შემდეგ ჩვენ შევეხებით იმ სამეფოებს, რომელნიც თხზულის ან უცხო სახელებით იხსენიებიან ვეფხის-ტყაოსანში. ასეთნი არიან გულანშარო, მულღაზან-ზარი. ჩვენი მიზანი იქნება აღმოვაჩინოთ რომელ ისტორიულ სამეფოებს შეეხამება ეს სახელები? რომელ ისტორიულ სამეფოებს შეეფერება ის ცნობები, რომელნიც გულანშაროსა და მულღაზან-ზარის შესახებ აქვს მოყვანილი რუსთველს?

ხატავეთი. ისტორიაში ეს ქვეყანა „ხათაიას“ „ხიტაის“ ან „ხიტანის“ სახელითაა ცნობილი. იგი ჩრდილოეთ ჩინეთს უდრის. ამ სახელებიდანაა წარმომდგარი რუსული სახელი „კიტაი“, რომელიც, როგორც ვიცით ჩინეთს აღნიშნავს. ქართული სახელი, ჩინი, ჩინეთი თვით ჩინური „ტზინ“-იდანაა წარმოებული და სამხრეთ ჩინეთს აღნიშნავს. ძველი წარსული ხატავეთისა ჩინეთის ისტორიაში შედის. ახლო აღმოსავლეთის ისტორია კი იმდენად იცნობს მას, რამდენათაც იგი სელჯუკების სახელმწიფოს ნანგრევებზე აღმოცენებულ სამეფოთა პოლიტიკურ ცხოვრებაში იღებდა მონაწილეობას. ეს კი მას შემდეგ მოხდა, რაც საკუთრივ ხატავეთი თათრების ძლიერმა ტომმა ნიუჩებმა დაიპყრეს. ამის შემდეგ ხატავეთის მეფის იგლუენჰის ერთმა ახლო ნათე-

სავმა ტუში-ტალგუნმა ძველი ხატაველთის ერთ შორეულ პროვინციას შეაფარა თავი, რომელიც შენსის დასავლით მდებარეობდა. აქაურმა ერისთავებმა მორჩილებაც გამოუცხადეს და ჯარებიც მიჰგვარეს მას. მათი შემწეობით ტუში-ტალგუნმა დაიპყრო კაშგარი, იერკენდი და ხოტენი. თურქისტანი და უიგურთა სამთავრო უომრათ დამორჩილდენ მას. ამგვარათ დაარსდა ხატაველთ ახალი სამეფო, სწორეთ ის სამეფო, რომელზედაც ვეფხის-ტყაოსანშია ლაპარაკი. მაჰმადიანი მწერლები კარა-ხატაის უწოდებენ მას ხშირათ, სხვები კი ძველებურათ — ხატაველთს. ტუში-ტალგუნი არ დაკმაყოფილდა მით, რაც მან ასე მოკლე ხანში მოიპოვა და ახლა ოქსუსის მხარეს გადასწვდა, რომელსაც ამ დროს სელჯუკთა დიდებული სულთანის მალეკშას შვილი სინჯარი განაგებდა. საქმე ომით უნდა გათავებულიყო. სინჯარი ამ დროს ერთათ ერთს სერიოზულ ძალას წარმოადგენდა, რომელიც ხატაველთის მეფეს ანუ გურ-ხანს (ხატაველების გამოთქმით) უდგა წინ. სინჯარმა დააგროვა ასი ათასი კაცი და გაეგება გურ-ხანს. მას შეეძლო კიდევ უფრო დიდი ძალისათვის მოეყარა თავი, მაგრამ ვერ დააფასა მტრის ძალა. ხატაველებმა სასტიკათ დაამარცხეს სელჯუკები. გადმოცემით მათ 30 ათასი კაცი გაუწყვიტეს სინჯარს. წაართვეს რა სინჯარს დასახელებული ქვეყანა ხატაველები ნიაღვარივით მოედვენ სხვა მხარეებსაც. მათ მიერ აყრილი ნომადები შეესიენ სინჯარის დანარჩენ სამფლობელოს, დაამარცხეს და დაატყვევეს უკანასკნელი.

ხვარიზმი. ხვარიზმს ანუ იგივე ხივას ამ დროს ერისთავი ატზოზი განაგებდა. იგი იმ ნუშტეკინ-ტაპრას შვილისშვილი იყო, რომელიც მალეკშამ დასვა აქ პირველათ ერისთავათ. სანამ სინჯარს ხატაველების უბედურება დაატყდებოდა თავს ატზოზი ერთგულათ ემსახურებოდა მას. დამარცხების შემდეგ კი მან უღალატა სუვერენს და განცალკევდა. სინჯარის საბრძანებლოს დამხობის შემდეგ ხატაველების რისხვა ახლა ამ ახალ სამეფოს დაატყდა თავს. ხივასათვის ეს ომი მეტათ სამძიმო იყო, რადგან ხატაველების ძალა ამ დროს გოშის უდაბნოდან ოქსუსამდე უწევდა და ჰინდუკუშის აღმოსავლეთ ნაწილიდან მცირე ალტაის დასავლეთ კალთებამდე.

ხატაველმა სარდალმა ოთუზმა დაამარცხა ხვარეზმის მთავარი ატზოზი, ააოხრა სასტიკათ მისი სამფლობელო და ბოლოს 30 ათასი ოქროც დააკისრა მას გადასახადათ.

ატზოზს ხვარიზმში მემკვიდრეთ ილოარსლანი მოჰყვა. იგი შეეცადა გადაეგდო ხატაველების უღელი. თავდაპირველად კარგადაც წაიყვანა საქმე და ალბ ბუხარა, მაგრამ შემდეგში ვერც ის გაუმაგრდა ხატაველების უზარმაზარ

ძალას და ისევ ქედის მოხრა არჩია. ზავმა ექვს წელიწადს გასტანა. 1164 წელს ილოარსლანმა ხელ ახლა სცადა გასწორებოდა ხატაველებს, მაგრამ ახალი ომი კიდევ უფრო სამწუხაროთ გათავდა მისთვის. ხატაველებმა დაამარცხეს მისი სარდალი აიარ-ბეგი და ტყვეთაც ჩაიგდეს ხელში. ილოარსლანი, რომელიც ამ დროს მაშველი ჯარით მიეშურებოდა ბრძოლის ველისაკენ, იძულებული შეიქნა უკან დაბრუნებულიყო. გზაზე იგი ავად გახდა და გარდაიცვალა. ტახტის მემკვიდრეთ მან უმცროსი შვილი სულთან შაჰ დანიშნა. უფროსმა შვილმა ტაკაშმა არ მოისურვა ადგილის დათმობა. ამან ხანგრძლივი ომი გამოიწვია ძმათა შორის. სულთან შაჰმა სელჯუკები მოიხმარა, ტაკაშმა კი—ხატაველები, რომელთაც იგი ხარკის უფრო პირ-სწორათ გადახთას შეჰპირდა. მათი დახმარებით ტაკაშმა დაამარცხა სულთანი და მისი მოკავშირე გლომუაიდო. გაძლიერებულმა მან შემდეგში სინჯარის მთელი სამფლობელოც იგდო ხელთ, რის შემდეგ იგი ენერგიულათ შეუდგა თავის სამეფოს შინაგან გამაგრებას. ტაკაში გამრჯე და ჭკვიანი ადამიანი იყო. იგი კარგათ ხედავდა, რომ ძლიერ ხატაველთთან ბრძოლა მისთვის ხელსაყრელი არ იყო. გაცილებით სასარგებლო და ადვილათ მოსახერხებელი იყო სელჯუკების სამეფოს ნაშთების დაპატრონება. სწორეთ ამ გზას ადგა იგი მთელი სიცოხლე. მას შემდეგ რაც სინჯარის სამფლობელოს მან თოგრილ მესამის საბრძანებელიც მიუმატა, მისი სახელმწიფო უზარმაზარი შეიქმნა. მისი საზღვრები ინდოეთს, ეფრატს, სპარსეთის ზღვას და ვოლგას აღწევდენ. მიუხედავათ ამისა იგი მაინც უხთიდა ხარჯს ხატაველებს და არ სწყვეტდა კავშირს გურ-ხანთან. სიკვდილის წინ (1199 წელს) მან თავის შვილს, მაჰმადსაც უანდერძა, არას გზით არ აშლოდა ხატაველებს.

ეს შეუძლებელიც იყო ჯერ-ჯეროობით მაჰმადისათვის სანამ მას გურის მეფეებთან ჰქონდა საქმე. გური ავგანისტანის ნაწილია. ეს ქვეყანა მაჰმად ღაზნელმა შესძინა ისლამს. ღაზნას დაქვეითების შემდეგ იგი განცალკევდა და გაძლიერდა. და ბოლოს მან თვით ღაზნაც იგდო ხელთ და ახლა ხვარეზმს აუტეხა ომი. 1201 წელს გურის მეფე ღიათ-ედ-დინი, რომელსაც ამ დროს მთელი წინა ინდოეთი ემორჩილებოდა, შეესია ტუსს და საშინლათ ააოხრა იქაურობა. ხვარიზმშაჰ-მაჰმადს მეტის მეტათ გაუძნელდა მასთან გასწორება და იძულებული შეიქმნა ხატაველებისათვის შეეთხოვა შველა. ღიათ-ედ-დინი სამაგიეროთ სამარყანდის ერისთავს შეუკავშირდა, რომელიც ხატაველების ვასსალათ ითვლებოდა. 1203 წელს ღიათმა გადაიარა 70 ათასი კაცით ოქსუსი და დაეპატრონა მერვს, სარახს, ნიშაპურს და სხვა ქალაქებს. მაჰმად ხვარიზმელმა ხივასაკენ დაიხია. ამასობაში ხატაველთ მაშველი კორ-

პუსიც შეუერთდა მას ხივას ახლო მომხთარ ბრძოლაში. მაჰმადმა ხატაველების ვაჟკაცობის წყალობით სასტიკათ დაამარცხა მტერი. ღიათის ჯარის წამთები თავ-ქუდმოგლეჯილი გარბოდენ სამშობლოსაკენ, მაგრამ ხატაველები წამოეწივნენ მათ და თითქმის სულ მთლათ გასწყვიტეს.

მაჰმად ხვარიზმელი ამის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა, მან შეიმატა გური და ჰერატი. ეს გაძლიერება ხატაველების წყალობით, მაგრამ ხატაველების საუბედუროთვე მოხთა. მაჰმადის სამეფო ამ დროს უძლიერესი სამეფო იყო წინაა ზიაში, მაგრამ იგი მაინც ხატაველების მოხარკე იყო. მაჰმადს ძალიან არ მოსწონდა ეს, მაგრამ უფრთხოდა ხატავეთის ძალას და მოკავშირეებს ეძებდა. აქაც გაუჭრა მას იღბალმა.

ჩინგიზ-ხანისაგან დევნილმა ნაიმანთ მეფის ბეიბუღას შვილმა გუშლუგმა ამ დროს შეაფარა სწორეთ თავი ხატავეთს. გურ-ხანმა ჩილუკუმ კარგათ მიიღო იგი: მიათხოვა შვილისშვილი და სპასპეტობაც მისცა. მიუხედავათ ამისა გუშლუგშა გადასწყვიტა ტახტიდან ჩამოეგდო ჩილუკუ და ხელში ჩაეგდო ხატავეთი. მოკავშირეებათ მან ხვარიზმშაჰ-მაჰმადი და სამარყანდის ერისთავი ოტსმანი გაიხადა. ამ სამმა პირობა დასდვეს ერთ დროულათ მიეტანათ იერიში გურ-ხან ჩილუკუზე.

გუშლუგს ვერაგული ზრახვის სისრულეში მოსაყვანათ ერთგული ჯარი სჭიროდა. გურ-ხანის ნებართვით ის გაემგზავრა ძველ სამშობლოში და მოუწოდა ჯარს.

1209 წელს მაჰმადი შეესია ხატავეთს. ბუხარამ სისხლ-დაუღვრელათ გაუღო მას კარი. შემდეგ სამარყანდიც დანებდა მას, რადგან მისი ერისთავი თვით იყო, როგორც ვიცით, შეთქმულების მონაწილე. ხატავეთის მეფემ ჩილუკუმ შეაგროვა ჯარი ჩააბარა იგი სარდალს ტაიანკუს და გაისტუმრა მაჰმადის წინააღმდეგ. ამასობაში გუშლუგმაც იწყო თავისი ვერაგული მოქმედება. მან დაამარცხა გურ-ხანის ჯარი და აიღო უზკენდი. შემდეგ მან შელასაგუნს მიაშურა, მაგრამ აქ თვით ჩილუკუ გამოეგება მას და სასტიკათ დაამარცხა თავისი ვერაგი სიძე.

გუშლუგი და მისი ჯარი თავ-ქუდმოგლეჯილი გარბოდნენ, როდესაც მათ მაჰმადის ამბავი გაიგეს. უკანასკნელმა უკეთ წაიყვანა საქმე. დაამარცხა ხატაველების ჯარი და თვით სარდალი ტათანკუც დაჭრილი ტყვეთ წაიყვანა. ამ გამარჯვებამ ისე ააფრთოვანა ხვარიზმშაჰ-მაჰმადი, რომ მან „ისკენდერ-ი-სანი“ (მეორე ალექსანდრე) უწოდა თავს. ხატავეთის მეფისათვის მეტათ სამძიმო იყო ეს დამარცხება, მაგრამ მან მაინც არ დაკარგა იმედი და არ მიეცა

სასოწარკვეთილებას. ჩილუკუ ამ დროს ღრმათ მოხუცებული კაცი იყო, მაგრამ მაინც ენერგიულათ შეუდგა საქმეს. დააგროვა ახალი ჯარი და შემოარტყა ალყა სამარყანდს.

ამის გაგებაზე მაჰმადმაც აქეთკენ მოაშურა, რომ ეხსნა გაჭირვებისაგან თავისი მოკავშირე ოტსმანი. ხატავეთის მეფე იძულებული შეიქმნა მოეხსნა ალყა და უკან დაეხია. მაჰმადი უკან გაჰყვა მას. ორი უზარმაზარი ლაშქარი შინაკენტის ახლო შეიყარნენ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ორი სახელმწიფოს ბედის გადასაწყვეტათ. ეს 1213 წელს მოხდა. ხატაველები მეტათ ვაჟკაცურათ იბრძოდნენ, მაგრამ მაინც ვერას გახდნენ. სამაგიეროთ ვერც ხვარიზმელებმა გაიმარჯვეს. მიუხედავათ ამისა გურ-ხანს მოუხდა მაინც უკან დახევა. მიზეზი ამისა ის იყო, რომ გუშლუგმა ხელახლა იწყო მის ზურგს უკან მოქმედება. ორ ცეცხლს შუა გამომწყვდეულს გურ-ხანს ამასთანავე აჯანყებულ ქვეშევრდომებთანაც მოუხდა ბრძოლა. გუშლუგმა ისარგებლა შემთხვევით, დაეცა თავს მოულოდნელათ ხატავეთის მეფეს, დაამარცხა იგი და ხელთაც იგდო. ასე დაასრულა თავისი დღენი ძლიერმა ხატავეთმა.

ხვარიზმის მეფის მაჰმადის ბედს ამ დროს ძაღლი არ დაჰყეფდა. მის თვალში ამ ჟამათ ქვეყანაზე აღარ არსებობდა მეფე, რომელიც მას დასტოლებოდა ძლიერებით. მას ცა ქუდათ არ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნათ. ერთათ ერთი მისი ზრუნვა ბაღდადის ხელში ჩაგდება იყო, სადაც ურჩი ხალიფა ნაზირი სუფევდა ამ დროს. ეს უკანასკნელი თავის დროზე გურელ მეფეს ღიათ-ედ-დინს აქეზებდა მაჰმადის წინააღმდეგ. მაჰმადმა გადასწყვიტა მისი დასჯა და გასწია ბაღდადისაკენ, მაგრამ სასტიკმა ზამთარმა ხელი შეუშალა ლაშქრობას და მაჰმადი იძულებული შეიქმნა უკან დაბრუნებულიყო.

ხვარიზმელ ალექსანდრეს თუმცა ქვეყნის პატრონი ეგონა თავი, მაგრამ ამ დროს უკვე მზათ იყო ის ძალა, რომელსაც ტრაღიკულათ უნდა მოელო ბოლო მისთვისაც და მისი უზარმაზარ სამეფოსათვის.

მაჰმადი ჯერ კიდევ დაბრუნებული არ იყო ბაღდადის ლაშქრობიდან, როდესაც მას იტრაროს ერისთავმა შეატყობინა: ჩინგიზ-ხანის მზვერავები დავიჭირე და რა უყო მათო. აქ 490 ვაჭარზე იყო ლაპარაკი. მიუხედავათ ამისა მან ბრძანა ეწამებინათ ისინი. ჩინგიზმა ამაზე გურ-ხანის თავი მოსთხოვა მაჰმადს. მაჰმადმა უარი სთქვა. ეს იყო casus belli ამ ორ სამეფოთა შორის. მაჰმადს დიდი იმედი ჰქონდა თავის თავისა, მაგრამ მწარეთ სცდებოდა. მონგოლებმა ნიაღვარივით წალეკეს მისი სამეფო და შემდეგ ღვთის რისხვათ მოევლინენ მთელს ქვეყანას.

გულანშარო. ზემოთ მოყვანილ ცნობებს მზა-მზარეულათ გვაწვდის აღმოსავლეთის ისტორია აღნიშნულ სამეფოების შესახებ. სულ სხვაა გულანშაროსა და მულღაზან-ზარის საქმე. ისტორია არ იცნობს მათ. თვით სახელებიც ან ჩვენ ავტორს შეუთხზავს თვითონ, ან კიდევ, რაც უფრო სარწმუნოა რომელიმე აღმოსავლურ რომანში ამოუკითხავს. გულანშარო და მულღაზან-ზარი ისევე არ არსებობდენ მაშასადამე, როგორც ომიროსის მიერ ხსენებული კუნძული კალიპსო, ლესტრიგონების ქვეყანა და სხვა. მაგრამ, როდესაც ომიროსი კალიპსოს აგვიწერდა, მას უსათუოთ ჰქონდა თვალწინ რომელიმე კუნძული. ზოგი მეცნიერის მტკიცებით ლესტრიგონების ქვეყნის ორიგინალათ კოლხიდას ხმაობდა ომიროსი. რომელი სამეფო ჰქონდა თვალწინ ქართველ ავტორს, როდესაც ის გულანშაროს სამეფოზე ლაპარაკობდა. ამის გამოსარკვევათ დავაკვირდეთ კარგათ იმას, რას გვაუწყებს გულანშაროს შესახებ ჩვენი მგოსანი.

გულანშარო ქალაქია და ზღვის პირას მდებარეობს. იგი ცენტრია ზღვათა სამეფოისა. ქალაქი დიდია და ძალიან მდიდარი, რადგან იგი კომერციული ცენტრია საზღვაო ვაჭრობისა:

ასეა ზღვათა სამეფოო თვისა ათისა სავლითა,
თვით გულანშარო ქალაქი სავსე ტურფითა შრაყლითა,
აქ მოდის ტურფა ყველანი ზღვა-ზღვა საფითა მავლითა
მელიქ-სურხავო ხელმწიფეებს, სრული სვითა და დავლითა.

ყოველ დიდს ქალაქს და ამასთანავე კომერციულ ცენტრს განსაკუთრებული ელფერი ადევს. დღეს ყოველმა ჩვენთაგანმა კარგათ იცის ეს.

სიმდიდრე, ფუფუნება, ლხინი, ქეიფი და არშიყობა ერთათ იყრის თავს ასეთ ცენტრებში. ასე ყოფილა გულანშაროშიაც.

აქა მოსვლითა გაემდების კაცი თუმც იყოს ბერები
სმა, გახარება, თამაში, ნიადაგთა სიმღერები

ეს საკვირველიც არაა, რადგან გულანშარო, როგორც ვიცით, კომერციული ცენტრია,

„დიდ ვაჭარნი სარგებელსა ამის მეტსა ვერ ჭეროებენ
იყიდიან, გაჰყიდიან, მოიგებენ, წაგებენ.
გლახა თვე ერთ გამდიდრდების, საგაჭროთა ეოვლგნით ჭერებენ
უქონელნი წელიწადამდის საქონელსა დაიდებენ“.

გულანშარო მდებარებს სადღაც სამხრეთით, სადაც ცივი ზამთარი არ იცის:

„ზამთარ და ზაფხულ სწორათ გვაქვს ეფაფილი ფერადფერები
ვინცა გვიცნობენ გვსტრიან, იგიცა ვისცა მტერები“.

ხალხი აქ შავგვრემანია და ღვინის მსმელი. რაიცა აქ არა მაჰმადიანს უნდა აღნიშნავდეს:

„ფარტმან სათუნ თვალათ მარჯვე არ ემაწვილი მაგრა მზმელი
საკვთათ კარგი, **შავგვრემანი**, ბირმსუქანი არ ბირხმელი,
მუტრიბთა და მომღერალთა მოყვარული, ღვინის მსმელი,
დიდ ედვა სასალუქო, დასაბურავ-ჩასაცმელი.

საკვირველ ამბებს გვაუწყებს ჩვენი მგოსანი გულანშაროს სახელმწიფო წყობილების შესახებაც. ეს ცნობები დღევანდელს ბურჟუაზიულ რესპუბლიკებს უფრო შეეფერებიან ვიდრე საშუალო საუკუნის ფეოდალურ სამეფოებს. უცხოელი ვაჭრები თავის საქონლით კომენდანტს ან მისგვარ მოხელეს კი არ წარუდგებიან გულანშაროში, არამედ ვიღაც ვაჭართ უხუცესს, რომელიც მნიშვნელოვან სახელმწიფო ფუნქციას ასრულებს. დიდ ვაჭრებს, როგორცა ჩანს ცალკე კორპორაცია ჰქონიათ და ცალკე წარმომადგენელიც ჰყოლიათ. მათ დიდი გავლენა ჰქონიათ სახელმწიფოში და ძალიან მიღებულნიც ყოფილან მეფესთან. წელიწადში ერთხელ ესენი რაღაც დღეს თავის ცოლებით ეწვევიან ხოლმე მეფეს და ქეიფობენ სასახლეში. მათი უხუცესი უსენი, ხომ პირველი დოსტი ყოფილა მეფისა („უსენ, **არიფი** მეფისა და მეფე მისა-მდომელი“) და როცა მოესურვება მაშინ ეწვევა მას სადარბაზოთ. ნუ დაგვიწყდება, რომ ყველა ეს ფეოდალურ საშუალო საუკუნოებში ხდება.

გავარჩიოთ ეხლა მგოსნის მიერ გადმოცემული ცნობები: პირველ ყოვლისა ჩვენს ყურადღებას ერთი ეპიტეტი იპყრობს, რომელიც მუდამ თან სდევს გულანშაროს ან მისს მეფეს: „ზღვათა სამეფო“, „ზღვათა მეფე“. ეს პოეტური გამოთქმები, რომ ისტორიულ-მეცნერულ ნიადაგზე გადვიტანოთ, ჩვენ ფრიად მნიშვნელოვანსა და ფრიად მარტივ ცნებას მივიღებთ, რომელიც ძალიან გაგვიადვილებს ისტორიულ გულანშაროს მოძებნას. ეს ცნება გახლავთ—თალასსოკრატია—ზღვაზე ბატონობა. ეჭვს გარეშეა, რომ ზემოაღნიშნული თერმინებით მგოსანს სურდა გამოეხატა, რომ მისი გულანშარო ე. წ. „მორსკაია დერჟავა“ და ამასთანავე ზღვაზე გაბატონებული „მორსკაია დერჟავა“ იყო. ეს გარემოება ძალიან აადვილებს საკითხს, რადგან თალასსოკრატი სახელმწიფო ერთი შეიძლება იყოს განსაკუთრებულ ეპოქაში. ახალი ისტორიის უკანასკნელ ხანაში, როგორც ვიცით თალასსოკრატია ინგლისს ეკუთვნის. ახალი ისტორიისვე წინა საუკუნეში იგი ეკუთვნოდა პორტუგალიას, ისპანიას და ჰოლლანდიას რიგ-რიგათ.

რომელი-ღა სახელმწიფო იყო გაბატონებული ზღვაზე ჩვენი მგოსნის

დროს. ჩვენ საბუთი არ გვაქვს ვიფიქროთ, რომ ვეფხის-ტყაოსანი საქართველოს აღორძინების ხანას არ ეკუთვნის. ამ დროს კი ვენეცია იყო ზღვათა მპყრობელი, — თალასსოკრატი. განსაკუთრებით მას შემდეგ რაც მან ჯვაროსანთ მეოთხე ლაშქრობაში მიიღო მონაწილეობა. ამ ლაშქრობის მონაწილეებს პირობით შეეკრა 1201 წელს ვენეცია, რომ იგი გადაზიდავდა კიდევაც ჯვაროსნების ჯარებს და ერთ წელს ჰკვებავდა კიდეც. ვენეციის გავლენა იმდენათ დიდი იყო ლაშქრობაში მონაწილე ძალებზე, რომ იგი მიზანსაც თვით უსახავდა ჯვაროსნებს და მიმართულებასაც თვით აძლევდა მათ მოქმედებას. პაპიც და ჯვაროსნებიც იმის მომხრენი იყვნენ, რომ ლაშქრობა პირველ ყოვლისა ეგვიპტის წინააღმდეგ ყოფილიყო მიმართული, მაგრამ ვენეციელებმა იმდენი ქნეს, რომ ხელი ააღებიეს მათ ამაზე, რადგან ეგვიპტის ვაჭრობა მათ ხელში იყო და ლაშქრობა მაშასადამე მათ მერკანტილურ ინტერესებს ავნებდა. მათის ცდით მოხთა ის რომ ჯვაროსნების ენერგია კონსტანტინეპოლის წინააღმდეგ იქმნა მიმართული. ყველა ამას სწორეთ თავის ფლოტის წყალობით ახერხებდა ვენეცია. ბიზანტიის დაცემამ კიდევ უფრო აღამაღლა ვენეციის მნიშვნელობა და ჭეშმარიტ ზღვის ბატონათ აქცია იგი. მათ ხელში გადავიდა თვით კონსტანტინეპოლის მესამედი ნაწილი ისევე, როგორც $^3/_8$ (სამი მერვედი) მთელი იმპერიისა. ამაზე რესპუბლიკის წარმომადგენელ დოჟის ახალი ტიტულიც მიგვითითებს (dominator quartae partis et dimidiae totius imperii Romaniae"). როგორც „მორსკაია დერჟავა" ვენეცია პირველ ყოვლისა დღევანდელი ინგლისივით პორტების დაფლობას ცდილობდა. მას ეკუთვნოდა პორტები: დურაციო, მოდინი და კორონი, კუნძულები: ლეუკა, კორფუ, მორეა, კრეტა, ევბეა. მას ერგო აგრეთვე ხელშეკრულების ძალით ლაზისტანი ტრაპიზონით. მან დაისაკუთრა გალიპოლი. გენუელებმა სცადეს წასდავებოდნენ მათ ძალას, მაგრამ ხანგრძლივი ომის შემდეგ ვენეციამ სრულიათ დასცა მათი ძალა. ამის შემდეგ ზღვაზე ვეღარავინ შეეცილებოდა ვენეციის სუპრემატიას. მთელი ხმელთა შუა ზღვის ვაჭრობა უმთავრესათ მათ ხელში იყო. ამიტომ მოისწრაფიან სწორეთ ვეფხის-ტყაოსნის „მობაღდადე" ვაჭრები გულანშარო ვენეციას. ამიტომაა ეს ქალაქი „სავსე ტურფითა მრავლითა". ამიტომ მოდის აქ „ტურფა ყველაი ზღვა-ზღვა ნავითა მავლითა". ამიტომ სდუღს და გადადის აქ ვაჭრული ცხოვრება: „იყიდიან გაჰყიდიან, მოიგებენ წააგებენ". ამიტომაა აქ „სმა, გახარება, თამაში". ყველა მიხვთება, რომ სხვა ცნობებიც კარგათ შეეხამება ვენეციას, რომელნიც გულანშაროს შესახებ მოჰყავს ჩვენს ავტორს. ვენეციაშიც არ

ოცის ჩვენებური ზამთარი. ვენეციაშიც შავგვრემანია ხალხი და სხვა. ყველაზე საგულისხმო პოლიტიკური ცხოვრების მსგავსებაა გულანშაროსა და ვენეციას შორის. ფეოდალურ საშუალო საუკუნეებში მთელ ქვეყანაზე ვერსად ჰპოებთ სახელმწიფოს სადაც ვაჭრებს ისეთი დიდი გავლენა ჰქონოდეთ, როგორც გულანშაროში, თუ იტალიის რესპუბლიკა-ქალაქებს არ მიიღებთ მხედველობაში. ვენეცია კი სწორეთ ვაჭართა რესპუბლიკა იყო. მათი „მეფე", ე.ი. დოჟი არჩეულ პირს წარმოადგენდა. იგი თვითონაც ვაჭარი იყო ხშირათ. საკვირველი არაა მაშასადამე, რომ ვაჭართ უხუცესი მისი დოსტი („არიფი") ყოფილიყოს, საკვირველი არაა, რომ ის ვაჭართა წრეში ატარებდა დროს და ვაჭრების მიერ არჩეული მათვე ანდობდა სხვა და სხვა მნიშვნელოვან სახელმწიფო ფუნქციებს.

მულლაზან-ზარი. ამ სამეფოს სახელიც უცნობია ისტორიისათვის; იგიც თხზული, ან რომელიმე პოეტური ნაწარმოებიდან ამოღებული უნდა ჰქონდეს ჩვენს მგოსანს. მიუხედავათ ამისა, როგორც გულანშარო უდრის ვენეციას, ისე მულლაზან-ზარი უნდა უდრიდეს რომელიმე ისტორიულ სამეფოს. კითხვის გადასაჭრელათ გავიგოთ ჯერ რას გვაუწყებს მულლაზან-ზარის შესახებ ვეფხის ტყაოსნის ავტორი. საუბედუროთ ცნობები ძალიან ცოტა არის და ისიც ძნელი გასარჩევი, რადგან ოცნება და სინამდვილე ერთმანერთშია აქ გადახლართული.

„დამით მევლო, მოვიდოდი ზღვისა პირსა ჩრდეს ბაღნი
ჭკვანდეს ქალაქს, ვიახლენით, ცალ-კერძ იუნეს კლდეთა ნაღნი".

ასე გვაცნობს ტარიელი მულლაზან-ზარს. ფრიდონი კი შემდეგს გვაუწყებს:

„მულლაზან-ზარის ქალაქი ახლოს მე მაქვსო რომელი
ნურადინ-ფრიდონ სახელმძღვ—მეფე ვარ მუნ მჯდომელი
ესე სასდვარი ჩემია, სადა ხართ გარდამსდომელი
ცოტა მაქვს, მაგრა ყოველგან სიკეთე მიუწდომელი".

ტაეპი 576 კიდევ შემდეგს მოგვითხრობს მულლაზან-ზარის შესახებ:

„ესე ქალაქი გზა არის ნავთა ყოველგნით მავალთა,
შემომკრეფველი ამბავთა უცხოთა რათმე მრავალთა.

ყველაზე საყურადღებო მულლაზან-ზარის გეოგრაფიული მდებარეობის გამოსარკვევათ 903 და 904 ტაეპებია. პირველი ტაეპი მოგვითხრობს:

„ესმა მტირალი სამოცდაათ დღე ზღვის პირსა მიავ გზასა".

აქ ავთანდილზეა ლაპარაკი. ავთანდილი მულლაზან-ზარს მიდის და 70

დღე მიჰყვება ზღვის პირს. როგორც ყველამ იცის ავთანდილი ე. წ. ქვაბიდან დაიძრა. ამ პუნქტიდან იარა მან და, როგორც ტაეპი 904 მოგვითხრობს თურქთა საზღვარს მიადგა.

„აქამდის ‘ხდვარი თურქთაა მომზღვრე ფრიდონის ‘ხდვრებითა“.

მაგრამ სადღა იყო თვით ქვაბი? გავიხსენოთ რას გვაუწყებს ამის შესახებ ვეფხის-ტყაოსანი. ხატაველები გამოვიდენ სანადიროთ. მათ შეხვდათ წინ ტარიელი, რომელმაც დაჰკოდა ერთი მათგანი და შემდეგ ნელის ნაბიჯით გაემართა ქვაბისაკენ. ავთანდილმა ორი დღე და ღამე სდია მას უკან და შემდეგ ქვაბიც გამოჩნდა. მაშასადამე ქვაბი ან თვით ხატავეთის საზღვრებშია ან კიდევ მის ახლო. ყოველ შემთხვევაში ქვაბი სადღაც შორს აღმოსავლეთშია მოთავსებული. ეს ცხადია. გავიხსენოთ ისიც, რომ მულღაზან-ზარს მომავალი ავთანდილი ერთ დღეში მიაცილა ტარიელმა ზღვის პირამდე. მაშასადამე შორეულ აღმოსავლეთის ზღვის-ნაპირა წერტილიდან დაძრული ავთანდილი 70 დღე მიუყვება ზღვის ნაპირს და აღწევს თურქების საზღვარს, რომელნიც თავის მხრივ ფრიდონის მოსაზღვრენი არიან. რაკი ფრიდონის სამეფოს გვერდით ცალკე იხსენიება თურქთა საზღვრები, უნდა ვიფიქროთ, რომ თვით ეს სამეფო თურქული არა იყო. ამ გვარათ მულღაზან-ზარი მდებარებს სადღაც შორს დასავლეთით ზღვის პირას. ეს სამეფო აზიაში უნდა იყოს, რადგან თურქები ამ დროს **ჯერ კიდევ არ იყვნენ გადასულნი ევროპაში** და მულღაზან-ზარიც ვერ იქნებოდა მაშასადამე მათი მოსაზღვრე, რომ ევროპაში ყოფილიყო.

თუ ყველა ამ პირობებს სახეში მივიღებთ, მაშინ ერთათ ერთი მულღაზან-ზარის საბადლო სამეფო ე. წ. ტრაპიზონის სამეფო გამოგვივა.

ტრაპიზონის სამეფო სწორეთ რომ „ცოტა იყო“ უმთავრესათ ქალაქ ტრაპიზონისაგან შესდგებოდა.

მიუხედავათ ამისა იგი დიდ კეთილდღეობას განიცდიდა, რადგან შუამავლის როლს ასრულებდა აღმოსავლეთის და დასავლეთის ერების შორის. ამიტომ ახასიათებს მას ასე ფრიდონი: „ცოტა მაქვს, მაგრამ ყოველგან სიკეთე მიუწდომელი“ და შემდეგ: „ესე ქალაქი გზა არის ნავთა ყოველგნით მავალთა“.

სრულიათ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ შემდეგ გარემოებასაც. მულღაზან-ზარი არის ე. წ. სახელმწიფო-ქალაქი და ამასთანავე ზღვის პირას მდებარე სახელმწიფო-ქალაქი. თუ ისევ იტალიას არ გადავსწვდებით, რაიც ამ შემთხვევაში შეუძლებელია, როგორც დავინახეთ, ტრაპიზონის მეტს ჩვენ ძნელათ ვპოებთ სახელმწიფოს, რომელიც ყველა ზემოაღნიშ-

ნულ პირობებს აკმაყოფილებდეს. ტრაპიზონი კი ჩვენის აზრით კარგათ შეესაბამება მულლაზან-ზარს. იგი შავი ზღვის პირას მდებარებს და მაშასადამე ე. წ. რუმელ სელჯუკების სამეფოს საზღვრავს. იგი ქალაქია და ამასთანავე სახელმწიფო. ვეფხის-ტყაოსნის ეპიტეტი „ცოტა“ მას კარგათ შეეფერება. მიუხედავათ სიპატარავისა ეს საპორტო ქალაქი და ამასთანავე სახელმწიფო ვრცელ საზღვაო ვაჭრობას ეწევა და ამიტომ სავსეა „მიუწდომელი სიკეთით“.

ტაეპი 530 საშუალებას გვაძლევს სხვა მხრივაც გავსინჯოთ ჩვენი ჰიპოტეზის სისწორ-უსწორობა: აქ ტარიელი ასე აგვიწერს მულლაზან-ზარს:

„ღაშით შეეკრო, მივიდოდი ზღვისა პირსა, აჩნდეს ბადნი;
ჰგვანდეს ქალაქს, ვიახლენითა, ცალ-კერძ იევნეს კლდეთა ნადნი“.

რაღას დავინახავთ ჩვენ ზღვის პირიდან, რომ ტარიელივით ხმელის გზით მიუახლოვდეთ ტრაპიზონს? პირველ ყოვლისა იმავე ბაღებს. ტრაპიზონი დღესაც ბაღებშია ჩაფლული. ასე ყოფილა წინათაც. მე-17 საუკუნის საბუთებიდან სჩანს, რომ ქალაქსა და მის გარეშემო 30 ათასამდე ბაღ-ვენახი იყო გაშენებული. დავინახავთ ჩვენ აგრეთვე კლდეთა ნაღობსაც. ასეთი ნაღობი რამდენიმე აქვს ტრაპიზონის ნაპირს. ორი ასეთი ნაღი შეადგენს სწორეთ ამ ქალაქის ნავთსაყუდს. თუ ნაღი არ უდრის „**выступъ**“-ს და აღნიშნავს **горная цѣпь**-ს, არც მაშინ დაირღვევა მსგავსება, რადგან ტრაპიზონსაც „ცალ-კერძ“ მიუდის რამდენიმე ერთი ერთმანერთზე მაღალი გრეხილები.

ტრაპიზონის სამეფო კარგათ ნაცნობი უნდა ყოფილიყო ვეფხის-ტყაოსნის ავტორისათვის, რადგან იგი **ქართველების წყალობით** იქმნა დაარსებული. ანდრონიკე კომნენის ტახტიდან ჩამოგდებას საშინელი სისხლის ღვრა მოჰყვა, რომლის დროსაც ისიც დაიღუპა და მისი ჩამომავლობაც. გადარჩა მხოლოთ ორი მისი მცირე-წლოვანი შვილისშვილი ალექსი და დავითი, რომელთაც ფარულათ ინახავდენ კონსტანტინეპოლში. 1203 წელს, როდესაც ჯვაროსნებმა იერიში მიიტანეს კონსტანტინეპოლზე, ყმაწვილები საქართველოში გამოიქცნენ. ბიზანტიის ისტორიის ავტორი ჰერცბერგი ასე გადმოგვცემს: „მაშინ ბიზანტიასთან დაახლოებულ საქართველოს, ძლიერს და მდიდარს განაგებდა კომნენების ახლო ნათესავი თამარი (1184—1212), მეტათ განთქმული თავის უებარი ხელგაშლილობით, განათლებით და მმართველის უნარით. თამარი მამიდა იყო ახალგაზრდებისა, ამასთანავე იგი ცუდს განწყობილებაში იყო ალექსი მესამესთან. მან ისარგებლა ამიტომ შემთხვევით და მისცა თავის ნათესავებს საშუალება სამეფოს დაარსებისა. ალექსიმ და დავით-

მა ძლიერი იმერული ჯარის თანხლებით გადალახეს ძველი სამეფოს საზღვრები და სწრაფათ ჩაიგდეს ხელში მთელი პონტოს და პათლაგონიის მხარე".

ამგვარათ მოხთა ტრაპიზონის სამეფოს დაარსება. პატივცემული ისტორიკოსი მხოლოთ იმაში სცდება, რომ ქართველ თამარს დასახელებული კომნენების მამიდას უწოდებს. შეცდომა ამგვარათ წარმოსდგა. ჰერცბერგს, როგორცა სჩანს, უსარგებლია ტრაპიზონის ისტორიით ბატონი ფალმერაიერისა, რომელიც ამავ შეცდომას სჩადის, ხელთ კი არ ჰქონია ტრაპიზონელი ფანარეტოსის ისტორია, რომელიც თანამედროვე იყო ალექსის და დავითისა. ფანარეტოსის ისტორია კი გვაჩვენებს, რომ თამარი, რომელზედაც აქ ლაპარაკია, ყოფილა სხვა თამარი და არა ქართველი თამარი. ის ყოფილა თამარი ქალიშვილი იმპერატორის ანდრონიკე კომნენისა და მანუელ კომნენისა, ალექსის და დავითის მამისა. ამ თამარს წამოუყვანია იბერიაში ყმაწვილები. ჩვენი თამარი კი, თუ მისი მოადგილე, საშუალებას მისცემდა მათ სამეფოს დაარსებისა, რაიცა 1204 წელს მოხთა. ფანარეტოსის სიტყვით მეფეთ ალექსი იქმნა დაყენებული. დავითი კი ტრაპიზონის გვერდით შეუდგა ახალი სამფლობელოს დაარსებას. სანამ მას ბიზანტიიდან გამოდევნილი თევდორე ლასკარი გადუდგებოდა წინ, დავითს კარგათ მიჰყავდა საქმე, ერთ დროს სინოპიც მის ხელში იყო. ლასკარისთან შეჯახებამ დაასუსტა იგი და დაუკარგა მას მომავალი. ვერც ტრაპიზონის სამეფო იხეირებდა, რადგან ერთის მხრივ იგივე ლასკარი იყო მისთვის საშიშო, მეორე მხრივ კი რუმელი სელჯუკები. მაგრამ ქართველებისაგან გამაგრებული ტრაპიზონის სამეფო მაინც განაგრძობდა ცალკე არსებობას. მიუხედავათ ამისა იგი უხთიდა ხარკს რუმელ თურქებს. ეს იმ მოსაზრებით ხთებოდა, რომ თურქებს ხელი არ შეეშალათ მისი აყვავებულ ვაჭრობისათვის თავიანთ საზღვრებში. შემდეგში სხვებთან ერთათ ამ სამეფოსაც მონგოლებმა მოუღეს ბოლო.

დასკვნა. თუ ჩვენი ჰიპოტეზები გულანშაროსა და მულღაზან-ზარის შესახებ მართალნი არიან, მაშინ ზოგიერთ სხვა მოსაზრებასაც შეგვიძლია დაუდვათ ისინი სარჩულათ. ოთხივე სამეფო, რომელთა შესახებ ჩვენ საუბარი გვქონდა ზემოთ, ასე ვთქვათ, ერთ და იმავე ისტორიულ ხანას ეკუთვნიან, როგორც ვენეციის ისე ტრაპიზონის, ხვარიზმის და ხატავეთის ძლიერება დაახლოებით ერთსა და იმავე ეპოქას—მეთორმეტე საუკუნის დამლევს და მეცამეტეს დასაწყისს ეკუთვნიან. თავის თავათ იბადება კითხვა, რატომ მოხთა ეს ასე. რა იყო ამის მიზეზი. ვთქვათ ვეფხის-ტყაოსნის ავტორი მე-14 ან მე-15 საუკუნეში სცხოვრობდა, მაშინ ის პოეტთან ერთათ ისტორიკოსიც უნ-

და ყოფილიყო და სცოდნოდა, რომ ხატავეთი, ხვარიზმი, ვენეცია და ტრაპიზონი ერთი და იმავე ხანის ძლიერი სამეფონი იყვნენ. ჩვენ სრულიათ არ ვეხებით აქ იმ კითხვას თუ საიდან, რა წყაროებიდან უნდა სცოდნოდა მას ეს ან სხვა რამ დასახელებული სამეფოების შესახებ. უფრო ლოგიკური და ადვილი წარმოსადგენია, რომ ვეფხის-ტყაოსნის ავტორი თვით ეკუთვნოდა იმავე ხანას, რომელსაც მისგან აწერილი სამეფონი ეკუთვნოდენ.

მას ძალა-უნებურათ ეხატებოდა თვალწინ მისი თანამედროვე ვენეცია და ტრაპიზონი, როდესაც იგი გულანშაროსა და მულღაზან-ზარის შესახებ სწერდა.

თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენი ჰიპოტეზა ნებას მოგვცემს ფრიად მნიშვნელოვანი დასკვნა გავაკეთოთ ვეფხის-ტყაოსნის აღმოცენების ხანის შესახებ. თუ მულღაზან-ზარი ტრაპიზონია, მაშინ, ცხადია ვეფხის-ტყაოსანი 1204 წელის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი, რადგან ამ წელს დაარსდა სწორეთ ტრაპიზონის სამეფო. მეორე მხრივ თუ შოთა თანამედროვე იყო მის მიერ აწერილი სამეფოებისა, ესეც მნიშვნელოვან დასკვნას მოგვცემს ხელში. დასახელებული სამეფო არც კი გადარჩენია მონგოლთა რისხვას. საგულვებელია, მაშასადამე, რომ ვეფხის ტყაოსანი 1204 და 1222 წლებს შუა უნდა იყოს დაწერილი. მეორე რიცხვი იმ წელს აღნიშნავს, როდესაც ჯებე და სუბუტაი შემოუძღვნენ მონგოლთა ჯარს საქართველოში. ფრიათ მნიშვნელოვანია ჩემის აზრით ის გარემოებაც, რომ აღმოსავლეთის დიდი სამეფოების—ხვარიზმი და ხატავეთის გვერდით, ან მათ მაგიერ, ჩინგიზის სამეფო არ იხსენიება აქ. ეს გარემოებაც საბუთია იმისა, რომ ვეფხის-ტყაოსანი მონგოლთა შემოსევის წინ უნდა იყოს დაწერილი. სანამ ჩინგიზმა ხვარიზმი არ დასცა, მანამდი თვით ხვარიზმშაჰ-მაჰმადსაც კი არ ჰქონია სწორი წარმოდგენა მისი ძლიერების შესახებ. საქართველოში მცხოვრებ მგოსანს სახელათაც კი არ ექნებოდა ხვარიზმის გადაღმა მდებარე მონგოლთა სამეფო გაგონილი. ამიტომ არაა ალბათ ვეფხის-ტყაოსანში ნახსენები მონგოლების უზარმაზარი სამეფო.

დასასრულ ორიოდე სიტყვა იმ აზრების შესახებ, რომელნიც ამ ჰიპოტეზების წინააღმდეგ შეიძლება გამოითქვას. წინდაწინვე უნდა განვაცხადოთ, რომ, თუ გეოგრაფიულ თვალსაზრისს დავადგებით, ამ ჰიპოტეზების დაცვა მეტათ ძნელი და თითქმის შეუძლებელი გახდება. მართლაც ძნელი წარმოსადგენია, რომ ინდოეთიდან მოტაცებული ნესტან დარეჯანი ჯერ ტრაპიზონ-მულღაზან-ზარში მოეყვანათ მხლებლებს; შემდეგ უკან დაებრუნებიათ და გულანშარო ვენეციაში გაეტარებინათ. არც ის ვიცით რა გზით უნდა მოხვედრილიყო

კიდობანი ინდოეთის ოკეანედან ხმელთა შუა ან შავ-ზღვაში, მაგრამ ეს ჩვენი ჰიპოტეზების უვარგისობის ბრალი კი არაა, არამედ იმისა, რომ თვით მგოსანს ან სრულიათ არ მიუქცევია ყურადღება ამ მხარისათვის და სრული თავისუფლება მიუცია თავის ფანტაზიისათვის, ან კიდევ მისი დროის გეოგრაფიული სურათი მსოფლიოისა სრულიათ განსხვავებული ყოფილა დღევანდელი სურათისაგან. მაგალითათ, მკითხველს ერთს ნიმუშს მივსცემთ საამოცანოთ. ყველა დამეთანხმება, რომ ხატავეთი აღმოსავლეთში იყო. ყველა დამეთანხმება, რომ მის ახლო მდებარე ქვაბიც აღმოსავლეთში იქნებოდა. მიუხედავათ ამისა, როდესაც ტარიელი ავთანდილს მულღაზან-ზარისკენ ისტუმრებს იგი ასეთ დარიგებას აძლევს მას:

„აღმოსაულღითკენ წადიო, ბირსა იარე ზღვისასა
თუ ჰსახო, ჩქმი უამბე გკითხაგს ამბავსა ქმისასა“.

ხატავეთის ახლო ადგილიდან, რომ აღმოსავლეთისკენ გეარათ მეთორმეტე საუკუნეში სამოცდაათი დღის შემდეგ „თურქთა ზღვარს“ კი არ მიადგებოდით, ჩინეთში ამოჰყოფდით თავს.

ეჭვს გარეშეა, ჩვენს მგოსანს აზრათაც არ მოსვლია თავის ნაწარმოები გეოგრაფიულათ დაემუშავებინა. არც ის უნდა ვიფიქროთ, რომ იგი ისტორიულ სინამდვილეს აქცევდა ყურადღებას. სრულებითაც არა. მხოლოთ როდესაც ის ზღვათა სამეფოს აგვიწერდა მას ძალა-უნებურათ ეხატებოდა თვალწინ თანამედროვე ვენეცია. ამიტომ დაემსგავსა მისი გულანშარო ვენეციას და მულღაზან-ზარი ტრაპიზონს.

რ ა ჭ ა

(გამოკვლევანი).

თარგმ. გ. კოკოჩაშვილის.

შესავალი.
I გეო-ფიზიოგრაფიული მდებარეობა.
II ორეოგრაფია.
III ჰიდროგრაფია.
IV გეოლოგია.
V მადნეული წყლები.
VI ჰავა—ზოვის კლიმატური სანდგური.

შესავალი.

კავკასიის ყველა კუთხეებ შორის **რაჭის მაზრას** უნდა მიენიჭოს განსაკუთრებული ადგილი ადგილობრივ კურორტების გაშენების დროს. რაჭის გეოგრაფიული მდებარეობა, რელიეფი, ჰავა, ვრცელი წიწვნარები და მრავალი მადნეული წყლები წარმოადგენენ ამ მიზნისთვის იმ აუცილებელ და საუცხოო პირობებს, რომლებმაც უკვე დიდი ხანია მიიპყრეს აღნიშნულ საკითხით დაინტერესებულთა ყურადღება. 1916 წელს **კავკასიის საკურორტო საზოგადოებამ** ადგილობრივ საკურორტო პირობების შესასწავლათ, გამგზავნა რაჭაში, სადაც დავყავი 30 დღე—12 ივნისიდან 12 ივლისამდე. იქ ყოფნის დროს მოვიარე რიონის ზემო ხეობა და ყველა ის უფრო საყურადღებო ხეობა და ველები, რომლებიც რიონს აკრავს; ვინახულე უკვე ცნობილი მადნეული წყლები, გავსინჯე სხვა მრავალი, რომლებიც აქამდე ლიტერატურაში არ იყვნენ აღნიშნული, და დავათვალიერე კლიმატიური სადგურების მოსაწყობათ ყველაზე მოსახერხებელი ადგილები.

ჩემი ნაშრომი სავსებით არ სწურავს ჩემგნით დასახულ საგანს. მიზეზი— მეტად მცირე დროა, რომელიც ჩემს განკარგულებაში იყო, და აგრეთვე თითქმის სრული უგზოობა რაჭაში, რომლის წყალობით ბევრი ადგილი დაუთვალიერებელი დამრჩა.

ამიტომ, ჩემს შრომას მიზნათ აქვს მისცეს საზოგადოებას ზოგადი ცნობები; მასში მე ვცდილობ შეძლებისდა გვარათ განვიხილო და ავხსნა ის უმთავრესი ფაქტები, რომლებსაც შეუძლია საჭირო სამსახური გაუწიოს ჩვენს საზოგადოებას. ამ წინასწარი შრომის მიზანიც მიღწეული იქნება, თუ ის შესძლებს აგრეთვე მიაქციოს ყურადღება, ვისიც ჯერ არს, ამ საოცარ სილამაზით და იშვიათი ჰავით დაჯილდოებულ კუთხეს.

I.

გეო-ტოპოგრაფიული მდებარეობა.

საზღვრები.

რაჭის მაზრა მდებარეობს ქუთაისის გუბერნიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში თერგის ოლქის და ტფილისის გუბერნიის საზღვრებზე; იგი წარმოადგენს ვრცელ სამკუთხედს (2718 კვ. კილომეტრი), რომლის წვერი ფასის მთაა,

ძირი კი—რაჭა-იმერეთის ქედი. რაჭა იმყოფება 60° 30′ და 61° 38′ აღმოსავლეთ სიგრძედისა და 42° 22″ და 42° 54′ ჩრდილო სიგანედ შუა. ჩრდილოეთით რაჭა ებჯინება მთავარ ქედის სამხრეთის კალთებს და წარმოადგენს მეტად მთიან ადგილს, რომელშიც მიეშურება ამიერ-კავკასიის ერთი უდიდესი მდინარეთაგანი—რიონი. მაღალი მთები, რომლებიც ყოველის გვერდით აკრავს რაჭას, აძლევენ მას იმ თავისებურ სახეს, რომლის წყალობით ამ კუთხემ უხსოვარ დროიდან მიიღო „რა-ჭა“-ს სახელწოდება.

ამბობენ, რომ ერთმა მეფემ, თავის სამფლობელოში მოგზაურობის დროს დაინახა რა მის ფეხთა ქვეშ გადაშლილი მაღალ მთებით გარშემორტყმული კუთხე, წამოიძახა: „ეს რა ჭაო“!.. მართლაც, ზოგი მაღლობებიდან ეს მაღალი და თითქმის შვეულ კალთებიანი ორმო უზარმაზარ ჭას მოგაგონებთ.

ჩრდილოეთით რაჭას აქვს ამართული მთავარი ქედი, რომელიც თვისი მწვერვალებითა და მყინვარებით შეადგენს განუწყვეტელ ჯაჭვს.

სამხრეთით—რაჭა-იმერეთის მთაგრეხილი, აღმოსავლეთიდან სამხრეთით მიმართული, რომელიც საზღვრავს რაჭას იმერეთიდან.

დასავლეთით—მეორე ხარისხოვანი ქედი გორიბოდო*), რომელიც მთავარ ქედიდან გამოდის; იგი საზღვრავს რაჭას სვანეთიდან, და თვისი გაგრძელებით სამხრეთით, ნაწილობით საზღვრავს ლეჩხუმისგანაც.

სამხრეთ-დასავლეთით საზღვრათ ითვლება ასხის წყალი, რიონის პატარა შემდინარე. ამ ადგილას ნიადაგი შესამჩნევათ დაბლობდება და ქმნის ბუნებრივ კარების მზგავს გასავალს, რომელშიც მიეშურება მდინარე რიონი. რიონი წარმოადგენს ერთად-ერთ მდინარეს, რომელიც აგროვებს მთელ რაჭის წყლებს.

II.

ოროგრაფია.

ოროგრაფიის თვალსაზრისით რაჭა, როგორც ვსთქვით, წარმოადგენს ძლიერ მთიან ადგილს და მდებარეობს მთავარ კავკასიონის ქედის კალთაზე. მას სჭრის მთელი წყება გასწვრივათ მიმავალი ქედებისა მაღალ ხეობებითა და ერთ-ერთმანეთთან შეერთებულ მეორეხარისხოვან შტოებით. მთავარი ქედის ნაწილი, რომელიც რაჭას ეკვრის, შესდგება ეგრედ წოდებულ დიგორის აღ-

*) სამწუხაროთ, რამოდენიმე მთისა და მდინარის საკუთარი სახელები, ჩემთვის უცნობნი, შესაფერ წყაროების უქონლობის გამო, დარჩენილია ამ თარგმანში იმ გამოთქმით, როგორიც ავტორს ნახმარი აქვს ფრანგულ-რუსულ ტექსტებში. მთარგმ.

ბებისაგან, რომელსაც შეგვიძლიან რაჭის ალპები ვუწოდოთ. ესენი მიიმართებიან თითქმის სწორი ხაზით (ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით) და ქმნიან თითქმის გაუვალ კედელს დაახლოებით 42 კილომეტრის სიგრძისა. მათი გაგრძელებას დასავლეთით შეადგენს სვანეთის ალპები, რომლებისგან დიგორის ალპები განსხვავდებიან ნაკლები სიგანით და ნაკლებათ ჩამოთლილ კალთებით. მათი ბუნებრივი გაგრძელება აღმოსავლეთით არის ოსეთის ალპები. მაგრამ აქ მთაგრეხილს სჭრის მდ. არდონის კანიონის ჩეობა, რომელმაც, ამის წყალობით, წყალთა-გამყოფი ხაზი უფრო სამხრეთით დასწია და ოსეთის ალპებიც მისწია ჩრდილო კავკასიისკენ.

რაჭა იწყება დიგორის ალპებში ფასის მთასთან 3796 $^1/_2$ მეტ. სიმაღლეზე. გეზეწვერის უღელტეხილიდან იგი მიიმართება განუწყვეტლივ 7 კილომეტრის მანძილზე ღებიწვერის უღელტეხილამდე. ამის მწვერვალოებს აქვთ სიმაღლე არა ნაკლებ 3800 მეტრისა, ცენტრალური მწვერვალო კი 4297 მეტრს აღწევს. ღებიწვერის უღელტეხილის დასავლეთით აღმართულია დიდებული მასსივი ციხვარგა (4127), ყარაუგომი და ჩრდილოეთით ორთავა ადაი-ხოხი. აქ საზღვრები იხრება სამხრეთით და შამისონის მთასთან იგი სცილდება მთავარ ქედს და გადადის მცირე მამისონის ქედზე. მთელ სიგრძეზე ეს მთავარი ქედი დაფარულია მყინვარებით.

სამხრეთის კალთაზე მოიპოება ამ ჟამათ ჩვენთვის საყურადღებო 12 მყინვარი, რომლებთა სიგრძე 1—6 ვერსს შეადგენს. რიცხვით და სიდიდით ისინი ჩამორჩებიან ჩრდილო კალთის მყინვარებისაგან. მათი ქვემო ხაზი 790—669 შუა გადის. მათ შორის ყველაზე საყურადღებო მყინვარი კირტიშო ანუ მეკიჩა, რომელიც გადაშლილია 6—7 კილომეტრზე და ჩამოდის 796 მეტრ. მაღლობამდე.

მთავარ ქედიდან სამხრეთით მოდის ჩამორეცხვით გაჩენილი და პარალელურათ გაწყობილი შტოები ერთი მეორესგან ღრმა ხევებით დაყოფილი, რომლებშიაც მიეშურება მყინვარებიდან ჩამონადენი წყლები.

შამისონის ქედი მიიმართება სწორი ხაზით ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთით დაახლოვებით 12 კილომ. მანძილზე. მისი უმაღლესი წერტილი ბუბუსხოხ აღწევს 3236 მ., მაშინ როცა უუმდაბლესს—მამისონის უღელტეხილს აქვს 2842 მ. სიმაღლე. ეს უღელტეხილი ყველაზედ მოსახერხებელი გზაა, რომელიც აერთებს ამიერ-კავკასიას ჩრდილო-კავკასიასთან. ამაზე გადის სამხედრო-ოსეთის გზატკეცილი.

კოზი-ხოხთან (3657) მამისონის ქედი ებჯინება უფრო დიდ ქედს, რომე-

ლიც დიდსა და საყურადღებო როლს თამაშობს რაჭის, როგორც ოროგრაფიაში, აგრეთვე ჰიდროგრაფიაშიც. ეს არის ზიკარის ქედი. იგი მიდის რაჭაში მთავარი ქედის გასწვრივ 20 კილომ. მანძილზე და გრძელდება აღმოსავლეთით და დასავლეთით ტფილისის გუბერნიაში და სვანეთში. ზიკარის ქედი მისი აღმოსავლეთის ნაწილში, მამისონის ქედიდან დაწყებული, წარმოადგენს წყალთაგამყოფ ხაზს ჩრდილო და ამიერ-კავკასიის წყლებისათვის. მისი უმთავრესი მწვერვალოები სუ-ხოს (3710), სამაღა (3222) და ზიკარა (3818) დაფარულია პატარ-პატარა მყინვარებით; ამათ რიცხვში ყველაზე დიდი ჯაგნარის მყინვარია და ჩამოდის ზიკარის მთიდან.

ქედის დასავლეთი ნაწილი იმავე გეზით სჭრის რაჭას 40 კილომეტრის მანძილზე. თვისი მწვერვალებით, რომელთა საშუალო სიმაღლე დაახლოვებით 3040 მეტრს უდრის, იგი ქმნის ერთ მთლიან კედელს, რომელსაც ზემო-რაჭის შეაგრეხილი უნდა ვუწოდოთ, და რომელიც მდ. რიონით მხოლოთ ერთ ადგილას არის გადაჭრილი. ზემო-რაჭისა და კავკასიის მთავარ ქედებ შუა მომწყვდეულია მოგრძო ტუაფე, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებნი ბთაულეთს ეძახიან, და რომელსაც ჩვენ ზემო-რაჭას ვუწოდებთ, გასარჩევათ შუა და ქვემო-რაჭისაგან, რაც ეწოდება რაჭის უფრო სამხრეთით მდებარე ნაწილებს.

კოზი-ხოხის შემდეგ გესკე (3207) და დოლომისის წვერის (3258) მწვერვალოებით, რომლებიც დაფარულია მცირე მყინვარებით, ზემო რაჭის ქედი პირდაპირ გრძელდება ზიკარის ქედით. მაღალხიდის და უწერის შუა იგი რიონით გადიჭრება, ხოლო იქით კიდევ მიდის ლაგორას კოხტა მთამდე (3074), რომელიც უზარმაზარ ფრთებგაშლილ არწივს წააგავს. შემდეგ მთა შოდა (3599), თითქოს პატარა მყინვარით შემკული გვირგვინიაო, მეფობს ზმეო და შუა რაჭაზედ. ნაკადებით დათხრილ კალთებით ეს ქედი მიიჭიმება მაღლა, და ტეხილ ხაზზე სტოვებს აღმართულ მწვერვალოებს შეისურას (3179), ბუძღორს, (3226) ბილწიკლდეს და ლუხუნის წვერთან (3198) ხვდება, გორიბოლოს ქედს.

დასავლეთით სვანეთ-რაჭის მთები აგრძელებენ სამხრეთით გორიბოლოს ქედს მწვერვალოებ ლაბიწკარიო (3380), ნიწუოის წვერით (2855) და შუტქარათი (3520). ამ უკანასკნელთან სვანეთ-რაჭის მთები უერთდება ლეჩხუმის ქედს. კიდევ სამხრეთით ქედი გრძელდება ხოროშის თავამდე, აქედან შედის ლეჩხუმის მაზრაში, სადაც თავდება გორშადალა მოიით და ლაილაშის მაღლობებით.

შემდეგ მიდის ქედი ქვა, რომელიც ზემო-რაჭის ქედს სცილდება ბილწკლდესთან და სტოვებს რა ცოტა დასავლეთით სალომგუნოს წვერს (3005)

გრძელდება კვაცხეს (2881) და ქვაცხეს (2350) მაღლობებით და ჩადის კუჭრის (2313) ქვემოთ, რომელიც უფრო სწორი იქნება რომ მივაკუთვნოთ რაჭაში შეჭრილ ლეჩხუმის მთებს*).

ზემო-რაჭის ქედიდან აღმოსავლეთით მიიმართება რამოდენიმე მცირე შტო, რომელთა შორის საყურადღებოა ლორის მთა (2377), საკაოს (საქორიას) მთა (3121) და უწერის მთა (2793). ამ მთებ შუა ჩამორბიან მდ. საკაურის (საქორიას) მარცხენა შენაკადები.

რიონის მეორე ნაპირას ვხვდებით შემდეგ შტოებს: ხვარის ქედს, რომელიც გამოდის დილომის წვეროდან, გამაღის წვერს (1907), რომელიც ძუან-ზენჯიდან იწყება, და მთა გორმადადას (3177).

ქვემო რაჭის ქედი შესდგება მწვერვალთა რიგიდან, რომლებიც ზიკარის ქედს სცილდებიან ზიკარის მთასთან, აქვს საერთო მიმართულება აღმოსავლეთიდან დასავლეთით და წარმოადგენს რაჭის სამხრეთ საზღვარს. ამ მთაგრეხილში უნდა გავარჩიოთ ორი ნაწილი: ა) პირველი, აღმოსავლეთის—წარმოადგენს საზღვარს რაჭასა და ტფილისის გუბერნიის შორის; იგი უნდა გავსინჯოთ, როგორც ჩრდილო ნაწილი მესხეთის მთებისა, რომელნიც ამიერ-კავკასიას ორ აუზათ ყოფენ: აღმოსავლეთ—მტკვარის აუზათ, და დასავლეთ—რიონის აუზათ; იგი წარმოადგენს ზიკარის მთიდან სამხრეთ-დასავლეთით გამოშვერილ შტოს; მისი უმაღლესი ნაწილი არის ძაჩხარა-ხოხია (2998); აქედან მთები სამხრეთით დაბლდებიან და აღწევენ ერწოს ზეგანამდე (1766); ამ კუთხის მთების სიმაღლე არ აღემატება 1824 მეტრს; ბ) რაჭა—იმერეთის მთაგრეხილის დასავლეთი ნაწილი, თუმცა ტოპოგრაფიულათ წარმოადგენს მისი აღმოსავლეთი ნაწილის გაგრძელებას, განსხვავდება მისგან როგორც ოროგრაფიულათ, აგრეთვე გეოლოგიური აგებულობით. დაწყებული ერწოს ზეგანიდან, დაახლოვებით 80 კილომეტრის მანძილზე რაჭა-იმერეთის მთაგრეხილი ასრულებს საზღვართა გამმიჯვნელის როლს რაჭასა და იმერეთ შორის.

ამ ქედის საშუალო სიმაღლე 1917 მეტრს აღწევს. მრავალი უღელტეხილებიდან ყველაზედ შესამჩნევია ნაქერალის უღ.-ტეხ. (1215), რომლითაც გადის რაჭისა და იმერეთის შემაერთებელი გზატკეცილი. ნაქერალის იქით, ჩრდილოეთ კალთაზე გადაშლილია ვრცელი და წარმტაცი ნიკორწმინდის ჭალატო (1094 მ. დაახლოვებით). ამ გრძელ ქედიდან გამოდის ჩრდილოეთ-დასავლეთით მთელი რიგი დაბალ და გამოჩუტულ შტოებისა.

*) ლუხუნის წყალი ყოფს ამ მთას ლეჩხუმის ქედისაგან.

ესენი შემდეგია: ქედი წონა, რომელიც ერწოს ზეგანთან იწყება და შემდეგ კუდაროს ხეობას ხურავს. მეორე ქედი ფრონის მთიდან მწვერვალოებით ფოცხრეკი (2395), ფერწითელა (1955) და სხვაკის მთა, აღწევს რიონის მარჯვენა ნაპირით ლეჩხუმამდე, სადაც თავდება ლაილაშის ჩრდილოეთით მაღლობებით. სამხრეთით მაღლობთა წყება ვედოხეკიდან (1917) დაწყებული გრძელდება ვეღეკის და ხოტევის მთის მაღლობებით; აქ ისინი შეადგენს ნიკორწმინდის ჩრდილო საზღვარს. შემდეგ მიდის რიონის მარცხენა ნაპირით იმ ადგილამდე, სადაც რიონი სჭრის მათ საირმესთან.

აი საერთოდ და მოკლეთ მაღლობების მოხაზულობის სქემა, რომლებიც წარმოშობილია ტექტონურ და მეტეორულ ძალთა ურთი-ერთ ზედგავლენით მთელს ამ მხარეში.

ამ მთაგრეხილთა შორის მიმდინარე რიონმა და მისმა მრავალმა შენაკადმა გათხარეს აუარებელი თვალ-წარმტაცი სილამაზის ველები და ხეობები, რომლებსაც გადმოყურებენ მაღალი მთები თოვლ-მყინვარებით მორთული მწვერვალოებითა და ტყეებით მობურულ კალთებით.

ტოპოგრაფიული პირობები საშუალებას გვაძლევს გავყოთ რაჭა სამ ნაწილად: 1) ზემო-რაჭა მთავარი ქედისა და ზემო-რაჭის ქედ შუა მომწყვდეული, რიონის ზემო ნაწილის ფართო ველით (ამის მაღლობები 1094 აღემატება), რომლის 10,000 მეტრზე მაღლა აშვერილი მწვერვალოები მუდმივ თოვლ-მყინვარებით არიან დაფარული. ეს ხეობა ვენახისა და სიმინდის ხაზის მაღლა სძევს.

2) შუა-რაჭა იშლება სამხრეთით იმ მაღლობთა ხაზამდე, რომლებიც ქმნიან ხიდისკარის ხეობას; ეს მხარე ხასიათდება უფრო დაბალი მწვერვალოებით, რომლებიც იშვიათათ თუ აღწევენ მარადი თოვლის კიდემდე; ამ კუთხის უმთავრესი ნაწილი ტყეებითაა დაბურული. აქ მოყავთ ვენახი და სიმინდი.

3) უფრო სამხრეთით მდებარეობს ქვემო-რაჭა. აქ მაღალი მთა იშვიათია, რომლის სიმაღლე აღწევდეს 1200—1500 მეტრს. ქვემო რაჭა განსხვავდება დანარჩენი ნაწილებისაგან ვრცელი და გახსნილი ველებით და ზეგნებით. მის შუა გულში სძევს დასავლეთით—ლეჩხუმისაკენ გადახსნილი ტუაფე. აქ ტყე იშვიათია; ეს ვენახის ზონაა*).

*) ამ დანაწილებას არა აქვს აბსოლიუტური ხასიათი. ქვემო რაჭის ან შუა რაჭის ზოგი მთიანი ადგილები მოგვაგონებენ თვისი ხასიათით ზემო რაჭას. მაგალითად, ნიკორწმინდა სიმაღლით ქვემო რაჭაშია, ხოლო შქმერი, კუდაროს ველი, ურავის მაღლობი—შუა რაჭაში.

III

ჰ ი დ რ ო გ რ ა ფ ი ა.

მდინარე რიონს, რომლის ნამდვილი აკვანი რაჭაა, თვისი სიდიდით უკავია უუპირველესი ადგილი ამიერ-კავკასიის წყლებთა შორის; მხოლოთ მტკვარი და არაქსი აღემატება მას. სათავედან შავ ზღვაში შერთვამდე იგი მიიკლაკნება 300 ვერსის მანძილზე და თვისი წყლების სისტემით ასაზრდოებს რაჭას, ლეჩხუმს, იმერეთს, გურიას და სამეგრელოს. რიონი იწყება რამოდენიმე სათავეთი ფასის მთიდან. დასავლეთის სათავე შესდგება რამოდენიმე ნაკადიდან, რომლებიც ფასის მთის აღმოსავლეთის კალთიდან ჩამოდის, იმ კუთხიდან, რომელსაც ქმნის მთავარი ქედი და გორიბოლოს ქედი. ეს მთის ნაკადი უერთდება მეორე ნაკადს, რომელიც გამომდინარეობს ედენას მთის დასავლეთ კალთაზე მდებარე მყინვარიდან. ასეთის გზით შემდგარი რიონი მიეშურება ჩრდილოეთიდან სამხრეთით გორიბოლოს ქედის და ბოდურეშის მთაგრეხილის შუა.

1528 მ. სიმაღლეზე ზემო-რაჭის ქედის ძირში რიონი უცებ უხვევს და მიდის დასავლეთით, სჭრის ფართო და გრძელ ხეობას მთავარ და ზემო-რაჭის ქედებს შუა. აქედან იგი უხვევს სამხრეთით და მოხაზავს რა დიდ ოდრივალს, მარცხენა ნაპირზე სტოვებს სოფ. ღებს; შემდეგ ჩაუვლის სოფ. ჭიორას. ედენის მთიდან პატარა ხევათ ჩამომდინარე, ზემო რაჭის საზღვარზე მაღალხიდის იქით რიონი წარმოადგენს უკვე დიდსა და აზვირთებულ მდინარეს.

რიონის ყველაზედ საყურადღებო შემდინარეები არის — მარცხენა მხრით მთავარ ქედიდან ჩამომდინარე შენაკადები. პირველი მათგანი ზოფხიტურაა, იგი იწყება ზოფხიტოს მყინვარიდან, რომელიც მიეშურება ბოდურეშის და წყნელეთის ქედებს შუა როდოდენდრონითა და ყვავილებით მორთულ კალაპოტით.

სოფ. ღებამდე რიონს ერთვის რამოდენიმე შემდინარე, რომლებიდან ყველაზედ საყურადღებოა ფორხიშული, რომელიც ჩამორბის რამოდენიმე ჩანჩქერით; მისი ხმაურობა მრავალ-ხმიან უპუთ ეფინება მიდამოებს. ღების ახლოს რიონს ერთვის მდ. ჩოშური, რომლის წყლები შეკრებილია რამოდენიმე მყინვარიდან (მიკიჩა, დომბა, ციხვარგა). სოფ. ჭიორას ქვემოთ, რიონს ერთვის მყინვარ ყარაურგომიდან გამომდინარე სატარეული. დაბოლოს, მაღალხიდის ახლოს რიონს ერთვის შენაკადი ჩანჩახი აგრეთვე გლოდას წყალთ წოდებული, გასარჩევათ ღების წყალისაგან, რომლის სახელით ხშირათ თვით რიონს



მაღალ-ხიდი და მდ. რიონი სოფ. გლოლას მახლობლად.

ნათლავენ; ამ შენაკადის ხეობას უნდა მიექცეს უუდიდესი ყურადღება კუ-
როორტების მოწყობის დროს.

რიონის მარჯვენა შენაკადები უფრო ნაკლებია. დავასახელებთ შემდეგს:
რუბოძალი, შეუსური, მუხამეში, შოდურა, ლაგორია—ეს მცირე შემდინარეები ჩა-
მორბიან ზემო-რაჭის ქედიდან.

მაღალხიდის შემდეგ რიონი სცილდება ზემო-რაჭის ხეობას და ზ.-რაჭის
ქედშივე გაჭრილ გასავალით მიდის შუა რაჭაში. წიდრო-ციხის ქვემოთ, რო-
მელიც წარსულ დროში ამ ხეობას იცავდა, რიონის ხეობა ფართოვდება და
რიონიც შედის უწერის აუზში, რომლის მადნეული წყლები დიდი ხანია გან-
თქმულია. უწერის სამხრეთით გოშიდა მიაქანებს წყალს დილომის წვერიდან.
აქედან რიონი მიიქცევა სამხრეთ-დასავლეთისკენ, კალაპოტი ვიწროვდება
ვულკანიურ მასივებ შორის და, სტოვებს რა მარჯვენა ნაპირის მაღლობებზე
პატარა სოფელს ქეგლეგს, იერთებს მარჯვნივ შენაკ. სქაფს (სქოფრიას ხევს).
ამ უკანასკნელს 30 ვერსი აქვს სიგრძე, და იწყება ლუხუნის წვერზე. იგი
მიაქანებს აქაფებულ ტალღებს ზ.-რაჭის სამხრეთ ქედების—ერთის მხრივ და
ქვაციხესი და კუპრის მთებ შუა—მეორეს მხრივ. აქ, მარცხენა ნაპირზე მდე-
ბარეობს რაჭის მთავარი ადმინისტრატიული ცენტრი, დაბა ონი. მდ. ჯო-
ჯორთან შეერთების შემდეგ, რიონი ძალზედ იმატებს წყალს, ვინაიდან ჯო-
ჯორი თვისი 60 ვერსის გზაზედ აგროვებს წყლებს, რაჭის მთელი სამხრეთ
აღმოსავლეთი ნაწილებიდან (კუდაროს ხეობა). ონის აუზიდან გამოსვლისთა-
ნავე რიონის ნაპირები ისევ მიიწევიან, მდინარეც მიემართება აღმოსავლეთი-
დან დასავლეთით.

მარცხნივ რიონს ერთვის მდ. ხეორი, რომელიც ხიხა-მთიდან ჩამოდის.
სოფ. სორთან რიონი იერთებს მდ. სოსიარულას, რომლის ხევშიც მოიპოვება
განთქმული რკინის წყლები. სორის იქით რიონი სჭრის დიდს ვულკანიურ
მასივს, სადაც კალაპოტი მეტად შევიწროებულია; აქ რიონი მოაგორებს ტალ-
ღებს ვულკანიურ ხასიათის მაღალ და ლამაზ მთაზე აყუდულ „მინდა-ციხის“
ძირში, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაუკარგავს თვისი სიდიადე. აქ რიონს
ერთვის ლუხუნის წვერიდან ჩამომდინარე ლუხუნის წყალი.

მარჯვენა ნაპირზე სოფ. წესის დატოვების შემდეგ, რიონი ცოტა სამხ-
რეთით იწევა და მთელი თავისი სიძლიერით იჭრება ხიდის-კარის ხეობაში, ამ
ბუნებრივ „კარში“, რომლითაც ეს მდინარე შუა რაჭიდან გამოდის, მისთვის,
რომ მთელი თვისი სიდიადით ქვემო რაჭის კალთებზე გარდიშალოს.

ხიდის-კარიდან გამოსვლის შემდეგ, მარცხენა მხრიდან ამბროლაურთან
რიონი იერთებს ხოტევის მთიდან ჩამოსულ შენ. ხოტევურს. სოფ. საკეციას-



რიონის დაბლობი უწერაში.

თან მას ერთვის ზნაკვის ბორცვებიდან ჩამონარბენი მთის ნაკადი, მის პირდაპირ კი, მარჯვენა მხარეზე,—დიდი მდინარე რიტეული. ჭრებალოსგან რამოდენიმე ვერსის დაშორებით, რიონი იერთმბს ასხის-წყალს, რომელიც რაჭისა და ლეჩხუმის მაზრების საზღვრათ ითვლება.

ჭრებალოს შემდეგ რიონი მარჯვნით რწყავს ლეჩხუმს, მარცხნით რაჭას და მიექანება მაღალ ნაპირებს შუა ცარციან კირნარებში გათხრილ კალაპოტით. ამ რაიონში იგი იღებს მხოლოთ ერთს დიდ შემდინარეს შარაულას; ამ მდინარის ღრმა ხეობას, მაღლა ნაქერალის მშვენიერი ტყეების ქუდი ხურავს. შარაულა ჩამოდის ნიკორწმინდის ცემიდან, რომელიც ნიადაგქვეშა კალაპოტით აწვდის მას ამ ცემზე შეგროვილ წყლებს მდ. შაორას დახმარებით.

შაორა პატარა და წყნარი მდინარეა, იგი ზანტად მიიკლაკნება ნიკორწმინდის ზეგანზე; თითქოს უძლურმა, რომ გაეჭრა გზა მცირე ბორცვებში, რომლებიც აშორებენ ზეგანს ხოტეურის აუზიდან, მან არჩია გამქრალიყო კირნარიან ნიადაგის ნაპრალებში, რომლებიც ამ ჟამად ნამდვილ გამოქვაბულებს წარმოადგენენ. ერთ-ნახევარ, ორ ვერსის მანძილზე შაორა მიდის მიწის ქვეშ და ისევ გამოჩნდება ჭელიშის უდაბნოს მონასტერთან გამოქვაბულის დასავლეთით, სადაც აჩენს მდ. შარაულას.

შარაულას მიღების შემდეგ, რიონი ერთი გვერდით მაინც ეკვრის რაჭას. უკვე დიდ მდინარეთ ქცეული ალპანის (359 მ.) ქვემოთ იგი სამუდამოთ სტოვებს იმ მშვენიერ მხარეს, სადაც იშვა, იზარდა და უაღრეს განვითარებას მიაღწია.

ლეჩხუმში რიონი ჯერ კიდევ განაგრძობს მთებს შუა სვლას, გადის ტვიშის მოხთენილ ხეობით, მაგრამ ბუნება აქ უკვე აღარ ეგებება მას თოვლიან მაღალ მწვერვალოებით და უდაბურ ტყეებით შემოსილ კალთებით. ქუთაისის შემდეგ მდინარე საბოლოოთ შედის ჭაობიან დაბლობში, სადაც იგი თავისუფლათ იშლება თვით შავი ზღვის შეერთებამდე.

მთელ გავლილ გზაზე ($320^1/_2$ კილომ.) რიონი არ აჩენს არც ერთს დიდ ტბას. შეხვდებით ხოლმე ისეთ დაგუბულ წყლებს, რომლებსაც „ტბებს“ ეძახიან, მაგრამ მათი დიამეტრი რამოდენიმე საჟენსაც არ აღემატება, როგორც მაგალითად „ხარის-თვალის ტბა“ შაორის ველში, ნიკორწმინდის ახლოს, რომელიც მზის ერთგვარ გაშუქების დროს ხარის თვალს მოგაგონებთ. შემდეგ დავასახელებთ საქაოს ტბას; იგი მდებარეობს საქაოს ზეგანზე შოდას ძირში. სასვანის ტბა, რომელიც მამისონის უღელტეხილის ძირშია, წარმოადგენს ჭაობთა ჯგუფს, რომლის წყალით მხოლოთ ნახირი თუ იკლავს წყურვილს.



ტბა ხარის-თვალი სოფ. ნიკორწმინდის მახლობლად.

IV

გ ე ო ლ ო გ ი ა.

გეოლოგიური თვალთსაზრისით რაჭა შედგება მთელი რიგი გადაბრუნებულ ნაოჭებიდან, რომლებიც იმყოფება მთავარ ქედის სამხრეთ კალთაზე და რომლის გაგრძელებას შეადგენს ქვ.-რაჭის სინკლინალის ღრუ.

მთავარი ქედის ღერძი—ფასის მთიდან კახარის ხეობამდე—შესდგება რუხი და ვარდისფერი გნეისის გულიდან და საქსის გვარის ჯიშებიდან. გნეისი და საქსი ერთი მეორეში შერეულია, ესენი ხშირათ გადაჭრილია ხოლმე გრანულიტის და პეგმატიტის ძარღვებით. [1]).

ჩვეულებრივათ გნეისის მაღლა სძევს მიკაშისტი და ხლორიტიანი ფენიანი, რომელიც მრავლათ მოიპოება დასავლეთ ნაწილში (სვანეთში). მაგრამ აქ, ეტყობა, მათ მცირე ადგილი უჭირავს.

ამ ჯიშებს პირდაპირ მოყვება ფენიანები, რომლებსაც თანხმათ გეოლოგ **ფავრის** მიერ აღმოჩენილ Botryopteris Hell.-ის კვალისა, პალეოზოის ფორმაციებს მიაწერენ. ამ „პალეოზოის ფენიანებს“ უკავია ზემო რაჭის მთელი ხეობა და ქედები ზ.-რაჭის, ზიკარის, მამისონის და გორიბოლო. ეს ფენიანები უმთავრესათ იასპისაა და ხშირათ აბრეშუმის ელფერით. მათ შორის ხვდება კირიანი ქვიშნარის და კვარციტის (ოგვმარილას ოჯახობის) მსხვილი ფენები. ყველა ეს კეცები ანუ ტალები ძლიერ დამტვრეული და შეტრიალებულია, რის გამო მათი ურთი-ერთობის გამოცნობა ძნელია. მიუხედავათ ამისა, ცხადია, რომ მათ აქვთ საერთო დაქანება ჩრდილოეთისაკენ მიკაშისტის და გნეისის ქვეშ შეტრიალების გეზით. ერთს ასეთ გაშიშვლებას ვხედავთ რიონის ხეობაში ჭიორიდან უწერამდე. რიონისა და ჩანჩახის ხეობები, უეჭველია, წარმოიშვენ ამ ფენიანების ნაწილის ჩამოხეთქით. ზოგი გეოლოგი[2]) ფიქრობს, რომ ამ ჩამოხეთქას მოყვებოდა იმ ადგილების აწევა, რომლებიც ცეხვის ხაზიდან სამხრეთით მდებარეობენ. ნიადაგის ასეთმა აწევამ გააჩინა ზიკარის და ზ.-რაჭის ქედები, ისე რომ, აქ ჩვენ ვხედავთ „horst“-ის მაგვარ მოვლენას. ასეთი შეხედულება საუკეთესოთ ახსნიდა როგორც გვერდითი ქედების გაჩენას, აგრეთვე მთავარი ქედის გასწვრივ მიმავალი მთაგრეხილებისა

[1]) გრანულიტის ჯიშები, რომლებიც ნაპოვნია მყინვარების ძირში, მსხვილ-მარცვლოვანი აგებულობისაა. ისინი ცოტა წააგავენ ალპების პროტოგიპურ საქსს. ამის გარდა ხშირათ ქარსის კოისტალები გაწყობილია პარალელურ ფენებათ, რაც ამ ჯიშს ფენიანის ხასიათს აძლევს და რომლის წყალობით გნეისს ემზგავსება.

[2]) სმირნოვი.

და ხეობების წარმოშობას. მცირე და ხან-მოკლე დაკვირვებანი, რომლებიც მე მოვახდინე, ნებას არ მაძლევენ ვამტკიცო ასეთი შეხედულობა.

პალეოზოის კეცებზე სდევს ტალები, რომლებიც ეკუთვნიან დაახლოვებით ლიასს, და რომლებიც აგრეთვე ფართო ზოლით მიეშურებიან დასავლეთით და აღმოსავლეთით მთავარი ქედის მთელ სიგრძეზე. უნდა ითქვას, რომ განსხვავებას ლიასებათ წოდებულ კეცებისა და პალეოზოის ტალებ შორის უფრო თავისუფალი ხასიათი აქვს. ნამდვილათ კი მათი თვისება თითქმის ერთგვარია. ფევრის, სიმონოვიჩის და სხვათა მიერ გამოთქმულ მოსაზრებასთან ერთად, მეც ვფიქრობ, რომ საზღვარი მათ შორის გადის სოფ. უწერის სიმაღლეზე. როგორც პალეოზოის ფორმაციებში, აქაც მოიპოება იასპის ფენიანი, კვარციტი, ქვიშნარი და კირნარი. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს უკანასკნელები მით უფრო მეტ ადგილს იჭერენ, რაც უფრო მეტად შორდებიან ქვედა კეცებს. ლიასის კეცებში ბევრი ნაპრალია, ამოვსებული კალციტის და კვარცის (თაგვმარილას) ძარღვებით. ადგილ-ადგილას ემჩნევა ქვანახშირისა და კაჟის მარგულები. ამონათხარი არ ხვდება, გარდა გამოურკვეველ მცენარეების ნაწილებისა (ჭალას ხრამი, ონის ახლოს, სორის მიდამოები, ჩხეფურის ხეობის ფენიანი). ლიასის ფენიანები ონისა და სორის შუა ძლიერ დანაოჭებულია. შემჩნეულია დაახლოვებით 10 სინკლინალი ნაოჭი.

ლიასს მიყვება შუა და ზემო იურის ფორმაციები, რომლებიც ვრცელდება ერწოს ცემიდან ასხის-წყალამდე და გადის მის იქითაც სოფელ ქორთათი და სორით. ქვიშნარის კეცებს, რომლებშიც მრავლათ მოიპოება მცენარეთა ნარჩენები (Pterophylum pecopteris), ჩვენ მივაწერთ შუა-იურის ფორმაციებს. ამ ნარჩენებს ვპოულობთ სორის და წესის ჩრდილოეთით. აქ იპოვეს გიშერი (ლიგნიტი), რომელიც ტყიბულის გიშერს მეტად წააგავს.

ზემო-იურის ფორმაცია შესდგება ჩამონახეთქი ჯიშების ტალებიდან, ფერადი, წითელი და მწვანე თიხიდან, რომელშიც მრავლათ არის თაბაშირი, ცხოველების და მცენარეთა ნაწილებს მოკლებული. ფერადი თიხა გარკვევით სჩანს მარჯვენა ნაპირზე სოფ. ზემო-ბართან და ფარახეთთან. ამის ზევით, იქ, სადაც ჯერ კიდევ შერჩენილია, ძევს რბილი ანუ ფხვიერი ქვიშნარი და კირიანი ქვიშნარი, რომელშიც პოულობენ Trigonies sp. ind.-ს. ყველა ეს იურის ტალები გამოდის სამხრეთით რაჭა-იმერეთის ქედის სამხრეთ კალთის ძირიდან; მათი დანახვა გარკვევით შეიძლება ნაქერალის მთის გაშიშვლებულ ადგილებზე და ტყიბულშიც.

ამ კეცებზე სძევს მთელი სერია ცარცის ფორმაციისა, რომელიც აჩენს ქვ.

რაჭის სინკლინალის ფრთებს. სწორეთ ამ კეცებში აქვს გაჭრილი გზა რიონს ხიდის-კარისა და ტოლას შუა. ამ სინკლინალის ჩრდილო ფრთასთან ცარცის ფორმაციები აჩენენ ფერდობთა გრძელ წყებას, რომლებიც ფოცხრევის მთიდან მიეშურებიან დასავლეთით ლეჩხუმში, სადაც წარმოშობენ გორმაღალა მთას და ლაილაშის მაღლობებს. სამხრეთის ფრთა ქმნის რაჭა—იმერეთის მთაგრეხილს ნაქერალითა და ნიკორწმინდის მაღლობებით. აქ ვხედავთ ცარცის ფორმაციის ყველა სართულებს. სამხრეთის ფრით ქვემო-ცარცის ნაწილი კარგათ სჩანს ნიკორწმინდის ზეგანზე და ნაქერალაზე, სადაც ისინი გაწყობილია პირდაპირი, სწორი და ნორმალური მორიგეობით ზემო-იურის ფორმაციაზე.

ქვევით სძევს ნეიკომის სართული, რომელიც შესდგება ნესტვიანი, დოლომიტურ კირნარიდან და რომელშიც მრავალათ გვხვდება ძნელათ გამოსარკვევი Gasteropodae-(cerithes)-ის კვალი და Terebratula pseudojurensis-ის იშვიათი ნარჩენები.

ამის მაღლაა ბარეშის სართული, რომელიც წარმოადგენს კაპროტინულ კირნარის უზარმაზარ შრეებს, და რომელიც შესდგება მაგარ და მკვრივ ქვიშნარიდან; ეს ქვიშნარი იტეხება ნიჟარისებურათ და ხშირათ სუბლიტოგრაფიულათაც.

ამ კირნარის ხეფრო რბილ ნაწილებში მოიპოება Caprotina ammonia d'Orb., Rynchonella, Terebratulla, ზღვის ზღარბის ნაჭუჭები და ხიჭვები, და Bryozoa—ს ნარჩენები. ბევრია აგრეთვე მარჯანის ნარჩენები.

ეს კირნარი დასერილია წყლების ზედ-მოქმედებით გაჩენილ მრავალ ნაპრალებით. ამ გარემოებით აიხსნება ძაბრის მზგავსი ღრუების და გამოქვაბულთა გაჩენა. მაგალითად, მდ. შაორა ნიკორწმინდასთან იკარგება ბარემის კირნარის ერთს ასეთ ნაპრალში და ორი ვერსის დაშორებით ისევ გამოდის გამოქვაბულიდან უდაბნოს მონასტრის მახლობლათ. ასეთის გზით გაჩნდა ნიკორწმინდის და ნაქერალის გამოქვაბულები. უკანასკნელი ცნობილია „საეინულეს“ სახელწოდებით, რადგან მთელი ზაფხულის განმავლობაში აქ ინახება ყინული. ამ გამოქვაბულის და აგრეთვე სხვა კვამლიანი გამოქვაბულების წარმოშობას ადგილობრივი მცხოვრებლები მავნე სულს მიაწერენ.

ყინულის შენახვა ამ გამოქვაბულებში ზაფხულობით აიხსნება ზამთრის სიცივითა და თვით გამოქვაბულთა მდებარეობით. მათ გახსნილი მხარე ჩრდილოეთით აქვთ მიქცეული, ეს ხელს უწყობს ზამთარში თოვლის დაგროვებას და ზაფხულში კი იფარავს ყინულს მზის ცხელი სხივებისაგან. ამის გარდა ადვი-

ლათ შესაძლებელია, რომ გამკრავი ქარები, რომლებიც მრავალი ნაპრალების წყალობით მუდამ უბერავს აქ, აცივებს ჰაერს გამოქვაბულებში.

რაც შეეხება ზამთრობით აკვამლებულ გამოქვაბულებს, მათი გამოცნობა ძნელი როდია. როგორც კი გარეშე ტემპერატურა ზამთრობით გაყინვის წერტილს უახლოვდება, გამოქვაბულის ბევრათ თბილი და მსუბუქი ჰაერი გარეთ მიეშურება. გამოქვაბულისა და გარეშე ტემპერატურის სხვადასხვაობის მიზეზით, ჰაერი გამოსვლისას ორთქლათ იქცევა, რომელიც მით უფრო შესამჩნევია, რამდენათაც ტემპერატურის განსხვავება დიდია.

ბარემის ფორმაცია მთელი მისი ზემო ნაწილში შეუმჩნევლათ გადადის ალბინის ფორმაციაში, რომლის ქვემო კეცები შედგება ქვიშიან კირნარიდან; ეს უკანასკნელი სავსეა ამონათხარით. აქ ვხვთებით მრავალ ამონიტს. ყველაზედ უფრო დამახასიათებელ ფორმებიდან სოფ. ნიკორწმინდასთან ნაპოვნია შემდეგი ფორმები:

Ancyloceras Matheromanum d'Orb.
Crioceras Duvali d'Orb.
Hamites ornatus d'Orb.
Belennites semicanaliculatus Blv.
Exogira aquila d'Orb.
Plicatula placunea Lam.
Plicatula inflata saw.
Rynchonella Iata saw.
Rynchonella multiformis d'Orb.
Panopea.
Pholadomya

და მრავალი ჯერ კიდევ გამოუცნობი ფორმა.

ამის ზემოთ მდებარე კეცებში, რომლებიც ალბინის ფორმაციაში გადადიან, არის მერგელის (ქვიშნარი ქვა-კირი-თიხას ნარევი) მდიდარი Belemnites minimus List-ით. აქ პოულობენ აგრეთვე Phyloceras Velledoe Mich-ს.

ალბინის კეცები შემდგარია მერგელის კირნარიდან და მაგარი გლაუკონიურ კირნარიდან, რომელშიაც პოულობენ Belemnites minimus Litt, Plicatula guigifes, Desmoceras Majorianus Orb, Baculites...

ალბინის კეცები სჩანან სოფ. ჭელიას-ღელეს მახლობლათ და გზაზედ ნიკორწმინდისკენ, სადაც შეგროვილია სწორეთ ეს ნიმუშები.

ყველა ეს ქვემო-ცარცის კეცები მიექანება ჩრდილოეთით, ხოლო ბარემის და აპტინის—ქმნიან ნიკორწმინდის მიმართულებით მცირე ანტიკლინალურ ხვეულს, რომლითაც თვით ზეგანის წარმოშობა აიხსნება.

სინკლინალის ჩრდილო ფრთაში აკლია ქვემო-ცარცის რიგის რამოდენიმე კეცი. ეს მოხთა ზოგი კეცების ჩამოხეთქის წყალობით. ასე, ხიდისკარის ხეობაში, სადაც ვხედავთ საყურადღებო გაშიშვლებას, ბარემის ფორმაცია პირდაპირ ზემო-იურის ფორმაციაზე დევს. შესაძლოა, რომ ზოგი კირნარები (დოლომიტური), რომლებიც წაგავენ ნაქერალის ხამანწაკიან ქვიშნარებს, უნდა მიგვეწერა ნეოკომის ფორმაციისთვის. ამონათხართა მოუპოვლობამ ხელი შემიშალა ამ კეცების წლოვანობის გამორკვევაში. მაგრამ ის კი ცხადია, რომ კირნარები, მერგელი, გლაუკონური ქვიშნარი, აპტინის და ალბინის ტალები სრულებით გაქრენ. უფრო აღმოსავლეთით—შქმერის და ქორთას რაიონში, ონის სამხრეთით, ვამჩნევთ, რომ სინკლინალის აღმოსავლეთ კიდეს, რომელიც ძირულის მასივს ეყრდნობა, განუცდია—აწევის დროს—ძლიერი დაწოლა, რასაც გამოუწვევია მრავალი ნაოჭების გაჩენა; ამ პროცესში მონაწილეობდენ აგრეთვე იურის სართულებიც. მაგრამ დაჭიმვის მიზეზით ამ ნაოჭებში ალაგ-ალაგას ზოგი კეცები გაქრა და ასეთის გზით წარმოიშვა ის სურათი, რომელსაც ეხლა ვხედავთ—მთის ნაოჭებს ჩამონახეთქებით. ამ უბნის დასავლეთით მდ. ჯოჯორის მარჯვენა მხარეზე ერწოს მიდამოებში ვხედავთ, რომ კაპროტინული კირნარი პირდაპირ ეკვრის იურის ფორმაციებს.

ცარცის ზემო ფორმაცია დევს ნორმალურათ ქვემო ფორმაციაზე, ხოლო აქ ცხოველთა ნაშთების უქონლობა ხელს გვიშლის გავარჩიოთ სართულები. საერთოდ მხოლოთ ლიტოლოგიური ხასიათი თუ შეგვაძლებინებს ამას; ასე, ამ საშუალებით ვარჩევთ ნიკორწმინდის და ხოტევის შუა არსებულ გლაუკონიურ ქვიშნარს, რომელიც მიყვება ალბინის ფორმაციას და რომელიც წარმოადგენს სენონს. ზემოთ მოიპოება მაგარი და მკვრივი კირიანი ქვიშნარი, რომლის ზემო ნაწილი შეიცავს კაჟის ფენებს; ასეთივე ხასიათის უნდა იყვეს ყველა დანარჩენი სართული ზემო-ცარცისა. მდ. სხის-რუით გადაჭრილი, ესენი გრძელდებიან ლეჩხუმში, სადაც შეადგენენ ლაილაშის ზეგანის მაღლობების ნაწილს და ლაჯანურის და ცხენის-წყალის ხრამებს, ორბელისა და მურის მახლობლათ.

სინკლინალის სამხრეთი ფრთა ქმნის ხოტევის მთებს და ზნაკოს სამხრეთით მდებარე მაღლობებს. რიონი ტოლასთან შორდება რა სინკლინალს, გადაჭრის ამ ფრთას, რომელიც მარჯვენა ნაპირზე აშენებს საირმე მაღლო-

ბებს. აქ ვამჩნევთ ქანების საყურადღებო გამოჩუტვის მოვლენას, რომელიც მთებს ფანტასტიურ არქიტექტურულ სახეებს აძლევს.

ქვემო-რაჭის სინკლინალის ღერძი შესდგება მესამე ეპოქის (ფორმაციის) ტალებისაგან, რომლებიც გრძელდებიან ფრთებშიაც.

ეს ნეოგენის კეცები შესდგებიან მერგელის დაფურცლურ ქვიშნარისგან, რომელშიც სჩანს თევზის ქერქლის კვალი (თევზის-სართული). ამ კეცებს აწვება გლაუკონური ქვიშნარი, რომელშიც გვხვდება სილის ფენები, მეტად მდიდარი ფუკოიდებით და მცენარეთა ნიშნებით.

ეს კეცები, რომლებიც ეკუთვნის ზემო-ეოცენს, აწევს პირდაპირ ცარცზე და ემჩნევა მათი ტრანსგრეცია. ამ აუზში არსად არ გვხვდება ნუმულიტიანი ქვიშნარი, რომელიც ახასიათებს ლეჩხუმის შუა-ეოცენს.

ოლიგოცენი თითქმის არ მოიპოება, და ეოცენის მაღლა დევს სარმატის ფორმაცია. იგი წარმოადგენს ქვიშნარს, უხვათ იძლევა ამონათხარებს, მას ნიჟაროვანი კირნარის სახე აქვს. იგი კარგათ მოჩანს ხიმშის მიდამოების გაშიშვლებულ ადგილებში. სარმატის ფორმაციის ზემო ნაწილში მკაფიო ნიშნებია კონგლომერატისა, რასაც ცხადი ლაგუნის წარმოშობის ხასიათი აქვს. აქ მრავლათ მოიპოება:

Bulla Longokaireana Fich.
Trochus podolicus Fich.
Tapes gregaria Parts.
Cardium obsolatum Eich
და მრავალი paludina და planorbis.

ეს პირდაპირი განმეორებაა იმისა, რასაც ვხედავთ ზესტაფონის და შორაპნის მიდამოებში. აქაური კეცები დანაოჭებულია ისე, როგორც ყველა ზემოთ. ესენი, ეჭვს გარეშეა, მოექცენ ტექტონიურ-პოსტსარმატიულ პროცესებ ქვეშ, რამაც დიდ კავკასიას საბოლოოთ მისცა სამხრეთისკენ შებრუნებული სინკლინალის სახე.

ამ კეცებზე, რომლებიც დალექვით წარმოიშვენ, ძევს შემდეგი ფორმაციები, რომლებიც იკავებენ რა ხეობების დაბლობებს, ცემებისა და ტერასების ზედაპირებს, წარმოადგენენ მყინვარების, მადნეული და სხვა წყლების მოქმედების შედეგს.

რაჭის ალპების ახლანდელი მყინვარების მოქმედება უფრო ძლიერი იყო, რასაკვირველია, მყინვარების ხანაში; მათ მიერ დატოვილი ვეებერთელა მორენები მჭერმეტყველებენ ამას. გნეისის და საქსის უზარმაზარი ლოდე-

ბი მამისონის ქედის სამხრეთ კალთის სიგრძეზე, მოწმობენ, რომ ჩანჩახის პატარა მყინვარი წინეთ აღწევდა სოფ. გურშევამდე და შესაძლოა უფრო შორსაც. დიდი ხანი არ არის მას უკან, რომ ეს მყინვარი გზატკეცილზე გადადიოდა. ბუბის-წყლის და ბაყვის-წყალის (ბოკას წყ.) ველებიც ასევე იყო დაფარული მყინვარებით, რომელთა მორენები გაბნეულია შოვამდე და გლოლამდე.

ჩეშურას ხეობაში ვხვდებით უზარმაზარ ერატიულ ლოდებს, როგორც მაგალითად „ქვაციხე", წოდებული ასე თვისი სიდიდის და მოყვანილობის მიზეზით. სოფ. ღების ნაწილი აღებულია ჩეშურის მყინვარის მორენზე.

სრულიათ სამართლიანია ვიფიქროთ, რომ ზიკარის პატარა მყინვარი წინეთ უნდა ყოფილიყო ჩამოსული ჯოჯორის ხეობით კუდარომდე.

უსწორმასწორი ლოდები, რომლებსაც ვხედავთ ონის მახლობლათ რიონის მარჯვენა ნაპირის ტერასებზე, და რომლებშიც ვხვდებით კრისტალურ ჯიშის ნიმუშებს, ჩამოტანილი უნდა იყვნენ მხოლოთ მთავარი ქედიდან, რაც გვაფიქრებინებს, რომ მყინვარების ხაზი აქამდე ჩამოდიოდა. [1])

ჩემს მიერ დათვალიერებული მორენები ურავის მიდამოებში ცხად-ყოფენ ამ ხეობაში მყინვარების გავრცელებას საკმაოთ დაბალ ხაზამდე.

ყველაზედ უკანასკნელათ წარმოშობილ ფორმებს უნდა მივათვალოთ მადნეული წყლების დანალექი, რითაც ეს მხარე მეტად მდიდარია. ზემო-რაჭაში ძლიერ გავრცელებულია კირიანი თირი, რომელიც ჩეშურის ხეობაში 15-20 მეტრის სისქისაა. აგრეთვე უწერაში, ონში, ურავში მოიპოება თირის დიდი ქანები, რაც იმის მაჩვენებელია, რომ წინეთ აქ მადნეული წყლები უფრო მრავლათ ყოფილა.

წყლების ზედგავლენა უნდა გავარჩიოთ ორი თვალსაზრისით: ჩამორეცხვით და მოლექვით. ამ ორ ფაქტორიდან, ჩამორეცხვას, რაჭაში, როგორც უმთავრესათ მთიან ქვეყანაში, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მთავარი და ზემო-რაჭის ქედებიდან ჩამომდინარე წყლებს მუდამ ჩამოაქვთ ქვები, რომლებიც რჩება ქვემო-იმერეთისა და სამეგრელოს ვაკეებში და აგრეთვე ფოთში (დელტა). ჩამორეცხვის მაგალითებს ვხედავთ რაჭის მთელ გზატკეცილზე, მეტადრე შოვში და ონში. ეს გზატკეცილი გადის ლიასის და პალეოზოის ფენიანებში, რომლებიც ადვილათ გამოიჩუტებიან ხოლმე; წყალიც ადვილათ თხრის ქანებს. რიონის მიერ დატოვებული რიყის ქვები ონის ტუაფეში მარცხენა

[1]) იყო კიდეც გამოთქმული აზრი, რომ მყინვარები ქუთაისამდე ჩამოდიოდა, რიონის მთელი ზემო ხეობა იმ დროს ვეებერთელა მყინვარით იყო დაფარულიო (Красновъ. Нагорная флора Сванетіи. Изд. Географ. об-ства XXVII, 1891 ст. 364.)

ნაპირის ტერასებზე, გვაფიქრებინებს, რომ აქ ოდესღაც ტბა უნდა ყოფილიყო. ასეთივე მოვლენას აქვს ადგილი ონის ჩრდილოეთით უწერის ტუაფეში.

აგრეთვე შესაძლებელია, რომ კუდაროს ხეობა და ლუხუნის ზემო ნაწილი წარმოადგენდენ ტბებს, მაგრამ შემდეგში მათ ალბათ გაუთხრიათ გზა მთების კალთებში.

ნიკორწმინდის პლატო, სადაც ვხედავთ ალიუვიის მსხვილ ფენს, ეჭვს გარეშეა, სულ დაფარული იყო ტბით. ეხლაც, დიდი წვიმების შემდეგ მთელი ეს ველი წყლით გაივსება ხოლმე, რადგან წყალი ისე უცებ ვერ ახერხებს გასვლას ხრამებით.

რაჭაში თვალსაჩინოა აგრეთვე ვულკანების მოქმედება; დანალექი კენცები ხშირათ გადაჭრილია ვულკანიური ხასიათის ქანებით. ამის მიუხედავათ, სვანეთისა და ოსეთის ალპებისგან განსხვავებით, რაჭის ალპები არ ყოფილან მოწმენი ვულკანურ აღლვებისა, რამაც ხელი შეუწყო მთავარი მთაგრეხილის აღმოსავლეთით და დასავლეთით შეინვარის (ყაზბეგი) და ალბუზის გაჩენას. [1])

აქაური ქანები შესდგება დიორიტი და საქსისგან, ამათ უჭირავთ მთავარი ქედის ღერძი.

ზ.-რაჭის პალეოზოის ფენიანებში ვულკანიურ ქანებს ვხედავთ მხოლოთ ჩანჩახის ველში—გურშევის მიდამოებში, სადაც მთა წითელთა შესდგება შავი და წითელ ფერის ტროხიტულ ანდაზიტიდან გარეგნული შეხედულობით.

ე. ფ. სმირნოვი, რომელმაც გასინჯა ეს ქანი, ამბობს, რომ „ქანი წარმოადგენს ღია ფერის მინის მზგავს ძირითად მასას, რომელშიც გაბნეულია პორფირისებური პლაგიოკლაზის წვრილი ჩხირები... ხანდახან ქანი შეიცავს მცირედ რიცხვს სანიდინის პორფირისებურ ფორმებისას.

ეს ქანი კომპაქტურია, დახორკლილი და ალაგ-ალაგ ნესტვიანი [2]).

ეს ლავა გასინჯული იყო აგრეთვე ზიატნიცკის მიერ, რომელმაც მიიღო შემდეგი მაგმატიური ფორმულა:

$$1.\ 69\ RO\ R^2\ O^3\ 6.\ 9\ Si\ O^2$$

$$d = 2.\ 96 \qquad RO^2 : RO = 1 : 2.$$

---

[1]) შეცდომით Dubois de Monperreux ფასის მთას სთვლიდა ვულკანიურ პროცესების ნამოქმედრათ და მყინვარის მონათესავეთ.

[2]) Смирновъ, Минералогія для геологіи Кавказа. Сер. 3. кн. 7, стр. 127.

საერთოდ ეს ქანი უახლოვდება ანდაზიტო-დაციტების ტიპს, მაგრამ იგი უფრო მეავეა და უფრო მდიდარია ტუტეებითა, რის წყალობით, ენათესავება პანტელერიტო-დაციტის ტიპის ლავას. (ლევინსონ-ლესსინგ).

ასეთივე ტროხიტ-ანდაზიტს ვხედავთ საგოვათის მთაში, რომლის ლამაზი კონუსი აღიმართება კუდაროს ხეობის ზემო ნაწილში სოფ. ქისტასთან.

ჯოჯორის ხეობაში ტეხვის ხაზით სამხრეთ—აღმ. და ჩრდ.—დასავლეთით არის ვულკანიური ქანები, რომლებიც სჭრიან იურის კეცებს. ეს ქანები შესდგება პორფირიტიდან. ეს უკანასკნელნი ვრცელდებიან სოფ. ლებერთადან ონამდე. ხოლო ჯოჯორის ხეობაში ისინი იჭრებიან მელაფიტის ძარღვებით. ასეთივე მელაფიტის და პორფირიტის ძარღვები სჭრიან ლიასის კეცებს რიონის ხეობის მთელ სიგრძეზე სოფ. უწერიდან მდ. საქაოს (საქორიას) რიონთან შეერთებამდე, ონისა და სორის შუა.

ურავის ჩრდილოეთით მოიპოვება აგრეთვე პორფირიტის მასივი. მთა ჩუტხარა შედგება პიროქსენულ პორფირიდან[1]).

ლუხულის წყალის შესართავთან იურის ფორმაციაში ვპოულობთ პიროქსანული პორფირიტის გამოსავალს, რომელიც თვისი ჩამონახეთქითა და კონგლომერატებით ქმნის დიდ მასივს. ეს ქანები ჯოჯორის პორფირიტების მზგავსათ ძალიან გამოჩუტულია.

სოფ. ნიკორწმინდაში ეკლესიის უკან შევხვდებით დიაპაზს, რომელიც შედგება მსხვილ მარცვლოვან აგრეგატიდან პლაგიოკლაზისა და მუქი წითელ-მოლურჯო ავგიტიდან. იგი შეიცავს კიდევ მაგნიტურ რკინის მადანის მსხვილ მარცვლებს და აპატიტის გრძელ ჩხირებს. ქანის სტრუქტურა ოფიტურია. ხანდისხან გვხვდება კალციტით გამოვსებული ფოსოები[2]). ბუგეულის ჩრდილოეთით არის ამავე ქანის გამოსავალი.

V

მადნეული წყლები.

1. წყაროების ადგილმდებარეობა.

რაჭა უხვათ მოფენილია მადნეული წყაროებით. მე დავათვალიერე სულ 66 წყარო. წყაროებს საზოგადოთ ერთი ან რამოდენიმე გამოსავალი აქვთ, ხანდახან ჯგუფებათაა მოყრილი, და მოიპოვება მთელს რაჭაში 470 მეტრის სი-

[1]) Смирновъ. op. cit. стр. 125

[2]) იქვე.

მაღლედან 2310 მეტრამდე. ასე: 4 წყარო ქვემო-რაჭაში 470 დან—577-დე
28 — შ. რაჭაში 638— —1150-დე
34 — ქვ. რაჭაში 1094— —2310-დე

გრიფონების უმრავლესობა მდებარეობს ტოპოგრაფიულ ზედაპირის უუმდაბლეს ადგილებში—ჭალებისა და ტუაფეების სიღრმეში, სადაც ჰიდროსტატიულ ძალის ზედმოქმედებით წყალი მაღლა ამოდის; აქ წყაროებს ხშირათ ფარავს მდინარისა და ღელეების წყალი, რაც აბრკოლებს მათი მოვლა-სარგებლობას (კაპტაჟს), (მაგალითად: რკინის წყ. ქვემო-უწერაში, მაღალ-ხიდის, ჯოჯორის, ბუგეულის, წესის, გლოლისა და სხვ). ზოგი გამოდის მთების კალთებზე ან მთების ტერასებზე (რკინის წყ. ურავში, გამყრელიძის წყ. უწერაში, გოგირდის[1]) წყ. ბარში და სხვა).

2. ფიზიკური და ქიმიური დახასიათება მადნეული წყლებისა.

რაჭის ყველა წყლები ცივია, 6° დან 14° მდე C. მათი დებეტი სხვა და სხვაა, დაწყებული სულ მცირედიდან—900.000 ლიტრამდე დღე-ღამეში.

რაჭის წყლებში სუსტად არის გაზავებული მინერალები, გარდა გამყრელიძის ცნობილი წყლისა სოფ. უწერაში, რომლის ერთი ლიტრი შეიცავს 6,0944 მაგარ ლექს.

ყველა ჩემს მიერ დათვალიერებულ წყლებიდან მე ავიღე 11 წყლის ნიმუში, რომლებიც ჩემის აზრით ყველაზედ საყურადღებო და ტიპიური იყვნენ; ამ წყლებში ბ. ბურჟაკოვსკის ანალიზით მოიპოება ერთ ლიტრზე 0, 2748 დან 2,8054-მდე მაგარი ლექი.

ქიმიური თვისებებით რაჭის მადნეული წყლები გაიყოფება შემდეგ ჯგუფებათ: გოგირდიანი, ტუტიანი, სუსტი-მჟავე-ტუტიანი და მაგარი.

გოგირდიანი წყლების ჯგუფს ეკუთვნის 5 წყარო (ბუგეული, ხიდისკარი, წესი, ბარი და პორხიშური ღების მახლობლათ). ბუგეულის და ხიდისკარის ორივე წყარო შეიცავს, პირველი—0,4039 და მეორე—0,2784 მაგარ ლექს, გოგირდ-მჟავა კალციუმის ($CaSO_4$) ჭარბობით—0,1904 და 0,1729. ამათ აქვთ დიდი ტერაპევტიული მნიშვნელობა, როგორც გოგირდიანი წყალბადის (H_2S) ნაზავს. ამათი დებეტი საზოგადოთ დიდია. ხიდისკარის ჯგუფში იგი 766972 ლიტრამდე აღწევს. სამწუხაროთ ისინი ტემპერატურის სიმცირის გამო (14°),

[1]) მადნეული წყლების ზოგადი ხასიათის აღსანიშნავათ ვხმარობ ჩვეულებრივათ მიღებულ სიტყვას გოგირდის წყალი, ხოლო წყლის ქიმიური თვისებების დასახასიათებლათ—ტერმინს გოგირდიანი, ისე როგორც რკინის და რკინიანი. გ. კ.

მოითხოვენ წყალის გათბობას, რის მიზეზით წყალს სცილდება გაზი, თუ მთლად არა, უმთავრესი ნაწილი მაინც. ეს წყაროები წააგავს ცოტაოდენ პარიზის ახლოს არსებულ Enghien და Pierrefonds-ის წყაროებს და გამოდგებიან სასუნთქავათ.

მეორე ჯგუფს ეკუთვნიან ნახშირ-მჟავა-ტუტიანი წყლები. აქ საპატიო ადგილი უნდა მივცეთ გამყრელიძის წყაროს უწერაში, რომლისკენაც ყოველ ზაფხულს აუარებელი ხალხი მიეშურება სამკურნალოთ. იგი მეტად მდიდარია თავისუფალ ნახშირ-მჟავათი, შეიცავს 6,0944 მაგარ ნალექს ერთ ლიტრ წყალში—4,0561 ნახშირ-მჟავა ნატრიუმს ($Na_2 CO_3$) და 0,3496 ქლორიან ნატრიუმს იოდისა და ბრომის მცირედი ნაწილების დამატებით. სამწუხაროთ ამ წყაროს დებეტი არ აღემატება 720 ლიტრს დღე-ღამეში. ამ ჯგუფის სხვა წყაროები სუსტი ტუტიანია.

გლოლის წყარო, რომელსაც 2016 ლიტრის დებეტი აქვს, შეიცავს 1,0049 მაგარ ლექს, რომლიდანაც 0,7304 ეკუთვნის ტუტუიან მარილებს. შაუბანის—ამათზე უფრო მდიდარია, ის შეიცავს 2,8054 მაგარ ლექს, რომლიდანაც 1,845 ტუტიანი მარილებია. ამ წყაროს მცხოვრებლები ძალიან აფასებენ, და მე მგონია, რომ უფრო რაციონალურ კაპტაჟს შეეძლებოდა მისი დებეტის გადიდება, რომელიც ამ ჟამათ დღე-ღამეში 240 ლიტრს არ აღემატება.

ლაჩტის წყარო ონის ახლოს წარმოადგენს დამახასიათებელ წყაროს ამ მხარეში არსებულ სუსტი მარილ-მჟავა წყლებისა. 2,3099 მაგარ ნალექში ეს წყალი შეიცავს 0,1585 ქლორიანი ნატრიუმს და 0,7568 ნახშირმჟავა ნატრიუმს. ბევრი გაზისა და დიდი დებეტის (13440) წყალობით ამ წყაროს, როგორც სასმელ წყალს, დიდი სახელი აქვს მოხვეჭილი რაჭაში. რაციონალური კაპტაჟი აქ აუცილებელია, ვინაიდან წყარო ამოდის ლაჩტას-რუს ხრამში და უეჭველია, მას უცხო წყალიც ერევა.

ნაკლებ ყურადღებას იწვევს ურიათა წყარო ორში, რომელიც ეკუთვნის ამავე ჯგუფს. მას სასმელათ ხმარობენ. ა. შტაკმანის ანალიზით ამ წყაროს წყალი წყლის 10,000 ნაწილზე შეიცავს მხოლოთ 3,915 მაგარ ლექს, რომლიდანაც 2,761 ორნახშირმჟავა ნატრიუმია ($NaHCO_3$) და 0,128 ქლორიანი ნატრიუმი[1]). ამავე ჯგუფს ეკუთვნის ურავის წყალი, რომელიც იძლევა 1,4699 მაგარ ლექს; აქედან 0,7949 ტუტიანი მარილებია ($NaCl+NaCO_3$).

[1]) რკინა, რომლის არსებობა მტკიცდება წყაროსთან დარჩენილ ლექით, არ იყო გასინჯული შტაკმანის მიერ. მისი დებეტი ძლიერ მცირეა.

აქაც, როგორც წინა წყაროსთან, ვხედავთ რკინის დიდ ნალექს.

მეოთხე ჯგუფს ეკუთვნიან ნახშირ-მჟავა მაგარი წყლები, რომლებიც მრავლათ მოიპოება რაჭაში, ხშირათ დიდი დებეტით. ასეთგვარ წყლების ტიპათ შეგვიძლია ჩავთვალოთ ყიფიანის ჭა ონში, რომელმაც ანალიზით მოგვცა 1,3214 მაგარი ლექი; აქედან 0,9066 ნახშირმჟავა კალციუმია ($CaCO_3$).

შოვის წყარო, რომელიც იძლევა 2,4600 მაგარ ლექს, შეიცავს 0,7149 ნახშირმჟავა კალციუმს და 0,3837 ტუტიან მარილებს[1]). ეს წყალი ძალიან მდიდარია თავისუფალ ნახშირმჟავა გაზით (CO_2) და საკმაო დიდი დებეტიც აქვს (30240 ლიტრი). ამის გარდა იგი საყურადღებოა მდებარებით 1440 მეტრის მაღლობზე წიწვნარში, რომელიც წარმოადგენს შესანიშნავ ადგილს კლიმატიური სადგურისათვის.

უნდა შევნიშნო, რომ რაჭის წყლების მეტი ნაწილი შეიცავს რკინის მეტ ან ნაკლებ რაოდენობას, რომელიც კალციუმის მარილებთან ერთად დაილექება ხოლმე წყაროების გარშემო და ხშირათ აჩენენ თირის დიდ გროვას. მაგრამ, ანალიზის მიხედვით, რკინის შემადგენლობა ირხევა 0,260 (ურავი) და 0,0144 (შოვი) შუა. გამყრელიძის წყარო შტაკმანის ანალიზით შეიცავს 0,0157 რკინას. ადვილათ შესაძლებელია, რომ სხვა წყლებიც, როგორც მაგალითად მაღალხიდის, ღების, გლოლის, შეიცავენ რკინის უფრო დიდ რაოდენობას თვით წყლის გემოსა და თირის სიმრავლის მიხედვით.

ზემო რაჭაში ნახშირმჟავა-რკინის წყელბს სუსტი მლაშე-ტუტიანი გემო აქვთ და მოგვაგონებენ ლაჩტის და ონის წყლებს. ძალიან ხშირათ ნახშირმჟავასთან ერთად ამოდის გოგირდიანი წყალბადი, რომლის გამოცნობა ადვილია მისი დამახასიათებელი სუნის წყალობით.

რომ გავსინჯოთ რაჭის მადნეული წყლების ადგილმდებარეობა გეოგრაფიულის თვალთახედვით, ვიტყვით, რომ ქვ.-რაჭის წყლები გოგირდიანია; შუა რაჭაში მოიპოება უმთავრესათ ნახშირმჟავა-რკინის, სუსტი ტუტიანი და მაგარი წყლები. ზემო რაჭის ნახშირმჟავა, მაგარ და სუსტი ტუტიანი წლებში ხშირათ შევნიშნავთ გოგირდიან წყალბადს.

გეოლოგიური თვალსაზრისით გვაქვს: ქვ.-რაჭის მესამე ეპოქის ფორმაციებში—2 წყარო (ბუგეული, სადმელი); ქვემო-ცარცის ფორმაციაში—2 ჯგუფი წყაროებისა (ხიდისკარი და წესი); იურის ფორმაციაში 18 წყარო; ეგრეთ წოდებულ პალეოზოის კეცებში—41 წყარო (ასეთია ჩვენის აზრით უწერის

[1]) ფოსფორმჟავა კალციუმის ნიშნების აღმოჩენა ამ წყლებში აიხსნება იმით, რომ წყალი გუბდება მიწაზედ, სანამ გასავალს მონახავდეს.

ებრ) შევნიშნავთ, რომ გოგირდიანი (გოგირდის) გაზი სჭარბობს ქვემო შუა რაჭის სამხრეთით მდებარე წყლებში; შუა რაჭაში უმთავრესად ვხდეტუტიანი და რკინის წყლებს; ზ.-რაჭაში კი— თითქმის განსაკუთრებით ანისას, რომლებიც ხშირათ გოგირდით არიან შეზავებული.

3. წყლების ახლანდელი მდგომარეობა. აბანოები.

ზოგიერთი წყლები რაჭაში ძალიან განთქმულია მცხოვრებთა შორის, რომლებიც სარგებლობენ მათი, როგორც აბანოებით. აბანოების მოწყობილობა არამც თუ პრიმიტიულია, არამედ უბრალო ჰიგიენის მოთხოვნილებებსაც ვერ აკმაყოფილებს. ყველაზედ უფრო მოწყობილ აბანოებში (კაციტაძის, ჭიკინაძის—წესში და მუხრაშვილების—ბარში) მადნეულ წყალს მილით ასხამენ ყვაბში ვასათბობათ. აქედან უკვე გაყავთ აბანოებში (4—5) სადაც მოიპოება ცემენტის (ხიდისკარი) ან ხის ვანებში (მუხრაშვილების). სხვა აბანოებში წყალს ვედროებით იღებენ გახსნილ აუზიდან და ქვაბში ასხამენ (ბუგეული, ურავი). ნანდახან წყაროზე კედლებს და სახურავს დააშენებენ, მაშინ, თუ დებეტი მცირეა, წყალი დიდხანს რჩება დაგუბული და უვარგისდება (ბუგეული). სხვა ადგილებში ასეთი აბანოები უარეს მდგომარეობაშია.

ასეთ აბანოებზე ჩამოსული ავათმყოფები იძულებული ხდებიან თვით მოიტანონ ქვაბები წყლის გასათბობათ, აქედან მერე წყალს ასხამენ ხიდან გამოჭრილ საწნახელის მზგავს ვანებში (ბუგეული, ჭალა, ძეგლევი). ხშირათ ქვაბების უქონლობის გამო ასეთ ვანაში ყრიან გახურებულ ქვებს, რომლებითაც ათბობენ წყალს.

თუ წყარო ტყეშია, სადაც არავითარი შენობა არ მოიპოება, იქ წნავენ ალაკვებს, ან და პირდაპირ ცისა და ხეებქვეშ ცხოვრობენ სამკურნალო სეზონის დამთავრებამდე (ჩხეფური).

ზოგი წყაროს მხოლოთ სასმელათ ხმარობენ. ყველაზედ განთქმულია ტუტიანი წყარო გამყრელიძეებისა. წყალი გამოსვლისთანავე გროვდება ცილინდრიულ რეზერუარში. ასევეა მოწყობილი შაუბანის წყაროც.

გლოლის რკინის წყალს აქვს ქვისა და ცემენტის კაპტაჟი. არ შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ამ მადნეულ წყლებში არ ყოფილიყოს შერეული უბრალო წყალიცა. ამის ასაცდენათ ზოგ წყაროს აქვს გაკეთებული პატარა ლარი, რომლითაც ეს უცხო წყალი გვერდით ჩამოდის (ურავი).

ზოგ შემთხვევაში მადნეულ წყალს აგროვებენ ხის კოდებში, რომლებიც 1—2 მეტრზეა მიწაში ჩაფლული. კოდში დაგროვილ წყალს იღებენ სხვა და



კაციტაძის აბანო ხიდის-კარის ხეობაში
(გოგირდის წყალი).

სხვა ჭურჭლებით ან პირდაპირ ხელებით სასმელათ (გლოლა-ქვ. წყ., ლაჩტა, ჩხეფური, ურავი—მლაშე წყალი ლუხუნის მარცხენა ნაპირზე).

უმეტეს შემთხვევაში კი არავითარი კაპტაჟი არ მოიპოვება. წყალი გროვდება ამოთხრილ ორმოში ან პატარა აუზში იქვე წყაროსთან (ურიათა სასაფლაოზე ონში, ლაჩტა, ქვ.-უწერა, ბეზური, ქისთა, გლოლა და სხვა მრავალი).

4. მადნეული წყლების წარმოშობა.

რაჭის წყლები პირდაპირ დამოკიდებულებაში სდგანან მთის ჯიშებთან, რომლებშიც მათ უხდებათ გასვლა. შესაძლო იქნებოდა გვეფიქრა, რომ ასეთი გეოლოგიური სახის ქვეყანაში, როგორცაა რაჭა, უნდა ყოფილიყო დედამიწის სიღრმიდან ამომდინარე ცხელი წყლები. მაგრამ რაჭაში არ გვხვდება არც ერთი გოგირდიანი წყალი ნატრის მარილებით გაზავებული, არც ნახშირმჟავა—მარილიანი და არც ინდიფერენტული მაღალი ტემპერატურის წყლები, რომელთა წარმოშობა მჭიდროთ არის დაკავშირებული ვულკანიურ მოვლენებთან. რაჭის წყლების ტემპერატურა, ისე, როგორც ქიმიური შემადგენლობა, ცხადათ მოწმობს, რომ ისინი წარმოიშვენ ატმოსფერის წყლის მიწაში ინფილტრაციის წყალობით.

შესაძლოა, ზოგ შემთხვევაში რამოდენიმე წყაროს უფრო რთული წარმოშობის ისტორია ქონდეს—თუ ნახშირმჟავა გაზის არსებობა წყალში ვულკანიურ მოვლენებს შეუკავშირეთ. მართლაც, რაჭაში ბევრ ადგილას შეამჩნევთ ამ გაზის გამოსვლას. ურავში, უწერაში, კუდაროს ხეობაში, ჩეშურის ხევში, ღების ახლოს ეს გაზი სტვენით და შიშინით ამოდის კლდიდან [1]); ეს უკანასკნელი ამოსუნთქვაა უკვე ჩამქრალ კრატერებისა.

წვიმის ან მყინვარის წყალს ნიადაგში გასვლის დროს ხვდება ხოლმე ნახშირმჟავა გაზი, ითვისებს მას, და ამით საშუალებას იხეჭს განაზავოს და დაშალოს Na, Ca, Mg და სხვა მრავალი მარილები. ამ მოსაზრებით უნდა ავხსნათ ნახშირმჟავა (მწარე), ტუტიანი და რკინის წყაროების გაჩენა ონში, ურავში, უწერაში, კუდაროს ხეობაში, გურშევში და ზემო-რაჭის ზოგი სხვა წყაროებისა.

გურშევის და ქისტას წყაროები უნდა დავუკავშიროთ ვულკანიურ მოვ-

---

[1]) აქაური მცხოვრებლები ამ გაზს სუნთქავენ და მიაჩნიათ საუკეთესო საშუალებათ გულითა და ფილტვებით დაავადებულთა განსაკურნავათ.

მოფეტი მდ. ჩოშურის მდაბლობში.
სოფ. ბების მცხოვრები ისუნთქავს გაზს.

ლენებს; მათი დამოკიდებულება წითელთასთან და [illegible]თის მასივთან ცხადია.

ზოგი რკინის წყლები, როგორც მაგალ. [illegible]ს წყარო და ზ.-რაჭის ეუმრავლესი წყ.—ჩეშურის, ღების, ედემის, [illegible]ს—გაჩდენ კალჩედანის დაშლის წყალობით. ჰაერის ჩამონალეკი მიწ[illegible]ისას ჟანგავს პირიტს; ჩნდება ერთის მხრივ გოგირდის სიმჟავე (N_2S[illegible]) [illegible]ელიც კირნარებზე მოქმედების შემდეგ, ანთავისუფლებს ნახშირმჟავა[illegible]ს (CO_2). მეორეს მხრივ ჩნდება გოგირდიანი წყალბადი (N_2S) და ამ[illegible]კული წყალი აზავებს რკინისა და სხვა ლითონების მარილებს.

სოფ. ბარის გოგირდიანი წყლის გამადნეულობა აიხსნება თაბაშ[illegible]ით მდიდარ ზემო-იურის ფორმაციებზე წყლის მოქმედებით. წყალი აზავებს ჯერ გოგირდმჟავა კალციუმს $CaSO_4$, შემდეგ მოქმედობს ორგანიულ ნივთიერებაზე და უშვებს H_2S. ხდება ორგანიული ნივთიერებათა დაჟანგება გოგირდმჟავა მარილით და გოგირდიანი კალციუმის (CaS) გაჩენით—შემდეგი რეაქციით: $CaSO_4+2C=2CO_3+CaS$

მაგრამ CaS ყოფნა უფრო თეორეტიულია; როგორც კი გაჩნდება იგი, მაშინათვე CO_2 გავლენით გარდიქმნება კალციუმის ნახშირმჟავა მარილათ და გოგირდიან წყალბადათ შემდეგი რეაქციით:

$$CaS+CO_2+2H_2O=H_2O+CaCO_3+H_2S$$

გოგირდიანი წყალბადი გამოდის წყლიდან ამ უკანასკნელის მიწიდან ამოსვლისთანავე.

წყლის სირბილე გამოწვეულია მასში წყალ-მცენარეების (Agae) ყოფნით, რომლებიც მრავლათ მოიპოვებიან ხიდისკარში და ღების მიდამოების წყაროებში.

VI

ჰ ა ვ ა.

რაჭის ჰავა ნაკლებ არის გამოკვლეული. ორი მესამე-ხარისხის მეტეოროლოგიური სადგური, ერთი ქვ.-რაჭაში—სოფ. ჭრებალოში (412 მეტრი) და მეორე შ.-რაჭაში—ონში (838) იძლევიან ცნობებს მხოლოთ ჩამონალექთა შესახებ. შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს ჩამონალექთა რაოდენობას 1914 წლის უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში).

[1]) Наблюд. Тифл. физическ, Обсерв. и метеорологич. станции ея района за 1914 г. Вып. 2 стр. 6 и 7.

ნახშირ-მჟავა რკინის წყარო **ჩხეფური.**
საექიმოდ ჩამოსული სოფ. სორის მცხოვრებნი.

	თვეები	VII	VIII	IX	X	XI	XII
ფრეზალოს სადგური	ჩამონალექთა რაოდენობა ერთ თვეში.	94	107	83	242	202	45
	უდიდესი რაოდენობა დღე-ღამის განმავ.	?	58	19	38	55	24
ონის სადგური	ჩამონალექთა რაოდენობა ერთ თვეში.	111	106	59	123	94	32
	უდიდესი რაოდენობა დღე-ღამის განმავ.	23	50	27	36	?	15

1891 და 1892 წლებისთვის ონის მეტეოროლოგიური სადგური იძლევა შემდეგ ცნობებს[1]).

	თვეები	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წელიწადში
1891	ჩამონალექთა რაოდენობა ერთ თვეში	—	—	—	—	—	44_3	128_5	139_3	84_5	36_9	152_9	42_8	—
	ჩამონალექიან დღეების რიცხვი.	—	—	—	—	—	11	14	11	14	6	14	9	—
1892	ჩამონალექთა რაოდენობა ერთ თვეში	128	79	63	71	45	41	113	42	33	56	35	144	899
	ჩამონალექიან დღეების რიცხვი.	18	8	11	13	16	10	9	5	7	9	6	16	129

მთავარი ქედის სამხრეთ კალთაზე მდებარე რაჭა ბევრ ჩამონალექს ღებულობს ატმოსფერიდან. ჩვენ ვიცით, რომ მყინვართა ბუნებრივი გავრცელების წინაალმდეგ, მარადი თოვლის ხაზი მთავარ ქედის სამხრეთ მხარეზე უფრო დაბლაა, ვიდრე ჩრდილოეთით. იმ დროს, როდესაც ჩრდილო კალთა განიცდის სამხრეთ რუსეთის ველებიდან მონაბერ ქარების გავლენას, სამხრეთის კალთა, მისი მდებარეობის წყალობით მოქცეულია შავი ზღვიდან მონადენი ქარების მოქმედების ქვეშ.

მაგრამ, შედარებით დასავლეთ—ამიერ-კავკასიის სხვა კუთხეებთან, რაჭა ყველაზედ ნაკლები ნოტიო რაიონია. შავი ზღვიდან მონაბერი ქარები, სანამ რაჭამდე მიაღწევდენ, სტოვებენ სინამის უდიდეს ნაწილს სამეგრელოში, იმერეთში და ლეჩხუმისა და სვანეთის მთებში.

[1]) Вознесенскій. Объ осадкахъ на Кавказѣ. Записки К. О. И. Р. Т. О. Кн. XVII вып. I. 1895 г. стр. 48 и 49.

უკანასკნელი მეტეოროლოგიური ცნობებით ჩამონალექთა წლიური რაოდენობა უდრის 1200—დან 1800—დე, მაქსიმუმით ივლისში და მინიმუმით სექტემბერში [1]). წვიმიან დღეების რიცხვი უდრის 120—160. რაჭის ტოპოგრაფია და მთის კალთების დაქანება აადვილებენ წყლების დაშვებას, რომელიც არსად არ გუბდება აქ ჭაობებათ.

მეტეოროლოგიური რუქების იზოტერმების მიხედვით რაჭის წლიური საშუალო ტემპერატურა (ზღვის პირის მიმართებით) უდრის 14^0—15^0 [2]), მაგრამ რელიეფი სცვლის და ამრავალსხვავებს ჰავას. თუ გავსინჯეთ ტემპერატურა სიმაღლის მიხედვით მივიღებთ ქვემო რაჭის ტუაფისთვის წლიურ ტემპერატურას $+11^0$,$+12^0$; საშუალო ტემპერ. $+2^0$,$+3^0$—იანვარში, და $+19^0$,$+21^0$— ივლისში.

ონში (შუა რაჭაში) წლიური საშუალო ტემპერ. უდრის $+10^0$,$+11^0$, ხოლო საშუალო ტემპ. იანვარში$=0^0$,$+11^0$ და ივლისში$=+18^0$,$+21^0$.

ასეთი ჰავა საუცხოვოთ უნდა ჩაგვეთვალა ყოველის მხრივ, მაგრამ რადგან გარშემორტყმული შიშველი კლდეები ქმნიან ერთგვარ ტუაფეს, სადაც გარდამეტებით იკრიბება მზის სხივები და აგრეთვე წყალიც, ამიტომ ჰაერი აქ მძიმეა. ამის მიზეზით აგარაკების გაშენება აქ მოსალოდნელი როდია, მით უმეტეს, რომ ეს კუთხე ცივებიანია, როგორც ვენახის ზონისა, მზგავსათ ყველა ასეთ ადგილებისა მთელ ამიერ-კავკასიაში.

უფრო მაღლათ მდებარე ადგილები კი, როგორც მაგალ. სადმელის მაღლობები (6140 მეტრი), ლუხუნის ტერასები ურავის ზემოთ (1125), საქაოს ცემი (790) და მეტადრე ნიკორწმინდის საუცხოვო ზეგანი (1125) თითქოს განგებ გაჩენილანო კლიმატიური სადგურების მოსაწყობათ. უწერის იქით გადაშლილი მხარეც (1050) მთლათ საკურორტო ადგილს წარმოადგენს.

ჰაერის გათხელების მიზეზით ტემპერატურის დაწევა ამ ადგილებში საყურადღებოა. ღების, შოვის და გლოლას მიდამოებში, რომლებიც 1103—1460 მეტრის სიმაღლეზეა, წლიური საშუალო ტემპერ.$=0^0$—4^0.

ტემპერატ. ასეთმა დაწევამ არ უნდა გვაფიქრებინოს, თითქოს აქ ზამთარში გარდამეტებით ციოდეს; ღების მცხოვრებლებს არ ახსოვთ დიდი ყინვები. მართლაც, ცნობილია, რომ ზამთრის მზიან დღეში მაღალ მთის კალთაზე, რომელიც მზისაკენაა მიქცეული, ტემპერატურა უფრო მაღალია, ვიდრე ველში,

[1]) Фигуровскій. Опытъ изслѣдованія климатовъ Кавказа. т. I. СПБ. 1912 г. карта VIII.

[2]) Фигуровскій op. cit.

სადაც დაგროვილია ნისლი და სინესტე. ეს უკანასკნელები აძლიერებენ როგორც სიცხეს, ისე სიცივეს.

უნდა გვეფიქრა, რომ მაღალ მთებში ჰაერის მეტად გათხელების მიზეზით ღამის დადგომისთანავე სიცივე უცებ უნდა დამდგარიყო, მით უმეტეს, რომ ჰაერი საზოგადოთ ადვილათ კარგავს სითბოს, მაგრამ შემჩნეულია, რომ ასეთ ადგილებში ტემპერატურის შეცვლა არც ისე დიდია და მზის ჩასვლის შემდეგ იგი ძირს იწევს შეუმჩნევლათ. ამიტომაც შეიძლება ითქვას, რომ მაღალ მთების ტემპერატურა ერთგვარათ მუდმივია—ზაფხულში უფრო გრილი და ზამთარში უფრო თბილი (მზეზე), ვიდრე ველში.

ამის მიხედვით სანატორიუმების მოსაწყობათ უნდა ამოირჩეს ისეთი ადგილი, რომელიც ყველაზედ მეტად მზისკენ არის მიქცეული. ეს გარემოება წარმოადგენს აგრეთვე დიდ ჰიგიენურ ფაქტორს. მზის სხივების ცხოველმყოფლობა დამოკიდებულია არა მარტო ჰაერის სიწმინდისაგან, არამედ ადგილის მდებარეობისაგანაც, გარშემო გაწყობილი მაღლობებისაგან, რომლებსაც შეუძლიათ გააძლიერონ მზის სხივების მოქმედება.

ამ თვალსაზრისით შეიძლება ვთქვათ, რომ რაჭა უკეთეს პირობებშია, ვიდრე ჩრდილო კავკასია. უპირატესობა უნდა მივცეთ იმ ადგილებს, რომლებიც გაშლილი მხარეთი სამხრეთისკენ და დასავლეთისკენ იცქირება, როგორც მაგ. შოფი.

ქარების გავლენა რაჭაში ნაკლებათაა შესწავლილი. საერთოთ შეიძლება ითქვას, რომ მთების სარტყელი, რომელიც რაჭას აკრავს, იცავს მას დიდი და ძლიერი ქარებიდან; მთავარი ქედი კი საუკეთესო კედელს წარმოადგენს ჩრდილოეთის ცივი ქარისგან დასაფარავათ.

სხვა პირობებშია რაჭის სამხრეთი ნაწილი, როგორც მაგალ. კუდაროს ხეობა და ნიკორწმინდის ზეგანი. ესენი სრულებით გახსნილია სამხრეთით, საიდანაც მუდამ უბერავს ქარი, და სწორეთ ეს არის ნიკორწმინდის საუცხოვო ზეგანის ნაკლი.

როგორც ყველა მთიან ქვეყნებში, რაჭაშიც არის ადგილობრივი ბრიზები—მთა-ველების ქარები, რომლებიც დღისით მთის მწვერვალოს მიმართულებით უბერავენ, ღამე კი მთიდან ძირს, ველათ. ეს ქარები მეტად საგრძნობია შუა და ქვემო რაჭაში, უწერაში, მაგალითად, ხეობა წარმოადგენს გამკრავი ქარებისთვის სანავარდო ერთგვარ კორიდორს.

ზემო-რაჭაში კი, ზემო რიონისა და ჩანჩახის ხეობებში, რომლებიც

ჩრდილოეთით დაცული არის მთავარი ქედით, და სამხრეთით ზემო-რაჭის ქედით, ქარები სრულებით არ იცის, ან სულ მცირეა. ადგილობრივი მცხოვრებთა გადმოცემით ამ კუთხის ზოგ ადგილებში არ ქრიან ბრიზებიც კი (შოვი); ეს ადვილათ შესაძლებელი მოვლენა აიხსნება სხვა ფაქტორების ზედგავლენით, (მაგ. მყინვარების არსებობით).

კლიმატიური სადგურები.

ყველა ზემო ჩამოთვლილი მოსაზრებანი ღაღადებენ ამ მხარეში სანატორიუმის მოწყობის სასარგებლოთ, ვინაიდან ზ.-რაჭა, როგორც ვსთქვით, წარმოადგენს მთლათ საკურორტო ადგილს.

ამ მხრივ საუკეთესო ადგილია შოვი. რამოდენიმე წლის უკან შოვში სამთო კლიმატიური სადგურის მოსაწყობათ შესდგა ანონიმი საზოგადოება. შოვი მდებარეობს დაახლოვებით 1430 მეტრის სიმაღლეზე მდ. ჩანჩახის ლამაზ ხეობაში, მარჯვენა ნაპირზე იმ ადგილის ცოტა დაბლა, სადაც ჩანჩახს ერთვის ბუბის მყინვარიდან ჩამონადენი ბუბის წყალი.

იმ დროს, როცა ჩანჩახი მარცხენა მხარეზე გაშმაგებით ეხეთქება კლდიან ნაპირებს, მარჯვენა ნაპირზე სტოვებს მოხთენილ მინდორს, დაახლოვებით 213 მეტრის სიგანისა; ჩრდილოეთით ამ მინდორს ეკვრის გრძელი ტერასა, რომელიც 20—30 მეტრითაა ამაღლებული მინდორიდან, რომელიც მიიჭიმება ბუბის-წყალის ხეობის სიგრძეზე. ჩრდილოეთით მის წინ აღმართულია მთა შვ'ხა (2567 მეტრ.), რომელიც წამომჯდარია მთავარი ქედის შტოზე; იგი ყოფს ბუბის წყალის და ბოკას-წყალის (ბოყვის წყ.) აუზებს. აღმოსავლეთით, დასავლეთით და სამხრეთით შოვის ტერასა გახსნილია. ბუბის წყლის იქით ჰორიზონტი გარდაშლილია ტფილისის მყინვარამდე. აღმოსავლეთით იგი იხურება წითელთის კონუსით, რომელიც იფარავს ამ მხარეს მამისონის უღელტეხილით გადმობერილ ცივ ქარებისაგან. სამხრეთით, ზემო-რაჭის მთა-გრეხილის მაღლა, მოსჩანს თოვლ-ყინულიანი მწვერვალოები კოზი-ხოზი, გესკე და დოლომის-წვერისა, დასავლეთით ლოგორა და დიდებული შოდა ამაყათ აღმართულან რიონის ხეობაზე. ბედნიერი ადგილ-მდებარეობის მიზეზით შოვის ტერასაზე არასდროს არ იცის ქარები და ჰაერიც მუდამ სუფთაა, მუდმივი მოძრაობის წყალობით. მზის სხივებიც უხვათ ეფინება მას. ამ საუცხოვო პირობებს ემატება წიწვნარი, რომლით მთლათ დაფარულია შვაზას მთის კალთები, და რომელიც თვით ხეობაშიც ჩამოდის.

ნიადაგიც ძლიერ ხელს უწყობს, რომ ზედმეტი ნამი აქ არ დაგროვდეს.



შოვის მიდამო.

ნიადაგის დაქანება და თვისებები

ნიკორწმინდის ზეგანი, რომელზედაც არა ერთხელ გვითქვამს რაჭის ოროგრაფიისა და გეოგრაფიის აღწერის დროს. იგი მდებარეობს ქვემო რაჭის სამხრეთ კუთხეში, წარმოადგენს ვრცელ და მაღალ ზეგანს (1095—1190 მეტრ.), სიგანით დაახლოვებით 8 კილომ., რიონის ტუაფემდე, რომელიც საზღვრავს მას ჩრდილოეთით.

ნიკორწმინდის ზეგანი იწყება პირდაპირ ნაქერალის უღელტეხილიდან (1215 მ.) მდ. შაორას ნარევ ტყით მოცულ ხეობით; ხარისთვალის ტბასთან ტყე ადგილს უთმობს ვრცელსა და თითქმის ჰორიზონტალურ 5 კილომ. სიგრძე—სიგანის მინდორს, რომელიც აღწევს სოფ. ნიკორწმინდამდე. ამ ზეგანზე მიიკლაკნება მეტად საყურადღებო მდინარე შაორა, რომელიც ერთი კილომეტრის მანძილზე სოფლიდან უცებ იმალება ქვესკნელში.

მიუხედავათ იმისა, რომ ნიკორწმინდა ქვ. რაჭაშია, იგი, მაღლობზე მდებარეობის წყალობით, არ ჩამოუვარდება ზემო-რაჭის განთქმულ კუთხეებს. ჰაერი ნიკორწმინდაში საუცხოოა, წყალი საუკეთესო თვისებისაა. ფილტვებით დაავადებულნი აქ მუდამ პოულობდნენ შვებას. მიმოსვლაც შედარებით ადვილია —ნაქერალის გზატკეცილი პირდაპირ აერთებს ნიკორწმინდას ტყიბულის რკინის გზასთან (26 კილომ.).

რაჭის წყაროების ცხრილი.

№	წყაროს სახელი	ადგილ-მდებარეობა	დებეტი	ტემპერა-ტურა C.	შემადგენ-ლობა	გეოლოგიური პირობები	შენიშვნა
1	ბუგეული	მდ. რიონის მარცხ. ნაპირზე	მცირე (გაუზომელია)	14°	გოგირდიანი	მესამე ეპოქის ფორმაციების (ეოცენი) მონალექის ნაპრალებიდან	კაპტაჟი ცუდია, გროვდება აუზში, რომელიც თვით წყაროზეა დაშენებული. იხმარება აბანოთ. 4 ქვის ვანა. წულუკიძესი
2	სადმელი	რიონის მარჯვ. ნაპირის ბორცვზე	ძალიან მცირე	21° მზეზე	გოგირდიანი-რკინიანი	ეოცენის მერგელიან ფენიანებიდან	არ აწარმოებენ
3	წესი	რიონის მარჯვ. ნაპირზე. წყლის პირას. ხიდისკარი	საერთო დებეტი 866972	12,5°	გოგირდიანი	ქვემო-ცარცის კირნარიდან, ხეობაში თითქმის წყლის პირას	წყალს ორი გამოსავალი აქვს, გროვდება ქვის ჭურჭელში სასრუტავით. 4 ქვის ვანა. აბანოთ იხმარება. კაციტაძის.
4	წესი	რიონის მარცხ. ნაპირი წყლის პირას	დიდია, მაგრამ გაუზომელი	12,5°	გოგირდიანი	ამოხეთქს ჭაში, ქვემო—ცარცის კირნარების ზემოდ მდებარე მონალექიდან	აბანო ჭიჭინაძისა და ბარჩვანიძესი. 4 ქვის ვანა. წყალი აყავთ სასრუტავით.
5	ქვემო ბარი	მდ. ბარულას მარცხენა ნაპირზე	40320	13,4°	გოგირდიანი	ზემო-იურის თიხნარიდან ამოხეთქს	გროვდება ქვის აუზში. წყაროზეა დაშენებული 3 ხის აბანო, წყალი აყავთ სასრუტავით. მუხრაშვილის აბანო.
6	ურავი	მდ. ლუხუნის მარჯვენა ნაპირზე, სოფლიდან 3 კილომეტრ.	3024	10,5°	ნახშირმჟავა-რკინიანი (სუსტი ტუტიანი)	ჩამორბის ფენიანებიდან	ჩალაძის აბანო. მოუწყობელია, ერთი ხის აბანო
7	ურავი	მდ. ლუხუნის მარჯვენა ნაპირზე, წინა წყაროდან 3 კილომეტრ. მანძ.	8064	9,4°	ნახშირმჟავა-რკინიანი (სუსტი ტუტიანი)	ჩამორბის ფენიანებიდან	არ აწარმოებენ.

№	წყაროს სახელი	ადგილ-მდებარეობა	დებეტი	ტემპერა-ტურა C	შემადგენ-ლობა	გეოლოგიური პირობები	შენიშვნა
8	ურავი	მდ. ლუხუნის მარცხენა ნაპ. სოფელთან	მცირეა	11⁰	ნახშირმჟავა-მარილიანი (მლაშე-ტუ-ტიანი)	მდინარეთა მონალექიდან	ჯაფარიძეების აბანო. აბანო ხისაა.
9	ურავი	მდ. ლუხუნის მარცხენა ნაპ. სოფლიდან 5 კილომ. ჩრდი-ლოსის ღელე	2450	10⁰	ნახშირმჟავა-რკინიანი	ღელეს კა-ლაპოტში, ფენიანებიდან	არ აწარმოებენ
10	ჩხეფური	მდ. შეუსურას და გოდამშინის შუა	ძალიან მცი-რეა	11,5⁰	ნახშირმჟავა-რკინიანი (სუსტი ტუ-ტიანი)	მონალექიდან	წყალი გროვდება ხის აბანოში. შენობები არა აქვს ამ აბანოს. აწარმოებს ანა-ლაძე.
10'	ჩხეფური	მდ. ჩხეფურით 7 კილომ. გზა-ტკელიდან	ძალიან მცი-რეა	12,5⁰	ნახშირმჟავა-რკინიანი (სუსტი ტუ-ტიანი)	მდინარის კალაპოტში, მონალექიდან	აწარმოებენ სას-მელათ (ანალაძე)
11	ონი	ყიფიანის ეზოში	დიდია, გაუზომელია	10,5⁰	ნახშირმჟავა-(მაგარი)	მონალექიდან ამოხეთქს ჭაში	იხმარება სას-მელათ
12	ონი	ურიათა სასაფლაო	მცირეა	11,8⁰	ნახშირმჟავა-რკინიანი (მლაშე-ტუ-ტიანი)	მონალექიდან	არ აწარმოებენ ხმარობენ მხო-ლოთ სასმელათ
13	ონი	სოფ. ბარი	3360	11⁰ და 12⁰	ნახშირმჟავა-რკინიანი (სუსტი ტუ-ტიანი)	ფენიანებიდან	აწარმოებენ რო-გორც აბანოს, აგრეთვე ხმარობ-ენ სასმელათ. ჯაფარიძე-მაყა-რაშვილი
14	ონი	მოედანი ჯო-ჯორის მარცხე-ნა ნაპირზე, წყლის პირას	დიდია, გაუზომელია	12,5⁰	ნახშირმჟავა-რკინიანი (მლაშე-ტუ-ტიანი)	მდინარის კა-ლაპოტში, ვულკანიური ნაპრალები-დან	არ აწარმოებენ
15	ონი	მოედანი მდ. ჯოჯორის მარჯ. ნაპირ., წყლის პირას, წერეთე-ლის ციხის ძირში	9000	12⁰	ნახშირმჟავა-რკინიანი (მლაშე-ტუ-ტიანი)	—	არ აწარმოებენ

№	წყაროს სახელი	ადგილ-მდებარეობა	დებეტი	ტემპერა-ტურა C.	შემადგენ-ლობა	გეოლოგიური პირობები	შენიშვნა
16	ჭალა (ონი)	მდ. ხევის ხეობაში რიონის მარჯვ. შენაკ. ონიდან 7 კილ.	3500	11,5°	ნახშირმჟავა-რკინიანი. (მაგარი)	ლიასის ფენიანებიდან	არ აწარმოებენ. მცხოვრებლები ხმარობენ სასმელათ და აბანოებათ
17	ჭალა (ონი)	წინა წყაროზე დაბლა ხევში, ონიდან 3 კილ.	მცირეა გაუზომელია	11,5°	ნახშირმჟავა-რკინიანი. (მაგარი)	ლიასის ფენიანებიდან	არ აწარმოებენ ხმარობენ სასმელათ
18	ლაჩტა	ონიდან ³/₄ კ. რიონის მარჯვ. ნაპ. ლატის-რუს კალაპოტში	13449	12,5°	ნახშირმჟავა-სუსტი მლაშე-ტუტიანი	2 წყარო მდინარის კალაპოტში მონალექიდან	არ აწარმოებენ. ხმარობენ სასმელათ
19	ზაუბანი	ონიდან 3 კილ. გზატკეცილით რიონის მარჯვ. ნაპ.	240	12,5°	ნახშირმჟავა-რკინიანი, სუსტი-ტუტიანი	მონალექიდან	აწარმოებენ როგორც სასმელ წყალს
20	უწერა	რიონის მარცხ. ნაპ. გამყრელიძის წყარო	720	13,5°	ნახშირმჟავა-რკინიანი. ტუტიანი	ფენიანებიდან	აწარმოებენ როგორც სასმელ წყალს (გამყრელიძე)
21	უწერა	რიონის მარჯ. ნაპ. კოკოჩაშვილის წყარო	9360	12°	ნახშირმჟავა-რკინიანი	ფენიანებიდან	აწარმოებენ, როგორც სასმელ წყალს (ძმ. კოკოჩაშვილები)
22	უწერა	რიონის მარჯვ. ნაპ. მეტრეველის წყარო	9000	11,5°	ნახშირმჟავა-რკინიანი	ფენიანებიდან	აწარმოებენ, როგორც აბანოებს (მეტრეველი)
23	უწერა	ქვ. სოფელში, რიონის მარჯვ. ნაპ. მდინარის კალაპოტში	7000	11°	ნახშირმჟავა-რკინიანი. მაგარი	რიონის მონალექიდან	არ აწარმოებენ
24	უწერა	ტყის მცველის სახლის მაღლა რიონის მარჯვ. შენაკადის კალაპოტში	4340	11°	ნახშირმჟავა-რკინიანი. მაგარი	პალეოზოის ფენიანებიდან	არ აწარმოებენ

№	წყაროს სახელი	ადგილ-მდებარეობა	დებეტი	ტემპერა-ტურა C.	შემადგენ-ლობა	გეოლოგიური პირობები	შენიშვნა
25	მაღალ-ხიდი	რიონის მარჯვ. ნაპ. გლოლის ხიდთან	30320	110	ნახშირმჟავა-რკინიანი. მა-გარი	მდინარის მონალექიდან, რომელიც ძევს პალეო-ზოის ფენია-ნებზე	არ აწარმოებენ
26	გლოლა	სოფელში, ჩანჩა-ხის მარჯვენა ნა-პირზე	8064	11,50	ნახშირმჟავა-რკინიანი	ძველ მყინ-ვართა მონა-ლექიდან, რო-მელიც დევს პალეოზოის ფენიანებზე.	ქვის კაპტაჟი, ხმარობენ სასმე-ლად
27	გლოლა	სოფლის დაბლა მდ. ჩანჩახის მარჯვ. ნაპირზე	2016	110	ნახშირმჟავა-ტუტიანი, სუსტი-ტუ-ტიანი	მდინარეთა მონალექიდან	კაპტაჟი გომოხ-რულ ჯირკში
28	შოვი	მდ. ჩანჩახის მარჯვ. ნაპირზე	საერთო დე-ბეტი 30240	110	ნახშირმჟავა-რკინიანი, მაგარი	მონალექიდან, სამი გამოსა-ვალი აქვს	არ აწარმოებენ
29	ჩანჩახი	გლოლასა და გურშევის შუა. ჩანჩახის მარ-ცხენა ნაპ. ზემო შოვის ხიდის პირდაპირ	6720	100	ნახშირმჟავა-რკინიანი	ღელეს მონალექიდან	არ აწარმოებენ, კაპტაჟი არა აქვს
30	ჩანჩახი	წინაზე მაღლა (1 კილომ.) ჩანჩახის შემდი-ნარის მარჯვენა ნაპირზე	4730	9,50	ნახშირმჟავა-რკინიანი	პალეოზოის ფენიანებიდან	არ აწარმოებენ, კაპტაჟი არა აქვს
31	გურშევი	მდ. სუხტას მარჯვ. ნაპირზედ	4032	80	ნახშირმჟავა-რკინიანი	პალეოზოის ფენიანებიდან	არ აწარმოებენ, კაპტაჟი არა აქვს
32	ღები	სოფლიდან 2 კილ. მანძილზე მდ. მუხამეშის მარცხენა ნაპირ-ზე	2184	90	ნახშირმჟავა-რკინიანი	პალეოზოის ფენიანებიდან	არ აწარმოებენ, კაპტაჟი არა აქვს
33	ღები	სოფლ. 1/4 კილ. მანძილზე მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე	მცირეა	100	?	მდინარეთა მონალექიდან	ხმარობენ საქო-ნელისთვის სას-მელად

№	წყაროს სახელი	ადგილ-მდებარეობა	დებეტი	ტემპერა-ტურა C.	შემადგენ-ლობა	გეოლოგიური პირობები	შენიშვნა
34	ღები	სოფლიდან 3 კილ. მანძ. ბალინჯუბ-ში მდ. ფორხი-შურის მარცხენა ნაპირზე	3528	10,50	გოგირდიანი	მდინარეთა მონალექიდან	არ ხმარობენ, კაპტაჟი არა აქვს
35	ღები	მდ. ედენის-წყალის მარცხენა ნაპირზე	დიდი	70	ნახშირმჟავა-რკინიანი	მონალექიდან	არ აწარმოებენ, კაპტაჟი არა აქვს
36	ღები	მდ. ჩოშურის მარცხ. ნაპ. მდ. ხვარულას შესართავის ახლოს.	1300	9,50	ნახშირმჟავა-რკინიანი, სუსტი მლაშე-ტუტიანი	მონალექიდან 3 გამოსავალი	კაპტაჟი არა აქვს. ხმარობენ საქონლისთვის სასმელათ.
37	ღები	მდ. ჩოშურის მარცხ. ნაპირ. შალის კალთასთან	2336	90	ნახშირმჟავა-გოგირდიანი-რკინიანი	მყინვართა მონალექიდან. წყაროსთან ახლოს მოიპოება $CO_2 + H_2S$ გაზ. გამ.	კაპტაჟი არა აქვს. გაზებს სასუნთქავათ ხმარობენ.
38	ღები	მდ. ჩოშურის მარცხ. ნაპ. კოდნორაში	შცირეა	90	ნახშირმჟავა-რკინიანი, სუსტი მარილიანი	პალეოზოის ფენიანებიდან	არ აწარმოებენ, კაპტაჟი არა აქვს
39	ღები	მდ. ჩოშურის მარცხ. ნაპ., ამ მდინარის მარცხ. შენაკადის სოკვეთელის მარჯვენა მხარეზე.	სულ 3 წყაროა. ქვემოსი დებეტი: 2360	8,50	ნახშირმჟავა-რკინიანი. სუსტი-ტუტიანი	მონალექიდან	ერთი წყაროს კაპტაჟი აქვს. გამოღრუებულ ჯირკში
40	ღები	წინა წყ. ახლოს ადგ. ჩვემოში	13440	7,60	ნახშირმჟავა-რკინიანი	მონალექიდან	კაპტაჟი აქვს გამოღრუებულ ჯირკში, იხმარება სასმელათ
41	ღები	წინა წყ. ახლოს ადგ. ჩვემოში	10080	8,60	ნახშირმჟავა-რკინიანი. (სუსტი)	მონალექიდან	კაპტაჟი გამოღრუებულ ხეში. იხმარება სასმელათ.
42	ღები	მდ. ჩოშურის მარცხ. ნაპირით ადგ. ბაინჩარაში	რამოდენიმე გამოსავალი, 227000	7,60	ნახშირმჟავა-რკინიანი (სუსტი)	მონალექიდან	კაპტაჟი არა აქვს არ იხმარება. რამოდენიმე წყარო ღელეს ქმნიან.

№	წყაროს სახელი	ადგილ-მდებარეობა	დებეტი	ტემპერა-ტურა C.	შემადგენ-ლობა	გეოლოგიური პირობები	შენიშვნა
43	ღები	ბაინჩარაში ცოტა მაღლა	2 წყარო 20160	8,6⁰	ნახშირმჟავა-რკინიანი	მონალექიდან	კაპტაჟი არა აქვს, არ იხმა-რება
44	ღები	ჩოშურის მარ-ცხენა შენაკადის შესართავთან	2 წყარო 4016	7,6⁰	ნახშირმჟავა-რკინიანი	მონალექიდან	კაპტაჟი არა აქვს, არ იხმა-რება
45	ღები	მდ. ჩოშურით, ნაბოსში	7200	7,6⁰	ნახშირმჟავა-რკინიანი	მონალექიდან	კაპტაჟი არა აქვს, არ იხმა-რება
46	ღები	მდ. ჩოშურით მარცხენა ნაპ. მდ. დომბურის შესართავთან ჩანჩახში	75600	6,7⁰	ნახშირმჟავა-გოგირდიან-რკინიანი	მდინარეთა მონალექიდან	კაპტაჟი არა აქვს, არ იხმარება
47	ღები	მდ. ჩოშურის მარცხენა ნაპ. მთა კორიბიწვე-რის კალთაზე	?	?	ნახშირმჟავა-გოგირდიან-რკინიანი	პალეოზოის ფენიანებიდან	კაპტაჟი არა აქვს, არ იხმარება
48	ღები	ჩოშურის მარჯვ. ნაპ. ადგ. კირ-ტიშოს	10080	6,7⁰	ნახშირმჟავა-რკინიანი	მდინარეთა მონალექიდან	კაპტაჟი არა აქვს, არ იხმარება
49	ღები	მდ. ჩოშურის მარჯვ. ნაპ. ადგ. კირტიშოს, წი-ნაზე მაღლა	5040	6,7⁰	ნახშირმჟავა-გოგირდიანი	მონალექიდან	კაპტაჟი არა აქვს, არ იხმარება
50	ღები	მდ, ჩოშურის მარჯვ. ნაპ. ადგ. კირტიშოს 30 მეტრით წინაზე მაღლა	5040	6,5⁰	ნახშირმჟავა-გოგირდიან-მლაშე-რკი-ნიანი	მონალექიდან	კაპტაჟი არა აქვს, არ იხმარება
51	ღები	მდ. დომბურით, ჩოშურის მარჯვ. შენაკადია.	?	8⁰	ნახშირმჟავა-გოგირდიან-რკინიანი	მონალექიდან	კაპტაჟი არა აქვს, არ იხმარება

№	წყაროს სახელი	ადგილ-მდებარეობა	დებეტი	ტემპერა-ტურა C.	შემადგენ-ლობა	გეოლოგიური პირობები	შენიშვნა
52	ღები	ჩოშურის მარჯვ. ნაპირას 2 კილ. დაბლა მდ. დომ-ბურით	2 წყარო 60206	6°	ნახშირმჟავა-გოგირდიან-რკინიანი	მონალექიდან	კაპტაჟი არა აქვს, არ იხმარება
53	ღები	წინაზე ქვემოთ	3360	6,5°	ნახშირმჟავა-რკინიანი	მონალექიდან	კაპტაჟი არა აქვს, არ იხმარება
54	ღები	ჩოშურის მარჯვ. ნაპ. ქვაცი-ხურში	4032	8,5°	ნახშირმჟავა-რკინიანი	მონალექიდან	კაპტაჟი არა აქვს, არ იხმარება
55	ღები	ჩოშურის მარჯვ. ნაპ. ნაკალოვარში	86352	9,5°	ნახშირმჟავა-რკინიანი	წყლის პირას, მონალექიდან	კაპტაჟი არა აქვს, არ იხმარება
56	ღები	ჩანჩახის მარჯვე-ნა ნაპ.	4032	8,5°	ნახშირმჟავა-რკინიანი	მონალექიდან	კაპტაჟი არა აქვს, არ იხმარება
57	ღები	ჩანჩახის მარჯვ. ნაპ. ზადანაურში	2336	9°	ნახშირმჟავა-გოგირდიან-რკინიანი	მონალექიდან	კაპტაჟი არა აქვს, არ იხმარება
58	ჭიორა	მდ. ნაცარაუ-ლით	?	6°	ნახშირმჟავა-რკინიანი	მონალექიდან	კაპტაჟი არა აქვს
59	ჭიორა	ამის ქვემოთ	?	8°	ნახშირმჟავა-რკინიანი	მონალექიდან	კაპტაჟი არა აქვს.
60	ქისთა	მდ. ჯოჯორის მარჯვ. ნაპ.	4488	9°	ნახშირმჟავა-რკინიანი, სუსტი მლაშე-ტუტიანი	ფენიანებიდან	კაპტაჟი არა აქვს, ხმარობენ სასმელათ

№	წყაროს სახელი	ადგილ-მდებარეობა	დებეტი	ტემპერა-ტურა C°	შემადგენ-ლობა	გეოლოგიური პირობები	შენიშვნა
61	ქისთა	მდ. ჯოჯორის მარცხ. ნაპ., წინას პირდაპირ	?	90	ნახშირმჟავა-რკინიანი, სუსტი მლაშე-ტუტიანი	მთა საგოვა-თის კალთაზე	არ იხმარება
62	ბეზური	ბეზურის მარ-ჯვენა ნაპ. სოფ. ბეზურიდან 3 კილ. მანძილზე	8072	7,60	ნახშირმჟავა	1) მონალე-ქიდან 2) პალეო-ზოის ფენიანებიდან, ახლოს გაზე-ბის გამოსა-ვალია	კაპტაჟი არა აქვს, ხმარობენ საბანებლათ, გაზებს-სასუნთ-ქავათ
63	ჯაჟნარის	სოფ. ჯაჟნარში	1920	8,50	ნახშირმჟავა-რკინიანი	—	კაპტაჟი არა აქვს, არ აწარმოებენ
64	ძეგლევი	—	დიდი	ცივი	ნახშირმჟავა-რკინიანი	ლიასის ფენიანებიდან	კაპტაჟი არა აქვს, ხმარობენ სასმე-ლათ და საბა-ნებლათ
65	გომი	—	?	ცივი	ნახშირმჟავა-რკინიანი	ამოხეთქს კლდიდან	კაპტაჟი არა აქვს, არ იხმარება
66	საკაო	სოფლის ზემოთ მდ. საკაოს (სა-ქორიას) მარ-ცხენა ნაპ.	?	ცივი	ნახშირმჟავა-რკინიანი	?	კაპტაჟი არა აქვს, ხმარობენ საქონლისთვის სასმელათ
67	საკაო	იქვე	მცირეა	ცივი	—	?	—

ქიმიური ანალიზი რაჭის მადნეული წყლებისა.

ბ. ბურჟუკოვსკის ანალიზი (1916 – 1917 წ.).

I შემადგენელი ნაწილები ეროი ლიტრი წყლისა.

		ბუგეული ლორთქიფანიძის აბანო	წესი (ხიდის-კარი) კაციტაძეს აბანო	სოფ. ღები წყარო შტალის კალთა
იოდი		—	ნიშნები	—
ქლორი		0,0093	0,0062	0,0182
ბრომი		—	—	—
ბორის მჟავა		—	—	—
ფოსფორის მჟავა		არის	—	არის
$H_2S_2O_3$		არის	არის	—
გოგირდის მჟავა		0,1214	0,1045	არის
აზოტის მჟავა		—	—	—
აზოტიანი მჟავა		ნიშნები	—	—
ნატრიუმის ჟანგი		0,0517	0,0330	არის
კალიუმის „		—	—	—
კალციუმის „		0,0784	0,0711	0,0396
მაგნიუმის „		0,0488	0,0174	0,0132
რკინის „		0,0052	0,0022	0,0046
მანგანუმის ნაჟანგი		—	—	—
ამიაკი		ნიშნები	—	ნიშნები
სილიციუმის ორჟანგი		0,0208	0,0104	0,0188
ნახშირმჟავა		0,0657	0,0280	არის
გოგირდი		0,0097	0,0067	არის
		0,4110	0,2795	—
მჟავბადის წესაბამი	ქლორისადმი	0,0021	0,0014	—
რაოდენობის გამოთვლით	გოგირდისადმი	0,0050	0,0033	—
ჯამი შემადგენელ ნაწილებისა		0,4039	0,2748	—
გოგირდიანი წყალბადი თავისუფალი		0,0216	0,0096	არის
ნახშირმჟავა ნახევრათ თავისუფალი		არის	არის	არის
მშრალი ნარჩენი	110°	0,4526	0,2998	0,1948
ერთი ლიტრა წყალის	150°	0,4468	0,2956	0,1906
აღორთქლისაგან	გამომწვარი	0,4074	0,2788	0,1792
რეაქცია		ტუტიანი	ტუტიანი	—

მოტანილი დაღის რაოდენობა საკმაო არ იყო ანალიზისთვის.

II წარმოდგენილი შემადგენლობა მშრალი ნარჩენისა შეერთებათა სახით.

	ბუგეული ლორთქიფანიძის აბანო	წესი (ხიდის-კარი) კაციტაძეს აბანო	სოფ. ღები წყარო შტალის კალთა
ქლორიანი ნატრიუმი	0,0153	0,0102	—
ბრომიანი ნატრიუმი	—	—	—
იოდიანი ნატრიუმი	—	ნიშნები	—
ქლორიანი კალიუმი	—	—	—
$N_2S_2O_3$	არის	არის	—
გოგირდმჟავა ნატრიუმი	0,0167	0,0048	—
„ კალიუმი	—	—	—
„ კალციუმი	0,1904	0,1729	—
„ მაგნიუმი	—	—	—
ნახშირმჟავა ნატრიუმი	0,0298	0,0216	—
„ კალციუმი	—	—	—
„ მაგნიუმი	0,1021	0,0364	—
რკინის ჟანგი	0,0052	0,0022	—
სილიციუმის ორჟანგი	0,0208	0,0104	—
გოგირდიანი ნატრიუმი	0,0236	0,0163	—
ფოსფორმჟავა კალციუმი	არის	—	არის
	0,4039	0,2748	—

1 ლიტრი წყალში აწონილი ნივთიერებანი.

გამშრალი 110°-მდე	0,0275	0,0079	0,0109
გამომწვარი	0,0161	0,0053	0,0087

შემადგენელი ნაწილები ერთ ლიტრი წყალში აწონილ ნივთიერ.

სილიციუმის ორჟანგი	0,0007	—	—
რკინის ჟანგი გამომწვარ. მდგ.	0,0053	0,0023	არის
გოგირდიანი რკინა	არის	არის	არის
კალციუმის ჟანგი	0,0046	არის	არის
მაგნიუმის ჟანგი	ნიშნები	—	—
გოგირდის მჟავა გამომწ. მდგ.	არის	არის	არის

წყლების ტიპი—გოგირდიანი სუსტად გამადნეული.

მოტანილი დაღის რაოდენობა საკმაო არ იყო ანალიზისთვის.

ქიმიური ანალიზი რაჭის მადნეული წყლებისა.

ბ. ბურჟუკოვსკის ანალიზი (1916 – 1917 წ.).

I შემადგენელი ნაწილები ერთი ლიტრი წყალისა.

	სოფ. ურავი წყარო№ 1	ონი ყიფიანის ჭა	სოფ. ლაჩტა	სოფ. შაუბანი	უწერა წისქვილის ახლოს	სოფ. გლოლა მდ. ჩანჩახის მარჯვ.	შოვი
ქლორი	0,0171	0,0431	0,5824	0,0961	0,0486	0,0246	0,1669
ბრომი	—	—	—	—	—	—	ნიშნები
იოდი	—	—	ნიშნები	—	—	—	ნიშნები
ბორის მჟავა	—	—	—	—	—	—	—
ფოსფორის მჟავა	—	—	—	—	არის	არის	მრავალი
გოგირდის „	0,0399	0,0029	0,0843	ნიშნები	0,0125	0,0347	0,1803
აზოტის „	ნიშნები	0,0982	0,0098	0,0049	ნიშნები	ნიშნები	არის
აზოტიანი „	—	0,0032	არის	არის	ნიშნები	—	არის
მარგიმუშკის „	—	—	—	—	—	—	—
ნატრიუმის ჟანგი	0,4621	0,0946	0,9616	1,2108	0,2757	0,4250	0,2093
კალიუმის „	არის	არის	არის	არის	არის	—	არის
ლითიუმის „	—	—	არის	—	—	—	—
კალციუმის „	0,2954	0,5620	0,1603	0,2699	0,3675	0,1185	0,5267
სტრონტიუმის	—	არის	—	არის	არის	—	—
მაგნიუმის „	0,0614	0,0226	0,0892	0,0956	0,0968	0,0099	0,4879
რკინის „	0,0122	0,0186	0,0467	0,0108	0,0110	0,0198	0,0076
ალუმის „	ნიშნები	—	—	—	—	ნიშნები	—
რკინის ნაჟანგი	არის	არის	არის	არის	არის	—	არის
მანგანუმის „	არის	არის	—	არის	არის	—	არის
ამიაკი	—	არის	არის	ნიშნები	ნიშნები	—	არის
სალიციუმის ორჟანგი	0,0106	0,0210	0,0296	0,0260	0,0148	0,0067	0,0284
ნახშირმჟავა (შეკრკული)	0,5745	0,4640	0,4869	1,1125	0,7832	0,3712	0,8905
	1,4732	1,3312	2,4419	2,8276	1,4099	1,0104	2,4976
მჟავბადის შესაბამი რაოდენობის გამოთვლით ქლორისადმი	0,0038	0,0096	0,1310	0,1226	0,0110	0,0055	0,0375
შემადგენელ ნაწილთა ჯამი	1,4694	1,3216	2,3099	2,8050	1,5989	1,0049	2,4500
ნახევრათ შეკრული CO_2	არის	0,9864	0,5201	არის	არის	0,6932	0,9513
თავისუფალი CO_2	არის		0,0842	არის	არის		0,0428
მშრალი ნარჩენი 1 ლიტრი წყალის აორთქვლისაგან. 110°	1,4786	1,3463	2,3382	2,8426	1,6216	1,0462	2,4832
160°	1,4754	1,3428	2,3348	2,8398	1,6194	1,0446	2,4806
გამომწვარი	1,4602	1,3192	2,3016	2,7962	1,6014	0,9986	2,4624
რეაქცია	ტუტიანი	ტუტიანი	ტუტიანი	ტუტიანი	ტუტიანი	ტუტიანი	ტუტიანი

II წარმოდგენილი შემადგენლობა მშრალი ნარჩენისა შეერთებათა სახით.

	სოფ. ურავი წყარო№ 1	ონი ყიფიანის ჭა	სოფ. ლაჩტა	სოფ. შაუბანი	უწერა წისქვილის ახლოს	სოფ. გლოლა მდ. ჩანჩახის მარჯვ.	შოვი
ქლორიანი ნატრიუმი	0,0282	0,0711	0,9604	0,1585	0,0801	0,0406	0,2751
„ კალიუმი	არის	არის	არის	არის	არის	—	—
„ ლითიუმი	—	—	არის	—	—	—	—
ნახშირმჟავა ნატრიუმი	0,7647	0,0973	0,7568	0,9260	0,3986	0,6898	0,1086
„ კალციუმი	0,4575	0,9066	0,1717	0,4680	0,8709	0,1683	0,7149
„ მაგნიუმი	0,1286	0,0473	0,1865	0,1999	0,2024	0,0207	1,3254
„ სტრონტიუმი	—	არის	—	არის	—	—	—
გოგირდმჟავა კალციუმი	0,0678	0,0049	0,1433	ნიშნები	—	—	—
„ ნატრიუმი	—	—	—	—	—	—	—
აზოტმჟავა ნატრიუმი	—	—	—	—	—	—	—
„ კალციუმი	ნიშნები	0,1491	0,0149	0,0094	ნიშნები	ნიშნები	არის
აზოტიან მჟავა კალციუმი	—	0,0055	ნიშნები	ნიშნები	ნიშნები	—	არის
„ „ ნატრიუმი	—	—	—	—	—	—	—
ფოსფორმჟავა კალციუმი	—	—	არის	არის	არის	არის	მრავალი
რკინის ჟანგი	0,0122	0,0186	0,0467	0,0108	0,0146	0,0198	0,0076
„ ნაჟანგი	არის	არის	არის	არის	არის	—	არის
მანგანუმის „	არის	არის	—	არის	არის	—	არის
სილიციუმის ორჟანგი	0,0106	0,0210	0,0296	0,0260	—	0,0076	0,0284
აზოტმჟავა ამონიუმი	—	არის	არის	არის	არის	—	არის
	1,4694	1,3214	2,3094	2,8050	1,5989	1,0049	2,4600

1 ლიტრი წყალში აწონილი ნივთიერებანი.

გამშრალი 120°	0,0202	0,0098	0,0378	0,0368	0,0206	0,0113	0,0184
გამომწვარი	0,0168	0,0072	0,0264	0,0257	0,0144	0,0082	0,0136

შემადგენელი ნაწილები ერთ ლიტრი წყალში აწონილ ნივთიერ.

CaO	არის	არის	0,0042	0,0084	არის	არის	არის
MgO	—	—	არის	0,0012	არის	—	არის
Fe_2O_3	0,0136	არის	0,0146	0,0148	0,0084	არის	0,0068
FeO_2	არის	არის	0,0068	0,0018	არის	არის	არის

წ ყ ლ ი ს ტ ი პ ი

სუსტი ტუტიანი	მაგარი	სუსტი მლაშე-ტუტიანი	სუსტი ტუტიანი	მაგარი	სუსტი ტუტიანი	მაგარი

ქიმიური ანალიზი გამურელიძის მადნეული წყლებისა უწერაში

ა. შტაკმანის ანალიზი (1892 წ.).

I შემადგენელი ნაწილები 1 ლიტრი წყალისა.

ნატრიუმი	0,1370	გრამ.
ნატრიუმის ჟანგი	2,3905	—
კალიუმის ჟანგი	0,0015	—
კალციუმის ჟანგი	0,4280	—
მაგნიუმის ჟანგი	0,3942	—
რკინის ნაჟანგი	0,0157	—
მანგანუმის ნაჟანგი	ნიშნები	—
ქლორი	0,2122	—
იოდი	0,0004	—
ბრომი	0,0008	—
ნახშირმჟავა	2,4630	—
გოგირდის მჟავა	0,0244	—
ბორის მჟავა	ნიშნები	—
ალუმის ჟანგი	0,0052	—
სილიციუმის ორჟანგი	0,0172	—
ორგანიული ნივთიერებანი	0,0040	—
სულ	6,0940	—
ნახშირმჟავები: ნახევრათ თავისუფალი	1,0979	—
ნახშირმჟავები: თავისუფალი	1,2423	—
წილადი (ხვედრი) წონა	1,0066	—
რეაქცია	ტუტიანი	
ტემპერატურა	13,5° C.	
წყლის დებეტი (გაზომილ. 1892 წ.)	1152 ლიტრ.	

II შემადგენელი ნაწილები შეერთებათა სახით.

(1 ლიტრი წყალში)

ნახშირმჟავა ნატრიუმი . . .	4, 0561	გრამ.
ნახშირმჟავა რკინა . . .	0, 0252	—
ნახშირმჟავა მანგანუმი . . .	ნიშნები	—
ნახშირმჟავა კალციუმი . . .	0, 7442	—
ნახშირმჟავა მაგნიუმი	0, 8278	—
გოგირდმჟავა ნატრიუმი . . .	0, 0415	—
გოგირდმჟავა კალიუმი . . .	0, 0022	—
ბორმჟავა მაგნიუმი ($Mg\ B_2O_4\ 3H_2O$) .	ნიშნები	—
ქლორიანი ნატრიუმი	0, 3496	—
იოდიანი ნატრიუმი	0, 0005	—
ბრომიანი ნატრიუმი	0, 0009	—
ალუმის ჟანგი	0, 0052	—
სილიციუმის ორჟანგი . . .	0, 0172	—
ორგანიული ნივთიერებანი . . .	0, 0040	—
სულ . . .	6, 0944	—

ტერმინები.*)

ტუაფე—котловина.
გამოჩუტული, გამოჩუტვა—вывѣтренный вывѣтриваніе.
ცემი—იგივე ზეგანი.
ცარციანი კირნარი—мѣловой извѣстнякъ.
უპუ—გამოძახილი.
ქარსი—слюда.
საქსი—гранитъ.
იასპი—аспидъ.
კირიანი ქვიშნარი—извѣстковый песчанникъ.
თირი—туфъ.
კეცი—
ტალა— } пластъ.
ფენი—слой.
ქანი—
ჯიში— } горная порода
ფენიანი—сланцы, слоевцовые.
გაშიშვლება—обнаженіе.
ტეხვის ხაზი—линія излома.
მარგულები—желваки.

---

*) ამ თარგმანში ნახმარ ტერმინების უმრავლესობას მოპოებული აქვს უკვე ერთგვარი მოქალაქობრივობა ქართულ სამეცნიერო ენაში. ესენი გვხვდება როგორც სპეციალურ ხასიათის ლიტერატურაში, აგრეთვე სხვა და სხვა წყაროებში. ჩემი წყაროებია: გეოგრაფიის ნაწილში—ვახუშტის გეოგრაფია, ივ. ჯავახიშვილი (ქართ. ერ. ისტ.), ვ. ბერიძე (ლექსიკ.), ალ. ჭყონია (ლექსიკ.), ალ. ჭიჭინაძე (გეოგრაფ. სახელ.), ს. იაშვილი (გეოგრ. სახ.), იას. ავალიშვილი (მათემ. ტერმ.); გეოლოგიისაში—რაფ. ერისთავის ლექსიკ., კ. ყიფიანი (ლექსიკ.), ს. იაშვილი (გეოგრაფ.), ი. ფანცხავას თარგმანი, ს. ოცხელის და ნიკარაძის ფიზიკის სახელმ.; ქიმიისაში—პროფ. მელიქიშვილის ლექციები, წაკითხული სახელმწ. უნივ. 1918|19 სამოსწ. წელში, ბეთანელის თარგმანი (ქიმია). ვისარგებლე აგრეთვე იოვ. პეტრიწონელის თარგმანით და ს. ოცხელის გეომეტრიით.

სპეციალური ტერმინოლოგიის არკმარებამ, ამ შრომის თარგმნის დროს, იძულებული მყო მე თვითონ შემექმნა ახალი ტერმინები უცხო ენების (უფრო რუსულის) მიხედვით და სიტყვის შინაგანი ლოღიკის დაცვით.

აქ მოყვანილია რამოდენიმე ტერმინი, რომელთა განმარტება საჭიროთ მიმაჩნია.

ბ. ბ.

დაქანება—уклонъ.
ჩამონახეთქი ჯიშები—обломочныя горн. породы.
ნესტვიანი—пористый.
ხამანწაკიანი ქვიშნარი—песчан. съ молмосками.
დაწოლა—давленіе.
ჩამორეცხვა—размывъ.
ჩამონალექი—отмосферные осадки.
მონალექი—наносы.
ნალექი, ლექი—осадокъ.
ნაზავი—растворъ.
მაგნიტური რკინის მადანი—магнитный желѣзнякъ.
გოგირდიანი გაზი—сѣрнистый газъ.
გოგირდიანი—сѣрнистый.
ტუტიანი—щелочный.
მლაშე ანუ მარილიანი—соленый.
წილადი წონა—удѣльн. вѣсъ.
დაღი—проба.

ბ. კ.

ბიბლიოგრაფია.

Abich N. Prodromus einer Geologie der Kaukasischen Landern СПБ. 1858.

„ — „ Aperçu de mes vouages en Transcaucasie en 1864 (Moscou 1865). Bulletin de la sociétè des naturalists de Moscou т. XXXVIII. № 2.

„ — „ Сообщеніе академика Абиха о затрудненіяхъ при пробытіи Кавказскаго тоннеля—„Кавказъ“ 1873. № 47.

Акинфіевъ И. Я. Поѣздка въ Осетію, на Ардонъ и въ Сванетію. Зап. Кавк. Отд. И. Р. Географ. Общ. Кн, XVI Тифлисъ 1894.

Бахтадзе И. Л. Экономическій бытъ государственныхъ крестьянъ Рачинскаго уѣзда Кут. губ. (Матер. для изуч. экономич. быта госуд. крестьянъ Закавк. края т. II вып. I) Тифлисъ 1886.

Бертенсонъ Л. Лечебныя воды, грязи и морскія купанья. 4-ое изд. С.П.Б. 1901 г.

Вилемсъ Г. Е. Углекислый газъ въ Рачинскомъ участкѣ „Кавказъ“ 1846. № 25. Тифлисъ.

Вознесенскій А. В. Объ осадкахъ на Кавказѣ. зап. Кавк. Отд. И. Р. Геогр. общ. кн. XVII вып. I. Тифлисъ 1895.

Вороновъ Н. И. Долина Ріона „Эпоха“ 1864. 11.

Воскобойниковъ Н. Описаніе горныхъ промысловъ и полезныхъ минераловъ въ Округахъ Имеретинскомъ, Рачѣ, Мингрельскомъ, Лечхумѣ и въ Сванетіи Г. Ж. 1826. 11.

Герсевановъ М. Н. Очеркъ гидрографіи Кавказскаго края СПБ. 1886.

Голинскій Медико-топографическія замѣчанія объ Имеретіи, Мингреліи и Гуріи (Военно-Мед. журн. ч. XXIV № 1. СПБ. 1837 г.

Grove F. C. The frosty Caucasus. London 1875 (перевод. на русск. и фран. яз.).

Грумъ. Полное систематическое, практич. описаніе минеральныхъ водъ, лечебныхъ грязей и купаній Росс. Имп. 1855.

Дандуровъ Е. А. Виноградство и винодѣліе въ Рачинскомъ уѣздѣ. (сборн. свѣд. по виноградств. и винодѣл. на Кавказѣ.) Вып. III Тифлисъ 1895 г.

Диникъ Н. Я. Осетія и верховья Ріона. Зап. Кавк. Отд. И. Р. Геогр. Общ. кн. XIII вып. I. Тифл. 1884.

„ — „ Современные и древніе ледники Кавказа. зап. Кавк. Отд. И. Р. Географ. общ. кн. XIV вып. 1. Тифлисъ 1910 г.

Dubois de Monpéreux F. Voyaqe autour du Caucase. 6 vol. et 1 atl. Paris 1839—1843 г. г.

Dechy (de) M. Caucasus. III Banden Berlin 1906.

Джапаридзе Т. Болѣзни и народные пріемы ихъ леченія въ мѣстн. Они Кут. губ. Сборн. матер. для опис. мѣстн. и плем. Кавказа 16.

Кереселидзе Д. Гебское сельское общество. Сборн. мат. для опис. мѣстн. и плем. Кавк. 22.

Коншинъ А. М. Описаніе горячихъ минеральныхъ источн. Кавказа. Матер. для геолог. Кавк. Сер. 2. Кн. 6. Тифлисъ 1892. стр. 116, 122.

Климатическій Атласъ Россійской Имперіи (изд. Ник. Главной Физ. обсерв.) СПБ. 1900 г.

Калининъ М. Ѳ. Матеріалы для изученія почвъ Рачинскаго уѣзда (Труды лабор. при Сакарс. питом. амер. лозъ Г. 6 т. 1902 г.)

Лаврентьевъ А. И. Статистическое описаніе Кутаисск. Генералъ-Губернаторства СПБ. 1858 г.

Леоновъ В. Озера нижней Рачи (въ Шаорской котловинѣ въ Закавказьѣ). Землевѣд. 1902 №№ 2—3.

Libau Uber die Kauk. Mineralquellen (Separ. Abduch. aus d. s. Petersb. Med.—Zeitsch. Bd. XVII H. 2—3) СПБ. 1869.

Левинсонъ-Лессингъ Ф. Вулканы и лавы центральнаго Кавказа Изв. СПБ. Политехн. Инстит. т. XX 1912 г.

Ломинадзе В. Поѣздка въ Рачу. Сборн. Матер. для опис. мѣстн. и плем. Кавк. Вып. XIII.

Ломинадзе Ш. К. По Ріонскому ущелью. Сборн. матер. для опис. мѣстн. и плем. Кавк. Вып. 22 Тифлисъ 1897.

Мачаваріани. Цѣлебные минеральные источники въ Кут. губ. Кутаисъ 1915 г.

Меллеръ В. И. Полезныя ископаемыя и минер. воды Кавказскаго Края, Изд. 2-ое СПБ. 1896.

Merzbacher G. Aus den Hochregionen des Kaukasus. Leipzig. 1901.

Михайловскій В. Т. Горныя группы и ледники Центральнаго Кавказа. Землевѣденіе кн. I. 1894 г. СПБ.

Наблюденія Тифлисской Физической Обсерваторіи и метеорологич. станц. ея района 1914 г. Вып. 2 и 3. Тифлисъ 1915 г.

Пантюховъ И. И. Минеральныя воды въ Кутайсской губ. „Кавказъ" 1865. №№ 66 и 67. Тифл.

„ — „ О вѣтрахъ ріонской долины. Зап. Кавк. Отд. И. И. Р. Географ. Общ. кн. VIII.

„ — „ Медико-топографич. очеркъ бассейна р. Ріона. Мед.-топограф. сборникъ 1871. 4.

„ — „ Къ медицинской топографіи области р. Ріона. В. М. Ж. 1865. 4.

Переваленко В. Минеральн. источн. въ Рачинскомъ у. „Кавказъ" 1842. 21.

Пфафъ В. Б. Описаніе путешествія въ запад. Осетію, Рачу, Б. Кабарду и Дигорію. Сборн. свѣд. о Кавказѣ. 2.

Плешковскій С. Рачинскій углекисло-желѣзн. минер. ключи въ Имеретіи. Военно-Мед. журналъ; издав. Главн. Военно-мед. управленіемъ 1853. 2.

Подозерскій К. И. Ледники Кавказскаго хребта. зап. Кавк. Отд. И. Р. Геогр. Общ. кн. XXIX вып. I. Тифл. 1911.

Представленіе Грузинской Горной Экспедиціи ген.-л. Вельями-

нову отъ 8-го мая 1826 г. (Акты, собранные Кавк. Арх. Комисс. т. VI ч. I. Тифлисъ 1874.

Radde G. Путешествіе въ Мингрельскихъ Альпахъ и въ трехъ продольныхъ долинахъ (зап. Кавк. Отд. И. Р. Геогр. Общ. кн. VII) Тифлисъ 1866.

Рачинскій Минерально—кисло—желѣзн. ключи въ Имеретіи (Закавказскій вѣстникъ 1851. 13.).

Рача. „Кавказъ" 1870. 105.

Салацкій Н. Д. Очеркъ орографіи и геологіи Кавказа. Зап. Кавк. Отд. И. Р. Геогр. общ. кн. VII вып. I. Тифл. 1866 г.

Симоновичъ С. Геологическое наблюденіе въ бассейнѣ верхняго теченія р. Ріона (Матер. для геолог. Кавк. вып. II) Тифл. 1880.

Simonovitch S. Les environs de Koutais et la vallé de la riv. Rion entre Koutais et l'arête Mamisson (Guide des excursions du VII Congrés Geólogique International).

Скоровъ М. В. Минеральныя воды Кавказск. Намѣстничества. Кавк. Календарь на 1877 г. Тифлисъ 1876.

Смирновъ Т. М. Геологическое описаніе части Рачинскаго уѣзда Кут. губ. (Матер. для геол. Кавк. Сер. III, кн. 7. Тифлисъ 1919 г.).

„ — „ Свѣдѣнія о мѣсторожденіяхъ полезн. ископаемыхъ и минер. водахъ Кавк. края открытыхъ и заявленныхъ въ періодъ времени съ 1904 по 1909 г. включительно (Матер. для геол. Кавк. сер. III, кн. 9.) Тифлисъ 1910 г.

Срединскій Н. К. Очеркъ растительности Рачинскаго бассейна. Зап. Нов. Общ. Естествоисп. т. II Одесса 1874.

Статковскій Б. Задачи климатологіи Кавказа СПБ. 1878.

Стебницкій І. И. Замѣтки о распространеніи ледниковъ на Кавказѣ. Изд. Кавк. Отд. И. Р. Геогр. Общ. V. Тифл.

„ — „ О высотѣ линіи вѣчн. снѣговъ на Кавк. горахъ. Изв. И. Р. Геогр. Общ. V. СПБ. 1873.

Тороновъ Н. И. Опытъ медицинской географ. Кавказа. Изд. Военно-Мед. департ. СПБ. 1864.

Утуловъ Л. Рачинскій уѣздъ. Волна, 1904. 3.

Favre E. Sur la qeólogie de la partie centrale de la chaîne du Caucase. Archives des Sc. de la Bibl. Yniv. Genève 1874.

„ — „ Recherches gèologiques dans la partie centrale de la chaîne du Caucase. Genève, Bâle, Lyon 1875.

Фигуровскій И. Опытъ изслѣдованія климатовъ Кавказа т. I. (Изд. Ник. Главн. Физ. Обсерв.) СПБ. 1912 г.

Fournier E. Description géologique du Caucase Centrale. Marseille 1896.

Freschfield and Sella. The enploration of the Caucasus. London. 1896.

Ходзько I. И. Общій взглядъ на орографію Кавказа. (зап. Кав. Отд. И. Р. Геогр. Общ. кн. VI) Тифл. 1864.

Циммерманъ А. О климатѣ Кут. губ. зап. Кавк. Отд. И. Р. Геогр. Общ. кн. П. Тифл. 1853.

Чурсинъ Г. Ф. Лечебныя мѣстности Кутайсскаго и Рачинскаго уѣздовъ. (Цѣлебный Кавказъ 1916 г. №№ 1—2). Тифл. 1916.

Шостакъ М. А. О Рачѣ и Сванетіи (Новое Обозрѣніе 6336—6338. 1903 г.

„ — „ О Рачѣ и Сванетіи (Изв. Кавк. Отд. И. Р. Геог. Общ. кн. XVI вып. I. Тифл. 1903.

Эихвальдъ Э. Описаніе минеральныхъ водъ Россіи въ естествен. истор. отношеніи (Военно-мед. Журн. 1860 № 1—2 СПБ.).

Щуровскій Г. Е. Геолог. очерки Кавказа. Русскій Вѣстн. 1862 г. кн. 2, 3, 4.

ნ. როჟკოვი.

მეოცე საუკუნის დასაწყისი

თარგმანი ხელთნაწერიდან *)—ვ. ჩ.

*) ეს ხელთნაწერი, რომელიც ჩვენ გადმოგვცა „Трудъ и Знаніе"-ს გამომცემლობამ, წარმოადგენს როჟკოვის ჯერ დაუბეჭდავ დიდი ნაშრომის „Россія отъ VI по XX вѣкъ"-ის უკანასკნელ თავს.

I.

სახალხო მეურნეობა მე-XIX საუკუნის მეორე ნახევარში და მე-XX საუკუნის დამდეგში.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარი და მეოცე საუკუნის დასაწყისი არის დრო კაპიტალიზმის ძლიერი და ჩქარი განვითარებისა რუსეთში. როგორც დასავლეთ ევროპაში, ისე რუსეთშიაც კაპიტალიზმმა განიცადა ჯერ მომზადების ხანა, როდესაც კაპიტალი გროვდება, საძირკველი ეყრება მსხვილ კაპიტალისტურ წარმოებას, ასპარეზზე გამოდიან გაბედული კაპიტალისტები და ისახება მუშათა კლასი. ეს არის ხანა, როგორც უწოდებენ ხოლმე, კაპიტალის პირველი შექუჩებისა. რუსეთისთვის ეს ხანა დაახლოვებით მეცხრამეტე საუკუნის 90 წლებში დამთავრდა. ამის შემდეგ იწყება ხანა კაპიტალიზმის აყვავებისა, როცა კაპიტალისტები სარგებლობენ სხვა, უფრო „ფაქიზ" საშუალებებით სხვისი შრომის გამოსაწურავად და როცა მეურნეობა და წარმოების საშუალებანი აღწევენ განვითარების უმაღლეს საფეხურს. ჩვენ ყურადღებას მივაქცევთ ჯერ პირველს— პირველ-დაწყებითი შექუჩების ხანას.

პირველი, რაც ყველაზედ უფრო ახასიათებს ამ ხანას—ეს არის მტაცობრივი, უხეში, აღვირწახსნილი ექსპლოატაცია დაქირავებულ მუშათა შრომისა. ეს, პირველ ყოვლისა, სამუშაო დღის უაღრესად გაგრძელებაში გამოიხატებოდა. დიდი ხნის განმავლობაში 1882 წლამდე რუსეთში სრულიად არ არსებობდა საფაბრიკო კანონები და, საზოგადოდ, კანონი არაფრით არ საზღვრავდა სამუშაო დღეს. ამის გამოისობით ქარხნებში და ფაბრიკებში 60—90 წლებში მუშაობა გრძელდებოდა არა თუ მარტო 12 და 13 საათი დღის განმავლობაში,—ხანდისხან 14, 15 და ამაზე მეტიც. ოთხმოციანთ წლების დამდეგში მოსკოვის გუბერნიაში ფაბრიკების მხოლოდ $^1/_{10}$ რიცხვი სარგებლობდა 12 საათზე ნაკლებ სამუშაო დღით, ფაბრიკების უმეტეს ნაწილში ის უდრიდა 13—13$^1/_2$ საათს, და იმათ საერთო რიცხვის ერთ მეოცედ ნაწილში კი სამუშაო დღე 18 საათს აღწევდა. ეკატერინოსლავის გუბერნიის მაღაროებში 70 წლებში ჩვეულებრივი სამუშაო დღე გრძელდებოდა 17 საათი. ამ გარემოებას ხელს უწყობდა განსაკუთრებით ის, რომ შემოღებული იყო გარდაკვეთილ სამუშაოზედ ზედმეტი შრომა. სასოფლო მეურნეობაში, განსაკუთ-

რებით სტველის დროს, მებატონეების მამულებში მუშაობა. განთიადიდან დაწყებული დაბინდებამდე გრძელდებოდა.

ტლანქი ექსპლოატაცია გამოიხატებოდა აგრეთვე მუშა ხელის მეტის მეტად მცირე ქირაში. დამტკიცებულია, რომ ბატონ-ყმობის გაუქმების შემდეგ, პირველი ოცი წლის განმავლობაში მუშა ხელზე ქირის ზრდა ძალიან შორს ჩამორჩა პურზე და სხვა პირველ საჭიროების საგნებზე ფასების ზრდას, ასე რომ, ქირამ ნამდვილად 20, 40 და ზოგჯერ 50 პროცენტამდის დაიკლო. მაშასადამე 80 წლების დამდეგში, თავისი შრომის ფასით მუშებს შეეძლოთ ეყიდათ $^1/_5$-თ, $^2/_5$-თ ნაკლები, ზოგჯერ კი მხოლოდ ნახევარი იმ საგნებისა, რომლებსაც ისინი ყიდულობდენ 60 წლებში.

80 და 90 წლებში რუსეთში მუშა ღებულობდა თითქმის ოთხჯერ ნაკლებს ვიდრე ინგლისში და თითქმის ხუთჯერ ნაკლებს ვიდრე ამერიკაში; თუმცა ფქვილი, ნავთი, რძე, შაქარი და საპონი რუსეთში უფრო ძვირი იყო ვიდრე ინგლისში ან ამერიკაში და ამ უკანასკნელში ამასთანავე— ხორციც უფრო იაფი.

მეტად გავრცელებული იყო აგრეთვე ქალებისა და ბავშვების შრომა ფაბრიკებში და ქარხნებში. ამ გარემოებას თან სდევდა მოწიფულ მუშათა შრომის გაიაფება და უარყოფითი მხარეები ხალხის ჯანმრთელობისა.

ფაბრიკებში შემოღებული იყო დაჯარიმება. ამასთან ერთად დიდხანს— 1886 წლის კანონის გამოცემამდე, ჯარიმა მეფაბრიკეების სასარგებლოდ შედიოდა და მათთვის ერთ-ერთ შემოსავლიან საქმეს შეადგენდა. ეს მუშას ერთი მესამედით და ხანდისხან ორი მეხუთედითაც კი უმცირებდა ისედაც მცირე ხელფასს.

ქირის შემცირებას ხელს უწყობდა კიდევ ის გარემოება, რომ მუშები თავის შრომის ფასს ხშირად საქონლით ღებულობდენ და არა ფულით: აქედან სარგებლობდენ და კარგ მოგებას აკეთებდენ ისევ ფაბრიკების პატრონები, მით უმეტეს, რომ საქონელიც ხშირად სათანადო ღირსებისა არ იყო.

სასოფლო მეურნეობაში ჩაბმული მუშები ჩვეულებრივად ფაბრიკის მეშებზე ნაკლებ ქირას იღებდენ და მეოცე საუკუნის დასაწყისშიაც კი იმათი ქირა ოთხჯერ ნაკლები იყო ამერიკის მიწის მომუშავეთა ქირის შედარებით. მაგრამ რუსეთის სასოფლო მეურნეობისათვის ყველაფერზე უვარესი ის იყო, რომ ეს მეურნეობა ნახევრად ბატონ-ყმური იყო და მხოლოდ ნახევრად კაპიტალისტური...

მეორე დამახასიათებელი ნიშნოვრივი თვისება პირველ-დაწყებითი შექუ-

ჩების ხანისა მდგომარეობს იმ ტლანქ ექსპლოატაციაში, რომელსაც ეწოდენ მეტ ნაწილად წვრილი კაპიტალისტები—ეს გაიძვერა „საქმის კაცები“, ან როგორც ეძახიან აფერისტები, გრჯუნდერები: აფერისტი ნიშნავს სწორედ საქმის კაცს და გრჯუნდერი—ახალი საქმის მომგვარებელს. ასეთი აფერისტი მოხერხებით, პროტექციით, ხშირად მოსყიდვისა და ქრთამების საშუალებით გამოსჩხრეკდა ხოლმე როგორმე ნებართვას (კონცესიას) ვითომ რომელიმე რკინის გზის გასაყვანად ან სააქციონერო (პაებიდან შემდგარი) ამხანაგობის, ან ქარხნის, ან ფაბრიკის დასაარსებლად, ახალ მადნების დასამუშავებლად და სხვა. ხანდისხან გახვრეტილი კაპეიკის არა მქონე, ის ყიდიდა აქციებს და მყიდველებს დიდს მოგებას პირდებოდა; მადა გახსნილი წვრილი კაპიტალისტები ეგებოდენ ამ ანკესზე, ყიდულობდენ აქციებს და ჯერ პროცენტებსაც ღებულობდენ. აქციების ფასები მაღლა იწევდა, გრჯუნდერი ერთიანად ასაღებდა მათ და მდიდრდებოდა. მაგრამ ამის შემდეგ უეცრად მჟღავნდება, რომ რკინის გზა შემოსავალს არ იძლევა, ხანდისხან ზარალიც კი მოაქვს, ფაბრიკა, ქარხანა, ბანკი—კოტრდებიან, მაღაროები სუსტად იძლევიან ლითონს... ამას ქვიან გრჯუნდერობა. გრჯუნდერობა ძლიერ გავრცელებული იყო რუსეთში ნამეტურ 70 და 80 წლებში.

კაპიტალისტურ წარმოებას ყოველგან და ყოველთვის სჩვევია მუდმივი ცვლა წარმოებრივი გაცხოველებისა წარმოებრივი შეფერხებით ან კრიზისით...

ასეთი ცვალებადობა ახასიათებდა რუსეთის კაპიტალისტურ განვითარებასაც. გრჯუნდერობის, მტაცობრივი კაპიტალის ხანაში ეს ცვალებადობა უფრო ხშირად სწარმოებს და მისი მიმდინარეობა უფრო მძაფრი ხასიათისაა. სწორედ ასე იყო რუსეთში: 1875—77 წლებში დადგა კრიზისი, 1878—80 წლებში წარმოება გაცხოველდა, 1881—86 წლებში ისევ კრიზისი,—1887—90 წ. გაცხოველება, 1891—92 წ. ისევ კრიზისი. ამნაირად 18 წლის განმავლობაში 11 წელი მოდის კრიზისზე და მხოლოდ შვიდი—წარმოების გაცხოველებაზე. ხშირი და მძაფრი კრიზისები სწორედ დამახასიათებელი ნიშანია რუსეთში კაპიტალაზმის განვითარებისა. ამის მიზეზები ადვილი გასაგებია: ყოველი კაპიტალიზმი საზოგადოდ ვერ ეხამება საქონლის ბაზარს, აქ კი გარდა ამისა გავლენას ახდენდა ხალხის სიღარიბე, რომელსაც კიდევ უფრო აძლიერებდა გრჯუნდერების მძარცველობა.

მეოთხე, რითაც რუსეთში, ისე, როგორც ყოველგან განირჩეოდა პირველი ხანა კაპიტალიზმის განვითარებისა—ესაა ხაზინის გაყვლეფა გაბატონებულ კლასების მიერ, სახელმწიფოებრივ მეურნეობის ანუ ფინანსების ისეთი

ორგანიზაცია, როდესაც უბრალო ხალხი იღებდა განუსაზღვრელ მსხვერპლს და სამაგიეროდ არაფერს არ ღებულობდა სახელმწიფო სალაროდან, გაბატონებული უმცირესობა კი თითქმის არაფერს არ სწირავდა სახელმწიფოს და მისი ხაზინის ხარჯზედ აშენებდა თავის კეთილდღეობას.

ეს, პირველ ყოვლისა ნათლად სჩანს იქიდან, თუ როგორი ხასიათი ქონდა პირდაპირ გადასახადებს. 60 და 70 წლებში გამეფებული იყო ორი დარგი პირდაპირი გადასახადისა, პეტრე დიდის მიერ შემოღებული: სულზე გადასახადი (подушная подать), რომელსაც იხდიდენ გლეხები და მეშჩანები და ბეგარა (выкупные платежи), რომელსაც მხოლოდ გლეხები იხდიდენ. ორივე გადასახადი მეტის მეტად მძიმე იყო: სულზე გადასახადი შეადგენდა ცოტათი ნაკლებს ყველა პირდაპირ გადასახადების ნახევრისა — თუ ბეგარას არ ჩავთვლით; ბეგარა კი ორჯერ მეტი იყო სულზედ გადასახადისა. ბეგარის სახით გლეხებმა 1906 წლამდე 1570 მილიონი მანეთი შეიტანეს ხაზინაში. აქედან დაახლოვებით 1000 მილიონი მანეთი მიიღეს ბატონებმა—„პომეშჩიკებმა“, დანარჩენი კი ხაზინის წმინდა მოგებად დარჩა. პირდაპირი გადასახადების სიმძიმე ისე აუტანელი იყო გლეხებისთვის, რომ 1883 წელს დაიწყო და 1886 წელს დასრულდა სულზე გადასახადის გაუქმება. ამის მაგივრად ჯერ კიდევ 1875 წელს შემოიღეს მიწის ღალა; 1882 წელს—გადასახადი მემკვიდრეობასა და გასაჩუქრებაზე; 1886 წელს—გადასახადი სახლებზე (ქალაქებში) და 1885 წელს გარდასახადი ფულების თანხებზე. ყველა ეს ახალი გადასახადები სავსებით ან ნაწილობრივად აწვებოდა საზოგადოების ისევ შეუძლებელ კლასებს. მაგრამ ერთი რომ, ისინი არც ისე მძიმე გადასახადები იყვნენ; მეორეც,—გადასახადები, რომლებიც ედებოდა გლეხებთან ერთად სხვა კლასებსაც, არ იყვნენ თანასწორად განაწილებული და ამ განაწილებით ზარალობდა გლეხები. ასე მაგ., მიწის ღალას გუბერნიებზედ ანაწილებდა სახელმწიფო საბჭო, გუბერნიებში—მაზრებ შორის და თვით მაზრებში თვითეულ გარდამხდელზედ აწერდა ერობა. მაგრამ რადგანაც ერობა უმეტეს ნაწილად თავად-აზნაურობიდან შესდგებოდა, მათ მოახერხეს ღალის ისეთი განაწილება, რომ გლეხის დესეტინა 20 % მეტს იხდიდა, ვიდრე თავადისა ან აზნაურის დესეტინა; 1899 წელს კი პირველს უკვე ორჯერ მეტი ხდებოდა ვიდრე მეორეს. არ იყო თანასწორად განაწილებული არც საერობო გადასახადები. ამას ემატებოდა კიდევ ის, რომ სათემო ხარკს (мірскіе сборы) საზოგადოებათა და სასოფლო დაწესებულებათა შესანახად, მხოლოდ გლეხები იხდიდენ. ამნაირად, გამოდიოდა, რომ გლეხები ყველა პირდაპირ

გადასახადებს თავის მიწებიდან 10—12-ჯერ მეტს იხდიდენ, ვიდრე თავადაზნაურობა.

მაგრამ, რასაკვირველია, უფრო მეტი მნიშვნელობა ქონდა სააქციზო, საბაჟო, საფოსტო და სხვა არა-პირდაპირ გარდასახადებს. ესენი ხუთჯერ მეტი იყო პირდაპირ გადასახადებზე, მაგრამ ისინიც მთელი თავისი სიმძიმით იმავე გლეხობას და ქალაქის შეუძლებელ ელემენტებს აწვებოდა. არა-პირდაპირი გადასახადი ხომ პირველ საჭიროების საგნებზე იკრიბება და, კაცი, რომელსაც სამი ათასის წლიური შემოსავალი აქვს, ასჯერ მეტს შაქარსა და ჩაის ვერ შესჭამს და დალევს ვიდრე ის, რომელსაც მხოლოდ 300 მანეთი შემოდის წლიურად. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ არა-პირდაპირი გადასახადი გამუდმებით იზრდებოდა: ასე, აქციზი არაყზე, ღვინოზე და ლუდზე 60-დან 90 წლებამდე გაიზარდა $2\frac{1}{2}$-ჯერ: 60 წლებში ის შეადგენდა 100 მილიონს, 1894 წელს კი 264 მილიონ მანეთს; შაქრის აქციზი 1892 წელს უდრიდა ერთ მანეთს ფუთზე, 1892 წელს მოემატა 40 კაპ. და 1893 წელს კი 1 მანეთამდის და 75 კაპ. ავიდა; საბაჟო გარდასახადი საზღვარ-გარეთელ საქონელზე 1877 წელს გაიზარდა 30, 40 და 50 %-ით; 1880—1891 წ. ხაზინის შემოსავალი საბაჟოებიდან გაიზარდა $43\frac{1}{2}$ პროცენტით და საერთოდ 1890 წელს ბაჟი შეადგენდა უკვე 27 %-ს შემოტანილ საქონლის ღირებულებისა, მაშინ, როდესაც 1877 წელს ის უდრიდა მხოლოდ 13-ს დი 1877 წლის შემდეგ 16 %-ს ამ ღირებულებისას. ამნაირად ბაჟების მომატების გამო საზღვარ-გარეთიდან შემოტანილი საქონელი თანდათან ძვირდება. ეს, რა თქმა უნდა, ხელსაყრელი იყო რუს ფაბრიკანტებისათვის, რადგანაც უზრუნველყოფილს ხდიდა მათ სხვის კონკურენციისაგან. მაგრამ არც სხვა სახელმწიფოები რჩებოდენ რუსეთს ვალში, მაგალითად, გერმანეთი: ისინი ადებდენ ბაჟს რუსეთიდან შემოსულ ხორბალსა და პურს, ამცირებდენ მის გატანას და ამნაირად ზარალს აყენებდენ რუსეთის მსხვილსა და საშუალო მემამულეებს. ამის გამო რუსეთის მთავრობამ მფარველობითი (პროტექციონალურ) საბაჟო ნიხრთან ერთად შემოიღო საკონვენციო (ხელშეკრულებითი) ნიხრიც. ეს იყო ფასების დაწევა იმ ქვეყნის საქონელზე, რომელიც სააღებ-მიცემო მოლაპარაკების საშუალებით დასთანხმდებოდა ბაჟის დაკლებას რუსეთის საქონელზე, განსაკუთრებით პურზე. მაგრამ საკონვენციო ნიხრის მიხედვითაც ბაჟი მაღალი იყო. კაპიტალისტის მოგება აწვებოდა ხალხის მასსას, რომელიც იძულებული იყო რუსეთში დამზადებულ საქონელში ეხადა უზომო ფული. გამოანგარიშებულია, რომ

ამის გამოისობით გლეხობა 300 მილიონ მანეთს ადებდა წლიურად.

კაპიტალის პირველ-დაწყებითი შექუჩების ხანაში ვერც ერთმა ქვეყანამ ვერ აუარა გვერდი მფარველობითი სისტემას. მაგრამ რუსეთის პროტექციონიზმი განირჩეოდა თავისი უკიდურესობით და წარმოების დახმარების მაგიერ დახმარებას უწევდა ცალკე მწარმოებლებს. ამისათვის, მაგალითად, რკინის ან ფოლადისაგან გაკეთებული საქონელი ერთ ნახევარჯერ მეტი ჯდებოდა რუსეთში, ვიდრე ინგლისში. ამისათვის იყო, რომ კონკურენციისაგან უზრუნველყოფილი მეფაბრიკეები არ სცდილობდენ გაეუმჯობესებინათ თავისი წარმოება. გამოდიოდა, რომ პროტექციონიზმი იცავს წარმოებას და ამასთანავე აფერხებს მის განვითარებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის მფარველობა, რომელსაც უწევდა მთავრობა შაქრის მწარმოებელთ. შაქრის ქარხნების პატრონებმა, რომლებიც შეერთებული იყვნენ სინდიკატებში, იმისათვის, რომ არ დაუშვან შაქარზე ფასების დაცემა, მოახერხეს მაღალი ბაჟები გაწერილიყო საზღვარ-გარეთიდან შემოტანილ შაქარზე. როდესაც ესეც არ იკმარეს, მთავრობის დახმარებით მოწყობილ იქმნა „შაქრის ნორმიროვკა“ ე. ი. დადებული იყო, რამდენი შაქარი უნდა გამოუშვას თვითეულმა ქარხანამ ბაზარზე გასაყიდლად. თუ ქარხანა ამზადებდა ამაზე მეტს, მაშინ ზედმეტი შაქარი თადარიგში იწერებოდა და არ უნდა გაყიდულიყო. ასეთის საშუალებით რჩებოდა რუსეთში მაღალი ფასები შაქარზე. მაგრამ, უნდა ვსთქვათ, ეს ფასები ისეთი მაღალი იყო, რომ მთავრობამ დაადგინა ფასების მაქსიმუმი და, თუ შაქრის მწარმოებელი ამაზე ძვირად გაყიდდა შაქარს, ფინანსთა მინისტრს უფლება ქონდა ბაზარზე სათადარიგო შაქრის ნაწილი გამოეშვა შაქარზე ფასების დასაწევად. ბოლოს, მფარველობის ქვეშ იყო საზღვარ-გარეთ შაქრის გატანაც. საზღვარ-გარეთ გასატანი შაქარი არ ირიცხებოდა იმ რაოდენობაში, რომლის გაყიდვაც ქარხნის პატრონს შეეძლო შინაურ ბაზარზე; ამის გარდა საზღვარ-გარეთ გატანილ შაქარზე მექარხნეებს უბრუნდებოდათ აქციზი, ე. ი. არსებითად ეძლეოდათ გასატანი პრემია, 1 მან.—1 მან. და 75 კაპ. ფუთზე. ადვილი გასაგებია, რუსეთიდან გატანილი შაქარი საზღვარ-გარეთ ძალიან იაფი იყო და ინგლისში, მაგალითად, ამ შაქრით ღორებს ასუქებდენ.

ჩვენ ვსაუბრობდით აქამდე სახელმწიფო შემოსავლის ორგანიზაციაზე. მაგრამ არც სახელმწიფო ხარჯები მოწმობენ ნაკლებად იმ ვეებერთელა მოგებაზე, რომელსაც ღებულობდენ ხაზინიდან გაბატონებული კლასები კაპიტალიზმის განვითარების პირველ ხანებში.

აქ ყურადღებას იპყრობს პირველ ყოვლისა ხარჯების შეუკავებელი ზრდა:

1861 წელს ყოველგვარ სახელმწიფო ხარჯების ჯამი უდრიდა 348 მილიონს და 600 ათას მანეთს, 1892 წელს კი 1311 მილიონ მანეთს, ე. ი. ის ოთხჯერ მეტი იყო.

სად მიდიოდენ ეს ვეებერთელა თანხები?

პირველ ყოვლისა უზომო ფული სჭირდებოდა რკინის გზების გაყვანას, რომლებიც კაპიტალიზმის განვითარებისათვის იყვნენ საჭირო. ამის გამო გზათა სამინისტროს ხარჯები თითქმის ერთი ექვსათ გაიზარდა: 60 და 70 წლებში ისინი არ აღემატებოდენ 25 მილიონ მანეთს წლიურად, 1892 წელს კი შეადგენდენ უკვე 147 მილიონს. ეს კიდევ არაფერი: მთავრობა თვითონ სესხულობდა ფულს და დახმარებას უწევდა რკინის გზის ამხანაგობებს სესხის აღებაში, თავდებათ უდგებოდა საზღვარ-გარეთელ ბანკებთან და კოოპერატივებთან, ან, როგორც იტყვიან, თავის თავზე ღებულობდა სესხის გარანტიას. ამგვარად 60-80 წლებში აღებულ სესხის რაოდენობა უდრიდა 2100 მილიონ მანეთს. ეს კიდევ ცოტა: რკინის გზის აქციონერთა საზოგადოებებს მთავრობა ხშირათ უზრუნველყოფდა ხოლმე $4\frac{1}{2}$—5%-იან წლიური შემოსავლით იმათ სააქციო კაპიტალზე. ვსთქვათ, მაგალითად, რომ რკინის გზის გაყვანაში დახარჯულა აქციონერების მიერ 100 მილიონი და მთავრობა დაპირდა აქციონერებს 5 %-იან შემოსავალს, ე. ი. 5 მილიონ მანეთს წელიწადში; დაუშვათ, რომ რკინის გზა იძლევა სულ სამი მილიონის შემოსავალს წლიურად; ასეთ შემთხვევაში მთავრობა დანარჩენ 2 მილიონს სახელმწიფო თანხებიდან აძლევს აქციონერებს. და რადგანაც მრავალი რკინის გზები წარმოადგენდენ მხოლოდ და მხოლოდ გრაუნდერების საქმეს და სრულიად არ იძლეოდენ შემოსავალს, ცხადია, სახელმწიფოს დამატებითი ხარჯები აუარებელი იყო. ამასთანავე მრავალი რკინის გზის საზოგადოებები ხაზინის ამოუვალ ვალებში ისხდენ: ასეთი ვალები 1880 წელს უდრიდა ერთ მილიარდ მანეთს. ამნაირად აუცილებელი შეიქნა ხაზინის მიერ კერძო რკინის გზების გამოსყიდვა. ესეც აქციონერების სასარგებლოდ ხდებოდა. ასე, ორნაირად ემსახურებოდა კაპიტალისტებს სარკინისგზო პოლიტიკა: პირველი— აძლევდა მათ კარგ გზებს კაპიტალიზმის განვითარებისათვის საჭიროს, მეორე —აძლევდა მათ კარგ მოგებას გარანტიების უზრუნველყოფით და სასარგებლო პირობებში გზების გამოსყიდვით.

აუარებელი ფული იხარჯებოდა აგრეთვე ჯარზე, ფლოტზე, პოლიციაზე და ადმინისტრაციაზე: ეს აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა მემამულეების და კაპიტალისტების ინტერესების დასაცავად: იცავდა მათ სხვა ქვეყნე-

ბის ბურჟუაზიისაგან და ხელს უწყობდა შინაურ წესიერებისა და მშვიდობიანობის დაცვას. ამასთანავე ჯარში თუ ფლოტში აფიცრების ადგილები, და საშუალო და უმაღლესი თანამდებობის ადგილები ადმინისტრაციაში იმავე თავად-აზნაურობას ეჭირა; ასე, რომ ამ ხარჯების მეტ ნაწილს ღებულობდა ისევ ერთ-ერთი გაბატონებული კლასი. თუ როგორ იზრდებოდა ეს ხარჯები, სჩანს იქიდან, რომ 1860 წელს ჯარზე და ფლოტზე დაიხარჯა 129 მილიონი მანეთი, 1898 წელს კი 371 მილიონი, ე. ი. სამჯერ მეტი; შინაგან საქმეთა სამინისტროს გასავალი 1862 წელს უდრიდა 9 მილიონ მანეთს, 1898 წელს კი 80 მილიონს. სახალხო განათლების სამინისტროს კი 1881 წელს დანიშნული ქონდა 17 $^1/_2$ მილიონი მანეთი. სახალხო განათლების საქმეზე, თითეულ სულზე გამოანგარიშებით, რუსეთი ხარჯავდა ორჯერ ნაკლებს ესპანეთზე, რვაჯერ ნაკლებს ვიდრე ინგლისი და 14-ჯერ ნაკლებს ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატები.

რადგანაც ხაზინის ხარჯები ძლიერ აღემატებოდენ მის შემოსავალს (მარტო ათი წლის განმავლობაში 1889-დან 1898 წლამდე შემოსავალი 788 მილიონ მანეთით ნაკლები იყო ხარჯებზე), საჭირო შეიქნა სესხი. 1861 წელს რუსეთის ვალი უდრიდა 2180 მილიონ მანეთს, 1892 წელს კი 5 $^1/_2$ მილიარდს შეადგენდა. ნასესხი ფული იხარჯებოდა რკინის გზების გაყვანაზე, ჯარზე, ომის წარმოებაზე, ნაწილობრივ მამულების პატრონ თავად-აზნაურობისათვის პირად დახმარების გაწევაზე.

მეხუთე თვისება მტაცობრივ კაპიტალიზმის ხანისა არის ქაღალდის ფულის გამეფება. ფულის ძირითად ერთეულად რუსეთში ძველი დროიდან ითვლებოდა ვერცხლის მანეთიანი. მთავრობა თანდათან აკლებდა მას წონაში და სცდილობდა ამით სარგებლობა მოეტანა ხაზინისათვის. ივანე მე-IV სიკვდილის შემდეგ (Смутное время) იგი განახევრდა წონაში; შემდეგ მის შემცირებას ეცადენ პეტრე დიდის დროს. ნაპოლეონ პირველის ომებმა და კანტინენტალურმა სისტემამ გამოიწვიეს ალექსანდრე პირველის დროში დიდძალი ქაღალდის ფულის გამოშვება. ვერცხლი არ ყოფნიდა დასახურდავებლად და ქაღალდის მანეთიანში ვერცხლის აბაზს ან ხუთ შაურს იძლეოდენ, ე. ი. ქაღალდის ფულის კურსი დაეცა.

ნიკოლოზ პირველის ფინანსთა მინისტრმა გრაფ კანკრინმა ასიგნაციების შემცირებით მიაღწია იმას, რომ ქაღალდის ფულის ფასმა რამოდენიმედ მოიმატა, ასე რომ, ძველი ვერცხლის მანეთიანი გაუთანასწორდა ღირებულებაში სამ მანეთ ნახევარს ქაღალდის ფულით ანუ ასიგნაციებით. შემდეგ მან ისევ

ვერცხლის მანეთის შემცირებას, ანუ დევალვაციას მიმართა: ახალი ვერცხლის მანეთი $3^1/_2$-ჯერ ნაკლები იყო ძველზე. ყირიმის ომს კვლავ მოჰყვა ახალი კრედიტკების გამოშვება და მასთან ერთად მათი ვერცხლზე და ოქროზე თავისუფალი გაცვლის შეწყვეტა. მთავრობამ ხელი მიჰყო ოქრო-ვერცხლის, განსაკუთრებით ოქროს, შეგროვებას. მაგრამ რუსეთ-ოსმალოს ომის დროს 1877—78 წლებში ეს თადარიგი გამოილია და გადახურდავების აღდგენა შეუძლებელი შეიქნა. ამის გამო ქაღალდის ფულის კურსი მუდმივ რყევას განიცდიდა. აქედან წარმოსდგებოდა ხოლმე ვაჭრობის შეფერხება და ქაღალდის ფულზე სპეკულიაცია.

დაუშვათ, რომ რუსმა ვაჭარმა იანვარში გაყიდა საზღვარგარეთ ათი ათასი ქაღალდის ფულის საღირალი საქონელი, იმ პირობით, რომ საქონლის ღირებულებას გადაუხდიან მას ივლისში. წარმოვიდგინოთ, რომ იმ დროს, როდესაც მან საქონელი გაყიდა, ქაღალდის მანეთიანი ღირდა 75 კაპიკი ოქროს ფულით, ივლისში კი მისმა ღირებულებამ დაიკლო 70 კაპიკამდე. გამოდის, რომ ამ საქმეში კურსის რყევის გამო ვაჭარმა წააგო მანეთზე ერთი შაური ე. ი. სულ 500 მანეთი. წინააღმდეგ, რომ მანეთის კურსი გადიდებულიყო ერთი შაურით, ვაჭარი 500 მანეთს მოიგებდა. ასე და ამნაირად, ქაღალდის ფულების არსებობა, მაშინ, როდესაც იგი უზრუნველ-ყოფილი არ არის ოქროზე თავისუფალ გაცვლით, ქმნის მუდმივ რყევას, შეაქვს ვაჭრობაში ყომარბაზობა, ფულის კურსის აწევაზე და დაწევაზე თამაში, ე. ი. იგივე უხეში ძარცვა გლეჯა, რომელიც დამახასიათებელია პირველ-დაწყებითი შექუჩების ხანისა კაპიტალიზმის განვითარებაში.

ამნაირ მეურნეობის შედეგი არის ბოლოს მეექვსე და უკანასკნელი მისი თვისება — უკიდურესი გაღატაკება, ანუ პაუპერიზაცია ხალხისა — გლეხებისა და მუშების.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ მუშა ხელის ქირა ნამდვილად სულ იკლებდა და იკლებდა; რომ ხშირი და დიდხნოვანი შეფერხება წარმოებისა უმუშევრობას იწვევდა. აქედან წარმოსდგებოდა მუშების ცუდი საზრდოობა და კიდევ უფრო ცუდი თავშესაფარი: რუსი მუშები იშვიათად თუ შინჯავდენ მაშინ ხორცეულს, სცხოვრობდენ ჭუჭყიან, ნოტიო და ბნელ ოთახებში, ან ქირაობდენ ლოგინებს, ხანდისხან ორი ერთად: სანამ ერთი მუშაობდა, მეორეს ეძინა ამ მუდამ გაუცივებელ ლოგინზე.

გლეხების უმრავლესობის გაღატაკებაზე მოვლენათა მთელი რიგი მოწმობენ: ასე, 1888-დან 1899 წლამდე რუსეთში ცხენების რიცხვი 20%-ით

დაეცა; 60 და 70 წლებში, ნამეტურ სულზე გადასახადის გაუქმებამდე, გლეხის მიწების შემოსავალი ვერ ფარავდა მის სავალდებულო გადასახადებს. გლეხი მუდამ ნედოიმკებში იჯდა. 1902 წელს ზოგიერთ გადასახადების ნედოიმკები ოთხჯერ და ხუთჯერ აღემატებოდენ თვით ამ გადასახადებს—მაგ. უფის გუბერნიაში. გლეხებმა შეამცირეს თავისი მოთხოვნილებანი, იკლებდენ უსაჭიროეს საგნებს: ასე მაგ., რკინეულობა რუსეთში სულზე გამოანგარიშებით მოდიოდა ექვსჯერ ნაკლები ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში, ხუთჯერ ნაკლები ვიდრე ინგლისში და გერმანეთში და სამჯერ ნაკლები ვიდრე საფრანგეთში; შაქარი კი ორმოცჯერ ნაკლები—ვიდრე ინგლისში. 90 წლებში შემოსავალი გლეხის დესეტინაზე საერთოდ უდრიდა 8 მან. და 99 კაპიკს, გასავალი—5 მან. და 22 კაპიკს; რჩებოდა 3 მანეთი და 77 კაპიკი. მაგრამ ყოველგვარი სახაზინო, საერობო, სათემო და სხვა გადასახადები 4 მანეთსა და 45 კაპიკს ყლაპავდენ დესეტინაზე; შედეგი—68 კაპიკის დეფიციტი დესეტინაზე. ასეთ პირობებში ადვილი გასაგები ხდება ხშირი სასტიკი შიმშილობა სოფლად, რომელიც 1891 წელს უუმაგალითო შიმშილობით დამთავრდა.

ასეთი იყო ძირითადი თვისებანი რუსეთის მეურნეობის განვითარებისა 60 და 90 წლებში. კაპიტალის შექუჩების პირველი ხანა ყველა ქვეყნებისათვის წარმოადგენს უუმძიმეს ხანას კაპიტალიზმის განვითარებისა. მდაბიო ხალხს ძვირად უჯდება ყოველი ახალი ნაბიჯი მეურნეობის წინსვლისა. ეს ხანა რუსეთისთვის მე-XIX-ტე საუკუნის 90 წლებში დამთავრდა. ჩვენ ეხლა უნდა განვიხილოთ,—სად მიიყვანა მან ჩვენი მეურნეობა და მოკლედ უნდა გავეცნოთ რუსეთის მეურნეობის მდგომარეობას მე-XIX საუკუნის დამლევში და მე-XX საუკუნის დასაწყისში.

რუსეთის ვაჭრობამ გარე და შინ ამ ხანებში დიდ განვითარებას მიაღწია. მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში რუსეთს შემოჰქონდა საზღვარგარეთიდან 500 მილიონ მან. საქონელი წლიურად, გაჰქონდა საზღვარ-გარეთ 600 მილიონისა. წლიური ბრუნვა შინაურ ვაჭრობაში უდრიდა 20 მილიარდ მანეთს. ასე ვითარდებოდა ვაჭრული კაპიტალი.

მას არ ჩამოუდგებოდა არც საწარმოვო კაპიტალის განვითარება. ქარხნები და ფაბრიკები იზრდებოდენ ყოველ მხრივ: მეოცე საუკუნის დამდეგში მსხვილ წარმოებათა რიცხვი რუსეთში ფაბრიკების საერთო რიცხვთან შედარებით, მეტი იყო ვიდრე ინგლისში. ძლიერ განვითარდა აგრეთვე საფაბრიკო წარმოების ტეხნიკა. საფეიქრო წარმოებაში მანქანების საერთო

ძალა, ბატონ-ყმობის დაცემიდან დაწყებული მეცხრამეტე საუკუნის დამლევამდე ერთი ოცად გადიდდა. ლითონის ქარხნებისა და ფაბრიკების რიცხვი ამ დროის განმავლობაში 71-ჯერ გაიზარდა. რუსეთის საფეიქრო წარმოების ტეხნიკა ამ დროს არ ჩამოუვარდებოდა იმავე დარგის ინგლისის ტეხნიკას. ასეთივე წარმატება ეტყობა მატყლის, აბრეშუმის, შაქრის, შუშეულობისა და მრავალ სხვა წარმოებას.

კაპიტალიზმს სასოფლო მეურნობაშიაც დაეტყო წარმატება. რძის წარმოების დარგში გავრცელდა გაუმჯობესებულ საწარმოვო საშუალებათა შემოღება, მაგალ., შემოღებულ იქმნა სეპარატორები (ნაღების ასართმევი მანქანა). მიწად-მოქმედების დარგში ყოველგვარ მაშინების ხმარება, როგორც მაგ., სათესის, სამკალის, სალეწისა და სხვა, ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა არა თუ მარტო პომეშჩიკების მამულებში, ზოგჯერ გლეხებისაშიაც კი. ასე მაგალითად, მეოცე საუკუნის დამდეგში მოსკოვის საეროობო საწყობიდან გლეხები წლიურად 3 მილიონ მანეთის საღირალ მანქანებს იწერდნენ. მოსკოვის გუბერნიაში გლეხების მეხუთედმა ნაწილმა შემოიღო სათიბის თესვა (იონჯა). მრავალ ადგილას საშუალო და დასავლეთ გუბერნიებში შემოღებულ იქმნა გაუმჯობესებული სისტემა მიწის დამუშავებისა. მიუხედავათ ამისა რუსეთის მიწად-მოქმედების ტეხნიკა მაინც შორს იდგა ნამდვილ კაპიტალისტურ ტეხნიკასთან. ეს სჩანს იქიდან, რომ რუსეთში ერთი კოდი პურის მოსაყვანად საჭირო იყო 1 საათი და ოცი წუთი, მაშინ როდესაც შეერთებულ შტატებში —მხოლოდ $7^3/_4$ წუთი, ე. ი. ათჯერ ნაკლები დრო.

ამისდა მიუხედავათ, აშკარა იყო, რომ დგება ხანა კაპიტალიზმის სრულ აყვავებისა, ნამდვილ კაპიტალისტურ შექუჩებისა. გარდა მსხვილ წარმოებათა განვითარებისა და აღებ-მიცემობის აყვავებისა, ამაზე მოწმობდა აგრეთვე ორი ფაქტი: 1896 წელს ბაზარზე ოქროს ფულების გამოშვება და გაუწყნარებელი ზრდა რკინის გზის ქსელებისა.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ქაღალდის ფულის თავისუფალი გაცვლა ოქროზე კარგა ხანია შეწყვეტილი იყო, რაც მეტად ცუდათ მოქმედობდა წარმოებასა და აღებ-მიცემობაზე. ეს, განსაკუთრებით რუსეთში, საზღვარგარეთიდან კაპიტალის შემოსვლას აფერხებდა, იმ კაპიტალის, რომელსაც ახალი ფაბრიკები უნდა დაეარსებია. ამისათვის მთავრობამ შეაქუჩა სესხების საშუალებით დიდძალი ოქროს ფული, და ბოლოს, გამოაცხადა ქაღალდის ფულის ოქროზე თავისუფალი გადახურდავება. ახალი ოქროს ფული შემცირებული იყო ოქროს წონაში ძველთან შედარებით ერთი მესამედით და ამასთანავე

გადაწყვეტილი იყო, რომ პირველი 600 მილიონი მანეთი ქაღალდის ფულისა უნდა დაფარულიყო ოქროს ფულით მხოლოდ ნახევრად. დანარჩენი ასიგნაციებისა კი უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო ოქროს ფულით მანეთი მანეთზე, ე. ი. ისინიც იმდენი იქნებოდა, რამდენიც ოქრო მოიპოვება სახელმწიფო ბანკის დამხურდავებელ ფონდში.

რაც შეეხება რკინის გზებს, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში დიდძალი მანძილი დაქსელეს: ნიკოლოზ 1-ის დროს, რუსეთში სულ რაღაც ათასიოდე ვერსამდე რკინის გზის ლიანდაგი ითვლებოდა, მეოცე საუკუნის დამდეგში კი ის 60.000 ვერსს უდრიდა.

კაპიტალიზმის განვითარებას რუსეთში მოყვა ღრმა ცვლილებები საზოგადოებრივ წყობილების დარგში.

II

რუსეთის საზოგადოებრივი წყობილება მე XIX-ე საუკუნის მიწურულში.

საზოგადოების კლასობრივი შემადგენლობა მეცხრამეტე საუკუნის დამლევში ყველაზედ უკეთ გამოხატა საზოგადო აღწერამ, რომელიც მოხდა 1897 წელს. ეს აღწერა უწინარეს ყოვლისა გვაძლევს შეძლებას აღვნიშნოთ მოვლინება და განვითარება რუსეთში ახალ საზოგადოებრივ კლასისა—პროლეტარიატის, ანუ დაქირავებულ მუშათა კლასის, რომელსაც არა აქვს არც საკუთარი წარმოება, არც წარმოების საშუალებანი, არც მიწა და, რომელნიც ცხოვრობენ თავის სამუშაო ძალლონის გაყიდვით. ეს კლასი, თუ ჩავთვლით იმათ ოჯახებსაც, უკვე იმ დროში უდრიდა 22 მილიონ სულს, რომლიდანაც 10 მილიონი შეადგენდა ფაბრიკის მუშებს და იმათ ოჯახობას, 3 მილიონი—სასოფლო მეურნეობაში ჩაბმულ მუშებს და სამი მილიონი შინაურ მოსამსახურეებს; სხვები მუშაობდენ აღებ-მიცემობის, ხელოსნობის ან ტრანსპორტის დარგებში.

პროლეტარიატის მნიშვნელოვანი ნაწილი გამოვიდა ქალაქის ხელმოკლე წრეებიდან, მაგრამ უმთავრესი ნაწილი მაინც გლეხობიდან იყო გამოსული.

გლეხთა წოდების სხვა და სხვა ჯგუფებად დაყოფა, იმათ მეურნეობრივ მდგომარეობის თანახმად, იქიდანა სჩანს, რომ აღწერის მოწმობით გლეხთა წოდების რიცხვი უდრიდა 98 მილიონს—ყველა მცხოვრებთა 78%-ს, გლეხები კი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ე. ი. მიწის მომუშავენი, რომლებიც თავისი და თავისი ოჯახის პირადი შრომით ამუშავებდენ მიწას, შეადგენდენ 80 მილიონს, ანუ ყველა მცხოვრებლების 64 პროცენტს. აქედან სჩანს,

რომ მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში ოც მილიონამდე გლეხი ნაწილობრივათ ბურჟუაზიის, უმთავრესად კი პროლეტარიატის რაზმში გადავიდა.

ეს კიდევ ცოტა: ეს 80 მილიონიანი გლეხობაც თავის მდგომარეობით არ წარმოადგენდა მთლიან ერთეულს; ცოტა რომ ვსთქვათ, ნახევარი იმათგან უკიდურეს სიღარიბეში სცხოვრობდა: უჭირდა ცხოვრება უმიწა-წყლობის, გარე მუშაობის, ცუდი მოსავლის და ნედოიმკების გამო. უმეტეს ნაწილად სწორედ ასეთი გლეხობა იღებდა იჯარით მიწას მსხვილ მემამულეებიდან და ამის ასანაზღაურებლად შემდეგ მუშაობდა იმათთვის. სულ ევროპის რუსეთის 50 გუბერნიაში გლეხები ღებულობდენ იჯარით 50 მილიონ დესეტინა მიწას, რომელზედაც, რომ შრომა ფულზე გადავიყვანოთ, 300 მილიონ მანეთს იხდიდენ საიჯარო გარდასახადს. აქედან ნათლადა სჩანს, თუ რა ზომას მიაღწია გლეხების უმიწაწყლობამ. გლეხების მეორე ნახევარის რიცხვიდან უმრავლესობა საშუალო შეძლებისა იყო, უმცირესობა კი თავისი მდგომარეობით უკვე ბურჟუაზიას უახლოვდებოდა. ესენი, იღებდენ რა იჯარით თემის უუღარიბეს წევრების მიწებს, წინდაწინ აძლევდენ მათ მთელი დროის ქირას, ასე რომ, ნამდვილად, თემი ხელს ვერ უშლიდა მიწების უსწორ-მასწოროდ განაწილებას და იმათ შეძლებულთა ხელში მოქცევას. თემი აშკარად იშლებოდა კაპიტალიზმის ზეგავლენის ქვეშ. სოფლის შეძლებული ბურჟუაზია ყიდულობდა აგრეთვე თავად-აზნაურთა მიწებს. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის განმავლობაში თავად-აზნაურობამ დაჰკარგა არა ნაკლებ 25 მილიონ დესეტინა მიწისა, რომლიდანაც 12 მილიონი გლეხების, დანარჩენი კი ვაჭრების და „მეშჩანების“ ხელში გადავიდა.

გლეხთა წოდების დაქუცმაცებას ძლიერ უწყობდა ხელს აგრეთვე ზემოდ აღნიშნული თემის დაშლა. მთავრობა სცდილობდა შეეჩერებია ეს პროცესი, განემტკიცებია თემი, და ამ მიზნით 1893 წელს გამოცემულ იქმნა კანონი, რომლის მიხედვითაც თავის დახსნის შემდეგ, მიწა, იმის ნაცვლად, რომ ცალკე გლეხების ხელში გადავიდეს, თემის საკუთრებად უნდა დარჩენილიყო. მაგრამ ცხოვრებას თავისი გაჰქონდა, და თვით მთავრობა მარცხენა ხელით ანგრევდა იმას, რასაც მარჯვენა ხელით აშენებდა: იმავე 1893 წელს გამოიცა მეორე კანონი, რომლის მიხედვითაც აღკრძალული იყო გადაყოფილ მიწებზე გლეხების გადარიცხვა, ე. ი. აღკრძალული იყო მიწების ნაწილობრივად გადაყოფა და იმავე დროს შემოღებულად ითვლებოდა მიწების ზოგადი გადაყოფა განსაზღვრულ პერიოდებში — 12 წელიწადში ერთხელ. ეს თემის უფლებების შელახვა და შემცირება იყო. 1903 წელს გაუქმებულ იქმნა თემის

წევრებ შორის დადებული ხელშეკრულება გარდასახადზედ საერთო პასუხისგების შესახებ, ასე, რომ გაწყდა კიდევ ერთი ძაფი, რომელიც თემს აკავშირებდა.

თავად-აზნაურთა მამულების ნაწილის ვაჭრებისა და მეშჩანების ხელში მოქცევა გვითითებს იმაზე, რომ ქალაქის წოდებაც სამეურნეო მდგომარეობის მიხედვით სხვა და სხვა ჯგუფებად დაიყო: ნაწილი გახდა მიწის მფლობელ ბურჟუაზიათ, ნაწილი მეფაბრიკეთა და მექარხნეებათ, ნაწილი დარჩა ვაჭრებათ და ხელოსნებათ.

ასეთივე დაყოფა სხვა და სხვა სამეურნეო ჯგუფებათ ხდებოდა თავად-აზნაურთა წოდებაშიაც. მემამულე თავად-აზნაურობის ნახევარი აწარმოებდა ბატონ-ყმურ მეურნეობას; მეორე ნახევარი სულ უფრო და უფრო ბურჟუაზიულ წარმოების სფეროში ექცეოდა; სასოფლო, საქარხნო თუ საღებ-მიცემო წარმოებაში ნამდვილ კაპიტალისტურ საქმიანობის გზას ადგებოდა. ბატონ-ყმურ ნიადაგზედ დამდგარი მემამულეების უმრავლესობა, სწორედ ისინი, რომლებიც არ იყვენ მსხვილი მემამულეები, საცოდავათ დაკნინდენ, სახლ-კარიანად ვალებში ისხდენ და მათი მეურნეობა ილუპებოდა. ცოტა ვალში არ ისხდენ არც ბურჟუა-თავად-აზნაურები, რადგანაც მეურნეობის ახალ საფუძველზედ დაყენება დიდ ხარჯებს მოითხოვდა. მეოცე საუკუნის დამდეგში მიწის კერძო მესაკუთრეებს მილიარდ ნახევარი ვალი ემართათ.

ამნაირად, რუსეთის სამეურნეო განვითარებამ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში წამოაყენა შემდეგი მთავარი კლასობრივი ჯგუფები: 1) მიწად-მფლობელი მებატონეები, 2) მიწად-მფლობელი ბურჟუაზია—მსხვილი და საშუალო, 3) ვაჭარ-მრეწველი ბურჟუაზია—მსხვილი და საშუალო, 4) ქალაქის და სოფლის წვრილი ბურჟუაზია, 5) ქალაქისა და სოფლის ღარიბ-ღატაკნი, ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის შუა მდგომი და 6) პროლეტარიატი.

საზოგადოების ამგვარად კლასობრივად დაყოფას სრულიად არ გავდა ის წოდებრივი დაყოფა, რომელიც წარსულმა დატოვა და რომელიც ეკონომიურ მდგომარეობის ახალ პირობებს სრულიად ვერ ეგუებოდა. გლეხთა წოდება, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის დამლევში შეადგენდა რუსეთის მცხოვრებთა $^3/_4$-ზე მეტს, ძლიერ შევიწროებული იყო თავის ქონებრივ, პიროვნულ და საზოგადოებრივ უფლებებში. ის შევიწროებული იყო მოგზაურობის უფლებაში, ვინაიდან ამისთვის საჭირო იყო ძნელად ასაღები პასპორტი. მოგზაურობა კი—თავისუფალი გადასვლა-გადმოსვლის უფლება, კაპიტალისტურ მეურნეობის განვითარების დროს ისეა საჭირო, როგორც ცოცხალი კაცისთვის

ჰაერი. გაძნელებული იყო თემიდან გამოსვლა: გლეხთა საზოგადოებას არ სურდა გაეშვა თავის წრიდან ის, ვინც მასთან ერთად გადასახადებს ასრულებდა და ხშირად ახდევინებდა მას მის წილ გადასახადს მაშინაც კი, როცა იგი თავის ნაჭერ მიწაზედ არ მუშაობდა. ამ დროს ზოგიერთებმა მიწას თავი მიანებეს და, იმათთვის მომაბეზრებელი იყო არა თუ ეს უსარგებლო გარდასახადი, არამედ თვით მათი მიწის ნაჭერიც. თემს არ შეეძლო გაყოფა მოეხდინა, სასახლ-კარო მფლობელობაზე გადასულიყო, იმ შემთხვევაშიაც კი, როცა უმრავლესობა ამის მოსურნე იყო. ამისთვის, კანონის ძალით, თემის $^2/_3$-ის დასტური იყო საჭირო. დიდი ხნის განმავლობაში გლეხებისთვის შემოღებული იყო გაროზგვა—ეს სამარცხვინო დაღი რუსეთის ცხოვრებისა. რა უნდა სთქვა აქ თავის ღირსების შეგნებაზე ან თავისუფალ პიროვნების შესახებ! მომრიგებელი მოსამართლე, განსაკუთრებით კი ერობის უფროსი და სხვები, ხშირად აგონებდენ გლეხობას ძველ ბატონ-ყმურ დროს. გლეხებს ერობაში თავიდანვე არ ქონდათ დიდი მნიშვნელობა და, როგორც მალე დავინახავთ, 1890 წლიდან სრულიად დაკარგეს იგი. ერთი სიტყვით, გლეხთა წოდება ნახევრად თავისუფალი და ნახევრად ბატონ-ყმური წოდება იყო, თითქმის უფრო ბატონ-ყმური, ვიდრე თავისუფალი.

მოქალაქეთა წოდება ეკატერინე მე II-ის ძველი კანონის მიხედვით სცხოვრობდა, გარეშე ყოველგვარ საჭიროებისა იყოფოდა ორ ნაწილად—ვაჭრებად და მეშჩანებად; ორივეს თავისი ცალკე წოდებრივი მართვა-გამგეობა ქონდათ და ხელოვნურად იყვენ გამოყოფილი სხვა საზოგადოებრივ ჯგუფებიდან, რომლებთანაც ერთად დიდიხანია შეადგენდენ ერთ ბურჟუაზიის კლასს.

თავად-აზნაურობას მრავალი პრივილეგია შერჩა. მას კვლავინდებურად თავისი წოდებრივი მართვა-გამგეობა ქონდა განსაკუთრებულ უფლებებით აღჭურვილი. მას დიდხანს არ ხდებოდა არავითარი პირდაპირი გადასახადი; მიწაზე სახელმწიფო გადასახადს, რაც ის შემოღებულ იქმნა, უფრო ნაკლებს იხდიდა ვიდრე გლეხობა. თავისი წინამძღოლის და ერობის უფროსის შემწეობით იმათ ხელში იყო მთელი ადგილობრივი და განსაკუთრებით გლეხთა საქმეების მართვა-გამგეობა. ის ბატონობდა ერობაში. ბოლოს, როგორც დავინახავთ, თავად-აზნაურობა ყოველთვის დიდ დახმარებას ღებულობდა ფულით ხაზინიდან. თავად-აზნაურობის ხელში იყო აგრეთვე უმაღლესი ადგილები სახელმწიფო მართვა-გამგეობის დარგში.

თუ შევაგროვებთ ეხლა ყველაფერს, რაც გვითქვამს რუსეთის საზოგადოებრივ წყობილებაზე მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში და მეოცე

საუკუნის დამდეგში, უნდა დავასკვნათ, რომ ამ წყობილების მთავარი დამახასიათებელი ნიშნები შემდეგია: 1) კაპიტალიზმის განვითარების გამო საზოგადოება დაიყო კლასებად, რომელთაც ერთი მეორის საწინააღმდეგო, ან, ყოველ შემთხვევაში, მეტად სხვა და სხვა ინტერესები ჰქონდათ; ინტერესების წინააღმდეგობა კიდევ უფრო მწვავდებოდა, ძლიერდებოდა ბატონ-ყმურ მეურნეობის ნაშთების ზეგავლენით და ამ ხანის დამახასიათებელ აღვირ-წახსნილ ექსპლოატაციის გამო; პროლეტარიატის ინტერესები ეწინააღმდეგებოდენ ბურჟუაზიის ინტერესებს, გლეხობის ინტერესები—მემამულეებისას, ნამეტურ მოყმე მემამულებისას, ეს უკანასკნელნი ვერ შერიგებოდნენ ვაჭრობა-მრეწველობის ბურჟუაზიას და იმ მემამულეებს, რომლებმაც თავის მამულებში ნამდვილი კაპიტალისტური წარმოება შემოიღეს; წვრილი ბურჟუაზია ვერ ურიგდებოდა საშუალოსა და მსხვილ ბურჟუაზიას; საჭირო და აუცილებელიც იყო სერიოზული რეფორმები—სახელმწიფოებრივი, აგრარული და მუშათა კანონმდებლობა, რომ კლასთა ბრძოლას უფრო კულტურული სახე მისცემოდა. 2) დარჩა ძალაში წოდებრივი წესი, რომელიც სრულიად ვერ ეგუებოდა კლასებათ დაყოფილ საზოგადოებას, ცხოვრებისთვის მოძველებული იყო და მეურნეობის განვითარებას აბრკოლებდა. კაპიტალიზმის დაუბრკოლებლად განვითარება შესაძლებელია მხოლოდ თავისუფალ საზოგადოებაში, კანონის წინაშე თანასწორ მოქალაქეთა შორის: თავისუფლებასა და თანასწორობას მოკლებული პირები ვერ შესძლებენ დასდონ ურთი-ერთ შორის მეურნეობრივი ხელშეკრულება ისე, რომ არავინ შეავიწროვოს, ან შეურაცხყოფა არ მიაყენოს. აუცილებელი იყო წოდებრივი წყობილების მოსპობა.

ამნაირათ, რუსეთის საზოგადოებრივი წყობილება არ ესაბამებოდა მის ეკონომიურ მდგომარეობას და აფერხებდა მის მეურნეობრივ განვითარებას. ცხოვრება საზოგადოებრივ წყობილების ძირითად რეფორმებს თხოულობდა. აგრარული საკითხი, ე. ი, საკითხი ბატონ-ყმურ მეურნეობის ნაშთების გაუქმების შესახებ და იმ გლეხებისათვის მიწების მოჭრის შესახებ, რომლებიც ამას საჭიროებდენ, მუშათა საკითხი, ე. ი. საკითხი შრომის შემსუბუქებაზე და მისი პირობების გაუმჯობესებაზე და, წოდებათა გაუქმება, აი სამი საკითხი, რომლებიც დაჟინებით მოითხოვდენ გარდაწყვეტას. გლეხები და მუშები, გრძნობდენ რა თავის მდგომარეობის სიმძიმეს, სტიქიურათ და შეუგნებლათ ღელავდენ. ასე, გლეხთა ამბოხება მოხდა შუაგულ და დასავლეთ გუბერნიებში ჯერ კიდევ 70 წლებში, შემდეგ ათეულ წლებში ამბოხებები უფრო ხშირათ და უფრო ძლიერად მეორდებოდენ. ისინი დასრულდა 1903 წელს

გლეხთა დიდი მოძრაობით ხარკოვის, პოლტავის და ვორონეჟის გუბერნიებში.

მუშათა მოძრაობა გაფიცვებში გამოიხატა, რომელსაც 1905 წლამდე კანონი ბოროტმოქმედებათ სთვლიდა. გაფიცვები საზოგადოთ აღსანიშნავია 1865—დან და ნამეტურ 1870 წლიდან. 1878—80 წლებში იყო არა ნაკლებ 29 შემთხვევისა, როცა 35 ათასამდე მუშა იფიცებოდა. 1881—86 წლებში 48 გაფიცვა ითვლება 80 ათას მუშის მონაწილეობით. ამ დროის გაფიცვები მეტად ძლიერი იყვნენ და მწვავე ხასიათს ატარებდენ; რამდენიმედ შეგნებაც ეტყობოდა: სტიქიური ელემენტი თანდათან კლებულობდა; ამისათვის მუშათა მოძრაობის განვითარების შემდეგ საფეხურების შესახებ სჯობს სულიერ კულტურის განვითარებასთან ერთად ვილაპარაკოთ.

III

მთავრობის ღონისძიებანი და სახელმწიფოებრივი წყობილება მე XIX-ტე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში.

გაბატონებული კლასები—მსხვილი მემამულე თავად-აზნაურობა, რომელიც ეწეოდა მხოლოდ ბატონ-ყმურ მეურნეობას და ბიუროკრატია, რომელიც მის ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა, სულ ერთიანად დაინტერესებული იყვენ ძველი წესწყობილების შენახვაში და სულიერი განწყობილება არ ქონდათ რაიმე დაეთმოთ. ზოგიერთი რამ, რაც მათ დასთმეს—ძალაუნებური დათმობა იყო მუშათა და გლეხთა მოძრაობის ზეგავლენით გამოწვეული. მაგრამ ასეთი დათმობაც გლეხებისთვის და მუშებისთვის ყოველ მნიშვნელობას მოკლებული იყო და ხანდისხან თვით გაბატონებულ კლასთა ინტერესებს ემსახურებოდა. რადგანაც შეძლება არ ქონდათ ძირითადი რეფორმები გაეტარებიათ, ვინაიდან ეს თავის თავის უარყოფას ნიშნავდა, გაბატონებული კლასები ყოველ ღონისძიებას ხმარობდენ, რომ სახელმწიფოებრივი წესრიგი განემტკიცებიათ, აძლიერებდენ ადმინისტრაციას და თავისთვის კი რაც შეიძლება მეტ მატერიალურ საშუალებებს აგროვებდენ. აი, რა აზრი ასულდგმულებდა მთავრობის ყოველ ღონისძიებას მეცხრამეტე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში და მეოცე საუკუნის დამდეგში. რომ ეს ნათელი გახდეს ჩვენთვის,—საკმარისია მთავრობის ზოგიერთ უმთავრეს ზომებს გავეცნოთ.

80 წლებში პირველად აუცილებელი შეიქნა ყურადღება მიქცეოდა გლეხების უმწეო მდგომარეობას და აგრარულ საკითხს. ჩვენ უკვე გვქონდა საუ-

ბარი 1882—1885 წლებში სულზედ გადასახადის გაუქმების შესახებ. 1881 წელს შემცირებულ იქმნა თავის დასახსნელი ბეგარა საერთოდ 27 პროცენტით და ზოგიერთ გუბერნიებში კიდევ უფრო მეტად. 1882 წელს დაარსებულ იქმნა გლეხთა სახელმწიფო ბანკი, რომელიც მიწების შეძენის საქმეში ფულით დახმარებას უწევდა მცირე მიწა-წყლიან გლეხობას. ბოლოს, 80 და 90 წლებში მთავრობა ხელს უწყობდა ციმბირში გადასახლებას, რომლისაც როგორც ეკონომიურის, ისე პოლიტიკურის მოსაზრებებით, წინეთ ეშინოდათ: იყო შიში, რომ გადასახლება გააძვირებდა იმ მუშა ხელს, რომელიც მემამულეების მიწების დასამუშავებლად იყო საჭირო. პირველ შეხედვით ყველაფერ ამას თითქო სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ, თუ საქმეს ახლოს ჩავუკვირდებით, დავინახავთ, რომ ეს უბედურებას არ შველოდა.

მართლადაც: თუმცა პირდაპირი გადასახადები გლეხებს შეუმცირეს, მაგრამ ამავე დროს გაძლიერდა არაპირდაპირი გადასახადები, ჯერ კიდევ 1892 წელს არაპირდაპირ გადასახადებს ერთბაშათ 12% მოემატა, და შემდეგ ათეულ წლებში მათმა საერთო ზრდამ 60 პროცენტს მიაღწია. მარტო სპირტის აქციზი მეცხრამეტე საუკუნის 60 წლებიდან მეოცე საუკუნის დაწყებამდე სამჯერ გადიდდა. შედეგად—ვალით დაყურსული გლეხის ნადელი ყოველ წლივ 10—20 მანეთის დეფიციტს იძლეოდა. ცხადია, რომ საჭირო იყო საფუძვლიანი საფინანსო რეფორმა; სულზე გადასახადის გაუქმება და თავის დასახსნელ ბეგარის შემცირება არ კმაროდა.

რაც შეეხება გლეხთა ბანკს, ღარიბ გლეხებს ნამდვილად მხოლოდ მაშინ შეეძლოთ მიწების ყიდვა, როცა მას მთელი სოფლის საზოგადოება იძენდა. საშუალო შეძლების გლეხები უფრო ხშირად მიწის შესაძენათ საზოგადოებას ადგენდენ და, ჩვეულებრივათ მხოლოთ შეძლებულ გლეხებს ქონდათ საშუალება მიწები პირად საკუთრებად შეეძინათ. ბანკის წესდების ძალით, თუ მიწას ცალკე გლეხი ყიდულობდა მას 500 მან. კრედიტი ეხსნებოდა, მაშინ კი, თუ მიწას საზოგადოება იძენდა, კრედიტი თითეულ გლეხისთვის განსაზღვრული იყო 150 მანეთამდე. მაშასადამე, მდიდარ გლეხებს კრედიტის მხრივ უპირატესობა ქონდათ მინიჭებული. გარდა ამისა, ბანკი ჩვეულებრივად მხოლოდ ნაწილს იძლეოდა იმ ფულებისას, რაც საჭირო იყო მიწების შესაძენად—ჯერ 75%-ს და მხოლოდ წესდების შეცვლის შემდეგ—90-ს. ამნაირად: საჭირო ფულის ნაწილი თვით გლეხს უნდა დაემატებია. ამის შეძლება ძალიან იშვიათად თუ ქონდათ ღარიბ გლეხებს; ისინი იღებდენ ვალს მდიდარ გლეხებიდან და ხელში უვარდებოდენ მათ. ასე რომ, ბოლოს და ბოლოს

იმავე მდიდარ გლეხების ხელში გადადიოდა ის მიწებიც, რასაც ღარიბები იძენდენ. გარდა ამისა, ბანკიდან გამოტანილ ფულს 7 პროცენტი ედებოდა წლიურად. ეს გარემოება საშუალებას არ აძლევდა გლეხებს სესხით ესარგებლათ. ბოლოს, გლეხთა ბანკის მოღვაწეობამ მიწები გააძვირა: ბანკის დაარსების ხანს დესეტინა ფასობდა 36—40 მანეთი, მეოცე საუკუნის დასაწყისში ის ავიდა 100, 120 და 150 მანეთამდე და ხანდისხან ამაზე მეტიც ფასობდა. გაღატაკებულ „პომეშჩიკებს“ შეძლება მიეცათ ხელსაყრელ ფასებში გაეყიდათ თავისი მიწები. 1895 წელს გლეხთა ბანკს უფლება მიენიჭა თავისი საშუალებით თავად-აზნაურთა მიწები შეესყიდა და მართლაც შესყიდულ იქმნა რამდენიმე მსხვილი მამული,, რა თქმა უნდა, მეტად ხელსაყრელ ფასებში იმათ პატრონებისათვის. თუ ყველაფერს ამას გავითვალისწინებთ, ჩვენთვის ცხადზე უცხადესი იქნება, რომ გლეხთა ბანკი ნამდვილად მემამულე თავად-აზნაურთა და გლეხთა ბურჟუაზიის ინტერესებს ემსახურებოდა და ოდნავადაც არ უწყობდა ხელს სულ უფრო და უფრო გამწვავებულ აგრარულ საკითხის გადაჭრას.

გლეხთა გადასახლებას იმისთვის შველოდენ, რომ იმედი ქონდათ—ის შეამცირებდა აგრარულ საკითხის სიმწვავეს—შეამცირიბდა იმ გლეხების რიცხვს, რომლებიც უფრო საჭიროებდენ მიწებში. 80 წლებში ყოველ-წლიურად გადასახლებულთა რიცხვი 50 ათას სულს უდრიდა, 90 წლებში—100, 150 ათასს, მეოცე საუკუნის დამდეგში კი 200 ათასს. მაგრამ ყოველ-წლიურად ხალხის ზრდა რუსეთში და განსაკუთრებით გლეხთა მოსახლეობის ზრდა იმ გუბერნიებში, რომლებშიაც მიწის საჭიროება უფრო დიდი იყო, გადასახლებულთა რიცხვს აღემატებოდა. ამნაირად გადასახლებამაც ვერ უშველა აგრარულ საკითხის გადაჭრას.

იმ თავად-აზნაურობას, რომლებმაც ვერ შესძლეს კაპიტალისტურ ნიადაგზედ დაეყენებიათ თავისი მეურნეობა, დახმარებას უწევდა გლეხთა ბანკი, იმით, რომ ხელსაყრელ ფასებში აყიდვინებდა მამულების, 1885 წელს დაარსებული სათავად-აზნაურო სახელმწიფო ბანკი დახმარებას უწევდა გაღატაკების გზაზე დამდგარ თავად-აზნაურობას იმაში, რომ შეენარჩუნებია თავისი მამულები. ამ ბანკიდან მამულების გირაოს ქვეშ თავად-აზნაურობა ღებულობდა ფულს; სესხის პროცენტები პირველიდან უდრიდა 5, 1889 წლიდან—4 $^1/_2$, 1894-დან—4, და 1897 წლიდან მხოლოდ 3 $^1/_2$ პროცენტს. გარდა იმისა, რომ პროცენტები ასე მდაბალი იყო, 1889 წელს ბანკის მოვალეებს სრულიად შეაწიეს ნედოიმკების ნაწილი, ნაწილი კი ჩაუწერეს ვალში, მაგრამ, ასე ხდებოდა, რომ ვადა გასული მამულებიც კი ძალიან იშვიათი იყო ბანკს გაეყიდა.

თავად-აზნაურთა სამეურნეო ინტერესების დაცვა მეორე ნაირადაც სწარმოებდა: სახელმწიფო ბანკმა კრედიტი გაუხსნა ხორბალს; თავად-აზნაურთა კუთვნილ ხორბალის გადატანაზე ნავთ-სადგურებში თუ საზღვარ-გერეთ რკინის გზის ტარიფი ისე იყო დაწეული, რომ პურის გადატანა რკინის გზას ზარალს აყენებდა; ზარალი უდრიდა ჯერ ერთ მილიონს და 700 ათას მანეთს და შემდეგ 3 მილიონამდე ავიდა. ხაზინა დახმარებას უწევდა თავად-აზნაურთა მეარაყეობას, სამრეწველო არაყის კეთების საზარალოდ, ვინაიდან მონოპოლიისთვის საჭირო სპირტს სასოფლო-სამეურნეო არაყის ქარხნებიდან ყიდულობდა. 1896 წელს მიწაზედ გადასახადი განახევრებულ იქმნა. მათ უწევდენ აგრეთვე ფულით დახმარებას, მაგ., აძლევდენ ფულს პანსიონ-თავშესაფარის მოსაწყობად (სხვა და სხვა სამოსწავლო დაწესებულებათა თავად-აზნაურთა ბავშვების პანსიონი), და სხვა და სხვა გუბერნიებში ურთი-ერთ დამხმარე კასების დასაარსებლად.

ამ მოგების განაწილებაში წილი ედო აგრეთვე მსხვილ მრეწველ და მოვაჭრე ბურჟუაზიას. საზღვარ-გარეთიდან შემოტანილ საქონელზე ბაჟების ზრდა და ოქროს ფულების გამოშვება მსხვილ მრეწველთა და ვაჭართა სასარგებლოდ მიდიოდა. სხვა და სხვა დარგის მრეწველობას ხელს უწყობდა ხაზინის მიერ საქონლის დაკვეთა (казенные заказы), რკინის გზის რელსების დაკვეთა სწარმოებდა პირობებში, რომლებიც იძლეოდენ 25, 30 პროცენტიან მოგებას და ხანდისხან მეტსაც. ამრიგად, ათის წლის განმავლობაში ხაზინამ ამ საქმეს 150 მილიონი დაადვა. ამისდა მიუხედავად მსხვილი ბურჟუაზია სულ უფრო და უფრო უკმაყოფილო ხდებოდა: საფაბრიკო მრეწველობა იმდენად განვითარდა, რომ საჭირო შეიქნა საქონლის ფართო გასაღება, მაგრამ შინაური ბაზარი ვერ ადიოდა მას: ხალხი სულ უფრო და უფრო ღარიბდებოდა და ამ საქონლის ყიდვა არ შეეძლო. და აი სწორედ იმათ და კიდევ ზოგიერთ თავად-აზნაურთა ინტერესების დასაცავად (ამ უკანასკნელთა შორის იყვნენ დიდი მთავარნიც), რომლებიც ეძებდენ ჩქარა და მსუბუქად მოპოვებულ სიმდიდრეს, მანჯურიაში დაიკავეს პორტ-არტური, გაიყვანეს ციმბირისა და აღმოსავლეთის რკინის გზები და იაპონიასთან სამარცხვინო ომი დაიწყეს.

მუშების გაფიცვებმა მთავრობას მოაგონა საფაბრიკო კანონმდებლობა. მაგრამ ნამდვილად აქაც პირველი ადგილი მეფაბრიკეებისა და მექარხნეების ინტერესებს ეჭირა და, თუ მუშებს რამეს უთმობდენ, ყველაფერი ეს სინამდვილეში მალე ქარწყლდებოდა. 1882 წელს გამოიცა კანონი ფაბრიკებში მცირე-წლოვანთა მუშაობის შესახებ. ამ კანონის ძალით, ფაბრიკებში მცირე-წლო-

ვანთა (12 წლამდე) მუშაობა აღკრძალული იყო; აღკრძალული იყო აგრეთვე მცირე-წლოვანთა (12—15 წლამდე) ღამით მუშაობა; დღის განმავლობაში მათ შეეძლოთ მუშაობა მხოლოდ 8 საათი და ამასთანავე მხოლოდ ოთხი საათი განუწყვეტლივ. 1890 წელს კანონით დაშვებულ იქმნა მცირე-წლოვანთა ღამით მუშაობა და 6 საათის გამუდმებული მუშაობაც. იმავ ხანებში შემოღებულ იქმნა 1885 წლის კანონით აღკრძალული ქალთა და მცირე-წლოვანთა მუშაობა „განსაკუთრებით ყურადსაღებ შემთხვევებში“ და, როცა ბავშვები მშობლებთან ერთად მუშაობენ. 1897 წელს გამოცემულ იქმნა კანონი, რომლის მიხედვით მოწიფულ მუშებს სამუშაო დღე შეუმცირდათ 11 $^1/_2$ საათამდე. მაგრამ იმავე კანონის მიერ დაშვებულია ის ზედმეტი შრომა, რომელიც მუშებისა და მეფაბრიკეების შეთანხმებით სწარმოებს სამუშაო დღის შესრულების შემდეგ. ბოლოს და ბოლოს ამ კანონს ისეთი განმარტება მიეცა, რომ არა თუ 12-ის, 15 საათის სამუშაო დღეც შესაძლო შეიქნა. 1886 წლის კანონმა აღკრძალა მუშებისათვის საქონლით ქირის მიცემა და დაადგინა ჯამაგირის ყოველ-თვე აღება, მაგრამ ამასთანავე გაფიცვების წინააღმდეგ შემოიღო სასტიკი სასჯელი. სასტიკად ისჯებობა აგრეთვე სამუშაოსათვის გაუფრთხილებლად თავის დანებება; მათ ბატონ-პატრონებს კი პირობების დარღვევისათვის თითქმის არავითარი სასჯელი არ მოელოდათ. ამ კანონის მიერ დაწესებულმა საფაბრიკო ინსპექციამ მალე დაკარგა თითქმის ყოველი მნიშვნელობა. მას პოლიციური ხასიათი მიეცა: მის მოვალეობას ფაბრიკაში მშვიდობიანობის დაცვა შეადგენდა.

ჩვენ მიერ ჩამოთვლილი მთავრობის ღონისძიებანი ახლო დამოკიდებულებაში იყვნენ სხვა და სხვა კლასების სამეურნეო ინტერესებთან. რა თქმა უნდა, მთავრობის სხვა ზომებშიაც ეს ინტერესები ნათლად გამოსჭვიოდენ, შეადგენდენ, ასე ვსთქვათ, მის მამოძრავებელ ძალას, მაგრამ ამის გასანაღდებლად სხვა საშუალება იყო ამორჩეული: ის ანხორციელებდა ვაბატონებულ კლასების ინტერესებს იმათ ხელში მთელი სახელმწიფო ძალა უფლების გადაცემით და სახელმწიფოს ხელში უამრავ სიმდიდრის ჩაგდებით.

ასეთი მნიშვნელობა ქონდა სახაზინო რკინის გზის ქსელის გაფართოვებას და არაყის მონოპოლიას, რომელიც ფინანსთა მინისტრმა ვიტტემ შემოიღო: ხაზინა შეიქნა უზარმაზარ წარმოებათა მფლობელი, ასი ათასობით ითვლებოდა მისი მოსამსახურეები და პირდაპირ მისგან დამოკიდებული მუშები. ჩვენ უკვე ვსთქვით, რომ ამასთან გაბატონებულ კლასთა სამეურნეო ინტერესები იყო გადაბმული.

1864 წლის დებულებით, ერობაში სჭარბობდა საშუალო და წვრილი თავად-აზნაურობა, რომელიც კაპიტალისტურ მეურნეობას მსხვილ თავად-აზნაურობაზედ უფრო შეეგუა. ამ თავად-აზნაურობამ, რადგანაც ის დაინტერესებული იყო წერა-კითხვის გავრცელებაში და ხალხის ჯანმრთელობაში, გაადიდა საერობო ხარჯები, ნამეტურ სახალხო განათლების და სამკურნალო დარგებში. 1864-დან 1890 წლამდე ყველა საერობო ხარჯები 8 მილიონიდან 44 მილიონამდე ავიდა, ე. ი. ხუთ ნახევარჯერ გაიზარდა. ამასთანავე სახალხო განათლებაზე და სამკურნალო საქმეზე 1864 წელს იხარჯებოდა მხოლოდ $^1/_7$ ყველა ხარჯებისა (ცოტათი 1 მილიონზე მეტი), 1890 წელს კი $^2/_5$, ე. ი. 17 $^1/_2$ მილიონზედ მეტი. ამან გამოიწვია საერობო გადასახადების მომატება. მსხვილი თავად-აზნაურობა უკმაყოფილო იყო. ბიუროკრატიის აზრით ძველი ერობა მეტის-მეტად დამოუკიდებელი იყო, საშუალო და წვრილი თავად-აზნაურობა კი, რომელიც მასში მეფობდა—მეტად ლიბერალური. ამისათვის 1890 წელს ერობაზე შემოღებულ იქმნა ახალი დებულება. ამ დებულების ძალით სამაზრო საერობო კრების ხმოსნებს ირჩევდენ ცალ-ცალკე ამომრჩეველთა სამი რიგი: 1) მემამულე თავად-აზნაურობა, 2) სხვა წოდების მემამულენი (გარდა გლეხებისა) და 4) გლეხთა საზოგადოებანი. თითქმის ყველგან ამის შემდეგ ერობაში თავად-აზნაურობა გამეფდა. განსაკუთრებით შეზღუდული იყო გლეხობის უფლებები: შეუძლებელი იყო გამგეობის თავმჯდომარედ გლეხის ამორჩევა. მაგრამ თავი და თავი ის იყო, რომ გლეხები პირდაპირ ხმოსნებს კი არ ირჩევდენ, არამედ მხოლოდ იმათ კანდიდატებს, ერთის მაგივრად სამს, და შემდეგ ამ რიცხვიდან ხმოსნებს გუბერნიის უფროსი ნიშნავდა. ამასთან ერთად ერობა სრულიად დაექვემდებარა ადმინისტრაციას. ეხლა გუბერნიის უფროსს შეეძლო საერობო კრების გადაწყვეტილების შესახებ პროტესტი განეცხადებია, როდესაც ეს გადაწყვეტილება უკანონო იყო და იმ შემთხვევაშიაც კი, როცა მისი აზრით ეს საზიანო იყო ადგილობრივ მცხოვრებთათვის ან მთავრობისათვის. ერობის მოსამსახურეებს და ყველა არჩეულ პირებს ამტკიცებდა გუბერნიის უფროსი. 1900 წელს გამოიცა კანონი იმის შესახებ, რომ საერობო გარდასახადი არ შეიძლება აღემატებოდეს 10 $^0/_0$ მიწის შემოსავლისას. შეუძლებელი შეიქნა აგრეთვე 3 $^0/_0$ ზევით ხარჯების გადიდება წლიურად.

ახალმა საერობო დებულებამ გაამეფა მსხვილი თავად-აზნაურობა. ახალმა საქალაქო დებულებამ კი 1892 წელს ქალაქის საბჭოებში მდიდარი ბურჟუაზია გააბატონა: წვრილ სახლის პატრონებს საარჩევნო უფლება დაეკარგათ;

ასეთი უფლებებით სარგებლობდენ მხოლოდ მდიდარი სახლის პატრონები და ვაჭრები. დაკანონებულ იქმნა საქალაქო გადასახადების მაქსიმუმი, რომელიც არ აღემატებოდა შემოსავლის 10 %-ს და გატარდა იგივე, როგორც ერობაში ქალაქის თვითმმართველობის ადმინისტრაციისადმი სრული დაქვემდებარება.

1889 წელს, შინაგან საქმეთა მინისტრის გრაფ. დ. ტოლსტოის გეგმით, მომრიგებელ მოსამართლეების არჩევა გაუქმდა და მაზრებს სათავეში ჩაუდგენ ერობის უფროსები, რომლებიც სამართალს არჩევდენ და თვალყურს ადევნებდენ გლეხთა საზოგადოებას. ქალაქებში დაინიშნენ ქალაქის მოსამართლეები. ერობის უფროსებს, რომლებიც ინიშნებოდენ უმეტეს ნაწილად თავად-აზნაურობიდან, თან მოყვა ძველი ბატონ-ყმური „სამართლიანობის“ აღდგენა: ისინი თითქმის ყველა იმ ადმინისტრატიულ და სამოსამართლო უფლებებით სარგებლობდენ, როგორიც ბატონ-ყმობის დროს „პომეშჩიკებს“ ქონდათ მინიჭებული.

მომრიგებელ მოსამართლეთა თანამდებობის გაუქმება და იმათ ადგილას ერობის უფროსების დაყენება, ეს ადგილობრივ სამართალის სფეროში უკან დაბრუნებას ნიშნავდა, უკვე იმ მიზეზის გამო, რომ სამართალის საქმე და ადმინისტრატიული ძალა-უფლება ერთი და იმავე პირის ხელში იყო. გარდა ამისა, სამოსამართლო საქმეში შეტანილ იქმნა აგრეთვე სხვა ცვლილებათა მთელი რიგი, რომელიც სამართლის საქმეში ექვემდებარებოდა ადმინისტრაციას,— იუსტიციის მინისტრს. 1866 წელს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამოეყო ყველა საქმეები ბეჭდვითი სიტყვის შესახებ, 1878—საქმეები სახელმწიფო და პოლიტიკურ დამნაშავეთა შესახებ და ყველა ისინი გადაცემულ იქმნა პალატაში, რომელშიაც წოდებათა წარმომადგენლები იღებდენ მონაწილეობას (4 მოსამართლე და სამი წოდების წარმომადგენელი—თავად-აზნაურობის წინამძღოლი, ქალაქის თავი და სოფლის მამასახლისი). 1889 წელს ნაფიცმა მსაჯულებმა დაკარგეს უფლება სამსახურის დროს ჩადენილ დანაშაულობის გასამართლებისა, ბანკებში გაფლანგულ ფულების შესახებ და სხვა. 1887 წელს იუსტიციის მინისტრს, გენერალ-გუბენატორს და სასამართლოების თავმჯდომარეებს უფლება მიენიჭათ სასამართლოს კარების დახურვისა. გაუქმებულ იქმნა მოსამართლეების, პროკურორების და საქმის გამომძიებლების გადაუყენებლობა და, მაშასადამე, მათი დამოუკიდებლობაც; გამომძიებლების მაგიერ ჩვეულებაში შემოვიდა „მათი მოადგილეების“ დანიშვნა და 1885 წელში მინისტრს მიეცა უფლება, ზოგიერთ შემთხვევებში, მოსამარლეების პირდაპირ დანიშვნისა და გადაყენებისა.

1881 წელს შემოღებულ იქმნა დებულება გაძლიერებულ თავდაცვის წესების შესახებ, რომელმაც ადმინისტრაციას საშუალება მისცა სამართლის გარეშე სასჯელის დადებისა. ეს დებულება შემოღებული იყო „დროებით“, მაგრამ მისი მოქმედება იმ დროიდან დაწყებული ჩვენამდე გრძელდებოდა.

განათლების მინისტრი დელიანოვი სცდილობდა გიმნაზიები და უნივერსიტეტები ხელმიუწდომელი გაეხადა სოფლისა და ქალაქის ღარიბ ხალხისათვის, გაედევნა იქიდან „კუხარკების“ შვილები. დელიანოვის დროს შემოღებულ იქმნა 1884 წლის ახალი საუნივერსიტეტო წესდება. უნივერსიტეტს დაეკარგა თვითმმართველობის უფლება. რექტორი და პროფესორები მინისტრის მიერ ინიშნებოდენ. უნივერსიტეტს მოევლინა ინსპექცია და საუნივერსიტეტო პოლიცია.

დაბოლოს, სინოდის ობერ-პროკურორმა პობედონოსცევმა ერთ-ერთ თავის მთავარ მიზნად დაისახა საეკლესიო და წერა-კითხვის გამავრცელებელ შკოლების მშენებლობა სამღვდელოების ხელმძღვანელობით. მისი მიზანი იყო, რომ სამღვდელოებას თავისი გავლენით შკოლაზე, გლეხთა შორის პატივისცემა გაემაგრებია ძველ სახელმწიფოებრივ წესწყობილებისადმი.

მიუხედავად იმისა, რომ პირველ-დაწყებითი სახალხო შკოლები ისედაც ძალიან მცირე ცოდნას იძლეოდენ,—საეკლესიო შკოლებში ეს ცოდნა კიდევ უფრო შემცირდა. თავი და თავი ყურადღება ამ შკოლებში სამღვთო სჯულს ქონდა მიქცეული.

არავითარი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ცვლილებები ცენტრალურსა და უმაღლეს უწყებაში არ ხდებოდა და ამნაირად რუსეთის სახელმწიფოებრივი წყობილება სრულიად ძველ ნიადაგზედ იდგა.

ძველ წეს-წყობილებას ყოველგვარ საშუალებით იცავდენ.

IV

მე-XIX-ტე საუკუნის 80 და 90 წლების და მე-XX-ე საუკუნის პირველი წლების სულიერი კულტურა.

ჩვენ დავინახეთ, რომ მაშინ, როდესაც მეურნეობა და საზოგადოებრივი წყობილება განიცდიდენ ღრმა ცვლილებებს, რომლებიც სათანადო რეფორმებს მოითხოვდენ,—სახელმწიფოებრივი აპარატი ყოველ ღონისძიებას ხმაროობდა, რომ ძველი დროის წესები შეენარჩუნებია და გაეძლიერებია. ეს ძირითა-

დი წინააღმდეგობა თავის ელფერს აძლევდა რუსეთის მთელს საზოგადოებრივ-სულიერ კულტურას.

ძველის დაცვას და ახალზედ იერიშების მიტანას ყველაზედ უფრო შმაგათ და გაცხარებით აწარმოებდა ის რეაქციონური პუბლიცისტიკა, რომლის წარმომადგენელნი იყო კატკოვის „მოსკოვის უწყებები“, კნ. მეშჩერსკის „გრაჟდანინი“ და სუვორინის „ნოვოე ვრემია“. კატკოვი სცემდა აგრეთვე ჟურნალს „რუსკი ვესტნიკს“, რომელშიაც მარკევიჩი ათავსებდა თავის რომანებს და ამ რომანებში გამოყავდა მშიშარა ლიბერალები და რევოლიუციონერები, როგორც ზნედაცემული და ბოროტმოქმედი ადამიანები. პოეტი გოლენიშჩევ-კუტუზოვი სცდილობდა გაეგრძელებია ბუნების საარწმუნოებრივ-ფილოსოფიური პოეზია, რომლის მეტად ნიჭიერ წარმომადგენლად ტიუტჩევი ითვლებოდა, მაგრამ არსებითად გოლენიშჩევ-კუტუზოვი უფრო მაიკოვს მოგვაგონებს ვიდრე ტიუტჩევს,—როგორც ლექსის სილამაზით, აგრეთვე იმითაც ,რომ იმასავით არა ერთი და ორი ოფიციალურ-პატრიოტიული ლექსი დაუწერია. უმაღლეს თავად-აზნაურობის ცხოვრებას თავის რომანებში და მოთხრობებში გვიხატავდა კნ. გოლიცინ-მურავლინი, მაგრამ შესაძლოა, მისდა უნებურად მისი თხზულებები ამ საზოგადოების სწორედ გახრწნასა და დაცემას გვიხატავდა. ნიჭიერ პოეტს აპუხტინს პოლიტიკა და საზოგადოებრივი კითხვები არ აინტერესებდა: თავის ნაწერებში ის უგალობდა სიყვარულს—უმეტეს ნაწილად უბედურ სიყვარულს. წმინდა წყლის ესტეტები, მხოლოდ და მხოლოდ მშვენიერების თაყვანისმცემელნი, როგორიც იყო მაგ. აპუხტინი, სჩანს, ობლად გრძნობდენ თავს იმ ხალხში, რომლებთანაც მათ ცხოვრება უხდებოდათ.

ძველი დროის მომხრენი მოიპოვებოდენ აგრეთვე მხატვრობის, ხუროთ-მოძღვრების და მუსიკის დარგებშიაც. მხატვრობაში ბრიულლოვისა და ბრუნის კლასიციზმი მეფობდა. ასეთი კლასიკები იყვნენ ფლავიცკი („თავადის ქალი ტარაკანოვისა“), სემირადსკი, რომელიც ხატავდა მშვენიერ მცხინვალე ფერადებით და მაკოვსკი, რომელიც ძველი რუსეთის დიდებულთა ტანთსაცმელს და სახლის ავეჯეულობას ხატავდა. ყველა ესენი ბრიულლოვის მიმდევარნი იყვნენ. ვ. ვასნეცოვი, რომელიც უფრო ბრუნის უახლოვდებოდა, საუცხოო ხატების ავტორი იყო. ის არა მარტო ბრუნის, ძველებურ ხატების წერასაც ჰბაძავდა, განსაკუთრებით ანდრია რუბლიევს: მის ხატებში რელიგიური აღტაცება და მისტიციზმი გამოსჭვივის. კიევის ვლადიმირის სობორო დამახასიათებელი ნიმუშია მე-80 და 90 წლების ხუროთ-მოძღვრებისა: ის აშენებულია ბიზანტიურ

სტილზედ და ამით თითქო შორეულ წარსულისაკენ ლტოლვას და ძველი დროის განმტკიცების სურვილს გამოხატავს. დაბოლოს, ძველი ფორმები გამოიხატენ მუსიკაშიც—ოპერები სოლოვიოვისა და ნაწილობრივად ა. რუბინშტეინისა (დემონი და სხვა); თუმცა, უნდა ვსთქვათ, რომ რუბინშტეინისათვის უცხო ხილი არ იყო არც რომანტიზმი, ე. ი. წინსვლის სურვილი და ძველი ბორკილებისაგან თავის დაღწევა. კატკოვი და ა. აკსაკოვი პობედონოსცევთან და გრაფ ვორონცოვ-დაშკოვთან ერთად მონაწილენი იყვნენ ეგრედ წოდებულ „მოხალისეთა საზოგადოებისა“, რომლის მიზანი იყო ალექსანდრე მე-III-ის პიროვნების დაცვა და ნაროდოვოლცების პლანების გამოჩხრეკა. შემდგომ ამისა იმავე პირებმა მოაწყვეს ეგრედ წოდებული „სამღვთო რაზმი“ („Священная дружина“), რომელმაც ნამდვილი ომი გამოუცხადა ნაროდოვოლცებს. მაგრამ 1882 წელს შინაგან საქმეთა მინისტრმა გრაფ. დ. ტოლსტოიმ, იმ მიზეზით, რომ ის ხელს უშლის პოლიციის მოქმედებას და ამასთანავე მასში ძველი წესწყობილების მოწინააღმდეგენი გამოჩნდენ, ეს საზოგადოება დახურა კატკოვთან და პობედონოსცევთან ერთად. ბიუროკრატია შესაძლებლად სთვლიდა სხვის დაუხმარებლად ეწარმოებია ძველი წყობილების დაცვა.

სამღვთო რაზმის ზოგიერთი წევრები არჩეულ მთავრობის მომხრენი იყვნენ: ასე მაგ. გრაფ იგნატიევი საერობო კრების ნიადაგზედ იდგა, გრაფი პ. შუვალოვი ოცნებობდა ორ პალატაზედ, რომლებიდანაც უმაღლესი ისე უნდა ყოფილიყო მოწყობილი, როგორც ინგლისის ლორდთა პალატა. ესენი იყვნენ იშვიათი ლიბერალები უმაღლეს თავად-აზნაურობის წრიდან. უმრავლესობა კი დიმიტრი ტოლსტოის, პობედონოსცევს და კატკოვს თანაუგრძნობდა.

შუვალოვს დამოკიდებულება ჰქონდა საშუალო თავად-აზნაურობის ლიბერალებთან, უმეტეს ნაწილად ერობის წარმომადგენელებთან. საერობო კავშირი ჩასახული იყო ჯერ კიდევ 70 წლების მიწურულში, მაგრამ მხოლოდ 1881 წელს მოსკოვის ყრილობაზედ განხორციელდა. ის არ წარმოადგენდა არც ძლიერს, არც მჭიდროდ მეკავშირებულ ორგანიზაციას და მისი მოღვაწეობა ცოტათ თუ ბევრად შესამჩნევი არ აყო. 1882 წელს ამ კავშირის აზრსა და შეხედულებას გამოხატავდა დრაგომანოვის საზღვარგარეთელი გაზეთი „ვოლნოე სლოვო“. საერობო ყრილობები დრო-გამოშვებით მეცხრამეტე საუკუნის 90 წლებში და მეოცე საუკუნის დასაწყისში ხდებოდა. თვით ერობებში ამ დროს გაჩნდა ერობის ლიბერალების ორი ჯგუფი—უფრო მემარჯვენე უმცირესობა გუჩკოვისა და შიპოვის მეთაურობით და ლიბერალ-

კონსტიტუციონალისტები—პეტრუნკევიჩი, როდიჩევი, დოლგორუკოვები და სხვანი. ასეთი ორი მიმართულება ნათლად გამოირკვა 1904 წლის საერობო ყრილობაზე, როდესაც უმრავლესობამ გადაჭრით გამოსთქვა თავისი აზრი იმის შესახებ, რომ ხალხის წარმომადგენლები მონაწილეობას ღებულობდენ **კანონმდებლობითი მთავრობაში**, უმცირესობა კი ამბობდა მხოლოდ **კანონმდებლობაშიო**, რაიც იმას ნიშნავდა, რომ ხალხის წარმომადგენლებს სათათბირო ხმის უფლება მინიჭებოდა. ერობის ლიბერალების უმრავლესობამ მეოცე საუკუნის დამდეგში „განთავისუფლების კავშირი“ შეადგინა. საზღვარგარეთ ყოფილ სოც.-დემოკრატ სტრუვეს რედაქტორობით გამოდიოდა ამ კავშირის ორგანო ჟურნალი „ოსვობოჟდენიე“. ამ კავშირის უმთავრეს ხელმძღვანელად შეიქნა ყოფილი მოსკოვის, შემდეგ სოფიის (ბულგარეთი) უნივერსიტეტის პროფესორი—მილიუკოვი. ლიბერალიზმის ლეგალური მატარებელი იყვენ გაზეთი „რუსკია ვედომოსტი“ და ჟურნალები „ვესტნიკ ევროპი“ და „რუსკაია მისლ“—ი.

უმცირესობის ბელადი გუჩკოვი წარმომადგენელი იყო მწარმოებელ ან უკეთ ფინანსიურ ბურჟუაზიისა (ის რამდენიმე ბანკის დირექტორი იყო). ეს იმაზე მოწმობს, რომ ერობის ლიბერალები, რომლებიც თითქმის სულ ერთიანად თავად-აზნაურები იყვენ, საფინანსო და მწარმოებელ ბურჟუაზიასთან ერთად ერთ კლასში გაითქვლიფენ. ამისათვის ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ ეხლა ბურჟუაზიულ სულიერ კულტურას.

ჩვენ უკვე დავინახეთ ერობის კავშირის, ერობის ყრილობების და განთავისუფლების კავშირის მაგალითებზე, თუ როგორი იყო ბურჟუაზიის სულიერი კულტურა პოლიტიკის დარგში: კონსტიტუცია—აი მიზანი, რომლისკენაც სულ უფრო და უფრო დაჟინებით მიილტვოდენ ერობის ლიბერალები და მათთან ერთად მთელი ცოტათ თუ ბევრად კულტურული მსხვილი და საშუალო ბურჟუაზია.

განათლებული ბურჟუაზიის წრეები ძლიერ მოთხოვნილებას განიცდიან მეცნიერულ ცოდნაში. ამისათვის მეცნიერების განვითარება ლიბერალურ ბურჟუაზიის ერთ-ერთ მიზანთაგანს შეადგენს. გამოდიან მთელი რიგი ნიჭიერ მკვლევართა: იურიდიულ მეცნიერებაში—მუროომცევი (რომის და სამოქალაქო სამართალი), კოვალევსკი (ისტორიკი-იურისტი და ისტორიკი-ეკონომისტი), ტაგანცევი (სისხლის სამართალი), სერგეევიჩი (რუსეთის სამართლის ისტორია), გრადოვსკი (სახელმწიფოებრივი სამართალი), კლიუჩევსკი, რომელიც საისტორიო მეცნიერებაში პირველად აძლევს უპირატესობას მეურნეობის ისტორიას

—მეურნეობისა და საზოგადოების ურთიერთობათა საფუძველზედ ხსნის სახელმწიფოებრივ განვითარებას; საყოველთაო ისტორიაში გამოდის ვინოგრადოვი (საშუალო საუკუნოების ისტორია), პოლიტიკურ ეკონომიაში—ჩუპროვი. ყველა ამ მეცნიერთა მოღვაწეობა შესამჩნევია არა მარტო იმით, რომ მათ ბევრი რამ ახალი შესძინეს მეცნიერებას,—იმათ შექმნეს მთელი შკოლა, ყავდათ მოწაფეები, მიმდევრები, რომლებიც მათ საქმეს განაგრძობდენ და მიდიოდენ მათ მიერ ნაჩვენებ გზით. ასევე ითქმის საბუნებისმეტყველო მეცნიერების განვითარებაზე. აქ მეცნიერული შკოლა შექმნეს: ფიზიკაში—სტოლეტოვმა, ბარგმანმა და ლებედევმა, ხიმიაში—ნენცკიმ, მათემატიკაში—მარკოვმა, მეხანიკაში—ბობილევმა და ჟუკოვსკიმ, ბოტანიკაში—ტიმირიაზევმა, ფამინცინმა, ვინოგრადსკიმ, ფიზიოლოგიაში—პავლოვმა. ზოოლოგიის დარგში მეტისმეტად ნაყოფიერად მუშაობდა მეჩნიკოვი, რომელიც რუსეთს მოშორდა და პარიზში ჯერ თანამშრომელი იყო გამოჩენილ მეცნიერის პასტერისა და შემდეგ მის მეცნიერულ შრომას განაგრძობდა.

ამ მეცნიერთა უმრავლესობის მოღვაწეობა დამოკიდებული იყო პოზიტიურ ფილოსოფიაზე, რომელიც, როგორც ვიცით 70 წლებში მეფობდა ლიბერალურ წრეებში. მაგრამ იმავე 70 წლებში რუსეთს მოევლინა რწმენით ლიბერალი ფილოსოფოსი, რომელიც იცავდა იდეალიზმს, ანუ მეტაფიზიკას, ე. ი. ისეთ ფილოსოფიას, რომელიც ცდის გარეშე, წმინდა აზროვნების საშუალებით სცდილობს ცხოვრების სამარადისო არსის შემეცნებას. ეს გახლდათ ვლად. სოლოვიოვი. იგი, სხვათა შორის, ფიქრობდა, რომ როგორც არსის შემეცნების წყაროს, სარწმუნოებას წმინდა აზროვნებაზე მეტი მნიშვნელობა აქვსო. სოლოვიოვის აზრით სარწმუნოებისა და წმინდა აზროვნების საშუალებით ადამიანს შეუძლია მიხვდეს და შეიგნოს საუკუნო (აბსოლიუტური) ჭეშმარიტება, საუკუნო სიკეთე და სამარადისო მშვენიერება.

მეცხრამეტე საუკუნის 80, განსაკუთრებით 90 წლებში და მეოცე საუკუნის პირველ წლებში სოლოვიოვის ფილოსოფიურ მოძღვრების დიდი გასავალი ჰქონდა მსხვილ ბურჟუაზიის ლიბერალურ წრეებში და საშუალო ბურჟუაზიის იმ წრეებში, რომლებიც კულტურულ ბურჟუაზიის ზედგავლენის ქვეშ იმყოფებოდენ. ეს ადვილი გასაგებია: ღვივდებოდა განმათავისუფლებელი მოძრაობა და კულტურული მსხვილი და საშუალო ბურჟუაზია საჭიროებდა ერთგვარ გრძნობათა ამაღლებას, სჭიროდა ენტუზიაზმი, რწმენა, ურომლისოდაც მას არ ექნებოდა გამარჯვების იმედი თავის ინტერესების დაცვის საქმეში. „საუკუნო“ ჭეშმარიტებათა იდეალისტური დასაბუთება კულტურულ ბურჟუა-

ზიას საფუძველს აძლევდა არა თუ ძველ წესწყობილებასთან ბრძოლისათვის, თვით საშუალო ბურჟუაზიასთანაც კი; განსაკუთრებით ის ზურგს უმაგრებდა მას მუშათა კლასთან ბრძოლაში: ლიბერალურ-ბურჟუაზიული საზოგადოებრივი წყობილება იდეალისტურ ფილოსოფიის დასაბუთებით საუკუნო და დაურღვეველი იყო. შემდგომი მისი განვითარება წარმოადგენდა მშვიდობიანს და თანდათანობით გამეფებას აბსოლიუტურ სიმართლისა—ისეთ შორეულს, რომ აწმყოსათვის მას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. სოლოვიოვის იდეალიზმი საფუძველს აძლევდა კულტურულ ბურჟუაზიას თავისი თავი „მთელი ხალხის“ წარმომადგენლად გამოეცხადებია. ყველა ამ მიზეზთა გამო სოლოვიოვის ფილოსოფიამ ბევრი მიმდევარი იშოვნა, რომლებმაც 1903 წელს გამოსცენ ფილოსოფიურ წერილების კრებული (Проблемы идеализма).

ფილოსოფიური იდეალიზმი და მასთან შერეული სარწმუნოებრივი მისტიციზმი გამოიხატენ აგრეთვე ხელოვნებაში: სიტყვა კაზმულ ლიტერატურაში, მხატვრობაში, ქანდაკებაში და მუსიკაში. ლიტერატურაში ის ატარებდა ჯერ დეკადენტობის სახელს, შემდეგ, როცა უფრო ზომიერი ფორმა მიიღო, მოდერნიზმის სახელით გამოვიდა. ამ მიმართულების პირველი წარმომადგენლები იყვნენ პოეტები—მინსკი და მერეჟკოვსკი (უკანასკნელი სწერდა აგრეთვე რომანებს და კრიტიკულ წერილებს), აგრეთვე ქ-ნი გიპიუსი და ბრიუსოვი. თვით სოლოვიოვი სწერდა მოდერნისტულ ლექსებს. შემდეგ მოდერნისტები იყვნენ აგრეთვე ბალმონტი—ესტეტიკოს-ინდივიდუალისტი და სოლოგუბი—სიკვდილისა და ხორციელ სიყვარულის პოეტი, ავტორი „წვრილ-ეეხა ეშმაკისა“ (Мелкій бѣсъ), სადაც მშვენივრად დახასიათებულია პერიდონოვი, გიმნაზიის მასწავლებლის ტიპი, ეს ნახევრად ხელი რეაქციონერი. თავი და თავი მოდერნიზმში არის მისი სილამაზისადმი ლტოლვა, ნათლად გამოხატული ფორმა, შთაბეჭდილების სიძლიერე. მხატვრობის დარგში მოდერნიზმის ჩანასახი უჩანს ჯერ კიდევ ვ. ვასნეცოვს, განსაკუთრებით კი ნესტეროვს მის მისტიურ-სარწმუნოებრივ ნახატებში „წმ. სერგი“, „მეუდაბნოვე“, „დიდი პოსტრიგი“ და სხვა. მხატვრობაში ნამდვილი მოდერნისტები არიან—კოროვინი, მალიავინი და სეროვი. ქანდაკებაში მოდერნისტი არის—ტრუბეცკოი, რომელმაც შექმნა ალექსანდრე მესამის (ძეგლი პეტერბურგში) და ლევ ტოლსტოის ქანდაკი. ბოლოს მუსიკაში მოდერნიზმი გამოსჭვივის რიმსკი-კორსაკოვის ზოგიერთ უკანასკნელ ნაწარმოებში და გლაზუნოვის კომპოზიციებში; ნამდვილი მოდერნისტები მუსიკაში სკრიაბინი და რებიკოვი იყვნენ.

წვრილ ბურჟუაზიის სულიერ კულტურაში 80 და 90 წლები ძლიერ განირჩე-

ვიან მეცხრამეტე საუკუნის მიწურულისა და მეოცე საუკუნის დამდეგისაგან.

80 წლები და 90 წლების დასაწყისი იყო ის ხანა, როდესაც წვრილმა ბურჟუაზიამ, ნაროდოვოლცების დამარცხების შემდეგ, დაჰკარგა ძველი იდეალები და ახალი კი ვერ მოძებნა. ასეთი მდგომარეობის ჩანასახი ჯერ კიდევ 70 და 80 წლებში ემჩნეოდა ნადსონისა და იაკუბოვიჩის ლექსებს, გარშინისა და კოროლენკოს მოთხრობებს. ნადსონს მოსვენებას არ აძლევს დამსხვრეული იმედი, სევდა-კაეშანი, იჭვები, მაგრამ დუხჭირ სინამდვილის წინააღმდეგ მაინც დაჟინებით გვირჩევს: „Вѣрь: настанетъ пора, и погибнетъ Ваалъ, и вернется на землю любовь“. იაკუბოვიჩი არის პოეტი დამარცხებულ ნაროდოვოლცებისა, პოეტი ეკლიან „გვირგვინისა“, როგოც თვითონ ამბობს. გარშინი იმავე სულიერ განწყობილების (ნასტროენიის) მწერალია, როგორც ნადსონი, მხოლოდ უფრო ღრმა, უფრო ავადმყოფი. კოროლენკოს ყველაზედ უფრო აინტერესებს სულიერი ცხოვრება ორ დარგის ადამიანებისა: ერთის მხრივ დარბაისელ მეურნეების, რომლებიც თავის ცხოვრებას უყურებენ როგორც საზოგადოებრივ მოვალეობას, ე. ი. არსებითად მეოცნებე ნაროდნიკებისა; მეორე მხრივ მას აინტერესებენ თავისუფლების მოყვარული ადამიანები, რომლებიც ელტვიან ბრძოლას, ეძებენ ასპარეზს თავის მდიდარ სულიერ ძალების გასაშლელად. ერთსა და მეორესაც კოროლენკო გვიხატავს იდეალურ სახეებში, რომლებშიაც სინამდვილე გალამაზებულია. კოროლენკო რომანტიკი იყო.

წვრილი ბურჟუაზიის ფსიხოლოგიის ნამდვილ გამომხატველად მე-80 წლებში გამოვიდა ჩეხოვი. თავის მოთხრობებში და პიესებში (დრამატიულ ნაწარმოებში) იგი სრულის სასოწარკვეთით შეყურებს ყველას და ყველაფერს. ის მოგვითხრობს ძველი რევოლიუციონერების უვარგისობაზე („На пути“, „Разсказъ неизвѣстнаго человѣка“), რომელთაც არა აქვთ უკვე თავისი და თავისი უნარის იმედი; მოგვითხრობს უვარგისობაზე ლიბერალებისა, რომელთაც არცა რა გაეგებათ, არცა ყავთ „ღმერთი ცოცხალი ადამიანისა“, ხშირად ასეთივე არიან ჩეხოვის მიერ გამოყვანილი მეცნიერნი და განათლებულნი („Хорошіе люди“, „Скучная исторія“). არაფერი სწამს ჩეხოვს არც რუსეთის უსულო და გულ-გაყინულ მოხელეებისა (ორლოვი „Скучная исторія“-ში, („Человѣкъвъ футлярѣ“), არც თავად-აზნაურობის („Вишневый Садъ“) და ბოლოს არც გლეხების („Мужики“). ჩეხოვისათვის ცხოვრება უაზრო და ცარიელია. მას არა სწამს, რომ ის მალე გაუმჯობესდება: კარგი იქნება მხოლოდ 300, 200 წლის შემდეგ, ძალიან ძალიან ცოტა რომ ვსთქვათ—50 წლის

შემდეგ. ამისათვის მას არ მოეპოება გარკვეული საზოგადოებრივი შეხედულება და რწმენა, თუმცა საშინლად ამხედრებულია ცხოვრების უშინაარსობაზე და მხურვალედ ეწაფება თავისუფლების გზაზე გამოსვლას: ის არ ეთანხმება ტოლსტოის, რომელიც ამბობს, რომ ადამიანს მარტო სამი არშინი მიწა უნდაო: სამი არშინი მიწა უნდა მხოლოდ უსულო გვამს, ადამიანს კი—მთელი ქვეყანაო.

რაც იყო ჩეხოვი ლიტერატურაში, იმას მუსიკაში წარმოადგენდა ჩაიკოვსკი (სიმფონიები, ოპერები: „ევგენი ონეგინ“, “პიკოვაია დამა“ და სხვა), მხატვრობაში კი ლევიტანი. ესენი არ იყვნენ რეალისტები, მაგრამ არც მოდერნისტები, არამედ იმპრესიონისტები იყვნენ: სცდილობდენ მხოლოდ გადმოეცათ თავისი შთაბეჭდილება და სრულიად არ ზრუნავდენ სინამდვილის წვლილად ფაკტების აღნიშვნაზე. უკმაყოფილება, სევდა, სულის არევა და ნაღველი ემჩნევა ჩაიკოვსკის ოპერებს და განსაკუთრებით სიმფონიებს. ნაღველი, სევდა, ძიება, მორჩილება—აი ლევიტანის სურათების შინაარსი.

მაგრამ, უკვე კოროლენკოს ემჩნევა ახალი იდეების ჩანასახი: მის მიერ ამორჩეული ორი ტიპი ახალ ნაროდნიკობის საფუძველს წარმოადგენენ. ახალი ნაროდნიკობა თაყვანს სცემდა მოვალეობის იდეალს, ზნეობრივსა და საზოგადოებრივ საქმეს და მარქსიზმს, რომელშიაც შეერთებული იყო პიროვნების თავისუფლება და კლასობრივი სოლიდარობა. ახალი იდეებით გამოდის შემდეგ კაროლინი, რომელიც თავის მოთხრობებში გვიხატავდა გლეხების გაპროლეტარებას, მუშათა კლასის წარმოშობას და მისი თვით-შეგნების ზრდას. ახალი რამ ქონდა ჩეხოვსაც, როდესაც ის ამბობდა: „ჩემი წმიდათა-წმიდა არის ადამიანის ტანი, ჯანმრთელობა, ჭკუა, ტალანტი, ზეგარდმო ნიჭი, სიყვარული და აბსოლიუტური თავისუფლება“-ო და მოთხრობაში „Воры“ (ქურდები) აგვიწერდა გულ-მამაცსა და თავისუფლების მოყვარე ადამიანებს—მერიკსა და ლიუბკას. ბოლოს იგივე ითქმის კასატკინის მხატვრობაზე, რომელიც სწერდა მაღაროების მუშებს და არხიპოვზე, რომელიც მრეცხავსა და მუშა ქალებს ხატავდა.

და აი, მე-XIX საუკუნის სულ მიწურულში და მე-XX საუკუნის დამდეგში გამოდიან მწერლები, რომლებიც გვიხატავენ წვრილი ბურჟუაზიისა და ნაწილობრივ მუშების ახალ სულის განწყობილებას. ესენი არიან ვერესაევი და მაქსიმ გორკი. ვერესაევი მოთხრობებში „Безъ дороги“ და „Повѣтріе“ გვისურათებს იდეურ ბრძოლას ნაროდნიკებსა და მარქსისტებ შორის, ერთ მოთხრობაში კი „На поворотѣ“—ლიბერალების გამოყოფას მარქსისტებიდან, მარქსიზმის სხვა და სხვა რტოებათ დაყოფას და ახალი ნაროდნიკების—სო-

ციალისტ-რევოლიუციონერების წარმოშობას. გორკის მოთხრობები აგვიწერს ბოგანოს ცხოვრებას („Бывшіе люди“, „Коноваловъ“, „Мальва“, „Челкашъ“, „На днѣ“), სადაც ის გამოსთქვამს თავისუფლებისადმი ლტოლვას, უარყოფს ყოველივე გზას, ქადაგებს ინდივიდუალიზმს. აქ მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო საზოგადოებრივ კირთების უარყოფას, რომელიც აუტანელი შეიქნა, აქ სიცილს აყრიდენ ლიბერალებს („Дачники“, „Варенька Олесова“, „Дѣти Солнца“). მალე ამის შემდეგ გორკიმ ხელი მიჰყო თავის მოთხრობებში ნამდვილ მუშების გამოყვანას (ნილი „Мѣщане“-ში „Трое“ და სხვა).

ახალი ცვლილება წვრილ ბურჟუაზიის რწმენისა და სულიერ განწყობილებისა, ასე ნათლად გამოხატული ვერესაევისა და გორკის მიერ, ჯერ კიდევ მე-90 წლებში მოამზადა მარქსისტულმა პუბლიცისტიკამ. აქ აღსანიშნავია სტრუვეს „Критическія замѣтки“, ბელტოვ-პლეხანოვის „Къ вопросу о развитіи монистическаго взгляда на исторію და ვლ. ილინის „Развитіе капитализма въ Россіи“.

ჩვენ ეხლა უნდა შევჩერდეთ სოციალ-დემოკრატიულ და სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიების წარმოშობაზე, რომელსაც მჭიდრო დამოკიდებულება ჰქონდა მუშათა და გლეხთა მოძრაობასთან.

გლეხების მოძრაობაზე ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი: ეს მოძრაობა დაგვირგვინდა საშინელი მღელვარებით ხარკოვის, პოლტავის და ვორონეჟის გუბერნიებში და მას გამუდმებით შეუგნებელი, სტიქიური ხასიათი ჰქონდა. მუშათა მოძრაობა მე-90 წლებში უფრო შეგნებულად სწარმოებდა, თუმცა პირველ ყოვლისა იგი ეკონომიურ ბრძოლის მატარებელი იყო და მხოლოდ შემდეგ დაადგა გარკვეულ პოლიტიკურ გზას. ამ გზაზე დააყენა ის თვით ცხოვრებამ, თვით ბრძოლის მსვლელობამ. მაგრამ, რა თქმა უნდა, ამას ხელს უწყობდენ ახალი დემოკრატიული პარტიებიც.

1875 წელს ეკუთვნის პირველი მუშათა პოლიტიკურ ორგანიზაციის დაარსება რუსეთში: სახელდობრ, დაარსებულ იქმნა სამხრეთ-რუსეთის მუშათა კავშირი, რომელიც შემდეგ 1878—82 წლებში განახლდა. ეს კავშირი ჯერ კიდევ წმინდა ნაროდნიკული იყო. მაგრამ 1878 წელს პეტერბურგში მუშამ ხალტურინმა დააარსა ჩრდილო-რუსეთის მუშათა კავშირი, რომელმაც ბევრი რამ გადმოიღო გერმანიის სოციალ-დემოკრატიისაგან. აქ უკვე პირველი ადგილი ეჭირა პოლიტიკურ თავისუფლებისათვის ბრძოლას. ის ეწეოდა მშვიდობიან პროპაგანდას და ხელმძღვანელობდა მუშების გაფიცვებს. 1883 წელს

ყოფილმა „ჩორნო-პერედელცებმა“ გ. პლეხანოვის მეთაურობით დააარსეს შვეიცარიაში „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფი, რომელიც მტკიცედ დაადგა მარქსიზმის გზას. ის მოძღვრებდა, რომ მომავალი საზოგადოება, საწარმოვო საშვალებათა განსაზოგადოებრივობაზე, მთელი მეურნეობის ერთის გეგმით მოწყობაზე აგებული, მზადდება თვით კაპიტალიზმის ფარგლებშიო; კაპიტალიზმის განვითარება ორგანიზაციულად აკავშირებს მუშებს, აღვივებს იმათ თვითშეგნებას, ამისთვის აუცილებელია დემოკრატიული წესწყობილების მოპოება და ამის საშუალება კი არის მუშების მიერ თავისი კლასობრივი ინტერესების დაცვაო. 1882—84 წ. პოლონეთში დაარსდა მუშათა პარტია „პროლეტარიატი“, რომელიც აგრეთვე კლასობრივ თვალსაზრისზედ იდგა, მაგრამ ამავე დროს ტეროორისტულიც იყო. „პროლეტარიატი“ განახლებულ იქმნა 1887 წელს და იარსება 1890 წლამდე. 1890 წელს დაარსდა პოლონეთის მუშათა კავშირი, 1891 წელს—პოლონეთის სოციალისტური პარტია, 1883 წელს კი პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც უარყოფდა ტეროორს და მიზნად იხატავდა პოლონეთის ავტონომიას და არა დამოუკიდებლობას, როგორც ამას ქადაგებდა მაგ. პოლონეთის სოციალისტების პარტია.

1895 წელს პეტერბურგში, შემდეგ მოსკოვში, ეკატერინოსლავში და კიევში დაარსებულ იქმნენ „ბრძოლის კავშირები მუშათა კლასის გასანთავისუფლებლად“, რომლებმაც „შრომის განთავისუფლების“ პროგრამა მიიღეს. 1898 წელს კი ქ. მინსკის ყრილობაზე დაარსებულ იქმნა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია. 1897 წელს დაარსდა ებრაელ მუშების სოციალ-დემოკრატიული პარტია „ბუნდი“, 1900 წელს—ლატიშების სოციალ-დემოკრატიული პარტია.

ასეთი იყო ახალი ორგანიზაციები, რომლებმაც თავის გარშემო შემოიკრიბეს მუშები—რუსები, პოლონელები, ებრაელები და ლატიშები—და მოწმობდენ, რომ მე-90 წლებში რუსეთის წვრილ-ბურჟუაზიის წრიდან გამოსული სოციალისტური ინტელიგენციის უმრავლესობა მარქსიზმის გზას დაადგა. ამაზე მოწმობდა მარქსისტულ ჟურნალების გამარჯვებაც—„Новое слово“, „Начало“, „Жизнь“.

მაგრამ მე-70 წლების ტრადიციები ჯერ კიდევ არ გამქრალიყო მუშებისა და ინტელიგენციის წრეებში: მუშებს ჯერ კიდევ ვერ დაეღწიათ თავი სოფლისათვის, ვერ მოშორებოდენ მიწებს; ინტელიგენციას სწამდა ტეროორი და ფიქრობდა, თითქო არტელებს და თემებს შეუძლიან დიდი სამსახური გა-

უწიონ და საფუძვლად დაედონ მომავალ სოციალისტურ საზოგადოებასო. ამისთვის იყო, რომ „ნაროდნიჩესტვო“ 1900 წელს კვლავ აღორძინდა სოციალისტ-რევოლიუციონერების სახით.

წარმოების გამოცოცხლების გამო 1894—99 წლებში მოხდა ძლიერი გაფიცვები: მუშებს იმედი ქონდათ, რომ თავის მდგომარეობას გააუმჯობესებდენ, რადგანაც წარმოების აღორძინება მეფაბრიკეებს დათმობის შეძლებას აძლევდა. 1894—99 წლებში გაფიცულ მუშებ ი ს საერთო რიცხვი ნახევარ მილიონს უდრის.

მუშათა მოძრაობის გავლენით გამოცემულ იქნა 1897 წელს უკვე ცნობილი კანონი სამუშაო დღის განსაზღვრის შესახებ. ის $11^1/_2$ საათს უდრიდა.

სანამ წარმოება გამოცოცხლებული იყო, მუშების თვალში თავის ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებას პირველი ადგილი ეჭირა. ასეთი „ეკონომიზმის“ მომხრე იყვენ მაშინ სოციალ-დემოკრატების უმრავლესობა, რომლებიც სცემდენ გაზეთებს „Рабочее дѣло“ და „Рабочая мысль“-ს.

1899 წელს გათავდა წარმოების აყვავება და დადგა საშინელი კრიზისი. 1900 წელს გაზეთ „ისკრა“-ში პლეხანოვი და მისი თანამოაზრენი უთითებდენ მუშებს წმინდა წყლის ეკონომიზმის უვარგისობაზე და აუცილებელ საჭიროებათ სთვლიდენ მუშების მიერ ისეთი პოლიტიკურ მოთხოვნილებათა წამოყენებას, რომლებსაც კავშირი აქვს იმათ ეკონომიურ ინტერესებთან. და მართლაც, კრიზისის დროს ლაპარაკიც მეტი იყო მუშათა ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე... და აი 1901 წელს ხარკოვში, მოსკოვში და პეტერბურგში მუშები სტუდენტებთან ერთად აწყობენ დემონსტრაციებს. 1902 წელს იფეთქა პოლიტიკურმა გაფიცვამ დონის როსტოვში, 1903 წლის ზაფხულში კი გაფიცვები მთელ სამხრეთ რუსეთს მოედვა.

სტუდენტობა იყო ქალაქის წვრილ ბურჟუაზიის უკმაყოფილების გამომხატველი. საუნივერსიტეტო წესდების შემოღების ორი წლის შემდეგ— 1887 წელს იწყება სტუდენტების მღელვარება და შემდეგ ის მეორდება დაახლოვებით ყოველი ორი წლის განმავლობაში. 1900 წელს სტუდენტობის მოძრაობამ პოლიტიკური ხასიათი მიიღო. მაშინ იყო, რომ 183 სტუდენტს უკრეს თავი სალდათობაში. 1901 წელს ყოფილმა სტუდენტმა კარპოვიჩმა სასიკვდილოდ დასჭრა განათლების მინისტრი ბოგოლეპოვი, რომლის სიკვდილის შემდეგ მინისტრად დაინიშნა გენერალი ვანოვსკი. მან დააბრუნა სალდათად გაგზავნილი სტუდენტები და დათმობის გზას დაადგა. მაგრამ ის დიდხანს არ შერჩენია თავის თანამდებობას და ისევ ყველაფერი ძველებურად დარჩა.

იმავე ხანებში ცნობილ ზუბატოვის გეგმით გადაწყვეტილი იყო რაიმე ზომები ეხმარათ მუშების დასაწყნარებლათ. ზუბატოვმა დააარსა მოსკოვში „მექანიკურ მუშათა ურთი-ერთ დახმარების საზოგადოება“, იცავდა მუშების მოთხოვნილებას ქირის მომატების და მუშა დღის შემცირების მხრივ და იმავე დროს სცდილობდა პოლიტიკურად მიეძინებია ისინი. სარაიონო კრებებზე ზუბატოვის აგენტები მუშები აფანასიევი, კრასივსკი, და სლეპოვი მართავდენ მუშებთან პოლიტიკურ საუბარს: ამხედრებდენ მათ სტუდენტების წინააღმდეგ და უთითებდენ იმაზე, რომ ძველი წესწყობილება მუშათა კლასის ინტერისებს იცავსო. პოლიციის მიერ მუშების ეკონომიურ მოთხოვნილებათა დაცვამ მეფაბრიკეების უკმაყოფილება გამოიწვია და იმათ შესჩივლეს ფინანსთა მინისტრს ვიტტეს. და მაშინ, როდესაც ზუბატოვის გავლენის ქვეშ მყოფმა მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს გუჟონის ქარხანაში და პროხოროვის ფაბრიკაში, მეფაბრიკეების საჩივარმაც იმოქმედა. პოლიცია ჩამოშორდა გაფიცულთ, კრებებზე ზუბატოვის აგენტებმა დაიწყეს მტკიცება მეფაბრიკეებისა და მუშების ერთობის საჭიროებაზე და მუშებს გული აუცრუვდათ „ურთი-ერთ დახმარების საზოგადოებაზე“. 1903 წელს „ზუბატოშჩინა“ სრულის დამარცხებით გათავდა მის ხელმძღვანელებისათვის და მას მხოლოდ ის შედეგი მოყვა, რომ მუშებმა უფრო შეგნებულად დაუწყეს ყურება თავის ინტერესებს. მეორე მხრივ ზუბატოვშჩინამ მთავრობისადმი უკმაყოფილება გამოიწვია მეფაბრიკეების შორისაც. ასე ცუდათ დამთავრდა ქ. ოდესაშიც შაევიჩის მოღვაწეობა, რომელიც გაფიცვების საშუალებით სცდილობდა ჩამოეშორებია მუშები პოლიტიკურ მოძრაობაზე. 1904 წელს მღვდელმა გაპონმა იმავე საფუძველზე ქ. პეტერბურგში დააარსა „მუშათა ურთი-ერთ დამხმარე საზოგადოება“, მაგრამ არც ეს საქმე დაბოლავდა ისე, როგორც ეს მის ხელმძღვანელებს სურდათ. სწორეთ ამ საზოგადოების საქმე იყო ის, რომ 1905 წლის 9 იანვარს მუშები პეტიციით ხელში გაემართენ საზამთრო სასახლისაკენ.

როდესაც ზუბატოვშჩინა არ გამოდგა, 1903 წელს, ვიტტეს წანადადებით გამოცემულ იქმნა ორი კანონი—მუშებს ნება მიეცათ უხუცესების (староста) კანდიდატების ამორჩევის, მეფაბრიკეების და მუშების შუა მომხდარ კონფლიკტების მშვიდობიანის გზით გადასაწყვეტად და მეორე—კანონი მუშების დაზღვევის შესახებ. მაგრამ პირველი კანონი თითქმის არსად არ შესულა ხმარებაში. რაც შეეხება მეორე კანონს, ვერც ამან გააუმჯობესა მუშათა მდგომარეობა: ერთი რომ, თუ მუშას მისი უხეშ მოურიდებლობით ეწვეოდა უბედურება—მას არც პენსიას და არც არავითარ საჩუქარს არ უნიშნავდენ,

მეორე—საჩუქარი და პენსია თავის თავად ძლიერ უმნიშვნელო იყო, მესამე—დაშავებულები არ იყვნენ უზრუნველ-ყოფილნი კიდევ იმისთვის, რომ ყოველი ფაბრიკანტი თვითონ უსწორდებოდა მუშას. პასუხისგება პირადი იყო და თუ რომელიმე ქარხანა იხურებოდა, მისი მუშები უპენსიოთ რჩებოდენ.

V

1905—1907 წლების რევოლიუცია.

ჩვენ უკვე ვიცით, თუ რა ღრმა წინააღმდეგობანი სუფევდენ რუსეთში მიმდინარე საუკუნის პირველ წლებში. ერთის მხრივ მეურნეობის ახალი პირობები და საზოგადოებრივ ცხოვრების განვითარება,—მეორეს მხრივ ძველი, დამყაყებული სახელმწიფოებრივი წესწყობილება. ამ წინააღმდეგობას მეტისმეტად მწვავედ გრძნობდენ საზოგადოების სხვა და სხვა კლასები და, ყველა, გარდა ჩამორჩენილ მებატონე თავად-აზნაურებისა, თანდათან ირკვეოდენ იმაში, რომ სერიოზული რეფორმები აუცილებელია. გრძნობდა ამას 1903 წელს სიპიაგინის მოკვლის შემდეგ დანიშნული შინაგან საქმეთა მინისტრი პლე

ტყის საჭრელად და მისი მდინარე იალუზე (მანჯურიისა და კორეის სამზღვარზე) გასაზიდავად. იაპონიას კორეია სჭირდებოდა, ერთი — თავის ზედმეტ მცხოვრებთა გადასასახლებლად და მეორეც თავის კაპიტალისათვის ბაზრის მოსაპოვებლად. ამისათვის ის მოითხოვდა, რომ კორეაში მას არავინ შესცილებოდა. პლევე მეტად დაბლა აყენებდა იაპონიის სამხედრო ძალას და ფიქრობდა, რომ „პატარა ომი“ შინაურ საქმეების მაგიერ თვითონ მიიქცევს ხალხის ყურადღებასო. მაგრამ ომი სერიოზული და რუსეთისათვის არა-ხელსაყრელი გამოდგა: იმ თავითვე პორტ-არტურში საშინლად დამარცხდა ფლოტი, შემდეგ რუსების ჯარი დამარცხდენ მდინარე იალუზე, პორტ-არტური ალყაშემორტყმული დარჩა და დიდი ხნის წინააღმდეგობის შემდეგ მტერს ჩაბარდა. რუსეთის ჯარები დამარცხდენ აგრეთვე ვაფანგოუსთან, ლაოიანთან და მუკდენთან; ფლოტი როჟდენსტვენსკის ამირბარობის ქვეშ თითქმის სრულიად განადგურებულ იქმნა ცუსიმასთან. ამასობაში შინაც მოძრაობა მატულობდა: ბრძოლის ველზე დამარცხებამ გააცრუა გარეშე ბაზრების იმედი, ხაზი გაუსვა ღრმა რეფორმების საჭიროებას და გამოამჟღავნა უამრავი ნაკლი და უწესოება, არა თუ სამხედრო და საზღვაო საქმეებში, არამედ სახელმწიფო გამგეობის მთელ სისტემაშიაც. რუსეთი იძულებული შეიქნა იაპონიასთან ზავი ჩამოეგდო და გადაეცა მისთვის პორტ-არტური, კორეია და კუნძულ სახალინის ნახევარი.

იაპონიასთან ზავი 1905 წლის შემოდგომაზე შეიკრა. მაგრამ ჯერ კიდევ 1904 წლის 15 ივლისში საზონოვის მიერ მოკლულ იქმნა პლევე. მის ადგილას დანიშნეს კნ. სვიატოპოლკ-მირსკი და მთავრობა ზოგიერთ რამეში დათმობის გზას დაადგა.

მაშინ იყო, რომ დაიწყო „ბანკეტები“, ე. ი. სადილებისა და ვახშმების გამართვა, რომელზედაც ადგენდენ მიმართვებს და კონსტიტუციას მოითხოვდენ. შესდგა ლიბერალურ ერობების წარმომადგენელთა ყრილობა, რომელიც ამ მოთხოვნილებებს შეუერთდა. სტუდენტები და მუშები აწყობდენ მსვლელობას და დემონსტრაციებს. ბოლოს 1904 წლის 12 დეკემბერს გამოვიდა უქაზი (უმაღლესი ბრძანება), რომელმაც დაადასტურა რეფორმების აუცილებლობა. ამ უქაზის ძალით ცალკე პირებს და საზოგადოებებს უფლება ქონდათ რეფორმების პროექტი უმაღლეს მთავრობისათვის წარედგინათ.

პეტერბურგის ერთი-ერთ დამხმარე საზოგადოებამ, რომელსაც მღ. გაპონი ხელმძღვანელობდა, იგივე შედეგები მოიტანა, რაც ზუბატოვშჩინამ მოსკოვში: მან გაალვივა მუშების თვითშეგნება და გაპონი ძალაუნებურად უნდა დათანხმებულიყო პეტიციის მიცემაზე, რომელშიაც მუშები თავის მდგომარე-

ობის გაუმჯობესებაზე სწერდენ. ამ პეტიციის გადასაცემად 9 იანვარს (1905 წ.) მუშები დაიძრენ საზამთრო სასახლისაკენ, მაგრამ გენ. ტრეპოვის რჩევით მათ ტყვიებით შეხვდენ და გაჰფანტეს.

ამ ამბავმა მთელს რუსეთში მუშების გაფიცვები გამოიწვია და ყველა უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტებმა მეცადინეობას თავი დაანებეს. მუშების მოთხოვნილებათა გამოსარკვევად შესდგა სენატორ შიდლოვსკის კომისია, სადაც მოწვეულ იქმნენ პეტერბურგის მუშების წარმომადგენლებიც. მაგრამ ამ უკანასკნელებმა განაცხადეს, რომ კომისიაში ისინი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებენ მონაწილეობას, თუ მათ უფლება ექნებათ მუშებთან თათბირისა და კრებებისათვის მოხსენებების წარდგენისა. ამაზე მუშებს უარი უთხრეს და შიდლოვსკის კომისია დაიშალა.

4 თებერვალს მოსკოვში კალიაევმა მოჰკლა დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს-ძე. 18 თებერვალს კი დილით გამოვიდა მანიფესტი, რომელშიაც დაბეჯითებით ამბობდენ ძველი წესწყობილების შეურყევლობის შესახებ. მაგრამ იმავე დღეს, საღამოს გამოქვეყნებულ იქმნა ნიკოლოზ მეორის რესქრიპტი ბულიგინის მიმართ, რომელიც 9 იანვრის შემდეგ სვიატოპოლკ-მირსკის მაგიერ დაინიშნა შინაგან საქმეთა მინისტრათ. ამ რესქრიპტში მოხსენებული იყო მთავრობის განზრახვა კანონპროექტის შესამუშავებლად ამორჩეულ წარმომადგენელთა მოწვევის შესახებ. ბულიგინის თავმჯდომარეობით შესდგა კომისია საარჩევნო კანონის შესამუშავებლათ. კომისიის წინადადებით უნდა მოწვეულიყო „სახელმწიფო სათათბირო“, რომელიც მოკლებული იქნებოდა ყოველგვარ კანონმდებლობითი უფლებებს. არჩევნები უნდა მომხდარიყო წოდებრივ კურიებით, ე. ი. ცალ-ცალკე—მემამულეების (უმეტეს ნაწილად თავად-აზნაურობის), მოქალაქეთა და გლეხების მიერ. არჩევნები მრავალ-ხარისხოვანი უნდა ყოფილიყო: ასე, მემამულეებს და ქალაქის მცხოვრებთ უნდა ამოერჩიათ ჯერ ამრჩევლები და ამ უკანასკნელებს—სათათბიროს წევრები; გლეხებს უნდა ამოერჩიათ ყოველ ათეულ მოსახლეზედ ერთი, ამათ—რწმუნებულები, რწმუნებულებს—ამომრჩევლები და მხოლოდ ამ უკანასკნელთ სათათბიროს წევრები. ბულიგინის სათათბიროში უნდა გაბატონებულიყვნენ თავად-აზნაურობა და მსხვილი ბურჟუაზია—მით უმეტეს, რომ მსხვილი მემამულეები თავის ამრჩევლებს საშუალო და წვრილ მემამულეების ცალკე ირჩევდენ.

ამ პროექტმა ვერ დააკმაყოფილა ძველი წესწყობილებით უკმაყოფილონი. მაგრამ ლიბერალები და განთავისუფლების კავშირი მზად იყვენ მონაწილეო-

ბა მიელოთ ბულიგინის სათათბიროს არჩევნებში. შემოდგომაზე, მთავრობამ, სტუდენტების გაფიცვების შესაწყვეტად უმაღლეს სასწავლებლებს ავტონომია მიანიჭა. მაშინ სტუდენტობამ მისი კარები გააღო სახალხო კრებებისათვის. აქ, მრავალრიცხოვან კრებებზე არჩევდენ პოლიტიკურ კითხვებს; ბულიგინის სათათბიროს სასტიკად უყურებდენ. ბოლოს 1905 წლის ოქტომბერში საზოგადო უკმაყოფილება გამოიხატა სრულიად რუსეთის საერთო გაფიცვაში. ამ საქმეში ბევრ ადგილას, განსაკუთრებით კი პეტერბურგში, ხელმძღვანელი როლი ეკუთვნოდა მუშათა დეპუტატების საბჭოებს.

1905 წელს, 17 ოქტომბერს გამოქვეყნდა მანიფესტი, რომელიც ყველა მოქალაქეობრივ თავისუფლებებს და სახელმწიფო სათათბიროში არჩევნების კანონის გადაშინჯვას იპირებოდა. სათათბიროს ენიჭებოდა კანონმდებლობითი უფლება, ასე რომ, ვერც ერთი კანონი ვერ შევიდოდა ძალაში, თუ მას სათათბიროს დასტური არ ექნებოდა. გრაფ ვიტტეს თავმჯდომარეობის ქვეშ დაარსდა მინისტრების საბჭო. შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნულ იქმნა ძველი რეჟიმის ბურჯი—დურნოვო.

1905 წლის ოქტომბერი და ნოემბერი იყვენ „დღეები თავისუფლებისა“, როდესაც სრულიად თავისუფლად, უცენზუროთ გამოდიოდენ წიგნები, გაზეთები, ჟურნალები და ბროშიურები, იწყობოდა ვეებერთელა და მუდმივი პოლიტიკური კრებები და ღვივდებოდა მუშების და გლეხების მოძრაობა. მაგრამ ამავე დროს ხდებოდა „პოგრომებიც“, რომელსაც ძველი რეჟიმის მომხრე და დამცველი „რუსი ხალხის კავშირი“ აწყობდა.

დეკემბერში მოსკოვში, ბალტიის ზღვის მხარეში, სამხრეთ რუსეთში, კავკასიაში და ციმბირში მოხდა აჯანყება. ეს აჯანყება სამხედრო ძალით იქნა ჩაქრობილი 1905 წლის დეკემბრისა და 1906 წლის იანვრის განმავლობაში.

1905 წლის დეკემბერში გამოქვეყნდა ახალი საარჩევნო კანონი, რომლის მთავარი დებულებანი ასეთი იყო: 1) სრულიად არ სარგებლობდენ საარჩევნო უფლებებით ქალები, მოსწავლე ახალგაზრდობა, სამხედრო პირები, სასამართლოს მიერ უფლება ახდილი პირები და ყველა მამაკაცები, რომელთაც 25 წელი არ ქონდათ შესრულებული; 2) ყველა სხვა მამაკაცებს არჩევნების უფლება ენიჭებოდათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერთის წლის განმავლობაში არჩევნებამდე ისინი რაიმე ცენზის პატრონი იყვნენ—ჰქონდათ მიწა, სახლები, ან სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებანი, ჰქონდათ საცხოვრებელი ბინა, იხთიდენ სამრეწველო გადასახადს, ღებულობდენ ჯამაგირს სახელმწიფო, საერობო, ან საქალაქო სამსახურში; გლეხები უსათუოდ მიწერი-

ლი უნდა ყოფილიყვენ სასოფლო საზოგადოებაზე. რაც შეეხება მუშებს, არჩევნებში მონაწილეობას იღებდენ მხოლოდ ისინი, რომლებიც უდგენ წარმოებას, სადაც მუშაობდა არა ნაკლებ 50 მუშისა, და მუშების რწმუნებულად მხოლოდ იმის ამორჩევა შეიძლებოდა, ვინც აღნიშნულ ადგილზედ მუშაობდა არა ნაკლებ 6 თვისა. 3) ამომრჩევლები დაყოფილი იყვენ „კურიებათ" (განსაკუთრებულ ჯგუფებათ): ქალაქის ამომრჩევლები, საშუალო და მსხვილი მემამულეები, წვრილი მემამულეები, გლეხები და მუშები; 4) არჩევნები იყო ორ, სამ და ოთხ სართულიანიც: ქალაქის ამომრჩევლები, მსხვილი და საშუალო მემამულეები ირჩევდენ ამომრჩევლებს, წვრილი მემამულეები და მუშები—ჯერ რწმუნებულებს, რწმუნებულები კი—ამომრჩევლებს, გლეხები ირჩევდენ ზეთეულ კომლზე ერთ კაცს, ისინი რწმუნებულებს, რწმუნებულები კი ამომრჩევლებს,—და მხოლოდ სხვა და სხვა კურიების ამომრჩევლები ირჩევდენ სახელმწიფო სათათბიროს წევრებს; 5) სათათბიროს წევრებს გლეხების მხრივ ირჩევდენ მხოლოდ გლეხი ამომრჩევლები—თითო-თითოს ევროპის რუსეთის 51 გუბერნიიდან. განსაკუთრებით, მარტო ქალაქის ამომრჩევლები ირჩევდენ სათათბიროს წევრებს 26 მსხვილ ქალაქებიდან: 6 წევრს პეტერბურგიდან, 4—მოსკოვიდან და თითოს დანარჩენ 24 ქალაქიდან; სათათბიროს დანარჩენი წევრების არჩევნები ხთებოდა ყოველ გუბერნიის ყველა კურიების ამომრჩევლების საერთო კრების მიერ; 8 გუბერნიას სრულიად არა ყავდა მუშა ამომრჩევლები; 6) სათათბირო ირჩეოდა 5 წლის ვადით.

ეს საარჩევნო კანონი, რასაკვირველია, უფრო ვრცელი იყო ბულიგინის კომისიის მიერ შედგენილ კანონზე, მაგრამ მსხვილი, საშუალო და წვრილი მემამულეები აქაც უაღრეს როლს თამაშობდენ; ზოგიერთ რამეში მნიშვნელობა ქონდათ აგრეთვე ქალაქის ბურჟუაზიას და გლეხობას; სრულიად უმნიშვნელო იყო მხოლოდ მუშების საარჩევნო უფლება.

ძველი რეჟიმის მომხრეებს, როგორც ეტყობა, იმედი ჰქონდათ ამ საარჩევნო კანონით უზრუნველ-ეყოთ სახელმწიფო სათათბიროში თავისი უმრავლესობა. ასე უყურებდენ ამ კანონს მათი შეურიგებელი მოწინააღმდეგენიც—სოციალ-დემოკრატები და სოციალისტ-რევოლიუციონერები. ამასთანავე ისინი ფიქრობდენ, რომ შესაძლებელი იყო კიდევ პირდაპირ ხალხის მოძრაობის გაგრძელება. ამისათვის სოციალ-დემოკრატების და სოციალისტ-რევოლიუციონერების უმრავლესობამ მონაწილეობა არ მიიღეს პირველ სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში. ამას შედეგად მოყვა ის, რომ სათათბიროში უმრავლესობა მიიღეს „კონსტიტუციონალურმა დემოკრატებმა", ან „ხალხის თავისუფლების

პარტიამ“ (თავისუფალ ენაზე მათ უწოდებდენ „კა-დეტებს“). ძალიან ძლიერი გამოდგა აგრეთვე ამათზე უფრო დემოკრატიულად მოაზროვნე ქალაქის წვრილ ბურჟუაზიისა და გლეხების წარმომადგენელი „ტრუდოვიკების“ პარტია. სრულიად უმნიშვნელო გამოდგენ „მემარჯვენენი“ (ძველი რეჟიმის მომხრენი) და „ოქტომბრისტები“—„17 ოქტომბრის კავშირის“ წევრები, რომლებიც გუჩკოვის მეთაურობით შესდგებოდენ ერობის ლიბერალების ყოფილუმცი როსობისაგან.

როდესაც არჩევნების შედეგები ძველი წესწყობილებისათვის არა სასურველი გამოვიდა,—გადასწყვიტეს შეემცირებიათ სათათბიროს უფლებები. გამოიცა „ძირითადი კანონები“. ამ კანონების მიერ შეზღუდულ იქმნა სახელმწიფო სათათბიროს და საბჭოს უფლებები იმ დარგში, რომელიც სახელმწიფო წყობილების საფუძველისა და ბიუდჟეტის გადაშინჯვას შეეხებოდა. მეორე საშუალებას სათათბიროს წინააღმდეგ წარმოადგენდა საფრანგეთისაგან მოზრდილი სესხის აღება: რევოლიუციით შეშინებული საფრანგეთის ბურჟუაზია ამ სახით მიეშველა მეფის თვითმყრობელობას.

ამის შემდეგ, 1906 წლის 20 თებერვალს განახლებულ იქმნა აგრეთვე სახელმწიფო საბჭო. თავის ნახევარში ის უნდა შემდგარიყო იმპერატორის მიერ დანიშნულ წევრებიდან, მეორე ნახევარში კი არჩეულებიდან: მართმადიდებელ სამღვდელოებისაგან (6 კაცი), საგუბერნიო ერობათაგან (1 კაცი გუბერნიაზე), თავად-აზნაურთა საზოგადოებისაგან (18 კაცი), აკადემიისა და უნივერსიტეტებისაგან (6 კაცი), ბოლოს ვაჭართა და მრეწველთა ორგანიზაციებისაგან, საბაჟო კომიტეტებიდან და სხვა (12 კაცი). საბჭოს წევრები ირჩევიან 9 წლის ვადით, ყოველი 3 წლის შემდეგ მესამედი რიცხვი რიგისამებრ გამოდის საბჭოს შემადგენლობიდან. საბჭოს წევრები არ უნდა იყვენ 40 წელზედ უმცროსი და საშუალო განათლება მაინც უნდა ჰქონდეთ მიღებული. დანიშნული ზევიდან საბჭოს წევრები ყოველ წლიურათ ინიშნებიან საბჭოს სხდომებზე მონაწილეობის მისაღებად, ისე როგორც საბჭოს თავმჯდომარე და მისი ამხანაგი; საბჭო აღჭურვილია სახელწიფო სათათბიროს უფლებებით, რითაც უზრუნველ-ყოფილია გაბატონებულ კლასების უპირატესობა, ვინაიდან სახელმწიფო საბჭოს უმრავლესობა შესდგება ბიუროკრატიის, მსხვილი თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის წარმომადგენლებისაგან.

ბოლოს, სწორეთ სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის წინ, გრაფ ვიტტეს სამინისტრო გადაყენებულ იქმნა და თავჯდომარედ დაინიშნა გორემიკინი, შინაგან საქმეთა მინისტრათ სტოლიპინი

გორემიკინის სამინისტრომ სათათბიროში განსახილავად არ შეიტანა არც

ერთი კანონ-პროექტი, რომელიც საზოგადოებრივ ცხოვრების ძირითად კითხვებს შეეხებოდა. მაშინ სათათბიროომ თვითვე დაიწყო ასეთი კანონ-პროექტების შემუშავება—უმეტეს ნაწილად ბეჭდვითი სიტყვის შესახებ, კავშირებზე, კრებებზე და განსაკუთრებით კი აგრარულ რეფორმების შესახებ. სათათბიროს უმრავლესობა კადეტური იყო და აგრარულ საკითხის გადაჭრასაც კადეტური სახე მიეცა: 1) მიწები გლეხებს სამომხმარებლო ნორმის მიხედვით, ე. ი. იმდენი, რამდენიც საჭიროა, რომ ოჯახმა თავისი პურით იცხოვროს; 2) დასარიგებელი მიწა უნდა ჩამოეჭრას სახელმწიფო და საუფლისწულო მამულებს, ნაწილობრივად კი კერძო მესაკუთრეებს „სამართლიან“ ფასებში (ცოტა უფრო დაკლებულ ფასებში, ვიდრე ბაზარზე); ამასთანავე ფიქრად ქონდათ, რომ მთელი გამოსასყიდი თანხა დახარჯული იქნებოდა ხაზინის მიერ; 3) ასეთ ნაირათ დანაწილებული მიწები უნდა შეადგენდენ სახელმწიფო ფონდს, ე. ი. გლეხები ამ მიწებით სარგებლობენ, მაგრამ მიწები შეადგენენ სახელმწიფოს და არა გლეხების საკუთრებას. ეს პროექტი ზედ-მიწევნით მოფიქრებულია კულტურულ სოფლის მეურნე კაპიტალისტის სასარგებლოდ: ასეთ მეურნეს ესაჭიროება კარგი, მუდმივი და ზომიერი თავის მოთხოვნილებებში სოფლის მუშა, რომელსაც საკუთარი მიწის ნაჭერი შეძლებას არ აძლევს ქალაქში გავიდეს სამუშაოთ; ამისთვის საკმარისია მიწის „სამომხმარებლო“ ნაჭერი. მაგრამ მარტო პურით ხომ ვერ იცხოვრებს კაცი, სხვა საჭმელიც საჭიროა—და ჯერ მარტო საჭმელი—არის სხვა მოთხოვნილებებიც; მუშა კი ვერ წავა გარე სამუშაოდ: ებრალება თავისი მიწა-წყალი; რაღა დარჩა, უნდა მეზობელ მამულს მიმართოს და იქ იმუშაოს! ძალდატანებით მიწა უნდა ჩამორთმეოდა ისეთ მემამულეებს, რომლებიც ბატონ-ყმურ მეურნეობას ეწეოდენ. ეს გარემოება კულტურულ სოფლის მეურნეს ჩამოაშორებდა მეტოქეს, რომელიც ამასთანავე „სამართლიან“ ფასს მიიღებდა თავის მიწაში. მომავალში კი კულტურულ მეურნეებს არ სურთ ძალდატანებითი მიწის ჩამორთმევა: მიწის სახელმწიფო ფონდმა უნდა დააზღვევოს ისინი ამ უბედურებისაგან, ვინაიდან შემდეგში გლეხებს მხოლოდ ამ ფონდიდან მიეჭრება მიწები.

ტრუდოვიკებს—წვრილ ბურჟუაზიისა და გლეხების წარმომადგენელებს, არ შეეძლოთ გაეზიარებიათ ასეთი აზრი და 1906 წელს შეიტანეს სათათბიროში თავისი საკუთარი პროექტი, რომელიც კადეტურისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ ისინი მიწას „საშრომო ნორმით“ თხოულობდენ, ე. ი. იმდენს, რამდენიც საჭირო იქნებოდა, რომ მის დასამუშავებლად გლეხს მთელი თავისი ოჯახის სამუშაო ძალა დაეხარჯა.

კიდევ უფრო არ ეთანხმებოდა კადეტების პროგრამას მსხვილი სოფლის მეურნეების უმრავლესობა: იმათ ინტერესებში არ შედიოდა „ძალდატანებითი“ მიწის ჩამორთმევა... ამის გამო გორემიკინის მთავრობამ გამოაქვეყნა განსაკუთრებული „უწყება“, რომელშიაც აღნიშნავდა, რომ სათათბიროს მიერ წარმოდგენილი აგრარული რეფორმა შეუძლებელიაო. მაშინ კადეტებმა და მათმა თანამოაზრეებმა დაადგინეს გამოექვეყნებიათ თავის მხრივ „განმარტება“, სადაც ახსნილი იყო იმათი შეხედულება საქმის ვითარებაზე და ხალხს მოუწოდებდენ მშვიდობიანობა დაეცვათ სათათბიროს მუშაობის შედეგების გამოქვეყნებამდე. მაგრამ ეს განმარტება გამოუქვეყნებელი დარჩა: 1906 წლის 9 ივლისში სათათბირო დაითხოვეს, 1907 წლის 20 თებერვლისათვის დაინიშნა ახალი სათათბიროს არჩევნები. მაშინ იყო, რომ პირველი სათათბიროს 180 დეპუტატი შეიკრიბა ქ. ვიბორგში და ხალხისადმი მოწოდება გამოუშვა: „არ მისცეს არც ერთი კაპეიკი ხაზინას, არც ერთი ჯარის კაცი სახელმწიფოს, სანამ ახალი სათათბირო არ შეიკრიბება“. ამ მოწოდებას გასავალი არ მიეცა. საერთოდ გაფიცვა, რომელიც ეს-ეს იყო დაიწყო სათათბიროს დათხოვნის წინააღმდეგ, ჩაფლავდა; სვეაბორგის, რეველის და კრონშტადის აჯანყებები ჩააქრეს.

პირველი სათათბირო დაითხოვეს მაშინ, როც სამინისტრო საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნულ იქმნა გორემიკინის მაგიერ სტოლიპინი.

ძირითადი კანონები შეიცავდენ 87 მუხლს. მათში გატარებული იყო აზრი, რომ, იმ დროის განმავლობაში, როდესაც სათათბიროს სხდომები შეწყვეტილია მთავრობას აუცილებელ შემთხვევებში უფლება აქვს გამოსცეს „უქაზები“, რომლებიც სათათბიროს გახსნის შემდეგ ორი თვის განმავლობაში უნდა შეტანილ იქმნენ მის მიერ დასამტკიცებლად. ამ დებულების საფუძველზე 1906 წლის 9 ნოემბერს გამოიცა განკარგულება აგრარულ საკითხის შესახებ, რომელშიაც ძალიან შეცვლილი იყო ძველი აგრარული პოლიტიკა.

9 ნოემბრის განკარგულება მიმართულია გლეხთა სამიწად-მფლობელო თემების მოსპობაზე და მისი მიწების პირად მფლობელობით შეცვლისაკენ, რადგანაც თემში დაინახეს მათ ის დაბრკოლება, რომელიც გლეხს უშლის საკუთრებისადმი გრძნობა და სიყვარული გაიღვივოს გულში. ყოველ ოჯახის პატრონ გლეხს ნება ეძლევა გამოეყოს თემს, ამასთანავე, გადაყოფის დროს თემი ვალდებულია მისცეს მას ერთიანი ნაჭერი (съ устраненіемъ черезполосицы). იმ შემთხვევაში თუ მიწების გადაყოფა არ სწარმოებს,—ჩამონაჭერის გამოყოფა სავალდებულოა თემის ერთი მეხუთედის მოთხოვნილებით, და „როცა ეს გამოყოფა არ არის დამოკიდებული განსაკუთრებულ დაბრკოლებებზე“,

მაშინ ერთი ოჯახის განცხადებაც საკმარისია. ასეთ დაბრკოლებების შესახებ მსჯელობას აწარმოებენ მთავრობის კომისიები, რომელნიც მუდამ მზად არიან ხელი შეუწყონ თემიდან გამოყოფას.

მთავრობის აგრარული ზომები 1906 წელს ამით არ განისაზღვრებოდენ. გარდა ამისა, გლეხთა ბანკის განკარგულებაში გადაცემულ იქმნა 8 მილიონი დესეტინა სახელმწიფო და 2 მილიონი დესეტინა საუფლისწულო მიწებისა ბანკის ფასებში, გლეხებისათვის მისასყიდათ. ფართო განვითარება მიიღო აგრეთვე ციმბირში გადასახლებამ. გადასახლებულთა რიცხვი 1907 წელს 427 ათასამდე ავიდა. 1905 წელს გააუქმეს თავის დასახსნელი ხარკი: 1906 წელს იხდიდენ ამის ნახევარს და 1907 წელს ეს გადასახადი სრულიად მოისპო. ამ გარემოებამ ერთი ორად შეამცირა გლეხების პირდაპირი გადასახადი. გლეხების მღელვარების გამო 1905 წელს მიწაზედ იჯარის ფასები 35%-ით დაეცა. ყველაფერი ეს მართლაც თვალსაჩინოდ აწყნარებდა გლეხებს. მუშებმა 1905—1906 წ. 25—30%-ით სამუშაო ჭირის გადიდებას მიაღწიეს, რამაც ნაწილობრივად დააშოშმინა მუშათა მასსები: ამის გამო 1907 წელს მუშათა და გლეხთა მოძრაობა ძლიერ შესუსტდა. ასე მაგ., 1905 წელს გაფიცულ მუშათა რიცხვი უდრიდა 2 მილიონ 800 ათასს, 1907 წელს კი მხოლოდ 740 ათასს, ე. ი. ოთხჯერ ნაკლებს.

ამნაირად, მეორე სათათბირო შეიკრიბა მაშინ, როცა საზოგადოებრივი სიწყნარე რუსეთში შეუდარებლად უფრო ღრმა იყო, ვიდრე პირველ სათათბიროს შეკრების დროს. მთავრობამ შეიტანა სათათბიროში რამდენიმე კანონ-პროექტი—9 ნოემბრის უქაზი. სათათბიროში ყველაზე უფრო ძლიერი, თუმცა ისე არა, როგორც პირველში, ეხლაც კადეტების პარტია იყო. მან მიზნათ დაისახა „სათათბიროს შენარჩუნება“ და შეთანხმება მთავრობასთან და იმ საზოგადებრივ ჯგუფებთან, რომელზედაც მთავრობა ეყრდნობოდა. ესენი იყვნენ პირველ ყოვლისა მსხვილი მიწად-მფლობელი თავად-აზნაურობა, რომლებიც თავის წარმომადგენლების საშუალებით აწყობდენ გავლენიან ორგანიზაციებს. მაგრამ ძირითად კითხვებში შეთანხმება სრულიად შეუძლებელი იყო: 9 ნოემბრის უქაზს მხედველობაში ჰქონდა „ძვალ-მაგარი“ და შეძლებული გლეხობის შექმნა, რომელთაც საკმარისი მიწა-წყალი უნდა ჰქონოდათ; მეორეს მხრივ მისი მიზანი იყო—ხელი შეეწყო ძველ მემამულეებისათვის, რომ მათ თავისი მიწების ნაწილი ხელსაყრელ ფასებში გაეყიდათ და დანარჩენ ნაწილში კი მეურნეობა კაპიტალისტურ ნიადაგზედ დაეყენებიათ. ეს იყო აგრარულ რეფორმების ის გზა, რომელიც ყველაზედ უფრო ხელსაყრელი იყო ჩამორჩენილ

სოფლის შეურნეებისათვის და ყველარზედ უფრო ეთანხმებოდა იმათ ინტერესებს. ამათ არ შეეძლოთ კადეტური წინადადების მიღება, მიუხედავათ იმისა რომ კადეტები კარგა მორბილდენ მეორე სათათბიროში. ისინი ეხლა თანახმა იყვნენ, რომ ხაზინას მიწის გამოსასყიდი თანხების მხოლოდ ნახევარი აენაზღაურებია, მეორე ნახევარი კი — ისევ გლეხებს. მაგრამ მეორეს მხრივ სოციალ-დემოკრატები და სოციალისტ-რევოლიუციონერები, რომლებიც მეორე სათათბიროში ბლომათ გავიდნენ, მიზნათ ისახავდენ, რომ თავისი გამოსვლებით გაელვიძებიათ მუშებში და გლეხებში თავისი ინტერესების შეგნება, რაიც შეერთებულ თავად-აზნაურობას შეუწყნარებელ ცოდვად მიაჩნდა. ამისათვის თავად-აზნაურობამ მიაღწია იმას, რომ მეორე სათათბირო განდევნილ იქმნა და, ძირითად კანონების წინააღმდეგ, სათათბიროსა და საბჭოს ნება-დაურთველად, გამოცემულ იქმნა 1907 წლის ზესამე ივნისის ახალი საარჩევნო კანონი. სათათბიროს განდევნის საბაბი იყო ის, რომ მან უარი განაცხადა დაუყონებლივ, კომისიაში განხილვის გარეშე, გაეცა საციალ-დემოკრატების დეპუტატები, რომელთაც სრულიად უსაფუძვლოდ დააბრალეს პეტერბურგში სამხედრო აჯანყების მოხდენის განძრახვა. სათათბიროს განდევნის შემდეგ ესენი შეიპყრეს და გაგზავნილ იქმნენ კატორღაში და ცივ ქვეყნებში.

ახალმა საარჩევნო კანონმა მეტად დიდი უპირატესობა მისცა მსხვილ მიწად-მფლობელობას და მდიდარ ბურჟუაზიას. ეს მიღწეულ იქმნა მსხვილ მემამულეებისა და მდიდარ ქალაქის მცხოვრებთა ამომრჩევლების რიცხვის გამრავლებით. ასე მაგ. 28 გუბერნიაში მემამულეების ამომრჩევლების რიცხვმა გადააჭარბა ამომრჩევლების რიცხვს ყველა სხვა გუბერნიებიდან ერთად აღებულს, და ყველა გუბერნიებში მემამულეებისაგან და ქალაქის მდიდრებისაგან ამომრჩევლები უფრო მრავალ-რიცხოვანი იყვენ, ვიდრე ყველა სხვა კურიების ამომრჩევლები ერთად. რადგანაც დაწესებული იყო, რომ ამომრჩეველთა მთელი საგუბერნიო კრება ირჩევს სათათბიროს წევრებს ცალკე კურიებიდან: ე. ი. მემამულეთაგან, ქალაქის მცხოვრებთაგან, გლეხებისა და მუშებისაგან, ამიტომ მემამულეებს და ქალაქის მდიდრებს საშუალება მიეცათ ამოერჩიათ სათათბიროს წევრად ისეთი პირი და იმ კურიიდან, საიდან და როგორიც თვითონ სურდათ. ამასთანავე მუშებს შეეძლოთ 6 გუბერნიიდან — პეტერბურგის, მოსკოვის, ვლადიმირის, კოსტრომის, ხარკოვის და ეკატერინოსლავის — ყოლოდათ და ამოერჩიათ თითო წარმომადგენელი გუბერნიაზე. გარდა კურიებიდან ამორჩეულ წევრებისა, ევროპის 53 გუბერნიაში ირჩეოდა აგრეთვე ყოველ გუბერნიაში თითო დეპუტატი არა კურიალურად, არამედ ისე, როგორც

ყველა ამომრჩევლები გადაწყვეტდენ ამას. რა გასაკვირველია, რომ ნამდვლად ეს არჩევნები სრულიად დამოკიდებული იყო თითქმის მარტო მემამულეებზე და ქალაქის მდიდრებზე. ქალაქებიდან განსაკუთრებული წარმომადგენლობა შეინარჩუნეს მხოლოდ შვიდმა: პეტერბურგმა, მოსკოვმა, კიევმა, ოდესამ, რიგამ, ვარშავამ და ლოძიმ. ვარშავაში და ლოძში დარჩა ძველი ორ ხარისხოვანი არჩევნები, სხვა ქალაქებში კი შემოღებულ იქმნა პირდაპირი არჩევნები. ვარშავს უნდა აერჩია ორი წევრი სათათბიროისა, მაგრამ ერთი იმათგანი უნდა ყოფილიყო რუსების წარმომადგენელი; ლოძი ირჩევდა ერთს, პეტერბურგი—6, მოსკოვი—4, დანარჩენი სამი ქალაქი—სამ-სამს. მაგრამ პეტერბურგში, მოსკოვში, კიევში, ოდესაში და რიგაში ქალაქის დეპუტატების ნახევარს ირჩევდა მსხვილი ბურჟუაზია და მხოლოდ მეორე ნახევარს ქალაქის ყველა სხვა ამომრჩევლები. ბოლოს ზოგიერთი სანაპირო მხარეები (საშუალო აზია, იაქუთის მხარე და სხვა) სრულიად მოკლებული იყვნენ საარჩევნო უფლებებს. სხვა სანაპიროებში ძლიერ შემცირებული იყო წარმომადგენლების რიცხვი: პოლონეთიდან 37 მაგიერ უნდა ამოერჩიათ მხოლოდ 14 სათათბიროს წევრი (ამ რიცხვში 2 ვარშავიდან და ერთი ლოძიდან), კავკასიაში 29 მაგიერ—10, ციმბირიდან კი მხოლოდ—15.

მესამე ივნისის კანონის გამოცემით და მესამე სათათბიროში არჩევნებით დამთავრდა 1905—1907 წლების რევოლიუცია. მესამე სათათბიროში, რომელიც შეიკრიბა 1907 წლის ნოემბერში, უმრავლესობას შეადგენდენ „ოქტომბრისტები“, ზომიერი მემარჯვენენი, ან და ნაციონალისტები. მთავრობამ მიიღო საიმედო უმრავლესობა და ეხლა შეეძლო დაუბრკოლებლად განეხორციელებია ის კანონპროექტი, რომლებიც აუცილებლად მიაჩნდა. ძლიერ შემცირდა რიცხვი ოპოზიციის დეპუტატებისა—ლიბერალურ-ბურჟუაზიული (კადეტები, პროგრესისტები) და განსაკუთრებით დემოკრატიული—სოციალ-დემოკრატები და ტრუდოვიკები. სოციალისტ-რევოლიუციონერებს ბოიკოტი ჰქონდათ გამოცხადებული მესამე სათათბიროსათვის და შემდეგ მეოთხისათვისაც. მეოთხე სათათბიროს შემადგენლობა (1912 წელი) დიდათ არ შეცვლილა მესამესთან შედარებით: რამოდენიმედ გაძლიერდენ ოქტომბრისტების ნაცვლად კადეტები და განსაკუთრებით პროგრესისტები, რომლებსაც საშუალო ადგილი ეჭირათ ამ ორ პარტიის შორის. იმათ წრეში შედიოდა მსხვილი ბურჟუაზიის უფრო კულტურული ნაწილი, რომელიც დაინტერესებული იყო სერიოზული ლიბერალური რეფორმებით.

VI

1905 — 1907 წლების რევოლიუციის შედეგები.

ჩვენ უნდა განვიხილოთ საერთოდ მაინც 1905—1907 წლების რევოლიუციის უახლოესი შედეგები.

და აქ, პირველი, რაც უწინარეს ყოვლისა იქცევს ჩვენს ყურადღებას— არის ის გარდაქმნა, რომელიც ხალხურმა მეურნეობამ განიცადა.

სასოფლო მეურნეობის დარგში ძირითადი საკითხი იმაში მდგომარეობს, მოხდა თუ არა ბატონ-ყმურ-ფეოდალურ მეურნეობის კაპიტალისტურ მეურნეობაში გადასვლა.

ჩვენ ვიცით, რომ ერთს უმნიშვნელეს დაბრკოლებას ასეთის პროცესისთვის შეადგენდა ის, რომ კრიზისის შემდგომ უახლოეს წლებში, ევროპის რუსეთში გლეხები ძალზე ეტანებოდენ მიწების შეძენას, მეორეც იმით, რომ გაძლიერდა გლეხების გადასახლება ციმბირში. 1906—1910 წლებში გლეხებმა შეიძინეს 11 მილიონი დესეტინა მიწა, რომლიდანაც 7 მილ. დესეტინა შავი ნოყიერი მიწა იყო, რომელზედაც განსაკუთრებით განვითარებული იყო ბატონ-ყმურ მეურნეობის წარმოება. ციმბირში, შუა აზიაში და შორეულ აღმოსავლეთში გადასახლებულებმა კი ამავე დროს დაიკავეს ოც მილიონამდე დესეტინა. მაშასადამე, 8 მილიონმა ხელმოკლე გლეხმა შეიძინა 31 მილიონი დესეტინა იმისთვის, რომ თავი დაიკმაყოფილოს. 1914 წელს ეს რიცხვი უკვე 45 დესეტინამდე ავიდა. თუ მოვიგონებთ, რომ 1905—1907 წლების რევოლიუციამდე და თვით რევოლიუციის ხანაშიაც გლეხებისათვის განსაზღვრული მიწის რაოდენობა უდრიდა 33—50 მილიონ დესეტინას, უნდა დავსთანხმდეთ, რომ ამ სახით მიწის საკითხი თუ საბოლოოდ არ იქმნა გარდაწყვეტილი, მიუახლოვდა კი მაინც გარდაწყვეტას. ყოველ შემთხვევაში მიწაზედ ხელმოკლეობა იმდენად შემცირდა, რომ საიჯარო შრომა ეხლა უფრო იშვიათი მოვლენა იყო, ვიდრე წინედ.

რომ ბატონ-ყმური წარმოება, თუ მთლად არ მოისპო, ძლიერ შემცირდა მაინც, ამის მაჩვენებელია კიდევ ის, რომ მეურნეობა გაუმჯობესებულ იქმნა კერძო მემამულეებისა და გლეხების მიწებზედ. 1907 წელს დამზადდა რუსეთში და შემოტანილ იქმნა საზღვარგარეთიდან სულ 71 მილიონად ღირებული მიწის დასამუშავებელი მაშინები, 1911 წელს კი—117 მილიონისა, ე. ი. ერთი ორად მეტი. ბოლოს გლეხთა მეურნეობის გაუმჯობესებისათვის დიდმნი-

შვნელოვანია ჩქარი განვითარება და ბრუნვების ზრდა სხვა და სხვა საგლეხო ამხანაგობებისა (კოოპერაცია), და შემნახველ-დამხმარე საზოგადოებანი — მომხმარებელი და სასოფლო-სამეურნეო (ერბო-კარაქის მკეთებელი და სხვა). 1902 წელს რუსეთში იყო სულ 587 მომხმარებელი საზოგადოება, 1910 წელს 4255 — ნახევარ მილიონამდე წევრით და 90 მალიონ მანეთის წლიურის ბრუნვით. 1912 წლის პირველ იანვრისათვის მომხმარებელ საზოგადოებათა რიცხვი უდრიდა 6730. ამათ ყავდათ ერთ მილიონზედ მეტი წევრი და ამ საზოგადოებათა 70 % მოქცეული იყო სოფლად. წვრილი კრედიტის სხვა და სხვა დაწესებულებათა რიცხვი, რომლების ბრუნვაც 1912 წლის პირველ იანვრისათვის შეადგენდა 580 მილიონ მანეთს წლიურად, 7 ½ წლის განმავლობაში ერთი ორად გაიზარდა, მონაწილეთა რიცხვი 3½-ჯერ გამრავლდა, თანხები ერთი ხუთად გადიდდა. გლეხების სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათა რიცხვი 1905 წელს უდრიდა 1000, 1913 წლის პირველ იანვრისათვის კი უკვე 4386 უდრიდა. გლეხთა სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობები (ერბოს მკეთებელი, დასამუშავებელ იარაღთა საერთო მოხმარების და სხვა) 1907 წელს თითქოს სრულიად არ იყო, 1913 წლის პირველ იანვრისათვის იმათი რიცხვი 902 უდრიდა და იმავე წლის აგვისტოსათვის — 1150.

რომ ნათელი შეიქნეს, თუ როგორ ახლო იყო, თუ უკვე არ მოვიდა ის დრო, როდესაც რუსეთის სასოფლო მეურნეობა დადგებოდა წმინდა კაპიტალისტურ ნიადაგზედ, ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ კიდევ შემდეგი: 1911 წელს რუსეთმა საზღვარგარეთ გაიტანა 960 მილიონი ფუთი პური, სულ 750 მილიონ მანეთის სალირალი, 1894 წლიდან ვიდრე 1910-დე მსოფლიო ბაზარზედ პურის ფასმა მოიმატა 66 % და, რუსეთის სასოფლო მეურნეობის წარმოებრივი ძალა, რომელიც 1895 წელს შეფასებული იყო 4 მილიარდათ, 1910 წელს 9 მილიარდს უდრიდა.

სასოფლო მეურნეობაში კაპიტალიზმის გაძლიერება შეხამებული იყო ქალაქის კაპიტალიზმის განვითარებასთან: საფაბრიკო მუშათა რიცხვი (თუ 700 ათას სამადნო ქარხნების მუშებს არ ჩავთვლით) 1900 წელს უდრიდა 1 მილიონსა და 618 ათასს, 1912 წელს ეს რიცხვი 2 მილიონამდე და 150 ათასამდე ავიდა, ე. ი. მოემატა 32,8 %. 1899 წელს გადადნობილ იქმნა სულ 162 მილიონი ფუთი თუჯი, 1912 წელს კი — 247 მილიონი, ე. ი. 54,4 %-ით მეტი. განსაკუთრებითი ზრდა დაეტყო მსხვილ ქარხნებს და ფაბრიკებს. ცხრა წლის განმავლობაში საორთქლე ქვაბების რიცხვი 29 %-გაიზარდა: 1900 წელს მათი რიცხვი უდრიდა 24 ათასს, 1909 წელს კი — 31 ათასს.

ყველაფერი ეს ნათელი და გარკვეული ნიშნებია კაპიტალიზმის განვითარებისა. მაგრამ ასეთი განვითარება მოითხოვს სათანადო საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ წყობილებას. რა იყო გაკეთებული ამ დარგში?

განვითარებული კაპიტალისტური საზოგადოება არის საზოგადოება არა წოდებრივი, არამედ კლასობრივი. ჩვენ კი უკვე დავინახეთ, რომ სახელმწიფო სათათბირო და საბჭო ისე იყო მოწყობილი, რომ წოდებრივობა დიდ როლს თამაშობდა და პოლიტიკურ თანასწორობას აქ ადგილი არ ჰქონდა. კიდევ უფრო მოძველებული იყო ამ მხრივ ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოები—ერობები და ქალაქის საბჭოები. სასამართლოების მოწყობაში მესამე სათათბირომ, მართალია, ცვლილება შეიტანა: ერობების უფროსებს წაერთვა გასამართლების უფლება და ის ერობებისაგან ამორჩეულ მოსამართლეებს გადაეცა; მაგრამ მოძველებული ერობა ხელს უშლის ამ საქმის ახალ ნიადაგზედ დაყენებას და მას ისევ რჩება ძველი წოდებრივი ხასიათი.

მიუხედავათ ამისა ცხოვრება დაჟინებით მოითხოვდა ახალ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ფორმებს. შეერთებულ თავად-აზნაურობასთან ერთად, რომელსაც ყავდა წმინდა წოდებრივ ხასიათის საბჭო და რომელიც ჯერ კიდევ დიდ ძალას წარმოადგენდა, 1912 წელს დაარსდა სრულიად რუსეთის სასოფლო-სამეურნეო პალატა, რომელიც აწარმოებდა ყრილობებს, ყავდა საბჭო და გამგეობა. ეს უკვე კლასობრივი ორგანიზაცია იყო, კავშირი სოფლის მეურნე მწარმოებელთა: ვაჭართა და მრეწველთა კლასი შეკავშირდენ სინდიკატებში. საბირჟო კომიტეტებში, ვაჭართა საზოგადოებებში, ჰქონდათ თავისი ყრილობები და ყრილობათა საბჭოები (მაგ. მადნისა და შაქრის მწარმოებელნი). ძალა უნებურად მუშებსაც კი დაუთმეს კანონიერი უფლება გაფიცვებისა და პროფესიონალურ კავშირების მოწყობისა, თუმცა ორივე შემთხვევაში ეს ეგრედ წოდებული „კოალიციის უფლება“ მუდამ ადმინისტრატიულის წესით ქარწყლდებოდა. ცხოვრებამ იძულებული გახადა მთავრობა კიდევ ერთი ნაბიჯი გადაედგა — გამოეცა კანონი მუშების დაზღვევისა და საექიმო დახმარების შესახებ. ამ კანონის ძალით: 1) დაზღვევა სწარმოებდა არა პიროვნების, არამედ კოლექტივისაგან, ე. ი. პენსიას თუ დახმარებას იძლეოდა არა ცალკე მწარმოებელი, არამედ დაწესებულება, რომელშიაც შეერთებული იყო საწარმოვო დაწესებულებათა მთელი რიგი; 2) ამ დაწესებულებებში და საავადმყოფო კასებში, მწარმოებელთა წარმომადგენლების და მთავრობის მოხელეებთან ერთად მონაწილეობა უნდა მიეღოთ აგრეთვე მუშების მიერ ამორჩეულ პირებს, თუმცა ისინი უმნიშვნელო რიცხვს წარმოადგენდენ.

ამ ახალ ურთიერთობათა სუსტი ჩანასახი უეჭველად მოწმობს იმაზედ, რომ მოქალაქეობრივი და პოლიტიკური თანასწორობის საქმე მორიგი და გადაუდებელი საკითხი იყო რუსეთისთვის, რომელიც სულ უფრო და უფრო ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ ქვეყნად ხდებოდა.

1905 — 1907 წლების რევოლიუციამ და ზედ მიყოლილმა წლებმა, რასაკვირველია, გავლენა იქონიეს და თავისი კვალი დააჩნიეს საზოგადოების სულიერ განწყობილებასაც. მასსებში გაძლიერდა ძველი სარწმუნოებისა და სექტების მიმდევრობა, გაძლიერდა მიდრეკილება გარეშე სინამდვილის შეგნებულათ შემეცნებისა, სურვილი თავისი ინტერესების დაცვისა. იმათ შთაბერეს სხვა და სხვა მწერლებს მაგ. გორკისა და შმელაევს დასურათება იმ ღრმა სულიერ ცვლილებათა, რომელიც მოხდა მუშათა კლასში და ხალხიდან გამოსულ ახალ კულტურულ ძალებში. ვრუბელის ძლევა-მოსილი მხატვრული ნიჭი ნათლად გამოთსქვამდა აღმაფრენას ბრძოლისა და გამარჯვებისა და საშინელებას თუმცა იმედში მყოფ დამარცხებისა (განსაკუთრებით მისი **„Демонъ сидящій“, „Демонъ летящій“** და **„Демонъ поверженный“**. ბრძოლის, მოქმედების და შთაბეჭდილებათა სიმდიდრის სურვილი მოსჩანს აგრეთეე კუპრინის, ამ ნამდვილ რეალისტის მოთხრობებში. დროებითი დაცემა, დაკნინება წვრილ-ბურჟუაზიულ ინტელიგენციის პსიხიკისა გამოიხატა ავადმყოფურ თაგვასულობაში, გარყვნილებაში, რომელიც განსაკუთრებით ნათლად გამოხატა არციბაშევმა თავის „სანინ“-ში და „ღვთის მაძიებლობაში“ (**Богоискательство**),—ანდრეი ბელის და ბლოკის რელიგიურ მისტიციზმში.

მაგრამ, როგორც ჩეხოვი იყო უპირველესი, უმჯობესი მხატვარი მე-80 წლების წვრილ-ბურჟუაზიულ ინტელიგენციის მასსებისა, ისე „დიადი შერყევის“ დროსა და შემდგომ წლებში, იმავე საზოგადოების სულიერ მდგომარეობის გამომხატველი მის უმრავლესობაში იყო ლეონიდ ანდრეევი.

საზოგადოებრივ ქარიშხლის მოახლოვებამ ინტელიგენტ-ობივატელის დაჭიმული ნერვები შეარხია: ის ავადმყოფურ მწუხარებას განიცდის, იტანჯება, რადგან გრძნობს თავის სიბრმავეს გარე-შემორტყმულ სინამდვილეში. გრძნობს, რომ ის მონაა სტიქიურ საიდუმლო ძალებისა, მონაა ბნელ ზეგავლენისა და სურვილებისა. სწორედ ეს დაგვიხატა ანდრეევმა 1905 წლამდე დაწერილ მოთხრობებში, როგორიც არიან „კედელი“, „უფსკრული“ და „ნისლში“.

როცა საზოგადოებრივი ქარიშხალი მართლაც დადგა, ეს ავადმყოფური ნერვიანობა გადაიქცა სრულ სულიერ „მოშლად“ („წითელი სიცილი“, „საბა“). ამავე დროს დაიკარგა რწმენაც: „ასე იყო — ასე იქნება“—აი მოთხრობა,

რომლის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ მებრძოლიც მონაა იმის, რის წინააღმდეგაც იბრძვის, რომ ასეთ მონობას შეიძლება თავი დააღწიო მხოლოდ ზნეობრივის წარმატებით. ეს უკვე ბრძოლის უარისყოფაა. შემდეგ კი „ადამიანის ცხოვრებაში“, „შავ ნიღაბებში“, „ანათემაში“, „ოკეანეში“ — გამოიხატა სრული უიმედობა და სასოწარკვეთა: ცხოვრება ქაოსია, ეს შემთხვევის სამეფო არის, სადაც „ბედი“ მეფობს („ვიღაც ლეგა ტანთსაცმელში“, „ვიღაც დამცველი შესავლისა“, „ოკეანე“): თვით ადამიანიც კი — ეს შემთხვევითი თვისებათა შეერთებაა, უშესაბამო და აშლილი („შავი ნიღაბები“, ეს ადამიანთა ცალ-ცალკე თვისებათა განსახიერებანი ველარ სცნობენ ერთი მეორეს).

საგარეო პოლიტიკა და 1917 წლის რევოლიუცია.

ალექსანდრე მე-III და ნიკოლოზ მე-II თვითმყრობელობა თავის არსებობის ბოლო ხანებში საჭიროებდენ ფინანსიურ დახმარებას საზღვარ-გარეთიდან, ვინაიდან ხალხი გაყვლეფილი იყო და მადა-გახსნილ თვითმყრობელობის და იმის დამქაშების მოთხოვნილებას ვერ ადიოდა. თვითმპყრობელობისათვის ამ საქმეში ხელის გამწყობი წინად იყო გერმანიის კაპიტალიზმი, და ამისათვის, საგარეო პოლიტიკაშიც გერმანეთთან კეთილ-განწყობილება სუფევდა. მაგრამ გერმანეთის მიერ ავსტრო-ჰუნგრეთთან კავშირის შეკვრამ, რომელიც რუსეთის მოწინააღმდეგე იყო ბალკანეთში, და შიშმა საფრანგეთის განადგურებისა, რასაც არა ერთხელ 70 და 80 წლებშიაც ცდილა გერმანეთი, რომელსაც ამ შემთხვევაში რუსეთი მოწინააღმდეგედ ყავდა, გამოიწვია ის, რომ რუსეთსა და გერმანეთ შორის მეგობრობა განელდა. იმის შემდეგ კი, რაც ტახტზედ ვილჰელმ მე-II ავიდა და კანცლერი ბისმარკი გადაყენებულ იქმნა, რუსეთ—გერმანიის კავშირი სრულიად გაჰქრა. ამავე დროს გერმანეთის კაპიტალმა ხელსაყრელი ადგილი იპოვა თვით გერმანეთის ძლიერ განვითარებულ საფაბრიკო მრეწველობაში და ახალშენებში.

საფრანგეთს კარგა ხანია ქონდა სურვილი რუსეთთან შეკავშირებისა, რომ ამით თავი დაეცვა გერმანეთიდან და ამ მხრივ უზრუნველ-ყოფილს აფრიკაში ეწარმოებია ახალშენების შეძენა თავის ბურჟუაზიისათვის. ამავე დროს, ამ უმეტეს ნაწილად ფინანსიურ ბურჟუაზიას განზრახვა ქონდა საკრედიტო ოპერაციებით რამეს გამორჩენოდა რუსეთის თვითმყრობელობის ხაზინას. და აი 1888 წლიდან იწყება მთელი რიგი სესხებისა საფრანგეთიდან. ეს იყო პირველი ნაბიჯი პოლიტიკურად შეკავშირებისა.

მეორე ნაბიჯი გადადგმულ იქმნა იმ პოლიციურ დახმარებით, რომელსაც საფრანგეთი უწევდა რუსეთის თვითმყრობელობას; 1890 წელს საფრანგეთის პოლიციამ შეიპყრო პარიზში მთელი ჯგუფი რუს რევოლიუციონერების—ტეროორისტებისა, რომლებიც თავდასხმას ამზადებდენ და რომელთაც ასაფეთქებელ ნივთიერებათა საწყობი აღმოუჩინეს, და ამის შემდეგ რუსეთის პოლიციური ძიება საზღვარ-გარედ მუდამ საფრანგეთის პოლიციის დახმარებით სწარმოებდა.

1891 წელს მოხდა პირველი შეთანხმება რუსეთსა და საფრანგეთ შორის, რომლის ძალითაც ორივე მთავრობა ვალდებული იყო მოხმარებოდენ ერთი მეორეს იმ შემთხვევაში, თუ მათ რომელიმე სახელმწიფო თავს დაესხმოდა. ამ ნიადაგზედ თავდაცვის კავშირი საბოლოოდ განმტკიცებულ იქმნა 1894 წელს.

მეცხრამეტე საუკუნის უკანასკნელ 25 წლის განმავლობაში და მეოცე საუკუნის დამდეგში გერმანეთის კაპიტალიზმი მეტის მეტად განვითარდა. მას ძლიერ სჭიროდა ახალშენები: შინაური ბაზარი და ამასთან ერთად რუსეთის, ავსტრო-ჰუნგრეთის, ბალკანეთის და ამერიკის ბაზრები მას ვერ აკმაყოფილებდენ. გერმანეთმა ხელი მიჰყო ახალშენების შეძენას აფრიკაში, მაგრამ აქ, ისე როგორც მცირე აზიაში, ის შეეხეჩა ინგლისისა და საფრანგეთის ძლიერ მოცილეობას, რომელთაც საუკეთესო ადგილები უკვე დაეკავებიათ. ამასთანავე, მოწინავე ქვეყნებმა, როგორც მაგალითად იმავე ინგლისმა ბრძოლა გამოუცხადეს გერმანეთის საქონელს. 1900 წელს გერმანეთიდან ინგლისში გატანილი საქონელი შეადგენდა $19^1/_2$ პროცენტს იმისა, რაც გერმანეთმა საერთოდ გაიტანა საზღვარ-გარედ, 1910 წელს კი—$14^1/_2$ პროცენტს. მეორეს მხრივ რუსეთმა, რომელსაც რევოლიუციის შიშის გამო გერმანეთისათვის ხელსაყრელი პირობები ქონდა შეკრული, მზადება დაიწყო, რომ ეს პირობები გაექარწყლებია. ბოლოს საერთაშორისო შეიარაღება იმ ზომამდემივიდა, რომ აუტანელ სიმძიმედ გადაიქცა. ამ მდგომარეობას რაიმე გამოსავალი უნდა ქონოდა.

ომის მიზეზი იყო სერბიელის მიერ ავსტრო-ჰუნგრეთის ტახტის მემკვიდრის ფრანც-ფერდინანდის მოკვლა. სერბიის ბურჟუაზიას, ისე როგორც ბურჟუაზიას ბალკანეთის სხვა ქვეყნებისა—რუმინიის, ბულგარეთის და საბერძნეთისა, უნდოდა გზა გაეკაფა თავის კაპიტალიზმის განვითარებისათვის და „დიდ სერბიაზედ“ ოცნებობდა. დიდ სერბიას უნდა შემოეერთებია ავსტრიის ის ადგილები, რომლებიც სერბიელებითა და ხორვატებით იყვენ დასახლებული. აქედან გამომდინარეობს შეთქმულება და ფრანც-ფერდინანდის სიკვდილი. ავსტრო-ჰუნგრეთმა მოითხოვა სერბიისაგან თითქმის სრული დამორ-

ჩილება. მაშინ რუსეთში ჯარის მობილიზაცია მოხდა. გერმანეთმა ომი გამოუცხადა რუსეთს და შემდეგ საფრანგეთსაც. რუსეთსა და საფრანგეთს მიეშხრო ინგლისი, რომელიც კარგა ხანია უკვე დაახლოვებული იყო რუსეთთან, და გაჩაღდა ისეთი სასტიკი ომი, როგორიც ჯერ არ უნახავს დედამიწას. ამ ომში თანდათანობით ჩაერიენ გერმანეთის მხრივ ოსმალეთი და ბულგარეთი; ინგლისის, რუსეთის და საფრანგეთის მხრივ სერბია, ჩერნოგორია, იაპონია, იტალია, რუმინეთი და ამერიკის შეერთებული შტატები.

რუსეთი ვერ გამოდგა ომისთვის მომზადებული. მტაცებლობა, მექრთამეობა, პირდაპირი ღალატი, სუსტი რკინის გზები, საშინელი სიძვირე, თითქმის შიმშილობა—აი რა დაუტოვა რუსეთს მეფის თვითმყრობელობამ. ბურჟუაზია თავდაპირველად თვითმყრობელობის მხარეზე იდგა და გეგმებს აწყობდა სტამბულისა და სრუტეების, სომხეთის, გალიციისა და სხვათა დაპყრობაზე. მაგრამ ბოლოს ისიც იძულებული შეიქნა დაეგდო თვითმყრობელობის მიერ მოტყუებულ ხალხის მატყუარას როლი და სახელმწიფო სათათბირომ მოითხოვა „ნდობის სამინისტრო“ (Министерство общественнаго довѣрія). ამის პასუხად ნიკოლოზ მე-II-მ შინაგან საქმეთა მინისტრის პროტოპოპოვის და სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის შჩეგლოვიტოვის რჩევით სახელმწიფო სათათბირო გარეკა.

მაგრამ თვითმყრობელობისათვის რუსეთში უკვე დაჭკრა უკანასკნელმა საათმა. ჩვენ აღვნიშნავდით წინედ, რომ რუსეთის სახელმწიფოებრივი წყობილება დიდი ხანია რაც არ შეესაბამებოდა საზოგადოებრივ ძალთა ურთიერთობას: თავად-აზნაურობა თანდათან სუსტდებოდა და გადაგვარების გზას ადგა, ძლიერდებოდა ბურჟუაზია და მუშათა კლასი, გლეხობა სხვა და სხვა კლასებად იყოფოდა, სულიერი კულტურა ვითარდებოდა. ამავე დროს ნიკოლოზ მეორემ განაახლა პეტრე მე-III-ის და პავლე I-ის წმინდა წყლის თვითმყრობელობა. თავად-აზნაურობამაც კი ზურგი შეაქცია მას. ისა და მისი მეუღლე მისტიციზმში გადავარდენ, დაიახლოვეს სხვა და სხვა ჯურის რეგვენი-გლახაკნი (Юродивый) და „ბერნი“. ამ უკანასკნელთაგან ყველაზედ გავლენიანი პირი იყო რასპუტინი—პირმოთნე, ანგაარი და გარყვნილი ადამიანი, რომელიც მოკლულ იქმნა დიდი მთავრების მიერ. ნიკოლოზ მეორე დარჩა მარტოდ მარტო თავის „შინაკაცების“ მცირე ჯგუფით.

როცა სათათბიროს დათხოვნის შესახებ ბრძანების გამოცემის შემდეგ მუშები აჯანყდენ, მათ მიემხრენ ჯარის-კაცებიც. სათათბირო თავის პოსტზედ დარჩა და ამოირჩია აღმასრულებელი კომიტეტი. ნიკოლოზ მეორე უძლუ-

რი გამოდგა რევოლიუციის წინაშე და იძულებული იყო უვარი განეცხადებია ტახტზედ თავის და თავის მემკვიდრის სახელით, თავის ძმის მიხეილ ალექსანდრეს-ძის სასარგებლოდ. უკანასკნელმა მიხვდა, რომ ვერ შეინარჩუნებდა გვირგვინს და იმანაც უვარი განაცხადა მეფობაზე.

შესდგა დროებითი მთავრობა, რომელმაც პეტერბურგის მუშათა საბჭოსთან შეთანხმებით გამოაცხადა დამფუძნებელი კრების მოწვევა, რომელსაც რუსეთში ახალი სახელმწიფოებრივი წესწყობილება უნდა დაეფუძნებია.

ასე დაიწყო 1917 წლის რევოლიუცია.

დასკვნა. *)

ჩვენ დავასრულეთ ჩვენი გზა, გავარკვიეთ თანდათანობითი განვითარება მეურნეობის, საზოგადოების, სახელმწიფოს და სულიერ კულტურისა, რომელიც რუსეთმა განვლო მე-VI-დან მე-XX საუკუნემდე. რა გვასწავლა, რა დასკვნამდე მიგვიყვანა ჩვენ ამ გზამ.

ყველაზედ უფრო ზოგადი და, მაშასადამე, ყველაზედ უმთავრესი, რაც თავის თავად გამომდინარეობს აქედან, მდგომარეობს იმაში, რომ **საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში ყველაფერი განსაზღვრულ კანონებს ემორჩილება, მიზეზობრივ დამოკიდებულებით არის შეკავშირებული**. რუსეთის ისტორიის ყოველ ხანაში ჩვენ ვხედავდით, თუ როგორ იყო შეკავშირებული ხალხის ცხოვრების ერთი მხარე ყველა სხვა მხარეებთან, როგორი გაუგებარი იყო უამისოდ და როგორ პოულობდა ის სათანადო ადგილს, როდესაც მას სხვა მხარეებთან ერთად ვღებულობდით. ჩვენ დავინახეთ აგრეთვე, რომ ყოველი ისტორიული პერიოდი მჭიდროთ შეკრულ-შეჯაჭულია სხვა პერიოდებთან, რომ არსებითად მთელი ცხოვრება, ხალხის ისტორია მთელ საუკუნოების განმავლობაში ერთი მთლიანი მოვლენაა, რომელსაც ვერ ჩამოაცლი ნაწილს. ამისათვის, ისტორიას პერიოდებად ვყოფთ მხოლოთ იმისთვის, რომ ეს უფრო მოხერხებულია, როგორც გადმოსაცემად, ისე გასაგებადაც.

ჩვენ მუდამ ვრწმუნდებოდით იმაში, რომ **თუკი ჩვენ მივხვდებით ძირითად ნიშნობლივ თვისებას ხალხის მეურნეობისა,—ადვილი გასაგები ხდება საზოგადოების წყობილებაც, სახელმწიფო წესწყობილებაც და**

*) იხ. შენიშვნა 275 გვერდზე.

სულიერი კულტურაც. ასეთია მეორე ზოგადი დასკვნა, რომელიც ჩვენ მივიღეთ.

თუ ყველაფერს ამას მხედველობაში მივიღებთ, მაშინ ადვილად წარმოსადგენი და გასაგები იქნება საერთო სურათი რუსეთის ისტორიის განვითარებისა.

ის დაიწყო მე-VI საუკუნიდან, როდესაც უმეტეს ნაწილად ეწეოდენ ნადირობას, მეფუტკრეობას, მეთევზეობას, და მეჯოგეობას, როდესაც ყველაფერი ეს არეული, მოუწყობელი იყო და ნატურალურ მეურნეობასთან ერთად მიწას თავისუფლად ჰფლობდა ნახევრად ქოჩად მავალი ხალხი. ამის გამო სახელმწიფო მოუწყობელი—საზოგადოება მოუწესრიგებელი იყო; დამდგარი ხასიათის, განსაზღვრული სულიერ გამოხატულების ადამიანები არ მოიპოვებოდენ. აქედან ბოლოს და ბოლოს გამომდინარეობდა ის არეული ცრუმორწმუნეობა, რომელიც ახასიათებს კერპთ-მსახურებას.

შემდეგ მოხდა ფეოდალური რევოლიუცია. გაძლიერდა მიწის კულტურა; საზოგადოება სხვა და სხვა წოდებად დაიყო. ამ დროის ხელოვნებასა და ლიტერატურას ახასიათებს უხეში მიბაძვა. ასე იყო მე-X-დან დაწყებული მე-XII საუკუნემდე.

ნატურალურ მეურნეობის განვითარებამ გამოიწვია ერთის მხრივ ვაჭრობის გაბატონება—მცხოვრებთა მაღალ წრეებში, მიწის დამუშავებისა და სხვა და სხვა საჭირო წარმოებათა წონისწორობა—მდაბალ წრეებში; მეორე მხრივ კი მიწის დამუშავების უაღრესად განვითარება. პირველი მოხდა XIII—XV საუკუნოებში თავისუფალ ქალაქებში, მეორე—იმავ პერიოდის განმავლობაში მდინარე ვოლგისა' და ოკის მიდამოებში. ამისდა მიხედვით აქაც და იქაც საზოგადოება კლასებად და წოდებებად დაიყო, ჩაისახა ფეოდალიზმი, რომელსაც შემდეგ რუსეთის შეერთება მოჰყვა მოსკოვის მფლობელობის ქვეშ. საზოგადოების გამოცოცხლებამ, საზოგადოებრივ წინააღმდეგობათა ზრდამ გამოიწვია ორიგინალური სულიერი კულტურა—სექტები ანუ ერესები, თავისებური ხელოვნება, უფრო ცოცხალი ლიტერატურა და გაბედული პუბლიცისტიკა. გამოჩნდენ ჩამოყალიბებული, მტკიცე ხასიათის ადამიანებიც—წყნარი და სარწმუნოებაზედ შეურყეველნი დამორჩილებულ კლასებში, ანგაარი და თვითმოყვარე გაბატონებულ კლასებში,

მეოთხე პერიოდი—მე-XVI საუკუნიდან დაწყებული მე-XVIII საუკუნემდე ჩვენ ზოგადათ დავახასიათეთ როგორც თავად-აზნაურული რევოლიუციის ეპოქა და გავარჩიეთ მასში სამი მომენტი: 1) მე-XVI საუკუნის მეორე ნახევარი, 2) მე-XVII საუკუნის პირველი ნახევარი და 3) პეტრე დიდის რე-

ფორმები მისი მომზადებით. ამ ხნის განმავლობაში მეურნეობა სდგება ნამდვილ აღებ-მიცემობის ნიადაგზე, ფართოვდებიან ბაზრები, თავად-აზნაურობა იმარჯვებს უფლის-წულობაზე, მაგრდება წოდებრივობა და ბატონ-ყმური სისტემა, მტკიცდება სახელმწიფოებრივი ერთობა და ბიუროკრატიულ ნიადაგზედ დამდგარი თვითმყრობელობა; სულიერ კულტურის სფერობში თავად-აზნაურობას ემჩნევა მიდრეკილება კულტურულ განძის შეძენისადმი და ხალხის მასსებში ძლიერდება პროტესტი და ოპოზიციონური განწყობილება.

მე-XVIII საუკუნის პირველ მეოთხედიდან მე-XIX საუკუნის ნახევრამდე —რუსეთის ისტორიის მეხუთე პერიოდში, ამ „რუსეთის კეთილ-შობილ თავად-აზნაურობის“ ოქროს საუკუნეში,—უწინდელზედ უფრო ჩქარის ტემპით ვითარდებოდა აღებ-მიცემობა, მეურნეობაში და მდაბიო წრეებში ყვაოდა ბატონ-ყმური სისტემა, თავად-აზნაურობა გადაიქცა სრულ-უფლებიან და თავისუფალ წოდებად, სახელმწიფოებრივ წყობილების მხრივ სიძლიერის უმაღლეს საფეხურზედ ავიდა იმპერატორის თვითმყრობელობა და ბიუროკრატია, და ბოლოს, სულიერ კულტურის დარგში, ნათლად გამოიხატა საომარი მზადება ძველი სარწმუნოებისა და სექტანტური პროტესტისა ბატონ-ყმობის წინააღმდეგ. თავად-აზნაურთა წრეში გამეფდა ლიტერატურული და მხატვრული კლასიციზმი— ეს განსახიერება მებატონეთა დიდების და კეთილდღეობისა; მხოლოდ მაშინ, როცა ძველ წესწყობილებას დაეტყო აღსასრულის მოახლოვება— ალექსანდრე პირველის დროს—კლასიციზმს სცვლის სენტიმენტალიზმი— ნიღაბი, ძველ ბატონ-ყმურ ნდომა-განზრახვათა დასაფარად აფარებული.

დაბოლოს, ჩვენ გავეცანით რუსეთის ისტორიის უკანასკნელ, მეექვსე პერიოდს, რომელიც შესდგებოდა ორ უკანასკნელ მომენტისაგან—იმპერატორ ალექსანდრე მე-II-ის რეფორმებისა და ორი—1905 და 1917 წლების რევოლიუციისგან. აღებ-მიცემობის თანდათანობითი განვითარება მივიდა იმ ბატონ-ყმობის უარყოფამდე, რომელიც განვითარების დასაწყისში მისგანვე იყო შექმნილი. ამან გამოიწვია თავად-აზნაურობის მოწინავე წრეების ბურჟუაზიულ წრეებად გარდაქმნა და, საზოგადოდ, უფრო გარკვეული კლასობრივი დანაწილება რუსეთის საზოგადოებისა, რომელიც უკვე ვერ ეგუებოდა წოდებრივ ფარგლებს. გასწვრივ, გლეხების უკმაყოფილება და ბატონ-ყმობის წინააღმდეგ მიმართული პროტესტი ღებულობს აქტიურ ფორმებს; თავად-აზნაურობა მე-30 წლების ტანჯვა-წვალებისა და ძებნის შემდეგ მე-40 და 50 წლებში ეყრდნობა ფილოსოფიურ საფუძველს და ირაზმება ორ ჯგუფად—სლავიანოფილებად და ზაპადნიკებად. ამ ძალთა მოქმედების სფეროდან გამოვიდა ბატონ-ყმობის გაუქმება

და ალექსანდრე მე-II-ის ხხვა რეფორმები. ნაწილობრივად მაინც ამ სუსტმა და გაუბედავმა რეფორმებმა გაანთავისუფლეს საზოგადოებრივი ძალები: გამოიწვიეს გლეხთა მოძრაობა, გაამწვავეს სექტანტობა, იძულებული გახადეს თავად-აზნაურობის მთელი ნახევარი ბურჟუაზიად გამხდარიყო, გაანვითარეს თავად-აზნაურული ლიბერალიზმი, რომელმაც თავისი განსახიერება ჰპოვა მეცნიერებაში, რელიგიაში, ფილოსოფიაში და ხელოვნებაში, კულტურულად აამაღლა ვაჭარ-მრეწველთა კლასი, კულტურული არსებობა მისცა წვრილ ბურჟუაზიას, რომელიც გამოვიდა ჯერ ნიგილისტურ და შემდეგ ნაროდნიკულ და სოციალისტურ იდეალებით.

მაგრამ ასე გაუბედავად წარმოებულმა რეფორმებმა და განსაკუთრებით უმთავრესმა მათგანმა — აგრარულმა, რომელიც პირველ-ყოვლისა გლეხებს შეეხებოდა, გამოიწვიეს ის, რომ ცხოვრებას შერჩა ბატონ-ყმურ მეურნეობის მრავალი ნაშთი. მიუხედავად ამისა კაპიტალიზმი უკვე გადადიოდა უმაღლეს საფეხურზე. ამას მოყვა მუშებისა და გლეხების გაძლიერებული აქტივობა, სტუდენტების მოძრაობა და ბოლოს საერობო მოძრაობაც. გაბატონებული კლასები სახელმწიფო წყობილების დარგში უარყოფდენ დათმობის გზას და იმასაც, რასაც ისინი აგრარულ საკითხში უთმობდენ გლეხებს ან მუშებს, თითქმის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. სახელმწიფოებრივმა სიძველემ და ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ღრმა წინააღმდეგობამ გამოიწვია სულიერი კულტურის ახალი მოვლენები: საერობო კავშირი, საერობო ყრილობები და განთავისუფლების კავშირი თავად-აზნაურთა წრეში; მეცნიერების განვითარება, იდეალისტური ფილოსოფია და მოდერნიზმი ლიტერატურაში, მხატვრობაში და მუსიკაში,—ეს არა მარტო ლიბერალ თავად-აზნაურთა წრეებში, არამედ ყველა მსხვილ და საშუალო ბურჟუაზიულ წრეებშიაც; წვრილ ბურჟუაზიას დაეტყო მებრძოლი სულის აღორძინება. მე-XIX საუკუნის დამლევში და მე-XX საუკუნის დასაწყისში მისი შედეგი იყო ჩეხოვის გორკითა და ვერესაევით შეცვლა, ახალი დემოკრატიული და სოციალისტური პარტიების შექმნა, ზრდა მუშების და სტუდენტების შეგნებულად მოძრაობისა და 1905—1907 წლების რევოლიუცია.

შემდგომ ამისა დადგა რეაქცია: მმართველმა კლასებმა მოინდომეს რევოლიუციის მონაპოვართა მითვისება, მაგრამ რუსეთი შეუკავებლად ხდებოდა ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ ქვეყნად და ძველს თვითმყრობელობას არ ჰქონდა შეძლება ახალ საზოგადოებრივ და მეურნეობრივ პირობებს შეგუებოდა. ომმა, რომელიც აღმოცენდა ბურჟუაზიულ ზრახვებისა და ინტერესების ნიადაგ-

ზედ, დამთავრა ის, რაც უფრო ადრე თავის თავად დაიწყო—საბოლოოდ გამოამჟღავნა თვითმყრობელობის ჩამორჩენილობა, მისი სიძველე და სრული უვარგისობა. და 1917 წლის რევოლიუციამ იგი დაასამარა.

ამავე ომმა ძირიან-ფესვიანად შეარყია დასავლეთ ევროპის კაპიტალიზმი. იქ რიგში დადგა საკითხი სოციალიზმის განხორციელების შესახებ. თუ ეს მართლაც მოხდა, მაშინ ჩამორჩენილი ქვეყნები, მათ შორის რუსეთიც, იძულებული იქნებიან იმავე გზას დაადგენ. ამისათვის ახალმა დემოკრატიულმა და რესპუბლიკანურმა რუსეთმა უნდა შეიმუშაოს რევოლიუციის განმავლობაში ისეთი რეფორმები, რომლებიც მოამზადებენ მას სოციალიზმისათვის ისე, რომ იგი მზად დაუხვდეს იმ უდიდეს ცვლილებებს, რომელთა შესაძლებლობა ნათლად ისახება მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში.

პრივ.-დოც. ი. ბერიტაშვილი.

უნივერსიტეტის ძირითადი პრინციპები და ქართული სახელმწიფო უნივერსიტეტი.

დღეს საქართველოში არსებობს ქართული სახელმწიფო უნივერსიტეტი. იგი დროებით მოქმედებს რუსეთის უნივერსიტეტების წესდებით, რომელშიაც არის შეტანილი მხოლოდ ცოტა რამ ცვლილება. სამუდამო წესდების შესამუშავებლათ მას ჰყავს განსაკუთრებული კომისია. უპირველესი მიზანი ამ კომისიისა, რასაკვირველია, უნდა იყოს იმ ძირითადი პრინციპების შემუშავება, რომელზედაც ემყარება უნივერსიტეტის ორგანიზაცია. უნივერსიტეტის ძირითადი პრინციპები, როგორც ვიცით, ერთნაირი არ არის რუსეთში და სხვა ქვეყნებში. ბევრი მათგანი დაძველდა, აღარ შეეფერება დღევანდელ ცხოვრების პირობებს და ბევრგან კი უკვე გაბატონდენ ახალი პრინციპები, უფრო ცხოვრების შესაფერი. საჭიროა წინდაწინვე გათვალისწინებულ იქმნას ის საფუძველი, რომელზედაც უნდა ემყარებოდეს ქართული უნივერსიტეტი, რომ უკანასკნელმა რაც შეიძლება მეტი ნაყოფი მოიტანოს, როგორც მეცნიერების გავრცელებით, ისე მისი განვითარებით.

მაგრამ ამ საკითხის გარჩევა და გადაწყვეტა არ უნდა იყოს შინაურული საქმე უნივერსიტეტისა. ქართული უნივერსიტეტი იქნება ბურჯი არამც თუ საქართველოს ეკონომიურ და კულტურულ განვითარებისა, არამედ მისი პოლიტიკურ დამოუკიდებლობისაც. ამიტომ მთელმა ერმა მთელი თავისი ძალებით აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს იმ პრინციპების შემუშავებაში, რომელნიც საფუძვლათ უნდა დაედვან ქართულ უნივერსიტეტს, უფრო მეტიც: ქართველ ერს აქვს უფლება მოითხოვოს თავის წარმომადგენელთა საშუალებით აქტიური მონაწილეობა მიიღოს თვით ზემოხსენებულ უნივერსიტეტის კომისიის მოქმედებაში. მაგრამ რამდენადაც მე ვუწყი, ქართველ საზოგადოებას უნივერსიტეტის საკითხი სრულიად არ აფიქრებს. იგი თითქოს დარწმუნებულია, რომ უნივერსიტეტის მესვეურნი თავის თავად მოაგვარებენ უნივერსიტეტის საქმეს. ასეთი იმედი, თუ მართლა იგი არსებობს, დიდ შეცდომათ უნდა ჩაითვალოს. ჩემის აზრით, ძლიერ შესაძლებელია, რომ უნივერსიტეტის მესვეურნი უფრო შაბლონიურათ მოიქცევიან და მიიღებენ მცირე რამ შესწორებით რუსეთის ან რომელიმე სხვა ქვეყნის უნივერსიტეტის წეს-წყობილებას. ეს კი დიდი შეცდომა იქნება, ვინაიდგან არც ერთ ქვეყანაში არ მოიპოვება ისეთი უნ—ტი, რომელიც შეეფერებოდეს აწინდელ ჩვენ სოციალურ და პოლიტიკურ მდგომარეობას. აუცილებლათ საჭიროა გაკრიტიკება ყველა მომქმედ ძირითად პრინციპებისა, მათი კრიტიკული

შეფარდება ჩვენი ქვეყნის დღევანდელ მდგომარეობასთან და ჩვენს მისწრაფებასთან. თუ ვინიცობაა აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი პრინციპი თავის უკეთეს ფორმაშიაც კი არ შეიძლება დაედვას საფუძვლათ ჩვენს უნივერსიტეტს, მაშინ ჩვენ მოვალეობათ უნდა მივიღოთ მის მაგიერ ახალ პრინციპის შექმნა და განხორციელება.

განა შეიძლება ითქვას, რომ უნ—ტის კომისია ან თვით უნივერსიტეტის საბჭო, ოციოდე კაცისაგან შემდგარი, უთუოდ გამოხატავს დღევანდელ ქართველ ერის მოთხოვნილებას, მისწრაფებას და იმედებს უნივერსიტეტის შესახებ?

ამ წერილში მე მიზნათა მაქვს არსებულ უნივერსიტეტების ძირითადი პრინციპების კრიტიკული გარჩევა ფართო საზოგადოების საყურადღებოთ. ამით მე მსურს დავეხმარო ქართველ საზოგადოებას უნ—ტის საკითხის შეგნებულ შემუშავებაში: მივსცე მას ზოგიერთი უმთავრესი მასალა დღევანდელ უნ—ტის ორგანიზაციის შესახებ, კრიტიკა გაუწიო ყველა ამ მასალას, მის ღირსების თუ ნაკლუნევანების მარტივად დასანახვებლათ, წამოვაყენო ზოგიერთი ახალი პრინციპები, რომელთაც უნდა დაიჭიროონ ჩემის აზრით უკუგდებულ ძველი პრინციპების ადგილი. მე ვისწრაფი დაუსვა ქართველ საზოგადოებას საჭირო კონკრეტიული საკითხები უნ—ტის შესახებ, რომ ამ უკანასკნელის ორგანიზაცია მოხდეს შეგნებულათ და ისე, რომ მან ზოიტანოს სასურველი შედეგები.

I. უნივერსიტეტი, როგორც ცენტრი სამეცნიერო ცოდნის გავრცელებისა.

უნ—ტის უპირველეს მიზანს შეადგენს სამეცნიერო ცოდნის ფართო მასსაში გავრცელება. ამ მიზანს რუსეთის უნივერსიტეტები აღწევენ შემდეგი საშუალებით.

რუსეთის უნ—ტი ამზადებს მასწავლებელთ, ექიმებს, ვეტერინარებს და სხვ. ე. ი. ის ემსახურება სხვათა შორის პროფესიონალურ ინტერესებს. ამისდა გვარად რუსეთის უნ—ტი იძლევა განსაკუთრებულ უფლებებს, დიპლომებს. ამისდა მიხედვით სტუდენტებისათვის სავალდებულო არის განსაზღვრულ პირობების შესრულება. მათ უნდა მოისმინონ ლექციები ერთი საგნისა მეორის შემდგომ. მათ უნდა ჩააბარონ შემდგომ გამოცდები ასევე განსაზღვრულ რიგ-

ზედ. სავალდებულო ლექციები და გამოცდები იმდენათ დიდია, რომ მათი შესრულებისათვის ნიჭიერ სტუდენტსაც ძლივს-ძლივობით ჰყოფნის ოთხი-ხუთი წელიწადი. აგრეთვე სავალდებულოა პრაქტიკული მეცადინეობა ზოგიერთ ლაბორატორიებში. თუ ყველა სავალდებულო პრაქტიკულ სამუშაოს არ შეასრულებს სტუდენტი, მას გამოცდებზედ არ დაუშვებენ. ამნაირათ რუსეთის უნივერსიტეტის სწავლის სისტემა ბევრათ არ განირჩევა საშუალო სასწავლებელიდან. სავალდებულო საგნების რიცხვი იმდენათ დიდია, რომ უნივერსიტეტს არ შეუძლიან მისცეს სტუდენტობის უმრავლესობას ხეირიანი პრაქტიკული, ცხოვრებაში გამოსაყენებელი ცოდნა, იმ ოთხ-ხუთ წელიწადში, რომელსაც სტუდენტი ანდომებს უნ—ტში სწავლას. სტუდენტობის უმრავლესობას არა აქვს დრო შეისწავლოს რომელიმე მეცნიერება ზედმიწევნით. გარდა ამისა, რადგან სტუდენტის ყოველივე ნაბიჯი წინდაწინვე განსაზღვრულია, იგი მოკლებულია მოტივებს საკუთარი ნიჭის განსავითარებლად.

აი როგორ ახასიათებს ამ სავალდებულო და საგამოსაცდელო უნ—ტის სწავლას უდიდესი რუსეთის განმანათლებელი ი. პიროგოვი: „არამც თუ ტალანტი, უბრალო ცნობის მოყვარეობაც კი ძნელი არ არის ჩაახრჩო სავალდებულო და საგამოსაცდელო სწავლით. მე მახსოვს: ისე ადვილათ არას ვიყიწყებდი, როგორც მას, რაც ვალდებული ვიყავ მომემზადებინა გამოცდებისათვის. 30 წლის შემდგომ, თუ რომ ღამით გამეღვიძებოდა არა სასიამოვნო გრძნობით, ეს თითქმის ყოველთვის ხდებოდა სიზმარში გამოცდებისათვის მომზადების გამო“, (Университетскій вопросъ 1863).

გამოცდები უნივერსიტეტში პირდაპირ ეწინააღმდეგება თვით უნ—ის იდეას. საშუალო საუკუნოებში, პირველ უნი—ტების დაარსების ჟამს, უნი—ტი წარმოადგენდა მხოლოდ მეცნიერების ცენტრს, სადაც მეცნიერება ვითარდებოდა და საიდანაც იგი ვრცელდებოდა. არავითარ პროფესიონალურ ინტერესებს იგი არ ემსახურებოდა. მხოლოდ შემდეგ ყველა სახელმწიფოს მთავრობამ მიაღებინა უნივერსიტეტს ეს პროფესიონალური ხასიათი, ე. ი. მისცა მას ჩვეულებრივი სასწავლებლის სახე. ემანსიპაცია ამ პროფესსიონალურ ხასიათიდან დაიწყო მეცხრამეტე საუკუნეში და ყველაზედ უფრო რადიკალურად უკუ გდებულ იქმნა იგი გერმაანის უნივერსიტეტებში. დღეს ამ უნივერსიტეტებს სათავეში უდგას ის ძირითადი პრინციპი, რომ უნ—ტი არის მეცნიერების ცენტრი. ამისათვის არავითარ დიპლომებს არ აძლევენ მსმენელებს. ამისდა გვარად გერმანიის უნ—ტში არავითარი გამოცდები სტუდენტებისათვის არ არსებობს. აგრეთვე არავითარი წინდაწინვე განსაზღვრულ და სტუ-

დენტებისათვის აუცილებელ პროგრამას არა აქვს ადგილი გერმ. უნ—ტში. სტუდენტი ისმენს იმ ლექციას, ან მუშაობს იმ ლაბორატორიაში, რომელიც მას მოესურვება. მას შეუძლიან ასევე ერთი სამუშაო შეასრულოს ერთს უნ—ტში, და მეორე კი—მეორეში. ამნაირათ, სტუდენტის მოქმედება უნ—ტში სავსებით მის ნებაზედ არის დამოკიდებული. მისი მოქმედება სრულიად თავისუფალია. ეს აცხოველებს, ანვითარებს მის ნიჭს და ნებას. იგი ეწაფება იმ სამეცნიერო საგანს, რომელიც მას იტაცებს. იგი სწავლობს სხვა სამეცნიერო საგნებს იმდენად, რამდენადაც ეს გამოადგება მას არჩეულ საგნის უკეთესად და ზედმიწევნით შესწავლისათვის. გერმანიაში ექიმის, ვექილის მასწავლებლის ან სხვა ინტელიგენტურ პროფესიის უფლებების მოპოვება შეიძლება მხოლოდ სათანადო სამინისტროების გამოსაცდელ კომისიებში გამოცდების შემდეგ. ამ კომისიებს არავითარი დამოკიდებულება არა აქვსთ უნივერსიტეტთან (Ф. Паульсенъ „Нѣмецкіе университеты и ихъ историческое развитіе“).

ამგვარივე სახელმწიფო გამოსაცდელი კომისიები მოქმედებენ რუსეთშიაც. მაგრამ აქ კომისიების მოქმედება ფაქტიურათ სწარმოებს უნივერსიტეტის ფარგლებში. ყოველი სტუდენტი უნ—ტის გათავების შემდგომ ვალდებულია უფლების მოსაპოებლად ჩააბაროს ამ კომისიას გამოცდები რამდენიმე საგანში. ეს კომისიები შესდგებიან იმავე უნ—ტის პროფესორებისგან, მხოლოდ თავმჯდომარე ინიშნება მინისტრისაგან და შეიძლება იყოს სხვა უნ—ტის პროფესორი. თვით გამოცდების ხასიათი სწორედ ისეთივეა, როგორც ჩვეულებრივი უნ—ტის გამოცდებისა. იმ გარემოებამ, რომ რუსეთის უნ—ტი ემსახურება უპირველესად პროფესიონალურ ინტერესებს, რომ იგი ვალდებულია მისცეს სახელმწიფოს საჭირო განათლებული მოსამსახურენი, შეზღუდა რუსეთში მეცნიერების განვითარება. რადგან უნ—ტის პროფესორებიდგან მთავრობა მოითხოვდა პირველად ყოვლისა მასწავლებელის როლის შესრულებას, მათი უმრავლესობა სამეცნიერო მუშაობას არ ეწეოდა. პროფესორთა დიდ წილს მხოლოდ ერთი ორი უმნიშვნელო ნაადრევი სამეცნიერო ნამუშევარი აქვს, რომლის მეოხებით გახდნენ პროფესორებათ. ამის გამო რუსეთში სამეცნიერო ცოდნის განვითარება ზოგიერთ დარგში სრულიად არა სჩანს, ზოგიერთში კიდე ძლივს-ძლივობით ღვივის ერთ ორიოდე უნ—ტში.

ამ განხილვიდან შემდეგი დასკვნები უნდა გამოვიყვანოთ. **პირველი: უნივერსიტეტის ერთათ-ერთ ძირითად პრინციპს შეადგენს, რომ უნი—ტი მთლიანად უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ სამეცნიერო ცოდნის განვი-**

თარებას და გავრცელებას. სხვა რამე სამსახური უნი—ტს არ შეიძლება მოეთხოვოს. სადაც იგი ეწევა სხვა სამსახურს, იქ სამეცნიერო ცოდნის განვითარება ნელდება, იგი კარგავს სამეცნიერო ცენტრის მნიშვნელობას.

მეორე: უნივერსიტეტში არავითარ სავალდებულო გამოცდებს ადგილი არ უნდა ჰქონდეს. აგრეთვე იგი არ უნდა იძლევოდეს განსაკუთრებულ უფლებებს. გარდა ამისა, ყოველ სტუდენტს უნდა ჰქონდეს უფლება შეისწავლოს ის სამეცნიერო საგნები და იმ რიგზედ, როგორც მას ესმის, როგორც მას ემჯობინება. პროფესორები და სხვა სამეცნიერო მასწავლებელნი ვალდებულნი უნდა იყვნენ უხელმძღვანელონ მათ სამოსწავლო და სამეცნიერო მეცადინეობას. სტუდენტების მოქმედების შეზღუდვა უნ—ტის ფარგლებში შეიძლება მხოლოდ სამეცნიერო ცოდნის განვითარების ინტერესების მოთხოვნით. მაგ., ამ ინტერესების მოთხოვნით უნდა განისაზღვრებოდეს დრო სტუდენტთათვის ამა თუ იმ კაბინეტით ან ლაბორატორიით სარგებლობისა და ასევე თვით მეცნიერ ხელ-მძღვანელთა დახმარების დრო.

მესამე: ინტელიგენტურ პროფესიის უფლებების მოსაპოვებლათ გამოცდების საქმე უნდა ებარებოდეს ერობის ცენტრალურ დაწესებულებს. მე არა ვარ იმის მომხრე, რომ ამ საქმეს განაგებდეს განათლების ან სხვა სამინისტრო, ვინაიდგან საგამოსაცდელო კომისიები სრულიად მოკლებულნი. უნდა იყვნენ ბიუროკრატიულ ფორმებს, რომელნიც მუდამ გაბატონებულნი არიან სამინისტროებში. **ამ კომისიებმა მუდამ უნდა იქონიონ მხედველობაში ადგილობრივი პირობები. ამ კომისიებს არავითარი იურიდიული დამოკიდებულება არ უნდა ჰქონდეს უნივერსიტეტთან. ამ კომისიებში გამოცდების ჩაბარების ნება უნდა ჰქონდეს ყოველ მსურველს, და არა მარტო იმათ, რომელთაც სწავლა მიიღეს უნ—ტში ან სხვა რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში.**

მეცნიერების გავრცელების ძირითადი პრინციპის შეცვლა უნი—ტში აღნიშნულ იქმნა სხვათა შორის მეოთხე სრულიად რუსეთის აკადემიურ კავშირის ყრილობაზედ, რომელიც მოხდა მოსკოვს 1917 წლის 7—10 ივნისში. პროფ. კულაგინმა და ჩელპანოვმა წაიკითხეს მოხსენებები, სადაც ეს საკითხი დაწვრილებით იყო გარკვეული. დელეგაციის უმრავლესობა მიემხრო იმ აზრს, რომ უნ—ტი არ უნდა ემსახურებოდეს პროფესიონალურ ინტერესებს, იგი არ უნდა იძლეოდეს უფლებებს, მასში ალაგი არ უნდა ჰქონდეს გამოცდებს, მაგრამ ამ ძირითად რეორგანიზაციის საჭიროებას აღმოუჩნდა დიდი მოწინააღმდეგეებიც მეტ წილათ ძველ პროფესორთა შორის. ყველა ამათგანი პროფ.

პოკროვსკის მეთაურობით ამტკიცებდა, რომ უნ—ტი სახელმწიფო დაწესებულებაა, იგი მოქმედობს სახელმწიფო ხარჯზედ, და არ შეიძლება სახელმწიფომ მას სამაგიერო არ მოსთხოვოსო! ამ უთანხმოების გამო რეზოლიუცია არ იყო გამოტანილი და საკითხი გადაიდვა შემდეგ ყრილობისათვის.

II. მეცნიერების გავრცელების სისტემა.

რუსეთის უნ—ტში სამეცნიერო ცოდნას იძლევიან უმთავრესად ლექციების საშუალებით, ლექციური სისტემით. რა არის ეს სისტემა—ყველამ უწყის. პროფესორი ყოველ წლობით ერთ და იმავეს კითხულობს მსმენელთა წინაშე. თვითეული ლექცია წარმოადგენს პირდაპირ გაგრძელებას წინა ლექციისა, რომელიც წაკითხულ იქმნა წინა დღეებში. მისი ლექციები შინაარსით მუდამ დოგმატიურია. ისინი მდაბიოთ და ძლიერ შემოკლებით იძლევიან მას, რაც უფრო ვრცლათ და უფრო მეტის დამტკიცებით დაბეჭდილია მრავალ სახელმძღვანელოებში. მეტი წილი პროფესორებისა მოკლებულია ორატორის ნიჭს; ამის გამო რაც გინდა სინდისიერი იყოს მისი მეცადინეობა, მას მაინც არ შეეძლება ისე დალაგებით და გასაგებათ მეცნიერების გარდმოცემა, როგორც ეს თვით მისივე დაბეჭდილ ლექციებში ან სხვა სახელმძღვანელოებში მოიპოვება. მართალია, ხშირათ საბუნებისმეტყველო და საექიმო ლექციების დროს აჩვენებენ სხვა და სხვა ცდებს, მაგრამ მნიშვნელობა ამ ცდებისა მსმენელთათვის ძლიერ მცირეა, რადგან უფრო ხშირათ მათ არ შეუძლიან დაწვრილებით გამოუკითხველათ გაიგონ თვით ცდის მსვლელობა, ამიტომ, ამნაირი ცდა იღებს ფოკუსის ხასიათს.

ლექციური სისტემა ნაშთია საშუალო საუკუნოების ხანისა, როცა მეცნიერება ვრცელდებოდა მხოლოდ ზეპირ გარდმოცემით და პროფესორი ითვლებოდა ბუდეთ მთელი მეცნიერებისა; როდესაც არ იყო არც სახელმძღვანელო წიგნი, არ მოიპოვებოდა სამეცნიერო ჟურნალები და სამეცნიერო წიგნიც ძნელათ იშოვებოდა. საშუალო საუკუნოებში ლექციის მოსასმენად იკრიბებოდნენ ცნობილ მეცნიერის გარშემო ყველა მსურველნი, მიუხედავათ იმისა იყვნენ ისინი მეცნიერების შესასმენად მომზადებულნი თუ არა. დღეს გარემოება სულ სხვანაირია. ამას მტკიცება არ უნდა. აწინდელ უნ—ტის მსმენელი იმდენად არის მომზადებული, რომ თავისუფლად შეუძლია შეითვისოს სამეცნიერო ნაწერი, მეტადრე სახელმძღვანელო წიგნის შინაარსი.

გარდა ამისა, იყო დრო, როცა პროფესორს შეეძლო მთელი კურსი რომელიმე მეცნიერებისა ერთის წლის განმავლობაში წაეკითხა. დღეს ყოველივე მეცნიერება, მეტადრე ექსპერიმენტალური, იმდენათ გაიზარდა, გაფართოვდა, რომ შეუძლებელი გახდა მთელი კურსის ერთი წლის განმავლობაში წაკითხვა. ამიტომ არის, რომ დიდი წილი პროფესორებისა კითხულობს მხოლოდ ერთ ნაწილს. მეორე ნაწილს ან სულ არ კითხულობს, ან კითხულობს შემდეგ წელს სხვა მსმენელთა შემადგენლობის წინაშე. მართალია, ამაში პროფესორს ხშირათ ეშველებიან პრივატ-დოცენტები, რომელნიც კითხულობენ იმ ნაწილს, რომელსაც პროფესორი ვერ ასწრებს, მაგრამ პრივატ-დოცენტების ლექციას მსმენელთა უმრავლესობისათვის ისეთი მნიშვნელობა არა აქვს, როგორც პროფესორისას. ეს უმრავლესობა უყურებს ლექციას, როგორც გამოცდების გასაადვილებელ საშუალებას. იგი ეტანება პროფესორის ლექციას უმთავრესათ იმიტომ, რომ აქ ეცნობა მის ინდივიდუალურ პროგრამას. ამის გამო მომეტებულ წილს პრივატ-დოცენტებისას მხოლოდ რამდენიმე მსმენელი ჰყავს. ამნაირათ, სტუდენტობა სავალდებულო სამეცნიერო ცოდნის ნაწილს ყოველ შემთხვევაში იღებს წიგნის საშუალებით. აქედან ნათლად სჩანს, რომ დღეს ლექციური სისტემის ბატონობა უნი—ტში სრულებით არ შეეფერება თანამედროვე მდგომარეობას.

საზღვარ-გარეთ ცხოვრების მოთხოვნილებამ უკვე გადალახა ლექციური სისტემა. ამერიკაში და ინგლისში, მაგ., პროფესორი კითხულობს მხოლოდ პოპულიარულ ლექციებს, რომლითაც იგი აცნობს მსმენელთ ახალ თუ ძველი იდეების განვითარებას ამა თუ იმ სამეცნიერო საგანზედ. სტუდენტები აქ ეცნობიან მხოლოდ მეცნიერის საერთო აზრს. თვით მეცნიერების შესწავლა-შეთვისება სწარმოებს ლექციების მოსმენის წყალობით კი არა, არამედ სათანადო კაბინეტებში, ლაბორატორიებში, მუზეუმებში და ბიბლიოთეკებში მუშაობით. აქ ისინი გადიან მათგანვე არჩეულს საგანს პრაქტიკულად, როგორც პროფესორის, ასევე მისი თანაშემწე—სპეციალისტთა ხელმძღვანელობით. ამიტომ მათი ცოდნა არის პრაქტიკული, ჰეშმარიტი ცოდნა, და არა დოგმატიური, როგორც რუსეთში.

რუსეთშიაც უკვე დიდი ხანია გამოითქვა ლექციური სისტემით უკმაყოფილება. იყო რამდენიმე წერილი დაბეჭდილი მის წინააღმდეგ. (მაგ. ვარადინოვისა 1870, ბ. ბ.-სა 1913). ამ უკანასკნელ ათ წელიწადში თითქმის ყველა საბუნებისმეტყველო და საექიმო კათედრასთან შემოიღეს პრაქტიკული მეცადინეობა. მხოლოდ მომეტებულ წილად იგი მეტათ პრიმიტიულად

არის დაყენებული. ხშირათ მთელი კურსი პრაქტიკული მუშაობისა შესდგება რამდენიმე ცდისაგან და გრძელდება თვითო სემესტრში რამდენიმე საათს. მაგრამ ეს გარემოება ისე არ არის მაჩვენებელი ლექციური სისტემით უკმაყოფილებისა, როგორც თვით სტუდენტობის ქცევა. პირველ წელიწადს თითქმის თვითეული სტუდენტი ისმენს ყველა სავალდებულო ლექციას და რვეულში იწერს დაახლოვებით მის შინაარსს. მეორე წელს ერთი დიდი წილი უკვე აღარ ესწრება სავალდებულო ლექციებზედ; მეორე ნაწილიდან, რომელიც დაიარება, უმრავლესობა აღარ იწერს მათ შინაარს. მესამე წელიწადს და შემდეგ უმრავლესობა სრულებით სპობს ლექციების მოსმენას. აღსანიშნავია, რომ ქალთა უმაღლეს სასწავლებელში ეს გრადაცია ასე მკაფიოთ არა სჩანს. აქ მსმენელთა უმრავლესობა მესამე და მეოთხე წელს თითქმის იმავე ერთგულებით დაიარება ლექციებზედ, როგორც პირველ წელს. ზოგიერთ გულუბრიყვლო პროფესორს, ან გარეშე მაყურებელს ეგონება, რომ მსმენელი ქალი უფრო მეტს მეცნიერების მოყვარეობას იჩენს, ვიდრე ვაჟი. რასაკვირველია, ნამდვილი მიზეზი სულ სხვაა. უმაღლეს სასწავლებელში ლექციის მოსმენა არამც თუ კანონის მოთხოვნილებაა, არამედ იგი უკვე საერთო ადათად არის გარდაქცეული, იგი ტრადიციას შეადგენს. პირველ წელს როგორც ქალი, ისე ვაჟი ამ ტრადიციის მიხედვით ესწრება ყოველივე ლექციას, რომელზედაც მათ უთითებს თვით სასწავლებლის პროგრამა. მაგრამ გადის დრო—ერთი წელიწადი, შემდეგ მეორე და ვაჟი სტუდენტი თანდათან რწმუნდება, რომ მომეტებულ წილად ლექციებზედ სიარული უბრალო დროს დაკარგვაა, რომ როგორც გამოსაცდელად, ასევე საბოლოო ცოდნის შესაძენად უფრო სასარგებლოა საგნის შესწავლა დაბეჭდილ ლექციების და სხვა სახელმძღვანელოთა საშუალებით. ქალი მსმენელიც, რასაკვირველია, რწმუნდება ამაში, მხოლოდ ერთი-ორი წელიწადი არ არის საკმარისი, რომ მათმა ნებამ მიიღოს სხვანაირი, ტრადიციისაგან თავისუფალი მიმართულება, ჩამოშორდეს ძველ ტრადიციულ გზას.

ამნაირათ, ლექციური სისტემის ბატონობა შეადგენს რუსეთის უნ—ტის დიდ ნაკლს, არის ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი, რომ რუსეთის სტუდენტობის უმრავლესობა, რომელიც კმაყოფილდება ლექციების მოსმენით და მათი გამოცდებისათვის მომზადებით, მოკლებულია არამც თუ პრაქტიკულ, ნამდვილ თეორეტიულ სამეცნიერო ცოდნასაც კი.

მაშასადამე, **მომავალ უნ—ტში არ უნდა ჰქონდეს ალაგი ლექციურ სისტემის გაბატონებას. აქ უნდა ბატონობდეს კაბინეტებში, ლაბორატორიებში, მუზეუმებში და სხვ. მუშაობა მეცნიერ მასწავლებელთა ხელ-**

მძღვანელობით. მთელი სამეცნიერო ცოდნა უნდა იქმნას მიღებული პრაქტიკულათ, რაც შეიძლება ფართო პრაქტიკული მუშაობით, იმავე პირველ წყაროებიდან, რომელზედაც შენდება თვით მეცნიერთა ცოდნა. ლექციაც, რასაკვირველია საჭიროა, მხოლოდ მისი როლი სულ სხვანაირი უნდა იყოს. **ლექციის შემწეობით მეცნიერი-მასწავლებელნი უნდა ხელმძღვანელობდნენ მოწაფეთა პრაქტიკულ მუშაობას:** ყოველ დროს ლექცია წინ უნდა უძღოდეს პრაქტიკულ მეცადინეობას. ლექციით უნდა მისცენ ამ მეცადინეობას სისტემატიური ხასიათი. ლექციით უნდა აუხსნან თეორეტიული მნიშვნელობა ყოველივე პრაქტიკული ნაბიჯისა. ამის გამო, ყოველივე ლექცია უნდა იყვეს შინაარსით სრულიად დამთავრებული; იგი უნდა იყოს მიმართული მხოლოდ ახლო მომავალის პრაქტიკულ მეცადინეობის განმარტებისაკენ.

III. აკადემიური თავისუფლება და მეცნიერების განვითარება.

ზევით გარკვეულია ის ძირითადი პრინციპები, რომელნიც ეხებიან სამეცნიერო ცოდნის გავრცელებას. ახლა გავარკვიოთ ის ძირითადი პრინციპი, რომელიც საფუძვლათ უდევს უნ—ტში მეცნიერების განვითარებას. ამ პრინციპს თავიდანვე შეადგენდა სრული თავისუფლება სამეცნიერო მოღვაწეობისა. დღეს აკადემიური თავისუფლება გაბატონებულია ყველა თავისუფალ სახელმწიფოების უნი—ტებში. რუსეთში კი მოიპოვებოდა მხოლოდ მისი ნასახი. რუსულ უნ—ტის კორპორაციული წყობილება ცოტად თუ ბევრად წააგავდა თვით რუსეთის სამეფო აგებულებას. უნივერსიტეტს პატრონობდნენ პროფესორები, რომელნიც ინიშნებოდნენ განათლების მინისტრისაგან. 1905 წელს უნივერსიტეტს მიეცა უფლება პროფესორების ამორჩევისა, მაგრამ ეს უფლება მალე იქმნა შელახული მინისტრ კასსოს მიერ. პროფესსორები ძველებურათ ინიშნებოდენ მთავრობის მიერ. პროფესორები შეადგენენ მხოლოდ ერთ მცირე ჯგუფს უნ—ტის მოღვაწეთა შორის. სამჯერ—ხუთჯერ მეტია საერთო რიცხვი პრივატ-დოცენტებისა, პროზეკტორებისა, ასისტენტებისა, ლაბორანტებისა და სხვა ეგრედ წოდებულ უმცროს სამეცნიერო მასწავლებელთა, ეს უმცროსი მასწავლებელნი ეწევიან იმავე შრომას, რასაც პროფესორები: უკანასკნელნი კითხულობენ მეცნიერებათა საზოგადო კურსებს, პრივატ-დოცენტები კიდე სხვა და სხვა სპეციალურ საგნებს, რომელნიც ასევე საჭირონი არიან სამეცნიერო ცოდნის შესაძენათ, როგორც საზოგადო კურსი. მომეტე-

ბული წილი ლაბორანტებისა, ასისტენტებისა და სხვათა ხელმძღვანელობენ სტუდენტების პრაქტიკულ მუშაობას. ამ პრაქტიკულ მუშაობას აქვს უმთავრესი მნიშვნელობა სტუდენტთაგან მეცნიერების შეთვისებაში. მართალია, ასისტენტები და სხ. იღებენ ამ ხელმძღვანელობის უფლებას პროფესორებისაგან და ამიტომ უკანასკნელნი ითვლებიან იურიდიული პასუხისმგებლათ უნ—ტის წინაშე. ფაქტიურათ კი პასუხისმგებლობას მეცნიერებისა და საზოგადოების წინაშე, რასაკვირველია, ეწევიან თვით ასისტენტები.

ამნაირად, ორივე სამეცნიერო მასწავლებელთა ჯგუფი ეწევა ერთგვარ საპასუხისმგებლო საქმეს. ყველა უფლებები კი უნივერსიტეტის ფარგლებში, მის სამოსწავლო და სამეცნიერო განვითარების საქმეებში, ეკუთვნის დღესაც მხოლოდ პროფესორებს. უმცროსი მასწავლებელნი მოკლებულნი არიან ყოველივე უფლებებს. ისინი უაპელაციოთ ემსახურებიან და ემორჩილებიან იმ პროფესორს, რომლის კათედრას ისინი ეკუთვნიან. პროფესორს აქვს უფლება და შეძლება სრულებით ვისიმე დაუკითხველათ გააძევოს უნ—ტიდან რომელიც გინდა მის კათედრასთან მყოფი უმცროსი მასწავლებელი. პრივ.-დოცენტები კითხულობენ იმ საგანს, რომელზედაც დათანხმდება პროფესორი და იმ მიმართულებით, რომელიც ემსახურება უკანასკნელის სურვილებს. მარტო ამ შემთხვევაში პრ.-დოცენტს შეუძლიან იმედი იქონიოს, რომ ექნება შესაფერი ადგილი ლაბორატორიაში, თუ კაბინეტში, რომ ისარგებლებს მათი ინვენტარით და მოსამსახურეებით. ასისტენტები არამც თუ ხელმძღვანელობენ სტუდენტებს პრაქტიკულ მუშაობაში პროფესორის ბრძანებით და ამასთანავე იმ პროგრამით, რომელიც მოწონებულია უკანასკნელისაგან, არამედ თითქმის ვალდებულნიც არიან ემსახურონ პროფესორს მის სამეცნიერო მუშაობის დროს. გარდა ამისა, ხშირად ისინი იძულებულნი არიან დაამუშავონ ის სამეცნიერო საკითხი, რომელიც პროფესორს ეინტერესება, და რომელიც შემდგომ პროფესორის სახელით იბეჭდება. მომეტებულ წილად ასისტენტები, ლაბორანტები და სხვა უმცროსი მასწავლებელნი ისეთნაირათ არიან დატვირთულნი პროფესორის მიერ სხვა და სხვა სავალდებულო სასწავლო თუ სამეცნიერო სამუშაოთი, რომ სრულებით არა აქვთ დრო და შეძლება აწარმოვონ სამეცნიერო მუშაობა თავის მისწრაფების, საკუთარი ნების და სურვილის მიხედვით. ყოველივე წინააღმდეგობა პროფესორისადმი შეუძლებელია. ასისტენტმა ან ყოველივე უნდა შეასრულოს, ან უნდა გავიდეს უნ—ტიდან.

პრივატ-დოცენტები, ასისტენტები და სხვანი ისევე დაინტერესებულნი არიან საუკეთესო პირობებში აწარმოვონ სამეცნიერო შრომა, როგორც პრო-

ფესორი. ყველა მათ ერთნაირად ეჭირვება კარგათ მოწყობილი ლაბორატორია თუ კაბინეტი, ყველა მათგანს უნდა ჰქონდეს საკუთარი სამუშაო ოთახი, შესაფერი ბიუდჟეტი, ერთნაირი უფლება მოსამსახურეთა სარგებლობისა. აწინდელი მდგომარეობა კი ასეთია: მთელი ლაბორატორია, მისი ავ-კარგი, მისი ბიუდჟეტი, ინვენტარი, მოსამსახურენი და სხვა მხოლოდ პროფესორის განკარგულებაშია. რასაც ის გაიმეტებს უმცროს თანამშრომელთათვის, უკანასკნელნი მხოლოდ იმას მიიღებენ და არა მეტს.

სრულიად სამართლიანად დაასკვნის ცნობილი აკადემიური პროფესიის თავისუფლების მებრძოლი ნიკ. კოლცოვი *), რომ რუსეთში აკადემიური პროფესია არ არის თავისუფალი: პროფესორი—მთავრობის მოსამსახურეა და ახალგაზრდა, დარჩენილი უნ-ტში სამეცნიერო მოღვაწეობისათვის მოსამზადებლათ, როგორც ლაბორანტები ასისტენტები და სხ. არიან ხელ-ქვეითნი ამ მოსამსახურესი (Къ университетскому вопросу. 1909).

უმცროს მეცნიერ მასწავლებელთა უუფლებობა უნივერსიტეტის ფარგლებში გაბატონებულია აგრეთვე სხვა სახელმწიფოებშიც. გერმანიაში, მაგალ. მათი მდგომარეობა თითქმის ისეთია, როგორიც რუსეთში. ამერიკის უნივერსიტეტებში მათ აქვთ ცოტა რამ უფლებები.

ამ სრულიად შეუფერებელ უუფლებობას უმცროს სამეცნიერო მოღვაწეთა რასაკვირველია დიდი გავლენა უნდა ჰქონოდა რუსეთის საუნივერსიტეტო საქმის და თვით მეცნიერების განვითარებაზედ. სამეცნიერო მოღვაწეობა ყველაზედ მეტად საჭიროებს თავისუფლებას. უამისოთ ეს მოღვაწეობა შეუძლებელია. აი ამიტომ არის, რომ უფრო ნიჭიერი და იდეური ახალგაზრდა გაურბის უნი—ტში სამეცნიერო მეცადინეობას, რადგან მას არ შეუძლიან შეიგუოს უთავისუფლო, თითქმის მონური მდგომარეობა, თვითნებობა და ბრძანებლობა ერთის ადამიანისა, უნდა მიიღოთ მხედველობაში, რომ ერთი წილი აწინდელ რუსეთის პროფესორებისა სრულიად უნიჭონი და უმეცარნი არიან, ბევრი მათგანი კიდე თვითნებიანი ან მოურიგებელი „ინტრიგანებია", ბევრია მათში შავრაზმელნიც, ოდესღაც მთავრობისაგან დანიშნულნი, და განა შეიძლება იდეურმა ახალგაზრდამ იკადროს ან შესძლოს იმათ ხელქვეით მუშაობა!

*) ნ. კოლცოვი დღეს მოღვაწეობს მოსკოვის სახალხო უნ—ტში შანიავსკის სახელობისა. ის წინეთ მოსკოვის უნ—ტის პრივატ-დოცენტი იყო. ამ პრივატ-დოცენტობის დროს ის გამოგდებულ იქმნა უნ—ტეტიდან მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ დაიმსახურა თავის პატრონის—პროფესორის სიმპატია. ეს მოხდა მიუხედავათ იმისა, რომ ნ. კოლცოვი უკვე მაშინ ითვლებოდა გამოჩენილ მეცნიერათ როგორც რუსეთს, ისე საზღვარ-გარეთ.

განა გასაკვირველია ამის შემდეგ, რომ რუსეთის უნ—ტში მეცნიერება ძლივს ლაფავს სულს, რომ მუდამ ათ-თორმეტ უნ—ტეტში ასამდე თავისუფალი კათედრაა!

ამნაირათ, **უნივერსიტეტში მოღვაწეთა სრული თავისუფლება, ყველა მათის სრული სწორ-უფლებიანობა წარმოადგენს ძირითად პრინციპს მეცნიერების განვითარებისთვის. ამ პრინციპის დასაცველათ უნ—ტში უნდა ბატონობდეს სრული და ჭეშმარიტი კოლეგიური წესწყობილება. ყველა სამეცნიერო მუშაკს, როგორც პროფესორს, ასევე ლაბორანტს და სხვათ უნდა ჰქონდეთ ერთი და იგივე უფლება უნ—ტის კოლეგიების მოქმედებაში. ყოველივე სამეცნიერო თუ სამოსწავლო საქმე უნდა ეკითხებოდეს ყოველივე მის წევრს.**

მეცნიერების განვითარების შემაფერხებელ პირობათ უნდა ჩაითვალოს აგრეთვე სამეცნიერო ხარისხის მიღების აუცილებლობა. აქნობამდის უხარისხოთ შეუძლებელია უნ—ტში კათედრის მიღება, უნ—ტის უფლებრივ წევრათ გახდომა. საექიმო ფაკულტეტზედ ერთი სამეცნიერო ხარისხია—დოქტორისა, სხვა ფაკულტეტებზედ კი ორი: მაღისტრისა და დოქტორისა. საექიმო ფაკულტეტზედ დოქტორის ხარისხის მისაღებათ და სხვა ფაკულტეტებზედ მაღისტრისა, საჭიროა მთელი რიგი გამოცდებისა, რომელთაც აბარებენ ფაკულტეტის სხდომაზედ. ამ გამოცდებს უნდება ორი-სამი წელიწადი. ახალგაზრდა მუშაკი, რომელმაც მხოლოდ იგემა ნაყოფი თავისუფალ სამეცნიერო შემოქმედებისა, უნდა მოსწყდეს რამდენიმე წელს სამეცნიერო შრომას. დღე და ღამე უნდა იჯდეს წიგნზედ და მთელი ეს დრო უნდა ატაროს უმაგალითო და განუწყვეტელ ღელვაში. მან უნდა დაწვრილებით შეისწავლოს მომეტებულ წილად მისთვის სრულიად გამოუსადეგარი საგნები, მხოლოდ იმისთვის, რომ ჩაბარების მეორე დღესვე საფუძვლიანათ დაივიწყოს. თუ რომ საერთოდ გამოცდები უსარგებლო რამ არის, სამაგისტრო და სადოქტორო გამოცდები ხომ ხშირად პირდაპირ მავნებელია: იმით მახინჯდება ადამიანის ნიჭი, ავათმყოფდება მისი ფსიხიკა. უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ ამ გამოცდების დროს ადამიანი უკვე აღწევს 25—35 წელს, რომ ის სწორედ იმ ასაკშია, როდესაც უფრო მეტად ღვივის შემოქმედების ძალა და განა გასაკვირველია, რომ ამნაირ პირობებში მთელი წლობით უაზრო წიგნური მეცადინეობა ბევრათ უფრო აუტანელი უნდა იყოს, ვინემ სხვა ყველა შემთხვევაში.

გამოცდების შემდგომ სამეცნიერო ხარისხის მისაღებათ საჭიროა დისერტაციის დაწერა და მისი საჯაროთ დაცვა. დისერტაციის შედგენა არ წარმოად-

გენს რამე შეუძლებელ სრულიად უნიჭო ადამიანისთვისაც კი. უმთავრესი ალაგი მასში უჭირავს სათანადო ლიტერატურის დაწვრილებით მოყვანას. მომეტებულ წილს რუსულ დისერტაციებისას სრულიად შეეფერება შემდეგი დახასიათება: „მასში ბევრი რამ ახალი და ბევრი მოსაწონია; მაგრამ ის, რაც მოსაწონია, ავტორს არ ეკუთვნის, და ის კი რაც ახალია ძლიერ ცუდია“. ამისთანა დისერტაციების საშუალებით სამეცნიერო ხარისხის მოპოვება ჩვეულებრივი მოვლენაა. ამისთვის საკმარისია, რომ ავტორს რომელიმე უნი—ტში ჰყავდეს მეგობარი ან ნაცნობი პროფესორთა შორის, რომელიც ითავებს დისერტაციის დადებითად დაფასებას ან ავტორის სახელის ფაკულტეტში დაცვას. ხანდისხან ფაკულტეტი არ უშვებს დისერტაციას დასაცველად, მაგრამ მომეტებულ წილათ ეს დამოკიდებული არ არის თვით დისერტაციის ნამდვილ ნაკლულევანობისაგან. სამართლიანად აღნიშნავს ნ. კოლცოვი, რომ ეს ხდება ხოლმე, როდესაც კრიტიკოსი სხვა მსოფლმხედველობისა არის, ვინემ ავტორი და ამიტომ სთვლის შრომას სამეცნიერო მნიშვნელობას მოკლებულათ. უფრო ხშირად უარის მოტივებს არაფერი დამოკიდებულება არა აქვს მეცნიერებასთან. ამასთან დამახასიათებელია, რომ ფაკულტეტის კრიტიკოსები გაურბიან პასუხისმგებლობას საზოგადოების აზრის წინაშე. მოტივებს არ აცნობებენ ავტორს, არც ბეჭდავენ და ხშირად, როგორც ნ. კოლცოვი იტყობინება, თვით ფაკულტეტის საქმეებშიაც არ მოიპოვებიან ისინი.

თვით დისერტაციის საჯაროთ დაცვას მხოლოდ დეკორატიული ხასიათი აქვს, რადგან ფაკულტეტი წინდაწინვე ანიჭებს ავტორს სამეცნიერო ხარისხს დახურულ კრებაზედ.

სამეცნიერო ხარისხების მინიჭების წინააღმდეგ ბევრი წერილია დაბეჭდილი. მისი წინააღმდეგი იყო, სხვათა შორის, მ. კოვალევსკი. და თუ აქნობამდის მისი გამართლება შეიძლებოდა იმ მოსაზრებით, რომ ააცდინონ უნ—ტი მინისტრისაგან სრულიად უვიც პროფესორების დანიშვნას, დღეს, როცა კათედრებზე პროფესორების მოწვევა მხოლოდ უნ—ტის შინაურ საქმეთ იქმნა მიჩნეული, ეს მოსაზრებაც კარგავს თავის მნიშვნელობას. მეოთხე აკადემიურ კავშირის ყრილობამ იქონია მსჯელობა როგორც სახარისხო გამოცდების, ასევე ხარისხების შესახებ. ერთი წილი ყრილობისა მოითხოვდა ხარისხების სრულიად გაუქმებას, მეორე კიდე სთვლიდა საჭიროდ ერთი ხარისხის დარჩენას ყველა ფაკულტეტებზედ. მიღებულ იქმნა კომპრომისული რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნულია საჭიროება სამაღისტრო და სადოქტორო გამოცდების სრულიად მოსპობისა და დარჩენა ერთი სამეცნიერო ხარისხისა. მხოლოდ

ამ ხარისხის მინიჭება უნდა განთავისუფლებულ იქმნას ყოველნაირ ფორმალურ მხარეებისგან. სამეცნიერო ხარისხები მიღებულია ასევე საზღვარ-გარეთ. ზოგან ორი ხარისხია, როგორც ამერიკაში ან საფრანგეთში, და ზოგან ერთი, მაგ. გერმანიაში. მაგრამ არსად, არც ერთ საბელმწიფოში სამეცნიერო ხარისხს არა აქვს მნიშვნელობა მისი მფლობელის სამეცნიერო მოღვაწეობის დაფასებაში. ყველგან თვით უმთავრესის დოქტორის ხარისხიც ითვლება მხოლოდ იმის მაჩვენელებლათ, რომ მისმა მფლობელმა გამოიჩინა სამეცნიერო შემოქმედების ნიჭი.

ამნაირათ, რადგან სახარისხო გამოცდები აცლიან ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკს სულ ცოტა ორ-სამ წელიწადს ყველაზედ უფრო შემომქმედ ასაკში, რადგან ამავე დროს მათ არამც თუ არ მოაქვთ რამე სარგებლობა, არამედ პირიქით ავნებენ ახალგაზრდა მეცნიერის ნიჭს, და რადგან თვით სამეცნიერო ხარისხი როგორც რუსეთს, ასევე საზღვარ-გარეთ არ არის ნამდვილი გამომხატველი მისი მქონეს სამეცნიერო მოღვაწეობისა, ამიტომ **მომამვალ უნივერსიტეტში როგორც სახარისხო გამოცდებს, ასევე სამეცნიერო ხარისხებს ალაგი სრულიად არ უნდა ჰქონდეს. მეცნიერების სწრაფი განვითარება შეიძლება მხოლოდ სრული თავისუფლების ნიადაგზედ, მხოლოდ ყოველივე მის შემზღუდავ პირობების მოსპობით. ყოველივე მეცნიერის მიწვევა ამა თუ იმ სამოსწავლო-სამეცნიერო თანამდებობაზედ უნდა სწყდებოდეს მის სამეცნიერო მოღვაწეობის დაფასებით.**

IV. უნივერსიტეტის ავტონომია.

რუსეთის უნივერსიტეტის მესვეურნი თვითმყრობელობის დროს ლამობდნენ უნ-ტისათვის ავტონომიის მოპოვებას. როგორც ეს სხვა სახელმწიფოებშია მიღებული, მათ უნდოდათ ყველა უნ—ტის საქმის გაძღოლა გადასულიყო პროფესორთა კორპორაციის ხელში. პირველმა რევოლიუციამ 1905 წელს მისცა უნ—ტს ეს ავტონომია. მაგრამ მინისტრ კასსოს დროს, რეაქციის გამეფების ხანას, უნ—ტმა დაკარგა იგი. მეორე დიდმა რევოლიუციამ ხელახლათ მიანიჭა უნ-ტს ეს ავტონომია და ამასთანავე უფრო სრული, ვინემ იყო წინანდელი.

ეხლა ვნახოთ, როგორ მოიხმარეს უნ—ტის პროფესორებმა ეს ავტონომია. მაგალითად ავიღებ ოდესის უნ—ტს. 1) მინისტრმა მანუილოვმა გადააყენა ყველა მთავრობისაგან დანიშნული პროფესორები და მიანდო უნ—ტს, როგორც

ავტონომია მოითხოვდა, მათ ადგილზედ არჩევნების მოხდენა. ოდესის უნ.—ში გადაყენებულ იქმნა ოცზედ მეტი პროფესორი. მაგრამ დარჩენილ მემარჯვენე პროფესორების უმრავლესობის წყალობით ყველა ეს გადაყენებული პროფესორები უკან მოიწვიეს გარდა ერთისა. მათ შორის დაუბრუნდა უნ—ტს ზოგიერთი სრულიად უნიჭო პირნი, რომელთაც მიიღეს პროფესორობა მხოლოდ ცნობილ შავრაზმელ რექტორის ლევაშოვის წყალობით. 2) მანუილოვის განკარგულებით ყველა ფაკულტეტზედ დაარსდა რამდენიმე საშტატო დოცენტის თანამდებობა. ფიზიკო-მათემატიკურმა ფაკულტეტმა აირჩია თითო თითო პრივატ-დოცენტი თვითეულ ახალ დოცენტის თანამდებობაზედ. მათ შორის სამი ებრაელი იყო. უნ—ტის საბჭომ მემარჯვენეთა უმრავლესობის წინდაწინვე შეთანხმებით დაამტკიცა ყველა კანდიდატები გარდა ებრაელებისა. თუმცა ეს უკანასკნელნი, როგორც მეცნიერნი, იდგნენ უფრო მაღლა, ვინემ სხვა საბჭოსაგან დამტკიცებულნი. ამ მხეცურ ანტისემიტობამ ააშფოთა მთელი ოდესის საზოგადოება. დაწყებული ქალაქის თვითმართველობიდან უკანასკნელ საშუალო სასწავლებლამდის ყველამ გამოიტანა საპროტესტო რეზოლიუცია. თვით უნ—ტის ფიზიკო-მათემატიკურმა ფაკულტეტმა გამოუცხადა პროტესტი უნ—ტის საბჭოს და დაადგინა საპროტესტო რეზოლიუცია გაეგზავნოს სამეცნიერო აკადემიას და ყველა უნ—ტებს. უნ—ტის შავრაზმელთა ბელადებმა ასეთი პასუხი გასცეს საზოგადოებას: უნ—ტმა მიიღო სრული ავტონომია; მას აქვს სრული უფლება როგორც გათეთრების, ისე გაშავების უნ—ტის თანამდებობაზედ წამოყენებულ კანდიდატისა. არჩევნები ხდება საიდუმლო ხმის მიცემით. მაშასადამე, მოტივები არა სჩანან. ამიტომ ყოველივე პროტესტი არჩევნების წინააღმდეგ უსაფუძვლოა, გარდა ამისა, იგი ძირს უთხრის უნ—ტის ავტონომიასო. ე. ი. ჩვენ იმას ვაკეთებთ უნ—ტში, რაცა გვსურს; ამაში საზოგადოებას საქმე არა აქვსო.

3) აი ერთი მაგ. კიდევ. პროფესორთა შორის ითვლებოდა ერთი ისეთი პირი, რომელიც ლევაშოვის დროს პროორექტორობდა. მას აბრალებდენ სტუდენტების გაცემას და სხვა შავრაზმულ მოქმედებას. 1917 წლის გაზაფხულიდან დაწყებული სტუდენტობა ღელავს: არ გვინდა ეგ ჩვენი ამხანაგების დამღუპველი, მოგვაშორეთ თავიდანო. ვინემ ეგ ითვლება უნ—ტში არ შეგვიძლიან დამშვიდებით მუშაობაო. გამოუცხადეს მას პოიკოტი. თხოულობენ მის მოადგილეს. საზოგადოებაც სტუდენტობას ემხრობა. პროფესორთა კორპორაცია კი სდუმს. თვითეული მათგანი გაიძახის, რა ჩვენი საქმეა ჩვენი წევრის განდევნაო. ამის გარდა ეს ალიაქოთი სულ ებრაელების საქმეაო!

ბოლოს ქალაქის კომისარი ჩაერია ამ ბრძოლაში და აიძულა ეს პროფესორი ძალდატანების თავიდან ასაცდენათ დროებით მაინც თავი დაენებებინა ლექციების კითხვისათვის. დღესაც იგი პროფესორათ ითვლება. ესწრება ფაკულტეტის და საბჭოს სხდომებს. ლექციებს კი არ კითხულობს, რადგან აქნობამდის გრძელდება სტუდენტობისაგან გამოცხადებული ბოიკოტი. აი, მაგალითები, როგორ მოიხმარა სრული ავტონომია პროფესსორთა კორპორაციამ? ეს მაგალითები მოვიყვანე მხოლოდ იმიტომ, რომ დამენახვებინა, რომ თავის თავად ავტონომია არ წარმოადგენ იმ ძალას, რომელსაც შეუძლიან შეზღუდოს ყოველივე აკადემიური ინტერესების შელახვა პარტიული თუ სხვა ბრძოლის სახით.

ამ რევოლიუციის წინ ავტონომიის იდეას რუსეთში ჰქონდა დიდი მნიშვნელობა: იგი ითვლებოდა საშუალებათ მთავრობის თვითნებობისაგან დასაფარავად. დღეს კი, სხვა და სხვა ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე არსებულ დემოკრატიულ სახელმწიფოებში, სადაც კი ხალხის მართვა-გამგეობა ხალხისვე ხელში გადავიდა, ავტონომიამ ვისგან უნდა დაიფაროს უნ—ტი? საზოგადოებისაგან? აი, ოდესის უნ—ტმა დაგვანახა, რომ ავტონომია შეიძლება გარდაიქცეს პროფესორების ხელში საბრძოლველ იარაღათ პირადი თუ პარტიული ინტერესების დასაცველათ.

ასეთნაირი ავტონომიური მდგომარეობა უნ—ტისა უეჭველია უნდა ჩაითვალოს არა ნორმალურათ. უნ—ტი, როგორც ცოდნათა განვითარების და გავრცელების ცენტრი, უნდა ემსახურებოდეს იმ მხარის ეკონომიურ და კულტურულ ინტერესებს, სადაც იგი არსებობს. უკვე რევოლიუციის პირველ დღეებში პროლეტარიატის კულტურულ წინმსვლელობის ბელადის—მაქსიმ გორკის თაოსნობით შესდგა საორგანიზაციო კომიტეტი თავისუფალ ასოციაციისა, რომელსაც მიზნათ აქვს დასახული ხელი შეუწყოს მეცნიერების განვითარებას და გავრცელებას ფართო მასსაში. იმ საჯარო კრებაზედ ორგანიზაციულ კომიტეტისა, რომელიც შესდგა პეტროგრადს 1917 წლის 9 აპრილს, როგორც მ. გორკი და ცნობილი სოციალისტი ინტერნაციონალისტი სუხანოვი, აგრეთვე გამოჩენილი წარმომადგენელნი მეცნიერებისა, როგორც მათემატიკოსი სტეკლოვი, ფიზიოლოგი პავლოვი, ქიმიკოსი ჩუგავი—ყველა ერთხმად ამტკიცებდა, რომ მეცნიერების, მხოლოდ მეცნიერების საშუალებით რუსეთს შეუძლიან მიაღწიოს დიდებულ ბრწყინვალე მომავალს. სუხანოვმა მისალმების დროს პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს სახელით სხვათა შორის მიმართა კომიტეტის მეცნიერთა წევრთ და განაცხადა,

რომ მომავალი ეკუთვნის არა პოლიტიკურ ან საზოგადო მოღვაწეთ, არამედ მეცნიერების მუშაკთო.

ამნაირათ, დღეს საზოგადო აზრათ არის გადაქცეული ის ჭეშმარიტება, რომ ბრწყინვალე ეკონომიური და კულტურული მომავლის მიღწევა შეიძლება მხოლოდ მეცნიერების ჯზით.

აბა ეხლა ვიკითხოთ: განა შეიძლება, რომ უნ—ტი წარმოადგენდეს სრულიად დამოუკიდებელ დაწესებულებას, რომ მისი კორპორაცია განაგებდეს მას სრულიად თავის ნებაზედ? არა, არ შეიძლება. ჯერ ერთი, უნ—ტის ნივთიერი კეთილ-დღეობა სრულებით დამოკიდებული იქნება საზოგადო ნებისა და სურვილისაგან. მერმე, რამდენათ უნ—ტი ემსახურება არამც თუ მეცნიერების განვითარებას, არამედ აგრეთვე მის გავრცელებას, მისი მოქმედება არ შეიძლება იყოს მიზან-შეწონილი, თუ რომ იგი საზოგადოების ინტერესებს არ შეუფარდებს ამ მოქმედებას. მე მგონია, აღნიშნული გარემოებანი საკმარისად გვიჩვენებენ, რომ უნ—ტის ავტონომია უნდა სწარმოებდეს იმისთანა პრინციპებზედ, რომ არავითარ განხეთქილებას უნ—ტის და საზოგადოების შორის ადგილი არ ქონდეს, რომ უნ—ტი მუდამ საზოგადო ინტერესებს ემსახურებოდეს.

ამ მიზნის მისაღწევათ მე საჭიროთ ვსთვლი, რომ **უმაღლესი მმართველი უნ—ტისა იყოს განსაკუთრებული საბჭო, რომელშიაც ერთი წილი წევრთა უნ—ტის მუშაკთა წარმომადგენელნი იქნებიან და მეორე ნაწილი საზოგადოებისა. უნ—ტის მხრით უნდა შედიოდეს წარმომადგენელნი, როგორც ყველა ფაკულტეტის მეცნიერ მოღვაწეთა, აგრეთვე ყველა ფაკულტეტების სტუდენტებისა. საზოგადოების მხრით უნდა შედიოდეს ამ სამზრუნველო საბჭოში ერობის, სახალხო განათლების უწყების და ყველა ადგილობრივი სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენელნი. საბჭოს უნდა ექვემდებარებოდეს ყველა მთავარი საკითხები უნ—ტის ნივთიერ მდგომარეობის შესახებ და ყველა მთავარი საკითხები მეცნიერების გავრცელებისა.** რაც შეეხება მეცნიერების განვითარების საქმეს, ეს რასაკვირველია სრულიად უაპელაციოთ უნდა ეკუთვნოდეს უნ—ტის მეცნიერთა კორპორაციას. **მხოლოდ** ამ მხრით იგი სრულიად დამოუკიდებელი უნდა იყოს.

მაგრამ უნ-ტის ეს ავტონომიაც ნამდვილ სამეცნიერო საკითხებში უნდა იქმნეს მიზან-შეწონილი, და არა ისეთი, როგორიც დღეს არსებობს. მაგ., დღეს ფაკულტეტი თავისუფალი არ არის წმინდა საფაკულტეტო საქმეში,

როგორც, მაგ., პროფესორის არჩევა თავისუფალ კათედრაზედ. ფაკულტეტი ირჩევს მხოლოდ კანდიდატს, მისი საბოლოო არჩევა კიდევ დამოკიდებულია უნ—ტის საბჭოსაგან—ყველა ფაკულტეტთა პროფესორების კრებისაგან. ასე რომ სპეციალისტთა კრება—ფაკულტეტი, ასახელებს რომელიმე პირს ღირსად კათედრაზედ მიწვევისა, მისი სამეცნიერო მოღვაწეობის დაფასების შემდგომ, საბოლოო არჩევნები კი ხდება საბჭოში, სადაც უმრავლესობა სხვა ფაკულტეტს ეკუთვნის და არ შეუძლიან შეგნებულათ დააფასოს კანდიტატის მოღვაწეობა. ეს ორ-სართულიანი არჩევნები სრულებით უსაფუძვლოა და უნდა იქმნას მოსპობილი. პროფესორთა მოწვევა თავისუფალ კათედრაზე უნდა შეადგენდეს მხოლოდ ფაკულტეტის პრეროგატივას.

სხვათა შორის, ფაკულტეტს უნდა ეკუთნოდეს სრული უფლება ახალ კათედრების დაარსებისა, ან ერთი კათედრის გაყოფისა ორათ, ან, პირიქით, ორი კათედრის შეერთებისა. ყველა ფაკულტეტს უნდა ჰქონდეს საკუთარი ბიუდჟეტი, რომელიც ენიშნება სამზრუნველო საბჭოს მიერ. ამ ბიუდჟეტის დახარჯვაში ის ანგარიშს უნდა აძლევდეს ამავე საბჭოს.

დღეს ფაკულტეტის სხდომებს ესწრებიან გარდამწყვეტი ხმით ყველა ფაკულტეტის პროფესორები და ასევე, მინისტრ მანუილოვის დროს გამოცემულ კანონით, ყველა დოცენტები და ზოგიერთი პრივატ-დოცენტები და ასისტენტები. ეს მანუილოვის კანონი სრულებით უპრინციპო რამ არის. იგი აძლევს უმცროს სამეცნიერო მუშაკთ უფლებას ფაკულტეტის საქმეებში მონაწილეობის მიღებისა იმის მიხედვით, თუ რამდენი წელიწადი უმსახურნია, რამდენს საათს დღეში მუშაობს უნ—ტეტში, აქვს თუ არა სამაგისტრო გამოცდები ჩაბარებული, აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი. ამნაირათ ეს კანონი აძლევს უფლებას უმცროს მეცნიერ მასწავლებელს არა მის სამეცნიერო მოღვაწეობის საერთო დაფასებით, არამედ მის სხვა და სხვა გარეგნულ შემთხვევითი გარემოების საფუძველზედ. **მომავალ უნ—ტეტში, რასაკვირველია, ფაკულტეტის სრულ-უფლებიან წევრებათ უნდა ითვლებოდნენ ყველა ის პირნი, რომელნიც დაუშვა ფაკულტეტმა უნ—ტეტში სამეცნიერო-სამოსწავლო მოღვაწეობისათვის. თვით გაყოფა უმცროს და უფროს მასწავლებლებზედ უნდა მოსპობილ იქმნას. პროფესორის სახელი უნდა ეძლეოდეს ყოველივე სამეცნიერო მასწავლებელს, მიუხედავათ იმისა, თუ რამდენათ მეტი ან ნაკლები საპასუხისმგებლო თანამდებობა უჭირავს მას.**

გარდა ამისა, მეცნიერების თავისუფლათ განვითარების პირობების გასაუმჯობესებლათ **უნ—ტეტის ავტონომიურ ერთეულად უნდა მიჩნეულ იქმნას**

ფაკულტეტი კი არა, არამედ ლაბორატორიის, კაბინეტების და სხვა ყველა განცალკევებულ სამეცნიერო დაწესებულებების კოლეგიები. ყველა ამ დაწესებულებებში უფროსი წარმომადგენელი კოლეგიებისაგან დროებით არჩეული პირი უნდა იყოს. თვითეულ დაწესებულების ბიუდჟეტის განაწილება, აგრეთვე ყველა მისი სამოსწავლო და სამეცნიერო საზოგადო საქმენი ამ კოლეგიას უნდა ეკითხებოდეს. კოლეგია უნდა აძლევდეს ანგარიშს ყველა თავის სამოსწავლო მოქმედებაში პირდაპირ აღნიშნულ სამზრუნველო საბჭოს, მხოლოდ თავის სამეცნიერო მოღვაწეობაში ის უნდა პასუხს აგებდეს ფაკულტეტის წინაშე. ამნაირათ, უნდა მოსპობილ იქმნას აწინდელი არა ნორმალური, მეცნიერების განვითარებისათვის პირდაპირ საწინააღმდეგო დებულება, რომლითაც კაბინეტის, ლაბორატორიის და ყველა სამეცნიერო დაწესებულებათა ბატონ-პატრონათ ითვლება ერთი პირი—პროფესორი, დანარჩენი მოქმედი ძალები კი ამ დაწესებულებისა ყველა მათ სამეცნიერო და სამოსწავლო მოქმედებაში სრულებით მის კეთილ სურვილზედ არიან დამოკიდებული. შეოთხე აკადემიურ ყრილობამ, ჩემი მოხსენების თანახმათ, საჭიროთ სცნო ასეთი რეფორმა. მან გამოიტანა შესაფერისი რეზოლიუცია.

რუსეთში უნ—ტეტის საბჭოს დღეს შეადგენს მხოლოდ პროფესორთა კრება. მას შეუძლიან დაესწრონ, ახალი კანონით, ფაკულტეტის უფლებიანი წევრები უმცროს მასწავლებლებიდან, მაგრამ მხოლოდ სათათბირო ხმით. ამ საბჭოს ეკუთვნის ყველა უმაღლესი უფლებები სამეცნიერო, სამოსწავლო და საადმინისტრაციო საკითხების გადაწყვეტაში. ეს დაწესებულება საჭიროებს ძირიანათ შეცვლას. თუ ყოველი სამეურნეო და სამოსწავლო საკითხების გარდაწყვეტის უფლება უნდა ეკუთნოდეს ზემოაღნიშნულ სამზრუნველო საბჭოს, ეს უფლება, რასაკვირველია, არ შეიძლება ეკუთნოდეს იმავე დროს უნ—ტეტის საბჭოსაც. ზემოთ იყო აღნიშნული, რომ ყოველივე უმთავრესი სამეცნიერო საკითხები უნდა საბოლოოთ სწყდებოდეს სათანადო ფაკულტეტში. მაშასადამე, უმთავრესი სამეცნიერო საკითხების გადაწყვეტის უფლებაც საბჭოს არ უნდა ჰქონდეს. დარჩა მხოლოდ უმთავრესი ადმინისტრატიული საკითხები, როგორც, მაგ., უნ—ტის საერთო წარმომადგენელის—რექტორის და მისი თანაშემწეთა არჩევა. მაგრამ ამ წარმომადგენლების ასარჩევათ აწინდელი საბჭოს შემადგენლობა საკმარისი არ არის. რექტორი არის წარმომადგენელი მთელი უნ—ტისა, ყველა მათი კორპორაციებისა, როგორც სამეცნიერო მოსწავლეთა, ასევე მათი მოწაფეთა—სტუდენტობისა. ლოგიკა მოითხოვს, რომ რექტორის არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ ყველა იმ

კორპორაციებმა, რომლების წარმომადგენლათ რექტორი ითვლება. ლოლიკის გარდა თვით ცხოვრებაც მედგრათ მოითხოვს ამას. მოვიყვან ორიოდე მაგალითს: კიევის უნ—ტში ამ რევოლიუციის დაწყებისთანავე სტუდენტები მოითხოვდნენ რექტორის ციტოვიჩის გადაყენებას და სხვის ამორჩევას. ციტოვიჩი თავის-თავად გადადგა. მაგრამ პროფესორებმა ხელ-ახლად აირჩიეს ის. სტუდენტთა მოთხოვნილების შელახვას მოჰყვა უფრო აქტიური ზომები ციტოვიჩის წინააღმდეგ. იგი გამოაცხადეს რექტოროობიდან გადაყენებულათ და ძალით არ უშვებდენ უნ—ტის შენობაში.

ოდესის უნივერსიტეტში ამგვარივე მდგომარეობა იყო. სტუდენტობამ მოითხოვა ძველი რექტორის კიშენსკის გადაყენება და მათი კანდიდატის პროფ. ზანჩევსკის არჩევა. ეს პროფესორი იყო რექტორათ პირველ რევოლიუციის ხანაში და ისახელა თავი უნ—ტის ავტონომიის დაცვით. ამის მიზეზით ის იქმნა გამოგდებული უნ—ტიდან და მიცემული სასამართლოში. 1917 წელს ის დაუბრუნდა ოდესის უნ—ტეს თითქმის ავტომატიურათ მანუილოვის განკარგულებით. საბჭომ ეს კანდიდატი რექტორის თანამდებობაზე გააშავა. ამან დიდი აღელვება გამოიწვია სტუდენტობაში. რამდენიმე კრებაზედ მოლაპარაკების შემდეგ მან გამოიტანა გადაწყვეტილება: ამ საკითხში საბჭოს არ დაუთმოს. ყველა დანარჩენ კანდიდატზედ სტუდენტები უარს იყვენ. პროფესორებმაც ვერ გაბედეს თავისი კანდიდატი აერჩიათ რექტორათ. და ამნაირათ ერთი წლის განმავლობაში ოდესის უნ—ტი იყო ურექტოროთ. აწინდელ მდგომარეობის დამახასიათებლათ უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ მეორე სტუდენტების მოთხოვნილება, რომელიც ეხებოდა რექტორის თანაშემწეს—პრორექტორს, პროფესორებმა შეასრულეს. ძველი გადადგა და მის მაგიერ სტუდენტთა კანდიდატი იქმნა არჩეული.

რა დასკვნა შეიძლება გავაკეთოთ ამ ფაქტებიდან? ის, რომ **სტუდენტთა და ყველა მეცნიერ-მასწავლებელთა შეთანხმებულ და მშვიდობიან ურთიერთობისათვის აუცილებლათ საჭიროა, რომ ყველა უმაღლესი უნ—ტის წარმომადგენელთა არჩევნებში მონაწილეობას იღებდეს უნ—ტის ორივე კორპორაციის უმთავრესი შემადგენელი ნაწილები: ყველა მეცნიერ-მასწავლებელნი და სტუდენტობა.**

არამც თუ საადმინისტრაციო, არამედ ყველა უნ—ტის საზოგადო და საპოლიტიკო საკითხების გადაწყვეტაც უნდა ეკითხებოდეს უნ—ტეტის ამ ორ კორპორაციას. სტუდენტები ისევე სრულ-უფლებიანი შეგნებული მოქალაქენი არიან, როგორც მათი მასწავლებელნი. ამიტომ არ შეიძლება რომე-

ლიმე უნ—ტის კორპორაციის ნაწილმა გამოიტანოს რაიმე საერთო მნიშვნელობის გადაწყვეტილება უნ—ტის სახელით მეორე ნაწილის დაუკითხავათ. ამას მუდამ განხეთქილება შექმნდა უნ—ტის ამ უმთავრეს ძალებ შორის. მაგალითისთვის შორს არ წავალ. მარტში, რევოლიუციის დაწყების ჟამს, როცა ოდესის უნ—ტში სტუდენტობა და უმცროსი მასწავლებელნი სალამს უძღვნიდენ რევოლიუციისაგან წამოყენებულ დროებით მთავრობას, პროფესორთა კორპორაციამ საბჭოს სხდომაზედ მისალოცი დეპეშა გაუგზავნა უნ—ტის სახელით **ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძეს**! აქედან თავის-თავადა სჩანს, რომ რადგან უნ—ტის მასწავლებელნი და მოწაფენი შეადგენენ განუყოფელ ერთეულს, უნ—ტის საზოგადოებრივ ან პოლიტიკურ სახეს უნდა იძლეოდეს საერთოდ ამათი უმრავლესობა, და არა ერთი რომელიმე მცირე ჯგუფი.

ამნაირათ, **უნივერსიტეტის საბჭო აწინდელი სახით უნდა სრულიად გაუქმდეს. მისი სამოსწავლო და სამეურნეო ფუნქციები უნდა გადავიდეს სამზრუნველო საბჭოზედ, სამეცნიერო ფუნქციები კი უნდა ეკუთნოდეს ფაკულტეტებს, ხოლო მისი ადმინისტრატიული ფუნქციები უნდა ებარებოდეს უნ—ტის ორივე უმთავრეს ნაწილს: ყველა მეცნიერ-მასწავლებელთა და სტუდენტობის საერთო ან წარმომადგენლების კრებას.**

V. უნივერსიტეტის დემოკრატიზაცია.

სამართლიანად შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი უნ-ტი ყველგან, ყველა ქვეყნებში წარმოადგენს ნამდვილ ბურჟუაზიულ დაწესებულებას. მე ვამბობ: **ბურჟუაზიულ დაწესებულებას** არა იმიტომ, რომ თვით მეცნიერება, რომლის ბუდეთ უნ-ტი ითვლება, ბურჟუაზიულ რამეს წარმოადგენს, არამედ იმისთვის, რომ უნ-ტში ცოდნის მიღება შეუძლიანთ მხოლოდ იმ პირთ, რომელნიც ცოტად თუ ბევრად ქონებრივათ უზრუნველყოფილნი არიან, რომელთაც ამის გამო შეუძლიანთ ოთხი-ხუთი წელიწადი თავისუფლად იმეცადინონ უნ-ტში. ამისთანა მდგომარეობაში, რასაკვირველია, არის ბურჟუაზიულ კლასების ახალგაზდობა. პროლეტარიატის და გლეხთა დიდ უმრავლესობის შვილებს, რასაკვირველია, არა აქვთ დრო და შეძლება ამისათვის. ამის დაგვარათ მეცნიერების განვითარებას უძღვება მხოლოდ ერის უმცირესობა—ბურჟუაზია. სამეცნიერო მოქმედება თითქმის ბურჟუაზიის პრივილეგიას შეადგენს. ამასთანავე, როდესაც უმაღლესი განათლების მიღება თითქმის სავალდებულოა ბურჟუაზიის ახალგაზდობისთვის, პროლეტარია-

ტის და გლეხთა შორის ასეთი განათლებული პირი იშვიათი შემთხვევაა.

მართალია, ყველგან ყველა კულტურულ სახელმწიფოებში არსებობენ სახალხო უნ—ტები საკუთრივ ქალაქის მუშათა მეცნიერებისაკენ მისწრაფების დასაკმაყოფილებლათ. მაგრამ ყველამ კარგათ უწყის, რომ ეს უნ-ტები თავის შინაარსით საშუალო სასწავლებლებზედაც დაბლა დგანან, რომ იგინი წარმოადგენენ მხოლოდ უმაღლეს სასწავლებლის სუროროგატსა და კარიკატურას.

ამნაირათ **უნ-ტი უნდა სწარმოებდეს იმისთანა პირობებში, რომ ის მისაწდომი იყოს მშრომელ უმრავლესობისათვის**. აი ჩემის აზრით, როგორი უნდა იყვეს ეს პირობები: **1) პირველ ყოვლისა უნ—ტი ქონებრივათ სრულიად უზრუნველ-ყოფილი უნდა იყვეს სახელმწიფოს მიერ, 2) უნ-ტში მეცადინეობა მსურველთათვის ყოველ სფეროში უნდა იყოს უფასო, 3) ყველა ხელ-მოკლეს, საშუალო სასწავლებელში გადასახადიდან განთავისუფლებულს, უნდა ეძლეოდეს ადგილობრივ თვითმართველობისაგან ნივთიერი დახმარეობა უნ—ტეტში სწავლის დროს.**

უნდა შევითვისოთ ის აზრი, რომ რაც შეიძლება მცხოვრებთა მეტი წილის სამეცნიერო ცოდნით აღჭურვა დიადი საზოგადო საქმეა, რომ უამისოთ შეუძლებელია მივაღწიოთ საერთო ეკონომიურ და კულტურულ კეთილდღეობას. ამიტომ საერთო მოვალეობას შეადგენს, რაც შეიძლება მეტი ახალგაზდობა მივიზიდოთ უნ—ტში, რაც შეიძლება კარგი ცხოვრების პირობები მივცეთ მას სამეცნიერო ცოდნის შეძენისათვის.

ასეთნაირ უნ—ტის დემოკრატიზაციას მოყვება დიადი შედეგი თვით მეცნიერების განვითარებისთვის. დღევანდლამდის მეცნიერებას ემსახურებოდა ხალხის უმცირესობა—უმთავრესად შეძლებულ ბურჟუაზიულ კლასებიდან. მომავალში კი, თუ რომ ფართო საშუალება მიეცა ხალხის უმრავლესობას—მიწისა და ქარხნის მუშების შვილებს, მეცნიერების შეთვისებისათვის, მეცნიერებას დაუწყებს სამსახურს მთელი ერი, მთელი ერი მისცემს მას თავის ნიჭიერ შვილებს. ამას უთუოდ უნდა მოჰყვეს ისეთი სწრაფი მეცნიერების განვითარება, როგორიც არ ნახულა ჯერ არც ერთ კულტურულ სახელმწიფოში.

მომავალ უნ—ტის ძირითადი პრინციპის შესახებ მე მოვახსენე ზემოთ აღნიშნულ აკადემიურ ყრილობას 1917 წელს. ჩემგან დასახული მომავალ უნ—ტის ორგანიზაცია მთლად მოიწონა ყრილობის სოციალისტურმა ჯგუფმა, მოხუცთა და არასოციალისტთა უმრავლესობიდან კი ზოგი მტრულათ, ზოგიც ირონიულათ შეხვდა მას. ასეთნაირი გაყოფა აკადემიურ ყრილობისა ჩემ მოხსენების შესახებ მე მიმტკიცებს მხოლოდ ჩემი აზროვნების სამართლიანობას და მის განხორციელების აუცილებელ საჭიროებას.

VI. ქართული უნივერსიტეტის უმთავრესი საორგანიზაციო ნაბიჯები.

ქართული უნივერსიტეტი, რასაკვირველია, უნდა იყოს აშენებული იმ ძირითად პრინციპებზედ, რომელნიც ზევით ვსცანით აუცილებელ საჭიროებათ მეცნიერების თავისუფალ და სწრაფი განვითარებისთვის და მისი ნაყოფიერი გავრცელებისათვის ფართო მასსაში. მაგრამ ამ პრინციპების განხორციელება არ იქნება საკმარისი, თუ რომ ჩვენ მოვისურვებთ, რომ უნ—ტი თავიდანვე ნამდვილ მეცნიერების ცენტრათ იქცეს. ამისათვის საჭიროა ერთგვარი მიზანშეწონილი მოქმედება რამდენიმე უმთავრეს პრაქტიკულ საკითხებში.

ქართული უნ—ტი უკვე მეორე წელიწადია, რაც მოქმედებს. მაგრამ ეს მისი მოქმედება პრიმიტიულია და მცირე; შეიძლება ითქვას: რომ ქართული უნ—ტი დღესაც ისევ განუხორციელებელ იდეას წარმოადგენს. ქართულ უნივერსიტეტის შექმნა მეტათ ძნელი საქმეა, თუ იგი მართლაც მეცნიერების ბუდეთ იქნება, და არა ისეთი რამ დაწესებულება, როგორიც არის რუსეთის სხვა და სხვა ქალთა უმაღლესი სასწავლებელი, რომელნიც, სამართლიანათ შეიძლება ითქვას, წარმოადგენენ საშუალო სასწავლებლის პირდაპირ გაგრძელებას და არა მეცნიერების ცენტრებს. ქართულ უნ—ტის განხორციელებას უპირველესად ყოვლისა წინ გადაეღობება არა სიღარიბე. გოლლანდიაში ოთხიოდე მილიონ მცხოვრებზედ ითვლება ოთხი კარგათ ცნობილი მეცნიერების ისტორიაში უნ—ტი. რასაკვირველია, ქართველებს შეუძლია ნივთიერათ ასაზრდოვონ ერთი უნივერსიტეტი. უპირველესი სიძნელე ქართულ უნ—ტის განხორციელებისა ძევს რუსეთის ძველ უნ—ტების კონკურენციაში. ქართველი ახალგაზდობა დღემდის უფრო ეტანებოდა მოსკოვის და პეტროგრადის უნ—ტებს, რადგან ეს უნ—ბი ცნობილნი არიან თავის მეცნიერ-პროფესორთა შემადგენლობით. ეს ლტოლვილება რუსეთის სატახტო უნ—ტისკენ არ მოისპობა შემდეგშიაც. პირიქით, თავისუფალ დემოკრატიულ რუსეთში მეცნიერების განვითარება ერთი ორად იმატებს, მეცნიერთა სახელებიც უფრო ცნობილ იქმნებიან, მაშასადამე ეს უნ—ტები უფრო დიდს მიმზიდველ ძალას გამოიჩენენ. შეიძლება ითქვას მეტიც: თუ ქართული უნ—ტის დაარსება შაბლონიურათ მოხდა, მაშინ ქართულ უნ—ტს გაუწევენ კონკურენციას არამც თუ სატახტო ქალაქების უნ—ტები, არამედ ყველა ძველი პროვინციელი უნ—ბიც. არავითარი პატრიოტული ქადაგება აქ საქმეს არ უშველის. ქართველი ახალგაზდობა, ნამდვილ მეცნიერებას მოწყურვებული, არ ამჯობინებს პატრიოტიული მოსაზრებით ქართულ უნ—ტს, როცა მას თავისუფალი გზა ექნება გახს-

ნილი რუსეთის ძველ სამეცნიერო ცენტრებისკენ. ამისთანა საქციელი ქართველ ახალგაზდობისა სრულიადაც არ იქნება მიმართული ქართველ ერის ინტერესების წინააღმდეგ. მეცნიერება ინტერნაციონალურია. გარდა ამისა, რაც უფრო უკეთეს უნ—ტში იმეცადინებს ჩვენი ახალგაზდობა, იმდენათ მეტ ცოდნას და გამოცდილებას მიიღებს, მაშასადამე, იმდენათ მეტს სარგებლობას მოუტანს იმ მხარეს, სადაც იგი იმოქმედებს.

ჩვენს უმთავრეს საკითხს შეადგენს, თუ რა ღონის ძიებანი უნდა მივიღოთ, რომ ქართული უნ-ტი ამ თავიდანვე მეცნიერების ცენტრათ შეიქმნეს.

უპირველეს საჭიროებას წარმოადგენს ის, რომ **ქართული უნ — ტის კათედრებზედ მეცნიერთა მოწვევის დროს ხელმძღვანელობდნენ უმთავრესად სამეცნიერო მოღვაწეობის დაფასებით და მხოლოდ შემდგომ მისი გვარ-ტომობით.** დიდი უაზრო შეცდომას ჩაიდენენ ქართველი ერის ეკონომიურ და კულტურულ განვითარების წინაშე უნ—ტის მესვეურნი, თუ რომ სხვაგვარ მოიქცევიან: ე. ი. თუ ჯერ გვარ-ტომობას იკითხავენ, ან მეტადრე, თუ მხოლოდ ამ გვარ-ტომობას მიაქცევენ ყურადღებას. ადვილად შესაძლებელია, რომ არ მოიპოვება ქართველთა შორის ყველა დარგში მომუშავე მეცნიერნი. მაშასადამე, ძალაუნებურათ ერთი წილი კათედრებისა უნდა დაიჭიროონ სხვა ტომის პირებმა. მაგრამ იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც რომელიმე დარგში მოიპოვება ქართველი მეცნიერი, მისი მოწვევა სათანადო კათედრაზედ არ უნდა ხდებოდეს უკონკურსოთ. ჩემის ღრმა რწმენით, გამოჩენილ სხვა ტომის მეცნიერს უფრო მეტი სამსახური შეუძლია გაუწიოს ქართველ ერს ქართულ უნ—ტში მოქმედებით, ვინემ დაბალ ხარისხის ქართველ სამეცნიერო მუშაკს. ზოგიერთნი იტყვიან, რომ თუ ასე მოვიქეცით, მაშინ რუსული ენა გაბატონდება ქართულ უნ—ტშიო. მხოლოდ თავის მოტყუება იქნება, თუ თავიდანვე ქართულ უნ—ტში მოვისურვებთ ქართულ ენის გაბატონებას. პირველ ხანაში ეს სრულიად შეუძლებელი იქნება საბუნებისმეტყველო და სამკურნალო ფაკულტეტებზედ. სხვა ფაკულტეტებზედ შეიძლება ქართულ ენას ეჭიროს პირველი ალაგი. რატომ? იმიტომ რომ საბუნებისმეტყველო და სამკურნალო მეცნიერება აქნობამდის ქართულ ენაზედ არ მუშავდებოდა და შეუძლებელია საჭირო სამეცნიერო ენა შემუშავდეს ერთი ხელის დაკვრით. აქ დაგვჭირდება დიდი და ხანგრძლივი მუშაობა. იმიტომ, რომ ქართულ ენაზედ, არამც თუ საჭირო საბუნებისმეტყველო და სამკურნალო შრომანი არ არსებობენ, არამედ არ არის არც ერთი სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის. მაშასადამე, პირველ ხანაში როგორც უნ—ტის ქართველ მასწავლებლებმა, ისე სტუ-

დენტებმა ძალაუნებურათ უნდა ისარგებლონ რუსული ენით.

ქართულ უნ—ტში რუსული ენის ხმარება, როცა მას აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, ქართველ ერისათვის არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს. რუსული ენის ხმარება სულაც არ შეუშლის ხელს ქართულ უნ—ტს, ემსახუროს ქართველ ერს.

შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხი ქართულ უნ—ტის დაარსების დროს იქნება **ყველა სამეცნიერო დაწესებულებათათვის საჭირო სადგომის აღმოჩენა და მათი სათანადო შეიარაღება**. არ შეიძლება ასეთ გზას დავადგეთ: წელს მოვიპოვოთ ცოტა რამ ყველა კაბინეტების და ლაბორატორიებისთვის, შემდეგ წელს კიდევ ცოტა რამ და ასე სულ ცოტ-ცოტაობით. ეს გზა უნდა უკუგდებულ იქმნას. რაც გინდა დიდი პატრიოტი იყოს ის ქართველი მეცნიერი, რომელიც პრინციპიალურათ დათანხმდება ქართულ უნ—ტში იმოქმედოს, ის მაინც არ მოინდომებს აქ გამოსვლას, ვინემ მას არ მისცემენ პირობას, რომ უზრუნველჰყოფენ კაბინეტის თუ ლაბორატორიის ყველა აუცილებელ მოთხოვნილების დაკმაყოფილებით, ე. ი. ვინემ მას არ მისცემენ შეძლებას მოაწყოს თავისი კაბინეტი თუ ლაბორატორია ისე, როგორც მისი სამოსწავლო და სამეცნიერო ინტერესები მოითხოვენ. სტუდენტობის პრაქტიკული მეცადინეობის თვისება დიდათ დამოკიდებულია სამეცნიერო დაწესებულებათა სათანადო შეიარაღებისაგან. რაც უფრო კარგათ, ფართოდ იქნება კაბინეტი ან ლაბორატორია მოწყობილი, მით მეტს პრაქტიკულ ცოდნას მისცემს ის მასში მომუშავე სტუდენტობას, მით უფრო ადვილი იქნება მეცნიერ-მასწავლებლისათვის სტუდენტების ხელმძღვანელობა. მაშასადამე, როგორც მასწავლებელნი, ასევე მოწაფენი, პირდაპირ დაინტერესებულნი არიან, რომ კაბინეტების და ლაბორატორიების სრული შეიარაღება მოხდეს სათანადო კურსის გახსნამდე.

მესამე მთავარი საკითხი არის **სამეცნიერო ბიბლიოთეკის შეძენა**. ეს საკითხიც მეტათ დიდია. არავითარი სისტემატიური სამეცნიერო მუშაობა არ შეიძლება, თუ ხელთ არ არის შესაფერი ბიბლიოთეკა. უპირველესად ყოვლისა მასში უნდა მოიპოვებოდეს ყოველივე დარგის პერიოდიული ჟურნალები უთუოდ მათი დაარსებიდან. ეს საქმე ისე ადვილი არ არის. ამას ბეჯითი ძებნა უნდა. ჯერ ერთი, **უნდა დაევალოს ყველა საზღვარ-გარეთ გაგზავნილ მეცნიერთ თავის დარგში საჭირო ჟურნალების მოძებნა;** ბერლინის, ლეიპციგის, პარიჟის და სხვა ქალაქების უმთავრეს ბუკინისტების წიგნთ-საწყობებში. მერმეთ, **უნდა არჩეულ იქმნას ცალკე კომისია, რომელსაც უნდა მიენდოს ყველა წინდაწინვე აღნუსხულ წიგნების და ჟურნალების მედ-**

გარი მოძებნა, როგორც სხვა ქალაქების ბუკინისტებთან, ასევე კომისიის წევრების სხვა და სხვა ქალაქებში და საზღვარ-გარეთ გაგზავნით.

ერთი სიტყვით, სამეცნიერო ბიბლიოთეკის საკითხი ძლიერ სერიოზულია. უნ—ტი, როგორც მეცნიერების ცენტრი, ვერ იმოქმედებს უამისოდ. არც ერთ მეცნიერებაში არ შეიძლება სისტემატიური მუშაობა, ვინემ ბიბლიოთეკა ცოტათ თუ ბევრათ შევსებული არ იქნება. ამიტომ არც დრო და შრომა, არც ფული არ უნდა დაიზოგოს მის თავის დროზედ მოსაპოვებლად.

აი, უმთავრესი პრაქტიკული ღონისძიებანი, რომელიც უნდა აუცილებლად მივიღოთ, რომ ქართული უნ—ტი თავიდანვე მეცნიერების ცენტრათ დაისახოს. მხოლოდ აღნიშნულ საკითხების სასურველი გადაჭრით შეიძლება უნ—ტმა იშოვოს საჭირო მეცნიერნი და მიიზიდოს უფრო ნიჭიერი, მეცნიერებას მოწყურვებული ახალგაზდობა. მხოლოდ მაშინ გამოიჩენს იგი იმ სამეცნიერო შემოქმედებითი საქმიანობას, რომელსაც დაჩქარებით მოითხოვს აწინდელი ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და კულტურული მდგომარეობა.

4

პ. ბოგვაბაშვილი.

კოოპერატიულ მოძრაობის

ისტორიიდან.

IV. პირველი საოპერაციო წელიწადი.

(ივნისი—დეკემბერი 1916 წ.)

(გაგრძელება *)

ამიერ-კავკასიის მომხმ. საზ. კავშირის რწმუნებულთა კრება დამთავრდა 16 მაისს. კავშირმა ფაქტიური მოქმედება დაიწყო 27 მაისიდან. ამ დროს კავშირში ჩაწერილი იყო 126 კოოპერატივი, რომლებსაც ქონდათ შეტანილი 6000 მანეთამდე საპაიო თანხა.

ფრიად რთულ და ძნელ ხანაში უხდებოდა კავშირს თავის მოქმედების დაწყება. ეკონომიურ ცხოვრების არევ დარევა და სასურსათო კრიზისი სწორედ ამ დროს უფრო და უფრო მწვავდებოდა. მცხოვრებთა უმრავლესობა დღითი დღე მიისწრაფოდა კოოპერატივებში და მოითხოვდა სასურსათო და პირველ საჭიროების საგნებით დაკმაყოფილებას. ყველა ამგვარივე მოთხოვნილებანი კოოპერატივებიდან თავს იყრიდა კავშირში. კავშირს უნდა დაეკმაყოფილებინა ყველა ეს მოთხოვნილებანი ერთის მხრივ, და მეორე მხრივ უნდა გაეწია ხელმძღვანელობა კოოპერატივებისთვის. უკვე აშკარა იყო თუ რა ძნელი სამუშაო ასპარეზი გადიშალა კავშირის წინაშე. ამავე დროს თვით კავშირის საორგანიზაციო მუშაობაც მოსაწყობი იყო და ამ გზაზედ კავშირის მესვეურთ არა ერთი და ორი დაბრკოლება (როგორც მაგალ. კანტორის და საწყობისათვის საჭირო ბინის შოვნა, მსახურთა შოვნა და სხვა და სხვა) გადაეღობა წინ. კავშირისათვის აუცილებლათ საჭირო იყო ისეთი ბინა, რომელიც ახლო უნდა ყოფილიყო რკ. გზის სადგურთან და რომელშიაც უნდა მოთავსებულიყო კანტორაც და საწყობიც, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა. იმ დროს არც კავშირს ქონდა ისეთი შეძლება, რომ საჭირო ფართო ბინა დაექირავებინა და არც შესაძლებელი იყო ამგვარი ბინის შოვნა. ამიტომ პირველად კავშირის კანტორამ შეაფარა თავი ტფილისის პირველ შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის ბინას (ვერის დაღმართზე), სადაც უკვე იყო საკანტორო მოწყობილობა, საწყობი კი მოთავსდა ერთ პატარა სარდაფში (ტატიანეს ქუჩაზე), რომლის წინა ნაწილში მოთავსებული იყო სახელოსნო დურგლისა. ასეთ პირობებში მოწყობილი საწყობი და კანტორა, რა თქმა უნდა, ძალიან აბრკოლებდა კავშირის მუშაობას; მაგრამ რა გაეწყობოდა, სხვა გზა არ იყო. მიუხედავათ ყველა ამ დაბრკოლებებისა კავშირი მაინც ენერგიულად შეუდგა მუშაობას.

*) იხ. „შვიდი მნათობი“ № 1.

უპირველესი საზრუნავი კავშირისა იყო სასურსათო საგნების (ფქვილის, სიმინდის, შაქრის და სხ.) მასსიური შეძენა. იმ მცირედი თანხებით, რომლებიც კავშირის განკარგულებაში იყო, რასაკვირველია, ყოვლად შეუძლებელი იყო ამ საქონლის შეძენა. ამიტომ კავშირი პირველ ხანებში უნდა დაკმაყოფილებულიყო საშუამავლო ოპერაციებით. ეს უფრო საჭირო იყო, მით უმეტეს, რომ სასურსათო საქმე ხელში ეჭირათ მთავრობის ორგანოებს, რომელთაც სასურსათო საქონლის შეძენა და გადატან-გადმოტანა მონოპოლიათ ქონდათ გადაქცეული. ამიტომ კავშირს ძალაუნებურათ უხდებოდა მხოლოდ შუამავლის როლის შესრულება. მრავალი შრომა და ენერგია იხარჯებოდა მხოლოდ იმაზედ, რომ გუბერნატორების, ქალაქის თვითმართველობების, სასურსათო საქმის რწმუნებულების და სხვების განკარგულებაში არსებული სასურსათო საგნები კავშირის საშუალებით განაწილებულიყო. აუარებელი მიწერ-მოწერა და სიარული სჭირდებოდა, რომ კავშირს განემარტებინა ყველა სათანადო ორგანოებისთვის თავისი მოწყობილი განმანაწილებელი აპარატის მნიშვნელობა და მათი საშუალებით სურსათის განაწილება გაეადვილებინა. ვინაიდან სურსათის განმანაწილებელი ორგანოები ყოველნაირად სცდილობდენ გვერდი აექციათ კავშირისთვის და თვით ცალკე კოოპერატივებიც არ იყვნენ მჭიდროთ შეკავშირებულნი კავშირში და ცალკე გამოდიოდნენ სურსათის შესაძენათ, კავშირს უხდებოდა ორ ფრონტზე მუშაობა; ერთის მხრივ კავშირი სცდილობდა მოეწყო შეთანხმებული მუშაობა სასურსათო ორგანოებთან და დაეჯერებინა უკანასკნელნი, რომ წვრილ წვრილად განაწილება სურსათისა მათთვის საჭირო არ არის, როდესაც არსებობს ცენტრალური კავშირი, მეორე მხრივ საჭირო იყო ფართო ორგანიზაციული მუშაობა თვით კოოპერატივებში. არა ნაკლები შრომის დახარჯვა იყო საჭირო, რომ კავშირს მიეღო ნებართვები სხვა და სხვა ადგილებში შეძენილ საქონლის გადმოსატანათ. მხოლოდ სასურსათო ორგანიზაციებისაგან შეძენილ საქონლით, რასაკვირველია, კავშირი ვერ დაკმაყოფილდებოდა. საჭირო იყო მრავალი სხვა საქონელი, რომლის შეძენა შეიძლებოდა უმთავრესად გარეშე ბაზრებზე. თუმცა გარეშე ბაზარზედ გასასვლელად საჭირო თანხების შოვნა კავშირისთვის ძნელი იყო, მაგრამ ამ დაბრკოლების გადალახვა შეიძლებოდა, რომ ყოფილიყო საშუალება შეძენილ საქონლის დაუბრკოლებლად მოტანისა.

მიუხედავათ მრავალი შრომისა და ენერგიის დახარჯვისა, ყოველგვარ მიღებულ ზომებისა, ათასგვარ აღძრულ შუამდგომლობებისა, დაწყებული კავკასიის მთავარმართებლიდან ადგილობრივ სასურსათო დაწესებულებამდე—

ყოველმა ცდამ პირველ ხანებში თითქმის უნაყოფოთ ჩაიარა და კავშირში ფართო ოპერაციების მოწყობა ვერ მოხერხდა.

ეს მოვლენა უმთავრესათ აიხსნება შემდეგი მიზეზებით: 1) კავშირს არ ქონდა საჭირო თანხები, 2) არ არსებობდა წესიერი მიმოსვლა და 3) უმთავრესი სასურსათო საგნები, როგორც მაგალითად, ფქვილი, სიმინდი, შაქარი და სხვა, ხელში ქონდათ დაჭერილი გუბერნატორებს, მრავალგვარ ჩინოვნიკებს და ქალაქის თვითმართველობებს, რომელნიც სრულებით არ იყვნენ კოოპერაციის განვითარებით დაინტერესებულნი და პირიქით მაზრის უფროსების და კერძო ვაჭრების საშუალებით სცდილობდენ, კოოპერატივები თავიდან ჩამოეშორებინათ ყოველგვარ სურსათის განაწილების დროს.

ამ გარეშე ობიექტიურ მიზეზების გარდა კავშირის მოქმედებას ასუსტებდა კავშირის შინაური მოუწყობლობაც. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირველად კავშირის უმთავრეს აღმასრულებელ ორგანოს შეადგენდა საზოგადოების მიერ არჩეული ორი გამგე, რომლებსაც მუდმივ ზედამხედველობას და წინამძღოლობას უწევდა ზედამხედველი საბჭო. იმის გარდა, რომ ეს ორი გამგე თითქმის ახლად იწყებდა ეკონომიურ ასპარეზზე მუშაობას და, მაშასადამე, არ იყვნენ დახელოვნებულნი პრაქტიკულათ რთულ ეკონომიურ საკითხებში, სამწუხაროთ, ზედ დაერთო კიდევ მათი საერთო საქმეებში შეუთანხმებელი მუშაობა. სამი თვის მათმა მუშაობამ ზედამხედველი საბჭო დაარწმუნა, რომ ასეთ პირობებში კავშირის მუშაობა ვერ იქნება დაყენებული შესაფერ ნიადაგზე და როგორც გამგეების მუშაობის შესათანხმებლათ, აგრეთვე მათ ხელმძღვანელათ საჭიროა მოწვევა პრაქტიკულ-გამოცდილ კოოპერატორისა. ამიტომ საბჭომ ოქტომბრის პირველ რიცხვებში გადასწყვიტა მესამე გამგის მოწვევა. მესამე გამგეთ დროებით საზოგადო კრებამდე მოწვეულ იქმნა პეტროგრადის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე კ. ი. შემიტოვი, რომელიც ცნობილი იყო, როგორც საუკეთესო მცოდნე კოოპერატორი და კოოპერაციაში დიდი ხნის ნამსახური. შემიტოვი შეუდგა თავის თანამდებობის ასრულებას დეკემბრის პირველ რიცხვებიდან და მის მუშაობის კვალი თუმცა უკვე დაემჩნია კავშირში, მაგრამ თავიდანვე შექმნილი უთანხმოება გამგეთა შორის მაინც სამუდამოთ ვერ მოისპო და ამრიგათ ეს მოვლენა ასე თუ ისე გავლენას ახდენდა კავშირის მოქმედებაზე. ზედამხედველი საბჭო დიდ დროს კარგავდა მხოლოდ იმაზე, რომ გამგეთა შორის დამყარებულიყო კოლეგიალური მუშაობა.

მაგრამ ამაო იყო ეს ცდა, ვინაიდგან თავიდანვე გამგეთა შორის ისეთი

განწყობილება დამყარდა, რომ მათი შეთანხმება შეუძლებელი ხდება. გარდა ამისა, გამგეთა ასეთი უმოქმედობა და შეუთანხმებლობა აიხსნებოდა იმ გარემოებითაც, რომ წესდებით მათი ფუნქციები სრულიად გაურკვეველი იყო და მათი აღმასრულებელი უფლებები განაწილებული იყო საბჭოს და მათ შორის. მაშინდელ საბჭოს ოქმებს თუ გადავავლებთ თვალს, ვნახავთ, რომ მთელი რიგი ოქმებისა ეხება წმინდა პრაქტიკულ და კავშირის ყოველდღიურ წვრილმალ კითხვებს. გამგეთ არ შეეძლოთ სულ უბრალო კითხვის (როგორც, მაგალითად: პარტიობით საქონლის შეძენა, ზოგიერთთა თანამშრომელთა დანიშვნა და სხვა) გადაჭრა. ამგვარად საბჭო წარმოადგენდა ერთგვარ გაფართოებულ გამგეობას, ხოლო მათი დადგენილების სისრულეში მომყვანნი კი გამგეები იყვნენ. ასეთი დამოკიდებულება საბჭოს და გამგეთა შორის კავშირის მუშაობაში ძალაუნებურად იწვევდა მრავალ დაბრკოლებებს და საქმეს აფერხებდა. ამიტომ კავშირის პრაქტიკულმა ცხოვრებამ ნათლად დაანახვა საბჭოს, რომ საჭიროა წესდების შეცვლა, რაც შემდეგში შესრულებულ იქმნა.

ყველა ამ მიზეზებთან ერთად კავშირის საქმეს აბრკოლებდა ის გარემოებაც, რომ პირველ ხანებში კავშირს არ ჰყავდა მომზადებული თანამშრომელნი.

ყველა ამ დაბრკოლებებთან ერთად კავშირს **5 ივლისს** დაატყდა დიდი უბედურება. ამ დღეს გაშმაგებულმა ბრბომ, რომელმაც იმ დღეებში ტფილისის მრავალი სასურსათო და სავაჭრო დაწესებულება დაანგრია და დაარბია, სულ მთლათ დაამსხვრია კავშირის საწყობი და **გაიტაცა 31,815** მან. საქონელი. ჩვენ არ შეუდგებით აქ დაწვრილებით გამოკვლევას, თუ რა მიზეზით იყო გამოწვეული საზოგადოთ სხვა და სხვა სავაჭრო დაწესებულებების დარბევა ბრბოს მიერ, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ მაშინდელი ადმინისტრაცია, კავშირის საწყობის დარბევის დროს, არამც თუ სცდილობდა საწყობის გადარჩენას, არამედ ხელს უწყობდა ბრბოს ამ საზიზღარ საქმის შესრულებაში.

ახალგაზრდა კავშირისათვის ასეთი ზარალი თითქმის მის მოქმედების მოსპობას უდრიდა. ამ ზარალით კავშირის მთელი სააღებ-მიცემო თანხა მოისპო. მაგრამ კავშირის მესვეურნი სასოწარკვეთილებას არ მიეცენ და მტკიცეთ დარწმუნებულნი კოოპერაციის ჭეშმარიტ პრინციპით, რომ „კოოპერაცია ძლიერია არა თავის თანხებით, არამედ თავის ორგანიზაციით და თავის წევრთა შეგნებული ურთიერთობით,“ გაორკეცებული ენერგიით შეუდგნენ საერთო სახალხო საქმის შენებას. 16 ივლისს ზედამხედველმა საბჭომ დაადგინა შემდეგი ზომების მიღება: ა) შუამდგომლობის აღძვრა უმაღლეს მმართველო-

ბასთან კავშირისთვის სუბსიდიის მიცემის შესახებ; ბ) ეთხოვოს ტფილისის ქალაქის თვითმართველობას და სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირის კავკასიის განყოფილებას უსარგებლო სესხი, გ) ეთხოვოს მთავრობას უსარგებლო სესხი, იმ შემთხვევაში თუ სუბსიდია არ იქნება მიცემული, დ) ეცნობოს მოკავშირე კოოპერატივებს, რომ მათ გააძლიერონ შესანახათ და ავანსათ ფულების მოწოდება კავშირში და ე) იმ შემთხვევაში, თუ ამ გზით ზარალი არ დაიფარება, წარედგინოს საზოგადო კრებას, რომ ზარალი განაწილდეს მოკავშირე ამხანაგობათა შორის. უმთავრესი იმედი, რასაკვირველია, დამყარებული იყო მოკავშირე ამხანაგობებზე ამიტომ საბჭომ შემდეგი მოწოდებით მიმართა მათ:

„ამხანაგებო!

ჩვენი პირველი სიტყვა თქვენდამი არის სიტყვა მწუხარებისა.

5—7 ივლისს ქ. ტფილისში მომხდარ უწესოების დროს ბრბომ, როგორც მოგეხსენებათ, არც კავშირის საწყობი დაინდო და დაარბია იგი. ზარალი კავშირისა უდრის 31,815 მან. და 36 კაპ.

ძლიერ კავშირისათვის და სხვანაირ პირობებში ასეთი ზარალი შეიძლება არც ისე მძიმე ყოფილიყო, მაგრამ ჩვენთვის იგი მეტად მძიმეა. სულ ორ თვეზე მეტი არ არის, რაც ამიერ-კავკასიის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირი დაარსდა. თავიდანვე მრავალი დაბრკოლებანი გადაეღობენ წინ იმის მოქმედებას: გაჭირდა კავშირის კანტორის და საწყობისათვის შესაფერი ბინის მოძებნა, გაჭირდა შოვნა შესაფერ და გამოცდილ მოსამსახურეთა შტატის; დაუძლეველი დაბრკოლებანი გადაეღობენ წინ კავშირის უპირველეს და უდიდეს მოვალეობას—სასურსათო საკითხის და საქონლის პარტიობით (ბითუმათ) შეძენის მოწესრიგებას. კავშირს დღემდის ერთი ფუთი საქონელიც კი ვერ შემოუტანია ტფილისში სხვა ადგილებიდან და დაკმაყოფილება ყველა მოკავშირე ამხანაგობათა—რომელთა რიცხვი ეხლა 150 აღემატება—აუარებელ მოთხოვნილებათა ტფილისის ბაზარზე შეძენილ საქონელით, რა თქმა უნდა, შეუძლებელია.

ამ მიზეზების გამო, რომელნიც, როგორც მოგეხსენებათ, უმთავრესად მიმდინარე საზოგადო ხასიათის მძიმე პირობებისაგან არის შექმნილი, კავშირი არამც თუ ვერ ასრულებს პირნათლად თავის მოვალეობას მოკავშირე ამხანაგობათა წინაშე, არამედ თვითონაც მოსალოდნელ შემოსავალს (მოგებას) არის მოკლებული. ხოლო სადაც აუცილებელ მოთხოვნილების დაკმაყოფილებაც კი არ ხერხდება, იქ მეტია, რასაკვირველია, საქმის გაფართოებაზე

ლაპარაკი. ამიტომ თავისთავის მოტყუება იქნებოდა, რომ ჩვენ პირდაპირ არ შევხედოთ შექმნილს გარემოებას და ვიფიქროთ, რომ მალე შევსძლებთ, თუ არსებული პირობები გაგრძელდა, თავზე დამტყდარ ზარალის მოგებიდან ანაზღაურებას.

17 ივლისს არა ჩვეულებრივი სხდომა ჰქონდა კავშირის საბჭოს. მან დაწვრილებით განიხილა ყოველივე გარემოება ზარალით გამოწვეული, განიხილა მოქმედება კავშირისა დღიდან დაარსებისა და მხედველობაში მიიღო ისიც, რომ საბჭოს უფლება ეძლევა იმ შემთხვევაში, როცა ზარალი კავშირისა იმის ძირითად თანხის ნახევარს აღემატება, წინადადება მისცეს რწმუნებულთა საზოგადო კრებას კავშირის ლიკვიდაციის (გაუქმების) შესახებ (§ 38 წესდებისა), **მაგრამ საბჭოს წევრნი და გამგენი ერთხმათ იმ დასკვნამდე მივიდენ, რომ ასეთ სასოწარკვეთილებისათვის არავითარი საბუთი არ არსებობს.**

კავშირის ხანმოკლე მოქმედების განხილვა იმას გვეუბნება, რომ საქმე თანდათან, დღითი დღე იზრდება. თუმცა საქონლის შემოტანა სჭირდა, მაგრამ გამგენი მაინც ახერხებდენ ტფილისშივე იმდენ საქონელის შეძენას, რომლის მიწოდება ამხანაგობათათვის ხარჯის დასაფარავ მოგებას თითქმის პირველ დღეებშივე აძლევდა კავშირს. ასე, დღიდან მოქმედების დაწყებისა პირველ აგვისტომდის კავშირს მიუწოდებია საქონელი ამხანაგობათათვის 98,072 მან.

გარდა იმ მოგებისა, რომელიც პირდაპირ რჩება კავშირს ამ ოპერაციით, ისიც უნდა ჩაითვალოს ჩვენი საზოგადო მოგებათ, რომ სოფლელ ამხანაგობათა წარმომადგენელნი კავშირის საშუალებით უფრო ადვილათ ახერხებენ იმ საქონლის შეძენას, რომელიც ტფილისის ბაზარზე მოიპოება, და ტფილისში ჩამოსასვლელად და დასარჩენათ იმდენი დრო და ხარჯი არ ეკარგებათ, რაც წინათ.

სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, თუ ამხანაგობანი შემდეგშიაც მხურვალეთ მოეკიდებიან კავშირს და ყოველივეს, რაც კავშირის საშუალებით შეიძინება, იმის გარეშე არ შეიძენენ, კავშირი მალე გამაგრდება და განვითარდება.

ანაზღაურება ზარალისა გარეშე პირთაგან შეუძლებლათ უნდა ჩაითვალოს, რადგან დამნაშავე არსადა სჩანს, მაგრამ რამდენათ შესაძლებელი იქნება საჩივრის აღძვრა კავშირი ამ გზასაც მიმართავს. ჯერ-ჯეროობით კი საბჭომ აუცილებელ საჭიროებათ სცნო: 1) მიმართოს მთავრობას და აგრეთვე ტფილისის ქალაქის გამგეობას და კავკასიის ქალაქთა კავშირს, რათა ესენი ან სუბსიდიით ან უსარგებლო სესხით დაეხმარონ კავშირს; 2) მიმართოს მოკავშირე

ამხანაგობათ, რათა იმათ ასესხონ კავშირს თავისუფალი ფული და, 3) თუ ამ ღონისძიებით არ მოხერხდა საქმის გამოკეთება, წინადადებით შევიდენ რწმუნებულთა მომავალ კრებაზე, რომ მოკავშირე ამხანაგობებმა ზარალი ურთიერთ შორის გაინაწილონ.

ამნაირათ, ჩვენ მოვალენი ვართ მივიღოთ ყოველივე ზომები ზარალის შესამსუბუქებლათ და ამასთანავე ღრმათა ვართ დარწმუნებული, რომ ამხანაგობანი არ მიიყვანენ კავშირს დაღუპვის კარამდის და, საჭირო თუ იქნა, ამ მოულოდნელ ზარალს გაინაწილებენ ურთიერთ შორის. მაგრამ უკანასკნელი სიტყვა ასეთ ზომის შესახებ თვით ამხანაგობათ, მათი რწმუნებულთა საზოგადო კრებას ეკუთვნის.

გაუწყებთ ყოველივე ამას და **დაბეჯითებით გთხოვთ**, ამხანაგებო, ხელი შეუწყოთ კავშირის საწარმოვო თანხის ზრდას. ამისათვის კი საჭიროა:

1) დაუყონებლივ შემოიტანოთ საწევრო (საპაიო) ფული იმათ, ვისაც იგი სავსებით ჯერაც არ შემოუტანიათ კავშირში;

2) ასესხოთ კავშირს თავისუფალი ფული, ვისაც შეგიძლიათ;

3) ყოველივე საქონელი, რისი შეძენაც კი შეიძლება კავშირში, აუცილებლათ იქ შეიძინოთ;

4) ფული დაბეჭდულ საქონლისა სრულათ გამოგზავნოთ და ნურას გზით ფასდადებით გამოგზავნილ საქონლის ფულს ნუ დააყოვნებთ, რამდენადაც მცირე არ უნდა იყოს იგი.

საბჭო გრძნობს და გულახდილათ აღიარებს, რომ ჯერ-ჯერობით ძლიერ ცოტაა კავშირის მიერ გაკეთებული მოკავშირე ამხანაგობათათვის. მაგრამ განვლილი დროის სიმოკლე და ის საშინელი პირობები, რომელშიაც კავშირს უხდება მოქმედება, უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ კავშირის მოქმედება, ჯერ კიდევ არ დაწყებულა წესიერათ, რომ იგი ჯერ კიდევ საორგანიზაციო ხანაშია და ამიტომ თანდათან იმის მოქმედებას სიცოცხლე უნდა დაეტყოს აწი.

პირველი ნაბიჯი პროვინციაში კავშირის სიცოცხლის ასამუშავებლათ საარაიონო განმანაწილებელ პუნქტების დაარსებაა. ხოლო ეს განმანაწილებელი პუნქტები საბჭოს ფართეთ აქვს წარმოდგენილი — ისინი ადგილობრივ რაიონის ამხანაგობათა ფაქტიურ შეკავშირებას უნდა წარმოადგენდენ და კავშირთან შეთანხმებით უნდა ეწეოდენ როგორც სავაჭრო, ისე არა სავაჭრო საკოოპერაციო მუშაობას. სრულიად დამოუკიდებელი და ისიც ამიერ-კავკასიის კავშირთან შეუთანხმებლათ ადგილობრივ მომხმარებელ საზოგადოებათა

დაარსება კი საბჭოს ჯერ-ჯეროობით როგორც ამიერ-კავკასიის კავშირისათვის, ისე ადგილობრივ საზოგადოებათა საზიანოთ მიაჩნია.

თვით ფორმას, დროს და ადგილს ამ სარაიონო პუნქტების აღორძინებისა თვითონ ადგილობრივი მოკავშირე საზოგადოებათა თათბირები გადასწყვეტენ. ამ თათბირების მოწყობის საქმეს გამგენი კავშირისა სამი კვირის წინ უნდა შესდგომოდენ კიდეც, რომ კავშირს ახალი უბედურება არ სწვეოდა: 21 ივლისს სიცოცხლეს გამოესალმა ჩვენი საუკეთესო თანამშრომელი, კავშირის ინსტრუქტორი გიორგი ლომთათიძე.

ხოლო მეორე ინსტრუქტორი ერთი კვირაა რაც თანამდებობის აღსრულებას შეუდგა და პირველი ნაბიჯი ზევით აღნიშნულ სამუშაოსკენ გადასდგა.

ამხანაგებო! თქვენ კოოპერატივებში მომუშავენი ხართ და კარგათ მოგეხსენებათ, რომ გზა კოოპერაციის მოქმედებისა ნარ-ეკლით არის მოფენილი. მაგრამ ჩვეულებრივ დაბრკოლებათა გარდა არა ჩვეულებრივი უბედურებანი თავს დაატყდა კავშირს. მისი მდგომარეობა ძლიერ მძიმეა, მაგრამ მაინც საიმედო. ჩვენ ღრმათა ვართ დარწმუნებული, რომ ჩვენებური მომხმარებელი საზოგადოებანი კავშირის ნამდვილი მეგობრები არიან და თავის მხურვალე თანაგრძნობით მას ძალას და ენერგიას შემატებენ.

ვეცადოთ ყოველივე ზომით, მაგრამ სხვისი იმედი ნუ გვექნება მაინც. თქვენი კავშირის საქმე თქვენს ხელში არის!"

ყოველმა ცდამ მთავრობისაგან სუბსიდიის, ან სესხის მიღების შესახებ უნაყოფოთ ჩაიარა, მხოლოთ ტფილისის ქალაქის თვითმართველობისაგან მიიღო კავშირმა დახმარება იმ სახით, რომ შეიძინა მისგან რამდენიმე ვაგონი შაქარი ნისიათ. ეს იყო გარეშე დახმარება. რასაკვირველია, ასეთი მცირედი გარეშე დახმარებით კავშირი ვერაფერს გააწყობდა, რომ თვით კოოპერატივები არ გამოხმაურებულიყვნენ კავშირის უბედურებაზე. ამ შემთხვევით მოვლენილმა უბედურებამ უფრო მჭიდროთ შეაკავშირა კოოპერატივები თავის ცენტრის გარშემო. სულ მცირე ხნის განმავლობაში მოკავშირე ამხანაგობების შემწეობით კავშირმა ხელახლა გამოძებნა საწარმოვო თანხები და მისი ოპერაციები არამც თუ არ შეჩერებულა, არამედ უფრო და უფრო განვითარების გზას დაადგა. ამავე დროს კოოპერატივები უფრო და უფრო რწმუნდებოდნენ კავშირის მნიშვნელობაში, ახალ ახალი წევრები მიილტვოდენ მისკენ და უყენებდნენ მას ახალ ახალ როგორც სავაჭრო, აგრეთვე იდეურ ხასიათის მოთხოვნილებებს. ეს თავის თავად იწვევდა კავშირის გავლენას კოოპერაციაზე და მის მოქმედების გაფართოვებას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კავშირმა მრავალი დაბრკოლებანი და დიდი სასოწარკვეთილების დღეებიც განიცადა, მაგრამ 7 თვის განმავლობაში, საოპერაციო წლის დამლევამდე, უკვე ასე თუ ისე მოაწყო თავისი სავაჭრო აპარატი და მცირე საწარმოვო თანხებით მოახერხა 641.359 მან. 09 კაპ. საქონლის გადატრიალება. ამ თანხიდან მოკავშირე ამხანაგობებში დატრიალდა 431.534 მან. 60 კ. საქონელი, რაც შეადგენს 67,2% და 209.824 მან. 49 კ. ე. ი. 32,8% სხვა და სხვა დაწესებულებებში. ამ ოპერაციებიდან კავშირს ქონდა მთელი ჯამი შემოსავლისა 30.215 მან. 46 კ. და ხარჯების (24.174 მ. 06 კ.) გამოკლებით დარჩა წმინდა მოგება 6.041 მან. 40 კ.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს თუ როგორ ვითარდებოდა კავშირის სავაჭრო და საკომისიო ოპერაციები.

ცხრილი № 1. საქონლის ჯუმლი (ობოროტი) ყოველთვიურათ.

თვეები	საწყობიდან გაცემული საქონელი		საკომისიო ოპერაციები		სულ	
	მან.	კ.	მან.	კ.	მან.	კ.
თიბათვე	45523	92	—	—	45523	92
მკათათვე	52161	01	—	—	52161	01
აგვისტო	48514	63	—	—	48514	63
სექტემბერი	88670	24	—	—	88670	24
ოქტომბერი	60917	56	3830	94	64748	50
ნოემბერი	119393	56	34392	95	153786	51
დეკემბერი	186354	42	1599	86	187954	28
	601535	34	39823	75	641359	09

ამ ცხილიდან ჩვენ ვხედავთ, რომ კავშირის ოპერაციები თვე და თვე იზრდებოდა. აგვისტოში თითქოს ცოტათ შეჩერებულა მისი ოპერაციები, რაც აიხსნება უკვე აღნიშნულ საწყობის დარბევით. სამაგიეროთ შემდეგ თვეებში ემჩნევა პროგრესიული ზრდა. ამ ცხრილიდანვე ჩვენ ვხედავთ, რომ საკამისიო ოპერაციები, რომელიც უნდა ყოფილიყო უმთავრესი საზრუნავი კავშირისა,

მხოლოთ ოქტომბრიდან იწყება და საერთო ჯამთან შედარებით 6, 21 % შეადგენენ. ამგვარათ კავშირი ექვსი თვის განმავლობაში უმთავრესად საწყობის ოპერაციებს აწარმოებდა. ამასთანავე უნდა მივიღოთ მხედველობაში ის გარემოებაც, რომ კავშირი უმთავრესად ტფილისის ბაზარზე იძენდა. რასაკვირველია, ასეთი ოპერაციებით კავშირი სავსებით ვერ დააკმაყოფილებდა მოკავშირე ამხანაგობებს. მიუხედავათ ამისა მოკავშირე კოოპერატივების რიცხვი დღითი დღე იზრდებოდა, ვინაიდან ყველა კოოპერატივი კავშირში ხედავდა ერთად ერთ ძალას, რომელიც ასე თუ ისე მფარველობდა და უხელმძღვანელებდა მას და იმედოვნებდა, რომ კოოპერაციის შეკავშირებული ძალა მომავალში უფრო ფრთებს გაშლიდა. ექვსი თვის განმავლობაში კავშირს 73 მოკავშირე კოოპერატივი მოემატა და 1916 წლის დამლევს კავშირში ჩაწერილ კოოპერატივთა რიცხვი უდრიდა 199. ამასთანავე იზრდებოდა აგრეთვე კოოპერატივების მიერ შეტანილი საპაიო თანხები. ექვსი თვის დამლევს კავშირს უკვე 38225 მ. 09 კ. საპაიო თანხა ქონდა.

თუ როგორ იზრდებოდა მოკავშირე კოოპერატივთა რიცხვი გუბერნიების მიხედვით, მათ მიერ შეტანილი თანხა, და როგორ ნაწილდებოდა მათ შორის კავშირის საქონელი გვიჩვენებს ქვემოთ მოყვანილი ცხრილი.

ცხრილი № 2. მოკავშირე ამხანაგობების დანაწილება გუბერნიებათ. მოკავშირე ამხანაგობების მიერ კავშირიდან წაღებული საქონლის განაწილება გუბერნიების მიხედვით.

გუბერნიები.	მოკავშირე ამხანაგ. რიცხვი	%% დამოკიდებ. საერთო რიცხვთან.	კავშირში მმყოფელ. მოკავშ. ამხან. რიცხვი.	%% დამოკიდებ. საერთო რიცხვთან.	მოკავშ. ამხან. მიერ კავშირში შეტანილი საპაიო თანხა.		%% დამოკიდებ. საერთო რიცხვთან.	საქონლის ჯუმლი		%% დამოკიდებ. საერთო რიცხვთან.	საშუალო ჯუმლი თითო კოოპერ—ზე.	
					მან.	კ.		მან.	კ.		მან.	კ.
1. ბაქოს გუბერნ.	1	0,5	—	—	100	—	0,2	—	—	—	—	—
2. ბათუმის „	3	1,5	—	—	1086	—	2,8	—	—	—	—	—
3. განჯის „	4	2,0	3	2,5	869	75	2,2	6054	20	1,3	2018	06
4. ყარსის ოლქი	5	2,5	4	3,5	850	—	2,2	6722	35	1,5	1680	59
5. ერევნის გუბ.	13	6,5	8	6,8	1748	75	4,6	25370	30	5,8	1951	56
6. ტფილის. „	83	41,7	64	54,8	23753	84	62,2	356694	99	82,7	5573	37
7. ქუთაისის „	90	45,3	38	32,5	9816	75	25,8	36692	76	8,7	935	60
სულ	199	100	117	100	38225	09	100	431534	60	100	12189	18

ამ ცხრილიდან ვხედავთ, რომ კავშირში უმთავრესათ შედიან ქუთაისის და ტფილისის გუბერნიების კოოპერატივები (87%) და დანარჩენ გუბერნიებიდან კი—სულ 13%. ეს გარემოება აიხსნება ერთის მხრივ იმით, რომ იმ დროს ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებს გარდა ამიერ-კავკასიის სხვა გუბერნიებში კოოპერატივთა რიცხვიც ნაკლები იყო და მეორე მხრივ—ამიერ-კავკასიის ყველა გუბერნიების კოოპერატივები თანასწორათ არ მიილტვოდენ კავშირში. ასეთი მდგომარეობა არც შემდეგში შეცვლილა. აქედგან ცხადია, რომ კავშირი თავიდანვე ჩამოყალიბდა ისეთ ტერიტორიის ფარგლებში, რომელიც წარმოადგენს ერთს ეკონომიურს და ერთგვარი ინტერესებით გამსჭვალულ ერთეულს. წესდებით შემუშავებული გეგმა მთელი ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე არსებულ კოოპერატივებს ერთ ცენტრალურ კავშირში შეერთების შესახებ ოცნებათ დარჩა და სინამდვილემ გამოააშკარავა ამ გეგმის უსაფუძვლობა. თუ ავიღებთ კავშირის შემადგენლობას კავშირში მსყიდველ კოოპერატივების მხრივ, აქაც'იმავე სურათს მივიღებთ. ყველა იმ კოოპერატივებიდგან, რომელნიც კავშირში საქონელს ყიდულობენ, ტფილისის და ქუთაისის გუბერნიების კოოპერატივები შეადგენენ 87,3%, ხოლო დანარჩენი გუბერნიების ერთად აღებული—12,7%. ასეთივეა კავშირში შეტანილ საპაიო თანხების სურათი. კავშირის მთელი საპაიო თანხიდგან 88% არის ტფილისის და ქუთაისის გუბერნიების კოოპერატივებიდგან შეტანილი, ხოლო დანარჩენ გუბერნიებზე მოდის 12%. რაც შეეხება საქონლის ჯუმლს, აქ უფრო ნათლათ სჩანს, რომ კავშირს საქონლის მიწოდების მხრივ თითქმის მხოლოდ ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებთან ქონია დამოკიდებულება. ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებზე მოდის 91,4% მთელი ჯუმლისა, ხოლო დანარჩენ გუბერნიებზე 8,6%. რაც შეეხება კერძოთ ტფილისის და ქუთაისის გუბ. კოოპერატივების კავშირთან დამოკიდებულებას, ჩვენ ვხედავთ, რომ ქუთაისის გუბერნიიდან უფრო მეტი კოოპერატივები (45,3%) ყოფილა ჩაწერილი კავშირში, ვიდრე ტფილისის გუბერნიიდგან (41,7%). ეს აიხსნება მხოლოდ იმით, რომ იმ დროს ქუთაისის გუბერნიაში კოოპერატივების რიცხვი საერთოდ უფრო მეტი იყო, ვიდრე ტფილისისაში. სამაგიეროთ კავშირში შეტანილ საპაიო თანხების მხრივ*) ტფილისის გუბერნია სჭარბობს ქუთაისისას (ტფილ. გუბერნ.

*) წესდების თანახმათ, კავშირში, მოკავშირე კოოპერატივს შეაქვს საპაიო თანხის ანგარიშში თითო მანეთი თვითეულ თავის წევრზე. აქედგან შეიძლება გამოანგარიშება კოოპერატივებში წევრთა რიცხვისა.

უდრის 62,2%, ქუთაისის — 25,8%), რაც აიხსნება იმით, რომ ტფილისის გუბერნიაში არსებობდნენ უფრო მრავალ-რიცხოვანი და მსხვილი კოოპერატივები, ვიდრე ქუთაისისაში; ამასთანავე ტფილისის გუბერნიის კოოპერატივთა შორის ითვლებიან ქ. ტფილისის კოოპერატივები, რომლებშიაც დიდი რიცხვი იყო წევრებისა. ასეთივე განსხვავებაა ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებს შორის საქონლის ჯუმლის მხრივ. ტფილისის გუბერნიაზე საქონლის ჯუმლი უდრის 82,7%, ხოლო ქუთაისის — 8,7%. ასეთი განსხვავება გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ კავშირის უმთავრეს მსყიდველებს შეადგენენ ტფილისის კოოპერატივები, რადგანაც ქალაქის თვითმართველობა და სხვა სასურსათო ორგანოები მხოლოთ ტფილისის გუბერნიისთვის და ტფილისისთვის გასანაწილებლათ აძლევდა მასიურ საქონელს (შაქარს და ფქვილს) კავშირს.

კავშირის მცირე ხნის მოქმედების შემდეგ უკვე გამოირკვა, რომ ერთი ცენტრიდან მრავალ კოოპერატივების ხელმძღვანელობა და საქონლის მათ შორის პარტიობით დანაწილება ყოვლად შეუძლებელი იყო. ეს იყო უმთავრესი მიზეზი, რომ კავშირმა სათანადოთ ვერ მოაწყო საკომისიო ოპერაციები და მის სავაჭრო ოპერაციებში საწყობის წვრილმა ოპერაციებმა დაიჭირეს უმთავრესი ადგილი. საზოგადო კრების წინასწარმეტყველება, რომ შექმნილიყო ადგილობრივი ცენტრები, რომლებზედაც დაემყარებოდა ცენტრალური კავშირი, მართალი გამოდგა და მისი განხორციელების საკითხი პირველ რიგში დაისვა. კავშირის ზედამხედველმა საბჭომ თავის მეორე მორიგ სხდომაზე 2 ივლისს 1916 წ. ამ საკითხის შესახებ შემდეგი დადგენილება მიიღო:

1) დაევალოს გამგეებს მოწვევა მომხმარებელ საზოგადოების წარმომადგენლების რაიონულ ყრილობებისა იმ რაიონებში, სადაც მრავალია რიცხვი მოკავშირე საზოგადოებათა და ამ ყრილობებზე გამორკვევა, თუ სად უფრო მოსახერხებელი იქნება განმანაწილებელ პუნქტების მოწყობა; 2) ეს პუნქტები მოეწყოს ამა თუ იმ რაიონის მოკავშირე საზოგადოებასთან და, თუ ასეთ პუნქტათ ამორჩეული კოოპერატივი ვერ იქმნება შესაფერის ნიადაგზე დაყენებული, მიღებულ იქმნას ყოველივე ზომები მის რეორგანიზაციის შესახებ; 3) მიღებულ იქმნას ყოველივე ზომები, რომ ამ პუნქტების გარშემო შეკავშირდნენ ადგოლობრივი კოოპერატივები, როგოც ვაჭრობის მხრივ, აგრეთვე კულტურულ განმანათლებელ მოქმედების მხრივ; ჩაეყაროს საძირკველი სარევიზიო კავშირებს და მომზადდეს ნიადაგი დამოუკიდებელ სარაიონო კავშირების შესაქმნელად; 4) ამგვარი მუშაობა დაწყებულ იქმნას დაუყონებლივ;

5) ყრილობები მოხდეს შემდეგ პუნქტებში: გორში, ბორჯომში, გურჯაანში, ყვირილაში, ჭიათურაში, ქუთაისში, სამტრედიაში, ლანჩხუთში, ოზურგეთში, კარაკლისში და სხვა საჭირო პუნქტებში; 6) დაევალოს კავშირის გამგეებს და ინსტრუქტორებს გამოიმუშავონ „დებულებანი განმანაწილებელ პუნქტების“ შესახებ. ამ გადაწყვეტილებით უკვე დაიბადა ჩანასახი რაიონულ კავშირებისა. დღეს თითქმის ყველა ამ ზემოდ დასახელებულ პუნქტებში და სხვაგანაც არსებობენ დამოუკიდებელი საარაიონო კავშირები. მხოლოდ პირველ რიგში ჩაეყარა საძირკველი ქუთაისის განმანაწილებელ პუნქტებს, რომელიც ამ ჟამათ გადაკეთებულია კავშირის განყოფილებად...

ქუთაისის განმანაწილებელ პუნქტის დაარსება დააჩქარეს შემდეგმა გარემოებებმა. სასურსათო კრიზისის გამწვავება ინსტიქტიურათ აიძულებდა მცხოვრებთა მასსებს სულ ახალი და ახალი კოოპერატივები დაეარსებიათ. ყველა სოფლებში, განსაკუთრებით ქუთაისის გუბერნიაში, კოოპერატივების დაარსება ჩვეულებრივ მოვლენათ გადაიქცა. როგორც აღვნიშნეთ, ქუთაისის გუბერნიის კოოპერატივები შეადგენდნენ მოკავშირე ამხანაგობების უმრავლესობას; ამავე დროს, ვინაიდგან ეს კოოპერატივები ძალიან დაშორებულნი იყვნენ ცენტრიდან, ვერ სარგებლობდნენ კავშირის დახმარებით. სასურსათო კრიზისის გამო, ყველა გუბერნიების შორის აღიმართა შემზღუდველი ზომები საქონლის გადატან-გადმოტანის შესახებ, რაც კავშირს საშუალებას უსპობდა თანასწორათ გაენაწილებინა საქონელი ყველა გუბერნიებში არსებულ კოოპერატივთა შორის. ამასთანავე შორეულ ცენტრიდან ყოვლად შეუძლებელი იყო ხელმძღვანელობის გაწევა და მჭიდრო შეკავშირება მოკავშირე ამხანაგობების უმრავლესობისა. ამ გარემოებამ გამოიწვია საბუთიანი უკმაყოფილება ქუთაისის გუბერნიის კოოპერატივთა შორის და კავშირს პირველ რიგში ამისთვის უნდა გაეწია ანგარიში. ამიტომ კავშირმა 18 დეკემბერს 1916 წ. მოიწვია საგუბერნიო ყრილობა ქუთაისის გუბერნიაში არსებულ კოოპერატივების წარმომადგენლებისა. ამ ყრილობაზე დაესწრნენ 91 მომხმარებელთა საზოგადოებების წარმომადგენელნი; მათ შორის 73 მოკავშირე ამხანაგობა იყო. ყრილობამ გადაწყვიტა ქუთაისის საგუბერნიო განმანაწილებელ პუნქტის დაარსება. ამ პუნქტს დაევალა საქმის წარმოება კავშირის ხარჯზე და მისი სახელით და ფაქტიურათ გუბერნიაში არსებულ კოოპერატივების შეკავშირება და მის საშუალებით მჭიდრო დამოკიდებულების შექმნა ცენტრალურ კავშირთან. პუნქტმა მუშაობა დაიწყო 1917 წელს.

ჩვენ გავეცანით კავშირის მოქმედების ყველა მხარეებს 1916 წ.

განმავლობაში. დაგვრჩა მხოლოდ ერთი უმთავრესი მხარე მისი მოქმედებისა. ეს არის კულტურულ-განმანათლებელი მოქმედება კავშირისა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მხრივ 1916 წ. თითქმის არა გაკეთებულა. ამის მიზეზი ჩვენ უნდა ვეძიოთ იმ ობიექტიურ პირობებში, რომლებშიაც მიმდინარეობდა კავშირის მუშაობა. სასურსათო კრიზისი იმდენად გამწვავებული იყო, რომ ძალაუნებურათ კავშირის მთელი ყურადღება, ენერგია და საშუალებანი ამ კრიზისის განელებისაკენ უნდა ყოფილიყო მიპყრობილი. მოკავშირე ამხანაგობები პირველ რიგში მხოლოთ და მხოლოთ მოითხოვდნენ საქონლის მხრივ დაკმაყოფილებას. ყოველდღიურათ შეძენის მოწყობა ართმევდა მთელ დროს კავშირის ხელმღვანელებს და მთელი თანხები ახალგაზდა კავშირისა ამ საქმეს უნდებოდა. ამის გარდა ფართო კულტურულ-განმანათლებელ მოქმედების მოსაწყობათ საჭირო იყო განსაკუთრებულ განყოფილების შექმნა, საჭირო იდეიურ კოოპერატორთა გამოძებნა და საკმარისი თანხები. ყველა ამას კავშირი გრძნობდა თავიდანვე, მაგრამ განხორციელება, მიუხედავათ ყოველგვარ მიღებულ ზომებისა, პირველ ხანებში ყოვლად შეუძლებელი შეიქმნა. უმთავრესათ ამ საქმეში დაბრკოლებას უწევდა ის გარემოება, რომ თითქმის სრულებით არ მოიძებნებოდა ისეთი მომზადებული პირნი, რომელნიც გამოდგებოდნენ ამ საქმისთვის. 1916 წლის დამლევამდე კავშირს ყავდა მხოლოდ ერთი ინსტრუქტორი, რომელიც იყო მოწვეული კავშირის დაარსების დღიდანვე. რასაკვირველია, ამ ერთი პირის საშუალებით კავშირი მოკავშირე ამხანაგობებს არამც თუ ფართო იდეურ დახმარებას ვერ გაუწევდა, არამედ უბრალო საინსტრუქტორო დახმარების მოთხოვნილებასაც ვერ დააკმაყოფილებდა, და მართლაც, მრავალი საზოგადოება დატოვებული იყო სრულიათ უხელმძღვანელოთ. ამ წელს კავშირმა მოასწრო მხოლოდ კოოპერატივებში ანგარიშების საწარმოებლათ საჭირო ბლანკების შემუშავება და დასაბეჭდათ დამზადება. ამასთანავე ამ წელშივე გადაიდგა პირველი ნაბიჯი კოოპერატიულ ორგანოს—ჟურნალ „კავშირის“ გამოსაცემათ.

III. მეორე საოპერაციო წელიწადი.

1917 წ.

კავშირის მეორე საოპერაციო წელიწადი შეიძლება გაიყოს სამ ხანად: პირველი ხანა გრძელდება რევოლიუციამდე, რომელიც შეუთანხმდა კავშირის არა ჩვეულებრივ საზოგადო კრებას თებერვალში, მეორე—რევოლიუციის შემდეგ,

ჩვეულებრივ საზოგადო კრებამდე, რომელიც მოხდა ივნისში და მესამე საოპერაციო წლის დამლევამდე.

კავშირის მოქმედება პირველ ხანებში მიმდინარეობდა იმავე პირობებში, რაც პირველ წელს იყო. გარეშე ობიექტიური პირობები არაფრით არ შეცვლილა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში სასურსათო კრიზისის უფრო და უფრო გართულებას. ეს უკანასკნელი გარემოება დღე და დღე ამრავლებდა კოოპერატივების რიცხვს და კავშირს ახალ-ახალი მოკავშირე საზოგადოებანი ემატებოდა. კოოპერატივების მხრივ კავშირისადმი მოთხოვნილებები დღითი დღე იზრდებოდა, ხოლო კავშირი კი შედარებით ვერ ასწრებდა მათ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას და მუშაობის განვითარებას. გარდა გარეშე პირობებისა, უმთავრესი მიზეზი ამისა იყო კავშირის შინაურ ცხოვრების და მისი აპარატის მოუწყობლობა. როგორც ახლათ შექმნილ საქმეს, კავშირს არ ჰქონდა გამომუშავებული საერთო გეგმა, რომლის მიხედვითაც უნდა ემოქმედნა; ყველაფერი, რაც კი კეთდებოდა კავშირის ცხოვრებაში, შემთხვევითი ხასიათისა იყო. ამას ზედ ერთვოდა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეუთანხმებელი მუშაობა კავშირის გამგეებისა და ყველა ეს შესამჩნევ კვალს ამჩნევდა მის მოქმედებას. უმთავრესი ძალა, რომელზედაც ეყრდნობოდა კავშირი,—მომხმარებელთა საზოგადოებანი—ვერ გრძნობდენ კავშირის მტკიცე ხელმძღვანელობას და ორგანიზაციულ მუშაობას. ამიტომ მოკავშირე ამხანაგობანი თანდათანობით კავშირის გარეშე იწევდენ, გამოდიოდენ კავშირის დამოუკიდებლივ როგორც საგაჭრო ბაზარზე, აგრეთვე სხვა საქმეებში და ხშირად არღვევდენ კოოპერატიულ პრინციპებს. ასეთი მდგომარეობა, რასაკვირველია, გავლენას ახდენდა როგორც თვით კავშირზე, აგრეთვე მთელ კოოპერატიულ მოძრაობაზედაც. ყველა ამის თავიდან ასაცილებლად საჭირო იყო როგორც კავშირის შინაური მმართველობის მოწესრიგება, აგრეთვე ცენტრის მუშაობის გადატანა პერიფერიებში ამისთვის საგანგებოთ შექმნილ ორგანიზაციების საშუალებით.

სწორეთ 1917 წლის დასაწყისში მოხდა ცოტაოდენი ცვლილება კავშირის მმართველობაში გამგეთა შემადგენლობის შევსების სახით. ამ დროს შეუდგა მუშაობას ახლათ მოწვეული გამგე კ. შემიტოვი. მისი მოსვლისთანავე ერთის მხრივ ცოტათ თუ ბევრათ შესაძლებელი შეიქნა კოლეგიალური მუშაობის შემოღება და მეორე მხრივ კავშირმა დაიწყო საორგანიზაციო მუშაობა. ამ დროს ჩაეყარა საძირკველი ქუთაისის განმანაწილებელ პუნქტს, რომელშიაც გამგეთ მოწვეულ იქმნა პ. კ. თალაკვაძე. ამ პუნქტის საშუალებით კავშირი უფრო დაუახლოვდა ქუთაისის გუბერნიის კოოპერატივებს, რომელნიც კავ-

შირის წევრთა შემადგენლობაში უმრავლესობას წარმოადგენდენ და ამგვარად ნაწილი ცენტრის სამუშაოსი გადატანილ იქმნა ადგილობრივ. ამავე დროს თანდათანობით ემზადებოდა ნიადაგი სხვა ადგილობრივ ცენტრებშიაც ასეთივე განმანაწილებელ პუნქტების დაარსებას.

ამავე ხანაში კავშირმა ჩაუყარა საძირკველი ორგანიზაციულ მუშაობას თვით ტფილისის კოოპერატივთა შორის. უნდა აღინიშნოს, რომ კავშირი, რომელიც უმთავრესათ ტფილისის კოოპერატივების ინიციატივით დაარსდა და, რომელსაც უფრო მეტი დახმარების აღმოჩენა შეეძლო მათთვის, როგორც მასთან ახლო მდებარეებისთვის, სრულიად ვერ აკმაყოფილებდა მათ მოთხოვნილებებს. ტფილისის კოოპერატივები სრულიად დამოუკიდებლად გამოდიოდენ ადგილობრივ ბაზარზე და ამასთან ერთად დიდ კონკურენციას უწევდენ ერთმანეთს. ასეთ არა ნორმალურ მოვლენის თავიდან ასაცილებლათ საჭირო იყო, რომ ან კავშირს მიეწოდებინა ყველა მათთვის საჭირო საქონელი, რაც ყოვლად შეუძლებელი იყო, ან კოოპერატივები შეკავშირებულიყვენ იმ წესით, რომ ერთად ეწარმოებინათ ყველა საქონლის სყიდვა, ან და ტფილისის ყველა კოოპერატივები ერთ კოოპერატივათ უნდა გადაქცეულიყო. რა თქმა უნდა, ყველაზედ უკეთესი საშუალება, როგორც ამ არა ნორმალურ პირობებიდგან გამოსასვლელათ, აგრეთვე კოოპერაციის ნამდვილ პრინციპების დასაცველათ და ასაღორძინებლათ, ერთ კოოპერატივად გარდაქცევა იყო. მაგრამ ეს მისწრაფება დღესაც ვერ განხორციელებულა და, მაშინ შესაძლებელი იყო მხოლოდ ამ გზაზედ პირველი ნაბიჯის გადადგმა. ამ მიზნით კავშირმა 1916 წლის დამლევს მოიწვია ტფილისის კოოპერატივების წარმომადგენლების კრება, რომელზედაც უმთავრესი კითხვა იყო შეერთება ტფილისის ყველა კოოპერატივებისა და, სხვათა შორის, სასურსათო საგნების სამართლიანი განაწილება მათ შორის და შესყიდვების გაერთიანება. სამწუხაროდ უმთავრესი საკითხი—კოოპერატივების გაერთიანების შესახებ დღესაც გადაუწყვეტელი დარჩა, და თუ არ მივიღებთ მხედველობაში ამ კრებაზედ გამოთქმულ სურვილებს ტფილისში კოოპერატიულ მოძრაობის შესაფერ ნიადაგზედ დაყენების შესახებ, მხოლოდ ერთი პრაქტიკული გადაწყვეტილება იქნა მიღებული იმის შესახებ, რომ დაარსებულიყო ამ.-კ. მ. ს. კავშირთან ტფილისის მომხმარებელთა საზოგადოებების კოოპერატიული სექცია და შემსყიდველი კომისია ამავე საზოგადოებებისა. კოოპერატიული სექცია მხოლოდ ქაღალდზე დარჩა და მისი მოქმედება სურვილებს არ გასცილებია. მისი სურვილები კი ფრიად საინტერესო იყო კოოპერატიულ ცხოვრების მოსაწესრიგებლათ. სხვათა შორის, სექ-

ციის ერთ ერთ კრებაზე გამოტანილი იყო შემდეგი დადგენილებანი: 1) სასურველია, რომ ქალაქის კოოპერატივები ყოველგვარ საქონლის შესყიდვას აწარმოებდენ ამიერ-კავკასიის მომხმ. საზ. კავშირის საშუალებით, რისთვისაც კავშირთან უნდა დაარსდეს შემსყიდველი კომისია ქალაქის მომხმ. საზოგ. წარმომადგენლებისაგან და ეს კომისია უნდა იკრიბებოდეს კვირაში ერთხელ მაინც; 2) პრინციპიალურად უაღრესათ საჭიროა მჭიდრო შეკავშირება ქალაქის მომხმ. საზოგად. მოქმედებისა და პრაქტიკულად ამ საქმის განხორციელების შესახებ მოხსენდეს მათ გამგეობების და სარევიზიო კომისიების საერთო კრებას. შემდეგში ახალ მომხ. საზოგადოებების დაარსება დაუშვებელია, ვინაიდან ამგვარ მოვლენას დეზორგანიზაცია შეაქვს კოოპერატიულ მოძრაობაში. აქედან ცხადია, რომ ადრევე იყო აღებული ალღო ტფილისში კოოპერატიულ მოძრაობის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენების შესახებ, მაგრამ ზემოთ მოყვანილ ყველა საუკეთესო სურვილები ვერ განხორციელდენ, ვინაიდან კავშირს და თვით ტფილისის მომხ. საზოგ. არ შესწევდათ შესაფერისი უნარი პრაქტიკულ მუშაობისა. ამით აიხსნება ის არა სასურველი შედეგი, რომ დღეს ტფილისში ჩვენ გვაქვს არა ერთი კოოპერატივი მრავალი განყოფილებებით, არამედ 40—50-მდე კოოპერატივი და კოოპერაციის ზედმეტი საფეხური— ტფილისის კოოპერატივების კავშირი.

პირველ ხანაშივე დაიწყო წინასწარი მუშაობა კავშირის წესდების შეცვლის შესახებ. სხვა ნაკლულევანებებთან ერთად კავშირის წესდების უმთავრესი ნაკლულევანება იყო აღმასრულებელ ორგანოების ჩამოუყალიბებელი უფლება-მოვალეობანი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საზოგადო კრების შემდეგ უმთავრესი ორგანო იყო საბჭო, რომელსაც არ შეეძლო ახლო მდგარიყო კავშირის ყველა პრაქტიკულ საქმეებთან და ამავე დროს მის დაუკითხავად აღმასრულებელ ორგანოს—გამგეებს არ შეეძლოთ არავითარი ნაბიჯის გადადგმა საბჭოს დაუკითხავად, რაც ფრიად აბრკოლებდა კავშირის საქმეებს. ამიტომ საჭირო იყო უფრო მეტ უფლებიან აღმასრულებელ ორგანოს—გამგეობის შემოღება. წესდების ახალ პროექტში უმთავრესი ყურადღება ექნა მიქცეული ამ ორგანოების შესახებ მუხლების შეცვლას. გადაკეთებულ იქმნა თვით სახელწოდება კავშირისა; წინანდელ სახელწოდების „ამიერ-კავკასიის **მომხმარებელთა საზოგადოებების** კავშირის“ მაგიერ შეტანილ იქმნა შემდეგი სახელწოდება: „ამიერ-კავკასიის **კოოპერატივთა კავშირი**“. ეს ცვლილება, რასაკვირველია, მარტო გარეგნული არ იყო და დაკავშირებული იყო თვით წესდების შინაარსის შეცვლასთან. ძველი წესდებით კავშირის წევრობა

შეეძლო მხოლოდ მომხმარებელთა საზოგადოებებს; ახალით კი ყოველგვარ, როგორც მომხმარებელ, აგრეთვე საკრედიტო და სხვა კოოპერატივებს. ამასთანავე ახალ წესდებაში შეტანილ იქმნა ის ძირითადი ცვლილება, რომ კავშირის წევრობა შეეძლოთ ცალკე კოოპერატივების გარდა, კოოპერატივების კავშირებსაც. ამით წესდების პროექტის შემდგენელნი უკვე გულისხმობდენ, რომ შემდეგში ჩვენში დაარსდებოდა სარაიონო კავშირები და ამ.-კ. კ. კავშირი გადაიქცეოდა კავშირთა კავშირად; კავშირის სამოქმედო რაიონი კი ახალი წესდებითაც ძველივე დარჩა, ე. ი. ამიერ-კავკასიის ტერიტორია.

ჩვენ შევეხეთ კავშირის ზოგიერთ საორგანიზაციო კითხვებს, რომლებსაც ჩაეყარა საძირკველი მეორე საოპერაციო წლის პირველ ხანაში. რაც შეეხება დაწვრილებით სავაჭრო მოქმედებას, ამას განვიხილავთ მთელი წლის მოქმედების აღწუსხვის დროს. მხოლოდ ეხლა საჭიროა დაუბრუნდეთ კავშირის შინაურ მდგომარეობას, რომელიც ასე თუ ისე გავლენას ახდენდა საერთო მოქმედებაზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, კავშირის დასაწყისიდანვე გამგეთა მოქმედება ვერ აკმაყოფილებდა ზედამხედველ საბჭოს, ვინაიდან, ერთი მხრივ, მათ ვერ გამოიჩინეს საჭირო მოქმედების უნარი და მეორე მხრივ, ვერ მოხერხდა მათ შორის შეთანხმებული მუშაობის დამყარება. როგორც გამგეთა მუშაობის შესათანხმებლად, აგრეთვე მათ ხელმძღვანელად, როგორც აღვნიშნეთ, საბჭომ მოიწვია მესამე, უფრო მომზადებული პირი, კ. ი. შემიტოვი. მაგრამ ძველ გამგეთა მოქმედების გაუმჯობესება ვერც ამ პირის მოწვევის შემდეგ მოხერხდა, ვინაიდან ახალ მოწვეულ პირს ფორმალურად (ის დამტკიცებული არ იყო საზოგადო კრების მიერ) ყოველივე საშუალება ჰქონდა მოსპობილი რაიმე გავლენის მოხდენისა, ასე რომ მისი მოქმედება ძალა-უნებურად თეორეტიულ მოსაზრების მეტს ვერ სცილდებოდა. გამგეთა უმოქმედობის გამო კავშირის შინაური აპარატი ისე მოუწესრიგებელი იყო, რომ საბჭოს არც კი ჰქონდა საშუალება ფაქტიური რევიზიის მოხდენისა, ვინაიდან ბუღალტერიაც და საწყობიც ისე იყო არეული, რომ თავი და ბოლო არ გაიგებოდა. რა თქმა უნდა, თუ შიგნით ასეთი არევ-დარევა სუფევდა, კავშირი წარმატების გზას ვერ დაადგებოდა. ამიტომ ზედამხედველი საბჭო იძულებული შეიქნა აღარ მოეცადნა 1916 წლის ანგარიშების დათავების და ჩვეულებრივ საზოგადო კრების მოწვევისათვის და მოეწვია არა-ჩვეულებრივი კრება, რომელსაც უნდა წარსდგენოდა ძველ გამგეთა გადაყენების და ახალ გამგეთა არჩევის საკითხი. ამასთანავე ერთად საჭირო იყო დარბევის გამო გამოწვეული ზარალის დაფარვის წესის შემუშავება, 1917 წ. ხარჯთ-აღრიცხვის

და საერთო მოქმედების გეგმის დამტკიცება და წესდების შეცვლა. ყველა ამ საკითხების გადასაწყვეტათ საბჭომ მოიწვია 8 თებერვალს არა-ჩვეულებრივი საზოგადო კრება მომხმ. საზოგ. რწმუნებულებისა. ამ კრებას, რომელიც გაგრძელდა 10 თებერვლამდე, დაესწრო 136 დელეგატ 113 კოოპერატივიდან.

ამ კრებაზე უმთავრესი ყურადღება იყო მიქცეული კავშირის წარსულ მოქმედებაზე და მომავალ გეგმაზე. წარსულმა მოქმედებამ კრება დაარწმუნა, რომ საჭირო იყო, როგორც გამგეთა შემადგენლობის განახლება, ისე, შემუშავებულ გეგმის ფარგლებში, მათი მეტი უფლებებით აღჭურვა. კრებამ დაამტკიცა პირველ წელთან შედარებით ფართო ხარჯთ-აღრიცხვა და მომუშავეთა შტატის გადიდება. ხარჯთ-აღრიცხვით ნავარაუდევი იყო 168.000 მან. შემოსავალი (საწყობის ოპერაციებიდან $4^0/_0$ და საკომისიო—$2^0/_0$ დადებით) და 146.000 მან. ხარჯები. ამასთანავე კრებამ გამგეთ ყველა თანამშრომელთა მიღების უფლება მისცა. მიღებულ იქმნა აგრეთვე ყოველივე ანგარიშზე $^1/_2{}^0/_0$ დადება მოკავშირე ამხანაგობებზე საინსტრუქციო ფონდის შესაქმნელად. 31.307 მ. 52 კ. ზარალი, რომელიც გამოწვეული იყო საწყობის დარბევის გამო, განაწილდა მოკავშირე საზოგადოებათა შორის პროპორციონალურად წევრთა რიცხვისა 1917 წ. 1 იანვრისთვის. ფინანსიურ მხრივ კავშირის გასაძლიერებლად კრებამ მიიღო დადგენილება, რომ ეთხოვოს მოსკოვის სახალხო ბანკს ტფილისში განყოფილების გახსნა, რათა ამიერ-კავკასიის კოოპერაცია განთავისუფლდეს კერძო კაპიტალისაგან და კოოპერატიული თანხები გროვდებოდეს კოოპერატიულსავე დაწესებულებაში. ამასთანავე მოკავშირე ამხანაგობებს დაევალა ხვედრ საპაიო ფულის დარჩენილ ნაწილის შეტანა კავშირში და გაძლიერება კავშირის ფინანსებისა ავანსების და შესანახად მიბარებულ თანხების სახით. ქუთაისის განმანაწილებელ პუნქტის დაარსება კრებამ დაამტკიცა და ამასთანავე დაადგინა, რომ სხვა რაიონებშიც ხელი შეეწყოს ასეთ პუნქტების დაარსებას და შემდეგში სარაიონო კავშირების მოწყობას. მიღებულ იქმნა წესდების ახალი პროექტი და დაევალა საბჭოს და გამგეთ მისი წარდგენა დასამტკიცებლად. დასასრულ მოხდა არჩევნები ახალ გამგე პირების. საბჭოს აზრათა ჰქონდა, რომ ძველი გამგეთაგანი არც ერთი არ დარჩენილიყო და ამიტომ წარუდგინა კრებას შემდეგი კანდიდატები: კ. ი. შემიტოვი, მ. გ. ტოროშელიძე (ინსტრუქტორი ქართ. სამეურნეო საზოგადოების) და გ. ერაძე (ტფილ. მომხმ. საზ. „აღორძინების“ თავმჯდომარე). უკანასკნელმა კანდიდატმა უარი განაცხადა და ამიტომ კრების მიერ წამოყენებულ იქმნა კანდიდატურა ყოფილ გამგის—ე. დარჩიასი და ლასხიშვილისა. ამორჩეულ იქმნ

შემიტოვი, ტოროშელიძე და დარჩია. გამგეთა შემადგენლობა განახლდა და იმედი იყო, რომ შემდეგში კავშირის საქმე უფრო უკეთ მოეწყობოდა. საზოგადო კრებამ დაამთავრა მუშაობა 10 თებერვალს. ამ დღიდან იწყება მეორე ხანა მეორე საოპერაციო წლისა. სწორედ ამ დღეებშივე კავშირმა იშოვა ახალი ბინა კანტორისათვის და საწყობის ნაწილისთვის კრილოვის ქუჩაზე. თუმცა ახალი ბინა კანტორისთვის არც ძალიან მოწყობილი და ფართო იყო, მაგრამ შედარებით ძველ ბინასთან, სადაც კავშირი შეხიზნული იყო სხვა დაწესებულებაში, აქ უფრო თავისუფლად შეიძლებოდა კავშირის საქმეების წარმოება.

მეორე საოპერაციო წლის მეორე ხანის დამდეგი მოხდა სწორედ რუსეთის დიდ რევოლიუციის დასაწყისში. რევოლიუციამ ძირიან-ფესვიანათ შეარყია როგორც პოლიტიკური, აგრეთვე ეკონომიური ცხოვრების პირობები. როგორც საერთოდ ცხოვრების ყველა დარგში, აგრეთვე კოოპერაციაშიც რევოლიუციამ შემუსრა ყველა შემბოჭავი ბორკილები და თავისუფალ განვითარების გზა მიანიჭა. კოოპერაციისადმი პირველი სიტყვა დროებით მთავრობისა იყო—ახალი კოოპერატიული კანონის დამტკიცება 20 მარტს 1917 წ. ამავე დროს დროებითი მთავრობის მიერ კოოპერაცია მოწვეულ იქმნა მთავრობის თანამშრომელად სასურსათო საქმის წარმოებაში, მრავალი გამოჩენილი კოოპერატორები კი მიწვეულ იყვნენ მთავრობის შემადგენლობაში. ამ დღიდან უნდა მოსპობილიყო თავისუფალი თარეში ყოველგვარ ჩინოვნიკებისა და ყოველგვარი დევნა და შევიწროება კოოპერაციისა, კოოპერაცია, რომელიც რეაქციის სუსხიან დღეებში იცავდა ხალხის მრავალტანჯულ მოჭირნახულეთ, რომელიც აძლევდა თავისუფალ ასპარეზს ფარულ პოლიტიკურ მუშაობის წარმოებისას და რომელიც უაღრესი დამცველი და თვითმოქმედი ორგანიზაციაა დემოკრატიისა, მთელ რუსეთის ტერიტორიაზე რევოლიუციის დაწყებიდან ენერგიულად ჩაერია რევოლიუციის პროცესში და ფეხზე დადგა მთელი თავის მოწყობილ ორგანიზაციებით რევოლიუციის დასახმარებლად. იმ წამსვე, როგორც კი რევოლიუციის ტალღამ ჩვენს ქვეყანას მოაღწია, გაისმა გამოძახილი ამიერ-კავკასიის კოოპერაციისაც კავშირის საშუალებით. 4 მარტს კავშირის ზედამხედველმა საბჭომ გამგეებთან ერთად მოახდინა არა-ჩვეულებრივი კრება და გამოიტანა დადგენილება დროებითი მთავრობისთვის შემდეგი მისალმების გაგზავნის შესახებ: „საბჭო და გამგენი ამიერ-კავკასიის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირისა, რომელიც აკავშირებს ამიერ-კავკასიის სამასამდე მომხმარებელ საზოგადოებებს, მიესალმება სახელმწიფო სათათბიროს, ხალხის წინაშე პასუხისმგებელ პირველ მთავრობას და დარწმუნებულია, რომ მთელი

ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის კანტორა და საწყობის ნაწილი 1917 წელს.
(მოკავშირე კოოპერატივების წარმომადგენელთ მიაქვთ საწყობიდან საქონელი)

ქვეყნის საერთო ძალების შემწეობით დამყარებულ იქმნება სამართლიანობა
თავისუფალი განვითარება რუსეთში მცხოვრებ ყველა ეროვნებებისა. ამ
კავკასიის მომხმარებელთა კოოპერაციის სახელით, რომელიც აერთიანებ
ფართო დემოკრატიულ ნაწილს მცხოვრებლებისას, ვაცხადებთ, რომ
მზად ვართ მოვახმაროთ ყველა ჩვენი ძალები ამიერ-კავკასიაში სასურსათო
მის მოწესრიგებას და იმედი გვაქვს დემოკრატიასა და მთავრობასთან ერთ
ამ საქმის საუკეთესოდ დაგვირგვინებისა". ამავე კრებაზე გადასწყდა, რომ
შირმა, როგორც საუკეთესო დემოკრატიულმა ორგანიზაციამ, თავს იღებს
შათა საბჭოსთან ერთად სასურსათო საქმის მოწყობა. ამ დღიდან დაიწ
ახალი ხანა არამც თუ მარტო კავშირის ცხოვრებაში, არამედ მთელ კო
რატიულ მოძრაობაშიაც.

პირველ ხანებში მართლაც კოოპერაციას დიდი პრივილეგიები მიეცა
არამც თუ სასურსათო ორგანიზაციებში, არამედ ყველა პოლიტიკურ და ეკ
ნომიურ ორგანიზაციებში კოოპერაციას საპატიო ადგილი დაეთმო და
წარმომადგენლების დაუსწრებლად თითქმის არც ერთი კითხვა არ სწყდებოდ
მაგრამ ამ პრივილეგიებთან ერთად კოოპერაციაში მალე ერთმა უაღრესად
დამაბრკოლებელმა მოვლენამ იჩინა თავი. რევოლიუციამდე მრავალი საუ
გადო მოღვაწენი, რომელნიც მოკლებულნი იყვნენ სხვა ასპარეზზე მუშაობ
საშუალებას, ერთად-ერთ სამოქმედო ასპარეზს პოულობდნენ კოოპერაციაში
ამიტომ კოოპერაცია შედარებით მდიდარი იყო შეგნებულ და საზოგადო
შაკებით. რევოლიუციამ ერთბაშად ყველას წინაშე ფართო სამოქმედო ა
რეზი გადაშალა და, რა თქმა უნდა, კოოპერაცია დაცარიელდა საუკეთ
მუშაკების მხრივ და დარჩა ან სრულიად გამოუცდელ და ან შეუგნებელ
ღვაწეთა ხელში. ის უკანასკნელი ძალებიც, რომლებიც საბოლოოდ შე
კოოპერაციას, ძალაუნებურად უნდა ჩარეულიყვნენ სხვა საზოგადოებრივ
შაობაშიაც და ამით, რასაკვირველია, ორგანიზაციულმა მუშაობამ დიდი
ბრკოლება განიცადა. ამგვარმა მოვლენამ, რასაკვირველია, ბევლენა მი
დინა თვით კავშირზედაც. ერთის მხრივ კავშირს გაეხსნა ყველა აკრძალულ
კარები და ყველა გასანაწილებელი სურსათი მის ხელში დატრიალდა, ძალ
მეორე მხრივ როგორც ცენტრში, აგრეთვე პროვინციაში მომზადებულ პ
უქონლობის გამო თითქმის სრულიად შეჩერდა ორგანიზაციული მუშაობ
კოოპერატივები სტიქიურ განვითარების გზას დაადგენ. თუ გადავავლ
თვალს კოოპერატივთა რიცხვის ზრდას, უეჭველად შევნიშნავთ, რომ სწო
ამ ხანაში ზღაპრული სიჩქარით მრავლდება კოოპერატ[illegible] [illegible] [illegible] [illegible]

ზრდა ახსნება მხოლოდ იმით, რომ ახალი კანონის ძალით კოოპერატივის დაარსება გაადვილდა, ერთის მხრივ, და მეორე მხრივ მხოლოდ კოოპერატივის საშუალებით სასურსათო საგნების მოპოვება ხალხს ახალისებდა ასეთი ორგანიზაციების გახსნაზე. მართლაც, თუ ავიღებთ ჩვენ შესადარებლად კავშირიდან განაწილებულ საქონლის რაოდენობას თებერვალში და მარტში 1917 წ. შევამჩნევთ, რომ განაწილებულ საქონლის რიცხვმა მარტში უცბად ითქვის ერთი სამად იმატა. თებერვალში (რევოლიუციამდე) კავშირის მიერ განაწილდა კოოპერატივთა შორის 319.612 მ. საქონელი და მარტში კი უკვე 925.507 მანეთისა. ამგვარად 1917 წ. დასაწყისმა კოოპერატივთა რიცხვი საგრძნობლად გაამრავლა და გარეგნულად კოოპერაცია თითქოს აღორძინდა, მაგრამ ამავე დროს კოოპერატივებს ველარ გასწვდა ხელმძღვანელობა ხელი და ამიტომ დასაწყისიდანვე მათ დიდი სისუსტე დაჰყვა. სახელდახელოდ შექმნილი კოოპერატივები, რასაკვირველია, შორს იდგნენ კოოპერაციის დედა აზრებთან და მათი საზრუნავი მხოლოდ სურსათის შეძენა და განაწილება იყო. ეს მოვლენა მხოლოდ ერთის მხრივ იყო დადებითი მხარე კოოპერაციისთვის, რომ ხალხი გრძნობდა კოოპერატივების დაარსების აუცილებლობას და, თუ ამას ზედ მოჰყვებოდა ცენტრიდან ხელმძღვანელობა მაინც, შესაძლებელი იყო მათი სამუდამო გამაგრება. კავშირიც მხოლოდ ამ მხარეს მიაქცევდა მთელ თავის ყურადღებას, რომ რევოლიუციის პირველ დღეების შემდეგ სასურსათო პოლიტიკის კურსი არ შეცვლილიყო. როგორც აღვნიშნეთ. კავშირი რევოლიუციის პირველ დღეებშივე ჩაერია ყველა სასურსათო ორგანიზაციებში. ამ მხრივ კავშირის პირველი ნაბიჯი იყო მხურვალე მონაწილეობის მიღება ახლად დაარსებულ ქ. ტფილისის სასურსათო კომიტეტის მუშაობაში. ამ კომიტეტის შემადგენლობაში შედიოდნენ თანასწორ უფლებიან წევრებათ კავშირის წარმომადგენელნიც. თუმცა პირველ დღეებში ამ კომიტეტის მუშაობას კავშირის გავლენა ეტყობოდა და ქალაქი ანგარიშს უწევდა კოოპერატივებს, მაგრამ მაინც კოოპერატიულმა პოლიტიკამ აქ ვერ გაიმარჯვა, ვინაიდან ყველა ამ კომიტეტში მომუშავე ორგანიზაციები მხოლოდ და მხოლოდ თავის ინტერესების დაცვას სცდილობდა და საერთო სასურსათო პოლიტიკა ვერ ჰპოულობდა შესაფერ ნიადაგს. კოოპერაციის მხრივ ამ კომიტეტში ამავე დროს წამოყენებული იყო შემდეგი პროექტი: 1) საჭიროა, რომ ქალაქის ყველა სასურსათო მაღაზიები თანდათანობით გადაეცეს იმ კოოპერატივებს, რომელნიც მოქმედებენ მაღაზიის რაიონში და გადაკეთდეს კოოპერატივის კანყოფილებად; 2) ყველა კოოპერატივებისთვის საჭირო საქონლის შეძენა

უნდა ხდებოდეს ამიერ-კავკასიის მომხმარ. საზოგ. კავშირში; 3) სასურველია, რომ ამ.-კავკ. მომხმ. კავშირს გადაეცეს ყველა ის სააღებ-მიცემო თანხები, რომლებიც გადადებულია ქალაქის სასურსათო მაღაზიებისთვის. ზემოთ დასახელებულ დებულებების საშუალებით ერთის მხრივ ქალაქის სასურსათო დარგში მუშაობა ნორმალურ კალაპოტში ჩამოყალიბდებოდა და ქალაქისთვის საჭირო აღარ იყო განმანაწილებელ აპარატების შექმნაზე ზრუნვა და მეორე მხრივ კოოპერატივების დაარსება-განვითარება არ მიიღებდა შემთხვევითი ხასიათს, ვინაიდან კავშირი, რომელიც იქნებოდა სურსათის ერთად-ერთი განმანაწილებელი აპარატი, არ დაუშვებდა ახალ-ახალ კოოპერატივების დაარსებას. კავშირის მიერ წამოყენებული პრინციპები, რომლებიც მიმართული იყო იქითკენ, რომ ქალაქისთვის სასურსათო საქმის წარმოება გაეადვილებინა ერთის მხრივ და მეორე მხრივ კოოპერატიული მოძრაობა ნორმალურ პირობებში ჩაეყენებინა, სამწუხაროდ უარყოფილ იქმნა. თუმცა ქალაქმა სასურველად სცნო კოოპერატიულ აპარატით სარგებლობა, მაგრამ ამ აპარატის გამოყენება მას თავისებურად ესმოდა. ქალაქის სასურსათო პოლიტიკის მწარმოებლების აზრით საკმარისი იყო ყოველი სანოვაგე უმთავრესად ცალკე კოოპერატივების საშუალებით განაწილებულიყო, რაც საბაბს აძლევდა კოოპერატივების ერთი მეორესთან ქიშპობას უფრო მეტ საქონლის მიღებაში და სრულიად უსამართლო განაწილებას იწვევდა. რადგანაც კავშირის წამოყენებული პრინციპები უარყოფილ იქმნა, იგი იძულებული იყო თავის წარმომადგენლების საშუალებით მაინც აეძულებინა ქალაქი, რომ საქონელი კავშირს გადასცემოდა და არა პირდაპირ კოოპერატივებს. ამგვარად საჭირო შეიქნა მუდმივი თვალყურის დევნა ქალაქიდგან საქონლის მიღება-განაწილებაში ერთის მხრივ და კოოპერატივების მუდმივი კანტროლი, რომ მათ კავშირის გარეშე არ მიეღოთ საქონელი. ასეთი ორ ფრონტზე მუშაობა, რასაკვირველია, იწვევდა ტყვილა-უბრალოდ დიდ ენერგიის და სამუშაო ძალის დახარჯვას.

კავშირი, რომელიც უმთავრესად სოფლის კოოპერატივების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე ზრუნავდა, მარტო ქალ. ტფილისის სასურსათო პოლიტიკაში ჩარევით ვერ დაკმაყოფილდებოდა. რევოლიუციის პირველ დღეებშივე გუბერნატორებს და სხვა და სხვა რწმუნებულებს ჩამოერთვათ სასურსათო საქმის წარმოება და ამისთვის მოწვეულნი იყვნენ სხვა და სხვა საზოგადო დაწესებულებანი. ვიდრე ჩვენამდე მოაღწევდა დროებითი მთავრობის მიერ შედგენილი წესები სასურსათო ორგანიზაციების მოწყობის შესახებ, კავშირმა სხვა საზოგადო დაწესებულებებთან ერთად უკვე დაიწყო

ზრუნვა ასეთი ორგანიზაციის შესაქმნელად. სხვა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლების ერთ-ერთ კრებაზე კავშირის წარმომადგენელმა კ. შემიტოვმა წამოაყენა პროექტი სასურსათო ორგანიზაციის მოწყობისა და ეს პროექტი, რომელიც მიღებულ იქმნა, როგორც შემდეგ გამოირკვა თითქმის არაფრით არ განირჩეოდა დროებითი მთავრობის წესებისაგან. ამ პროექტით სასურსათო საქმის ორგანიზაციის გეგმა ტფილისის გუბერნიაში შემდეგი იყო: 1) მცხოვრებთა და ჯარის სურსათით უზრუნველსაყოფად და ყველა იმ კითხვების გადასაჭრელად, რომელთაც აქვთ დამოკიდებულება სასურსათო საქმესთან, სასურსათო ორგანიზაციებში უნდა მოწვეულ იყვნენ მცხოვრებთა ფართო დემოკრატიული მასსა. 2) სასურსათო კომიტეტები, რომლებიც განაგებენ სასურსათო საქმეებს, უნდა იყვნენ: სარაიონო—დაბებში და სოფლებში, საქალაქო და საგუბერნიო. საქალაქო კომიტეტებმა უნდა მოაწყონ საუბნო კომიტეტები. შემდეგ ამ გეგმაში დაწვრილებით იყო აღნუსხული შემადგენლობა კომიტეტებისა და მათი უფლება-მოვალეობანი. სხვათა შორის, საგუბერნიო კომიტეტის შემადგენლობაში იყვნენ კოოპერატივების წარმომადგენელნიც. აღნიშნული იყო აგრეთვე ის პუნქტები, სადაც უნდა დაარსებულიყვნენ სასურსათო კომიტეტები. ამ კრებაზევე შესდგა პირველი შემადგენლობა საგუბერნიო კომიტეტისა შემდეგი წესით: წარმომადგენლები (სამ-სამი) ყავდათ შემდეგ კოოპერატიულ და საზოგადო დაწესებულებებს: ტფილისის ქალაქის გამგეობას, ამ.-კავ. მომხმ. საზ. კავშირს, ქ. ტფილისის მომხმ. საზ. ბიუროს, გორის მაზრის მომხმ. საზ. ბიუროს, კახეთის საკრედიტო კოოპერატივების კავშირს, ქართლის სამეურნეო ამხანაგობას, დუშეთის მაზრის კოოპერ. კავშირს, კოოპერ. ბიუროს კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგ., კოოპერ. სექციას ქართულ სამეურნ. საზოგ., კოოპერ. სექციას სომხის სამეურნ. საზ., კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას, ქართულ სამეურნეო საზოგ., სომხის სამეურნეო საზოგადოებას და მუშათა საბჭოს. როგორც ვხედავთ პირველ საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის შემადგენლობას თითქმის სულ კოოპერაციის წარმომადგენელნი შეადგენდნენ და ამრიგათ სასურსათო საქმის წარმოება მათ ხელშივე იყო. როგორც სასურსათო საქმის მოსაწესრიგებლად, აგრეთვე კავშირის ინტერესების დასაცველად საჭირო შეიქნა კავშირიდან საგუბერნიო სასურ. კომიტეტის აღმასრულებელ ორგანოში—გამგეობაში შესულიყო კავშირის გამგე კ. ი. შემიტოვი, რომელიც მჭიდრო კავშირს გაბამდა კავშირსა და სასურსათო ორგანიზაციის შორის. თუმცა ერთი გამგის კავშირში აქტიური მუშაობის შეწყვეტით კავშირის შინაური ორგანიზაციული მუშაობა შე-

სუსტდა, მაგრამ სამაგიეროთ სასურსათო კომიტეტთან მჭიდრო კავშირის დამყარება და შეთანხმებული მუშაობა საგრძნობლად აადვილებდა როგორც სასურსათო საქმის წარმოებას, აგრეთვე კავშირის მშენებლობის საქმეს. მართლაც, პირველ ხანებში სასურსათო კომიტეტი სავსებით დაემყარა კავშირს და კოოპერატიული აპარატი საგრძნობლად აადვილებდა სურსათის სამართლიან განაწილებას. საგუბერნიო კომიტეტმა თავის მოქმედების საფუძვლად მიიღო შემდეგი დებულებანი, რომელიც იყო შემუშავებული კავშირის მიერ: 1) ამიერ-კავკ. მომხმ. საზოგ. კავშირმა უნდა მიიღოს მონაწილეობა სანოვაგის დამზადების ორგანიზაციაში და ამ საქმისთვის საჭირო თანხების შეგროვებაში, რომლებსაც მიიღებს კოოპერატივებიდან და სხვა და სხვა დაწესებულებებიდან. 2) მცხოვრებთა შორის თანასწორი განაწილება სანოვაგისა უფრო ადვილი შესაძლებელია კოოპერატივების საშუალებით და ამიტომ კავშირმა უნდა მიიღოს მონაწილეობა კოოპერატივთა შორის სანოვაგის განაწილებაში. 3) კავშირის მოქმედება ამ მხრივ უნდა გამოიხატებოდეს შემდეგში: ა) ყველა კოოპერატივები კავშირის საშუალებით იღებენ საქონელს იმ მცხოვრებთა რიცხვის მიხედვით, რომელთაც ისინი უნაწილებენ საქონელს; ბ) კოოპერატივებმა უნდა შეიტანონ წინდაწინვე კავშირის კასაში (ნახევარი ნაღდ ფულად და ნახევარიც ვექსილებით) თვის განმავლობაში მისაღებ საქონლის ღირებულება; გ) კავშირს შეაქვს საგუბერნიო კომიტეტის კასაში ყველა მის განკარგულებაში არსებული თანხები. საგუბერნიო კომიტეტის ყველა ის საქონელი, რომელიც განაწილებულია იმ რაიონებში, სადაც არსებობენ კოოპერატივები, ეძლევა კავშირს, რომელიც განაწილების დროს გარდა სავაჭრო ხარჯებისა არა უმეტეს $1^0/_0$-ისა საკომისიოს ახდევინებს კოოპერატივებს 4) კოოპერატივები ვალდებული არიან ის საქონელი, რომელსაც იღებენ სასურსათო კომიტეტიდან, მიაწოდონ ყველა მცხოვრებთ, განურჩეველად იმისა, არიან თუ არა წევრად ჩაწერილი კოოპერატივში. აღნიშნული დებულებანი სასურსათო კომიტეტის პირველ ხანებში მოქმედების დროს თითქმის სავსებით ხორციელდებოდნენ; კავშირი თავის მოწყობილ კოოპერატიულ აპარატებით შეიქნა უმთავრესი განმანაწილებელ პუნქტათ, რომელზედაც ემყარებოდა სასურსათო კომიტეტი. მაგრამ ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კავშირის ერთ-ერთ გამგის სასურსათო კომიტეტში მუდმივ მუშაობამ კავშირის შინაური საქმეები შეაფერხა. კავშირში დარჩენილი ორი გამგე, რომელნიც საერთო პოლიტიკური მდგომარეობის გამო სხვა საქმეებითაც იყვნენ დატვირთულნი, ვერ ას-

წრებდნენ კავშირის ყველა საქმეების ხელმძღვანელობას. ამიტომ კავშირი იძულებული იყო, გამგე, რომელიც მუშაობდა სასურსათო კომიტეტში, ამ კომიტეტიდან გამოეწვია უკან. ამავე დროს კავშირი დარწმუნებული იყო, რომ ის პოლიტიკა სასურსათო კომიტეტისა, რომელსაც ჩაეყარა საძირკველი კოოპერატორების გავლენით, არ შეიცვლებოდა და კავშირისთვის საკმარისი იყო ჰყოლოდა მას წარმომადგენლები მხოლოდ კომიტეტში და არა მის აღმასრულებელ ორგანოში. მაგრამ ასეთი იმედები კავშირისა არ გამართლდა. სასურსათო კომიტეტის როგორც შემადგენლობა, ისე მისი პოლიტიკა მუდამ ცვლილებას და რყევას განიცდიდა; მან ვერ შექმნა ვერც გარკვეული გეგმა თავის მუშაობისა და ვერც მუდმივი პოლიტიკა თავის მოქმედებაში. ამიტომ, როგორც ქვემოდ კიდევ ვნახავთ, კავშირს დიდი შრომის დახარჯვა სჭირდებოდა, რომ როგორმე შეთანხმებული მუშაობა დაემყარებინა სასურსათო ორგანიზაციებთან და კვლავაც დასჭირდა თავის აქტიური ძალების დაბანდება ამ ორგანიზაციებში სამუშაოდ.

რევოლიუციის დაწყებიდან კოოპერაციას თავისუფალი ასპარეზი გაეხსნა და ამავე დროს კოოპერაციის წინაშე დადგა საკითხი მისი მოქმედების გადასინჯვის და ახალ პირობებში ახალ სამოქმედო გეგმის შემუშავების შესახებ. საჭირო შეიქნა გადათვალიერება კოოპერატივების მოწყობის სისტემისა და გამოძებნა ისეთი სწორი გზის, რომელიც უფრო ხელს შეუწყობდა მის მიზნების განხორციელებას. კოოპერაციის წინაშე წარმოიშვა მთელი რიგი კითხვებისა: თუ როგორი უნდა ყოფილიყო დამოკიდებულება კოოპერაციასა და რევოლიუციის შორის, როგორ უნდა მოწყობილიყო სასურსათო საქმე, როგორი ფინანსიური პოლიტიკა ეწარმოებინა კოპერაციას, რანაირი მონაწილეობა მიეღო კოოპერაციას ადგილობრივ ორგანიზაციებისა და დამფუძნებელი კრების არჩევნების ორგანიზაციებში, როგორ უნდა ეწარმოებინა კოოპერაციას კულტურულ-განმანათლებელი საქმიანობა და სხვა მრავალი პრაქტიკული კითხვები ყოველ გვარ კოოპერატივების მოქმედების შესახებ. ყველა ამ კითხვებთან ერთად საჭირო იყო შექმნა ისეთი კოოპერატიულ ცენტრალურ ორგანოსი, რომელიც გაუწევდა იდეურ ხელმძღვანელობას ყოველგვარ კოოპერატივებს და დაიცავდა ყველგან მათ ინტერესებს. ეს საერთო კითხვები უნდა გადაჭრილიყო კოოპერატიულ ყრილობაზე, რომელზედაც გამოცხადდებოდენ ყველა კუთხის კოოპერატორები და ერთმანეთის მდგომარეობის და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ საერთო კითხვებსაც გადასწყვეტდენ. აი ამიტომ კავშირის ინციატივით გადასწყდა მოწვევა 15—20 ივნისისთვის ქ. ტფილისში

კავკასიის საერთო კოოპერატიულ ყრილობისა. ამავე დროს, ვინაიდან კავშირის 1916 წლის ანგარიშები დამთავრებული იყო და საჭირო იყო კავშირის რწმუნებულთა ჩვეულებრივი კრების მოწვევა, საერთო ყრილობის დამთავრების შემდეგ, 21—23 ივნისისათვის დაინიშნა კავშირის რწმუნებულთა მეორე მორიგი კრებაც.

ვინაიდან ამიერ-კავკასიის კოოპერატიულ ცხოვრებაში კოოპერატიული ყრილობა პირველი მაგალითი იყო და ამ ყრილობამ მრავალი საკითხები გადასწყვიტა, საჭიროთ მიგვაჩნია მოკლედ მაინც აღვნუსხოთ, თუ რა პირობებში იქნა ეს ყრილობა მოწვეული და რა დადგენილებები გამოიტანა კოოპერაციის საყურადღებოთ. ყრილობა, როგორც აღვნიშნეთ, კავშირის ინციატივით მოხდა. ყრილობის მოწვევამდე კავშირთან შესდგა საორგანიზაციო ბიურო, რომელმაც შეიმუშავა წესი წარმომადგენლობისა, ყრილობის პროგრამა და მოაწყო წინასწარი მუშაობა. ბიუროში თავიდანვე დაიბადა საკითხი თუ ვისგან უნდა შემდგარიყო ყრილობა: კავკასიის კოოპერატივების წარმომადგენლებისაგან, თუ ამიერ კავკასიისა. ვინაიდან უმრავლესობა ბიუროს შემადგენლობისა დარწმუნებული იყო, რომ მთელი კავკასიის კოოპერაცია ერთ ერთეულს წარმოადგენდა და შესაძლებლად სცნობდა საერთო შემაერთებელ პრინციპების გამონახვას და ამასთანავე ასეთ ყრილობას უფრო მეტი ავტორიტეტი ექნებოდა, ამიტომ გადაწყდა მთელი კავკასიის კოოპერატიული ყრილობის მოწვევა. სინამდვილემ კი დაამტკიცა, რომ კავკასიის კოოპერატიული ყრილობა მხოლოდ სახელი იყო; ყრილობაზე დამსწრე 200 წარმომადგენელში მხოლოდ ერთი წარმომადგენელი იყო ჩრდილო კავკასიიდან, ხოლო დანარჩენები ამიერ-კავკასიიდან და ამ უკანასკნელთაგან 80%-ზე მეტი საქართველოს კოოპერატივების წარმომადგენელნი იყვნენ. ამით აიხსნება ისიც, რომ ყრილობამ თავის მუშაობის დასასრულს აირჩია ხელმძღვანელ ცენტრად ამიერ-კავკასიის (და არა კავკასიის) კოოპერატიული ყრილობათა საბჭო. წარმომადგენლობის ნორმა ყრილობისა იყო შემდეგი: ყოველგვარ ცალკე კოოპერატივს (როგორც მომხმარებელთა, აგრეთვე საკრედიტო და სხვა) უნდა ყოლოდა 1 წარმომადგენელი და კოოპერატივთა კავშირებს—ორ-ორი. ყრილობის პროგრამა შემდეგი იყო:

I. ზოგადი კითხვები:

1) რევოლიუცია და კოოპერაციის მიზნები, 2) სასურსათო საქმის ორგანიზაცია და კოოპერაციის როლი ამ საქმეში, 3) ფინანსიური დახმარება კოოპე-

2. პოლიტიკასთან ინერტიულ ფართო მასსის ორგანიზაციის მოსაწყობად საუკეთესო საშუალება არის ეკონომიური საძირკველი. ამიტომ რევოლიუციის დროს უფრო უნდა გაუფრთხილდეთ კოოპერაციას, რომელიც არის დემოკრატიული ელფერით შემოსილი ეკონომიური ორგანიზაცია.

3. შიმშილი და უმუშევრობა უსაშინელესი მტრებია რევოლიუციისა; ეკონომიური არევ-დარევა თანდათან მატულობს და ომის შემდეგ უეჭველად უნდა ველოდეთ უმუშევრობას. სახელმწიფოს, ადგილობრივ თვითმართველობებს და პროფესიონალურ ირგანიზაციებს კოოპერატივების დახმარებით ძალიან გაუადვილდებათ ბრძოლა ამ საშინელ მოვლენასთან. საჭიროა მოწყობა საზოგადოებრივი სამუშაოებისა და ამ მუშაობაში უნდა მოწვეულ იყვნენ ადგილობრივ თვითმართველობებთან ერთად კოოპერატივები და მათი კავშირები.

4. ხალხთა თანამშრომლობა ეკონომიურ ნიადაგზე ხელს უწყობს ნაციონალურ განხეთქილების მოსპობას, რომლითაც სარგებლობდენ ხალხის მტერნი. ისინი, უეჭველია, ეხლაც ეცდებიან გამოიყენონ ნაციონალური უთანხმოება კონტრ-რევოლიუციის საუკეთესო საშუალებათ. ამიტომ კოოპერაცია განსაკუთრებული ენერგიით უნდა ებრძოდეს ნაციონალურ წაქეზებას, რა მხრიდანაც არ უნდა იყვეს იგი.

5. ადგილობრივი დემოკრატიული თვითმართველობა (ქალაქის და ეროვნისა) კი არა სპობს კოოპერაციას, პირიქით, დახმარებას უწევს მას: ამიტომ კოოპერატივების მოვალეობას შეადგენს მხურვალე მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ თვითმართველობების გარდაქმნაში დემოკრატიულ საფუძველზე.

6. კოოპერაციის თავისუფალ პირობებში განვითარების დროს უეჭველად იცვლება ძველი წყობილება კოოპერატიული შენობისა: უფრო ნათლად გამოიხატება მშრომელთა კოოპერაციის ხასიათი, კოოპერაცია მჭიდროდ დაუახლოვდება პოლიტიკას, მაგრამ უფრო მომეტებულ მასსის ორგანიზაციის გულისთვის კოოპერაცია უნდა დარჩეს უპარტიო ორგანიზაციად.

მოხსენება კ. ი. შემიტოვისა: „სასურსათო საქმე და კოოპერაცია“.

1. სასურსათო კრიზისი გამოწვეულია არსებულ კაპიტალისტურ წესწყობილებით და გაღრმავებულია უმაგალითო ომით, რომელიც გამოწვეულია მეომარ სახელმწიფოთა მთავრობების მიერ იმპერიალისტური მიზნებით.

2. კერძო ინიციატივა საქონლის განაწილებაში—კერძო ვაჭრობის აპარატი—სრულიად შეუსაბამო გამოდგა სასურსათო კრიზისის შესამსუბუქებლად.

კერძო ვაჭრობამ, რომელიც დაინტერესებული იყო მხოლოდ პირადი ინტერესებით, სასურსათო კრიზისი გამოიყენა თავის პირადი ინტერესებისთვის და უფრო გაართულა სასურსათო კრიზისი.

3. სასურსათო საქმე მოითხოვს, რომ მთელი პროცესი პირველ მოთხოვნილების საგნების განაწილებისა (დაწყებული წარმოებისაგან მომხმარებელზე გაყიდვამდე) გადაეცეს საზოგადო დაწესებულებებს. ამასთანავე, ერთად ერთი საზოგადო დაწესებულებანი, რომელთაც შეუძლიანთ კერძო ვაჭრობის აპარატის სრული მაგიერობა გასწიონ, არიან კოოპერატივები (საკრედიტო, მომხმარებელი და სასოფლო-სამეურნეო).

4. სასურსათო საქმის სწორ ნიადაგზე დასამყარებლად საჭიროა მუშაობა ქვეყნის წარმოების გამოსაფხიზლებლად და გასამაგრებლად და ასეთი მუშაობა შეიძლება განხორციელდეს სასოფლო კოოპერაციის შემწეობით (მის შემწეობით შეიძლება დასათეს მინდვრების გაფართოვება, თესლეულობის, ინვენტარის, სამუშაო ძალის გაფართოვება და სხვ.).

5. ადგილობრივი სასურსათო კომიტეტები, თანახმად 25 მარტის კანონისა, სასურსათო პოლიტიკას აწარმოებენ ადგილობრივ და ფიზიკურად არ ძალუძთ შეასრულონ, როგორც ჩამორთმევა პურისა მონოპოლიის უფლებით და შეძენა სხვა სანოვაგისა, ისე განაწილება ადგილობრივ ნაწარმოებისა და შემოტანილი საქონლისა.

6. რომ უფრო მიზან-შეწონილად იყვნენ გამოყენებულნი უკვე არსებული და გამაგრებული ისეთი საზოგადო-სასურსათო ორგანიზაციები, როგორიც არიან კოოპერატივები, სასურსათო კომიტეტებმა უნდა გადასცენ კოოპერატივებს მთელი ფუნქციები სავაჭრო ხასიათისა (როგორც, მაგალითად, სყიდვა ადგილობრივი ნაწარმოებისა და გაყიდვა შემოსულ საქონლისა) და აგრეთვე დაეხმარონ მათ. ამ მიზნების განსახორციელებლათ სასურსათო კომიტეტებმა კოოპერატივების კავშირებთან ერთად უნდა შეიმუშაონ გეგმა კოოპერატიული ძაფების გასაბმელად გუბერნიებში (ოლქებში), დახმარება აღმოუჩინონ კავშირების საინსტრუქტორო განყოფილებებს და აგრეთვე გადასცენ კოოპერატივებს თავისუფალი თანხები სყიდვის ოპერაციების გასაფართოებლად, ან უზრუნველყონ კოოპერატივების კრედიტები საკრედიტო დაწესებულებებში.

7. კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა უნდა ხელი შეუწყონ სასურსათო ორგანოებს, რომლებიც არიან ერთად ერთი დაწესებულებანი სასურსათო საქმის მოსაგვარებლად, მაგრამ ამასთანავე კოოპერატივები სრულიად დამოუკიდებელნი

უნდა იყვნენ, როგორც შინაურ საქმეებში, აგრეთვე თავის მოქმედებაში.

8. საწარმოვო რაიონის კოოპერატივებმა უნდა შეისყიდონ დაწესებულ ფასებში თავის რაიონის ნაწარმოები მომხმარებელ რაიონის კოოპერატივებისთვის, ამასთანავე ამგვარ შემთხვევებში სასურსათო კომიტეტები მხოლოდ კანტროლს უწევენ კოოპერატივს და სრულიად არ ერევიან შინაურ საქმეში.

9. ყველა კერძო საწარმოვო დაწესებულებანი, რომელნიც ამ ჟამად ან არ მუშაობენ, ან ასუსტებენ წარმოებას და, ან სრულიად სპობენ საქმეს, უნდა გადაეცეს კოოპერატივების კავშირებს, ან სახელმწიფოს განკარგულებაში.

10. მკვიდრ ფასების დაწესებასთან ერთად უნდა დაუყონებლივ შემოღებულ იქმნას სრული სახელმწიფოებრივი კანტროლი მთელ სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებზე და კერძო კომერციულ ბანკებზე, კანტროლის გასაწევად მოწვეულ უნდა იყვნენ აგრეთვე მუშათა, ჯარის-კაცთა და გლეხთა საბჭოები და კოოპერატივების კავშირების წარმომადგენელნი.

11. საჭიროა დაუყონებლივი შემოღება ცხოვრებაში ახალ ადგილობრივ თვითმართველობებისა, რომელნიც იქნებიან არჩეულნი საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭის ყრით და რომელთა ხელშიაც სასურსათო კომიტეტებისაგან უნდა გადავიდეს მთელი ფუნქციები სასურსათო საქმის მოწყობისა.

12. მთელი ქვეყნის კოოპერატივებმა თავის შეერთებული ძალებით გავლენა უნდა იქონიონ, რომ რაც შეიძლება მალე მოისპოს ძმათა ამომწყვეტი ომი: ამის გულისთვის საჭიროა მოწვევა საერთაშორისო კოოპერატივების კავშირის კონფერენციისა; კონფერენციის მოწვევა უნდა მიენდოს სრულიად რუსეთის კოოპერატივთა ყრილობების საბჭოს.

მოხსენება კ. ი. შემიტოვისა: „კოოპერატიულ დაწესებულებათა ფინანსიური დახმარება“.

1. სამეურნეო ეკონომიური საკითხები უნდა დაისვას გადასაჭრელათ უფლებრივ-პოლიტიკურ საკითხებთან ერთად.

2. გაერთიანებული კაპიტალის ძლიერების შესასუსტებლათ საჭიროა:

ა) შეიზღუდოს კაპიტალების შემოსავალი ბანკებსა და სხვა დაწესებულებებში.

ბ) დამყარდეს სახელმწიფო ფაქტიური კანტროლი კერძო კომერციულ მოქმედებაზე.

3. ყველა თავისუფალი საშუალებანი კერძო ბანკებისა უნდა გადავიდეს სახელმწიფოს განკარგულებაში.

4. მიეცეს კერძო ბანკებს უფლება ფინანსიური დახმარება გაუწიონ კოოპერატიულ დაწესებულებებს, იმავე საფუძველზე, როგორც ეს უნდა აწარმოოს სახელმწიფო ბანკმა.

5. სახელმწიფო ბანკმა უნდა გაუწიოს ფინანსიური დახმარება კოოპერატივებს როგორც მოკლე ვადიანი, აგრეთვე გრძელ ვადიანი სესხის სახით: ამისათვის სახელმწიფო ბანკის და მის განყოფილებათა გამგეობა უნდა მოეწყოს დემოკრატიულათ; განყოფილებებში ბანკის მოქმედებას უნდა ხელმძღვანელობდეს განსაკუთრებული კომიტეტი, რომელშიაც შევლენ კოოპერატივებისა და ადგილობრივ თვითმართველობათა წარმომადგენელნი.

6. კრედიტი კოოპერატივებს უნდა გაეხსნას სოლო-ვექსილებით უზრუნველყოფით; სხვანაირი ფორმა უზრუნველყოფისა შეიძლება მოთხოვნილ იქნას გრძელ ვადიან—5 წელზე მეტი ვადის—კრედიტის დროს, რომელიც საჭირო იქნება ფაბრიკა-ქარხნების, სამრეწველო და სხვაგვარ მწარმოებელ დაწესებულებათა მოსაწყობათ და, ამ კრედიტის დამატებით უზრუნველსაყოფათ უნდა დაგირავებულ იქნენ მხოლოდ შენობები, მოწყობილობა და ინვენტარი დაწესებულებისა.

7. ცალკე კოოპერატივები უნდა იღებდენ ფინანსიურ დახმარებას უმრავლესათ თავისი კავშირების შემწეობით.

8. ყველა კოოპერატივებმა უნდა აწარმოვონ მობარებული ფულების ოპერაციები, როგორც ამას სჩადიან ბანკები.

9. როდესაც კოოპერატივები და მათი კავშირები აწყობენ მწარმოებელ დაწესებულებებს, მათ უნდა მიეცეთ უფლება გამოუშვან საობლიგაციო სესხი იმ საფუძველზე, როგორსაც დაადგენს მათი საზოგადო კრება (რწმუნებულთა კრება).

10. კოოპერატივები ეხლავე უნდა შეუდგენ ადგილობრივ კოოპერატიულ ბანკების დაარსებას, ან უკვე არსებულ კოოპერატიულ ბანკების განყოფილებათა გახსნას; ადგილობრივი ბანკები უნდა მჭიდროთ დაუკავშირდენ ცენტრალურ კოოპერატიულ ბანკს (მოსკოვის სახალხო ბანკს).

მოხსენება შ. ზ. გოგებაშვილისა: „კულტურულ-განმანათლებელი მოქმედება კოოპერატივებში“.

1. არც უკვე მომხდარ სახელმწიფოს გარდაქმნას, არც თანამედროვე პოლი-

ტიკურ მოვლენებს, როგორც დამფუძნებელ კრებამდე, აგრეთვე მის შემდეგ, არამც თუ არ შეუძლიანთ შეასუსტონ კოოპერაციის დამოუკიდებლობა, როგორი სახელმწიფოებრივი და სოციალური წესებიც უნდა დამყარდეს, არამედ კოოპერაციას ენიჭება უფრო განსაკუთრებული მნიშვნელობა და მას უფრო და უფრო მეტი მოვალეობები ემატება. ამიტომ კოოპერატორთა საპასუხისმგებლო მუშაობა რთულდება და მათი მოვალეობანი ფართოვდებიან. განსაკუთრებით კოოპერაციის ინსტრუქტორებს ევალებათ, რომ კოოპერიციაში არ შეიჭრას მისთვის არა სასურველი ელემენტები და კოოპერაციამ თვითგამორკვევის პრინციპი არ დაარღვიოს.

2. კოოპერაციის ამგვარ მოვლენებიდან დასაცველად, გარდა სხვა საშუალებებისა, საჭიროა შეტანა სოფელში განათლებისა პროპაგანდის საშუალებით, რომ სოფელმა რაც შეიძლება კარგათ გაიგოს და შეითვისოს კოოპერაციის პრინციპები. ამასთანავე ეს პროპაგანდა უნდა იყვეს მიმართული არა მხოლოდ ხელმძღვანელთა მიმართ, არამედ ფართო მასსისკენ. ამას გარდა, საჭიროა დაუყონებლივ ზომების მიღება მომზადებულ ხელმძღვანელთა შესაქმნელად და ეს ხელმძღვანელნი უნდა იყვნენ თვით სოფლის მცხოვრებელნი.

3. კოოპერაცია უნდა ცდილობდეს რაც შეიძლება მალე შემოღებულ იქმნას საყოველთაო სავალდებულო უფასო სწავლა.

4. რადგანაც კოოპერაციას აქვს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, ამიტომ სასურველია, რომ კოოპერაციის სწავლება იყოს შემოღებული სასწავლებელში.

5. კოოპერაციამ რომ უფრო ადვილად მიაღწიოს თავის საბოლოო მიზანს, საჭიროა, რომ კოოპერატივებში კულტურულ-განმანათლებელი მოქმედება სავალდებულოდ იქნას აღიარებული.

6. ყველა კოოპერატივებს და მათ კავშირებს სავალდებულოდ უნდა ჰქონდეთ კულტურულ-განმანათლებელი ფონდის შექმნა. ამასთანავე ეს ფონდი შედგენილი უნდა იყვეს განსაკუთრებული საწევრო გადასახადებით, მოგების ნაწილის გადადებით და სახელმწიფო და ადგილობრივ თვითმართველობების დახმარებით.

7. ეკონომიურ განყოფილებასთან ერთად ყველა კოოპერატივს უნდა ჰქონდეს კულტურულ-განმანათლებელი განყოფილებაც.

8. სხვა და სხვა გვარმა კოოპერატივებმა უნდა შეაკავშირონ თავიანთი მოქმედება, თანხები და საერთოდ იმუშაონ ამ დარგში.

9. თვითეულ კოოპერატივის მოქმედება კულტურულ-განმანათლებელ დარგში უნდა იყვეს შემდეგნაირი:

ა) კოოპერატივს უნდა ჰქონდეს მოწყობილი ბიბლიოთეკა-სამკითხველო და თუ ეს უკვე არის, კოოპერატივი უნდა ეხმარებოდეს მას. უნდა იყვეს კოოპერატივში მოწყობილი წიგნების განყოფილება და მათი გავრცელება.

ბ) კოოპერატივი აუცილებლად უნდა აცნობდეს ხალხს თავის მოქმედებას და მიზნებს სხვა და სხვა მოხსენებებით, ლექციებით და სხვა, რისთვისაც უნდა აწყობდეს განსაზღვრულ დროში ლექციებს.

გ) კოოპერატივი უნდა აწყობდეს სხვა და სხვა კულტურულ გასართობებს—წარმოდგენებს, სალიტერატურო მუსიკალურ დილა-საღამოებს და სხვ.

9. კოოპერატივების კავშირების მოქმედება უნდა იყვეს შემდეგნაირი:

ა) სავალდებულო უნდა იყვეს, მოწყობა მუდმივ (დიდი კავშირებისთვის) და დროებითი (პატარა კავშირებისთვის) კოოპერატიული კურსებისა.

ბ) სავალდებულო უნდა იყვეს ინსტრუქტორების ყოლა და მათი დაგზავნა კოოპერატივებში; ინსტრუქტორები უნდა ასწავლიდენ წმინდა ტეხნიკურ მხარეს საქმის წარმოებისას და ზოგნიც კოოპერატიულ მიზნებს უნდა ავრცელებდენ ხალხში.

გ) კავშირს უნდა ჰქონდეს მოწყობილი წიგნების საწყობი, საკუთარი ჟურნალ-გაზეთები და სხვა კოოპერატიული ლიტერატურა.

დ) კავშირებმა უნდა მოაწყონ ხოლმე დრო-გამოშვებით კოოპერატივების წარმომადგენლების კრებები.

10. კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა უნდა სწარმოებდეს კოოპერატივების წევრების დედა ენაზე.

მოხსენება გ. ზ. გოგებაშვილისა: „ურთიერთობა სხვა და სხვა სახის კოოპერატივებისა ერთმანეთ შორის“.

1. ვინაიდან ჩვენში განსაკუთრებული პირობებია კოოპერატიული წყობა-შენებისა, და ხალხის ფართო მასისათვის ჯერ კიდევ გაუგებარია კოოპერაციის ნამდვილი მიზნები, რის გამო მცხოვრებთა მხრივ არ არსებობს შეგნებული დამოკიდებულება კოოპერატიულ მოძრაობისადმი და კოოპერაცია გაჟღენთილია ანტიკოოპერატიული ტენდენციებით, აუცილებლათ საჭიროა ნაკლის თავიდან ასაცილებლათ ძირიანათ შეიცვალოს კოოპერატიული წყობა-შენების საქმე.

2. „ძალა ერთობაშია“—კოოპერაციის ეს უმთავრესი პრინციპი უნდა დაედვას ქვაკუთხედათ კოოპერატიულ წყობილებას, რისთვისაც აუცილებელია გაერთიანება ყველა სახის კოოპერატივებისა ერთ კოოპერატივში.

3. გაერთიანებული კოოპერატივი შესძლებს შეაერთოს მატერიალური და კულტურული ძალები, რომლითაც განსაკუთრებით ღარიბია ჩვენი კოოპერატივები.

4. რომ გაერთიანებული მუშაობის უპირატესობანი და შრომის განაწილება მწყობრათ შეთანხმდენ, აუცილებლათ საჭიროა:

ა) გაერთიანებული კოოპერატივი განაწილდეს სპეციალურ განყოფილებებათ,

ბ) ყოველი განყოფილება მხოლოდ თავის სპეციალურ საქმეს უნდა განაგებდეს და ეთანხმებოდეს კოოპერატივის საერთო საქმეთა მიმდინარეობას.

გ) ყველა სახის კოოპერატივებისთვის განსაკუთრებული კაპიტალები უნდა მოეწყოს და მათ საზღვრებში უნდა სწარმოებდეს ოპერაციები.

დ) მთელი საქმის მეთვალ-ყურეობა უნდა დაევალოს შერეულ გამგეობას, რომელიც უნდა შესდგეს ყველა განყოფილებების წარმომადგენელთაგან, ცალკე განყოფილებების საქმეთა გაძღოლა კი უნდა დაევალოს განსაკუთრებულ გამგეებს, რომლებიც შეიძლება იყვნენ დაქირავებული მოსამსახურენი ან გამგეობის წევრები.

ე) წმინდა ეკონომიურ განყოფილებათა გარდა, ყოველ კოოპერატივში უნდა არსებობდეს კულტურულ-განმანათლებელი განყოფილება, საჭირო კაპიტალით უზრუნველყოფილი.

5. კოოპერატივის მოქმედება თანდათან უნდა ფართოვდებოდეს მისი სამოქმედო რაიონის მოთხოვნილებათა მიხედვით, რისთვისაც საჭიროა სანიმუშო წესდების შედგენა, რომელიც შეძლებას მისცემს კოოპერატივებს ერთნაირ საფუძველზე მოეწყონ.

6. არსებულმა კოოპერატივებმა თავი უნდა მოიყარონ მომხმარებელ საზოგადოებათა გარშემო, რადგანაც ისინი უფრო დემოკრატიული და სოციალურია, უფრო ახლოს დგანან მცხოვრებთა ინტერესებთან და მათში ადვილათ მოთავსდება როგორც მცხოვრებთა დაკმაყოფილება სასურსათო საგნებით, საწარმოო იარაღებით და სხვა, აგრეთვე გასაღება კოოპერატივის წევრთა შრომის ნაყოფისა.

დადგენილება. რადგანაც საკითხი კოოპერატივების ურთიერთ დამოკიდებულების და სხვაგვარ კოოპერატივთა გაერთიანების შესახებ ძალიან რთული და ფრიად საჭირო, ამიტომ ყრილობა საჭიროდ სცნობს, გადაეცეს მოხსენების ტეზისები ყრილობათა საბჭოს, რომელიც მოამზადებს მოხსენებას შემდეგ ყრილობისთვის.

დადგენილებები ყრილობისა „ადგილობრივ დაწესებულებათა და დამფუძნებელ კრების არჩევნებში კოოპერატივების მონაწილეობის შესახებ“.

1. კოოპერაციამ, რომელიც არის მშრომელთა მასსის შემაკავშირებელი, უნდა მიიღოს ფრიად ენერგიული მონაწილეობა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, როგორც დამფუძნებელ კრებამდე, აგრეთვე მის შემდეგაც, რომ ხელი შეუწყოს მთელი პოლიტიკურ და სოციალურ წესწყობილების გარდაქმნას დემოკრატიულ ნიადაგზე.

2. ძველი რეჟიმი სრულიად უსპობდა მშრომელთა მასსას სწავლა-განათლების საშუალებას. საჭიროა სწრაფი ზომები სოფლის მცხოვრებთა შორის მოქალაქეობრივ და კულტურულ თვითგამორკვევის აზრების შესატანად, საჭიროა დაუყოვნებლივ შექმნა კულტურულ ცენტრებისა სოფლებში, სამაზრო და საგუბერნიო ქალაქებში სააგიტაციო ლიტერატურის გასავრცელებლად, მიტინგების მოსაწყობად, ორატორების მოსაწვევად და დემოკრატიის საორგანიზაციოდ. ამგვარ ცენტრებად პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად უნდა იყვნენ კოოპერატივები.

3. კოოპერატორები უნდა სცდილობდენ დემოკრატიის შეერთებულად გამოსვლისთვის. რამდენადაც მჭიდროდ იქნება შეკავშირებული სხვა და სხვა მიმდინარეობის დემოკრატია, იმდენად უფრო გაადვილდება ბრძოლა დამფუძნებელ კრებაზე პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრების დემოკრატიულად მოწყობის შესახებ.

4. კოოპერატორებს, რომელნიც გაფანტულნი და დაახლოვებულნი არიან ხალხთან, უფრო ადვილად შეუძლიან შემჩნევა კონტრ-რევოლიუციის ნიშნებისა და ბრძოლა მათთან.

5. ადგილობრივი კოოპერატიული მოღვაწენი უნდა ავალებდენ კოოპერატიულ ცენტრებს, რომ მათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ ხალხის მომზადებაში დამფუძნებელ კრებისთვის, რომ მათ შექმნან საჭირო ლიტერატურა, დაჰგზავნონ აგიტატორები და გამოცდილნი პირნი მასსის შესაკავშირებლად.

6. დამფუძნებელ კრების მოწვევამდე, ხალხის პოლიტიკურ გამოსვლების დროს, კოოპერატორებმა მხარი უნდა დაუჭირონ ყველა იმგვარ პოლიტიკურ ნაბიჯებს, რომელნიც ხელს შეუწყობენ ქვეყნის დემოკრატიულად მოწყობას და აგრეთვე მხარი უნდა დაუჭირონ რევოლიუციის მიერ შექმნილ, თავის შემადგენლობით უპარტიო, მაგრამ არსებითად კლასიურ ორგანიზაციებს—მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოებს.

დადგენილებანი საკრედიტო კოოპერაციის შესახებ.

1. საკრედიტო კოოპერატივებში თვითეულ პირთათვის კრედიტის რაოდენობა ისაზღვრება საზოგადო კრების დადგენილებით.

2. ამტკიცებს რა სრულიად რუსეთის და ადგილობრივ კოოპერატიულ ყრილობათა დადგენილებებს, ყრილობა საჭიროდ სცნობს, რომ კოოპერატივებში მთელი საქმის წარმოება მიმდინარეობდეს ადგილობრივ ენებზე.

3. საკრედიტო კოოპერატივებმა ფართო კრედიტი უნდა გაუხსნან მომხმარებელთა კოოპერატივებს; კრედიტის რაოდენობას აწესებს საკრედიტო კოოპერატივის საზოგადო კრება.

4. კოოპერატივების ინტერესების საკმარისად დასაცავად სახელმწიფო ბანკებში, ყრილობა საჭიროდ სცნობს, რომ დაუყოვნებლივ შევიდნენ სახელმწიფო ბანკის განყოფილების მიმღებ კომიტეტებში (უჩოტნი კომიტეტებში) კოოპერატიულ დაწესებულებების წარმომადგენელნი და მათი რიცხვი მეტი უნდა იყვეს, ვიდრე კერძო ვაჭრობა-მრეწველობის წარმომადგენლებისა.

5. კოოპერატივებში ინსტრუქტორულ საქმის წესიერად მოსაწყობად ყრილობა საჭიროდ სთვლის, რომ აუცილებლივ მოწყობილი იყვეს კავშირებთან საინსტრუქტორო განყოფილებები; აგრეთვე ყრილობა საჭიროდ სცნობს, რომ წვრილ კრედიტის ინსპექციის შტატის მოსპობამდე წვრილი კრედიტის ინსპექტორები ასრულებდნენ მხოლოდ საკრედიტო კოოპერატივების ინსტრუქტორების ფუნქციებს.

6. რამდენათაც კი საკრედიტო კოოპერატივებს და მათ კავშირებს უხდებათ გამოწერა და შეძენა პირველ მოთხოვნილების საგნებისა, იმდენათ ყრილობა საჭიროდ სთვლის, რომ საკრედიტო კოოპერატივები მოვალენი არიან გაანაწილონ ყველა შეძენილი საქონელი მომხმარებელ კოოპერატივის შემწეობით, გარდა იმ ადგილებისა, სადაც მომხმარებელთა კოოპერატივები არ არსებობენ.

მოსკოვის სახალხო ბანკის შესახებ.

ყრილობა ადასტურებს წინანდელ დადგენილებებს ადგილობრივ კავშირების და კოოპერატივების კრებისას მოსკოვის სახალხო ბანკის განყოფილების გახსნის შესახებ ტფილისში და გამოსთქვამს სურვილს, რომ რაც შეიძლება მალე განხორციელდეს მოსკოვის სახალხო ბანკის აქციონერთა გადაწყვეტილება ტფილისში ამ ბანკის განყოფილების გახსნის შესახებ.

ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა ყრილობების საბჭოს დებულება.

I. ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა ყრილობების საბჭოს მიზანია:

1) შემუშავება და გამოქვეყნება ყველა იმ ცნობებისა, რომელნიც ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა მოქმედებას შეეხებიან.

2) ხელის შეწყობა ყოველგვარ კოოპერატივების და მათი კავშირების დაარსება და განვითარებაში.

3) მოწყობა მუდმივ და ერთდროულ კოოპერატიულ კურსებისა და შკოლებისა.

4) მოწყობა მუზეუმებისა, გამოფენებისა, ყრილობებისა და სხვა.

5) გამოცემა პერიოდულ ჟურნალ-გაზეთებისა და სხვა ლიტერატურისა.

6) შეგროვება და შემუშავება სტატისტიკურ ცნობებისა ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა შესახებ.

7) მოწყობა კოოპერატივების წარმომადგენლობისა საოლქო სასამართლოსთან არსებულ სარეგისტრაციო განყოფილებაში და ყველა სახელმწიფოებრივ და საზოგადო დაწესებულებებში.

8) ყრილიბის დადგენილებათა სისრულეში მოყვანა.

II. ყრილობების საბჭოს წევრათ ითვლებიან ყველა ის კოოპერატივები ამიერ-კავკასიისა, რომელთაც აქვთ შეტანილი ხვედრი საწევრო გადასახადი.

III. წლიური საწევრო გადასახადი თვითეული კოოპერატივისთვის არის 10 მან. და კოოპერატივთა კავშირისთვის 300 მან.

IV. ყრილობათა საბჭოს საქმეებს განაგებენ ბიურო, საბჭო და ყრილობები.

V. ბიურო შესდგება არა ნაკლებ 5 პირისა და 3 კანდიდატისაგან, რომელთაც ირჩევენ ყრილობები. ბიუროს ევალება სისრულეში მოყვანა ყრილობების ყველა დადგენილებებისა, მიმდინარე საქმეები და, მის განკარგულებაშია აგრეთვე მთელი თანხები და ქონება საბჭოსი. ბიუროს ევალება წარმომადგენლობა ყველა კერძო პირებთან და სხვა და სხვა დაწესებულებებთან.

VI. საბჭო შესდგება ყველა კავშირების წარმომადგენლებისაგან, რომელთაც ირჩევენ თვით კავშირები. თვითეულ 20 კოოპერატივზე კავშირი ირჩევს 1 წარმომადგენელს და იმ გუბერნიებში და ოლქებში, სადაც კავშირები არ არსებობენ, საბჭოს წარმომადგენლები ირჩევიან ადგილობრივ ყრილობებზე და აქაც თვითეულ 20 კოოპერატივზე ირჩევა 1 წარმომადგენელი; თუ კოოპერატივთა რიცხვი 20-ზე ნაკლებია, მაინც 1 წარმომადგენელი ირჩევა.

საბჭოს ევალება თვალყურის დევნა ბიუროს მოქმედებაზე, განხილვა

ყველა ანგარიშებისა, საბუთებისა და ყრილობათა საბჭოს ქონებისა და აგრეთვე წინასწარი გადასინჯვა და მომზადება ყველა კითხვებისა, რომელნიც უნდა იყვნენ განხილულნი ყრილობებზე.

VII. საზოგადო კრება ყრილობათა საბჭოსი იკრიბება წელიწადში ერთხელ მაინც. გარდა ამისა, კრება შეიძლება მოწვეულ იყვეს ბიუროს გადაწყვეტილებით, საბჭოს და არა ნაკლებ 25 კოოპერატივების მოთხოვნილებით.

VIII. ვრცელი პროგრამა საბჭოს ბიუროს მოქმედებისა და აგრეთვე წესრიგი ყრილობების მოწვევისა ხდება განსაკუთრებულ ინსტრუქციების მიხედვით. ინსტრუქციებს იმუშავებს ბიურო და ამტკიცებს ყრილობა; ინსტრუქციები, ვიდრე განიხილებოდეს, დროებით შედის ძალაში საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ.

IX. ყრილობათა საბჭოს აქვს უფლება შეიძინოს თავის საჭიროებისათვის უძრავი და მოძრავი ქონება და მიიღოს შემოწირულებანი.

X. ყრილობათა საბჭოს ბიურო იმყოფება ქ. ტფილისში.

ყრილობათა საბჭოს ბიუროს პირველი შემადგენლობა იყო შემდეგი: კ. ბ. კანდელაკი, კ. ი. შემიტოვი, შ. ზ. გოგებაშვილი, ე. ს. აზატიანი და ე. ს. დარჩია.

ყრილობა დამთავრდა საერთო ამიერ-კავკასიის კოოპერატიულ ხელმძღვანელ ცენტრის—ამიერ-კავკასიის კოოპერატიულ ყრილობათა საბჭოს დაარსებით.

ამ ყრილობამ ამიერ-კავკასიის ყველა კუთხის და ყოველგვარ კოოპერატივებს საშუალება მისცა ერთმანეთისთვის გაეზიარებინათ თავიანთი მდგომარეობა და შეემუშავებინათ თავიანთ პრაქტიკულ მუშაობისთვის საერთო დებულებანი. ამასთანავე კოოპერაციას მომავლის იმედები გადაეშალა თვალწინ და გარკვეული გზა გაეხსნა ამ იმედების განხორციელებისაკენ.

კოოპერატიულ ყრილობის დამთავრების შემდეგ შესდგა კავშირის რწმუნებულთა მეორე ჩვეულებრივი კრება (21—23 ივნისს) 1916 წლის დასამტკიცებლად და კავშირის მომავალ სამოქმედო გეგმის განსახილველად. ამ კრებამ მიიღო პროექტი ახალი წესდებისა, რომლის ძალით ამიერ-კავკასიის მომხმარებელთა საზოგ. კავშირი გადაკეთდა ამ.-კავკ. კოოპერატივების კავშირად, ე. ი. შერეულ ყოველგვარ კოოპერატივების კავშირად და ამასთანავე შეტანილ იქმნა ცვლილებები კავშირის მმართველ ორგანოების წესებში. ახალი წესდებით გამგეების ინსტიტუტის მაგივრად შემოღებულ იქმნა გამგეობა, რომელიც აღჭურვილ იქმნა სრული აღმასრულებელი ძალა-უფლებით. კრებამ

აირჩია სრულიად ახალი (გარდა ერთი ყოფილ გამგის) შემადგენლობა გამგეობისა: ე. დარჩია, პ. თალაკვაძე, შ. გოგებაშვილი, გ. წულუკიძე და ი. ჭავჭანიძე. აქედგან იწყება მესამე ხანა მეორე საოპერაციო წლისა.

ახალი გაფართოებული გამგეობა პირველ ხანებში ენერგიულად შეუდგა კავშირის მოქმედების გაუმჯობესებას; გამგეობის წევრთა შორის დანაწილდა სპეციალური დარგები (სავაჭრო, საფინანსო, საინსტრუქტორო და სხვა) და ერთს—პ. თალაკვაძეს დაევალა ქუთაისის განყოფილების მართვა-გამგეობა. მაგრამ გარეშე პირობებმა კავშირს არ მისცა შეძლება ფართო სამოქმედო ასპარეზის მოწყობისა. საქონლის შეძენის მხრივ მდგომარეობა უარესად გამწვავდა, ვიდრე წინეთ; ამიერ-კავკასიისთვის გარეშე ბაზარი თანდათან ისპობოდა და ამასთანავე ვერა და ვერ დამყარდა სასურველი მწყობრი მუშაობა სასურსათო ორგანიზაციებთან. ამ ორგანიზაციებმა არამც თუ გამოიყენეს მზამზარეული აპარატი და გამოცდილება კოოპერაციის, არამედ ყოველივე დაბრკოლებები გადაუღობეს წინ კოოპერაციას და ზოგიერთა ადგილას საკუთარი სავაჭროების მოწყობაც კი განიზრახეს და ბევრგან კიდევაც განახორციელეს. შეიქნა საშინელი შუღლი და გამწვავებული დამოკიდებულება კოოპერატივებსა და სასურსათო კომიტეტებ შორის, როგორც პროვინციებში, ისე ცენტრში. სასურსათო კომიტეტების მიერ საკუთარ განმანაწილებელ აპარატების (საწყობების, სავაჭროების) შექმნით კოოპერატივებისთვის, გარდა წმინდა ვაჭრულ ქიშპობისა, შეიქნა სხვაგვარი საფრთხეც. კომიტეტების ამგვარ აპარატებისთვის საჭირო იყო გამოცდილი პირნი (ამგვარ პირებს სასურსათო კომიტეტები საკმარისად აკმაყოფილებდნენ ჯამაგირების მხრივ), რომელნიც მოიპოვებოდნენ უმთავრესად კოოპერატივებში დი სამსახურის კარგ პირობების გამო. მრავალი გამოცდილი კოოპერატივის მუშაკი მიდიოდა მათკენ. ვიდრე ტფილისის საგუბერნიო და მთელი კავკასიის სასურსათო კომიტეტების გამგეობა დაარსდებოდა, ამ.-კავკ. კოოპერ. კავშირს თითქმის ყველა დაწესებულებანი უწევდენ ანგარიშს და მომეტებული ნაწილი ამიერ-კავკასიაში შემოსულ სურსათისა მის საშუალებით ნაწილდებოდა. სასურსათო კომიტეტების დაარსებიდან კი სურსათის განაწილება დაიწყო ადგილობრივ კომიტეტების შემწეობით. ამასთანავე გაჩაღდა სასტიკი ბრძოლა ადგილობრივ კომიტეტების და კოოპერატივების შორის. ასეთი გარემოების გამო საჭირო შეიქნა კვლავინდებურად ერთ-ერთი გამგეობის წევრის გაგზავნა მუდმივ სამუშაოდ ტფილისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტში, რომ ამით ცოტა თუ ბევრად შემსუბუქებულიყო გამწვავებული მდგომარეობა. ამნაირად

კავშირს კიდევ მოაკლდა ერთი ხელმძღვანელთაგანი. ამასთან ერთად სრულიად გამოვიდა გამგეობის შემადგენლობიდან მეორე წევრიც—ი. ჭავჭანიძე და ამგვარად კავშირის ხელმძღვანელად ფაქტიურად დარჩა სამი პირი.

კავშირი მარტო სასურსათო კომიტეტებზე არ ამყარებდა თავის იმედებს საქონლის შეძენის მხრივ. თუმცა გარეშე ბაზარი უსაქონლობის გამო ერთის მხრივ და მეორე მხრივ სხვა და სხვა შემზღუდველ პირობების (გადატან-გადმოტანის აკრძალვა, ნიხრი და სხვა) გამო ძნელი მოსაწყობი იყო, მაინც კავშირი მომეტებულ ნაწილს საქონლისას ამ გარეშე ბაზრიდან იძენდა. თითქმის ყველა თვალსაჩინო პუნქტებში (ბაქო, ასტრახანი, როსტოვი, ოდესა, სარატოვი, ხარკოვი, ნიჟნი და მოსკოვი) გაფანტული იყვენ კავშირის სავაჭრო აგენტები და გზავნიდენ საქონელს. სულ ორი თვის განმავლობაში გარეშე ბაზრიდან კავშირმა შეიძინა 1,035,000 მან. საქონელი. ამასთანავე კავშირმა დაიწყო მოწყობა ადგილობრივ ნაწარმოების ყიდვისა კოოპერატივების საშუალებით. ამგვარად კავშირი თავის ოპერაციებს თანდათან აფართოვებდა და შედარებით წინა წელთან, როგორც დავინახავთ ქვემოდ ციფრებიდან, საკმარის მძლავრ ორგანიზაციათ გარდაიქცა. 1 იანვარს 1918 წელს კავშირში ირიცხებოდა წევრად უკვე 938 კოოპერატივი. გუბერნიების მიხედვით ეს კოოპერატივები განაწილებული იყო შემდეგნაირად:

ცხრილი № 3. მოკავშირე კოოპერატივების შემადგენლობა 1918 წ. 1 იანვარს.

გუბერნიები	კოოპერატ. რიცხვი	წევრთა რიცხვი	კოოპერატ. საერთ. რიცხვ %%	კოოპერათივ. საერთო წევრთა რიცხ. %%
ტფილისის.	288	141.722	30,70	51,87
ქუთაისის	567	102.272	60,44	37,44
განჯის	17	9.655	1,82	3,53
ერევნის	33	10.933	3,51	4,01
ყარსის ოლქი	9	3.838	0,96	1,40
სოხუმის	3	200	0,33	0,08
ბათომის	18	4.347	1,91	1,58
ბაქოს.	3	279	0,33	0,09
სულ . .	938	273.246	100	100

როგორც ვხედავთ ამ ცხრილიდან კავშირის შემადგენლობაში, როგორც 1916 წელს, უმრავლესობას შეადგენენ ტფილისის და ქუთაისის გუბერნიების კოოპერატივები.

კავშირის საკუთარი თანხები 1 იანვ. 1918 წელს იყო: საპაიო გადასახადი 284,437 მ. 59 კ. და სხვა და სხვა საგანგებო დანიშნულების თანხები 42,439 მ. 18 კ. სულ 326,876 მ. 77 კ. ამასთანავე საერთო ჯუმლი საქონლისა 1917 წლის განმავლობაში უდრიდა 7,499,54 მან. 6 კ. და წმინდა მოგება დარჩა 371,234 მ. 71 კ.

კოოპერატივებ შორის განაწილებულ საქონლის რაოდენობას გვიჩვენებს ცხრილი № 4.

კავშირის ნივთიერ გაღონიერებასთან ერთად 1917 წელს თანდათანობით გაძლიერდა მისი მოქმედება კულტურულ-განმანათლებელ (არა სავაჭრო) დარგშიაც.

კოოპერატივების რიცხვის სწრაფი გამრავლება იმ დროს, როდესაც არ მოიპოვებოდა საკმარისი რიცხვი მომზადებულ ხელმძღვანელებისა, არა სასურველ ნიადაგზე აყენებდა საერთო კოოპერატიულ მოძრაობას ჩვენში. ერთის მხრივ ფართო მასსა თითქმის სრულიად არ იყო გაცნობილი ნამდვილ კოოპერატიულ მიზნებს და მეორე მხრივ კოოპერატივების ანგარიშების წარმოება სრულიად მოუწყობელი იყო, რაც ბადებდა მრავალ ბოროტ-მოქმედებას და იწვევდა ხალხის უნდობლობას. ამიტომ კავშირის უმთავრესი საზრუნავი კულტურულ-განმანათლებელ დარგში კოოპერატივების ანგარიშების მოწყობა და ფართო მასსაში კოოპერატიულ იდეების გავრცელება იყო. მაგრამ ისე სწრაფად დახმარების აღმოჩენა, როგორც სწრაფად მრავლდება კოოპერატივთა რიცხვი, შეუძლებელი იყო, ვინაიდან საჭირო პირნი კოოპერატივების ხელმძღვანელებად არ მოიპოვებოდნენ. 1917 წლის პირველ ნახევარში კავშირს ჰყავდა მხოლოდ ორი ინსტრუქტორი, ხოლო ამავე წლის მეორე ნახევრიდან უკვე ათი ინსტრუქტორი უწევდა კოოპერატივებს ხელმძღვანელობას. ინსტრუქტორთა შტატის გამრავლებისთანავე უკვე მტკიცე საძირკველი ჩაეყარა კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას, ვინაიდან საინსტრუქტორო დახმარების გარდა შესაძლებელი იყო ინსტრუქტორებისვე საშუალებით სხვა და სხვა დარგის მუშაობის მოწყობა, როგორც კოოპერატიულ კურსების მოწყობა, გამომცემლობის გაფართოვება და სხვა და სხვა. 1917 წლის მეორე ნახევარშივე (8 ივნისს) გამოიცა პირველი ყოველ-კვირეული კოოპერატიული ჟურნალი „კავშირი.“ ამასთანავე კავშირმა გადასდგა პირველი ნაბიჯი საკუ-

ცხრილი № 4. 1917 წლის განმავლობაში განაწილებული საქონელი, კოოპერატივების რიცხვი და საპაიო გადასახადი.

გუბერნიები	მაზრები	კოოპ. რიცხვი	საპაიო გადასახ.		წაღებული საქონელი ტფილისის საწყ.		ქუთაისის საწყ.	
ტფილისის	ტფილისის	65	38084	34	787816	25	—	—
	გორის	58	24380	—	383758	78	—	—
	დუშეთის	14	6110	—	117085	27	—	—
	ბორჩალოს	72	32668	—	482452	76	—	—
	ახალქალაქის	18	10665	—	71335	13	—	—
	ახალციხის	5	4249	50	50185	94	—	—
	თიანეთის	7	2273	—	26740	92	—	—
	სიღნაღის	41	19883	—	269320	36	—	—
	თელავის	8	3400	—	52157	65	—	—
	სულ	288	141.721	84	1240852	96	—	—
ქუთაისის	ქუთაისის	155	27998	50	64175	93	1054023	87
	ოზურგეთის	119	18001	25	91861	63	767283	35
	სენაკის	70	14024	25	56473	67	402328	02
	ზუგდიდის	62	14698	—	41667	05	259443	48
	რაჭის	40	7376	—	7162	66	223469	02
	ლეჩხუმის	18	3282	25	—	—	76371	32
	შორაპნის	81	15902	—	40188	—	639832	32
	გამოურკვ. მაზრებ.	22	990	—	544	71	23944	65
	სულ	567	102272	25	302073	65	3446696	03
განჯის	განჯის	2	1109	—	5081	33	—	—
	ზანგეზურის	2	1000	—	7056	07	—	—
	ჯევაშირის	1	1000	—	8293	91	—	—
	ყაზახის	12	6546	—	78071	78	—	—
	სულ	17	9655	—	98503	09	—	—

გუბერ-ნიები	მაზრები	კოლ. ნიცხვი	საპაიო გადასახ.		წაღებული საქონელი ტფილისის საწყ.		ქუთაისის საწყ.	
ერევნის	ალექსანდროპოლ.	18	7872	—	71633	15	—	—
	ერევნის . . .	4	323	—	48895	43	—	—
	ნახიჩევანის . .	5	1274	—	16770	32	—	—
	ნოვო-ბაიაზეთის .	1	350	—	8444	40	—	—
	შარურო-დარალის	1	200	—	612	20	—	—
	ეჩმიაძინის. . .	3	528	—	1164	72	—	—
	სულ . .	32	10547	—	147220	22	—	—
ყარსის ოლქი	—	9	3838	—	88896	62	—	—
	სულ . .	9	3838	—	88896	62	—	—
სოხუმის ოლქი	—	3	200	—	2638	60	2421	67
	სულ . .	3	200	—	2638	60	2421	67
ბათუმის ოლქი	—	18	4347	—	11083	36	38835	51
	სულ . .	18	4347	—	11083	36	38835	51
ბაქოს გუბერ.	—	3	279	—	4343	63	—	—
	სულ . .	3	279	—	4343	63	—	—
ერზერუმის ვილაიეთი	—	1	386	—	2776	88	—	—
	სულ . .	1	386	—	2776	88	—	—

თარ საერთო გამომცემლობისკენაც; ამ წელს გამოიცა რამდენიმე კოოპერატიული ბროშიურა ქართულ ენაზე.

1917 წლის დასასრულს, კავშირი უკვე ისე საფუძვლიანად მოღონიერდა, რომ ვერავითარი გარეშე პირობები მას ვერ შეარყევენ და, 1918 წლისთვის უფრო მეტი სამოქმედო ასპარეზი გადაეშალა. შემდეგი წლის განხილვა დაგვანახვებს, რომ მრავალგვარ მოქმედებასთან ერთად კავშირმა გადასდგა საფუძვლიანი ნაბიჯი საკუთარ კოოპერატიულ წარმოების შექმნაში.

1919 წელს 23 მაისს შესდგა საქართველოს პირველი კოოპერატიული ყრილობა. კრება გაიხსნა ნაშუადღევის 2 საათზე ყრილობათა საბჭოს წევრის **შ. გოგებაშვილის** მიერ. თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა **სიმონ მაჭავარიანი**, მდივნად **მიხეილ მაისურაძე**. პრეზიდიუმის სხვა წევრთა არჩევნები გადაიდო შემდეგ სხდომისათვის.

შემოვიდა წინადადება—უდროობის გამო კრება გადაიდოს საღამოსთვის და მეორე—არჩეულ იქმნას სამანდატო კომისია.

კენჭის ყრით მიღებულ იქმნა პირველი წინადადება. კრება დანიშნულ იქმნა საღამოს 6 საათზე. მეორე წინადადების შესახებ ერთი ყრილობის წევრთაგანი აღნიშნავს, რომ ვინაიდან კრება წარმოადგენს თათბირს და ოფიციალური ყრილობა კი 25 მაისს გაიხსნება, მაშინ უნდა იქნეს არჩეული სამანდატო კომისია. საბჭოს სახელით **შ. გოგებაშვილი** განმარტავს, რომ კრება—ყრილობაა და არა თათბირი, ვინაიდან საბჭომ მოიწვია თვითეულ რესპუბლიკის—საქართველოს, აზერბეიჯანის და არარატის ცალკე ყრილობა და ამიერ-კავკასიის კოოპერატიული ყრილობა.

ი. გაბილაიას წინადადება შემოაქვს გაიხსნას საქართველოს კოოპერატიული ყრილობა და იგი ამიერ-კავკასიის კოოპერატიულ ყრილობის გახსნისას კი არ შესწყდეს, არამედ უკანასკნელის დასრულების შემდეგაც გაგრძელდეს.

თავმჯდომარე განმარტავს, რომ ეს საკითხი შემდეგ უნდა გაირჩეს, ჯერ კი საჭიროა გადასწყდეს—ავირჩიოთ თუ არა სამანდატო კომისია. კენჭის ყრით, ხმის უმრავლესობით გადასწყდა,—არჩეულ იქმნეს სამანდატო კომისია. კომისიაში არჩეულ იქმნენ: ი. თაქთაქიშვილი, ტ. ლატარია და გ. ბერძნიშვილი.

შემდეგ კრება გადადის კრების განსახილველ საკითხთა წესრიგზე. საბჭოს წევრი **შ. გოგებაშვილი** არდგენს შემდეგ საკითხებს:

1. საბჭოს მოხსენება თავის მოქმედების შესახებ, 2. კოოპერატიული მოძრაობის მიმოხილვა: ა) მომხმარებელთა კოოპერაცია, ბ) საკრედიტო კოოპერაცია, 3. კოოპერაცია და პოლიტიკური მდგომარეობა, 4. კოოპერაციის პერსპექტივები, 5. საკოოპერაციო ფინანსები, 6. კოოპერაცია და ადგილობრივი თვითმართველობანი, 7. კოოპერაცია და სასურსათო საქმე, 8. სხვა და სხვა დარგის კოოპერატივების ურთიერთობა, 9. კულტურულ-განმანათლებელი მოღვაწეობა კოოპერაციისა, 10. კოოპერატიული კანონმდებლობა, 11. კოოპერატიული ცენტრი, 12. კოოპერაცია და წარმოება, 13. კავშირ-

თა შენება, 14. კოლექტიური ხელშეკრულება კოოპერატივებში, 15. კოოპერატიული ინსტიტუტი. ამით კრება დასრულდა და წესრიგის განხილვა გადადებულ იქმნა საღამოს კრებისათვის.

მეორე კრება გაიხსნა საღამოს 8 საათზედ. თავმჯდომარის წინადადებით არჩეულ იქმნენ პრეზიდიუმის დანარჩენი წევრნი თავმჯდომარის ორი ამხანაგი — **გ. ნაცვალიშვილი** და **ი. გარსევანიშვილი**.

კ. ტყავაძე წინადადებას იძლევა, ყრილობამ მონაწილეობა მიიღოს მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის წლის თავის დღესასწაულში. წინადადება მიღებულ იქმნა. პრეზიდიუმს დაევალა შეიმუშავოს გეგმა ამ მონაწილეობისა.

მასვე შემოაქვს წინადადება—ყრილობა მიესალმოს კოოპერატორს—ფინანსთა მინისტრს **კონსტანტინე პლატონის ძე კანდელაკს.** წინადადება მიღებულ იქმნა და მისალმების ტექსტის შემუშავება დაევალა პრეზიდიუმს.

მასვე შემოაქვს წინადადება დამფუძნებელ კრების წევრნი კოოპერატორები არჩეულ იქმნენ საპატიო თავმჯდომარედ.

წინადადება მიღებულ იქმნა.

შემდეგი კრება გადადის მორიგ საკითხებზედ.

მოხსენება ამიერ-კავკასიის კოოპერატიულ ყრილობათა საბჭოს მოღვაწეობის შესახებ.

ამ საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ხსენებულ საბჭოს წევრი **შ. ზ. გოგებაშვილი**. იგი აცნობს ამ.-კავ. კოოპ. ყრილობათა საბჭოს წარმოშობის ისტორიას: პირველი კოოპერატიული ყრილობა შესდგა 1917 წელს. ამ ყრილობამ მიიღო დებულება ამიერ-კავკასიის კოოპერატიულ ყრილობათა საბჭოსი და ამოირჩია საბჭოს ბიურო 5 კაცისაგან შემდგარი. საბჭოს არა ნორმალურ პირობებში მოუხდა მუშაობა, მაგრამ ცოტაოდენის გაკეთება მაინც შესძლო. საბჭოს თავმჯდომარე **კ. კანდელაკი** პირველ ხანებში მუშაობდა და შესძლო—ის თანხები, რომელიც იმ დროს წვრილი კრედიტის ინსპექციის ხელში იყო, ჩვენს ხელში გადმოსულიყო.

გადმოგვცეს 5000 მან. რომლის საშუალებითაც მოწყობილ იქმნა ერთთვიური საკოოპერაციო კურსები. პოლიტიკურ მდგომარეობის გამო საბჭოს წევრთა უმრავლესობა ჩაება პოლიტიკურ და სხვა და სხვა ეკონომიურ ორგანიზაციების მუშაობაში და მხოლოდ ორი კაცი-ღა შერჩა საბჭოს. ამ გარემოებას დაერთვა ის, რომ საბჭოს არავითარი ფინანსიური წყარო არ მოეპოვებოდა, საწევრო გადასახადი და შემოწირულებაც არ შემოდიოდა და სხვა წყარო კი არ იყო.

შემდეგ მომხსენებელი განმარტავს იმ მდგომარეობას, კრიზისს, რომელმაც უკარნახა საბჭოს მოეწვია კოოპერატიული ყრილობა თვითეულ რესპუბლიკაში და აგრეთვე შეერთებული ამიერ-კავკასიის კოოპერატიული ყრილობა. ამათ საშუალებით ჰფიქრობდა საბჭო გამოენახა ის საშუალებანი, ის გზა, რომელიც გამოიყვანდა კოოპერაციას შექმნილ კრიტიკულ მდგომარეობიდან.

მომხსენებელი განმარტავს, რომ საჭირო იყო ადგილობრივი კოოპერატიული ყრილობები ადგილობრივ საკითხების განსახილველად, და საერთო ამიერ-კავკასიის კოოპერატიული ყრილობა — ზოგადი ხასიათის კითხვების გადასაჭრელად.

შემდეგ განმარტავს მნიშვნელობას ზოგიერთ იმ საკითხებისას, რომელნიც შეტანილია ყრილობის წესრიგში. აღნიშნავს, რომ საქართველოს კოოპერატიულ ყრილობისთვის შემუშავებული არ იყო განსაკუთრებული წესრიგი, ვინაიდან ზემოდ აღნიშნულ კითხვებში არის ისეთი კითხვები, რომელიც ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას და განხილვას მოითხოვენ, არის ისეთებიც, რომელნიც ამას არ საჭიროებენ.

კ. ტყავაძე აღნიშნავს, რომ ყრილობის საბჭოს წევრის მოხსენებიდან გამოირკვა:—რაც უნიადაგოთაა აშენებული, ის იშლება, საბჭო ყალბ ნიადაგზე იყო წარმოშობილი და იგი დაიშალა. ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია ისეთი ორგანიზაციის შექმნა, რომელიც რეალურ ნიადაგზე იქნება აგებული. ამიტომ ჩვენი მოქმედება უნდა შემოიფარგლოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკით.

ლ. მეტრეველი მოითხოვს, რომ კრება გააცნონ იმ კითხვებს, რომელნიც წამოყენებულია ყრილობის განსახილველად.

გ. ბერძნიშვილი. საბჭოს შემუშავებული აქვს საკითხები ამიერ-კავკასიის კოოპერატიულ ყრილობისთვის. რომ ნაყოფიერად წავიყვანოთ ჩვენი ყრილობა, საჭიროა გადავსინჯოთ ხსენებული საკითხები, ან მივიღოთ, ან გამოვყოთ რამდენიმე კითხვა და ან განსაკუთრებული კითხვები შევიტანოთ.

შემოდის წინადადება—წაკითხულ იქმნას საბჭოს მიერ შემუშავებული კითხვების წესრიგი.

თავმჯდომარე კითხულობს ზემოდ მოყვანილ კითხვების წესრიგს.

შემოდის წინადადება—წესრიგში შეტანილ იქმნას კითხვა ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის საქართველოს კოოპერატივთა კავშირად გადაკეთების შესახებ.

ა. **ერქომაიშვილი** აღნიშნავს, რომ ის საკითხი, რომელიც აქ წამოაყე-

ნეს, ორის წესრიგში, მხოლოდ სხვა სახით. მიუთითებს კრებას, რომ მის ამა თუ იმ გადაწყვეტილებას გადამჭრელი ხასიათი არ ექნება. წინადადებას იძლევა ამ ყრილობაზე განხილულ იქმნას ის საკითხი, რომელიც შ. გოგებაშვილმა გამოჰყო საერთო წესრიგიდან.

თ. ლლონტი. წესრიგში ისეთი კითხვებია შეტანილი, რომელთა განხილვაც მასალას მოგვცემს იმ კითხვების გასარკვევად—საჭიროა თუ არა საკუთარი, საქართველოს კოოპერატივთა კავშირის დაარსება. აღნიშნავს, რომ წამოყენებულ კითხვების შორის ერთგვარი ლოგიკაა და პრაქტიკულის მოსაზრებით საჭიროა განხილულ იქმნას ყველა კითხვები იმ რიგით, როგორც შეტანილია წესრიგში.

დასასრულ წინადადებას იძლევა, ხსენებულ კითხვების დასამუშავებლად ამორჩეულ იქმნას სექციები ანუ კომისიები.

კამათი სწყდება. უკანასკნელი სიტყვა ეძლევა მომხსენებელს შ. გოგებაშვილს.

შ. გოგებაშვილი. ორ მცნებას ურევენ ერთმანეთში—კოოპერატიულ ყრილობას და ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის რწმუნებულთა ყრილობას. აღნიშნავს, რომ კონკრეტიულად ამ ყრილობას არ შეუძლიან იმსჯელოს იმის შესახებ—ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირი საქართველოს კოოპერატიულ კავშირად გადაკეთდეს თუ არა. ჩვენ უნდა კავშირთა მშენებლობის საკითხის განხილვის დროს პრინციპიალური აზრი გამოვთქვათ—კავშირთა მშენებლობა მოთავსებულ იქმნას სახელმწიფოს ფარგლებში. მაშასადამე წამოყენებული საკითხი დაკავშირებულია კავშირთა მშენებლობის საკითხთან.

ამ ყრილობის დანიშნულებაა—მიექცეს უმთავრესი ყურადღება ადგილობრივ საჭიროებებთან დაკავშირებულ კითხვებს, როგორიცაა მაგალითად: 1) კოოპერაციის მდგომარეობის მიმოხილვა (საკრედიტო და მომხმარებელთა კოოპერაცია), 2) ადგილობრივი თვითმართველობა და კოოპერაცია, 3) კოოპერაცია და სასურსათო საქმე, 4) კოოპერატიული კანონმდებლობა. დანარჩენ კითხვებზე კი ზოგადად უნდა ვითათბიროთ, რომ ჩვენის აზრით წარვსდგეთ ამიერ-კავკასიის კოოპერატიულ ყრილობაზე.

შემოდის წინადადება—პირველ რიგში ამ ყრილობის განსახილველად დაისვას შემდეგი კითხვები:

1. პოლიტიკური მდგომარეობა და კოოპერაცია;
2. კოოპერატიული ცენტრი;
3. კავშირთა მშენებლობა;

4. ადგილობრივი თვითმართველობა და კოოპერაცია.

ეს წინადადება იქმნა მიღებული. შემოდის წინადადება ამ კითხვების განხილვამდე მოსმენილ იქმნას, საინფორმაციოთ, მოხსენება კოოპერატიულ მოძრაობის შესახებ. მოხსენებას აკეთებს

შ. გოგებაშვილი. მე შევეხები მხოლოდ მომხმ. კოოპერაციის მოძრაობას. მომხმ. კ—ცია წარმოიშვა ჩვენში არა ნორმალურ პირობებში, არა თვით-შეგნებაზე, არამედ სტიქიურად, თუმცა ხალხში ერთგვარი ნიადაგი ჰქონდა კოოპერატიულ იდეას. მომხმარებელ კოოპერატივთა რაოდენობის ზრდას ხელი შეუწყო მსოფლიო ომმა და მისგან გამოწვეულმა ეკონომიურმა კრიზისმა. უკანასკნელის ზრდასთან ერთად მრავლდებოდა მომხმარებელ კოოპერატივთა რიცხვიც, მიუხედავათ არა ნორმალურად განვითარებისა, იდეურ მოუმზმდებლობისა, საქართველოს კოოპერაცია თავის სიმაღლეზედ სდგას. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ბრძოლას უკეთესის შესაქმნელად თავი უნდა გავანებოთ, პირიქით, ჩვენ მეტი ბრძოლა, მეტი შრომა და ცდა გვჭირია კოოპერატიულ მოძრაობის გასაღრმავებლად და განსავითარებლად. სრულიად ყალბი წარმოდგენა არსებობდა მასსაში კოოპერაციის მნიშვნელობის შესახებ. ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის მეოხებით მომხმარებელთა კოოპერაცია ცოტად თუ ბევრად ჭეშმარიტ გზას დაადგა და დღევანდლამდე მიაღწია მან მხოლოთ ხსენებულ კავშირის—კოოპერატიულ ცენტრის მეოხებით.

რევოლიუციის შემდეგ მრავალი ერთგული მუშაკი ჩამოსცილდა კოოპერატიულ ცხოვრებას, მაგრამ დარჩენილებმაც შესძლეს, ასე თუ ისე გასძღოლოდენ კოოპერატიულ მოძრაობას.

ერთი ფრიად არა-სასურველი, გასაოცარი გარემოება შეიქნა—იმ პირებმა, რომელნიც წინად თავგამოდებით იცავდენ კოოპერაციას, ეხლა თავიანთი აზრი სრულიად შესცვალეს, ზურგი შეაქციეს კოოპერაციას; „ეხლა კოოპერაცია საჭირო აღარ არის, დემოკრატიული თვითმართველობები რაღათ გვაქვსო“—ამბობენ ყოფილი კოოპერატორები.

მომხმარებელთა კოოპერაციაში მეორე საშიში მდგომარეობაცაა—ფინანსიური სიუძლურე, საკუთარი თანხა ძლიერ მცირედი აქვს, გარეშე ფინანსიურ წყაროსაც მოკლებულია, ვინაიდან საკრედიტო დაწესებულებანი თითქმის უმოქმედოთ არიან. ამას ერთვის საქონლის კრიზისიც. ჩვენ საკუთარი წარმოება არა გვაქვს, გარეშე ბაზრიდანაც არაფერი შემოდის—ჩვენს რესპუბლიკას თითქოს ჩუმი ბლოკადა აქვს შემორტყმული. თუ გვინდა ამ გარემოებას თავი დავახწიოთ, ჩვენ უნდა უმთავრესი ყურადღება მივაპყროთ გარეშე ბაზარს—ეს

ერთის მხრივ, და მეორე მხრივ საკუთარი კოოპერატიული წარმოება უნდა შევქმნათ. ამისთვის კი საჭიროა საკმარისი თანხები, ფინანსიური გაძლიერება. კოოპერატიული მშენებლობა ზევიდან დაიწყო, ჯერ დაარსდა ცენტრალური კავშირი, შემდეგ რაიონული კავშირები და სხვა... რაც არა ნორმალურად უნდა ჩაითვალოს კოოპერატიულ მოძრაობაში. ამით აიხსნება, რომ ჩვენ ერთი მთლიანი და მწყობრი კოოპერატიული პოლიტიკა არა გვაქვს.

კავშირთ მშენებლობა უნდა ბუნებრივ ფარგლებში ჩადგეს და ხსენებული კოოპერატიული პოლიტიკა გამომუშავდეს.

რამდენიმე ორატორის სიტყვის შემდეგ შემოდის წინადადება—კრება შესწყდეს და მეორე დღეს 9 საათზე დაიწყოს. წინადადება მიღებულია და კრება იხურება.

24 მაისის სხდომა.

გრიგოლია აკეთებს მოხსენებას საკრედიტო კოოპერაციის შესახებ. იგი აღნიშნავს, რომ საკრედიტო კოოპერაციის აწინდელი მდგომარეობა კრიტიკულია. საქართველოს საკრედიტო კოოპერაციის ისტორიას ჰყოფს 3 პერიოდათ. პირველად იგი წარმოიშვა ქუთაისის გუბერნიაში, მას არ ჰყავდა კარგი ხელმძღვანელი. 1904 წელს დაარსდა წვრილი კრედიტის ინსპექცია, რათა ამ ინსპექტორებს გაეწიათ ხელმძღვანელობა და კანტროლი საკრედიტო ამხანაგობისათვის. ამ ინსტიტუტს დადებითი მხარეებთან ერთად უარყოფითი მხარეცა ჰქონდა და რევოლიუციის შემდეგ იგი გაუქმებულ იქმნა. მას შემდეგ საკრედიტო კოოპერაცია დიდ გაჭირვებაში ჩავარდა უხელმძღვანელოდ და უკრედიტოთ სახელმწიფო ბანკის მიერ.

ტფილისის გუბერნიაში პირველი შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა დაარსდა 1907 წ. სოფ. ეკატერინენფელდში. მას შემდეგ მთელ ქართლ-კახეთს მოეფინა საკრედიტო კოოპერატივები. ომის დაწყების დროს სულ 268 ამხანაგობაა. საქართველოს საკრედიტო კოოპერატივების ბალანსი 1917 წ. 3 $^1/_2$ მილიონს უდრის. ომის დროს მოსალოდნელი იყო საკრედიტო დაწესებულებებში მუშაობის შეჩერება, მაგრამ არამც თუ შეჩერდა, პირიქით, კოოპერატივთა რიცხვი გაიზარდა.

საკრედიტო კოოპერაცია 1917 წ. სასურველად მიმდინარეობდა და იგი ძლიერ ორგანიზაციას წარმოადგენდა. რომ შევადაროთ ტფილისის გუბერნია ქუთაისისას საკრედიტო კოოპერაციის სისუსტე-სიძლერის მხრივ, დავინახავთ, რომ პირველი სამჯერ ძლიერია ქონებრივად და ბრუნვებით.

ხსენებულ წელს ქუთაისის გუბერნიაში 160 საკრედიტო დაწესებულება იყო, ტფილისის გუბერნიაში 145, მიუხედავად ამისა

ბალანსი ქუთ.	გ—ის საკ.	კ—ბის—3.500.000 მ.;	ტფილ. გუბ.—9.000.000
საკუთ. თანხ.	„ „	„ 300.000 მ.;	„ „ 900.000
მობარებ. თანხ.	„ „	„ 1.500.000 მ.;	„ „ 4.500.000
საშუალო ბალანსი თვითეულ ამხ.		60.000 მ.;	„ „ 24.000

თვითეულ ამხანაგობაზე მობარებული თანხები უდრის:

ქუთაისის გუბერნიაში „ 10.000; ტფილ. გ. 30.000

ტფილისის გუბერნიის ამხანაგობები აერთებენ მეტ წევრებსაც; თვითეულ ამხანაგობაზე მოდის ტფილისის გუბერნიაში--500 წევრი, გუთაისის გ—ში—300 წევრი. საკრედიტო კოოპერაციაში მე 17 წ. იყო 355000 წევრი შეკავშირებული, რაც შეადგენს 1/3 საქართველოს მცხოვრებთა. აქედან ცხადია, რომ საკრედიტო კოოპერაცია იყო უაღრესად დემოკრატიული ორგანიზაცია.

1917 წ. მთავრობის კანტროლი მოხსნილ იქნა, წვრილი კრედიტის ინსპექცია ოფიციალურად მოისპო, ხოლო ფაქტიურად დღემდე არსებობს და არაფერს კი არ აკეთებს. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ დაარსდა განსაკუთრებული თანამდებობა, რომელსაც ხელმძღვანელობა უნდა გაეწია საკრედიტო ინსპექციისადმი. 1917 წ. შემდეგ თუ რა მდგომარეობაში იყო საკრედიტო კოოპერაცია—ამის შესახებ მასალები არ მოიპოვება არსად და იმედია ადგილობრივი მოღვაწენი გაგვაცნობენ.

არც ერთ ხანაში ისე უყურადღებოთ არ ეპყრობოდენ საკრედიტო კოოპერაციას, როგორც ეპყრობიან დღეს: არავითარ კრედიტს არ აძლევენ, ძველად გახსნილ კრედიტის განხორციელებასაც კი მოკლებული არიან, ამის გარდა, კერძო ბანკების ჩეკი უფრო ხურდავდება, ვიდრე საკრედიტო დაწესებულებებისა. თუ ჩვენ არ დავეხმარეთ საკრედიტო კოოპერაციას, იგი გაჰქრება.

ყველა აღნიშნულ ნაკლს საკრედიტო კოოპერაციაში ერთი არა სასურველი მოვლენა ერთვის—მთელს საქართველოში მხოლოდ ერთი კახეთის კავშირი არსებობს, დანარჩენი საკრედიტო კოოპერატივები კავშირის გარეთ რჩება. ეს ფრიად სამწუხაროა. კავშირები ძლიერ საჭიროა, როგორც მატერიალურად განვითარებისათვის, აგრეთვე იდეურ ხელმძღვანელობისათვის. ჩვენი ქვეყანა წვრილი მეურნეობის ქვეყანაა და საკრედიტო კოოპერაციას დიდი მნიშვნელობა აქვს.

შემოდის შეკითხვები: 1) რით აიხსნება მთავრობის უყურადღებობა საკ-

რედიტო კოოპერატივებისადმი; 2) საჭიროა თუ არა საშუამავლო ოპერაციების ჩამოშორება საკრედიტო ამხანაგობებისაგან?

მომხსენებელი უპასუხებს — მთავრობის უყურადღებობა აიხსნება უმთავრესად საკრედიტო კოოპერატიულ ცენტრის არ ყოლით, ვინაიდან ასეთ ცენტრს მთავრობა ანგარიშს გაუწევდა; ჩვენ სუსტნი ვართ და მიტომ სათანადო ანგარიშს არ გვიწევენ.

საშუამავლო ოპერაციები მისი მოვალეობაა, ხოლო არა ისეთი, როგორც ზოგიერთი ამხანაგები აწარმოებენ.

შემოდის წინადადება — დავკმაყოფილდით რა გოგებაშვილის და გრიგოლიას მოხსენებით, მივიღეთ ცნობათ და გადავდივართ მორიგ საკითხებზე.

კრებამ საჭიროთ სცნო მოესმინა მოხსენებები ადგილებიდან, მაგრამ დროს უქონლობის გამო გადადის მორიგ საკითხებზე.

წინადადება მიღებულ იქმნა.

2. კოოპერაცია და პოლიტიკური მდგომარეობა.

შ. გოგებაშვილი აცხადებს, რომ ამ საკითხის შესახებ მომხსენებელი ამ ყრილობისთვის არ არის, ვინაიდან მის განხილვას ვფიქრობდით ამიერ-კავკასიის ყრილობაზე.

შემოდის წინადადება — მომხსენებლის არ ყოფნის გამო ამ საკითხის განხილვა გადაიდოს შემდეგი სხდომისთვის. მიღებულია.

შემოდის წინადადება, — მომხსენებლის გამონახვა მიენდოს პრეზიდიუმს. წინადადება მიღებულ იქმნა.

3. კოოპერაცია და ერობა.

მოხსენებას აკეთებს **ი. ცაგარელი**. მისი თეზისები შემდეგია:

ჩვენში რომ არც ერთი კოოპერატივი არ არსებობდეს, ერობის შემოღებას, სხვათა შორის, ის მნიშვნელობა ექნებოდა, რომ ის უსათუოდ იკისრებდა პირველად ყოვლისა მშრომელ მასსაში თვითმოქმედების უნარის გაღვივებას.

ამ მხრივ ერობის ვალდებულებანი ძლიერ შემცირებულია იმ გარემოებით, რომ კოოპერატიულმა მშენებლობამ სტიქიურად იფეთქა და უკვე ორგანიზაციულად იმდენად ჩამოყალიბდა და გამაგრდა, რომ დიდს დახმარებას ერობის მხრივ აღარ საჭიროებს.

მხოლოდ სპეციალური კოოპერატივები (მაგ. საწარმოვო) თუ მოითხოვენ ერობისაგან დახმარებას. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ არსებული კოოპერატიული ორგანოებიც შესძლებენ შემოიკრიბონ ირგვლივ სხვა დარგის კოოპერატივებიც, თუ რამოდენიმედ მაინც შესუსტდა დღევანდელი საერთო კრიზისი.

ამ მხრივ ერობა გამოდის ასპარეზზე ხელსაყრელ პირობებში. კოოპერაციის არსებობა უეჭველია ხელს შეუწყობს ერობას, რომ უფრო ჩქარა და მეტის სისწორით განახორციელოს წმინდა საეროობო ღონისძიებანი.

საჭიროა მხოლოდ ნათელი სათანამშრომლო გეგმის გამომუშავება, რომ ადგილი არ ექნეს უაზრო შეცილებას და ერთი მეორისათვის ხელის შეშლას.

ხსენებული გეგმა უნდა ემყარებოდეს შემდეგ დებულებებს:

1. როგორც ერობის, ისე კოოპერაციის მიზანია დააკმაყოფილოს მცხოვრებთა მეურნეობრივი და კულტურული მოთხოვნილებანი.

2. განსხვავებანი ერობასა და კოოპერაციის შორის დამყარებულია იმ იურიდიულ თვისებათა სხვა და სხვაობაზედ, რომელნიც საფუძველად უდევთ ამ ორ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

3. აქედან გამომომდინარეობს ის ბუნებრივი მოვლენა, რომ ერობის საქმიანობა სფერო საერთო-სახელმწიფოებრივია, ან საერთო-ადგილობრივი მაინც. ამისდა მიხედვით. ერობის ღონისძიებანი მიმართულია საერთო კულტურის (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით) ამაღლების და განვითარებისაკენ. ერობა ანხორციელებს იმ ღონისძიებებს, რომლებიც სწორეთ აქეთკენ არიან მიმართული, და ამ საერთო კულტურის საფუძველზე მცხოვრებთა სხვა და სხვა ჯგუფები იჩენენ თვითმოქმედების უნარს. გარდა ამისა, ერობის ღონისძიებათა დამახასიათებელია ის გარემოება, რომ ის მათ განსახორციელებლად მიმართავს სახელმწიფოებრივ იძულებას, ორგანიზაციულ ძალდატანებას. კოოპერაცია კი მხოლოდ ნებაყოფლობაზეა აშენებული.

4. ერობის და კოოპერაციის ღონისძიებათა დაპირდაპირება ყოველად შეუწყნარებელია. პირიქით, მიზანშეწონილი და შეთანხმებული თანამშრომლობის აუცილებლობა აქ თავისთავად იგულისხმება. არავითარ შემთხვევაში ერობასა და კოოპერაციის შორის არ უნდა ჰქონდეს ადგილი ქიშპობას და შეცილებას.

5. კოოპერატიულ მოძრაობის გაღვივება ერობამ თავისი ერთ-ერთ მოვალეობათ უნდა მიიჩნიოს. ამ მიზნით მან ხელი უნდა შეუწყოს არსებულ კოოპერატივების გაძლიერებას რამდენადაც ისინი ამას საჭიროებენ, დაარსოს

ახალი და სპეციალური კოოპერატივები და უხელმძღვანელოს მათ, სანამ ისინი მოაწყობდენ კოოპერატივების კავშირს და საზოგადოთ საკუთარ ფეხზედ დადგებოდენ.

6. მუნიციპალური საკრედიტო დაწესებულებების (თუ ასეთების დაარსება საჭირო იქნა ჩვენში) მოღვაწეობა, რასაკვირველია, შეთანხმებული უნდა იქნეს საკრედიტო კოოპერატივების მოქმედებასთან. ერობამ არ უნდა დაარსოს წვრილი კრედიტის კასები ან განყოფილებები იქ, სადაც არსებობს, ან უნდა დაარსდეს საკრედიტო კოოპერატივი პირველი ხარისხისა.

ერობის საკრედიტო დაწესებულებებმა არ უნდა მისცენ სესხი კერძო პირებს.

7. სასოფლო მეურნეობის ამაღლების საქმეში ერობამ უნდა გამოიყენოს არსებული კოოპერატივები. სამეურნეო იარაღის ან სხვა და სხვა სასუქის მიწოდება, მელიორაცია, აგრიკულტურა,—ყველა ამ საჭირო საერობო ღონისძიებაში საღი საერობო პოლიტიკა გვიკარნახებს კოოპერაციის გამოყენებას.

საზოგადოთ ერობის აგრონომიულმა განყოფილებამ მჭიდრო კავშირი უნდა იქონიოს ადგილობრივ თვითმოქმედების ორგანოებთან საჭირო აგრონომიულ ღონისძიებათა განსახორციელებლად.

8. გზების გაყვანა, ტყეების მოშენება, ჭების ამოყვანა და სხვა ამგვარი, ერობის საქმეს უნდა შეადგენდეს იმდენად, რამდენადაც ამ მოღვაწეობას სახელმწიფოებრივი ან საერთო ადგილობრივი მნიშვნელობა მაინც აქვს. ყოველ შემთხვევაში კოოპერაციის ინიციატივა ამ დარგშიც არ უნდა იქნეს შეზღუდული, თუ კი ის სათანადო უნარს გამოიჩენს.

9. საავადმყოფოების, ტელეფონის ქსელის, ელექტრონის განათების, აფთიაქების და სხვათა მოწყობა და ხელმძღვანელობა ხსენებულ პრინციპს უნდა დაემორჩილოს.

10. მუდმივი სკოლების ქსელის გაშენება ერობის საქმეა, სკოლის გარეთ კულტურულ-განმანათლებელი საქმე კი იყოფა ერობის და კოოპერაციის ინიციატივის და საქმიანობის მიხედვით.

11. საზოგადოთ, კოოპერაციისთვის არ არსებობს აკრძალული დარგი მოქმედებისა; ის ყველგან იჩენს თავს, ყველგან იმოქმედებს შეძლებისდა გვარად და ამ მისწრაფებას სახელმწიფოსაგან, და, მაშასადამე, ერობისაგანაც სჭირია წაქეზება და ხელის შეწყობა.

ზემოთ მოყვანილი თეზისები არ ვფიქრობ სადაო იყოს. ამ პრინციპებზე აგებული დამოკიდებულება პრაქტიკულად უკვე ხორციელდება, ან ხორციელ-

დებოდა იქ, სადაც ადგილი ჰქონდა ერობას და კოოპერაციის შორის თანამშრომლობას, ერთად მოღვაწეობას.

სადავო და საჭირბოროტო საკითხად გადაიქცა მხოლოდ სასურსათო საკითხი, ან უკეთ რომ ვთქვათ,—საკითხი სანოვაგის მცხოვრებთა შორის განაწილების შესახებ.

ჩვენ რომ ნორმალურ დროში ვცხოვრობდეთ, რომ სასურსათო საკითხი ყოფნა-არყოფნის საკითხი არ იყოს,—უეჭველია არსებულ სიმწვავეს არც აქ ექნებოდა ადგილი.

ერთად-ერთ გამოსავალ გზად ჩვენ მიგვაჩნია შემდეგი:

1. კოოპერაციის და ერობის დღევანდელი მდგომარეობა ჩვენში, და მეორე მხრივ, ჩვენი საერთო ეკონომიური ურთიერთობა, გვაძლევს უფლებას ვიფიქროთ, რომ სასურსათო საქმე მთელ სახელმწიფოში თავს უნდა იდვას თვითმართველობებმა და კოოპერაციამ. ვერც თვითმართველობა და ვერც კოოპერაცია ცალ-ცალკე ვერ შესძლებს ამ ფრიად საპასუხისმგებლო საქმის დამაკმაყოფილებლად მოგვარებას.

2. ცენტრალური სასურსათო ორგანო უნდა შესდგებოდეს ერობის, ქალაქების და კოოპერაციის ცენტრალური დაწესებულებების წარმომადგენლებიდან. ამ შეერთებულ ძალას უკეთ, ვიდრე სხვა რომელიმეს, შეძლება ექნება გაუძღვეს სასურსათო საქმეს.

3. ყოველგვარი განმანაწილებელი ფუნქციები უნდა დაეკისროს კოოპერაციას. ეს იმისთვის, რომ კოოპერატივები ერთად-ერთი ორგანოებია, რომლებიც უკეთ შესძლებენ ამ ფუნქციის შესრულებას, ვიდრე სხვა რომელიმე ორგანიზაციები. ამას გარდა, ეს გარემოება ხელს შეუწყობს კოოპერატივების გამაგრებას, მათი ორგანიზაციის გაძლიერებას.

4. ყოველგვარი გასანაწილებელი სურსათი უნდა გადაეცეს ცენტრალურ კოოპერატიულ დაწესებულებას, რომელიც აამუშავებს მთელ თავის აპარატს განაწილების რიგიანად ჩასატარებლად.

5. წინა დებულებაში მოყვანილი საჭიროება არ უარყოფს რომელიმე ცალკე საერობო დაწესებულების და ადგილობრივ კოოპერატივთა კავშირის შორის ამგვარივე დამოკიდებულების შესაძლებლობას, თუ კი ასეთი ღონისძიება ადგილობრივ ერობის მხრივ ადგილობრივ საშუალებებზე და საჭიროებებზეა დამყარებული.

6. როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივადაც უნდა მოეწყოს პასუხისმგებელი სასურსათო დაწესებულებები თვითმართველობის და კოოპერატივთა

კავშირების წარმომადგენლებისაგან შემდგარი, რომლებიც უმთავრესად ადგილობრივ ნაწარმოების შეძენას და მის გასაღებას მოაწყობენ. სურსათის განაწილების საქმეშიც, რომელსაც აწარმოებს კოოპერაცია, ადგილობრივი სასურსათო დაწესებულება ღებულობს მონაწილეობას და თვალ-ყურს ადევნებს მის წესიერად შესრულებას.

შესაძლებელი იქნება სისწორით გატარდეს ცხოვრებაში აღნიშნული გეგმა თანამშრომლობისა თუ არა, ყოველ შემთხვევაში ერთი უმთავრესი პრინციპის უდავო მიზან-შეწონილობა უნდა ვაღიაროთ განმეორებით: კოოპერაციამ და ერობამ უნდა ითანამშრომლონ შეთანხმებით. ბრძოლა, ქიშპობა, უთანხმოება—დასცემს ხალხის თვალში როგორც ერობის, ისე კოოპერაციის ავტორიტეტს და შეაფერხებს საჭირო ღონისძიებათა განხორციელებას.

გაბილაია აღნიშნავს, რომ ერობისა და კოოპერაციის შორის შექმნილი უთანხმოება არის იმის შედეგი, რომ არაა შესწავლილი სოციალური მხარე ერთის და მეორისაც, რომ გათვალისწინებული იყოს კოოპერაციის ღრმა სოციალური მნიშვნელობა, არ ექნებოდა ადგილი იმ არა ნორმალურ ურთიერთობას, რომელიც არსებობს ჩვენს ნორჩ ერობასა და კოოპერაციის შორის. მაშასადამე, აქ ბრალი მიუძღვის პირველსაც და მეორესაც.

კ. ტყავაძე წინადადებას იძლევა, როგორც მრავალ სხვა ყრილობებზე, მიღებულ იქმნას მომხსენებლის დებულებანი.

შ. გოგებაშვილი. მიუხედავად იმისა, რომ მომხსენებელის დებულებანი ამ საკითხის შესახებ თვით ერობათა ყრილობაზედაც და სხვა ყრილობებზედაც მიღებულ იქმნა, საქმე ამით არ გაკეთდა, ჩვენი დადგენილებანი სურვილებათ დარჩა. ეს აიხსნება იმით, რომ კოოპერაციის შესახებ აღარ არის ზოგიერთ საზოგადოებრივ წრეებში ისეთი შეხედულება, როგორიც იყო წინად. თითქმის ყველა სამინისტროებში ის აზრი ტრიალებს, რომ არავითარი განსხვავება არაა ჩვენს კოოპერაციის და კერძო ვაჭრების შორისო. თუნდაც ვაღიაროთ, რომ საჭიროა ერობასთან შეთანხმებული მუშაობა, მაინც გვეტყვიან—როგორც კერძო ვაჭრებს შეუთანხმდებით ხოლმე, ისევე თქვენც შეგითანხმდებითო. მომხსენებლის დებულებებს მივიღებთ, მათ წინააღმდეგ არაფერი გვაქვს, მაგრამ ჩვენ უნდა ვსთქვათ ჩვენი სიტყვა, თუ რა ვართ ჩვენ და როგორ გვიცქერიან. საერთო დებულებებთან ერთად უნდა მივიღოთ განსაკუთრებული დებულება, რომელიც უარყოფს იმ ყალბ შეხედულებას, რომელიც შეიქმნა ზემოდ აღნიშნულ საზოგადოებრივ წრეებში.

ა. გაფრინდაშვილი. იმ დებულებებს, რომელნიც მომხსენებელმა წარ-

მოადგინა, არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს და ისინი უდავოთ უნდა ჩავთვალოთ; მაგრამ არა იმ მოსაზრებით, გოგებაშვილმა რომ გამოსთქვა. განხილვის გადადებაა საჭირო. კოოპერაციას წინადაც უთხრიდნენ სამარეს ზოგიერთი „წინასწარმეტყველნი“ და ეხლაც ამასავე ვხედავთ, მაგრამ ის „წინასწარმეტყველნი“ თვით იქმნენ დასამარებულნი და აწინდელ „წინასწარმეტყველებსაც“ კოოპერაცია ექნებათ სამარეთ. კოოპერაცია ისეთი უაღრესი დემოკრატიული ორგანიზაციაა, რომელიც კაპიტალისტურ წარმოებას შესცვლის და სოციალიზმის დროსაც შესაფერ როლს ითამაშებს.

მ. დიასამიძე. კოოპერაცია არის ისეთი ბურჯი, რომელზედაც უნდა აღმოცენდეს სოციალისტური საზოგადოება. როდესაც იგი შეიქნება მწარმოებელი, ველარ გვეტყვიან,—თქვენ მხოლოდ ვაჭრები ხართო. ჩვენ ეს უნდა ვაღიაროთ.

ს. მაჭავარიანი. ჩვენ ვიცით, რომ ერობას დიდი ნიადაგი აქვს ჩვენს ცხოვრებაში და იმაზე ლაპარაკი, რომ ერთი ორგანიზაცია მეორეს მოსპობსო—ზედმეტია; ჩემის რწმენით, ერთიც და მეორეც აუცილებელი ორგანიზაციებია. მხოლოდ ერთი რამ უნდა აღინიშნოს.

ერობამ ყალბი გზა აიღო თავის მოქმედებაში. იგი ისეთ ფინანსიურ პოლიტიკას დაადგა, რომ არ შეგვიძლიან ამ მხრივ მას ბრძოლა არ გამოუცხადოთ. თავის მიერ შეძენილ სურსათს ერთგვარ არა პირდაპირ და ამასთანავე უზომოდ დიდ გადასახადს ადებს, არა საორგანიზაციო მუშაობისათვის, არამედ აფთიაქების, თავისი შტატის შესანახად ჰსურს ეს მოგება. აქედან ცხადია, ერობა დემოკრატიულ გზას ასცდა თავის ფინანსიურ პოლიტიკაში. ხომ არის სხვა წყაროები შემოსავლისა, როგორც შემოსავლის კვალობაზე გადასახადი, გადასახადი მიწებზე, საერობო შამულების ექსპლოატაცია და სხვა. ამის მაგიერ ერობა ნამდვილ სპეკულიაციას ეწევა. მაგალითად 26 მ. 50 კ. ნაყიდი ნავთი ერობამ 160 მან. გაჰყიდა, ერთ ფუთ შაქარში 150 მან. მისცა,—500 მან. გაჰყიდა; თეთრეული, რომელიც მუქთად დარჩათ საევაკუაციო ჰოსპიტლის გაუქმების შემდეგ, საერთო ბაზრის ფასებში გაჰყიდა. შეუძლებელია ამ გარემოებას შეურიგდეთ ჩვენ, კოოპერატორები, და არ უთხრათ, რომ ასეთი პოლიტიკა მათ არავითარ სარგებლობას, ვნების გარდა, არ მოუტანს; სპეკულიაცია დროებითია და მის მოსპობასთან ერთად თქვენც ხომ გაკოტრდებით, თუ ამაზე ააგეთ თქვენი შემოსავლის ბიუდჟეტი.

ჩვენ ჩვენშიც უნდა ვებრძოლოთ, თუ ასეთ მოვლენას ექნება ადგილი. შეთანხმებული მუშაობა გორის მაზრის ერობასთან ვერ განხორციელდა, მან

სრულიად ზურგი შეაქცია საკოოპერაციო კავშირს და ქიშპობაც კი დაიწყო.

ი. **ცაგარელი**. თავის საბოლავო სიტყვაში აღნიშნავს, რომ ყველა აქ გამოთქმული აზრები საფუძველს აძლევენ ჩემს დებულებებს. მხოლოდ ი. გაბილაია მოითხოვდა პრინციპიალური განსხვავება აღმენიშნა ერობისა და კოოპერაციის სოციალურის მხრივ—ეს კი ჩემს მიზანს არ შეადგენს.

გოგებაშვილის და გაფრინდაშვილს უპასუხებს: ჩვენი, ე. ი. ერობისა და კოოპერაციის გასაკეთებელი საქმეები დღეს დღეობით ერთის გზით მიდიოდა. ვიდრე ჩვენი გზები სხვა და სხვა მხრივ არ წავა, ჩვენ აუცილებლივ კონტაქტი უნდა შევქმნათ ერობის და კოოპერაციის მუშაობაში.

თავმჯდომარე კენჭს უყრის მომხსენებლის თეზისებს, რომელნიც ერთხმად იქმნენ ყრილობის მიერ მიღებულნი (თეზისები იხილეთ ზემოდ).

შ. გოგებაშვილს შემოაქვს წინადადება—დაევალოს პრეზიდიუმს შემუშავება იმ დამატებითი დებულებისა, სადაც აღნიშნული იქნება უკმაყოფილება იმ აზრის გამო, რომელიც არსებობს ზოგიერთ წრეებში და აგრეთვე კოოპერაციის საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა.

წინადადება მიღებულია.

თავმჯდომარე კითხულობს პრეზიდიუმის მიერ შემუშავებულ ფინანსთა მინისტრ კოოპერატორ კ. კანდელაკისადმი მისალმების ტექსტს: ქ. ტფილისი. ფინანსთა მინისტრს კონსტანტინე პლატონის ძეს კანდელაკს:

„საქართველოს პირველი კოოპერატიული ყრილობა მხურვალე სალამს გიძღვნის და გამოსთქვამს ღრმა რწმენას, რომ თქვენი ნაყოფიერი კოოპერატიული მოღვაწეობა და ღვაწლი საქართველოს ნორჩ კოოპერატიულ მოძრაობაში მუდმივი იქნება; ყრილობა იმედოვნებს, რომ თქვენი საშუალებით შემუშავდება ისეთი სახელმწიფოებრივი აზრი, რომელიც დაგვეხმარება ჩვენს ყოველ დღიურ კოოპერატიულ მუშაობაში, შეგვიწყობს ხელს ჩვენ კოოპერატიულ მოძრაობის გაღრმავება—გაძლიერებაში და მით საშუალება გვექნება ჩვენი მცირედი წვლილი შევიტანოთ იმ დიად იდეების განხორციელებაში, რომელთაც ისახავდით თქვენს კოოპერატიულ მუშაობის დროს“.

ყრილობამ მოიწონა ეს ტექსტი მისალმებისა და გაგზავნა იგი დანიშნულებისამებრ.

კოოპერატიული ცენტრი და კავშირთა მშენებლობა.

მოხსენებას კითხულობს **გ. გოგებაშვილი**.

თუ ავიღებთ ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის მოღვაწეობას,

ჩვენ დავინახავთ იმ უხერხულობას, რომელიც ასეთ ორგანიზაციის არსებობითაა გამოწვეული. უმთავრესი შემადგენელი ნაწილები იმყოფებიან საქართველოს ტერიტორიაზე, რასაც მოწმობენ ციფრები. ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირი ფაქტიურად საქართველოს კოოპერატივთა კავშირია. შეიძლება სთქვან, მაგ. აზერბეიჯანში მცირეა კოოპერატივთა რიცხვი, მაგრამ ჩვენის ცნობებით იქ გაცილებით მეტი კოოპერატივებია, ვიდრე ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირში ჩაწერილთა რიცხვი. არარატის რესპუბლიკაში 150-მა კოოპერატივმა შექმნა რაიონული კავშირი ერევნის კოოპერატივთა კავშირის სახით, მაგრამ ფაქტიურად ამ კავშირის სამოქმედო რაიონი განისაზღვრება აწინდელ არარატის რესპუბლიკის ტერიტორიით და არა მხოლოდ ერევნის რაიონით. აზერბეიჯანის და არარატის რესპუბლიკის იმ კოოპერატივთა რიცხვი, რომელნიც ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირში ჩაეწერენ მის დაარსების დროს, ერთ წერტილზე გაიყინა, მაშინ, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კოოპერატივები დაარსებიდანვე შემოდიოდენ კავშირში. მათი რიცხვი თანდათან იზრდებოდა. ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირი უნდა ყოფილიყო ცენტრი, როგორც ამერ-კავკასიისათვის, აგრეთვე საქართველოსათვის.

ამიერ-კავკასიაში სამი დამოუკიდებელი სახელმწიფო ჩამოყალიბდა და ისევ ერთი კოოპერატიული კავშირი გვაქვს. უნდა შეიქმნას საქართველოს კოოპერატიული ცენტრი, კოოპერატიული კავშირი.

ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ამით გავსწყვეტავთ ყოველგვარ კავშირს დანარჩენ რესპუბლიკების კოოპერაციასთან.

ჩვენ უნდა შევქმნათ მეორე ცენტრი ამიერ-კავკასიის კოოპერაციის იდეურად შემაკავშირებელი, რომელიც საერთო ეკონომიურ ღონისძიებებს განახორციელებს.

თეზისები: 1. საჭიროა შეიქმნას საქართველოს კოოპერატივთა კავშირი, ანუ არსებული ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირი უნდა გადაკეთდეს საქართველოს კოოპერატივთა კავშირად.

2. უნდა შეიქმნას ამიერ-კავკასიის კოოპერატიულ ყრილობის მიერ ისეთი საერთო ცენტრი, რომელიც იდეურად შეაკავშირებს ამიერ-კავკასიის კოოპერატივებს.

გ. მაისურაძე. ჩვენ სრული უფლება გვაქვს გადაჭრილი დადგენილება გამოვიტანოთ წამოყენებულ საკითხის შესახებ. საჭიროდ არ მიგვაჩნია ამიერ-კავკასიის კოოპერატიულ ცენტრის, როგორც ყალბი ორგანიზაციის, შექმნა.

ი. გაბილაია. ჩვენ მთავრობისთვის უხერხულია დაყრდნობა ისეთ ორგანიზაციაზე, რომელიც რამდენიმე სახელმწიფოს ემსახურება. მაგალითად, მიუხედავათ იმისა, რომ ბრიტანია და შოტლანდია შეადგენს ერთ სახელმწიფოს, ერთის ენით ლაპარაკობენ,—ერთსაც და მეორესაც ცალკე კოოპერატიული კავშირები აქვთ, და დამოუკიდებელი ერთეულების სახით შედიან საერთაშორისო კოოპერატიულ კავშირებში. რომ წარმოვიდგინოთ საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობაც კი, იმ შემთხვევაშიაც იმდენათ განსხვავდება ეკონომიური, ეთნოგრაფიული და სხვაგვარ პირობებით საქართველო, აზერბეიჯანი და სომხეთი ურთ-ერთისაგან, რომ საჭიროა დამოუკიდებელი საქართველოს კოოპერატიული კავშირი. ამის განხორციელება უნდა იურიდიული წესით მოხდეს, ე. ი. ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის წევრთა ყრილობაზე მოხდეს ლიკვიდაცია ამ კავშირისა და დაარსება საქართველოს კოოპერატიულ კავშირისა; როდესაც მოხდება ლიკვიდაცია ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირისა, ჩვენ უნდა დავადგინოთ, რომ ყველა ის თანხები და ქონება, რომელიც მას ეკუთვნის—გადადის საქართველოს კოოპერატიულ კავშირის ხელში.

შ. გოგებაშვილი განმარტავს, რომ ამიერ-კავკასიის საერთო კოოპერატიული ცენტრი არ იქნება იმგვარი წყობილებისა, როგორც ამიერ-კავკასიის კოოპერატიულ ყრილობათა საბჭო იყო.

გაფრინდაშვილი. შეუფერებლად მიაჩნია კოოპერატიულ ურთიერთობისათვის შეიქმნას რაღაც ზე-კავშირი. ამ მიზნის განსახორციელებლად ერთად-ერთი გზა არის კოოპერატიულ ლიგაში მონაწილეობა.

შ. გოგებაშვილი. შემოაქვს შემდეგი რეზოლიუცია:

1) საქართველოს პირველი კოოპერატიული ყრილობა იღებს რა მხედველობაში, რომ: ა) ამიერ-კავკასიის კოოპერატიულმა მოძრაობამ პრაქტიკულად დაამტკიცა უხერხულობა ერთი კოოპერატიული ცენტრისა, ბ) ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის შემადგენლობაში ფაქტიურად საქართველოს კოოპერატივებია, გ) ყველა ყოფილ ამიერ-კავკასიის ეკონომიურ ერთეულებში ბუნებრივად ჩამოყალიბდა ადგილობრივი ცენტრი, დ) ამიერ-კავკასიის ტერიტორია ჩამოყალიბებულია სამ პოლიტიკურ ერთეულად,—საჭიროდ სცნობს, მოხდეს ლიკვიდაცია ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირისა და დაარსდეს საქართველოს კოოპერატივთა კავშირი.

რეზოლიუცია მიღებულ იქმნა ერთხმად, ოთხმა თავი შეიკავა.

შემოდის წინადადება: ეთხოვოს ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავში-

რის გამგეობას მოიწვიოს ხსენებულ კავშირის წევრთა რწმუნებულების საგანგებო ყრილობა კავშირის რეორგანიზაციის საკითხის საბოლავოდ გადასაწყვეტად.

წინადადება მიღებულ იქმნა ერთხმად.

ლ. მეტრეველი წინადადებას იძლევა—ამიერ-კავკასიის ყრილობის დამთავრების შემდეგ, ერთი დღით გაგრძელდეს საქართველოს კოოპერატიული ყრილობა, რათა გამოვნახოთ შესაფერი ზომები მიღებულ დადგენილების განსახორციელებლად.

მიღებულ იქმნა ცნობად.

დ. ლუკაშვილი. შემოაქვს ასეთი წინადადება: საქართველოს კოოპერატიული ყრილობა გამოსთქვამს სურვილს—მომავალი საქართველოს კოოპერატივთა კავშირი შევიდეს საერთაშორისო კოოპერატიულ კავშირის წევრად.

მიღებულ იქმნა.

თ. ლლონტი აცხადებს, რომ დამფუძნებელ კრების ხელოვნების კომისიას, რომელიც აწყობს საქართველოს დამოუკიდებლობის წლის აღსანიშნავად 26 მაისის დღესასწაულს, სჭირდება ფინანსიური დახმარება და წინადადებას აძლევს ყრილობას, სთხოვოს მან ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის გამგეობას—რაიმე ფინანსიური დახმარება აღმოუჩინოს ხსენებულ ხელოვნების კომისიას.

ეს წინადადება მიღებულ იქმნა. ამის შესახებ მოლაპარაკება დაევალა პრეზიდიუმს, რომლის თხოვნაც გამგეობამ დააკმაყოფილა და გადასდო 5000 მანეთი ხსენებულ მიზნით.

ამით დასრულდა დღის კრება.

მაისის 24-ს, საღამოს 7 ს. 20 წ.

მოხსენება მოსკოვის სახალხო ბანკის განყოფილების გამგის **ვ. ი. მილაშევსკისა**.

საკოოპერაციო ფინანსები.

საკოოპერაციო ფინანსიური საშუალებანი სამგვარია: 1) საკუთარი საპაიო თანხა, 2) ავანსები და მობარებული, 3) კრედიტი.

ავანსების წყარო პირველ საფეხურის კოოპერატივებში თითქმის არა საიმედოა თანამედროვე კოოპერატიულ შეგნების დროს, განსაკუთრებით მომხმარებელთა კოოპერაციაში: სულ სხვაა ავანსების მოგროვება ისეთ კოოპერა-

ტივებში, რომელნიც ყოველგვარ საშუამავლო ოპერაციებს აწარმოებენ. აქ ავანსების შეგროვება მიზანშეწონილია. რაც შეეხება პირველ საფეხურის კოოპერატივების მიერ ავანსების შეტანას კავშირებში—უნდა ვაღიაროთ, რომ ეს აუცილებელი მოვალეობაა მათი. იმის მაგიერ, რომ პირველი საფეხურის კოოპერატივები აძლევდენ კავშირებს ავანსებს, პირიქით, კავშირები მათი კრედიტორები არიან, რაც ყოვლად შეუწყნარებელი მოვლენაა.

საკუთარი თანხები—ეს საფუძველია კოოპერაციის განვითარებისა. ჩვენი მიზანი—ბრძოლაა კაპიტალისტურ წარმოებასთან. მას კი დიდი თანხები აქვს. ჩვენი მიზნის განსახორციელებლად უნდა ვიბრძოლოთ იმავე იარაღით, რომელიც კაპიტალისტურ წარმოებას აქვს,—ე. ი. კაპიტალით.

საკუთარი თანხების შექმნა. გაძლიერება ძნელი საქმეა. მაგრამ, რომ მოზადებული შევხვდეთ იმ ბრძოლას, რომელიც კოოპერაციას მოუხდება აღორძინებულ კაპიტალისტურ წარმოებასთან, საჭიროა, რაც შეიძლება მეტი მოგების ნაწილი გადაიდვას ხოლმე საკუთარ თანხების შესადგენათ. მთელი მოგება უნდა ხსვა და სხვა დანიშნულების თანხებათ გადირიცხოს ხოლმე და არა დივიდენდათ და პრემიად განაწილდეს.

მესამე წყაროა—**კრედიტი**. მას ნორმალურ პირობებში არ უნდა ეჭიროს მნიშვნელოვანი ადგილი კოოპერაციის ცხოვრებაში. თანამედროვე პირობებში კი კოოპერაცია კრედიტით სულდგმულობს. კრედიტი სამგვარია: 1) მობარებულ თანხების სახით, 2) მფარველობითი კრედიტი (სახელმწიფო), 3) სესხი, საკრედიტო დაწესებულებათა კრედიტი და სხვა.

ჩვენ არ შეგვიძლია ვურჩიოთ მფარველობითი კრედიტით სარგებლობა, ვინაიდან ასეთი კრედიტი დამოკიდებულ მდგომარეობაში აყენებს კოოპერაციას, თუნდაც დემოკრატიულ დაწესებულებათაგან. ჩვენ უნდა საკუთარ საშუალებების მოგროვებას დავეყრდნოთ.

4—**კრედიტი ბანკისა**. ჩვენ უნდა ვსარგებლობდეთ საოოპერაციო საკრედიტო დაწესებულებათა კრედიტით. ყველაზე შესაფერისი კოოპერატიული საკრედიტო დაწესებულებაა—შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობანი და საკრედიტო ამხანაგობები. საკრედიტო კოოპერაციას თუ ჯეროვან ნიადაგზე დავაყენებთ—კოოპერაცია ისეთ ფინანსიურ ძალას შეჰქმნის, რომ კერძო ფინანსიური საკრედიტო დაწესებულებანი ქედს მოიხრიან.

სამწუხაროდ, ამ ჟამად ამიერ-კავკასიის და კერძოთ საქართველოს საკრედიტო კოოპერაციის მდგომარეობა არა ხელსაყრელია კოოპერაციის ინტერესებისათვის. ხალხში დიდი თანხებია ამ ჟამად დაგროვილი. ეს თანხები რომ

შევკრიბოთ, ისეთ ძალას მივსცემდით კოოპერაციას, რომ სრულებით უზრუნველყოფილნი ვიქნებოდით კერძო წარმოების კონკურენციისაგან. ჩვენი ყურადღება მიპყრობილია მომხმარებელთა კოოპერაციისადმი. საკრედიტო კოოპერაცია კი უყურადღებოთაა დატოვებული. მომხმარებელთა კოოპერატივებს აქვთ ადგილობრივი სარაიონო კავშირები, საკრედიტო კოოპერატივებს კი, გარდა კახეთის კავშირისა, სრულიად არ მოეპოვება ასეთი კავშირი. როდესაც მთელი საკრედიტო ამხანაგობები შეკავშირდებიან, ასეთი კავშირი იქნება ყველაზე ძლიერი მსხვილი საბანკო დაწესებულება. მოსკოვის სახალხო ბანკის განყოფილების არსებობა სრულებით ხელს არ შეუშლის საქართველოს საკრედიტო ამხანაგობათა კავშირს; ყველგან ეს ორი დაწესებულება ერთად მუშაობენ. მნიშვნელობა ასეთი კავშირისა გამოიხატება იმაში, რომ იგი აგროვებს მასსაში თავისუფალ თანხებს და მათ ამუშავებს საერთოდ ყოველგვარ კოოპერატიულ დაწესებულებებში, როგორც საკრედიტო, აგრეთვე მომხმარებელთა და სხვა კოოპერატიულ ორგანიზაციებში.

საერთოდ საკოოპერაციო ფინანსების სისტემა ასე უნდა წარმოვიდგინოთ: ადგილობრივ არსებობენ საკრედიტო დაწესებულებანი, რომელნიც აგროვებენ თანხებს, შემდეგ მათი რაიონული კავშირები და ცენტრალური ბანკი ან კავშირი. ზოგან კავშირის სახით ხორციელდება ფინანსიური ცენტრი, ზოგან კი სააქციონერო ბანკის სახით.

პირველ რიგში უნდა დაისვას საკითხი საქართველოს საკრედიტო კოოპერატივების კავშირის შესახებ, შემდეგ საქმის მიხედვით იგი გადაკეთდეს საქართველოს კოოპერატიულ ბანკად.

თქვენ უნდა მხარი დაუჭიროთ მოსკოვის სახალხო ბანკის განყოფილებას და მოიწონოთ, დაადასტუროთ უკანასკნელის მიმღებ კომისიის მიერ შემუშავებული გეგმა მისი მართვა-გამგეობის შესახებ.

საკრედიტო საკავშირო მშენებლობა კიდევ იმიტომაა საჭირო, რომ საშუალება მოგვცეს შევქმნათ პასუხისმგებლობა იმ მობარებულ თანხების შესახებ, რომელნიც გროვდებიან პირველ საფეხურის საკრედიტო კოოპერატივებში, ანუ კოლექტიური პასუხისმგებლობის შემოღება მობარებულ თანხებზე.

ეხლა შევეხები აქციონურ ფორმას საკრედიტო ბანკისა. მოსკოვის სახალხო ბანკი აგებულია კოოპერატიულ აქციონურ კაპიტალზე. აქციების შეძენის უფლება მხოლოდ კოოპერატივებს ეკუთვნის. ხსენებულ ბანკის აქციონური თანხა უდრიდა 1517 წლის ბოლოს 10.000.000 მან., შემდეგ

გახდა 25 მილიონი მან. შემდეგ დადგენილ იქმნა 65 მილიონის აქციების გამოცემა. ბოლშევიკების მოძრაობამ ხელი შეუშალა და სავსებით ვერ იქმნა განხორციელებული, მაგრამ უკანასკნელ ხანებში 45 მილიონს აღწევდა ეს თანხა.

თუ კერძო კაპიტალისტური ორგანიზაცია სარგებლობს აქციონური ფორმით, მით უმეტეს ამ ფორმის მეოხებით კოოპერაციას შეუძლიან შექმნას გიგანტური ფინანსიური ორგანიზაცია.

კოოპერაციას შეუძლიან მიჰმართოს აგრეთვე ობლიგაციურ სესხს, თუმცა აქამდე მას ამ საშუალებისთვის არ მიუმართავს. ასეთი სესხი საჭიროა იმ მიზნებისთვის, რომ შესაძლებელი გახდეს გრძელ ვადიანი სესხის გაცემა სხვა და სხვა წარმოების შესაქმნელად: წარმოებას ხანგრძლივი კრედიტი ეჭირვება.

მომხსენებელმა თეზისები წარმოადგინა, მაგრამ კრებამ სურვილი გამოსთქვა სხდომა დაიხუროს და კამათი გადაიდოს შემდეგი სხდომისთვის.

25 მაისი. სხდომა იხსნება 10 ს. 40 წ.

თავმჯდომარე კითხულობს პრეზიდიუმის მიერ შემუშავებულ რეზოლიუციას ეროობისა და კოოპერაციის ურთიერთობის შესახებ:

1) დღევანდელი ჩვენი კოოპერატიული მოძრაობის წინააღმდეგ, საერთო კრიზისთან ერთად, სასტიკი ბრძოლაა გაჩაღებული, არამც თუ ჩვეულებრივი მისი მტრების—კერძო ვაჭრების და კაპიტალისტების მიერ, არამედ, სამწუხაროთ, ისეთ საზოგადოებრივ დაწესებულებების მიერ, რომელთა მეთაურნი აღიზარდნენ კოოპერაციის წიაღში და კოოპერაციის ერთგული დამცველნი იყვნენ. კოოპერაციის დედა-აზრი და საბოლოო მიზნები მათ მიერ უარყოფილი არიან; კოოპერაციამ უკვე ვითომდა შეასრულა თავისი მისია და ადგილი უნდა დაუთმოს ახალ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს—ეროობებს და სხვებს.

2) კოოპერაცია, რომელიც ემყარება ხალხის თვითმოქმედება-შეგნებას, ანვითარებს თანამშრომლობის, ერთობის და სოლიდარობის გრძნობებს, ამზადებს საზოგადოებრივ მეურნეობის საუკეთესო ნიადაგს და ემსახურება საბოლოოდ სამართლიან სოციალურ მდგომარეობის დამყარებას, ვერ შეირყევა ვერავითარ გარდამავალ მოვლენებით; კოოპერაცია, რომელიც თავის მიზნების განხორციელების გზაზე ჩვეულია მრავალ დაბრკოლებებს და რომლის მუშაობა ჯერ ახლად აღორძინებულია ჩვენში, მტკიცედ იდგომება იმ დრომდე, ვიდრე საბოლოოდ არ განხორციელდება მისი მიზნები.

მიუხედავად ყოველნაირ დაბრკოლებებისა, ჩვენმა კოოპერაციამ საბოლოოდ უნდა უარყოს ყოველივე მფარველობის სისტემა და დაემყაროს მხოლოდ და მხოლოდ თავის საკუთარ ძალებზე და ამ ძალებით განმტკიცებულმა ენერგიული ბრძოლით გაიკაფოს ის ნარ-ეკლიანი გზა, რომელსაც არ მოელოდა თანამედროვე თავისუფლების დროში.

შემოდის წინადადება მუხლობრივ ეყაროს კენჭი ამ რეზოლიუციას. ორივე მუხლი მიღებულ იქმნა, მხოლოდ გამოითქვა სურვილი სარედაქციო შესწორებანი იქმნეს შეტანილი.

თავმჯდომარე კითხულობს მოსასალმებელ დეპეშას, რომელიც მიღებულ იქმნა ყრილობის სახელზე ყარაიაზის კოოპერატივ „ბოსტან-ქალაქი"-საგან: „საქართველოს კოოპერატივთა ყრილობას. კოოპერატიული საზოგადოება „ბოსტან-ქალაქი" ყარაიაზში სალამს უძღვნის პირველ საქართველოს-კოოპერატიულ ყრილობას. გისურვებთ ნაყოფიერ მუშაობას საკეთილდღეოთ. გვწამს, რომ მხოლოდ ერთად-ერთს კოოპერაციას მოეპოვება ქართველი ერის ესოდენ აწეწილ ეკონომიურ მდგომარეობის მოწესრიგების ძალა, უნარი. სრული იმედი გვაქს, რომ საქართველოს კოოპერატივებს და მათ ყრილობას, როგორც უაღრესად დემოკრატიულ ორგანოს ძალ უძთ ჩვენი კუთხის აღორძინება. გამგეობა". ყრილობა მადლობას უცხადებს მოსალმებაზე.

შემდეგ კრება განაგრძობს კამათს საკოოპერაციო ფინანსების შესახებ.

ა. **ერქომაიშვილი** აღნიშნავს, რომ კაპიტალის დაგროვებით არ შეიძლება კაპიტალიზმის დანგრევა. კოოპერაცია მხოლოდ ნაწილია კლასთა ბრძოლისა, რომელიც მიმართულია კაპიტალიზმის წინააღმდეგ. უნდა გავაძლიეროთ საწარმოვო თანხა, არა იმიტომ, რომ კაპიტალიზმი დავანგრიოთ, არამედ თვით კოოპერატივების არსებობის უზრუნველსაყოფად. თუ როგორ ცენტრალურ ორგანიზაციის გარშემო შეჯგუფდეს ფინანსები—ამის შესახებ პირდაპირი, გადაჭრილი პასუხი არ მოგვცა მომხსენებელმა... ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთივე საკრედიტო ცენტრალური კავშირი, როგორც მომხმარებელთა კოოპერაციას აქვს. მომხსენებელი ამბობს: საქართველოში, აზერბეიჯანში, სომხეთში უნდა შეიქმნენ საკრედიტო ცენტრები და მათთან შეთანხმებით იმუშავებს მოსკოვის სახალხო ბანკის განყოფილებაო. ან საკუთარი ბანკი უნდა შეიქმნასო, ან არსებული სახალხო ბანკის განყოფილების გარშემო შემოკრბნენ ჩვენი საკრედიტო კოოპერატივებიო. საკუთარი საკრედიტო ცენტრის შექმნა შეუძლებელია თანამედროვე ფინანსიურ კრიზისის გამო. შესაძლებელია მხოლოდ საერთო, ყველა დარგების კოოპერატივების საერთო ცენტრი.

თ. ლლონტი მომხსენებელი საქართველოს უყურებს, როგორც ოლქს ყოფილი რუსეთისას. ამ საკითხის გადაწყვეტაზე, უკანასკნელის მიზანშეწონილებაზე დამოკიდებულია ჩვენი კოოპერაციის სვე-ბედი, პერსპექტივები. რომელი საკრედიტო ცენტრია ჩვენთვის მიზან-შესაფერისი? ჩვენ უნდა შევჩერდეთ საკუთარ საკოოპერაციო ბანკის დაარსებაზედ და უარვყოთ ის სინტეტიური დაწესებულებები, რომელთა შექმნასაც გვირჩევს მომხსენებელი. შემდეგ ეკითხება მომხსენებელს—ჩვენი აქციების რაიმე ნაწილი ხომ მაინც ამოჰყოფს თავს ქ. მოსკოვშიო?

შ. გოგებაშვილი აღნიშნავს, რომ იგი მომხრე იყო და არის საკუთარ კოოპერატიულ ბანკის დაარსებისა, მაგრამ საჭიროდ მიაჩნია მოსკოვის სახალხო ბანკით სარგებლობა, თანამედროვე ფინანსიური კრიზისის გადასატანად. ამავე დროს, ამბობს იგი, უნდა საძირკველი ჩაუყაროთ საკუთარ სახალხო ბანკსო.

ი. ცაგარელი. მოსკოვის სახალხო ბანკის აქციების შეძენაში არავითარი დანაშაულობა არაა. საკუთარ ბანკის დაარსების პრინციპიალური წინააღმდეგი არავინაა, მხოლოდ პრაქტიკული საკითხი სდგას ჩვენს წინაშე—თანამედროვე ფინანსიურ კრიზისს როგორ დავახწიოთ თავი. შერეული ტიპის ცენტრის დაარსება მიღებულია, საჭიროა დიფერენციალი.

გრიგოლია აღნიშნავს მოსკოვის სახალხო ბანკის დიდ მნიშვნელობას ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებაში. ნუ თუ უცხო კაპიტალი საჭირო არაა? ამ მხრივ მოსკოვის სახალხო ბანკის განყოფილების არსებობა აუცილებელია. ამას მოწმობს უკანასკნელი ოპერაცია 15 მილიონის შაბიამანისა, რომლის განაღდებული თანხა აქ დარჩება და ეს კი დიდ ძალას წარმოადგენს. მაგრამ უკეთუ სახალხო ბანკის გამგეობა ჩვენს ინტერესების წინააღმდეგ წავა—არც ერთი ჩვენთაგანი მას ხელს არ შეუწყობს და იგი ჰაერში დაეკიდება.

აქ ამბობდენ სპეციალიზაციის შესახებ და ადგილობრივ სახალხო ბანკის შექმნაზე.

პრაქტიკულად უკანასკნელის შექმნა შეუძლებელია, სპეციალიზაცია აუცილებელია.

შერეული ტიპის ცენტრი ვერ გაუწევს საკრედიტო კოოპერაციას რაიმე დახმარებას.

მე ასე მაქვს წარმოდგენილი კოოპერაციის სტრუქტურა: საკრედიტო კოოპერაციის სტრუქტურა სულ სხვანაირია; მე წინააღმდეგი არა ვარ, რომ მომხმარებელთა კოოპერაციაში მომუშავენი მუშაობდნენ საკრედიტო კოოპერაციაში, პირიქით, საჭიროა თანამშრომლობა. თუ დღეს მომხმარებელთა

კოოპერაციას უმთავრესი ადგილი უჭირავს, ეს იმიტომ, რომ მას უკეთესი ორგანიზაცია აქვს, ცენტრი აქვს, საკრედიტო კოოპერაცია კი ამას მოკლებულია. რომ გვქონოდა ცენტრალური საკრედიტო ორგანიზაცია, ჩვენ შეგვეძლო გავლენა გვქონოდა მთავრობის სფეროებზე ისე, როგორც მომხმარებელთა კოოპერაციას აქვს.

ყველა საკრედიტო კოოპერაციები უნდა შედიოდნენ ერთ ცენტრალურ საკრედიტო კავშირში, უნდა იყოს მომხმარებელთა კოოპერატივების ცენტრალური კავშირი ცალკე და საკრედიტო კოოპერატივების ცენტრალური კავშირი ცალკე. უკანასკნელი უნდა ეყრდნობოდეს მსხვილ საკრედიტო კოოპერატივებს, რომელნიც რაიონულ კავშირის როლს შეასრულებენ.

რომ გადავარჩინოთ საკრედიტო კოოპერაცია—უნდა ყრილობამ გადასწყვიტოს, რომ საჭიროა შეიქმნეს საქართველოს საკრედიტო კოოპერატიული კავშირი, რომელიც ფინანსიურ ოპერაციებთან ერთად აწარმოებს საწარმოვო მნიშვნელობის საქონელთა ოპერაციებსაც (სამეურნეო იარაღები, შაბიამანი, გოგირდი და სხვა). წინადადებას იძლევა ამ საკითხის შესახებ დასკვნის გამოტანა გადაეცეს ისეთ კომისიას, სადაც თანაბარი წარმომადგენლები იქნებიან სხვა და სხვა დარგის კოოპერაციისა.

კ. ტყავაძე. პრაქტიკულად სრულებით შესაძლებელია დღესვე დაარსდეს საქართველოს კოოპერატიული ბანკი.

გ. ბერძნიშვილი. საკრედიტო კოოპერატივების მდგომარეობა უარესია მომხმარებელთა კოოპერატივების მდგომარეობაზე. საკრედიტო კოოპერატივებმა თვისი მნიშვნელობა დაჰკარგეს. ფულმა მნიშვნელობა დაჰკარგა გლეხისთვის და ფინანსიური დახმარებით ვერ გადავარჩენდით საკრედიტო კოოპერაციას. სადაც მომხმარებელთა კოოპერატივმა განავითარა მოქმედება—შაბიამანის და სხვა მსგავს საქონლის ოპერაციები მის ხელში გადავიდა. შეერთება კოოპერაციის ამ ორ დარგისა თვით ცხოვრებამ გვიკარნახა. სადაც საკრედიტო კოოპერაცია ვითარდება ამ ჟამად, იქ მომხმარებელთა კოოპერაციას არ შეუძლიან განვითარდეს.

ყველა დარგის კოოპერატივები ერთ რაიონულ კავშირში უნდა შედიოდეს და ასეთი კავშირები საქართველოს კოოპერატივთა კავშირში შევლენ.

მილაშევსკი. მე ისეთ მსოფლმხედველობას ვეკუთვნი, რომ ჩემი ღრმა რწმენით კულტურულ წინმსვლელობისთვის აუცილებელი პირობაა—ეროვნული დამოუკიდებლობა. რომ საჭიროა ეროვნული საკუთარი საკრედიტო ცენტრალური კავშირი, ამაში სინამდვილემ დაგვარწმუნა. რომ საჭიროა საქართვე-

ლოს ეროვნული კოოპერატიული ბანკი, ამაშიაც დავრწმუნდით იმ იდეურ განწყობილებიდან, რომელიც არსებობს ადგილობრივ. მე მარქსისტი არა ვარ, მე ვარ სოციალისტი-უტოპისტი. კოოპერაციას მიჰყავს სოციალიზმისაკენ. მე გთხოვთ გამოიტანოთ დადგენილება—მოსკოვის სახალხო ბანკის აქციების შეძენის შესახებ... აქ აქტივი მეტი იქნება პასივზე, ფული აქედან კი არ წავა სადმე, არამედ მოვა.

ამით სრულდება კამათი საკოოპერაციო ფინანსების შესახებ. რეზოლიუციის გამოტანა გადაიდო შემდეგი კრებისთვის.

საღამოს კრება იხსნება 7 საათზე.

თ. ღლონტი მოხსენებას აკეთებს: კოოპერაცია და პოლიტიკური მდგომარეობა. ის ცვლილებები, რომელთაც ადგილი ჰქონდა უკანასკნელ ხანებში, კოოპერატიული თვალსაზრისით დადებითი მოვლენაა. საქართველოში **1500** საკოოპერაციო დაწესებულებანია. თუ ვიანგარიშებთ თვითეულ ოჯახზე 4 სულს, თითქმის ქართველი ხალხის $^1/_3$ კოოპერაციაშია ჩაბმული.

კოოპერაცია მოითხოვს სახელმწიფოსაგან ისეთ პოლიტიკის წარმოებას, რომელიც საშუალებას მისცემს კოოპერაციას თვისი განვითარებისას.

კოოპერატიულ იდეოლოგიასა და ეროვნულ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის შორის მჭიდრო ნათესავობაა. აი ეს დებულებანი უნდა აღინიშნოს ჩვენს რეზოლიუციაში, რომლის შემუშავებას დავავალებთ პრეზიდიუმს.

შემდეგ, წინადადებას აძლევს ყრილობას, გაუგზავნოს მან მისალმების დეპეშა დამფუძნებელ კრებას. უკანასკნელი წინადადება მიღებულ იქმნა.

ვ. ღლონტი. არ არის მართალი, ვითომ რომელიმე კოოპერატიულ ორგანიზაციას შუამდგომლობით მიემართოს ფინანსთა სამინისტროსადმი და მას ყურადღება არ მიექციოს.

შემოდის წინადადება: მისალმება გაეგზავნოს აგრეთვე მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ნ. ჟორდანიას.** წინადადება მიღებულ იქმნა.

ი. გაბილაია აღნიშნავს, რომ მოხსენებას სულ სხვა შინაარსი მიეცა, ვიდრე გამოხატავს მისი სათაური. ამიტომ წინადადებას იძლევა წარმოდგენილი რეზოლიუციის დამუშავება და მისალმების ტექსტის შემუშავება დაევალოს პრეზიდიუმს.

თ. ღლონტი. კოოპერაციის თეორეტიული და პრაქტიკული მხარე სრულიად დაცულია საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაში; უკანასკ-

ნელში დაცულია საღი პოლიტიკა და ის იდეა, რომელსაც კოოპერაცია ემსახურება.

რეზოლიუციის შემუშავება და დამფუძნებელ კრებისადმი და ნ. ნ. ჟორდანიასადმი მისალმების ტექსტის შედგენა მიენდო პრეზიდიუმს.

შეკითხვა შემოდის—საკოოპერაციო ფინანსების შესახებ. როდის იქნება. რეზოლიუცია გამოტანილია.

გრიგოლია წინადადებას იძლევა აირჩეს კომისია მცოდნე პირთაგან და მას დაევალოს რეზოლიუციის შემუშავება.

თავმჯდომარეს საჭიროთ მიაჩინია პირველად ყოვლისა გადასწყდეს პრინციპიალური კითხვა—საჭიროა თუ არა დაარსდეს საქართველოს კოოპერატიული ბანკი. კენჭის ყრით მიღებულ იქმნა ერთხმად—დაარსდეს საქართველოს კოოპერატიული ბანკი.

გრიგოლიას წინადადებაც მიღებულ იქმნა და კენჭის ყრით კომისიაში არჩეულ იქმნენ შემდეგი პირნი: 1) შ. გოგებაშვილი—36 ხმით, 2) გრიგოლია—34 ხმით, 3) ი. ცაგარელი—33 ხმით, 4) ვ. ღლონტი—33 ხმით, და 5) ი. გაბილაია—30 ხმით. დანარჩენმა კანდიდატებმა მიიღეს: ა. ერქომაიშვილმა—26, თ. ღლონტმა—23, გ. კანდელაკმა—22, კ. ტყავაძემ—18, და კალანდარიშვილმა—14. ამრიგად არჩეულია პირველი ხუთი კანდიდატი.

კოოპერატიული კანონმდებლობა.

ვ. ღლონტი. 1908 წლიდან სხვა და სხვა დროს მოწვეული იყო ხოლმე დიდებული კოოპერატორები, რომელთაც შეიმუშავეს კანონმდებლობა. კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი კოოპერატიული კანონისა მხოლოდ ლიტერატურაა და არა კანონ-პროექტი. არც ერთი პუნქტი მისაღები არაა. უმთავრესი დებულებები ასეთია—ნება მიეცეს კოოპერატიულ ორგანიზაციებს თვითმართველობისა ერობაში გადამწყვეტი ხმის უფლებით ჰყავდეს კოოპერაციას წარმომადგენელი. ჩვენ ვდგევართ კოოპერაციის თავისუფლების ნიადაგზე, ამიტომ საჭიროთ არ მიგვაჩინია რაიმე სახით კოოპერაცია იყოს დამოკიდებული სახელმწიფოსა და მთავრობისაგან. ამიტომ პირველი დებულება მისაღები არაა. არ არის მისაღები მეორე დებულებაც, მიტომ რომ ერობაში არჩევნები ოთხ ფორმულიანია და სრულებით უაზროა კოოპერაციის განსაკუთრებული წარმომადგენლობა. ერთად-ერთი შესაფერისი საფუძველია კოოპერატიულ კანონმდებლობისთვის—1917 წლის 20 მარტის კანონი. ეს უკანასკ-

ნელი შევასწორეთ ადგილობრივ პირობების მიხედვით და ვფიქრობთ, ეს კანონპროექტი იქნება გატარებული ჩვენს საკანონმდებლო დაწესებულებაში.

ა. ერქომაიშვილი. იმ კანონ-პროექტის შესახებ, რომელიც მომხსენებელმა წამოაყენა, საკამათო არაფერი გვაქვს. მხოლოდ თუ ერთი უფლება არ მოგვეცა კოოპერატიულ მუშაკებს, კოოპერაცია ჩვენში სათანადოთ ვერ განვითარდება. ეს უფლება შეეხება თვით კოოპერატიულ დაწესებულების დაარსების პროექტს.

საჭიროა შეტანილ იქმნას ისეთი მუხლი, რომელიც აღიარებს, რომ სასამართლოს რეესტრში შეაქვს ესა თუ ის კოოპერატივი მხოლოდ მის შემდეგ, როდესაც ის გაივლის ცენტრალურ კავშირის მიერ რეგისტრაციას.

გაბილაია. საჭიროდ არ მიაჩნია კანონ-პროექტში შეტანილ იქმნეს ერქომაიშვილის მიერ წამოყენებული დებულება, ვინაიდან არსებობს საერთო სამოქალაქო კანონები, რომელთა მეოხებით ერთნაირად ისჯება ბოროტმოქმედება მის მიერ აღნიშნული, განურჩევლად იმის, თუ სად მოხდა ის.

შემოდის წინადადება—არჩეულ იქმნას საგანგებო კომისია, რომელსაც დაევალება შეიმუშავოს ეს საკითხი და კრებას წარუდგინოს თავისი დასკვნა მომხსენებლის მიერ წარმოდგენილ კანონ-პროექტის შესახებ.

მეორე წინადადება—ამ საკითხის შემუშავება მიენდოს ამ ყრილობის მიერ არჩეულ საქართველოს ყრილობათა საბჭოს—მიღებულია.

27 მაისი.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ იმ კომისიამ, რომელიც წარსულ კრებაზე იქნა არჩეული რეზოლიუციებისა და მისალმებათა ტექსტის შესამუშავებლად, შემდეგი შეიმუშავა:

საქართველოს დამფუძნებელ კრებას:

„ტფილისი. დამფუძნებელ კრებას. საქართველოს პირველი კოოპერატიული ყრილობა სალამს უძღვნის დამფუძნებელ კრებას და იმედს გამოსთქვამს, რომ იგი შესძლებს თავის ისტორიულ დანიშნულების შესრულებას და ქვეყანას მისცემს საშუალებას აღორძინდეს კულტურულად, ეკონომიურად და პოლიტიკურად. ამ დიადი მიზნებისთვის მოღვაწეობის დროს ხალხის სრულის ნდობით აღჭურვილ და ქვეყნის უზენაეს უფლების მატარებელ ორგანოსთან იქნებიან საქართველოს ყველა საღი ძალები და კოოპერაციაც, რომელიც ემსახურება ხალხის ცხოვრების პროგრესის საქმეს“.

საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს:

„საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ნიკოლოზის ძეს ჟორდანიას. საქართველოს პირველი კოოპერატიული ყრილობა მოგესალმებათ და გისურვებთ ჯანმრთელობას, რომ საქართველო კიდევ ბედნიერი იყოს თქვენი გონივრული წინამძღოლობის მეოხებით. იცოცხლეთ მრავალჟამიერ“.

ორივე ტექსტი მისალმებისა მიღებულ იქმნენ უცვლელად.

საკოოპერაციო ფინანსების შესახებ კომისიამ გამოიტანა შემდეგი დებულებანი:

1. საქართველოს პირველი კოოპერატიული ყრილობა, იღებს რა მხედველობაში, რომ კონკურენცია კაპიტალისტურ დაწესებულებებთან შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კოოპერაციას ექნება საგრძნობლად დიდი საკუთარი თანხები, რომ საქართველოს კოოპერატიულ ორგანიზაციების განკარგულებაში მხოლოდ მცირე თანხებია — სასურველად აღიარებს, რომ საკუთარი თანხების შექმნა კოოპერატივების მუდმივ საზრუნავ საგანს უნდა შეადგენდეს და განსაკუთრებით ეს უნდა ხდებოდეს ამ გარდამავალ ხანაში, როდესაც კაპიტალისტური დაწესებულებანი ომის შემდეგ ეცდებიან დაიბრუნონ კვლავინდებური უპირატესობა სახალხო მეურნეობაში.

2. კოოპერატივებს ავანსები უნდა შეჰქონდეთ სარაიონო კავშირებში, ხოლო ამ უკანასკნელთ ცენტრალურ კავშირში. ყოვლად დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს ის დღევანდელი მდგომარეობა, რომ სარაიონო კავშირებს ჰმართებთ ცენტრალური კავშირისა, ვინაიდან ასეთი მდგომარეობა აფერხებს კოოპერატიულ მოძრაობის განვითარებას.

3. ყოველგვარი საშუალებით უნდა შევიტანოთ ხალხში ის შეგნება, რომ თავისუფალი ფული შესანახად შემოიტანონ კოოპერატიულ დაწესებულებებში.

4. კოოპერატივებმა ბანკებიდან სესხის ასაღებად უნდა მიმართონ უპირველესად კოოპერატიულ საკრედიტო დაწესებულებებს.

5. სასურველად უნდა ჩაითვალოს კოოპერატივების თანხების საააქციონერო ფორმის შედგენა იმ პირობით კი, რომ პრინციპი ბევრხმიანობისა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი, კოოპერატიული აქციები განაწილებულ იქნას კოოპერატიულ დაწესებულებებში და, რომ ეს აქციები არ გადვიდეს კერძო პირთა ხელში.

6. საობლიგაციო სესხის აღება ყრილობას სასურველად მიაჩნია. კერძო კაპიტალის მონაწილეობა კოოპერაციაში შეიძლება მხოლოდ ობლიგაციების წესით. საობლიგაციო სესხი საჭიროა კოოპერაციისათვის ხანგრძლივ ასანაზღაურებელ ხარჯების დასაფარავად.

7. ყრილობა იწონებს მოსკოვის სახალხო ბანკის ტფილისის განყოფილებასთან არსებულ მიმღებ კომიტეტის მიერ შემუშავებულ დებულებებს ამ განყოფილების გამგეობის შესახებ.

8. ყრილობა იწონებს მოსკოვის სახალხო ბანკის ტფილისის განყოფილების მოსაზრებას შესახებ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წინადადებისა საგანგებო თანხის შეძენისა და ადგენს, რომ ამ თანხაში უნდა ჩაირიცხოს ყველა თანხები, რომელიც შემოუვიდა ბანკს განყოფილების რაიონში კოოპერატივების მიერ შეძენილ აქციებით, ამავე საგანგებო თანხაში უნდა ჩაირიცხოს ის თანხებიც, რომელიც განყოფილებას შემდეგშიაც შემოუვა ამავე რაიონის კოოპერატივების მიერ შეძენილ აქციებიდან.

9. სასურველია, რომ ყველა კოოპერატივებმა შეიძინონ მოსკოვის სახალხო ბანკის არა ნაკლებ ორი აქციისა და, რომ კავშირებმა ეხლავე შეიძინონ აქციები მოკავშირე კოოპერატივების ანგარიშით. აქციების შეძენის დროს უნდა ისარგებლონ სპეციალური 6% სესხით.

10. სასურველია დაარსდეს საერაიონო შემნახველ-გამსესხებელ და საკრედიტო ამხანაგობათა კავშირი.

11. დაარსდეს საქართველოს კოოპერატიული ბანკი.

12. ბანკის დასაარსებლად შესდგეს საორგანიზაციო კომიტეტი, რომელშიაც უნდა შევიდენ: სამი წარმომადგენელი ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირისა და თითო წარმომადგენელი მოსკოვის ბანკისა და კახეთის კავშირისა.

13. საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდიუმი უნდა შესდგებოდეს ხუთი პირისაგან.

პრეზიდიუმს ირჩევს ყრილობა.

29 მაისის სხდომა.

თავმჯდომარე კითხულობს ფინანსთა მინისტრ კონ. კანდელაკისაგან მიღებულ საპასუხო წერილს:

„ტფილისი. საქართველოს კოოპერატიულ ყრილობას.

გულწრფელ მადლობას გიძღვნით მოსალმებისათვის და ვიმედოვნებ, რომ კოოპერატორთა ყრილობა, როგორც გამომხატველი და ხელმძღვანელი კოოპერაციის იდეურ მიმართულებისა, ხელს შეუწყობს კოოპერაციის განმტკიცებას და მის სასურველ იდეურ საფუძველზე დაყენებას. მე ძველებურად ღრმათა მწამს, რომ კოოპერაცია უდიდესი ფაქტორი უნდა შეიქმნეს ჩვენი

ეყნის ეკონომიურ აღორძინებისა, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის სფეროში. ამიტომ, როგორც კოოპერატორი, თქვენთან ვარ და ვიქნები,—მუდამ ად ვარ მხარი დაუჭირო კოოპერატორთა კეთილ ნაბიჯებს, რამდენათაც ენი ფინანსიური მდგომარეობა ამისთვის ხელს შეგვიწყობს. ფინანსთა მინიტრი კანდელაკი".

კრება გადადის მორიგ საკითხებზე.

ნ. ქაშაკაშვილს შემოაქვს წინადადება განხილულ იქნას კითხვები: 1) საჭიროველია თუ არა დაარსდეს საკრედიტო კოოპერატივთა საგუბერნიო კავშირი; 2) მიზანშეწონილია თუ არა პატარა რაიონში ორი კოოპერატივის არსებობა.

კრება იღებს რა მხედველობაში, რომ პირველი კითხვა უკვე გადაწყვეტილია პრინციპიალურად საკოოპერაციო ფინანსების შესახებ მიღებულ რეზოლიუციაში, და მეორე,—კითხვის შესახებაც ცხადი პასუხი არსებობს კოოპერაციის პრაქტიკაში, ამ კითხვების განხილვაში არ შედის.

საქართველოს კოოპერატიული ცენტრი.

შ. გოგებაშვილი აღნიშნავს, რომ ასეთ ცენტრისთვის არაა შემუშავებული წესდება. ამ ყრილობამ უნდა აირჩიოს საბჭოს ბიურო, რომელსაც უნდა დაევალოს საქართველოს ყრილობათა საბჭოს წესდება და უკანასკნელის წარდგენა საოლქო სასამართლოში რეესტრში შესატანად. საჭიროა აგრეთვე ამ ყრილობამ გადაწყვიტოს, თუ როგორი გადასახადი გააწეროს ბიურომ რაიონულ კავშირებზე, რათა ამ გადასახადებისაგან შესდგეს საძირო თანხა ყრილობათა საბჭოს მოღვაწეობისთვის. ყრილობათა საბჭოს ბიურო უნდა შესდგეს 5 პირისაგან. უკანასკნელნი ამავე დროს იქნებიან ამიერ-კავკასიის კოოპერატიულ ყრილობათა საბჭოს წევრნი.

შ. რამიშვილი აღნიშნავს, რომ საქართველოს კოოპერატიულ ყრილობათა საბჭოს ფუნქციები არ არის გამორკვეული და გამიჯნული სხვა ორგანიზაციების ფუნქციებისაგან. ამ მოსაზრებით ზედმეტად მიაჩნია, ამ ყრილობაზე არჩეულ[illegible] მიენიჭოს ის უფლება, რომელზედაც შ. გოგებაშვილი მიგვითითებს. უნდა [illegible]ჩიოთ ხუთი პირი, რომელნიც ამიერ-კავკასიის კოოპერატიულ ყრილობათა საბჭოში იმუშავებენო.

ი. გაბილაია აღნიშნავს, რომ ყრილობათა საბჭო სურროგატია იმ კოოპერატიულ კავშირებისა, რომელნიც არსებობენ ევროპაში და აწარმოებენ

მხოლოდ კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას, ასეთი კოოპერატიული კავშირები წარმოადგენენ ევროპაში უმაღლეს იდეურ ორგანოს კოოპერაციაში, ოპერაციების საწარმოებლად კი არსებობენ ბითუმად მსყიდველი კავშირები. კოოპერატიული კავშირის, ანუ, როგორც აქ ეძახიან, ყრილობათა საბჭოს იმ წესით დაარსება, როგორც ჩვენ გვირჩევენ, შეუძლებელია და შეცდომაა. ამიტომ წინადადებას იძლევა—არჩეულ იქმნას კომისია, რომელიც შეიმუშავებს კოოპერატიულ იდეურ ხელმძღვანელ ცენტრის დებულებებს. ამასთანავე ეთხოვოს ამიერ-კავკასიის, ე. ი. მომავალ საქართველოს კოოპერატიულ კავშირის გამგეობას—ანგარიში გაუწიოს ამ კომისიას და ხელი შეუწყოს მის მუშაობას.

ა. **გაფრინდაშვილი**. აქ არჩეული საბჭო ეხლავე უდნა შეუდგეს პრაქტიკულ მუშაობას. წესდებაც მან უნდა შეიმუშაოს და მომავალ ყრილობას წარუდგინოს.

შემოდის წინადადება—შესწყდეს კამათი. წინადადება მიღებულია.

შემოდის ორი პროექტი რეზოლიუციისა: 1) ი. **ცაგარელი**: „არჩეულ იქმნას 5 პირი, რომელნიც იქნებიან საქართველოს კოოპერატიულ ყრილობათა წარმომადგენელნი ამიერ-კავკასიის კოოპერატიულ ყრილობათა საბჭოში, მათვე დაევალოს საქართველოს ყრილობათა საბჭოს ორგანიზაციის საქმე". 2). **შ. გოგებაშვილი**: „თანახმად წარსულ კრებაზე ყრილობის მიერ მიღებულ დადგენილებისა არსდება საქართველოს კოოპერატიულ ყრილობათა საბჭო. კრება ირჩევს 5 პირისაგან შემდგარ ბიუროს, რომელსაც ევალება საბჭოს წესდების შემუშავება და მის ფარგლებში მუშაობა მომავალ ყრილობამდე. ბიუროს გარდა ყრილობათა საბჭოში შედიან თითო წარმომადგენელი რაიონებისაგან. საქართველოს კოოპერატიულ ყრილობათა საბჭოს ბიურო შედის წევრად ამიერ-კავკასიის კოოპერატიულ ყრილობათა საბჭოში".

მიღებულ იქნა მეორე რეზოლიუცია **22** ხმით, **13** წინააღმდეგ.

საქართველოს კოოპერატიულ ყრილობათა საბჭოს ბიუროში არჩეულ იქმნენ ხმის უმრავლესობით შემდეგი პირნი: 1. გრიგოლია, 2. ღლონტი, 3. გოგებაშვილი, 4. წინამძღვარიშვილი გ., 5. კახელაძე. ამათ კანდიდატებათ: 1. თ. ღლონტი, 2. გ. ნაცვლიშვილი.

შემოხული იყო მეორე სია: 1. დარჩია ვ., 2. გ. ჯანდელაკი, 3. ფ. ტორიშელიძე, 4. ვ. ალანდარიშვილი, 5. ფეფზაძე. კანდიდატებად: 1. გაბილაია ბ., 2. ალანია. ამ სიამ შეიტანა 16 ხმა.

შემოდის შემდეგი წერილობითი განცხადება: 1). საქართველოს კოოპ-

რატიულ ცენტრის და კავშირის შესახებ ყრილობამ გამოსთქვა თავისი სურვილი და ნებისყოფა სახალხო კოოპერატიულ ბანკის დაარსების გარდაწყვეტილებით. მაგრამ, ვიღებთ რა მხედველობაში, რომ: 1. კოოპერატიულ ბანკის დაარსება და მოქმედების დაწყება მოითხოვს დიდ დროს, ენერგიას და მრავალ მატერიალურ თუ ტეხნიკურ დაბრკოლებათა გადალახვას;

2) მომხმარებელი საზოგადოებანი შედარებით საკრედიტო კოოპერატივებთან უკეთ არიან შეკავშირებულნი და მათი არსებული ცენტრი უწევს შესამჩნევ ხელმძღვანელობას იდეურს და ტეხნიკურს, საკრედიტო კოოპერატივების უმრავლესობა კი სრულიად უცენტროდ და უსახსროთ დატოვებულნი განიცდიან მძიმე ხანას, რაც ბევრს მათგანს დასუსტებას უქადის, ყრილობამ სიჭიროდ აღიარა დღიდანვე დაარსდეს ორგანო საკრედიტო კოოპერატივთა ხელმძღვანელი და შემაკავშირებელი. საკრედიტო კოოპერატივთა ორი კავშირის სახით, სახელდობრ, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოსი.

აღნიშნულ კავშირთა განსახორციელებლად სასურველია ერთ-ერთ არსებულ კავშირის მოქმედების რაიონის გაფართოვება, რომ შესაძლებელი იყოს დაუყონებლივ მუშაობის დაწყება.“

ყრილობამ დადგინა: მოვისმინეთ რა ხსენებული განცხადება, გადავდივართ მორიგ საკითხებზე.

კრების წესრიგი დამთავრებული იყო და თავმჯდომარემ საქართველოს პირველი კოოპერატიული ყრილობა დასრულებულად გამოაცხადა.

ყრილობის პრეზიდიუმი:
ს. მაჭავარიანი.
გ. ნაცვლიშვილი.
ი. გარსევანიშვილი.

მდივანი **მ. მაისურაძე.**



კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.

Crâne aux fleurs artistiques—**გ ა ლ ა ქ ტ ი ო ნ ტ ა ბ ი ძ ე.** პირველი დია წერილი სოლომონ ზურგიელიძეს საიქიოს—**ე შ მ ა კ ი.** ახალი პოეზიის ანტოლოგია. საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ვითარება—**გ ი ო რ გ ი მ ა მ რ ა ძ ე.** ქართული საშართლის ისტორია—**პ რ. ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი.** სახელმწიფო და რევოლიუცია—**ლ ე ნ ი ნ ი.** საქართველოს რესპუბლიკის კანონთა კრებული. Рѣчи И. Г. Церетели, парламентскія рѣчи Н. С. Чхеидзе, „За два года"—**Н. Н. Ж о р д а н і я.** გიორგი ბრწყინვალე—**ვ ა ხ უ შ ტ ი ს ა,** ქართველი ქათოლიკენი, ბატონყმობის გადავარდნის ამბები, ტფილისის ამბოხება, ქართული მკურნალობის ისტორია, ქართულ მწიგნობრობის ისტორიიდან. გიორგი ერისთავი და ქართული თეატრი—**ი. ი. ფ ე რ ა ძ ე.** რუსეთის პოლიტიკა და იმერეთის მეფე სოლომონ II—**ნ. ჭ ე ი შ ვ ი ლ ი.**

გ ა ლ ა ქ ტ ი ო ნ ტ ა ბ ი ძ ე: Crâne aux fleurs artistiques. ლექსები. წიგნი მეორე. (1914—1919). ტფილისი. ფასი 25 მ.

მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენს თანამედროვე პოეზიაში მოიძებნებიან თითქმის ყველა ლიტერატურულ შკოლის და მიმართულების მწერლები, ვიდრე სრულიად უიმედო ფუტურისტებამდე, „თანამედროვე" პოეტები ჩვენ არა გვყავს. ეს ჩვენს განსაკუთრებულ უბედურებას არ შეადგენს და ჩვენი დროისთვის ნორმალურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

ის, რაც კაცობრიობის ცხოვრებაში მოხდა ამ რამოდენიმე უკანასკნელ წლების განმავლობაში, გადაუვალ ზღუდეთ დაედვა ძველსა და ახალს. საზოგადოებრივი წინააღმდეგობანი არაა ოდეს არ ყოფილან ასე ცხადი, როგორც დღეს. რაც უნდა მოხდეს, მაგრამ ამ ორი ქვეყნის შერიგება შეუძლებელია. ახალი ქვეყნის ცხოვრება დადგა არა თუ იდეალებში, სინამდვილეშიაც. საყვირის ხმით მოევლინა კაცობრიობას, საუკუნოებით ნაშენი სოციალური შიპები შეანგრია, მასსების გრანდიოზული ფსიქოლოგია გადაშალა, ადამიანის სულის ნახეთქებში ჩაიხედა. ამ ქვეყანას უნდა ეშვა თავისი პოეტები. მაგრამ... ყველაზედ უფრო თანამედროვე პოეტები სდუმან ამ ქვეყნის შესახებ: მათ ვერ „ჩაფლეს ხელი მის სილრმეში", ვერ მოახერხეს მისი მხატვრული აპერცეპცია. საეჭვოა, რომ ამას ისინი ოდესმე შესძლებენ, რადგან არც სოციალურად, არც ფსიქოლოგიურად ისინი ამისათვის მომზადებულნი არ არიან. არ ვიცი რა სახით მოვა, მაგრამ ჯერ არ მოსულა ის, ვინც პოეზიის მეხით უნდა ეკვეთოს ამ ბურუსს და გამოსჭედოს მისგან ფოლადისა და ცეცხლის სურათები.

ამ თემაზე და საერთოდ ჩვენს თანამედროვე პოეტებზედ საუბარი შემდეგ გვექნება. ეხლა საჭიროდ მიგვაჩნია რამდენიმე სიტყვით აღვნიშნოთ გალაქტიონ ტაბიძის ლექსების ახალი კრებული „Crâne aux fleurs àrtistiques."

ჯერ თვით სათაური, მერე ეპიგრაფები. წარსული დღის „თეთრ გედებზე"

და „ლურჯ ფრინველებზედ“ მოგვითხრობენ ისინი. გუშინ ისინი დასცურავდენ მოწყენილ დედამიწის ტბებში, დასრიალებდენ მის გალაღებულ ბაღებში. გუშინ,—მაგრამ მას შემდეგ თითქო მთელმა საუკუნემ განვლო. რასაც არ უნდა მოკიდო აქ ხელი, მასში უკვე არ სცემს უშუალო სიცოცხლის მაჯა. გადაშალეთ კრებული, აიღეთ რამდენიმე ლექსი, ალალბედზე, რომელიც კი მოგყვეთ ხელში და, თქვენ მიხვდებით, რომ პოეტი დანთქმულია განმარტოებულ სულის მელანქოლიაში. დედამიწა და მისი ცხოვრება ვერ გაუმართლებია მას, დაობლებულს და მუდამ მოგონებებით სავსეს, მაგრამ ეს გრძნობა არ იწვევს მხატვრულ აქტივობას მასში. ის არ ეკვეთება არსებულს, რომ შესცვალოს იგი: ეს შეუძლებელია:

„ვინ გაიგებს შენს ძახილს, ძახილს ვინ
დაიჯერებს?
ვერავინ განუგეშებს საოცრების უბეში,
სძინავთ ბნელ ხვეულებში გამოუცნობ
ქიმერებს!“

დედამიწის ცხოვრება გაუგებარია. შეშინებულ სულის სილრმიდან მისჩერებია ავტორი მას. ცხოვრება გამოუცნობ აჩრდილებითაა სავსე. ის რაღაც აპოკალიპსიური ზმანებაა:

„შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით
უსულდგმულო დღეები რბიან, მიიჩქარიან!
სიზმარიან ჩვენებით—ჩემი ლურჯა ცხენებით
ჩემთან მოესვენებით! ყველანი აქ
არიან!“

„გრაალის კოშკები, ლიდიის სამრეკლო“ დაიმსხვრა, დაიმსხვრა ოცნება და რომანტიკა. ავტორი კიდეც ემშვიდობება მათ, მაგრამ არ ძალუძს მოშორდეს, არ ძალუძს დაივიწყოს იგი:

„ბაგეთა ლოცვაო, დიდება და ძეგლო,
უთუოდ მახსენებ ოდესმე...“

გალაქტიონ ტაბიძე წმინდა წყლის რომანტიკოსია. მის პოეზიაში მოდერნიზმი და მისი უკანასკნელი ზედნაქსოვები ახალი რომანტიზმის საღებავშია გავლებული. მისი ფუტურიზმიც კი უაღრესათ რომანტიკულია. მისი სტიქია არის გაღრმავებული პირადი გრძნობა და პიროვნებაში ჩაკეტილ ქვეყნის ჭაპანწყვეტა. ამაშია მისი ძალა და სისუსტე. თანამედროვე ცხოვრებას საზოგადოთ არ სწყალობს იგი (უკეთ—თანამედროვე ცხოვრება არ სწყალობს მას), მაგრამ იქ, სადაც ძალაუნებურად არ შეუძლია აუაროს მას გვერდი, ტრაღიზმით სავსე კაცობრიობის დოკუმენტები ვერ ჩამოუშორებია შეკუმშულ სულის მელანქოლიისთვის: „როგორ ებრძოდენ ზარებს ზარები,“ „გემი დალანდი,“ „რამდენიმე დღე პეტროგრადში.“ ამ ლექსებში „სხვათა შორის,“ გაკვრით ეხება ის ისეთ რამეებს, რასაც **არ შეიძლება** გაკვრით შეეხო.

„მაინც სად გაქრა ეს წერეთელი,
ჩხეიძეც გაქრა, როგორც ასეთი!
ვიყავი ჩემთვის. ეხლა წერტილი:
სიკვდილი ერთი და უცაბედი.“ (110).

აქ არა სჩანს ჩანასახიც კი თანამედროვე ცხოვრების მხატვრულ შემეცნებისა. თქვენ წინ დგას „ობივატელი.“ მისთვის რევოლიუცია და მისი ეტაპები უბრალო შემთხვევაა, რომელმაც ავტორს ფიზიკურად შეუშალა ცხოვრების გეზი. როგორ, ან რისთვის მოხდა ეს—ალაჰმა უწყის: რევოლიუციის ფსიქოლოგია სდუმს.

ჩვენ არ გამოუდგებით ამონაწერებს.

ავტორის რომანტიულ პესიმიზმის დასახასიათებლად თითქმის ყოველი ლექსი გამოდგება, საიდანაც არ უნდა ამოიღოთ იგი. აქ ყველაფერი ახალიც კი მუდამ ძველზედ მოგვითხრობს. არის ამაში თავისებური „ნასტროენიე“ და გრძნობა, რომლებიც ავტორს ჩვენს დროშიაც მოუპოვებენ თავის მკითხველებს.

იმავე მელანქოლიურ გრძნობით უდგება ტაბიძე გარეშე ბუნებას. „მწუხარე დაცვენილი ფოთლები, ყვავილები, ჰაერში ოხვრა, თმა-გაწეწილი ქარი“ და ასე—ეს ერთი, მუდამ დაჭიმული სიმია მისი ჰანგებისა. ერთი რამ აქვე უნდა აღვნიშნოთ. იქ, სადაც გალაქტ. ტაბიძე ეხება ბუნებას, ის სწყვეტს ვიწრო სკოლის ბორკილებს და ჩვენს წინ იშლება ნამდვილი პოეზიის სულით აღბეჭდილი სურათები („ატმის ყვავილები,“ „ვერხვები,“ „მთაწმინდის მთვარე“ და სხვ.).

მაგრამ გალ. ტაბიძის ამ წიგნს ბევრი ცოდვა მიუძღვის პარნასისაკენ. ერთი, რომ კრებულში ბლომად მოიპოებიან ისეთი ლექსები, რომლებიც ალმასების მაგიერ „კუზნეცოვის“ თევშების ნამსხვრევებით ბრწყინავენ; მეორე — ვერც მან დაახწია თავი ფუტურისტურ თავის გამორეკლამებას. ამით უნდა ავხსნათ ის ფაქტი, რომ კრებულში მრავალი ისეთი „ლექსი“ არის მოთავსებული, რომლებიც მღვრია წყალს ურევენ პოეზიის არმუჯში და, რომელთა არ მოთავსება კრებულის ღირსებას ასწევდა.

აიღეთ, მაგალითად, მისი „ღრუბლები ოქროს ამურებით.“ მოგვითხრობს: „ღრუბლები ოქროს ამურებით დასახლებული, ვეზუვის ფერფლი... და სხვა და სხვა, და უეცრად,

Deus ex machina:

„საქართველო!
შენ მოვალე ხარ, რომ ნატრობდე
ჩემს მეგობრობას
უფრო მხურვალედ—
ვინემ მე შენსას!“

რისთვის უნდა ნატრობდეს საქართველო ასე „მხურვალედ“ გ. ტაბიძის მეგობრობას, ეს, ყოველ შემთხვევაში სრულიად არ სჩანს ზემო-ნაპოეტებიდან. სამაგიეროდ „ლექსი“ მშვენიერი ილიუსტრაცია არის ჩვენებური ფუტურიზმისა.

სასტიკ დროში სცხოვრობენ ჩვენი პოეტები: ცხოვრება გაძვირდა. ლექსები კი... ლექსებს საზოგადოთ არ ეტანებიან მშიერ კუჭზედ. არიან მაძღრებიც, მაგრამ მათ პოეზიისათვის არ სცხელათ. რა უნდა ჰქნა, ვის უნდა მიაგებო ლექსები, რა უნდა მოუხერხო ამ დროში ასეთ ფასდაცემულ საქონელს? ერთი ღა დაგრჩა: გამოხვიდე დიდ შარა-გზაზე და იყვირო: „საქართველო შენ მოვალე ხარ“... იყვირო ისე, რომ ძალათ გააგონო, თორემ ყურადღებას ვინ მოგაქცევს, ყველას თავისი საქმე აქვს. ყვირიან კიდეც... მაგრამ, ბაზარი, რამდენათაც ჩვენ ვუწყით, სდუმს. ალბად სხვა გზებია საჭირო საზოგადოთ.

კრებული შეიცავს საშუალო ფორმატის 128 გვერდს. მასში მოთავსებულია 86 ლექსი უკანასკნელ ხუთი წლის განმავლობაში დაწერილი. გარეგნულის მხრივ წიგნი ვერაა ხეირიანად გამოცემული, მაგრამ ეს ხომ ჩვენი დროის ჭირია და ჩვენი კიდევ—განსაკუთრებით. ყველაზედ სამწუხარო ისაა, რომ კორექტურა მოიკოჭლებს, რაც ლექსების კრებულისთვის ყოვლად შეუწყნარებელია. ჩვენი დროის მიხედვით წიგნი არაა ძვირი და ვინც

ჩვენს პოეზიას თვალყურს ადევნებს, მისთვის ამ კრებულის შეძენა აუცილებელია.

ვ. ჩ.

ეშმაკი. პირველი ღია წერილი სოლომონ ზურგიელიძეს საიქიოს. ბათლომე კილაძის გამოცემა. ფასი ერთი თუმანი. ტფილისი, 1919 წ.

ვისაც ჩვენი კულტურულ ცხოვრებისათვის თვალყური უდევნებია,—მას არ გამოეპარებოდა იშვიათი და ძვირფასი კალამი, რომელიც კოხტათ აქვს მომარჯვებული დიდ იუმორისტს ეშმაკს, ორგულის დასაგმობათ და მოყვარის სადიდებლათ. ეშმაკის კალამის ისტორია ქართულ ლიტერატურაში იუმორისტიკის, მკვირცხლი გონების, ზღვა-გრძნობის, სილაღის და სიმართლის თქმის წარმტაცათ დაწერილი ისტორიაა. ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება მის მიუდგომელ პრიზმაში ტარდებოდა და მხატვრული იუმორით სინამდვილეთ ითქმებოდა. მაგრამ ჩვენ აქ მის ისტორიას არ ვწერთ, გვინდა მხოლოდ აღვნიშნოთ უკანასკნელი მისი შრომა, რომელიც წიგნათ მოევლინა საზოგადოებას 26 მაისისათვის.

სოლომონ ზურგიელიძე, ეს ქართველი კოზმა პრუტკოვი, მასზე უკეთესი და უნიჭიერესი,—ეშმაკის შექმნილი და ნაამაგარია. და აი ამ თავის განსვენებულ გმირს ეშმაკი საიქიოს სწერს, რაც მან იხილა და იგრძნო ამ უკანასკნელ ხანაში. აქაა „ამბავი ქაოსისა და ნგრევა დიდის“, „აქა ამბავი დამოუკიდებელ საქართველოს დაარსებისა“, „აქა საზღვრები საქართველოსი“, „აქა ცნობა საქართველოს წესწყობილებისა“, ომების ამბები, და სხ. და სხ. ეშმაკი აღწერს რევოლიუციას ქაოსისა და ნგრევის დროს და ამბობს:

„ბედის ვიყავ უმადური, არ ვიქმ შენსა
დაფარულსა,
არ ველოდი ასრულებად სურვილს
შმაგსა და ფარულსა,
გავერანდა კორდი მწვანე, ვითა წალკოტს
ნაფარულსა,
არ ველოდი გაღიმებად საქართველოს
ბედსა კრულსა.
მაგრამ ბედმა გაგვიღიმა, აღმობრწყინდა
სხივი მზისი
სიხარულად შეგვეცვალა ჭმუნვარება
მრავალ გზისი,
ამას იმად იგალობენ, აქა მტკვარი, იქ
ფაზისი,
საქართველომ გაიღვიძა, მოწამეცა მე ვარ
მისი“...

ეშმაკის კალამი აქ ძლიერი და მკვეთრია, მდიდარია პოეტური აღმაფრენით. წიგნი ცოტა ძვირია.

Wictor.

ახალი პოეზიის ანტოლოგია. კირჩხიბის გამოცემა. ქუთაისი 1919 წ.

აქამომდე დიდ სიძნელეს წარმოადგენდა ახალი პოეზიის ანტოლოგიის დაახლოვებით გაცნობა და დაკვირვებით გადათვალიერება. მისი ნაკვეთები გაბნეული იყო სხვა და სხვა—ხშირად ძნელად საპოვნელ—გამოცემებში: ჟურნალებში, გაზეთებში. ეს საგრძნობი ნაკლი იყო ჩვენს მწერლობაში, და შემაწუხებელი ახალი პოეზიის ბევრი გულწრფელი მოყვარულისა და აგრეთვე ისეთებისაც, ვინც არ თანაუგრძნობენ ახალ პოეზიაში გაბატონებულ მიმართულებას, მაგრამ, უწევენ რა მას ანგარიშს, სცდილობენ მის შესწავლას, თუგინდ იმ მიზ-

ნით, რომ გაარჩიონ ის, „გაიგონ და დაამარცხონ“—სხვა გზით მიმართონ.

კირჩხიბის გამოცემა—„ახალი პოეზიის ანტოლოგია“—აღნიშნულს სიძნელესა და ნაკლს სპობს.

ახალი პოეზიის მოყვარულთათვის ეს საკმაოდ სურნელოვან ყვავილებისაგან-კოხტად შეკრული თაიგულია, რომელიც თვალწინ გადაგიშლით მინიატიურულად მთელს სახეს ახალი ქართული პოეზიისას, რამდენადაც ის ჩამოქნილა მის ანტოლოგიურ ნაწილში. ხოლო ახალი ქართული პოეზიის მკვლევართათვის ეს გამოცემა დაუფასებელია, როგორც დამახასიათებელ ნიმუშთა საკმაოდ სრული კრებული.

კრებულში 40 ავტორია მოყვანილი, და ყველანი ერთად წარმოდგენილია 52 ლექსით და 10 მუსიკალური პროზით,—სულ 62 პირით.

ცხადია, კრებულში მოყვანილი ავტორები ყველანი ერთნაირი მასშტაბის არ არიან და მათი ნაწარმოებნიც არ არიან თანასწორი ესტეტიური ღირებულებისა, მაგრამ თანამედროვე ანტოლოგიისთვის უცილობოთ ყველანი დამახასიათებელნი არიან.

არსებითად შეხება და გარჩევა ახალი პოეზიის ანტოლოგიისა მოუხერხებელია ბიბლიოგრაფიულ შენიშვნების ფარგლებში. ჟურნალი „შვიდი მნათობი“ შეეცდება ეს ფრიად საინტერესო საგანი გაარჩიოს ვრცელ კრიტიკულ წერილში ერთ-ერთ უახლოეს ნომერში.

ლამაზისა და კოხტა გამოცემის მოყვარულთათვის ეს წიგნაკი, პატარა ფორმატის, 80 გვერდით, მშვენიერ ქაღალდზე სუფთად დასტამბული (თუმცა აქა-იქ შიგ გაბნეული შეცდომებით, რაც თითქმის გაუკურნებელი სენია ჩვენებური გამოცემებისა)—სწორედ რომ გამახარებელია და მისი ფასიც—15 მან.—დღევანდელ პირობებში არც მაინცა და მაინც ძვირად ჩაითვლება.

ი. თ.

გიორგი მამრაძე. საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ვითარება. I „ქართლის ბედის“ უკულმართობა და საქართველოს ტრაღიზმი. ფასი 3 მ. 50 კ. ტფილისი.

ეს წიგნი მეტათ საინტერესოა არა მით, რომ ავტორს სავსებით მიუღწევია თემისათვის, სრულებრივ განუხორციელებია დასახული მიზანი. ეს წიგნი საინტერესოა თვით აღნიშნულ საკითხის დასმით და ამ საკითხის გადაჭრისათვის გზის გამოძებნით—ამ მხრივ ეს ნაშრომი ორიგინალურიცაა.

„ქართლის ბედის“ უკულმართობა და საქართველოს ტრაღიზმი—ეს დიდი სატრაქტატო თემაა და ამ საკითხზე ზერელეთ ან გაკვრით ლაპარაკი, მისი ვიწრო ჩარჩოებში გამომწყვდევა ავტორს მხოლოდ წააგებიებს. ბ-ნ მამრაძის წიგნი უფრო მოხსენებას წარმოადგენს. მრავალ ადგილას საკითხებს სვამს და მათ გადაჭრას კი მომავლისათვის გვპირდება. რაში გამოიხატებოდა „ქართლის ბედის“ უკულმართობა? რამ გამოიწვია იგი? აი—ის დიდი საკითხი, რომელსაც ავტორი სვამს და შემდეგნაირათ უპასუხებს: „ისტორიის შარა-გზაზედ მომწყვდეული საქართველო არ ასცილებია თითქმის არც ერთ ბარბაროს ხალხთა ტალღების ცემასა და გრგვინვას... და „ქართლის ბედის“ უკულმართობა და საქართველოს ტრაღიზმი გამოიხატებო-

და, იმაში, რომ მრავალ-ტანჯულ ქართველთა ერის „სულსა“ და „სხეულს“ ყოველთვის თან სდევდენ ერთი მეორეს მოწინააღმდეგე ფაქტორები. სახელ-დობრ, ქართველთა ერის (ქართველთა!!) სულიერ საუნჯის განვითარება მოითხოვდა სრულიად საქართველოს გაერთიანებას, მაგრამ ამავე დროს, მისი ისტორიულ-სტრატეგიული და გეოგრაფიული მდგომარეობანი მოითხოვდენ საქართველოს მრავალ-თავიანობას და ერთი მეორისაგან დამოუკიდებელ სამთავროებათ დაყოფას—ვინაიდან, მხოლოდ ამითი შეიძლებოდა ქართველთა ერის სხეულის შენარჩუნება. ამაში გახლდათ „ქართლის ბედის“ უკულმართობა და საქართველოს ტრაღიზმი“... (დასახელებული წიგნის მე 7 გვ.) აქ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ერთი საგულისხმო მოვლენა: ავტორი ისეთ ტერმინებს და გამოთქმას მიმართავს, რომელიც აბნელებს ანალიზს და ხელს უშლის საკითხის გამორკვევას და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, სიმარტივეს. რაც შეეხება ავტორის მიერ წამოყენებულ უკულმართობის და ტრაღედიის შესახებ დებულებას,—უნდა ვსთქვათ შემდეგი: აქ ავტორი უსათუოდ საქართველოს გაერთიანებისადმი მისწრაფებას და მეორე მხრივ ფეოდალიზმს ეხება. ამ დებულების მეორე ფაქტორში ავტორი უსათუოდ ფეოდალიზმს გულისხმობს. მაგრამ ერთი რამ არ არის ჩვენთვის გამორკვეული და მისაღები: 1) რას გულისხმობს ავტორი ისტორიულ-სტრატეგიულ და გეოგრაფიულ პირობაში, 2) და როდის იყო, რომ ეს პირობა ფეოდალიზმს ქმნიდა და ამტკიცებდა. ჩვენ გვეგონა და გვგონია, რომ ფეოდალიზმი ეკონომიურ ცხოვრების შესაფერ სტადიაზე იქმნება და ასეთი სტადია ყველა ერმა განვლო. ჩვენ გვგონია, რომ ისტორიულ-სტრატეგიული და გეოგრაფიული, ასე ვსთქვათ იყო და არის გარეშე ბუნება, მხოლოდ მასალა ერის წინ და ერის ხელში, და ბოლოს, ერის უნარზე, მისი ბრძოლის მეთოდებზე არის დამყარებული მისი განვითარება. საშუალო საუკუნოები საქართველოში ფეოდალიზმის ხანაა. ეს უნდა ყოფილიყო. ეს აუცილებელი ისტორიული სტადია იყო. ჩვენის აზრით „ქართლის ბედის“ უკულმართობა და ტრაღედია ამაში კი არ გამოიხატებოდა, არამედ ერთ მეტათ საგულისხმო და გამოსაკვლევ მოვლენაში: რისთვის ვერ შესძლო საქართველომ შეექმნა ის კლასი, რომელიც ყველგან ამ ფეოდალიზმის დამამხობელი იყო. რატომ ვერ შესძლო შეექმნა ის მესამე წოდება, რომელიც ფეოდალიზმს გაანადგურებდა. რატომ ვერ შესძლო შეექმნა ბურჟიაზია, რომელიც ნაციონალურ გაერთიანების დროშით უნდა გამოსულიყო. აი საკითხი! ცხადია: გეოგრაფიულ და სტრატეგიულ პირობებს დიდი მნიშვნელობა ქონდა ჩვენი ერის ცხოვრებაში, მაგრამ იგივე პირობა დამნაშავეა იმაში, რომ ქართველმა ერმა ვერ წარმოშვა ფეოდალიზმის დამამხობელი კლასი? ესეც საკითხია! და ამ საკითხებს ავტორი არ აყენებს. და უამისოდ „ქართლის ბედის“ უკულმართობის და ტრაღედიის გამორკვევა ჩვენ შეუძლებლათ მიგვაჩნია.

ერთი მხრივ ფეოდალიზმი და მეორე მხრივ საქართველოს გაერთიანებისადმი მისწრაფება და ამ ორი მოვლენის ისტორიულ პირობების გამო შეურიგებლობა ბ-ნ მამრაძეს „ქართლის ბედის“ უკულმართობათ და ტრაღედიათ მიაჩნია. ბ-ნი

მამრაძე ამბობს: ამაში (ზემოთ ნათქვამში) გახლდათ „ქართლის ბედის“ უკულმართობა და საქართველოს ტრაღიზმიო.—და ჩვენ ვიცით,—განაგრძნობს ავტორი,—რომ ჩვენი ცხოვრებისა და არსების ამ სიმახინჯეს არა ერთი და ორი დიდებული ქართველის სული უმსხვერპლია. ამაზედ იყო, რომ უწყალოთ გადატყდა საქართველოს „უგვირგვინო მეფის“ და მსოფლიო ისტორიაში გენიის სარდალის ცნობილ გიორგი სააკაძის ხმალი... ამაზედ იყო დაჩლუნგდა და ამოიწურა მთლად საქართველოს გმირთა-გმირის „პატარა კახის“ პოლიტიკური სიღრმე და მჭერმეტყველობა... ამაზედ იყო-რომ „ქართლის ბედის“ უკულმართობამ, წარსულ საუკუნის რიჟრაჟზედ, საბოლოოდ დაკანონა ჩვენი ცხოვრების სიმახინჯე“... სააკაძის, პატარა კახის და სხვათა მისწრაფება საქართველოს გაერთიანებისადმი და მეორე მხრივ, ფეოდალთა ამის წინააღმდეგ ბრძოლა, ბ-ნ მამრაძეს საქართველოს ტრაღედიათ მიაჩნია. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ აქ სატრაღედიო არაფერი არის. გამაერთიანებლების ბრძოლა იყო ბრძოლა იმავე ფეოდალურ ნიადაგზე, იმავე ფეოდალურ გზით, იმავე ფეოდალურ მთლიან საქართველოსთვის. საქართველოს ამ შეკრებას მიზნათ არ ქონდა ფეოდალიზმის გაცამტვერება, არამედ მეფის გაძლიერება და ვასალურ დამოკიდებულებათა განმტკიცება—ფეოდალურ აბსოლიუტიზმის დამკვიდრება. სულ სხვაა ის, თუ ფეოდალიზმი მერმე რა შინაარსს და ფორმას მიიღებდა. მაგრამ ერთი ფაქტია: ბრძოლაში ახალი კლასი, ახალი წოდება არ არსებობდა, არ არსებობდა ის ძალა, რომელსაც გაამერთიანებლები დასავლეთ ევროპაში ეყრდნობოდენ. კვლავ იმავე საკითხს მივადექით და სწორედ ამაშია ტრაღიზმი. რატომ არ წარმოიშვა მესამე კლასი? ასეთი საკითხი ბ-ნ მამრაძესათვის არ არსებობს და უამისოთ ამ საკითხზე მსჯელობა ჩვენ უსარგებლოთ მიგვაჩნია.

უდავოა, რომ გეოგრაფიულმა და სტრატეგიულმა პირობებმა ხელი შეუწყო „ქართველთა ერის სხეულის“ ანუ ქართველი ერის ფიზიკურათ გადარჩენას და შენახვას. მაგრამ როდესაც ეს სტრატეგიული პირობებიც მოიშალა,—მაშინ ვეღარც ფიზიკური გაძლება შეიძლებოდა და ქართლ-კახეთმა რუსეთს შეაფარა თავი. ეს იყო ერთად ერთი გონიერი და მიზან-შეწონილი გამოსავალი და ეს ისტორიამ დაამტკიცა. ამ გამოსავალს არც ბ-ნი მამრაძე უარყოფს, მაგრამ აქაც ხედავს იგი „ქართლის ბედის“ უკულმართობასა და „საქართველოს ტრაღიზმს“. რაში გამოიხატება ეს ტრაღიზმი? ავტორის აზრით, იმაში, რომ შეერთდენ: „ერთის მხრივ სხეულით დაავადებული, მაგრამ ისტორიის კულტურითა და ეროვნულ-რასიულად მაღალ საფეხურზე მდგომი საქართველო, და მეორე მხრივ — ფიზიოლოგიურ - სახელმწიფოებრივად გაზრდილი, მაგრამ ისტორიულის კულტურითა და საკუთარ ეროვნულ სახის გამომეტყველებით ჯერ კიდევ განუვითარებელი (?) რუსეთის სახელმწიფო“. თანამედროვე ისტორიკოსისათვის რასიულობაზე ლაპარაკი უხერხულია და ზედმეტია. აქ მოყვანილი დებულება რომ უბრალო ენით ვსთქვათ, ასე იქნება: ამ შეერთების დროს ერთმანეთს შეხვდა ფეოდალიზმი და ბიუროკრატიზმი. და ამაში იყო განა საქართველოს ტრაღედია? ჩვენ ვფიქრობთ, რომ პირიქით. არ

შეგვიძლია აქ ერთი ისტორიული სიმართლე არ აღვადგინოთ. ავტორი მეთვრამეტე საუკუნის რუსეთს სათანადოთ ვერ აფასებს. რაში გამოიხატებოდა მეთვრამეტე საუკუნის რუსეთის განუვითარებლობა და მისი ფიზიოლოგიური ზრდა? პირველი ალბათ ბიუროკრატიზმში და მეორე იმპერიალიზმში. ეს უსათუოდ შემცთარი მსჯელობაა! პირიქით: მაშინ ჩვენს გარშემო მყოფ ყველა სახელმწიფოთა შორის რუსეთი ერთად ერთი განვითარებული სახელმწიფო იყო.

დახეთ ბედს! „საქართველოს რუსეთთან შეერთების დღიდან, ქართველთა ერის „სულსა“ და „სხეულს“ შორის დღევანდლამდე (რევოლიუციამდე) განუწყვეტლივ თან სდევენ ერთი მეორის მოწინააღმდეგე ფაქტორები და ეს ჩვენი დღევანდელი (ეს წიგნი დაწერილია 1917 წლის დეკემბრის ბოლო რიცხვებში) უკულმართობა გამოიხატება იმაში, რომ რუსეთთან შეერთების შემდგომ, ტერიტორიალურ-ეკონომიურათ და ეროვნულ-კულტურულადაც გაერთიანებულ საქართველოს სულიერი განვითარება,— მისი ბუნებრივ ძალთა განვითარების თავისუფალი მსვლელობა, მოითხოვდა წმინდა ევროპიულ კულტურის ყოველმხრივ და თავისუფალ შეთვისებას, ე. ი. საღ და წმინდა ეროვნულ რეალიზმის წარმოშობას, ანუ— ეროვნულის კაპიტალით შეიარაღებულ ქართველ ბურჟუაზიის გამოსვლას, როგორც ქართველი ერის მოწინავე კლასისას. მაგრამ, ამავე დროს, თუმცა ისტორიულის აუცილებლობით, მაგრამ მაინც ვერაგულად და მახინჯად შემოჭრილ რუსეთის ძველ იმპერალიზმის წყალობით, ჩვენში ახლად ⁂ამყარებული სოციალ-ეკონომიური და ეროვნულ-პოლიტიკური პირობები მოითხოვდენ ერის მიერ ამ საღ ეროვნულ რეალიზმის უარყოფას. და ამგვარად—ისტორიულად აუცილებელი, ისტორიულადვე შეუძლებელი ხდებოდა ჩვენთვის“ (იხ. გვ. 17). ავტორს რომ მოკლეთ და მარტივათ ეთქვა, ერთი სიტყვით—ასე გამოვიდოდა: ჩვენთვის აუცილებელი იყო ბურჟუაზიის განვითარება, მაგრამ რუსეთის პოლიტიკამ ამის საშვალება არ მოგვცა. ეს პარადოქსია. და ასეთ პარადოქსს და დაუსაბუთებელ აზრს ხშირათ შეხვდებით ამ პატარა წიგნაკში. ამ მოკლე წერილში ჩვენ ავტორს ფეხდაფეხ ვერ გამოვყვებით, ვინაიდან ეს ძლიერ შორს წაგვიყვანდა და ბიბლიოგრაფიის ფარგლები მას ვერ დაიტევდა.

როგორც ვსთქვით, ეს წიგნი საინტერესოა, მაგრამ, ვწუხვართ, რომ ავტორს, იოლი ხელით დაუწყია მუშაობა. და ჩვენ კვლავ ვიმეორებთ: ეს საკითხი მეტათ რთული, მძიმე და ფართო საკითხია და თუ იგი ყოველ-მხრივ ისტორიულათ ფაქტებით და კიდევ ფაქტებით არ იქნა გაშუქებული, ისე არ შეიძლება დააკმაყოფილოს, იგი ვინც ამ ფრიად საგულისხმო საკითხით არის დაინტერესებული.

ვ. მოძველი.

პროფ. ივ. ჯავახიშვილი: ,,ქართული სამართლის ისტორია''. წიგნი I. გამოცემა თ. მთავრიშვილისა. ფასი 15 მ. ქუთაისი, 1919 წ.

წიგნი, რომელიც უნდა შეიძინოს ყველამ, ვისაც რაიმე ინტერესი მაინც აქვს საქართველოს ცხოვრებისადმი. წიგნში

პირველათ აღწერილია საქართველოს მიწა-წყალი, მკვიდრნი, მათი მოსახლეობა, მათი საზოგადოებრივი და წოდებრივი დანაწილება, მმართველი წრეები, ბატონ-ყმობა, მოხელენი და მოხელეობა და სხვა და სხვა. წიგნი მეტის-მეტათ ღირს-შესანიშნავი და საინტერესოა. ვურჩევთ ყველას—შეიძინონ.

გამოცემულია კარგათ და ძვირი არ არის.

ვ. მოძველი.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი. „სახელმწიფო და რევოლიუცია". მარქსიზმის მოძღვრება სახელმწიფოზე და პროლეტარიატის მიზნები რევოლიუციაში. თარგმანი რუსულიდან. ტფილისი 1918 წ.

წიგნი დაწერილია 1918 წლის სექტემბერში, როდესაც ბოლშევიკები ჯერ [illegible] ამეფებული [illegible]. [illegible] ავტორს [illegible]-ან დასჭიროებოდა წიგნის გამოცემა, [illegible] ზოგიერთი ლებულება, [illegible] �[illegible]ოლ[illegible] ბ[illegible]ნ[illegible]ბ[illegible]ლ[illegible]ა.

[illegible] ძალიან [illegible] ძვ[illegible] [illegible] ფორმა კრიტიკისა: ის [illegible] ნაწერებიდან [illegible] [illegible] [illegible]

ამასთან ერთად აუცილებელია შემოქმედებითი, მშენებლობითი მუშაობის აღიარება.

ყველა ქვეყნებში, სადაც კი არსებობდა სოციალისტური მოძრაობა და მაშასადამე სოციალისტებიც, მარქსის და ენგელსის მოძღვრება სწორედ ასე აქვთ შეთვისებული. მაგრამ რა საქმე აქვს ჩვენს ავტორს მათთან. ის „მიწასთან ასწორებს" ამ ქვეყნების სოციალისტურ აზრისა და საქმის უმჯობეს წარმომადგენლებს. წიგნში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს კაუცკისთან და პლეხანოვთან პოლემიკას. პლეხანოვს ფილისტერს და რენეგატს უწოდებს, კაუცკის, თუმცა ასე სასტიკად არ ეპყრობა, მაგრამ „იჭერს" მარქსიზმის გადაფუჩეჩებაში. ზედმეტი იქნებოდა აქ მართალზე და მტყუანზე ლაპარაკი. ვიტყვით მხოლოდ, რომ მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ერთად-ერთი ნამდვილი სოციალისტი და მარქსიზმის მცოდნე მთელ დედამიწის ზურგზე მხოლოდ წიგნაკის ავტორია და მასთან ნაგულისხმები ბოლშევიკები.

წიგნაკში ვრცელი ადგილი უჭირავს სახელმწიფოს კრიტიკას. მისი აზრით, სახელმწიფო, როგორც გაბატონებულ კლასის ორგანო, კი არ უნდა შეიცვალოს, არამედ უნდა მოკვდეს, ამოიფხვრას, და ეს უნდა მოხდეს „შეიარაღებულ პირების განსაკუთრებულ ძალების საშუალებით".

დემოკრატიულ რესპუბლიკას ავტორი უწოდებს „კაპიტალიზმის საუკეთესო პოლიტიკურ სამოსელს." საბუთად მას მოყავს ენგელსიდან ამონაწერი:

„მაშასადამე, სახელმწიფო დასაბამიდან არ არსებობს. იყვნენ საზოგადოებები, რომლებიც უმისოთ მიდიოდენ იოლად, რომელთაც წარმოდგენაც არა ქონდათ სახელმწიფოზე და სახელმწიფო ძალა-უფლებაზე. ეკონომიურ განვითარების შესაფერ საფეხურზე, რომელიც აუცილებლად არის დაკავშირებული საზოგადოების კლასებათ დაყოფასთან, სახელმწიფო ამ დაყოფის გამო აუცილებლობათ იქცა. ჩვენ ეხლა ჩქარი ნაბიჯით ვუახლოვდებით წარმოების განვითარების ისეთ საფეხურს, რომელზედაც ამ კლასების არსებობა არამც თუ აუცილებლობა აღარ არის, არამედ პირდაპირი ხელის შემშლელია წარმოებისა. კლასები ისეთივე აუცილებლობით გაქრებიან, როგორითაც ისინი წარსულში წარმოიშვენ. კლასების გაქრობასთან ერთად აუცილებლად გაჰქრება სახელმწიფოც. საზოგადოება, რომელიც ახლად მოაწყობს წარმოებას, მწარმოებელთა თავისუფალ და თანასწორ ასოციაციის საფუძველზე, მთელ სახელმწიფო მანქანას იქ გაგზავნის, სადაც მისი ნამდვილი ადგილი იქნება: სიძველეთა მუზეიუმი, თითის ტარის და ბრინჯაოს ცულის გვერდით".

ნუ თუ ამ ამონაწერიდან ის დასკვნა შეიძლება გამოიყვანო, რომლის სასრულებლად აუცილებელი შეიქნა იელი რუსეთის მოქალაქეობრივ ომისარიცეცხლში გატარება? ნუ თუ ჩვენ კვე მივუახლოვდით წარმოების განვითარების ისეთ საფეხურს, რომელზედაც კლასების არსებობა ხელის შემშლელია წარმოებისთვის? ბოლშევიკების დღევანელი შემოქმედება ნათელს ყოფს, რომ ეს შემცდარი აზრია. და, რომ ენგელსს ბოლშევიკების საქმიანობა დაენახა, ის ეტყოდა მათ იმის შესახებ, თუ რგორ